ია ეკალაძე

კრებული

საბჭოთა მწერალი
19 თბილისი 49

ილიკო ბედენაძე

ე ს კ ი ზ ი

საღამოს რვა საათი იქნებოდა, როდესაც საშუალო სასწავლებლიდან ახლად გამორიცხულმა ილიკო ბედენაძემ, რომელიც კერძო გაკვეთილებით საზრდოობდა, უკანასკნელი განაკვეთი აუხსნა თავისს მოწაფეებს და დაღალულ-დაქანცული გარეთ გამოვიდა.

მშვენიერი გრილი საღამო იყო. ჩამავალი მზე მოეფარა მთაწმინდის გორას და ცეცხლის მფრქვეელი სხივები წამოკრიფა დედამიწიდან. დაჰბერა საამურმა ნიავმა, მიმოფანტა სიცხის ბუღი და მთელი ქალაქი მოძრაობაში მოიყვანა... დაღალული ილო ხარბათ ყლაპავდა გრილ ჰაერს და თან დინჯად მიაბიჯებდა მთაწმინდისაკენ. ეს იყო ილოს ერთადერთი საყვარელი ადგილი: ბევრ სიამოვნებას და თან ბევრ ტანჯვას განიცდიდა ხოლმე ბედენაძე, როდესაც მთაწმინდის ქედიდან გადმოსცქერიროდა მრავალ-ტანჯულ სამშობლოს მიდამოს... ამ დროს მის თვალწინ იშლებოდა მთელი წარსული და აწმყო მისი ქვეყნისა და გული ათასგვარად ეღადრებოდა. ან კიდევ, ბუნების სიკეკლუცე-სიდიადით დამტკბარს, თავი მოქონდა იმით, რომ იგი შვილია ამ ბუნებისა... მხოლოდ უკანასკნელი სულისკვეთება წუთიერი, წარმავალი იყო ხოლმე ილიკოსათვის.

ერთი ღარიბი მღვდლი შვილი ილიკო ბედენაძე ადრე დაობლდა და, უპატრონო, იმ თავითვე საშინელ გაჭირვებაში ჩავარდა. უბინაობამ, შიმშილ-წყურვილმა, მოუელელობამ თვისი ზეგავლენა იქონიეს ნორჩ ბედენაძეზე და ბუნებით მალხაზი ყმაწვილი დაიჩაგრა, დანაღვლიანდა. ისე გაატარა ილიკომ თავისი სიყმაწვილე, რომ ტკბილი სიტყვაც-კი იშვიათად სმენია ხოლმე. მხოლოდ ერთი ნეტარი დღე ახსოვს თავის სიცოცხლეში და ეს დღე იყო, როდესაც მამამ შემოისვა ცხენზე და სასწავლებელში წაიყვანა. ილიკო მაშინ თერთმეტ-თორმეტი წლისა იქნებოდა და კარგად აგონდება ეს ბედ-

ნიერი დღე. ახსოვს, თუ რა ალერსიანად ექცეოდნენ ოჯახში. დღესაც ნათლად წარმოუდგება ხოლმე მამის სურათი, თავის დაკონკილ-დაკერებულის ანაფორით, დაღვრემილი სახით და ქუსლებ-მოგრეხილი ხარაზის წაღებით. მამის სურათის წარმოდგენით მოიგონებს ხოლმე მის გულკეთილობას, მის ალერსს, უკანასკნელს დარიგებას და ეს წარმოდგენა რაღაც სიამოვნებით, რაღაც ნეტარებით ავსებს მის გულს, რაღაც უზენაეს სიყვარულს აგრძნობინებს ხოლმე ყველა პატიოსან ადამიანისადმი, თუმცა კი გულკეთილი ადამიანი ილიკოს შემდეგში ძლიერ იშვიათად შეხვედრია.

ილოს პირველი დიასახლისიც მეტის-მეტი კაპასი და უდიერი დედაკაცი გამოდგა. ხან წყალზე გააგდებდა ხოლმე, ხან ფურნეში აგზავნიდა, უკვიროდა, უშტიალებდა და ერთ წუთს მოსვენებას არ აძლევდა. ილო ძალა-უნებურად ემორჩილებოდა ჭირვეულ დიასახლისს, მაგრამ სიცოცხლე-კი ეწამლებოდა. დაჩაგრულ-დამონავებული ბავშვი უსიხარულოდ ატარებდა დღე-ღამეს და სხვის ხელის შემყურებელი თანდათან ჩიავდებოდა.

მეტ სიამოვნებას ილო ვერც სასწავლებელში პოულობდა. პირველად ილიკოს სწავლა ძალიან უძნელდებოდა, რადგანაც უფროსს კლასში მიიღეს და მისთვის გაუგებარი საგნები დააწყებინეს. ამასთანავე მასწავლებელიც საშინელი უნიჭო, გამოთაყვანებული, უზრდელი და გაუნათლებელი კაცი შეხვდა...

კლასში შესვლისთანავე რაღაც მხეცურს გამომეტყველებას მიიღებდა ხოლმე და ისე იბღვირებოდა, გეგონებოდათ, მასწავლებელი კი არა, ჯალათიაო. ღვთის წინაშე ჯალათი-ვითაც-კი ექცეოდა მოწაფეებს: ვაი იმას, ვინც გაინძრეოდა, გავერაგებული მასწავლებელი გეზელქორივით დაეცემოდა ხოლმე მსხვერპლს და სულ ბუწუწებს აგლეჯდა. დამფრთხალი მოწაფეებიც გრძნობდნენ მასწავლებლის პირქუშობას და განაბულები შესცქეროდნენ. აი, ამისთანა კაცს ჩაუვარდა ხელში ილიკო და მისი ამხანაგები. რაღა თქმა უნდა, რომ ბავშვები დავთარ დაკარგულები იქნებოდნენ და საზოგადოდ ძალიან ნაკლებადაც ისწავლიდნენ... სახლში დამფრთხალი ილიკო, კლასში ხომ შიშის ქარმა აიტანა. უმისოდაც დაჩაგ-

რული ბავშვი უფრო დაშინდა და უცხო ენაზე გაკბილული გაკვეთილები თავიდან ეფანტებოდა. გაუძნელდათ ბავშვებს სწავლა... გაუძნელდა ილიკოსაც ცხოვრება და ერთხელ სასწავლებლიდგან გაქცევაც-კი დააპირა. გაიქცა კიდეც, მაგრამ სად წავიდოდა? სასწავლებლის უფროსმა, მასწავლებელზე უფრო გამოთაყვანებულმა, მაგრამ გამოქნილმა და გაიძვერამ, სასტიკი განკარგულება მოახდინა. ილო დაიჭირეს და უფროსს მიჰგვარეს. უფროსმა კარგა გაასილაქა და ერთის კვირის უსადილობა გადაუწყვიტა. ეს იყო და ეს. ილიკოს გაქცევა აღარ უფიქრნია. იგი დაემორჩილა თავის ბედს, თუმცა-კი შეიძულა უფროსი და მასწავლებელიც. ამ დროს დედის წერილიც მოუვიდა, რომელშიაც ეხვეწებოდა: „შენ გენაცვალოს დედის თვალები, ვინძლო კარგათ ისწავლო და მტრის გულისათ არ გამხადო... ამასთანავე გიგზავნი ხუთ ჩურჩხელას და სამს კომშს და თუ კარგად ისწავლი უფრო მეტს გამოგიგზავნი“. არ ვიცი, სწორე მოგახსენოთ, ისეთი რა ძალა ჰქონდათ დედის სიტყვებს, მაგრამ ილომ კი ბევრი, ძალიან ბევრი იტირა დედის წერილზე და გადასწყვიტა კიდეც კარგად ესწავლა. მართლადაც, ბეჯითობას მოუმატა და სწავლითაც წინ წავიდა. ილო არ ამაყობდა, გულჩვილს ყმაწვილს ამხანაგები ძალიან ებრალებოდა და ყოველთვის მათი ერთგული იყო. ამხანაგებიც გრძნობდნენ ილოს გულის სიკეთეს და ნდობით ეკიდებოდნენ. ამგვარად, ილოსა და ამხანაგებს შორის მეგობრობა ჩამოვარდა.

ასე მიდიოდა დრო და ჟამი, წელიწადი წელიწადს მისდევდა და ილოს გარეგან ცხოვრებაში საიმისო ცვლილება არა ხდებოდა-რა. მხოლოდ ილოს სულიერი ცხოვრება თანდათან მდიდრდებოდა: ხასიათი უმაგრდებოდა, ჭკუა-გონება უნვითარდებოდა, ზნეობა უფაქიზდებოდა და გონების თვალი ეხილებოდა. თუ პატარაობისას ყველა უმართებულო მოქცევა სისხლს უმღვრევდა, სასოწარკვეთილებაში აგდებდა, დღეს იგივე მოქცევა საბრძოლველად იწვევდა, ამხნევებდა და თვის მოწინააღმდეგედ იხდიდა; თუ პატარაობისას გულკეთილად ექცეოდა თავისს ამხანაგებს, დღეს იმან სულითა და გულით შეიყვარა ყველა თავისიანი და მზად იყო მოსარჩლედ გახდომოდა; თუ აქამდის მონა იყო თავისი კაპასი

დიასახლისისა, დღეს შეუძლია თავისი შრომით იცხოვროს, თავისი ოფლით მოიპოვოს ლუკმა-პური, მაგრამ... გაჭირვებულმა ცხოვრებამ თავისი ულმობელი დაღი მაინც დაასვა. ილო სულ დაფიქრებული, დანაღვლიანებული დაიარებოდა. ეტყობოდა, რაღაც ბრძოლა უნდა ყოფილიყო მის გულში და ეს ბრძოლა ისე ღრმად აღბეჭდილიყო მის სახეზედ, რომ ოცი წლის ჭაბუკი მხცოვანად გამოიცქირებოდა. მართალია, არიან ისეთი სუსტი ბუნებისანი, რომლებიც ილოს მდგომარეობაში სულით ეცემიან, გულით ირყვნებიან და ხასიათით ფუჭდებიან, მაგრამ ილომ გაუძლო ამ სიდუხჭირეს და ცხოვრებას, ადამიანთა გაუტანლობითა და ფუქსავატობით შეურაცხყოფილი, ყოველთვის მზად იყო ვერაგობა-ძალმომრეობისათვის, რომელიც ერთ-ერთი მიზეზია ხალხთა უბედურებისა, თავისი მხნე მკერდი მიეშვირნა და მათი უკუღმართი ძალა გაეთახსირებინა, მიწასთან გაესწორებინა.

ძალმომრეობა-გაიძვერობის მსხვერპლად ილო მარტო დაბალ, უვიც ხალხს არა სახავდა. იგი კარგად ხედავდა, რომ უკუღმართ გარემოებათა მეოხებით თავგზა დაბნეული, გამწარებული, სიცოცხლით გატარანებული ხალხთა უმრავლესობაც პირფერობს, ქვემძრომლობს, მარტო თავის ჯიბესა და ლუკმა პურს ემსახურება! „რასაკვირველია, სიცოცხლე ბრძოლაა არსებობისათვის, მაგრამ პირუტყვული, ცხოველური არსებობა-კი რა ადამიანის შესაფერია!“ ასე ამტკიცებდა ილო, როდესაც იგი წამოიზარდა და ჭკუა-გონება გამოეწაფა.

მას შემდეგ, რაც თავი შეისწავლა, რაც გაიგო, თუ რა არის სწავლა და ან რისთვის არის იგი, კვალში ჩაუდგა ყველა ბოროტმოქმედებას და საცა კი სიტყვა მიუწვდებოდა სთურგნიდა და ზიზღით იხსენიებდა ძალმომრეობას. სცდილობდა ამხანაგებიც გამოეფხიზლებინა, ერთობა ჩამოეგდო და მით ადამიანს ადამიანობა დაემტკიცებინა. მაგრამ... ილომ ვერაფერი გააწყო და ერთ მშვენიერ დღეს, იმ დროს, როდესაც ცხოვრებაში უნდა გამოსულიყო ადამიანობისათვის დაჯილდოვებული, სასწავლებლიდგან დაითხოვეს და ცხოვრების ყოველგვარი საღსარი მოუსპეს. იგი დაამცირეს, უნიჭოდ, მავნებლად ჩასთვალეს, მაგრამ ილო მაინც არ შემდრკალა და ცხოვრების უკუღმართობას კვლავ გაუმკლავდა,

მაგრამ... ბედენაძე ბრბოსაც გიჟად მოეჩვენა და სიცილ-კასკასი მიაყარეს. ილოს გული სტკიოდა ქვეყნის სიეერაგეზე და ნაღვლიანად იტყოდა ხოლმე, მართალი უთქვამს ჩვენ პოეტს: „ეხლანდელ დროში ჭკუა ხაშია, გრძნობა-კი არტალაო!“ მაგრამ რა? მოვა დრო, ნამდვილი, წრფელი განათლება ჩვენშიაც ფეხს მოიკიდებს და მაშინ ყველა იგრძნობს თავის დანიშნულებასაო.

ღრმად ჩაფიქრებული და სახე მოღუშული ბედენაძე დინჯად მიდიოდა მთაწმინდისაკენ. ეტყობოდა, რაღაც არასასიამოვნო სურათი წარმოედგინა მის ოცნებას და ამ სურათით შეწუხებული თავდავიწყებამდე მისულიყო. ის ხან იღიმებოდა, ხან წარბებს იჭმუხნიდა, ხან ერთ რომელიმე წერტილს უშტერებდა თვალებს, ხან ხელებს იქნევდა და ოხრავდა. საშინელი შესახედი იყო ამ დროს ბედენაძე.

— ეჰ! რაც მოხდა, მოხდა. წარსულ საქმეს ვეღარ დავაბრუნებთ. მაშ რაღა დაგვრჩენია? ბრძოლა უკეღმართობასთან, და ნამდვილი ცხოველმყოფელი განათლების შეძენა!— ისეთი მკაცრად, ისეთი არა ჩვეულებრივი კილოთი წამოიძახა ეს სიტყვები, რომ თითონვე შეკრთა და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა. მხოლოდ ახლა დაინახა ილომ, რომ მარტო არა ყოფილა. მის გარშემო ხალხი ბუზიეით ირეოდა. გრილ საღამოს მთელი ქალაქი გარეთ გამოეწვია და მთაწმინდის გორას თავისკენ მიეზიდნა.

ილო შეჩერდა, მიეყუდა ერთ ხეს და ბრბოს ნაღვლიანად დაუწყო ყურება. ბრბო-კი თავდავიწყებით მხიარულებდა.

ყველა სცდილობდა ესარგებლნა გრილი საღამოთი. საშინელი ჟრიამული და სიცილ-კასკასი გაისმოდა. აქ ათასი რჯულისა და წოდების ხალხს თავი მოეყარა და თუმცა ასეთი სხვადასხვაობა იყო, მაგრამ მაინც ერთმანეთში რაღაც კავშირი ჰქონდათ. ბუნების სიდიადეს ყველას გული ერთგვარად აეღელვებინა და საღამოს ნაზი ნიავი ყველას ერთგვარად უღიღინებდა.

ახლად შეღერებულნი, მხიარულად მოკასკასე, ეშმაკურ და ათასგვარ ფალასებით აჭრელებული ქალები კეკლუცად შეჰყურებდნენ თვის კავალრებს, რომლებიც, თავის მხრით, ცდილობდნენ მათი ყურადღების დამსახურებას.

აქა-იქ მოჩანდნენ ხანშიშესული ადამიანები.

— ქაა! შენ რაღა გინდა აქა? — ეკითხებოდა ერთი ჩიქილოსანი მეორეს.

— შეთქმული მაქვს, ქალო!

— მერე და აელაბრიდგან როგორ დადიხარ?

— უი, ვენაცვალე მამადავითის მადლსა, ისეთი ძლიერია, რომ სულ ჩიტივით ამოვფრინდები ხოლმე.

— ღმერთმა შეძლება მოგცეს, დედავ და თვალო, — გაათავა ბაასი პირველმა ჩიქილოსანმა და შეჩერდა.

— მელო, მელო, დაინახე აგერ ის ქალი! — უცბათ წამოიძახა პირველმავე. — ეგ არის, აი, ქაჯან, ოსანაანთ მიტრიამ რომ დანიშნა და შემდეგ ხელი აიღო.

— იმასაც გაშავებია გვირგვინი, მერე რა მადლი უქნია, — წამოიძახა ვიღაცამ.

— მაშ არადა, ეგ რო რიგიანია, მაგისმა მზემა, თვალებს დაუკოცნიდნენ! — დაცინვით სთქვა მობაასემ და მოჰყვა ჭორიკანობას. მოკლედ რომ ვსთქვათ, რწყილს აქლემი აშობინა.

— მაიმუნები... უვიცნი... გზა აბნეულნი!.. — ბუტბუტებდა თავისთვის მათი მომზირალი და მაყურებელი ილო... თან ებრალებოდა და თან ეზიზღებოდა ეს უმარილით დათხუპნული, კარსეტებში გათანგული, წკეპლებითა და უზარმაზარ ალქაჯური შლიაპებით მორთული ბრბო ქალთა და კაცთა, მაგრამ რას იზამდა, სპილოს კოღოს კბენა რას დააკლებს? ილოც კოღო იყო ამოდენა სქელკანა და სქელთავა ბრბოში.

ბედენაძემ ფეხი გაუჩქარა. უნდოდა მოშორებოდა ამ წრეს, მაგრამ ყოველ ნიბიჯზე ერთსა და იმავეს ხედავდა, ერთსა და იმავეს გრძნობდა. ხალხი თანდათან გროვდებოდა, ერთად ჯგუფდებოდა და ხვნეშა-ქოშინით აღმართს ებობღებოდა.

მამადავითის ეკლესიასთან ასასვლელი გზა საკმაოდ ფართო და დაკლაკნილია. მთვარიან ღამეში ზემოდან რომ დახედოთ ამ გზას, გეგონებათ თეთრი ნაკადული მიიკლაკნება ამ მთის კალთაზედო. მშვენივრად დაქვიშული გზატკეცილი სწორედ სასიამოვნო სასიარულოა.

ამ გზატკეცილს აქეთ-იქით, ნაპირებზე არიგებულ-ჩამორიგებული აქვს საჩრდილობელი ხეები, რომლებიც რაღაც საიდუმლო ელფერს აძლევენ ამ გზას და ჯარისკაცებივით

დარაჯად დასდგომია მთის კალთებს. მიჩუმებულ ღამეში, იმ დროს, როდესაც კაცთა ერიამული შეწყვეტილია და ათასი უწმინდური ფეხი არა სტკეპნის ამ გზას, რომ აიაროთ, მართლა რაღაც სიწმინდეს, რაღაც მშობლიურ სიყვარულს იგრძნობთ ამ მიდამოსადმი!

აი, ამ გზატკეცილზე, ყველა ხის ქვეშ დამჯდარიყო თითო-თითო მათხოვარი და გამვლელ-გამომვლელს მოწყალებასა სთხოვდნენ. საზარელი სანახავი იყო ეს უთვალავი ხროვა ღარიბ-ღატაკებისა, ბრმა-კოჭლებისა, უხელ-ფეხოებისა! კაცს უნდა ქვის გული ჰქონოდა ან თვისი ადამიანობა დავიწყებოდა, რომ ამ უბედურებისათვის ყურადღება არ მიექცია. მაგრამ ამ საღამოთი მოსეირნენი მათხოვრებს თითქოს ვერცკი ამჩნევდნენ. ათასში ერთი თუ მიუგდებდა ხოლმე ორ-გროშიანს...

ილომ გზა დაუთმო ერთ უზარმაზარ კაცს. მდიდრულად მორთული, ოქროს ძეწკვით ღაპზე გადმოგდებული და თვის ბოლოკვით გაწითლებული მდიდარი, ამაყად მოგორავდა თავდაღმართზე. პატარა მათხოვარა—მეფანდურე—წინ გადაეღობა და მოწიწებით შესძახა:

— ბარინ, შენი ჭირიმე, მოწყალება მოიღეთ, გაიკითხეთ უსინათლოები,—და მთელ გუნდზე მიუშვირა ხელი.

„ბარინმა“ ხმაც არ გასცა. ბავშვი კვლავ ეხვეწა, კვლავ ემუდარა.

— ვა, ხათაა! მომშორდი რაღა თავიდგან. რა თხის ღმერთივით იღრიჯები?—შეღრიალა „ბარინმა“ და პატარა ბიჭს თვალები გადმოუბრიალა.

საცოდავი მათხოვარა მოშორდა ულმობელ „ბარინს“ და ახლა სხვას მიჰმართა... ყველა თვალს არიდებდა. ან კი ვის ეცალა იმათთვის: თვითონ ხომ მაძღარნი იყვნენ?

— გწყალობდეთ მამადავითი, გაგვიკითხეთ, ბატონო, ქალბატონო, ერთი კაპეიკი გვაჩუქეთ!—გაისმოდა აქეთ-იქითგან.

— Что за безобразие! Почему позволяют беспокоить гуляющих?—ჩაირუსულა ვილაც ყმაწვილმა კაცმა და მედიდურად მიმოიხედა, თითქოს საპასუხოდ იწვევს ვისმეო.

გულგრილად და ზიზღით წარმოთქმული სიტყვები ლახვა-

რივით მოხვდა გულში ბედენაძეს. აენთო, ვეღარ მოითმინა და მკვახედ უპასუხა უცნობს:

— მაშ რა ჰქნან, ჭამა არ უნდათ?

გამოწკეპილმა ვაჟბატონმა ზიზღით შეხედა გახუნებულ ილოს და პასუხის ნაცვლად გადიხარხარა.

ილოს ბრაზი მოერია, მაგრამ თავხედს ხომ თავხედად ვერ მოექცეოდა და ფეხი აუჩქარა. ვეღარ გაუძლო ადამის შვილთა წვალებას და ადამიანთვე გულგრილობას! მიეჩქარებოდა ბედენაძე და თან ფიქრობდა: „დახე, ამ გულქვა ადამიანთ, ნუთუ თავისი ძმა არ უნდა ებრალებოდეთ! როდის, ნეტა როდის მოეღება ბოლო ამ უკუღმართობას, როდის იქნება ყველა მაძღარი და კმაყოფილი თავისი ბედისა!—იმეორებდა ბრაზმორეული ილო. ამჟამად ისეთ სიბრალულს, ისეთ ძალას გრძნობდა, რომ მზად იყო თავისი თავი დაჩაგრულთათვის მსხვერპლად შეეწირა. მზად იყო კოპლს ფეხად შესდგომოდა, უხელოს—ხელად, ბრმას—თვალებად: სურდა, რომ ყველა იქ მყოფი გლახა გმირად გადაქცეულიყო და გამაძღარ-მორთულ-მოკაზმულებისათვის შური ეგოთ, მაგრამ ყველა ეს ოცნება იყო გულით პატიოსანისა და ჯერედ ჩირქმოუცხებელი ჭაბუკისა!..

ილომ ვეღარ გაუძლო სულის ქენჯნას და იქვე მახლობელს ღელეში გადავიდა. ამ დროს მთვარე მედიდურად ამოცურდა ცის სივრცეში და მთელ არემარეს ვერცხლისფერი მოჰფინა. გულაღმა მწოლარე ილო სასოებით მიეგება ღამის გუმაგს და ღრმად დააცქერდა.

ნაზად მოცურავდა მთვარე ცის კამარაზე და თანდათან სპეტაკტებოდა. მთელი ბუნება საიდუმლოებით აივსო და ნეტარებით სული განაბა. ერთხან მისწყდა ხალხის ჟრიამულიცა-აქა-იქ თუ-ღა გაისმოდა მწერების ჭრიჭინი, ან ცელქი ნიავის სისინი და ესეც დაძინებული ბუნების ფშვინვას ემსგავსებოდა. უმზერდა მთვარეს ილიკო და ფიქრით-კი შორს, შორს წასულიყო. იგი ფიქრობდა თავის წარსულზე, აწმყოზე და მათი სივერაგით შეშინებული, მომავალზე ფიქრს ვერ ბედავდა. მისი არსება რაღაც ცრუმორწმუნეობას, ბედისწერას შეეპყრო და ამ ჟამად თითქმის კიდეცა სწამდა ბედისმწერალი ანგელოზი. ამიტომ კვლავ თავიდგან უბრუნდებოდა თა-

ვის აზრებს და თვის წარსულ ცხოვრებას ითვლისწინებდა. იგონებდა იმ ნეტარ ჟამს, როდესაც სწავლის სიდიადე და კაცის დანიშნულება გაიგო, იგონებდა შეგირდობის ხანას და გული ტანჯვით ევსებოდა. აგონდებოდა თავისი ამხანაგები, იმათი მისწრაფება მაღალ სწავლისადმი და... აქ კი მსჯელობის ძაფი უწყდებოდა, „რა დროს-ღა მაღალი სწავლაა, ჩვენ ხომ მოსპობილი გვაქვს მაღალ სასწავლებელში შესვლის სახსარი", უცბად გაივლო გულში და ამ გულსაკლავ კითხვას კვლავ თავი შეაჯახა. მაშ რა ვქნათ? ნუთუ ასე შუა-წყალში უნდა დავრჩეთო? არა უნდა ვისწავლოთ, ვისწავლოთ და ვისწავლოთ ჩვენის ცხოვრების გასაუმჯობესებლათო. იმედიანად წამოიძახა ილომ და გულიანად ამოიოხრა.—მოდით, ჩემისთანა გზა-დაბნეულნო, ხელი ხელს მივცეთ და კვლავ ვისწავლოთ, კვლავ ვიბრძოლოთ! — ეს სთქვა ილომ და შუბლზე ხელი გადაისვა.

მთვარე კარგა მაღლა წამოსულიყო. მთაწმინდის ფერდობებზე ხალხის ჟრიამული ისევ გაისმა. ცელქი ნიავი შიგ ყურში არტყამდა შორით მოტაცებულს სიტყვას და მით ბედენაძეს კვლავ გულს უბრაზებდა. აგერ, შემოესმა ბრმა მათხოვართა გულსაკლავი სიმღერა: „შავი ზღვის ნაპირას" და ილოს გააჟრჟოლა. სიმღერას მოჰყვა სალამურის ხმა. ამასაც გულგრილ ადამიანთა გასართობათ ვიღაცა ბრმა მათხოვარა აკვნესებდა. უკრავდა რაღაც უცნაურ ხმას და ამ ხმაში რამდენიც ჰარმონია იხატებოდა, სამი და ოთხი იმოდენა ტანჯვა-ვაება გამოკრთოდა. ილომ კარგა ხანს უგდო ყური ამ ხმას, უნდოდა რაიმე საიმედო, სანუგეშო კილო ეპოვნა, მაგრამ მარტო ამ ხმაში ეს უსმოდა: „ღმერთი არა გაქვთ, პური მშიან, მაჭამეთ რამე. შემიბრალეთ თქვენი სისხლი და ხორცი". ხალხი-კი გულგრილად კისკისებდა და სალამურის ხმა არც-კი ესმოდა. ილომ გაითვალისწინა ამ საცოდავთა ყოფა-ცხოვრება, მიზეზები მათის დაქვეითებისა, დაგლახავებისა და გულმა შემოკვნესა. კვლავ შავმა ფიქრებმა შეიპყრეს იგი. კვლავ თვალ-წინ წარმოუდგა ქვეყნის უსამართლობა და ძალმომრეობა. საბრალო ილო დაკოდილი ლომივით ფეხზე წამოიჭრა, სიბრაზემორეულმა ბურტყუნი დაიწყო და განრისხებულმა მთვარეს მუშტი მოუღერა: აგრე გულგრილად რად უმზერ

ქვეყნის ტანჯვასაო. ამ დროს მთვარე შავს ღრუბლებს მოეფარა, თითქოს კაცის ბჭობაზე სიცილი მოუვიდა და პირი იბრუნაო.

— მეც ხომ ისეთი უმწეო, ისეთი მოძულებული ვარ, როგორც ის გლახები, რომელთაც ძაღლათაც არავინ აგდებს. მაშ რა გვეშველება კაცობრიობის სამ მეოთხედს? — დაეკითხა თავის თავს და ღრმად ჩაფიქრდა. რას ფიქრობდა ამ დროს ჩვენი ბედენაძე, სწორედ მოგახსენოთ, ძნელი სათქმელია, მხოლოდ ეს კი უნდა ითქვას, რომ ბედენაძე, სხვათა შორის, იფიქრებდა იმას, რასაც ფიქრობს ყველა პატიოსანი, გულწრფელი და ცხოვრებისგან დაჩაგრული კაცი... ილო ათასგვარმა მოსაზრებამ გაიტაცა, და ბოლოს ისევ იმ აზრს დაადგა, რომ ცხოველმყოფელი ერთობა თუ-ღა უშველის რამეს, თორემ მისი და იმის მსგავსი ადამიანების ცხოვრება, მარტო ოხვრა, ტანჯვა და ვაება იქნებაო.

ცამ გაიღიმა. ცისკარმა ციმციმი დაიწყო. ირმის ნახტომი ცაზედ გაიჭიმა. მხოლოდ მაშინ გამოერკვა ილო და ღელე-ღელე დაეშვა. სახლში რომ შევიდა, ტანთ-გაუხდელი მაშინვე ლოგინზე მიეგდო. დაღალულ-დაქანცულს ძილი არ ეკიდებოდა. იდო უძრავად, მაგრამ ნახულ-ნაგრძნობი მაინც თავს არ ანებებდა, თვალ-წინ ედგა ხელ-გაშვერილი მათხოვარა ბავშვი, ყურში-კი გლახისვე სალამური გაჰკიოდა: „ადამიანები არა ხართ, პური მაჭამეთ, შიმშილითა ვკვდები!“-

1894 წ.
ქ. თბილისი

ანდრია ავყიაშვილი

მოთხრობა

მეწყვლებელთა ცხოვრებიდან

1

— დასტკბი მსოფლიო!—გადმოსძახოდა ცის კამარიდან მხცოვანი მნათობი მხცოვანს ქვეყანას და თან ისე კრიალებდა, თითქოს უნდა ერთი-ორად მოიმატოს სითბო-სინათლე და მით საშემოდგომოთ მომზადებულს ქვეყანას საზამთროდაც სიცხოვლე დაუტოვოსო.

— მადლობელი ვარ, ჩემო ხელმწიფევ! — შეღიმოდა ქვევიდან ქვეყანა და ფართოთ გაშლილ, ყვავილ-მწვანით შემოსილი გულ-მკერდიდან ალმური ასდიოდა. ალბათ, ან მზისა სცხვენოდა და ან უსაყვედურებდა, რომ შენ მაღლიდან ანათებ და მე კი ძუძუს ვაწოვებ იმათ, ვინც ბოროტად ხმარობს ჩვენგან მინიჭებულ მადლსაო.

მზე მაინც იცინოდა და ორთქლად იკმევდა ადამის შვილთაგან დანთხეულ ცრემლსა და ოფლს.

ბუნებაც გაინაზა, საკინძე შემოიწყვიტა და ნაწვალ-ნატანჯი მკერდი მზის მაცოცხლებელ სხივებს მიუშვირა. მნათობის შორით ნატყორცნმა სხივებმა სიცოცხლის ნექტარად დაუარა გულ-გადაღეღილს ბუნებას და ქვეყნად შრომა გამეფდა. შრომობს დიდი, შრომობს პატარა. ზამთრისათვის სარჩოს იმზადებენ.

ქვეყნად ჯერ მარტო ოფლი იღვრება.

— იშრომეთ, იშრომეთ, ზამთარი მოახლოვდა!—გადმოიკაშკაშა მზემ, სამხრეთისაკენ გადიხარა და მთებით შემოფარგლულ სამშობლოს მიდამოს ალმაცერად გადახედა.

— დასტკბი, ჩემო თავო!—წამოიძახა სიხარულისაგან აღტაცებულმა ანდრია ავყიაშვილმაც.

— ეს ვიღაა!—თითქოს დაიკვნესა ბუნებამ და ჩამავალი მზე რომ დაინახა, ფერი ეცვალა.

— არავინ! კაცი—ადამიანი, რომელიც ლუკმა პურს ეძებდა და ჰპოვა კიდეც. ხომ იცი რა გულზვიადია ადამიანი. თავის პირად სიამოვნებასა და ნეტარებასთან ბუნების სიდიადეს არაფრათ ჩააგდებს.

— ეჰ! ცოტა ხანს მაინც მოვარიდებ თვალსა,—გაიფიქრა მზემ, პირზე ღრუბელი აიფარა და მთას იქით გადასრიალდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც მზემ დაისამხრეთა და ბუნებამ შუბლი შეიკმუხნა, თითქოს გაიბუტაო, ანდრია ავყიაშვილს მოწერილობა მოუვიდა, მასწავლებლად დაგნიშნესო. ანდრიას აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

იმ დღესვე წითელარშიანი, „კაკარდიანი“ ქუდი დაიხურა, საზაფხულო პალტო მხრებზე მოიგდო, ულვაშები დაიწკიპა და ასე გამოჭიმულმა მთელს ქალაქში დაიწყო ყიალი. დადიოდა უაზროთ, ხან ერთს ქუჩაზე გაივლიდა, ხან მეორეზე და ისეთი კმაყოფილების თვალით ათვალიერებდა მიდამოს, თითქოს უნდა უტყვ არსებათაც-კი აგრძნობინოს, რომ იგი მასწავლებელი, მოსამსახურე კაცია, რომ დღეის იქით ჩინიცა და ჯამაგირიც მოემატებაო. ამ ფიქრით გატაცებულმა ანდრიამ ცოტა გაწყდა არ შეიკუნტრუშა კიდეც, მაგრამ ამ დროს ვიღაცა მგზავრი დაეჯახა. ანდრია ჯერ უსიამოვნოთ დაიღრიჯა და მერე ისეთნაირად შეუბღვირა ხეპრე მგზავრს, თითქოს ეუბნებაო: „შე ოხერო, ვიღაცა ხარ, რომ არ დამეჯახო, არ იქნება, ვერა ხედავ მასწავლებელი ვარ“, მაგრამ ახლა სხვა წააწყდა და პირში მომდგარი სიტყვები ენის წვერზე დააკვდა. კიდევ ბევრი უსიამოვნება შეხვდა ანდრიას, მაგრამ, ისე იყო გატაცებული თავისი „მასწავლებლობით“, რომ არაფერი უგრძვნია. მისთვის სხვა გარეშე არა სუფევდა-რა. იგი ოცნებაში იყო გართული. დაღამდა. აბობოქრებულ ქვეყანას ხმაურობა-ყაყანში ღრმად მიეძინა, არ ეძინა მხოლოდ ჩვენს ანდრიას. იგი ისევ ოცნებობდა.

— აი დედასა, შარშან ამ დროს „ლიტურლიკის“ მასწავლებელი შიშის ზარსა მგვრიდა და დღეს-კი მე თითონ მასწავლებელი ვარ, მე თითონ უფროსი ვარ... საკვირველია ღმერთმანი ჩვენი ცხოვრება! — ფიქრობდა ანდრია და რაც

უფრო უკვირდებოდა თავის აწმყოს, მით თვისი წარსული ცხოვრება შავ-ბნელად ეჩვენებოდა.

— დიაღ, საკვირველია, საკვირველი ჩვენი ცხოვრება!— დროგამოშვებით წამოიძახებდა ხოლმე ანდრია და ლოგინში მწოლარე, ხითხითებდა. ნეტა რა აცინებდა ანდრიას? იქნება საცინელი არ ჰქონდა-რა, მაგრამ წუთიერი სიამოვნება, წუთიერი ბედნიერება კაცს ხანდისხან ჯოჯოხეთსაც დაავიწყებინებს ხოლმე. ანდრიასაც ისე მოუვიდა. იგი გატაცებული იყო ოცნებით, რომლისთვისაც აწინდელს მის მდგომარეობას ფერთები შეესხა და შორს სადღაც, არა ამ ქვეყნად, გადაეფრინებინა. დიდხანს იოცნება ანდრიამ, დიდხანს იბორგა ლოგინში, მაგრამ ძილი მაინც არ ეკარებოდა. „ღმერთო ჩემო, როდის უნდა გათენდესო!“ წამოიძახა ანდრიამ და ლოგინში რომ ველარ მოითმინა, წამოდგა ლოგინიდან, ფანჯრის რაფაზე ჩამოჯდა და ცას მიაშტერა თვალები. შემოდგომის ბნელი ღამე იყო და ცა შავი ღრუბლებით მოფენილი. სინათლის იოტიც არა სჩანდა. დროგამოშვებით ქარი შეარყევდა ხოლმე ღრუბლებს და მაშინ თუ გამოჭკრთებოდა სადმე რომელიმე ვარსკვლავის შუქი, მაგრამ ასეთი გამოკრთომა ანდრიასათვის შეუმჩნეველი რჩებოდა, რადგანაც მოსრიალე ღრუბლები მალე ისევ ფარავდენ ღამის გუშაგთ, თითქოს ქვეყნისათვის ეს მცირეოდენი შუქიც-კი შურთ.

ცა გარიჟრაჟდა. დღე ღამეს შეეჭიდა. ცის კამარამ ციალი დაიწყო და აღმოსავლეთი წითლად შეიღება, ცოტა კიდევ და მზეც ყურს ამოჭყოფს... ანდრიასთვის კი დიდი ხანია გათენდა. ყველაფერი მოიმზადა, მხოლოდ ცხრა საათის შესრულებას უცდის. რკინის გზით ახალ ბინაზე მიემგზავრება.

II

მომიტევე, მკითხველო, და სანამ ანდრიას ცხოვრებას გავიცნობდეთ, წინად მისი ვინაობა გავიგოთ. დავიწყოთ გარეგნობიდან.

ანდრია ავყიაშვილი ერთის შეხედვით შნოიანი კაცია, ისეთი შნოიანი, როგორიც მოსწონთ ხოლმე ჩვენს კეკელო-

ებს. ხოლო თუ კილში ჩავუდგებით, მოსაწონი არა აქვს-რა: წვრილი თვალის კაკლები, წინ-წამოწეული მოკლე შუბლი, წვეტიანი ნიკაპი და ახმახი ტანი უცნაურს და არა სასიამოვნო გამომეტყველებას აძლევს მის სახეს. მაგრამ იმისდა-მიუხედავად, რომ ხშირად სახე სულის სარკეა ხოლმე, ანდრიას ნაკლს მისი კეთილშობილება ნასწავლობასთან შეერთებული გადაეფარა და ანდრია ნაცნობებისათვის თითით საჩვენებელ ყმაწვილ კაცად გახადა.

ანდრია ავყიამვილი „გაკეთილშობილდა“ თავის პაპის მეოხებით. აწ ღვთის-მიერ განსვენებულმა ონოფრე დეკანოზმა სწორედ სიკვდილის წინა დღეს „ვლადიმირი“ მიიღო და მისი შთამომავლობა გააზნაურდა. მხოლოდ რაც შეეხება სწავლას, ეს-კი ჩვენმა ანდრიამ თავისი მეცადინეობით შეიძინა. ჯერ სულ პატარა, ასე 7—8 წლისა იქნებოდა, როდესაც სასწავლებელში მიაბარეს. მთელი თექვსმეტი წლის განმავლობაში ერთგულად სთელა სასწავლებლის გზა. ბევრი ტანჯვა-ვაების შემდეგ შრომა დაუფასდა. რიგიანად დაამთავრა სწავლა, რის გამოც ერთს სამაზრო ქალაქში მასწავლებლად დანიშნეს. მას შემდეგ შვიდი-რვა წელიწადია და თუმცა მოსწავლისა აღარაფერი ეტყობა რა, თუმცა ცხოვრებაში გამოიცადა და ღვთისა და ბატონის წყალობით ერთ ხანს ხელოვნურადაც სარგებლობდა თავისის მდგომარეობით, მაგრამ ამ ოხერმა წუთის-სოფელმა ცოტა არ იყოს თავისი დაღი დაასვა...

მართალია, იმ თავითვე დიდს ყურადღებას იქცევდა, ნამეტნავად პატივსა სცემდნენ გასათხოვარი ქალების მშობელნი, მაგრამ „ბურსაში“ გაზრდილი, ვერ სარგებლობდა ამ უპირატესობით და ცხოვრებაშიაც „ბურსულად“ იქცეოდა. ან-კი როგორ მოახერხებდა სხვაგვარ ცხოვრებას?

თექვსმეტი წლის განმავლობაში საზოგადოება არ ენახა. იყო გამომწყვდეული სასწავლებლის ოთხს კედელს შუა და ცხოვრებისათვის უმნიშვნელო საგნებს ატეხდა თავს. ერთი რიგიანი მასწავლებელი, დამრიგებელი და გულ-შემატკივარი აღმზრდელი არა ჰყავდა, რომ იმათ მაინც დაეყენებინათ კარგს გზაზე, ქვეყნის ავ-კარგიანობა ესწავლებინათ, რაიმე მიმართულება მიეცათ. ანდრიას მასწავლებლები, თითქმის ყველა, ჯოხს ქვეშ იყო გატარებული, ყვირილ-შტიალით

აღზრდილი და ყველრება-მუქარით გამოკვებილი. გულში ზამთარი ედოთ და თავში—ქარბუქი. რაც თითონ გადახედოდათ, სხვისგანაც იმას თხოულობდნენ. შეგირდობის დროს თითონ რომ დამცირებულნი, უფროსის ფეხის ნატერფალნი, ყოველის მხრით გზა შეკრულები ყოფილან, დღეს ჯავრს თავის მოწაფეებზე ჰყრილობდნენ. ამათ უხდიდნენ თვისი მასწავლებლების სამაგიეროს. გარდა ამისა, ამათ თავობიდანვე ყურში ჩაწვეთებული ჰქონდათ, რომ თუ მოწაფეს გაჭირვება, შევიწროვება არ მიაყენე, შემდეგში გაგითამამდება და ცხოვრებაში მეტის-მეტი გალაღებული იქნებაო. კიდეც ამ მიზეზით შეზღუდულ სწავლის წესდებით ხელმძღვანელობდნენ და მომაკვდინებელ ცოდვადაც მიაჩნდათ ამ წესდების დარღვევა; ვაი იმ მოწაფის ბრალი, ვინც ცოტა თავისუფლების მოყვარეობას გამოიჩენდა! ამგვარი მოწაფის გამოისობით ისეთი ალიაქოთი აუტყდებოდათ ხოლმე, გეგონებოდათ ჩინეთის კედლები დაინგრა, ან ღვთის რისხვა მოევლინა არაკულ ქაჯთა ხელმწიფესაო... სათნოება და მოთმინება, მორჩილება და მონობა, ბატონობა და ყმობა, აი ჰაე და ჲოიე იმათი ზნეობა-გონებრივ ავლა-დიდებისა.

ამიტომაც მასწავლებელნი და მოწაფენი ერთმანეთს თხა და მგელსავით უცქეროდნენ. პირველნი თუ იმასა სცდილობდნენ, რომ სამსახურში დაწინაურებულიყვნენ, მეორენი ლამობდნენ სწავლის დამთავრებას და წადილის მისაღწევად არავითარ საშუალებას არა ზოგავდნენ. სიცრუე, ფლიდობა, ქვემძრომლობა, შური, ბეზღობა, მტრობა, ყველა, რაც-კი სიბილწე და კაცის თვალის ამხვევია, მოწაფეებში იყო გავრცელებული და ვინც ამ საშუალებათ არ მიმართავდა ხოლმე, ის შუაგზაზე რჩებოდა რაღა თქმა უნდა რომ მოსწაელეების სული და გული იეღინთებოდა ამგვარი მყრალი ატმოსფერით და ძალა-უნებურად, თითქმის შეუმჩნეველად იხრწნებოდნენ ზნეობით, გულით და სულით ფუტუროვდებოდნენ. მოსწავლეების ამგვარ მიმართულებას მასწავლებლებიც ხელს უწყობდენ: იმათ ის უყვარდათ, ვინც ფეხს აულოკავდათ, ის მოსწონდათ, ვინც მათი ყურმოჭრილი ყმა იქნებოდა. არავითარი მამაშვილური დამოკიდებულება მათ შორის არ მოიპოვებოდა.

ამის შემდეგ საკვირველი არ არის, რომ არც სამოსწავლო საგნებს ექნებოდათ მოწაფეებზე ჯეროვანი გავლენა. მართლადაც უაზროდ, უსაფუძვლოდ შესწავლილ-გაზეპირებული აზრები არ ახსოვდებოდათ, გულს არ ეკარებოდა, სიტყვები სიტყვებადვე რჩებოდა და ზნეობრივი ზემოქმედება კი არა ჰქონდათ-რა, რადგანაც, როგორც ზევით მოგახსენეთ, ისე უსულ-გულოდ იყო სწავლის საქმე დაყენებული, რომ თუ მოწაფეები სწავლობდნენ რამეს, სწავლობდნენ იმიტომ, რომ პროხორ ტიხონიჩს ან პახომ ივანიჩს თავზე ხელი გადაესვა და დავთარში მოეხსენებია, ამა და ამ მოწაფემ „პიატზედ“ იცოდა გაკვეთილიო. ამ ამოსაგდებს „პიატებს“ სწორედ ჯადოქრული თვისება ჰქონდა: ზოგისთვის ძაღლის თავი იყო და ზოგისთვის კი გაზაფხულის ენძელადაც არა ღირდა. ერთი წყობა შეგირდებისა რომ თავს აკლავდა გაკვეთილებს და კაჭკაჭივით იზეპირებდა, მეორე დასი ზიზღით შეჰყურებდა ამ „მეპიატეებს“, დასცინოდა მათს „წუწვნას“ და ამ მაჯავრელობაში ეპარებოდა დრო, გაკვეთილი მოუმზადებელი რჩებოდა და... ნიჰილერი, ხანდახან, ვინმე ზარმაცის მსხვერპლი ხდებოდა. ერთის სიტყვით, პირველები მარტო ცარიელ ფრაზებს იზეპირებდნენ, მეორენი კი ამასაც არ აკეთებდნენ და ორთავე ერთად ხომ დამახინჯებულნი, განახევრ-კაცებულნი რჩებოდნენ. ამასთანავე ისე შეძულებული ჰქონდათ სწავლა, რომ რაც უნდა საყურადღებო საგანი ყოფილიყო თუკი „პარაგრაფიდან პარაგრაფამდე“ იყო დანიშნული, ჭირივით ერიდებოდენ იმ საგანს და თუ სწავლობდა ვინმე, ისიც ისევ „ნიშნებისათვის“. ასე აერივ-დაერიათ მოსწავლეების ჭკუა-გონება. ასე გაერყვნათ მათ გემოვნება და ჩაეთუთქათ ყოველი კეთილი მისწრაფება.

არც ანდრიას თანამედროვე საზოგადოება იყო რიგიანი. ცრუ, ზენა-ქვერა განათლებამ ამასაც სხვაგვარ აუმღერა ტვინი, შავი წითლად მოაჩვენა და სხვის დაკრულს დუდუკზე აათამაშა... ვინც უფრო კარგს ლეკურს უვლის, კარგს მალაყებს გადადის, კაცი ის არის და ქუდიც იმას ხურავს. ყველა იმას აქებს, ყველა იმას ადიდებს და მოდი და ნუ მიბაძავ! ვის არა აქვს თავმოყვარეობა? ყველას უნდა მაძღარი, მორთულ-მოკაზმული იყოს, და თუ პეტრე სარგებლობს თავისის

მალაყობით, რატომ ივანემ-კი არ უნდა ისარგებლოსო? აი საიდუმლო, სულის სიღრმეში დამალული შინაგანი ხმა, რომელიც ვერ გამომზეევებულა, მაგრამ, სამწუხაროდ თითქმის ყველას გულში კი ტრიალებს და აზარმაცივით სწევს კაცის არსებას. წამწყმიდა წახედულებამაო. ანდრიაც ხედავდა თავისზე წინ სწავლა-დამთავრებულებს, ხედავდა მეთაურ-ვექარაღჩეებს და თვითონაც უნდოდა მეთაურობა... უნდოდა სამსახური, ჩინოვნიკობა. მართალია ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის გაკვეთილებმა ცოტათი დააფიქრეს (ანდრია მართლაც არც ისეთი უნიჭოა), მაგრამ ეს დროებითი იყო: უაზროდ, უსაფუძვლოდ შესწავლილი სიტყვები მალე ავიწყდებოდა და იმ დასკვნამდის მიდიოდა, რომ ამ საგნებს ხომ ნიშნებისთვის გვასწავლიან, მაინც არ დამახსოვდება და გიჟი ხომ არ ვარ თავი შევაკლაო. ნეტა ერთი ჩქარა გავათაო, ცხოვრებას მოვეწიო, არ მეყო თექვსმეტი წელიწადია ამ ოხერ გამხმარ სკამზე ვზივარო. აი ეს იყო ანდრიას აზრი. ამ გულისთქმით აპირებდა ცხოვრებაში გამოსვლას.

ტოტი ხეს უნდა ჰგავდეს, ანდრიაც ტოტი იყო იმ მყრალი ხისა, რომელსაც ასი და ათასი ანდრიასთანები, ათასგვარ ბლუზა-მუნდირში გახვეულნი, ჭანჭურის ბოყვებსავით ზედ აკუნწულიან.

III

კვირა დღე იყო. თბილ დღეს ქალაქი გარედ გამოეწვია და უქმეს-კი რაღაც განცხრომა-ფუფუნებაში გაეხვია. ყველას სახე უღიმოდა, სადღესასწაულო ელფერი დასდებოდა. მორთულ-მოკაზმულები ქუჩებზე დასეირნობდნენ. აქა-იქ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილიყო და ერთმანეთს ემასლაათებოდა. ამ ჯგუფში ქალაქის ნაწილი „ინტელიგენციაც“ ერია. ესენიც რაღაცას ლაპარაკობდნენ. ყველას ეტყობოდა, რომ მოცლილი იყო, თითოეულს მათგანს თავისი ჭირ-ვარამი დროებით მაინც დაევიწყნა.

წირვის ზარი დაჰკრეს და ამ ხმას ბანი მისცა ქალაქის მიდამომ. ხალხი შეტორტმანდა, შეირხა. ზოგმა ქუდი მოიხა-

და, პირჯვარი გადაიწერა და გამვლელ-გამომვლელთ უფრო გაფაციცებით დაუწყო თვალიერება. ზარებს კვლავ რეკდენ, მლოცველთ კვლავ ეკლესიისკენ იწვევდნენ. მალე ქალაქის უმთავრესი ქუჩა ხალხით გაივსო. ყველაზე ბევრი ქალები მოსჩანდა. მორთულ-მოკაზმულები, უმარილით დათხუპნილ-დალესილები წყვილ-წყვილად მოსეირნობდენ ქუჩაზე. მათ უკან მოსდევდენ დედა-დიდედები კრიალოსნით ხელში ან არადა ახალგაზრდა ქალებზე ნაკლებ არც ისინი იწმაწნიგრიხებოდნენ. ყველა ესენი საყდარში მიეშურებოდნენ ღვთის სადიდებლად. მაგრამ სახეზედ-კი სასოება არავის ეტყობოდა. რაღაცას ჩურჩულობდნენ, ჭორიკანობდნენ. უცნაური სანახავი იყო ეს ხალხი. რაღაც ძველებური, ჩვენებური ელფერი დასცემდა ამ ბრბოს, რაღაც მშობლიური, პატრიარქალური სული ტრიალებდა მათ შორის, მაგრამ ამავე დროს, შიგ ჭრელად, რაღაც არაჩვეულებრივი, ნაძალადევი, ნახევრად განათლებული და ნახევრად დაბნელებული ნიავი დაჰფარფატებდა მშობლიურს ქალაქს, რაღაცა სიყალბე შეჰპარვოდა ეტყობოდა, რომ ხალხი აჭრელებულიყო...

წირვის გათავების შემდეგ ხალხი ჟივილ-ხივილით დაიშალა. მოწაფეებმა იგრძნეს რა თავისუფლება, კუნტრუშ-ხტუნაობით შინისკენ მოკურცხლეს. ხალხმა კი, ნამეტნავად ცირებმა, მასწავლებელზე დაიწყეს ლაპარაკი. ბევრი ამათგანი კიბეზედაც გაჩერდა, უნდოდათ თვალი დაეკრათ ახალი მასწავლებლისათვის, მაგრამ მოლოდინი გაუცრუვდათ. ანდრია ფეხდაფეხ მიჰყვა ზედამხედველს და ორივენი ცნობის მოყვარე თვალთაგან მალე მიიფარნენ. ზედამხედველის სახლი საყდარსავე ჰქონდა მობმული.

— ნება მიბოძეთ, ბატონო, გაგაცნოთ ჩემი თავი,—აღელვებულის ხმით უთხრა ანდრიამ, როდესაც უფროსმა მოხედა და გაკვირვებით დაუწყო ცქერა,—მე გახლავართ ანდრია გიორგის-ძე ავყიაშვილი, სტუდენტი ამა-და ამ საშუალო სასწავლებლისა, რომელშიაც სწავლა ამ გაზაფხულს დავამთავრე და დღეს ბედნიერება მაქვს თქვენი ხელქვეითი გავხდე. თქვენდა რწმუნებულს სასწავლებელში მასწავლებლად გამამწესეს.

უფროსი ერთხანს გაშტერდა, მერე მხიარულად წამოიძახა:

— მეც დიდად მოხარული ვარ, ანდრეი გიორგიჩ, თქვენის გაცნობისა. დიაღ, ამ დღეებში მოვიდა მოწერილობა თქვენს შესახებ,—ღიმილით დააბოლავა უფროსმა და ანდრიას მუშტრის თვალით დაუწყო ცქერა. თავით-ფეხებამდე რამდენჯერმე აათვალიერ-ჩაათვალიერა და ისეთი ცბიერის თვალით უყურებდა, გეგონებოდათ, სულის სიღრმეში უნდა ჩაუძვრეს და ამოიკითხოს რა სწერია ამ ყმაწვილი კაცის გულის ფიცარზეო. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ ბ-ნ ზედამხედველს საშინლად ეჯავრებოდა ყმაწვილი კაცები, და სძულდა უფრო ისინი, ვინც (უფროსის სიტყვით) მეტი ლაპარაკი იცოდა, ე. ი. ვინც თავის მსჯელობას იქონიებდა იქ, სადაც უფროსები, ჩინითა თუ ხნით, ლაპარაკობდნენ. კიდეც ამიტომ უყურებდა ჩვენს ანდრიას ასე დაკვირვებით.

ანდრია მეტისმეტს გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩაჯარდა. საითაც გაიხედავდა, უფროსის მოციმციმე თვალები სულ მას მისჩერებოდა და მერე როგორ უყურებდა? სწორედ მახათივით უვლიდა გულ-ღვიძლში. საწყალი ანდრია კაკანათში გაბმულს ჩიტს დაემსგავსა. უნდოდა ეთქვა რამ, მაგრამ ვერა მოეხერხებინა-რა. უნდოდა ენა დაეძრა, მაგრამ ენაც სასაზედ მიჰკროდა და პირში ნერწყვი გაშრობოდა. „საკვირველია ღმერთმანი რა დამემართაო, ჰფიქრობდა ანდრია, თითქოს სათქმელი ბევრი მქონდა, თითქოს წინადვე მოვემზადე და ახლა-კი შოშიასავით ენა ჩამივარდა... ნეტა რასა ჰფიქრობს ჩემზე ეს კაციო,"—ჰკითხავდა თავისთავს ანდრია და დარცხვენილის თვალებით ოთახს ათვალიერებდა. ანდრიამ პირველად იგრძნო, რომ იგი მოუმზადებელია და კოტა არ იყოს შერცხვა კიდეც.

კარგა ხანს იყვნენ გაჩუმებულნი. ბოლოს სიჩუმე უფროსმა დაარღვია:

— რამდენი წლისა ხართ?

— მე მგონი 23 უნდა ვიყო,—იცრუა ანდრიამ.

— ოც-და-სამისა? ჯერ სულ ყმაწვილი ყოფილხართ, ჩემო ანდრეი გიორგიჩ და, როგორც ყმაწვილს კაცს, გაფრთხილება გმართებს... მე იმედი მაქვს, რომ გულმოდგინეთ მოეკიდები შენს სამსახურს, არ აყვები სხვადასხვა „მყვირალებს", მორჩილი და პატიოსანი იქნები... რაც შეეხება შენს

წარმატებას, ეს ჩემზე მოაგდე, მე ვიცი, როგორც დაგა-ჯილდოვებინებ.—ამ „საკითხავის“ დროს უფროსი მოწყალეთ იღიმებოდა.

ანდრია-კი გაშტერებით დასცქეროდა იატაკს და არ იცოდა რა ექნა. უფროსის სიტყვები უდიერად ეჩვენა, მაგრამ იმის მეტი ვერა მოახერხა-რა, რომ დაბალი ხმით მოახსენა: ვეცდები დავიმსახურო თქვენი და უმაღლესი მთავრობის ყურადღებაო.

უფროსმა მადლობა გადაუხადა ამგვარი თავაზიანობისათვის და ანდრია სამასწავლებლო ოთახში გაიწვია, სადაც ძველი მასწავლებლები კრების მოსახდენათ შეგროვილიყვნენ. შესვლის უმალვე ახალი მასწავლებელი წარუდგინა. ყველამ სათითაოდ ჩამოართვა ხელი და, როგორც ყმაწვილ კაცს, ყურადღებით დაუწყეს ცქერა. ანდრია ჭარხალივით წამოწითლებულიყო, მოკლე კითხვებზე მოკლე პასუხს აძლევდა. ცოტა ხნის შემდეგ, ზოგიერთების მოლოდინში, მასწავლებლებმა რაღაც სჯა-ბაასი დაიწყეს. უფროსმაც ერთხანს ყური დაუგდო, მაგრამ მალე მოსწყინდა, მთქნარება დაიწყო და გარეთ გამოვიდა. მასწავლებლები უფრო გამხიარულდნენ. იმათში ბევრი ოხუნჯი კაცი ერია და ყველაზე ბევრსაც ისინი ლაპარაკობდნენ. ანდრია კუთხეში მიმჯდარიყო და სათითაოდ ყველას სინჯავდა. მასწავლებლებს ლაპარაკის საგნად მარტო უფროსი ამოენიშნათ. პირველად აქვე გაიგო ანდრიამ, რომ უფროსს მეტ სახელად „ურიის ცხენი“ რქმევია თურმე. ამ სახელის გაგონებაზე ანდრიამ კინაღამ არ გადიხარხარა, მაგრამ თავი შეიკავა და კვლავ პედაგოგებს დაუწყო სინჯვა.

—როგორ ეტყობათ, რომ ერთის „ქარხნიდან“ არიან გამოსულები,—ჰფიქრობდა ანდრია.—ჩვენი „ქარხნის“ კაცი თუნდა იერუსალიმს წაიყვანო, მაინც თავის ელფერს არ დაკარგავს. ისევ ის „ბურსაკები“, ისევ ის ლაყუნები. დიაღ, ჩვენ ყველა ერთის ყალიბისა ვართ და აბა ამათთან რა გამიჭირდება.—შეიძლება ანდრია, ჩვეულებრივად ოცნებას მიცემოდა, მაგრამ ამ დროს უფროსი ხელმეორეთ შემოვიდა დარბაზში, და კრებაც დაიწყო.

IV

კრებამ დიდი ლაპარაკი გამოიწვია, მით უმეტეს, რომ საგანი დიდმნიშვნელოვანი იყო. დღეს უნდა გადაწყვეტილიყო ერთი მოწაფის ბედი.

ერთს არნაუტ ბავშვს მასწავლებლის ჟურნალი მოეპარა და დაეხია. ზედამხედველმა ბავშვის საქციელი მომაკვდინებელ ცოდვად ჩასთვალა, შეჰკრიბა მასწავლებლები და გამოუცხადა, რომ ესა და ეს მოსწავლე უნდა გამოვრიცხოთო.

— მე მგონია, ივან ივანიჩ, რომ ეგ დიდი სასჯელია,— დაიწყო ერთმა მასწავლებელთაგანმა,—მოდი, ნუ გამოვრიცხავთ, ნიჭიერი ბავშვია. იქნება როგორმე მოვარჯულოთ.

— მე გეუბნებით მაგ ბავშვის სასწავლებელში დაყენება შეუძლებელია,—პირქუშად შენიშნა უფროსმა და ისეთი თვალით გადახედა კრებას, თითქოს ეუბნებოდა: აბა რას ლაპარაკობთ, ხო იცით ჩემთან ვერაფერს გააწყობთო.

— მე მგონია, სასწავლებელი იმ გვარი დაწესებულებაა, რომელიც მოზარდის გასწორებას უნდა სცდილობდეს და არა გამორიცხვას,—დაუმატა ხმას მოკამათე მასწავლებელმა.— სასწავლებელი ქურაა და კეთილი მამაშვილური მოპყრობა— ფოლადი, რომელიც სწავლა-წვრთნის ქურაში გამოელებულ მოსწავლეს ფხად უნდა დაედოს.

— თქვენ გეუბნებიან, რომ მაგ მოწაფის დაყენება შეუძლებელია,—დაიღრიალა უფროსმა—და თუ თანახმა არ ხართ, თქვენი აზრი საქმისმწარმოებელს დავთარში ჩააწერინეთ. მე-კი დაგიმტკიცებთ, რომ თქვენ კანონის წინააღმდეგი ხართ.

ამ სიტყვებმა საშინელი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. კრება დას-დასად გაიყო. ყველა თავისას ლაპარაკობდა. მომეტებული ნაწილი უფროსს მიემხრო. მისმა სასტიკმა მუქარა-ყვედრებამ დასძლია მოწინააღმდეგენი და კრებამ ერთხმად დაადგინა: „პატივსადებელ მიზეზების გამო გამოირიცხოს მესამე კლასის მოწაფე N და განაჩენი უმაღლეს მთავრობას წარედგინოს დასამტკიცებლად“.

— აბა ახლა ხელი მოაწერეთ,—გაისმა ხმა. პირველად უფროსმა და მისმა მომხრეებმა მოაწერეს ხელი. დანარჩენებიც სათითაოდ აწერდნენ ხელს. არ უნდოდა ხელის მოწერა

შოწინააღმდეგე მასწავლებელს, მაგრამ უფროსს „ხათრი“ ველარ გაუტეხა და თავისი რწმენის მიუხედავათ, თავისი საბელი და გვარი კოხტად გამოსჭიმა განაჩენის ფურცელზე.

ასე დასრულდა ეს კრება და ერთი მოზარდიც ჩვეულებისამებრ გულგრილად, ჭიანი პანტასავით გადაისროლეს, მიანდვეს ცხოვრების ტალღებს და გაჭირვებას პირში მიაჩეჩეს.

ანდრიაც დაესწრო ამ კრებას, მაგრამ ხმა-კი არ ამოუღია. შისთვის ახალი ხილი იყო ეს კრებები და ჯერ-ჯერობით არც არა ესმოდა-რა. მოეწონა მასწავლებელის გულადობა, მაგრამ უფროსი-კი უფრო მტკიცე და მაგარ ხასიათის კაცად მოეჩვენა. მაგასთან სამსახური ხუმრობა არ ყოფილაო, გაივლო გუნებაში ჩვენმა ანდრიამ და ღრმად ჩაფიქრდა.

— ახლა ხომ მოისვენა მაგ ურიის ცხენმა, მაგან!—გაწიწმატებით ბურტყუნებდნენ მასწავლებელნი.—ყველას ენა მუცელში ჩაგვივარდა და თავისას გაიტანდა, მაშ რას იზამდაო! ეუბნებოდა თითოეულს მათგანს შინაგანი ხმა.

მართლა და ან-კი რა ექნათ? ივანე ივანეს-ძე ასკინკილოვი,—სასწავლებლის უფროსი,—მეტის-მეტი გაქნილი, გაიძვერა და გამოცდილი კაცი იყო. მასწავლებლები „ურიის ცხენს“ ტყუილად-კი არ ეძახდნენ ასკინკილოვს! მხოლოდ ეს სახელი შარტო ბრაზ-მორეულს მასწავლებელსა ფხანდა გულს, თორემ თვით ზედამხედველს არაფერს აკლებდა. ის თავისს „ურიის ცხენობას“ არაფრად აგდებდა, დღითი-დღე უფრო სასტიკდებოდა, დღითი-დღე უფრო შიშის ზარსა სცემდა თავის ხელქვეითებს. სასტიკ ხასიათთან სასტიკი გამომეტყველება უფრო საშიშარსა ხდიდა ამ კაცს. ბილეული და ბალნით შემოსილი სახე, პატარა მოციმციმე თვალები და გაბურძგვნილი ულვაშები, მის სულმოკლეობას ამტკიცებდა. მართლაც მეტის-მეტი ვიწრო აზრის კაცი იყო ჩვენი ზედამხედველი, მაგრამ ის ოხერი ოქრომკედით მოქარგული მუნდირი, „შპაგა-კაკარდითურთ“ მედიდურს შეხედულებას აძლევდა. როდესაც მორთულ-მოკაზმული გარეთ გამოვიდოდა ხოლმე, ყველა ძალაუნებურათ მიაქცევდა ყურადღებას. ზოგს კიდეცა შურდა მისთვის და წაიდუდუნებდა ხოლმე, ნეტავი შენ დედას, რომ შენა ჰყავხარო. ამგვარი სიტყვები, ერთს დღეს, თვით „ურიის ცხენს“ ყურში გააგონა ერთმა დედაბერმა. „ურიის

ცხენს“ ესიამოვნა, ულვაშებზე ხელი გადაისვა, ამაყურად მიავლ-მოავლო თვალი მიდამოს და წაიდუდუნა: „მაშ, ტყუილად-კი არა ვარ სტატსკი სოვეტნიკი“. დიახ, უფროსი „სტატსკი სოვეტნიკი“ გახლდათ და კიდეც ეს უკვირდათ მის თანამოსამსახურეთ. „ნეტა რითი დაიმსახურა ამ კაცმა ეს ხარისხიო!“ ბევრს ილაპარაკებდნენ ხოლმე ერთმანეთში გულდამწვარი მასწავლებლები, ნამდვილ მიზეზსაც პოულობდნენ, მაგრამ ვის რას გაუსწორებდნენ? მარტო იმითი-ღა იქარვებდნენ გულის დარდს, რომ სიცილ-კასკასით ერთმანეთს ეტყოდნენ ხოლმე: ჩუმათ იყავით, თორემ ხომ იცი ჩვენი „ურიის ცხენი“ სტატსკი სოვეტნიკიაო... ასე დასცინოდნენ ხოლმე, მაგრამ ეს „ურიის ცხენი“ მათი უფროსი-კი იყო და! ამიტომ თუ ზურგს უკან ცუდად იხსენიებდნენ, სამაგიეროთ პირში ელაქუცებოდნენ, ან კი რა ექნათ? კაცს სმა-ჭამა, ლუკმა პური უნდა და უფროსი ხომ მათი ლუკმის მძღეველია! რომ არ მილაქუცებოდნენ, „რაპორტების“ წერა-კი არ დავიწყებია „ურიის ცხენს!“ ხელად გაუსვამდა კალამს ესა და ეს კაცი ამა და ამ მიზეზების გამო არ მომწონსო და დაბეზღებულის წირვაც გამოვიდოდა. „რაპორტს“ რევიზია მოჰყვებოდა, რევიზიას — სამსახურიდან დათხოვნა და მერე! არა, ძმავ, სახედარი რომ შენი ბატონი იყოს, აცეს ნუ ეტყვიო. ასე ჰფიქრობდნენ თითქმის ყველანი და თუ ზოგიერთები ერთ მაღალს სიტყვას ეტყოდნენ ხოლმე უფროსს, ათი და ოცი დაბალი უნდა ეთქვათ. შეიძლება მამაცი იყო, ისიც მხოლოდ შენი თავის წინ, ოთხს კედელს შუა, შეგიძლიან შენს გულში მთელი ქვეყანა გადმოაბრუნო, ეს მთა იმ მთას აჯახო, მაგრამ სხვასთან კი, მეტადრე უფროსთან, როგორ შეიძლება სამართლიანი ლაპარაკი, ეს ხომ უზრდელობა, უკანონობა და უზნეობა იქნებაო!“ ჰფიქრობდნენ ჩვენი დიასახლისებია-პაპები. ალბათ, ასევე ფიქრობდნენ მასწავლებლებიც, რომ უსიტყვოდ დამორჩილებოდნენ თავიანთ უფროსს. ანდრიამაც მალე გაიგო უფროსის ხასიათი, იმის მიმართულება და ყურმოჭრილ ყმასავით დაემორჩილა, ბავშვად მოაჩვენა თავი. უფროსიც შეაჯდა ზურგზე და თოხარიკით დააჭენებდა. „ნასწავლია, ნასწავლი ანდრეი გიორგიჩი“, ეტყოდა ხოლმე უფროსი თავის ცოლს, „მაგრამ მე უფრო კარგად

ვასწავლი ჭკუას“, არ ვიცი ამითი რას ამბობდა ასკინკილო-ვი, მაგრამ ეს კი აშკარაა, რომ ანდრიას ხასიათის ცვალებადობას ალღო აუღო ჩვენმა უფროსმა და ანდრიას ზნეს—ენა ჭარტალობას—თავის სასარგებლოდ ხმარობდა.

V

გავიდა კარგა დრო. ანდრია შეეჩვია თავის მდგომარეობას. ამხანაგებს დაუახლოვდა. საზოგადოება გაიცნო და მოწაფეებს ხომ თავიც მოაბეზრა. დღეს-ხვალობით ანდრია გაშინაურდა და ზოგიერთ ოჯახს კიდეც დაუმეგობრდა.

იმ სამაზრო ქალაქის საზოგადოება, სადაც ჩვენი ანდრია მოღვაწეობდა, რამდენიმე ნაწილად იყო დაყოფილი და იმათში, რასაკვირველია პირველი ადგილი „ინტელიგენტებს“ ეჭირათ. ინტელიგენტი-კი, ქართველურად რომ ავხსნათ, ყველა წერა-კითხვის მცოდნე კაცი გახლავთ, ცოტათ თუ ბევრად სწავლა-განათლების ქურაში გამოწრთობილი და საზოგადოების თვალში განათლებულად აღიარებული. ეს პატივცემული ხალხი ე. ი. ინტელიგენტები, იმიტომ იწოდებიან ინტელიგენტებად, რომ ცოტა თავისუფალი მოაზრენი გახლავან და თუ საჭიროება მოითხოვს, ნამეტან გულ-კეთილობასაც იჩენენ, ასე რომ შეუძლიათ მე და შენ, ჩემო საყვარელო მკითხველო, ხელიც ჩამოგვართვან და ეს-კი დიდი მოწყალეობაა. რასაკვირველია, პატარა სამაზრო ქალაქის ინტელიგენტები მე და შენის ხელის ჩამორთმევას დიდ გმირობად არ ჩასთვლიან, მაგრამ მაინც ინტელიგენტები არიან, ქვეყნისთვის გული შესტკივათ და მამულის შვილებათ ითვლებიან. მამულს კი, მოგეხსენებათ, რიგიანი მოვლა უნდა და, რასაკვირველია, რაც უფრო რიგიანი იარაღით იქნება კაცი აღჭურვილი, მით უფრო გაუძღვება თავის მოვალეობას. აი ამ იარაღს, ჩვენი განათლებულნი კანცელარულ მორჩილებაში ხედავენ და თუ საქმით არა, სიტყვით მაინც თავიანთ თავს ქვეყნის ჭირისუფლად აღიარებენ. ანდრიას ნაცნობებიც ახალ აზრებსა ჰქადაგებდნენ, ლიბერალობას ვითომდა ეთაყვანებოდნენ და ვინც ამათ არ ეთანხმებოდა, ის ათვალისწინებული ჰყავდათ. ანდრიამ მალე აიღო ალღო და მალეც ჩაე-

რია იმათ წრეში. მართალია, ანდრია მეტის-მეტი მხდალი ადამის შვილი იყო, მაგრამ ამასთანავე საშინელი თავმოყვარეც. მუდამ დღე იმასა ჰფიქრობდა, როგორ ნოვიქცე, როგორ მოვაწონო თავი საზოგადოებას, როგორ დავიმსახურო ისეთი ყურადღება, რომ განათლებულად, განვითარებულად მოვეჩვენო საზოგადოებას, და უფროსებიც მადლიერნი მყავდნენო. ეს ორი მოპირდაპირე აქეთ-იქითობა მოურიგებელია, მაგრამ ასეთი გულის თქმა ჰქონდა ანდრიას და მისდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, იპოვა კიდეც გზა, რომლის საშუალებითაც მიაღწია თავის გულის წადილს. მისი სიმხდალე საზოგადოებას წინდახედულებად მოეჩვენა და თავმოყვარეობა--- უზადო განათლებად. რა იყო ეს გზა? ეს გზა ვახლდათ ფლიდობა, ორპირობა. ანდრიას არსება ორად გაიყო. შინ სულ სხვა ანდრია იყო, გარეთ-კი სხვა. შინ ვიწრო სულთასწრაფვისა, ბოროტებით აღსავსე, ეგოისტი. გარეთ-კი—თავისუფალი მოაზრე, განათლებული, მოძმისთვის თავდადებული. მერე ისე ხელოვნურად შეიმუშავა ეს განაწილება თავისი ბუნებისა, რომ საოცარი და საკვირველია, ვერა ქრისტიანი ვერ მიხვდებოდა მის ორპირობას. ეს მარტო თვით ანდრიამ იცოდა. იცოდა რომ იგი თავის მსმენელებს ატყუებდა. ათასში ერთხელ-კი ჰგრძნობდა ხოლმე, რომ სიგლახეს სჩადიოდა, მაგრამ... კვლავ ფლიდობდა, კვლავ ორპირობდა.

ბრბოს სიბრმავემ ანდრია გარყვნა, გაათამამა და ისპატიოსნების ხმა, რომელიც ათასში ერთხელ მაინც ამოსძახებდა ხოლმე გულის სიღრმიდან, სამუდამოდ ჩაწყდა. ანდრია იქამდის მივიდა, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ, თავისთავი უცოდველად დასახა. რაღაც უკუღმართობის მეოხებით დარწმუნდა, რომ იგი ღირსეული კაცია და ღირსეულს კვალსაც დასდგომია.

VI

ქალაქის „მოწინავე“ პატარა საზოგადოება მეტის-მეტი მხიარული და უზრუნველი იყო. თითქმის ყოველ კვირა-უქმე დღეს იკრიბებოდნენ ხოლმე ერთად და დროს ლხინსა და ქეიფში ატარებდნენ. ამ საზოგადოების წევრად ჩვენი ანდ-

რიაც ითვლებოდა და მერე წევრიც წევრსა ჰქვიან! დიდად სასიამოვნო სტუმარი იყო ხოლმე ყველასათვის და ყველაზე დაც დიდი გავლენა ჰქონდა, საქმით თუ არა, სიტყვით მა-ინც. დინჯის, აუჩქარებელის ლაპარაკით ანდრიამ პირ-წყლი-ანი კაცის სახელი დაიმსახურა. ისე წვეულობა არ იქნებოდა, რომ ანდრია არ დაეპატიჟნათ, სულით და გულით არ გამას-პინძლებოდნენ, როგორც დიდებულ პატრიოტს. მისი ქება-დიდება მთელ ქალაქს მოეფინა. ანდრიას განებივრებას საზ-ღვარი არა ჰქონდა. გაზვიადდა, თავი წაიქამა, გადიდგულ-და და გაამპარტავნდა. ბუზს თავზედ არ ისვამსო, რომ იტყ-ვიან, სწორედ ანდრიაზედ ითქმოდა. ასე მიდიოდა დრო და ანდრია თანდათან მოეწყო, ფულები შეაგროვა, ოჯახისათვის საჭირო ავეჯეულობა იყიდა, ერთის სიტყვით, მოეწყო ისე, რომ „ქვაცა ჰქონდა და კაკალიც“.

— ეხლა-კი ყველაფერი მაქვს,—იტყოდა ხოლმე ანდრია, როდესაც ოცნებისაგან გაბრუებული ოთახში ბოლთის ცემას დაიწყებდა.

— მაშ, რაღა მაკლია? თითქმის არაფერი! მაგრამ არა, მაკლია, მაკლია,—ღიმილით და მორცხვად წამოიძახებდა ხოლმე,—და ეს ნაკლი გახლავს, უცოლობა, აბა კარგი არ იქნება, რომ ერთი ლამაზი გოგონა დაცქრიალებდეს ჩემს ოთახებში! მაგრამ ვინ უნდა იყოს ის ადამის გვერდი, რომ მე მხარი დამიმშვენოს?

ანდრიას წინდაწინვე დასურათებული ჰყავდა თავისი საცოლო. იგი უნდა ყოფილიყო ტანადი, ცისფერ-თვალება, წარმოსადეგი და უეჭველად მდიდარი. ეს უკანასკნელი ღირსება ყველას ერჩივნა ანდრიას, და აი ეხლა, როდესაც ცოლის შერთვის ოცნებაში იყო, თვალ-წინ წარმოუდგა ვიღაც ტანადი, ლურჯი-ჟუჟუნა თვალებიანი არსება, რომელსაც გული და სული შეუწირავს ანდრიასთვის. ანდრიამ თვალები დააშტერა ერთ წერტილს და ნეტარებით იღიმებოდა. დიდ-ხანს იოცნება ანდრიამ, ბევრნაირად გადაატრიალა თავისი ცხოვრება და თავისის საცოლოს ღირსება კვლავ ფულზე დააყენა. არა, უთუოდ მზითვიანი ქალი უნდა შევირთო, მაშ რითი უნდა დამაფასოს ხალხმა. სწორედ იმას ვათქმევინებ ვისმეს, რომ უმზითვო ქალი შეიყვანა სახლშიო. კარგი ის

იქნება ყველა იმას იძახდეს: „ბიჭობა ანდრეი გიორგიჩმა უნდა დაიკვეხოს. თუ კარგი კაცი არ იყო, სამას-ოთხასი თუმანი რად ჩაუჩხრიალესო! მაშ, ბიჭი არა ვყოფილვარ, თუ თითით საჩვენებელი არ გავხდე. ეგ არის დღეიდან უნდა შევუდგე მზითვიან ქალის ძებნასაო“. დააბოლოვა ანდრიამ და ულვაშები გადიგრიხა.

ანდრიას განზრახვას ნაცნობები მალე მიუხვდნენ. მიხვდნენ, რომ ცოლის შერთვა გადაუწყვეტიაო და ყველა დაფაცურდა. მაჭანკლები ხომ ბუზივით დაეხვია. ან-კი ვინ დაერიდებოდა? შნოიანი, ჭკვიანი და ნასწავლი „უჩიტელი“. განა ეს საკმარისი არ იყო, რომ ჩვენს კეკელჯანებს გული აფანცქალებოდათ და ანდრიას ცოლობა ენატრათ? მართლადაც, რაც იმ ქალაქში ცოტად თუ ბევრად გამოჩენილი გასათხოვარი ქალი იყო, ყველას ჭირისუფლებმა მაჭანკლები მიუგზავნეს ანდრიას. ანდრია სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, რომ ასეთი ყურადღება ჰქონია დამსახურებული, მაგრამ რაც უფრო ბევრი მაჭანკლები მოსდიოდა, მით უფრო ნაზდებოდა ჩვენი ანდრია და ფეხს მაგრად აჭერდა. ზოგს ეუბნებოდა, რომ ჯერ მე ცოლს არ ვირთავო, ზოგს ეუბნებოდა თქვენი ქალი არ მომწონს და ნურას უკაცრავადო, ზოგს—აბა არა გრცხვენიანთ მაჭანკალს მიგზავნით, თქვენი ქალი უსულო საქონელი, ან პირუტყვი ხომ არ არის, რომ შუამავლობით მაწონებთო და ან მე განა იმდენი არ მესმის, რომ მაჭანკლით ცოლის შერთვა შეუძლებელია? გულმა უნდა გული იცნოს და ისე უნდა ამოირჩეს ის არსება, რომელსაც მეუღლე ეწოდება. ეგ ერთი გაგიბედნიათ და კვლავ ნულარ გაბედავთ, რადგანაც მაგით მეც მამცირებთ და თქვენ ქალსაცაო.

დიახ, ასე მრავალ-სიტყვაობდა ჩვენი ანდრია, მაგრამ ყველა ამას „დიდი მზითვის“ აღების სურვილი ალაპარაკებდა. ქანცგაწყვეტილი ქალების დედ-მამა, რომ ვეღარას აწყობდნენ, ჭორიკანობას მიჰყვეს ხელი. ხან ერთს ქალზე დასწამეს, რომ დანიშნაო, ხან მეორეზე, ხან კერპი დაუძახეს, ხან ჯიუტი და ამგვარად სცდილობდნენ ანდრიას დამცირებას. მაგრამ ანდრია ყურსაც არ იბერტყდა. ის მომავალს უცდიდა და სჯეროდა კიდეც, რომ ძრიელ მალე უთუოდ ფულიან ქალს შეირთავდა.

ამასობაში, ანდრიას ცოლის შერთვის განზრახვამ „ურიის ენენამდისაც“ მიაღწია. იმას დიდი ხანია უნდოდა ანდრიასთვის თავისი ცოლის დაჲ გაერიგებინა, მაგრამ დროს, შემოხვევას უცდიდა და კიდეც დაუდგა ეს დრო. ერთხელ ანდრიამ მთელი დღე უსიამოვნოთ გაატარა და გასართობად უფროსთან წავიდა: ნარდს ან ჰადრაკს ვითამაშებო. უფროსი მხიარულათ დაუხვდა და გაიმართა მასლაათი. ამ მთისა თქვეს, იმ მთისა ილაპარაკეს, ზოგი აძაგეს, ზოგი აქებს, ზოგს სამარე გაუთხარეს, ზოგი ჯილდოზე წარადგინეს და სხვა. ერთის სიტყვით, ილაპარაკეს ყველა ის, რაც სხვისთვის მიუწდომელი და გაუგებარი იყო. ბოლოს ლაპარაკი ქალებზე, ქორწინებაზე ჩამოუვარდათ. ორთავენი თავისებურად სჯიდნენ ამ საიდუმლოს. უფროსი, როგორც სამღვთო წერილის კაცი (ღვთისმეტყველების კანდიდატი გასლდათ) ეკლესიურის თვალით უყურებდა ამ საიდუმლოს და მის განსამარტავათ ცოტა გაწყდა ტექსტები კატიხისმოდან არ მოიყვანა. ანდრია კი იმას უმტკიცებდა, რომ ლამაზი ცოლი კაცის სახელია და თუ ამასთანავე ფულებიც აქვს, მაშინ ხომ რაღა... „ადამიანი ბედნიერზე უბედნიერესი იქნებაო“. ბევრს ხანს ილაპარაკეს ზედამხედველ-მასწავლებელმა და ბოლოს იქამდის მივიდნენ, რომ თვისდა უნებურად აღიარეს თავისი გულის პასუხი. აღმოჩნდა, რომ უფროსს სდომებია თავის ცოლის და ანდრიას გაურიგოს და ანდრიას-კი—მზითვიანი ქალი.

— ურიგო არ იქნება, ჩემო ანდრი,—ჩაურთო ლაპარაკში უფროსმა,—ჩემი ცოლის დაი შეირთო. ობოლი ქალია, იმის გაბედნიერებით შენც ხეირი მოგეცემა და თუ ეხლა მეგობრები ვართ, შემდეგში ნათესავები ვიქნებით.

ამ სიტყვების გაგონებაზე ანდრიას სახეზე ალმური აუვიდა. მაგრამ ვერაფერი უთხრა რა, გარდა იმისა, რომ მოეიფიქრებო.

ანდრიას „მოფიქრება“ მტკიცე უარით დასრულდა. უფროსმა ითაკილა და ამ ორს მეგობარს შორის საშინელი მტრობა ჩამოვარდა, მათი ურთიერთობა გამწვავდა, ასე რომ საჯაროთ ერთმანეთს ლანძღვა-გინება დაუწყეს. ამ გარემოებამ ცოტა არ იყოს ხელი შეუშალა ანდრიას კეთილდღეობას და სალაპარაკო საგნად გახადა. ვინ იცის რითი გათავ-

დებოდა ამ ორი მოქიშპე კაცის საქმე, რომ ზედამხედველი სხვაგან არ გადაეყვანათ. გადაიყვანეს „ურიის ცხენი“ და მასწავლებლებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. თავისუფლად ამოისუნთქა ანდრიამაც, მაგრამ დიდხანს კი ვერ დარჩა მშვიდად, უფროსის გადაყვანის ამბავმა ათას გვარი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ზოგი უფროსს ამტყუნებდა, ზოგი სხვა მასწავლებლებს და ზოგი-კი ყველა ბრალს ანდრიას ახვევდა თავზე. ამის გამო ბევრჯერ გააბოროტეს ანდრია, ბევრჯერ აუმღვრიეს სისხლი და ამ გვარმა გაბიაბრუებამ ერთხანს ბოლო მოუღო ანდრიას ტკბილს ცხოვრებას. ჩვენს ანდრიას, რომელსაც სარჩოცა ჰქონდა და კაკალიც, ცხოვრების უკუღმართმა ტრიალმა თავში შემოსაკვრელი ქვაც მისცა ხელში.

VII

სოფელ ქუჯათ-კარში ცხოვრობდა ტიტიკო მუშტაძე. ოდესღაც მდიდარი ტიტიკო დღეს გაღარიბებულიყო და თუ რამე ებადა ან ბანკს დარჩენოდა გირაოში, ან არა-და გეურქაღას დაესაკუთრებინა. მაგრამ ტიტიკო მაინც აბრუს არ იტეხდა და, როგორც ტახტის აზნაური, სუფთად, ფაქიზად სცხოვრობდა. მართალია მოვალეები ყელში ხელს უჭერდნენ: ვალი გადაგვიხადეო, მაგრამ რაც არა ჰქონდა რა, რას წაართმევდნენ!

აი ამ ტიტიკოს ჰყავდა რამდენიმე ქალი და მათ შორის უფროსს—ქეთოს გასათხოვრად ყელი უკვე მოეყელყელებინა. ტიტიკოს ცოლმა, სამაზრო ქალაქში ყოფნის დროს, შემთხვევით ანდრია გაიცნო. შინ დაბრუნების შემდეგ, შეუჩნდა თავის ქმარს, გინდა თუ არა ჩვენი ქალი ანდრია ავყიაშვილს მივათხოვოთო.

— რას ჩამაცივდი, დედაკაცო, მე სასიძო არჩეულიცა მყავს. ასეთი ვაჟკაცია, შენმა მზემ, ჩემგან არჩეული სასიძო, რომ სულ ვარსკვლავებს ეთამაშება..

— აპა რა, თუ არ დაგიშლია, სწორედ შინ გაზრდილ კაცს მივათხოვებ ჩემს ქეთოსა! ანდრია ავყიაშვილი-კი ნასწავლია, მოხელე კაცია, სად ისა და სად ვიღაც ჰოტროველა,—გაკაპასდა ტიტოს ცოლი.

— ნასწავლია!?

— დიაღ, ნასწავლია და აზნაურიშვილიც,—სიამოვნებით წამოიძახა, რა ნახა რომ ქმარი დაითანხმა.

— მაშ კარგი და აბა შეეხმაუროთ, — დაეთანხმა ტიტიკო.

მეორე დღეს ტიტიკოს მიერ გაგზავნილი მაჰანკალი ანდრიასთან გაჩნდა, მაგრამ ანდრიამ უკმეხად უარი შემოუთვალა. „მე თქვენის ქალის შერთვა ხელს არ მომცემსო“. ასეთმა პასუხმა ძალიან ააღელვა ცოლ-ქმარი. როგორ, განა ქეციანმა მღვდლის შვილმა ჩემი ქალი უნდა დაიწუნოსო, დამაცადოს მე იმან, ეს ულვაში არ მესხას თუ იმას სამაგიერო არ გადავუხადეო! — გაჰკიოდა ტიტიკო და თან ცოლს უსაყვედურებდა.

ამ მუქარის შემდეგ არ გასულა რამდენიმე თვე და სოფელ ქუჯათ-კარში ეკლესიის დღეობა მოვიდა. ანდრიაც მოხვდა ამ დღეობაში. ღვინით შეზარხოშებულმა ტიტიკომ თვალი მოჰკრა ანდრიას და შველივით გაექანა მისკენ. ანდრიაც დასახვედრად მოემზადა, მით უმეტეს გაგონილი ჰქონდა, რომ ტიტიკო ემუქრებოდა. მაგრამ წარმოიდგინეთ ანდრიას გაოცება, როდესაც ტიტიკო მტრობის მაგიერად ძმურად გადაეხვია ანდრიას და ჩააცივდა გინდა თუ არა შინ უნდა წამომყვეო, ჩემი სტუმარი უნდა იყოო. ანდრია იძულებული შეიქნა გაჰყოლოდა ტიტიკოს. ერთი საათის შემდეგ ანდრია სხვა სტუმრებთან ერთად სუფრაზე წამოსკუპებულიყო და წითელი ნუნუა ჭიქა-ჭიქაზედ გადაჰყავდა. ღვინის ულმობელმა ძალამ, მასპინძლების ალერს-პატივმა ანდრიას თავს ბრუ დაასხა და ენა ამოადგმევინა. ბევრი, ბევრი იხუმრა ანდრიამ და ამ ხუმრობაში კიდეც გამოუღამდა. ღამე მასპინძლები რაღას გაუშვებდნენ და იქვე მოასვენეს. მეორე დღეს დილით როჯორღაც მოახერხეს და თავის ქალზე-კი დანიშნეს. როგორ მოხდა ეგ ამბავი დანამდვილებით არავინ არ იცის, თუმცა-კი ათასგვარი ჭორები დადის. ერთის კვირის შემდეგ ჯვარიც გადასწერეს ჩვენს ანდრიას და „ცარიელი“ ქალი და ასი თუმნის თამასუქი გამოატანეს.

ანდრიას ცოლის შერთვის ამბავი ყველას გაუკვირდა. იმ გასათხოვარმა ქალებმა, რომელთაც ანდრიაზე უნდოდათ

გათხოვება ყურები ჩამოყარეს. რაღა დარჩენოდათ იმის მეტი, რომ ჭორები გაევრცელებინათ. მაგრამ ესეც მოსწყინდათ. შურის ძიებას ყური მოსტყდა და ცხოვრებამ ჩვეულებრივი მიმდინარეობა მიიღო.

VIII

გავიდა ერთი წელიწადი. ანდრიას ცოლშვილობა ახალი ამბავი აღარ იყო, მას ახლა მეტი პატივით ეპყრობოდნენ, როგორც დარბაისელს კაცს, მაგრამ ანდრიას ოჯახში კი ჯოჯოხეთი დატრიალდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ანდრიამ ჯვარისწერის პირველ დღიდანვე თავისი თავი შეურაცხყოფილად ჩასთვალა და ამ აზრით გამსჭვალული სწორედ მტარვალად გარდაექცა თავისს ცოლს.

— დღეს მე, ანდრია გიორგიჩი, მოტყუებული ვარ განა?— ჩაეკითხებოდა ხოლმე თავის თავს და გული ყელში ებჯინებოდა, ბრაზი მოსდიოდა და ჯვარის ამოსაყრელად ცოლს მივარდებოდა ხოლმე. საბრალო ქეთო ხმა-გაკმენდილი შესცქეროდა განრისხებულ ქმარს და ვერ მოეფიქრებინა თუ რად იყო იმაზე გულ-აცრუებული. სწორე მოგახსენოთ, მართლა ძნელი გამოსაცნობია, რა იყო მიზეზი ანდრიას გაპირქუშებისა, გაავყიავებისა. ისა რომ, მოსტყუვდა და თავისდა უნებურად შეირთო ცოლი, თუ ისა, რომ მუდმივმა ფლიდობამ, მუდმივმა თავის მოტყუებამ გადააბირეს და ხასიათი წაუხდინეს. ასეა თუ ისე ანდრია ქეთოს ნამდვილ სულთამხუთავად გარდაიქცა: ჯვარის-წერის პირველ დღიდგან ერთი ალერსიანი სიტყვა არა სმენია ქმრისაგან. ანდრია მუდამ უშტიალებდა, მუდამ უყვიროდა და თვალებს უბრიალებდა. შეიძლება ცოლი იყო დამნაშავე? მაგრამ არა! ქეთო მეტისმეტი ზნეობიანი და პატიოსანი ადამიანი გამოდგა და ამასთანავე, როგორც შინ გაზრდილი, სოფლის ჩვეულება-ხასიათით გამოკვებული—დიდი მოსიყვარულე თავის ქმრისა. მხოლოდ გული იმითი უკვდებოდა, რომ ქმარს იგი ჭირივით ეჯავრებოდა, მაშინ, როდესაც მას ქმარი უსაზღვროდ უყვარდა, სულ თვალსა და წარბში შესცქეროდა, რა ვაამო, რითი მოვიგო ჩემი ანდრიას გულიო.

— ოჰ! ზეციერო მამაო, შენ ჰკითხე და გადაახდევინე, ვინც მე ამ გაჭირვებაში ჩამაგდო,—იტყოდა ხოლმე ბეჩავი ქეთო და თვალიდგან ცრემლებს აფრქვევდა.

მშვენიერი სანახავი იყო ხოლმე ამ დროს ქეთო. კუპრივით შავი თვალები ღრუბელივით ცრემლით ეჟღინთებოდა და მისი მსხვილი წამწამები აპკურებდა მის ღაწვებზე გულიდან ამონადუღს მდუღარებას. მისი მკერდი ზღვასავით ბობოქრობდა და გულის სიღრმიდან ამოვარდნილი ოხვრა ცრემლის ნიაღვარს უერთდებოდა. ასე სტიროდა ხოლმე ქეთო, სანამ ქმრის მოსვლის დრო მოახლოვდებოდა. მაშინ-კი თვალებს მოიწმენდდა და შესცქეროდა ქუჩას აბა როდის გამოჩნდება ჩემი სულის ჩამდგმელი ანდრიაო და ნამტირალევი სწორედ ღრუბლებიდან გამოსულ მთვარესა ჰგავდა. ლამაზი და წყნარი იყო, როგორც ის ობოლი ვარსკვლავი, რომელიც ღრუბლებით აჭრელებულს ცაზე ციმციმებს ხოლმე, მაგრამ უტოლ-უამხანაგო სიბრალულს უფრო აღუძრავს ადამიანს, ვიდრე აღტაცებას.

რად უყვარდა ქეთოს ასე გაგიჟებით ის კაცი, რომელიც მას სიცოცხლეს უმწარებდა? სწორე მოგახსენოთ, მე ვერ ამიხსნია ეს კითხვა, და ერთის მხრით მეტიც არის ამ საკითხის ჩამოგდება. უყვარდა იმიტომ, რომ მოსწონდა და მოსწონდა კიდევ იმიტომ, რომ, ალბათ, რამე თავისებური, ქეთოსთვის გამოურკვეველი. მაგრამ ბუნებისაგან ამ ორი არსების შემაერთებელი სიმი მოიპოვებოდა მათ შორის, შეიძლება ქალწულობა და პატიოსნება აკავშირებდა ამ ორს ხასიათით და მიმართულებით სხვადასხვაგვარ არსებათა!

ერთს დღეს ნამტირალევი ქეთო აივანზე გამოსულიყო და ქმრის გზას შესცქეროდა. ამ დროს მომავალი ანდრიაც გამოჩნდა. მოდიოდა თავჩაღუნული, გადრუნჩული და ვერ ამჩნევდა, თუ როგორ გატაცებით უყურებს მისი დაჩაგრული ცოლი. ანდრია გაფხორილი ამოვიდა კიბეზე. ცოლმა ნაწყენობა შეატყო და ალერსიანად ჰკითხა:

— რათა ხარ გაჯავრებული?

— ეშმაკმა რომ წაგიღოს!—უკმეხად უპასუხა ანდრიამ და დაუბღვირა.

— ცეცხლი ვსთქვი და პირი არ დამწვაო, ბეჩა, რას მე-მართლები, ცუდი ხომ არა მითქვამს-რა,—ცრემლმორეული ხმით, დაბლად, შენიშნა ქეთომ და გაბრუნება დააპირა.

— სადილი მზათა გაქვს?—კიდევ დაუშტიალა ანდრიამ.

— ეხლავე იქნება, ჩემო ბატონო.

— აი, ჯანაბა და დოზანა შენს თავს. განა არ იცი, რომ დაღალული ვარ და მოსვენება მეჭირვება. ახლა შენს სადილს უნდა ვუცადო? არა, რას აკეთებდი აქამდის, აპელაციების არზებს თუ სწერდი?

ისეთის უკმეხი, ისეთის ამრეზილი კილოთი უთხრა ეს სიტყვები, რომ საბრალო ქეთოს სულ გული ჩაეთუთქა. შუბლს ქვეშიდან შეხედა ქმარსა და ერთი ისეთი ამოიოხ-რა, რომ გულ-ღვიძლი თან ამოატანა. შევიდა სახლში და მდუღარება დაანთხია, თან სუფრასა შლიდა და თან მწარედ, თავისთვის, მოსთქვამდა თავის უბედურებას. „ნეტა რა მოუ-ვიდა, რაზედ აიცრუა ჩემზე გული, რად მიჭკნობს სიყმა-წვილესა“, ჰფიქრობდა ქეთო და სუფრაზე ხელებს აფათუ-რებდა. მთელი ნახევარი საათი დასტრიალებდა სუფრას და ჯერ თეფშებიც არ დაელაგებინა. ამრეზილი ანდრია-კი აი-ვანზე ბოლთასა სცემდა და ბუზღუნებდა.

— რა ჰქენი, ვერ გაშალე ეგ ოხერი სუფრა? — შეჰღრია-ლა მოთმინებიდგან გამოსულმა ანდრიამ.

ქეთო მხოლოდ ახლა გამოირკვა ფიქრებისაგან და შეში-ნებულმა ძლივს ამოიკნავლა:

— მობრძანდი, მზად გახლავს.—ანდრია მშიერ მგელსავით სუფრისკენ გაექანა.

ორთავე, ცოლიცა და ქმარიც, ჩუმად ისხდნენ. მარტო ანდრიას პირის წკლატუნი არღვევდა სიჩუმეს. რაღაც უცნა-ური მდგომარეობა იყო ამათი მდგომარეობა. ქეთო კარგად გრძნობდა, რომ ეს დღე უცემრად არ ჩაივლიდა. დიახ, უცემ-რად. ეს ორი წელიწადი იქნება, რაც ანდრიამ ხელი შეაჩ-ვია ქეთოს და როდესაც-კი მოისურვებდა გვერდებს გამოუთ-ხელებდა ხოლმე. ცოტაოდენი რამ საკმარისი იყო, რომ ან-დრიას გული მოსვლოდა და მაშინ... ქეთოს ტანიც ალურჯ-დებოდა. მაგრამ ზნეობრივ-ფიზიკურად დატანჯული ქეთო დიდის მოთმინებით იტანდა ყველა ამას. და არამც თუ ეთ-

ქვას ვისთვისმე, არც-კი არავისთვის უგრძნობინებია, რომ იგი უბედურია. პირიქით, ბედნიერი ეგონათ, რადგანაც გარეთ, უცხოსთან ქმარი რიგიანად ექცეოდა. ჩაცმულ-დახურული გამოჰყავდა და ბრბოს მეტიც არ უნდოდა, რადგანაც ტანისამოსითა და სმა-ჭამით ზომავენ ადამიანის ბედნიერებას. საცა-კი წვეულება ან დღეობა გაჩნდებოდა, ანდრია უთუოდ იქ იყო ხოლმე და თან ცოლსაც იახლებდა. ანდრიას თავიც-კი მოჰქონდა, რომ ლამაზი ცოლი ჰყავდა და ხშირად ტრაბახობდა: „თუმცა მზითევი არ ამიღია, მაგრამ ბადრი მთვარესავით ცოლი კი ვიშოვეო“. ქეთო ხომ სულ ზედ დაჰკანკალებდა ქმარს და იმის მზეს ფიცულობდა. ანდრიაც ნაძალადევად ეალერსებოდა, უნაზდებოდა. დიაღ, ამ შემთხვევაშიაც ჩვეულებრივს სიყალბეს იჩენდა, მაგრამ ხალხს ბედნიერნი ეგონა ისინი. აბა. ახლა სახლში მობრძანებულიყვნენ!?

ცრუ-განათლებამ, ბრბოს პატივისცემამ ისე გააამაყა ანდრია, რომ თავის თავი უნიჭიერესი, უცოდველი ეგონა და თავს შეურაცხყოფილად სთვლიდა ქეთოს ცოლობით. „როგორ, განა მე უსწავლელი ცოლი უნდა მყავდესო“, ჩაინერგა ერთხელვე გულში და ამ ფიქრმა ისე გააზვიადა მისი გადაბირებული ჭკუა-გონება, რომ ქეთევანში არავითარს ღირსებას არა ჰპოვებდა. იგი მარტო მოსამსახურეთ, ჟინის დასაკმაყოფილებელ არსებად მიაჩნდა. ღვთის წინაშე, ანდრიას არც ისა ჰქონდა შეგნებული, თუ არ ვიცი არ უნდოდა შეესმინა, რომ ცოლს ისეთივე უფლება უნდა ჰქონდეს, როგორც ქმარს, რომ ცოლი უქმროდ ნახევარი არსებაა, და ქმარი—უცოლოდ. მხოლოდ ქალი და კაცი გრძნობა-გონებით და ზნეობა-მოვალეობით შეერთებულნი შეადგენენ ერთს სრულს არსებას, რომელსაც ოჯახის დედა-ბოძი ჰქვიან და რომელზედაც დამყარებულია ხალხის ზნეობრივ-გონებრივი განვითარება, გაფაქიზება და ამაღლება. მაგრამ ანდრიასთანა კაცებს ეს შეიძლება სულ სხვანაირად ესმოდეთ და აკი იმიტომაც ანდრიას სულ სხვა შეხედულება, ფიქრი და მიმართულება ჰქონდა. როგორც მოგეხსენებათ, ანდრია მზითვის აღებას ხცდილობდა და დღეს რომ უმზითვო ქალი შეხვდა, თავს დამცირებულად სთვლიდა. „სოფლის დურგალ-მჭედლები იღებენ ორმოც-სამოც თუმანს და მე ორას-სამასი თუმანი მაინც

არ უნდა ამეღოვო?“ ხშირად უსაყვედურებდა ხოლმე ცოლს და მუჯლუგუნებს სთავაზობდა. საყვედური ხმა-მაღლა ლაპარაკად გადაიქცეოდა ხოლმე. ხმა-მაღლა ლაპარაკს ლანძღვა-გინება და უშვერი სიტყვები მოჰყვებოდა და... შემდეგ ცემაც, მაგრამ ყველა ამას ანდრია ფარულად, ოთხ-კედელს შუა სჩადიოდა და ამას კედლები ხომ არ გასთქვამდნენ, ცოლი-კი არავის არაფერს ეუბნებოდა. უთმენდა: „იქნება ღმერთი გაუწყრეს და ჭკუა მოიკრიფოსო“.

— ეს როგორი წვენია, ჰა!—შეღრიალა ანდრიამ, როდესაც ქეთომ საინით წვენი მიართვა.—ჩემს მეტი ყველაფერი შიგ არის.

— რა ვქნა, როგორი უნდა იყოს? რად იცი, კაცო, ეგრეთი ღრენა. სულ ეგრე უნდა შტიალებდე. ერთხელ მაინც მაჭამე გემრიელი პური,—აღელვებული ხმით მიახალა ქეთომ, ჩამჩა სუფრაზე გადაისროლა და გაჯავრებულმა სკამი განზე გაიდგა.

ცოლის ასეთმა საქციელმა ანდრია მოთმინებიდან გამოიყვანა. წამოწითლებული ზეზე წამოფრინდა, მივარდა ცოლსა და ღრიალი დაუწყო.

— რაო, იღრინებიო, განა მე შენი ძაღლი ვარ. არა როგორ მიბედავ მაგასა, შე წუწკის შვილო!—ღრიალებდა ანდრია და თან მუკსა ჰკუმავდა. ცოტა კიდევ და მივარდებოდა საბრალო ქეთოს.

ქეთო ქვასავით დაკვროდა თავის სკამს და თავის მაღლა აღება ვერ მოეხერხებინა. გული თოფ-ნასროლ მტრედივით უფართხალებდა. თვალებს-კი ხან აშტერებდა, ხან ახამხამებდა ისე, როგორც ათამაშებს ხოლმე თვალებს ის კაცი, რომელსაც თავში უნდა ჩაარტყან.

— არა, მითხარი, მე ძაღლი ვარ, ჰა! შე ასეთ ისეთო!—გაიმეორა ანდრიამ და მოჰყვა უწმაწურად ლანძღვა-გინებას. დედა, მამა, ვინც-კი ვინა ჰყავდა საფლავიდან ამოუყარა.

— ვინა სთქვა, რომ ძაღლი ხარო,—შეშინებული ხმით წამოილუღლუღა ქეთომ.—კარგი, გენაცვა, ნუ ჯავრობ, ნუ მაგინებ ახლად დამარხულს მამას, ჯერ ხომ საფლავიც არ გაშრობია. სირცხვილია, კაცო, სირცხვილი, განა ეგრე უნდა

მოიქცე! თან კი მაყვედრი ნასწავლი ვარო. განა მაგას გასწავლიდნენ იმ ოხერა სკოლაში?

ანდრიამ ახლა-კი ვეღარ მოითმინა, გააფთრებული მივარდა ცოლსა და მუშტები წაუშინა. ცოლი ეხვეწებოდა, ემუდარებოდა, პატიებას სთხოვდა და ფეხებ ქვეშ უვარდებოდა, მაგრამ გამხეცებულ ანდრიას არა ესმოდარა. გაჩქარებით ურტყამდა მუშტს და თან ისეთის უწმაწურის სიტყვებით ილანძღებოდა, რომ მკვდარიც-კი სამარეში შეინძრეოდა. ამ ჭიდილსა და ბღლარძუნში, სუფრაზე რაც რამ იყო ანდრიამ სულ ძირს გადმოყარა. ამან ხომ სულ-მთლად გააგიჟა ანდრია. იმდენი სცემა ქეთოს, სანამ გული არ მოიჯერა და მერე მეორე ოთახში გავარდა. ასე გათავდა ცოლ-ქმართა სადილი.

საბრალო ქეთომ წელი ძლივს აითრია. როგორც იყო ტახტამდის მივიდა და მოჭრილ ხესავით ზედ მიეგდო. სტიროდა დაბრიყვებული ქალი და ცრემლით მოსთქვამდა თავის უბედურებას და მერე ისეთი სიტყვებით მოსთქვამდა, რომ იმის ცოდვით ქვებიც კი ადუღდებოდნენ. ანდრია იქამდის გამხეცებულიყო, რომ სიბრალულის ნაცვლად, კიდევ ემუქრებოდა ქეთოს და უბრძანებდა, ხმა ჩაეკმიდა. ცოლი-კი ტირილით ეუბნებოდა: „ამაზე მეტი მოთმენა აღარ შემიძლია, უნდა ვამცნო ქვეყანას, რა უბედურებაშიაცა ვარ. რკინის ქალამნებს ჩავიცვამ, რკინის ჯოხს დავიჭერ ხელში, შემოუვლი მთელს ქვეყანას, და ყველას გავაგებინებ შენს უბედურს ხასიათს. არა, რატომ არა გრცხვენია, შე უკეთურო, ჩამიგდე ხელში სუსტი არსება და მბატონობ რაღა, თან კი მაყვედრი ნასწავლი ვარო. აი, მენატროს შენისთანა ნასწავლი!“

— ნასწავლია!? დამიხედეთ ამისთანა ნასწავლს!—დროგამოშვებით წამოიძახებდა ხოლმე ქეთო და კვლავ იმუქრებოდა. მაგრამ ეს სიტყვები სიტყვებადვე დარჩნენ. გულმოკლულმა ქეთომ ვეღარ გაბედა სხვისთვის ეთქვა რამე. ოჯახის სახელის წახდენას თავისი ცემა-ტყეპა არჩია. მის საყვარელ ქმრის თავის მოჭრას, თავისი დამცირება ანაცვალა. მით უმეტეს, რომ ანდრიამ იმ საღამოთვე, როდესაც გული დაიმშვიდა და თავის საქციელი მიილოკ-მოილოკა, ბოდიშის მსგავსი რაღაც უთხრა ქეთოს:—ხომ იცი ჩემი ხასიათი, როცა

მე გაჯავრებული ვარ, შენ ხმა გაკმენდილი უნდა იყო, სიტყვა არ უნდა შემომიბრუნო და აბა ნახე თუ მე შენზედ ხელი გამოვიღოვო. ნეტა რამ გამოიწვია ამ სიტყვების თქმა: იმან რომ დარიგება მიეცა ცოლისათვის, თუ იმან რომ კაცობრიული გრძნობა ჯერ სულ მთლად არ დახშოდა და ადამიანს ადამიანი შეეცოდა. მგონი უფრო პირველმა გამოიწვია, რადგანაც ხშირად პირდებოდა ცოლს, აღარ გცემო, მაგრამ ანდრია თავისას არ იშლიდა.

ღვთისმშობლობა დღეს მასწავლებელ დავით ღვინაძეს დიდი წვეულება ჰქონდა. ძველებური, ღვინაძის მამაპაპური დარბაზი ხალხით გატენილიყო. ორპირად შემოსხდომოდნენ სუფრას და საღილს შეექცეოდნენ. ამ დღეს დავითს ყველა წოდების კაცი ჰყავდა დაპატიჟებული. უმრავლესობა კი, რასაკვირველია, ნასწავლები და კეთილშობილნი იყვნენ. ამას ჯერ ერთი რომ დავითის წოდებაც მოითხოვდა, და მეორეც, დავითი დიდიხანია პირდებოდა თავის ამხანაგებს ღვთისმშობლობა დღეს დაგპატიჟებთო და მართლაც ყველა ამხანაგ-მასწავლებელნი, ცოლიანი და უცოლო, შეეკრიბა. მათ რიცხვში ერია ანდრიაც თავისი ცოლით.

თუმცა სუფრა ევროპულად იყო გაწყობილი, სტუმრებს გადაწყვეტილი ჰქონდათ მამა-პაპური, ნამდვილი ქართველური სმა-ჭამა და ნადიმი გაემართათ. ამიტომ სუფრის თავში უფრო „პატივცემული", ტოლუბაშობაში განთქმული ადამიანი დაესვათ. ამას ჩამოდაღმა კი წოდებისა და ღირსების თუ თავაზიანობისა და ზრდილობისდა კვალად ჩამორიგებულიყვნენ. მოსადილენი მეტის-მეტად ოხუნჯობდნენ და თანსცდილობდნენ მუცელი მალე ამოეყორათ. ჯერ სმა არ გაჩაღებულიყო და ყველა თავდაჭერილად იქცეოდა, თუმცა-კი ზოგი ხმა-მაღლა ლაპარაკობდა, ზოგი ოხუნჯობდა, ზოგი იცინოდა. აქა-იქ, ნასწავლებს შორის საკამათო საგნებზედაც ჩამოვარდნილიყო სჯა-ბაასი.

ქართველ კაცს ხომ სუფრაზე გაახსენდება ყველაფერი. ეს სამშობლო, ეს სწავლა-განათლება, ეს ყმაწვილ-კაცობა, ეს ბანკობანა, ეს ზნეობა-გონებით დაქვეითება და სხვა ამგვარები, ერთის სიტყვით,—მთელი საქართველო თავისი ავლა დიდებით. აგერ რამდენიმე მასწავლებელი და მათ რიცხვ-

ში ანდრიაც, შეკამათებულან, რაღაც თავს სატეხი საგანი აურჩევიათ და ვინ იცის როგორ გამწვავდებოდა მათი ლაპარაკი, თუ რომ თამადას ოხუნჯობა არ დაეწყო და საერთო სიცილი არ გამოეწვია.

— დავით სპირიდონიჩ! მამა გიცხონდა, ერთი ე პილატეს ცრემლი გადმომაწოდე. შენ მაინც არა სვამ, შვილოსან,და მე რაღათ მაკლებ.

— ბიჭოს, ე პილატეს ცრემლი რაღაა!—გაიკვირვა დავითმა და გადიხარხარა.

— რა არის და, ოტკაა,—ჩაერია ლაპარაკში დავითის მოყვარე, შინ გაზრდილი, ძველებური აზნაურიშვილი.

— დასწყეველოს ღმერთმა შენი ეშმაკი, რა ოხუნჯი რამა ხარ. ეგ რაღამ მოგაგონა, შე ოჯახქორო, მართლა და რომ პილატეს ცრემლია!—გაკვირვებით წამოიძახა მასწავლებელმა დავითმა და მოჰყვა კუჭკუჭს, მას ბანი მისცა მეორემ და ყველამ სიცილი დაიწყეს. სიტყვა აბურთავეს, იმოლექსავეს და სადილი გახურდა. თამადამ ჯერ ორ-ორი ჭიქა დაატრიალა, მერე სამ-სამი, ამას ზედ მოაყოლა ფიალა, შემდეგ ჯიხვები და ისეთი სმა გაიმართა, რომ თქვენი მოწონებული. ასტყდა ხმაურობა, ჭიჭყინი, ჭირვეულობა. ვინ ვის ელაპარაკება, ვინ ვის ღვინოს აძალებს, ვინა სვამს, ვინ ღვინოს ღვრის, აღარავის არაფერი გაეგებათ. ამ სმაში და ქეიფში ჩვენი ანდრიაც ლაზათიანად შეზარხოშდა. წითელმა ღვინომ ტვინი შეუბურა და მეტის მეტად თამამად იქცეოდა ქალების გუნდში.

ანდრიას ცოლი-კი განზე გამჯდარიყო და თავის ქმარს თვალ-წარბში შესცქეროდა, რადგან იცოდა, რომ სიმთვრალეშიაც გლახა ხასიათი ჰქონდა და შიშობდა ცუდი არა ჩაიდინოს-რაო. მაგრამ ცუდი-კი არა, ამ სადილზე ანდრიამ თავი გამოიჩინა და ერთხელ კიდევ მოალანდა საზოგადოებას, რომ იგი განვითარებული, განათლებული კაცია. ანდრიას „რეჩმა“ ყველა გააკვირვა. მართლა ის-კი დამავიწყდა შეთქვა, რომ ტოლუმბაშმა „რეჩობანა“ შემოიღო და პირველადაც თითონ წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც ქება-დიდება შეასხა დიასახლისს, მადლობით მოიხსენია გულუხვი მასპინძელი და თავისი სიტყვა იმითი დაასრულა, რომ „ღმერთსა ვსთხოვ მრავალი ლხინი და ქეიფი გაგვეტარებინოს ამ სახლ-

შიო·“ ამ სიტყვას ხანგრძლივი ტაშის-ცემა მოჰყვა. ტოლუმ-ბაშის შემდეგ ახლა სხვამ სთქვა სიტყვა და ამანაც „ჭამით“ დაათავა. ჯერი მასწავლებლებზე — ნასწავლებზე მიდგა. ტო-ლუბაშმა „სმენა და გაგონება იყოსო“, გამოაცხადა, სკამის საზურგეზე გადაეყუდა და გულ-ხელ დაკრეფილი სასმენლად მოემზადა. მასწავლებლებმაც დაიწყეს სიტყვების წარმოთქმა და როგორც ნასწავლებმა, უფრო ფართოდ გაშალეს სიტყვი-ერების ბოხჩა და ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები ამოალაგეს. ერთი გაათავებდა, მეორე აიღებდა ხოლმე ჭიქას ხელში და ან ნალაპარაკევის წინააღმდეგ იტყოდა რამეს, ან ისევ იმას განაგრძობდა. ამასობაში თითქმის მთელი ქვეყანა გადმოაბ-რუნეს, ალთა ბალთას შეურთეს, რუს-ფრანგ-ინგლისელები ერთმანეთს შეაჯახეს, და ნამდვილი მჭერმეტყველებით იბურ-თავეს, ასე რომ ანდრიას სათქმელი თითქმის აღარა დარჩა-რა და ამიტომაც სდუმდა. მაგრამ როდესაც ჯერი იმაზე მიდ-გა და „რეჩის, რეჩის, რ—ე—ჩ—ის“ ძახილით ყურები გამო-უჭედეს, მეტი ღონე არ იყო, უნდა უთუოდ ეთქვა რამე. ანდრია დინჯად წამოდგა, ჭიქა მაღლა აღმართა და სიტყვა დაიწყო.

იგი ლაპარაკობდა წყნარად და თუმცა-კი ენას ურევდა, მაგრამ ეს ნუნუას ბრალი იყო. და აბა რა დასაძრახისია, რომ ქართულ სუფრაზე კაცი დაითვრეს, ათი და ოცი კა-ცის სამყოფი ერთმა შთანთქას და დააქციოს. ბევრი ილაპა-რაკა ანდრიამ და ის აზრი გამოხატა, რომ „წეღან მე და და-ვით სპირიდონიჩს ქალების შესახებ გვქონდა ლაპარაკიო და მეც ქალებზე უნდა ვილაპარაკო, მით უმეტეს, რომ ეს სად-ღეგრძელო ქალისაა, ჩვენის კეკლუცი და გულუხვი მასპინ-ძლისა და სხვა“. ბევრი იმჭერმეტყველა ქალების შესახებ, ბევრი საგულისხმიერო აზრები წარმოსთქვა და საგულისხმი-ეროდაც დაათავა თავისი სიტყვა.

„იმას მოგახსენებდით, ჩემო ბატონებო: თუ ღმერთს სდო-მოდა, რომ ქალის ჭკუა-გონება ზნეობით კაცზე დაბალი ყო-ფილიყო, მაშინ ღმერთი ქალს ადამის წვივიდან ვამოიღებ-და, ან თუ სდომოდა რომ კაცზე მაღლა ყოფილიყო, მაშინ თავიდან გამოსჭრიდა, მაგრამ რადგანაც ღმერთმა კეთილ ინება და ქალი კაცის გვერდიდან, შუა ადგილიდან გამო-სჭრა, ეს იმას ნიშნავს, რომ ქალი კაცზე არც მაღალია და

არც დაბალი, მაშასადამე, ქალნი და კაცნი ერთი უნდა იყვნენ, ერთი უფლება უნდა ჰქონდეთ.* მაშ, ბატონებო, გაუმარჯოს ჩვენს ქალებს მე ვსვამ მათ სადღეგრძელოს". ამ სიტყვების გათავება და ალიაქოთის ატყდომა ერთი იყო. ქალი თუ კაცი, ყველა აღტაცებით უკრავდა ტაშს და „ვაშა, ვაშას" ძახილით ყურები წაიღეს.

ამ საერთო აღტაცებაში მარტო ქეთო არ იღებდა მონაწილეობას. ის კარგად გრძნობდა, რომ იმისი ქმარი ფლიდობით ლაპარაკობდა. ხალხის აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. ზოგიერთმა მანდილოსანმა ქეთოსაც კი მიულოცა. „ნეტავი შენ, ქალო, მაგისთანა ქმარი გყოლია". ქეთო თავმდაბლად უკრავდა თავს და თან ფიქრობდა: „ნეტა ჩემს გულში ჩამოგახედათ და გაგაგებინათ რა უმსგავსად მექცევა ეს მქადაგებელი კაციო". ანდრია თითონაც აღტაცებაში მოვიდა. უფრო გამხიარულდა. ამ დროს დაღონებულად მჯდომარე ცოლს თვალი მოჰკრა და თავისთან მოიხმო.

— რას დაღონებულხარ, რა ღმერთი გიწყრება, რატო შენ-კი არა მხიარულობ?—ჩასჩურჩულა ანდრიამ.

ქეთო მეტის-მეტად იყო აღელვებული, ველარ მოითმინა და თითონაც უჩურჩულა:

— მე დაღონებული არა ვარ, მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რატომ საქმით ამასვე არ ასრულებ, რასაც სიტყვითა ჰქადაგებ.

ანდრია წამოწითლდა და უთხრა:

— მაგის პასუხს მერე მოგახსენებ, ქალბატონო, ეხლა-კი, როცა სხვები მხიარულობენ, შენც უნდა გამხიარულდე,— კვლავ დაარიგა ანდრიამ და ამასთანავე ისეთი თვალით შეხედა, რომ კაცს შეზარავდა. ვინ იცის იქნება ერთი სიტყვაც რომ ეთქვა ქეთოს, აქვე გალახულიყო, მაგრამ ამ დროს დაირა შემოიტანეს და ლეკური გამართეს.

* *

გარიჟრაჟი იქნებოდა, როდესაც ცოლ-ქმარი სახლში დაბრუნდნენ. დაღალულ-დაქანცული ქეთო დაწოლას ეშურებოდა, მაგრამ ანდრია ჭირვეულობდა და ოთახში ბოლთასა სცემდა. ბევრს ეხვეწა ცოლი დაიძინე, ხვალ სამსახურში უნდა.

---

* ეს სოფიზმი მგონი ნეტარ ავგუსტინს უნდა ეკუთვნოდეს.—ი. ე.

წახვიდეო, მაგრამ ანდრო კვლავ ჭინჭყლიანობდა. ეტყობოდა გულზე რაღაცა კბენდა. ერთხან კიდევ იჭირვეულა, მერე-კი ცოლს შარები მოუკრიბა და საცემრად წაეტანა, ამოიდო ქვეშ და დაუწყო უმოწყალოდ ცემა. კარგა ხანს ეეჟა უბედური არსება, ბოლოს როგორც იყო ქეთომ თავი გაინთავისუფლა და წივილ-კივილით გარე გამოვარდა. განთიადი იყო და ხალხი უკვე გამოფხიზლებულიყო ძილიდან. ხმაურობაზე მეზობლებმა აქეთ-იქიდან ხმა მოსცეს. „რა იყო, რა მოგივიდათო.“ ახლა-კი ვეღარ მოითმინა ქეთომ, წახსნა პირს და რაც რამ გადახდენოდა ყველაფერი გაუზიარა ცნობის მოყვარეობით შეკრებილ ხალხს. ხალხი თვალ-გაჭყეტილი შესცქეროდა თმა-გაწეწილს, მიწაზე მჯდომარე ქეთოს და ვერ შეენიშნა, რომ ცხვირპირიდან სისხლი სდიოდა. ისევ მანდილოსნებმა მოუარეს.

მეორე დღეს მთელმა ქალაქმა გაიგო ანდრიას ამბავი, მაგრამ ნამდვილი მიზეზი-კი მაინც ვერ შეიტყეს—ზოგი ანდრიას ამტყუნებდა, ზოგი ქეთოს, ასეა თუ ისე, ყველა კმაყოფილი იყო, რომ სალაპარაკო საგანი კარგი გაუჩნდათ. ათასგვარი ჭორები გაავრცელეს. ანდრიას ხომ სამუდამოდ გაუტყდა სახელი და თუ აქამდის კაცადა სთვლიდნენ, დღეს ადამიანად არავინ აგდებდა. მაგრამ... გავიდა რამდენიმე ხანი და ანდრიას ამბავი დაძველდა. ჭორები შემცირდა. ბრბოს ახეულობას კლიტე დაედო და ანდრიაც კვლავ მიიღეს საზოგადოებაში. ცოლთანაც ვითომდა შეარიგეს კიდეც. თითონ ანდრიამაც მოიბოდიშა და ცოლს შეჰფიცა, კარგად მოგექცევიო. მაგრამ ქეთოსთვის ყველაფერი დაკარგული იყო. ცემით მოუვიდა, თუ ჯავრით, ეს დანამდვილებით არ ვიცი, ქეთო ლოგინად ჩავარდა.

IX

ქრისტიშობისთვის სუსხიანი ღამე იყო. ბუნებას სული შეხუთვოდა და მკაცრი ქარი ამაყურად დასისინებდა. თეთრით შემოსილ ქვეყანას სიცივისაგან ბუსუსები აეშვა და გაყინულ-გათოშილი, მომაკვდავივით გმინავდა. ყინვისაგან დახუთული ხალხი სახლებში შეყუჟულიყო და მკაცრი სტიქიონის ზეგავ-

ლენით გარინდებულიყო. კაცთა ხმაურობაც არსაიდან ისმოდა. დრო-გამოშვებით პატრონისაგან მოძულებული ძაღლი თუ დაიყმუვლებდა ხოლმე და ეს ხმაც გამგონეს მომაკვდავის კვნესასავით აერეოლებდა.

ანდრიას ფართო ეზოშიაც, უკანა ფეხებზე წამოსკუპებულიყო მოზვერის ოდენა ნაგაზი (ქოფაკი). ცხვირი მაღლა აეღო და საზარლად ყმუოდა.

— შენი თავი ამოიჭამე, შე უპატრონო, შენა,—ხრინწიანი, დაბალი ხმით წარმოსთქვა ლოგინად ჩავარდნილმა ქეთომ და რადგანაც თეძო დაბუჟებოდა, მეორე გვერდზე გადაბრუნება მოუნდა.

— ვაი, ვაი, ვაი!—წამოიკვნესა ავადმყოფმა და როგორც იყო გადაბრუნდა.

— ღმერთო, რა დაგიშავე, შე დალოცვილო, რათა მტანჯავ! თითქოს არაფერი ცოდვა არ მიმიძღვის და რას მახდევინებ. ღმერთო, ჩემო სალოცავებო, მილხინეთ მე უბედურსა,—ცრემლმორეული თვალებით წარმოსთქვა ქეთომ და ჭერში აიხედა. საღამური პატარა ლამპის შუქი თეთრად გალესილ ჭერს ზედ დასციმციმებდა და რაღაც საიდუმლო ელფერს აძლევდა. ქეთოს დასუსტებული თვალები აუკრიალდა და მომაკვდავივით ბილულა.

— უნდა მოვკვდე! ოხ, ჩემო ტანჯულო დღეო, მერე რა სიამოვნება მინახავს ამ ქვეყნად?—დაეკითხა თავის თავს და თავისი ცხოვრება გაითვალისწინა.—ერთი სურათი მეორეთი იცვლებოდა, ერთს აზრს მეორე მოსდევდა. წარმოუდგა თავის თავი ახალგაზრდად, მოაგონდა სიყმაწვილე, მოაგონდა დედ-მამა... და მერე ანდრიაც. მისმა მოგონებამ ჟრუანტელივით დაუარა.

— ანდრო, ანდრო, ჩემო საყვარელო ანდრო; სადა ხარ, რატომ ჩემს გვერდით არა ზიხარ?—ანდრია ამ დროს მეორე ტახტზე წამოწოლილიყო და მაგრად ეძინა. ისიც დაიღალა ავადმყოფის ცქერით, მობეზრდა მისი მოვლა. ორი-სამი თვეა თვალი არ მოუხუჭნია. გრძნობდა რომ ქეთო მისი მსხვერპლი იყო და უნდოდა თავისი ბრალი გამოეყიდნა. ახლა კი კარგად უელიდა, მაგრამ გვიანლა იყო.

— ანდრო, ანდრო, ვკვდები!.. მოდი ერთხელ კიდევ და-

მენახე,—ხანგრძლივის სიჩუმის შემდეგ კვლავ წარმოსთქვა ქეთომ.

— განა უნდა მოვკვდე, ოხ, როგორ არ მინდა ეს ოხერი სიკვდილი! ღმერთო, ღვთის-მშობელო დედაო, შენ მომხედე, ჯერ ნუ მომკლავ, ჯერ ხომ ახალგაზრდა ვარ, ჯერ ისევ სიცოცხლე მწყურიან! ღმერთო, წმინდაო გიორგი ოქროს კარიანო, სამებაო ერთარსებაო, დამიხსენ მე უბედური, დაჩაგრული არსება სიკვდილისაგან,—ასე ლოცულობდა ქეთო და თან თვალთაგან მდუღარება გადმოსდიოდა.

მაგრამ... ქეთოს არსება თანდათან ქრებოდა, მუდმივმა სულის ქენჯნამ, მუდმივმა დაშცირებამ, მუდმივმა ტანჯვამ მისი სხეული დააძაბუნა. გამოუთქმელმა სიყვარულმა კი მისი გულ-ღვიძლი გამოლრღნა და სამუდამოდ ბოლო მოუღო.

თენდებოდა, ქვეყანა ღამეს ისტუმრებდა. ბუნება-კი თითქოს დღის სინათლეს უღიმისო, თანდათან სპეტაკდებოდა. ანდრიას ეზოში მდგარმა ხეებმა ტოტები შეიბერტყეს და ინ ღამის დანათოელი მხრებიდან მოიშორეს. ანდრიასაც გამოეღვიძა, თვალები მოიფშვნიტა და ცოლის საწოლთან მიიჭრა. ქეთოს ისევ ეღვიძა, მაგრამ სიცოცხლის ნიშან-წყალი კი აღარ ეტყობოდა, ამ სოფლიდან პირი ებრუნებინა.

— ქეთო, როგორა ხარ, ქალო?—ჩასძახა შეშინებულმა ანდრიამ.

— ოჰ! ანდრო, შენა ხარ? ძალიან ცუდათ. ვკვდები, ანდრო, და ვკვდები ისე, რომ შენი სიყვარულით ვერ გავძეხ. ამის მიზეზი-კი შენა ხარ, მე შენ მიყვარდი და შენ-კი ყურადღებას არ მაქცევდი; მე შენთვის ვდნებოდი და შენ-კი სული შეუბერე ჩემს სიყმაწვილეს და სანთელივით ჩააქრე იგი. ღმერთმა ისე გიშველოს, როგორც მე მემართლებოდე. მე-კი შენი სახე სამარეშიაც თან ჩამყვება. მშვიდობით!

— მაპატიე, მაპატიე, შენი ღვთის გულისთვის!—დაიღრიალა ანდრიამ და ცოლის მკერდზე დაიხარა. როდესაც გონს მოვიდა ქეთო აღარ იყო...

ბევრი ივაგლახა ანდრიამ, ბევრი თავში ქვა იცა, მაგრამ რაღას უშველიდა, სიკვდილზედაც ხომ ვერ იბატონებდა! დაღონდა, დანაღვლიანდა და სევდის გასაქარვებლად სამუდამოდ მოშორდა იმ ადგილს, სადაც ისეთი სიხარულით მიე-

შურებოდა ახლად გამწესების დროს. მხოლოდ გულის ქენჯნამ იქაც არ დაანება თავი. მეტად დიდი მარცხი მოუვიდა ცხოერების სარბიელზე და ძალა კი არ შესწევდა ამ ვარამისათვის დაეძლია. ამბობენ ტვინიც შეერყაო. არ ვიცი რამდენად მართალია ეს მითქმა-მოთქმა, მხოლოდ ეს-კი ვიცი, რომ რაღაც ავადმყოფობა დასჩემდა: როდესაც გაკვეთილს უხსნის ხოლმე თავის მოწაფეებს, უცბად გაშტერდება და იღრიჭება. მოწაფეები ხშირად იკითხავენ ხოლმე, ნეტა რა ემართება ანდრეი გიორგიჩსაო!

— დიდი ნასწავლია და ეგ იმისი ბრალია,—უპასუხებენ ერთმანეთს.

— ნასწავლია, ნასწავლი!—იმეორებენ გულუბრყვილო ბავშვები და ამით უნდათ ანდრიას გამოთაყვანებას ბოდიში მოხადონ.

მხოლოდ ანდრიას ნაცნობებმა იციან მისი ავადმყოფობის ნამდვილი მიზეზი, მაგრამ, რადგანაც ებრალებათ თავისივე წინდაუხედაობით დატანჯული ადამიანი, ისინიც გულუბრყვილოდვე გაიძახიან: დიდის სწავლისაგან დაემართა მაგ უბედურს ეგ ავადმყოფობაო.

ნუთუ?

1894 წ. ქ. გორი.

სურათი

სოფლის ცხოვრებიდან

I

ჯერ ისევ დილა იყო. მაისისა, ისეთივე ტურფა და ლამაზი, როგორც ტურფაა ხოლმე თვით მაისი. ს. გარდაშენის გლეხებს ის-ის იყო გამოეღვიძათ და სამუშაოთ მინდვრად მიეშურებოდნენ; აქა-იქ მოსჩანდა გაფანტული ღორ-ხბო და სოფლის აკარწახებული დედაკაცები, რომლებიც ყვირილითა და კიჟინით საქონელს ერეკებოდნენ. მაღლა ხეზე ფრინველები ჭიკჭიკობდნენ და დილის სუფთა ჰაერში წკრიალით იფანტებოდა მათი ხმა. ძირს-კი საშინელი ჭყვიტინი, ლაპარაკი, გადაძახილი და ხმაურობა მოისმოდა. ყველა ეს, ერთად შეერთებული ხმა, გაჰქონდა მინდვრად დილის ნიავს და გლეხის ნაჭირნახულევ ყანებს უზიარებდა, რის გამოც ჯეჯილები ზღვასავით ღელავდა.

ლხინობდა მთელი სოფელი და ცხრათვალა მზე თვალუწვდენელ და ფრიალო მთას გადმოკიდებოდა.

სოფ. გარდაშენის გზატკეცილზე გამოჩნდა რამდენიმე მგზავრი.

ერთი მათგანი ყველაზე წინ მობაჯბაჯებდა და საშინელის ხვნეშით მოგოროვდა სწორად გაკრულ შარაზე. ეს გახლდათ დაბა ( )—ის მოვაჭრე და ს. გარდაშენის კარგი ნაცნობი ბაღდასარ ტერ-ბაღდასარიანცი.

ბაღდასარ ტერ-ბაღდასარიანცზე, როგორც ეტყობოდა, არავითარი გავლენა არ ჰქონდა სულის ჩამდგმელ მაისის დილას. მას სახე მოღუშოდა, თვალები ასწითლებოდა და მოპარსული პირის სახე საშინლად დაპრანჭოდა. მოდიოდა თავ-ჩაღუნული, დაფიქრებული. მხოლოდ დრო გამოშვებით გადაავლებდა ხოლმე თვალს გზის ნაპირებზე გადაქიმულ ჯეჯილებს და მაშინ კი მის თვალებში სიხარულის ნაპერწკალი ღვივდებოდა.

— ტერ ასტვაწ! რა ჯეჯილია, შენი ჭირიმე და!—წაიდუდუნა ბაღდასარმა და ნაბიჯს მოუმატა. ბაღდასარას ჩაკეცილ ჩუსტებს ტკაცა-ტკუცი გაუდიოდა და ბაღდასარაც ფეხს აყოლებდა. მას უკან მოსდევდა ხმელ-ხმელი და ტანდაბალი სოფლის მოხელე-ნაცვალი, რომელიც მალ-მალ დახედავდა ხოლმე გულზე ჩამოკიდებულ მედალს, მერე ამაყურად შეხედავდა თვის თანამგზავრს, იორდანე გლეხს და ბრძანების კილოთი ეუბნებოდა: „გამოადგი ფეხი, შე -ოჯახ-ქორო, ვერა ხედავ სადილობის დრო მოვიდაო". იორდანეც უსიტყვოდ ემორჩილებოდა „ჰტარშინის პოპოშნიკის" ბრძანებას და გაუბედავად წინ მიიწევდა.

ბეჩავი სანახავი იყო ამ დროს საწყალი იორდანე! მის თვალებში ნათლად იხატებოდა ის დაჩაგრულობა და დამცირება, რომელიც წილათ რგებია ცხოვრების უკუღმართობით დაძაბუნებულ სოფლის შვილს. ნათლათ ეტყობოდა ის ძალმომრეობა, რომლის მეოხებითაც ყველა ზურგზე აბობღებია ჩვენს გლეხს და თავის ერთგულ სახედარად გაუხდია. იორდანე გლეხს ცალი ხელი უბეში ჩაედო, მეორე იღლიაში იფნის სახრე ამოეჩლიავებინა და ეს მისი ერთადერთი თანამგრძნობი გულზე მაგრა მიეკრა.

დიდხანს მიდიოდნენ ჩუმად ჩვენი მგზავრები. ბოლოს ბაღდასარა შეჩერდა, გაიხსნა ახალუხის ღილები, გაქონილი „შლაპკა" მოიხადა და ერთი ღონივრად ამოიფშვინა. გამობერილმა მუცელმა ზანზარი დაიწყო და ჩასუქებული კისერი კოტიშ-მოკიდებულივით დაუწითლდა. ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა დაპრანჭულ სახეზე და ჩასუქებულ თვალის ქუთუთოები აბურცებოდა. ქშინავდა ბაღდასარა და გაქონილი „კარტუზით" სახეს იგრილებდა. მგზავრებიც წამოეწივნენ.

— ვა, ვარაუდი არა გაქვს, რა ძიელა ცხელა?—გაიკვირა სომეხმა და ნაცვალს შეხედა.

— მაისის გასულია, შენი ჭირიმე და, მა რა იქნება. არ გვეყო ამთენი წვიმები?—დაბალის ხმით უპასუხა ნაცვალმა და გაიღრიჭა. გაიცინა სომეხმაც, მხოლოდ იორდანემ კი ამოიოხრა.

— ღმერთო შენითა, ალექსი, წრეულს კარგი მოსავალი გვექნება, არა?—სთქვა კიდევ სომეხმა.

— ჰაი, ჰაი, რომ კარგი მოსავალი გვიქნება,—ისევ იმ კილოთი უპასუხა ნაცვალმა. იორდანემ კი ჩაახველა, ხმა ამოიწმინდა და გაუბედავად უთხრა:

— აღა, შენ უნდა გიხაროდეს! მგონი ყველას მოზიარე უნდა იყო. არა?—სომეხს არ ესიამოვნა იორდანეს სითამამე და შეტევით უთხრა:

— ვა! მამაჯან, ვითომ რატომ არ უნდა მიხაროდეს. მე როცა ფულებს ვაძლევდი ამ ჯეჯილების პატრონებს (ხელი ჯეჯილებისაკენ გაიშვირა), განა ჰალაჰალა იყო!

— შენ, ნაცვალო,—მიუბრუნდა შემდეგ მოხელეს,—უნდა მიშველო, კალოობას პური ამაკრებინო და ერთ კაი ჩოხას ჩაგაცმევ. ხომ იცი, მე პირიანი კაცი ვარ.

— ღმერთმა შენი თავი მიცოცხლოს, ჩემო ბაღდასარ, ვიცი რომ პირიანი კაცი ხარ,—ეშმაკურის ღიმილით უთხრა ნაცვალმა და წასვლა დააპირა.

— შენი ქრიჰტეს ჭირიმე, მეც დამაცადე კალოობამდის. აბა რა ვქნა, ეხლა ერთი გროშიც არა მაქვს,—დაეღრიჯა იორდანე.

— ვა, მე რა ვქნა, რომ არა გაქვს, ჩემი ფულები აზრუმიდგან ხომ არ მოსულა, შე მამაცხონებულო, მეც ეხლა მიჭირს. თუ არ მომირიგდი, „ისპოლნიტელნი ლისტი“ ხელში მიჭირავს და დღესვე პრისტავს მოვიყვან,—შეუტია იორდანეს და გასწია.

— პრიჰტავ მოიყვან-რა! რაც არა მაქვს-რა, რას წაიღებს, ხომ არ დამახრჩობ, შე დალოცვილო, ნათელმირონი კაცი ხარ, ცოტა კიდევ დამაცადე,—კვლავ დაეღრიჯა გლეხი.

— არა, ძმავ, მე ამდენი მოცდა მეყო. დღესვე უნდა ფულები დამითვალო.

— რა ვქნა, არა მაქვს და რა დაგითვალო,—ყრუდ წარმოსთქვა იორდანემ, ჩოხის კალთით ოფლი მოიწმინდა, ნაღვლიანად გაიქნია თავი და აგორებულ სომეხს უკან გამოუდგა.

II

ბაღდასარ ტერ-ბაღდასარიანცი ჩარჩი მოვაჭრე გახლდათ და ჩარჩების ცხოვრება ხომ იმდენად ცნობილია ყველასაგან, რომ დიდი განმარტება არ უნდა, რადგანაც მეტის-მეტი სადა და ერთფეროვანია. ფული—აი ის სიტყვა, რომლითაც

გამოიხატება მთელი ნასკვი მათის ცხოვრებისა. ფული—აი მათი სული და სჯული, ფული—აი მათი მისწრაფება და იდეალი. მერე რად უნდათ ეს ფული? იმიტომ, რომ იბატონონ, მაგრამ იბატონონ კი ისე, რომ თითონვე ყურმოჭრილი ყმანი იყვნენ ჭრელ-ჭრელ აბაზებისა.

ბაღდასარ ტერ-ბაღდასარიანციც იმ თავითვე მონა იყო ფულისა ცხონებულმა ოჰანეზამ, ბაღდასარას პირველმა აღამ, სამ კაპიკად თხუთმეტჯერ ამოატანინა ლიახვიდგან კოკით წყალი, ასე რომ ბეკის ფრთა სულ გადაეტყავა, მაგრამ როდესაც აღამ კოპიტიანი ხელში ჩაუგდო ბაღდასარას, მაშინ-კი ყოველისფერი დაავიწყდა და მეტის სიხარულით ცრემლები გადმოსცვივდა. თვალის დახამხამებაზედაც გამოიქცა თავის დიდედა—ხამფერასთან, კოპიტიანი დაანახვა და მერე გულში ჩაიკრა. ეს დღე პირველი დღე იყო ბაღდასარას ბედნიერებისა; ამ დღიდან ამან უკვე ისწავლა ფულის ყადრი და ამჟამადაც დიდის სიამოვნებით მოიგონებს ხოლმე თავის აღას და იმ ჟანგიან კოპიტიანს, რომელიც დღეს ას მანეთიანებად აქცია.

აქ შესანიშნავი ის არის, რომ ყოველი ჩარჩი, ყოველი მოვაჭრე, სომეხია იგი, ქართველი თუ ებრაელი, ერთ ყალიბზე და ერთ მეთოდზე არის აღზრდილი. დედა აზრი მათის აღზრდისა არის „ფულების შეძენა“ და ამ ფულების შეძენისათვის-კი ყოველგვარ საშუალებას ხმარობენ. ცხონებულმა ხამფერამ თავისი დისწულის აღსაზრდელად ოჰანეზას მაგალითი იხმარა და როგორც ოჰანეზას დაუწყია პირველად ვაჭრობა, ისე ბაღდასარას დააწყებინა.

წამოიზარდა თუ არა ბაღდასარა, ხამფერამ მაშინვე პატარა ყუთი უყიდა, შიგ ჩაულაგა სხვადასხვა წვრილმანი და გაგზავნა სოფელში სავაჭროდ. თვალთმაქცმა და ენა-ფხიანმა ბაღდასარამ მალე მოიგო სოფლელების გული და ნელნელა ფულიანი კაცი შეიქნა. რაღა ბევრი გაგიჭრელოთ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ ჩვენი სოფლელების საქმე, თუ როგორი ცხვრები არიან და ან როგორ მინდობა იციან. ბაღდასარა ხერხიანად სარგებლობდა ამ გულკეთილობით; ერთი წლის შემდეგ თავისი ზურგი ვირის ზურგზე გადასცვალა. იმდენ ხან აწოწიალა საწყალი ვირი, ვიდრე ცხინვალის გზაზე

ბარგ-ქვეშ სული არ ამოხდა. მაშინ-კი სწვნია წვენი ჩვენმა ბაღდასარამ! მოხსნა ვირს ბარგი, აიკიდა ზურგზე და რის ვაი-ვაგლახით სახლში ამოათრია. შინ რომ მოვიდა, ისეთი დაღალული იყო, რომ ძლივს-ღა სუნთქავდა. მაგრამ სულიც რომ ამოსვლოდა, არას ინაღვლებდა, ოღონდ-კი გზაში კვერცხები არ დამტვრეოდა!

— დავიღუპე, დიდედოჯან,—შესტირა ბაღდასარმა თავის ხამფერას,—გზაში ასი კვერცხი გამიტყდა. ვაი, ვაი, რაღა გვეშველება.

— ვა!—გაიკვირა ხამფერამ,—ეგ რა ხათა მოგსვლია, შენ მოგიკვდეს შენი ხამფერა. ახ, არ გეუბნები დუქანი გააღე-მეთქი და ერთ ალაგას ივაჭრე. შენ-კი შენსას არ იშლი. ეს როგორი სიქმეა, სუფ-სარქისო, შენ დამიფარე!

არ ვიცი, ხამფერას ბრალი იყო, თუ არა, ბაღდასარასაც ჭკუაში მოუვიდა, ეს-კია რომ ვირი აღარ უყიდნია და დუქანი გააღო.

ამ დღიდან ჩვენი ბაღდასარი მოვაჭრე გახდა და სახელიც გაითქვა. თანხა დღითი-დღე ეზრდებოდა და მოვახშეობას მიჰყო ხელი. მალე მთელი ხეობა ბაღდასარის მოვალე შეიქმნა, ასე რომ დღეს ყველას ბატონია. ბაღდასარ გევორქიჩ, ბაღდასარ გევორქიჩ, დასძახიან ბაღდოას და ისიც დიდის ამბით ასწევს კარტუზახეულ გაქონილ „შლაპკა"-ს და მელოტ თავს ნახევრობაზე გამოიჩენს ხოლმე. მართალია სულ ეს გაქონილი „შლაპკა" ხურავს, მაგრამ განა ახალი ქუდი და ტანისამოსი არა აქვს? ამ ექვსი წლის წინად, ცოლის შერთვას რომ აპირებდა, მაშინ იყიდა ახალი ტანისამოსი და დაკეცილი უწყვია ხამფერასეულ სკივრში, რადგანაც ცოლის შერთვა უეცრად გადიფიქრა.

— არა, მამავ-ჯან, ცოლს დიდი ცომი უნდაო, იტყვიან ხოლმე ქართველები. მე რომ ცოლი შევირთო, ვაჰმე თუ ერთი არამზადა ვინმე გამოდგეს. მერე ხომ დავიღუპე. არა, ჯერ კიდევ მოვიცდი,—გაიფიქრა ბაღდასარმა და დღესაც უცოლოა. ან კი სადა სცალიან ცოლის შესართავად. მთელი დღე საქმეში არის გართული, მთელ დღეს თავის ნისიებისა და მოვალეების დავთრებს ათვალიერებს და სულ იმის აწგარიშშია: ამა და ამ დღეს ვის რამდენი სარგებელი გამო-

ართვას, ვის თავნი, ვის ქონება აუწეროს და სხვა. მეტის-მეტი ფიქრით შუბლი დაღარვია, უძილობით თვალები დასწითლებია და ჩოთქზე ანგარიშით სალოკი თითი ისე დაბებრებია და დაგძელებია, გეგონებათ საგანგებოთ დაუბეგვნიათო. მაგრამ ვიდრე პირში სული უდგია ჩვენ ბაღდასარას, მინამ იგი დაღლილობას ვერ იგრძნობს, ეტყობა დიდი სიყვარული ჰქონია ფულებისა; დიაღ, ფულებს ხომ ძალიან უხალისებია კაცის გული, მაგრამ ამავე დროს თავის მეპატრონის დიდი პატივის შეძღვნაც სცოდნია. ვილას ახსოვს ბაღდასარას სიყმაწვილე, ვილას ახსოვს მისი ზურგგადატყავებული ვირი! დღეს ბაღდასარი პირველი შეძლებული კაცია მთელს დაბაში და მაშასადამე, პირველი კაციც ივი უნდა იყოს. აკი იმიტომაც დეპუტატად არის ამორჩეული და თუ ვინიცობაა გამოჩენილი და მთავრობასთან დაწინაურებული კაცი ეწვევა ხოლმე ამ დაბას, უთუოდ ბაღდასარა არის პურმარილის მიმრთმევი. ბაღდასარასაც თავი მოაქვს ამგვარი პატივით და თუ გარემოება მოითხოვს ხოლმე, თავის ეაჟკაცობას კიდეც ტრაბახობს. მსმენელებიც მოწიწებით უგდებენ ყურს და ქება-დიდებით იხსენიებენ. პირს უკან კი, სწორე რომ მოგახსენოთ, საშინლადა სძაგთ ეს კაცი და სძაგთ იმიტომ, რომ სულთამხუთავად გარდაქცევია მთელს ხეობას, წურბელად მოვლენია გლეხობას. ბაღდასარის დანახვა და შავი ჰირის დანახვა ერთგვარად მიაჩნიათ აქაურებს, მაგრამ მაინც მოწიწებით უკრავენ ხოლმე თავს და სულ თვალ-წარბში შესცქერიან, არაფერი ვაწყენინოთო.

— ბარაქალა, ბარაქალა, ბაღდასარ გევორქიჩ,—ეუბნება ხოლმე ბაღდასარა თავის თავს, როდესაც ერთად თავმოყრილი ც—ბი თავდაბლად მოუხდიან ხოლმე ქუდს და შურის თვალით უცქერიან მის გაქონილ შლაპკას.—საქმე გარეგნობა კი არა, საქმე შეძლებაა. თორემ ე ჩვენ კნიაზს რო ყოველ-დღე ქულაჯები აცვია და მხარზე ბეჭვიალა სირმის პაგონები გაუკრავს, იმიტომ ჩემი ფულები-კი არ მართებს, ჰაი! რომ ჩემს სულს გადვუდგე, ჩემს წმინდა ნიშხარტზე რომ ხელი ავიღო, დღესვე გავყიდი პაგონებიანათ... მაგრამ რა მეჩქარება? ჯერ პატარა გაბევრდეს და! დააბოლოებს ხოლმე თავის ფიქრებს ბაღდასარი, ერთი-ორჯერ გა-

ოელ-გამოიველის ც—ის „ბულვარზე“ და შინ ბრუნდება იმ ფიქრით, რომ თავის ჩოთქს მოუჯდეს და მოვალეები ერთ-ბელ კიდევ დასთვალოს.

მოვალეები კი ბევრი, ძალიან ბევრი ჰყავს ბაღდასარ გე-ვორქიჰს. მღვდლიდან დაწყებული უკანასკნელ გლეხამდის ერთი კაცი არ იქნება მთელს იმ ახლო-მახლო მიდამოში, რომ ბაღდასარას ვალი არ მართებოდეთ. მართალი-კი უნდა ვსთქვათ, რომ მეტის-მეტი გულ-ქვა და შეუბრალებელი მევახ-შეა. არც ცრემლი, არც ხვეწნა, არც მუქარა, ვერაფერი, ვერა-ფერი ვერ ა'შინებს ფულების მოტრფიალე ვაჭარს. აკი იმი-ტომაც ანდაზად გაიხადეს ბაღდასარას გულქვაობა და თუ ვაჭირვებული კაცი დაიჩივლებს რამეს ხოლმე, მა'მინვე ხუმ-რობით იტყვიან „მაგის ჯავრი აქვს ბაღდასარ ტერ-ბაღდა-სარიანცსაო“. დიაღ, ბაღდასარას არავისი ჯავრი არა აქვს! იგი მხოლოდ იმასა სცდილობს, როგორმე ბევრი ფულები ბოაგროვოს და სიკვდილის შემდეგ სულის მოსახსენებლად სურფ-კარაპეტის ეკლესიას შესწიროს! ალბათ, მართლა სურფ-კარაპეტი თუ სწყალობს, რომ ბაღდასარას ვერავინ ვე-რაფერს აკლებს. ბევრი ემტერება ჩვენს ბაღდასარას, ბევრი უკრიჭინებს კბილებს მის ფულებს, მაგრამ ვინ რას უზამს? დაყვლიფა, დაატყავა მთელი გლეხობა, აქამდისაც ბევრი მსხვერპლია და დღეის შემდეგ ხომ, თუ დასცალდა, უფრო ბევრს იმსხვერპლებს.

ერთხელ, როდესაც ბაღდასარა ჩვეულებრივად დავთ-რებს ჩასჯდომოდა და ძველ ბარათებს ათვალიერებდა, სხვა-თა შორის, თვალი მოჰკრა ერთ აღმასრულებელ ფურცელსა და აღტაცებით დააფრინდა.

— ვა, ეს რა მიქნია, რაზე დამიღუპავს ჩემი თავი, რაზე გადამიცდენია ვადა... მაგრამ არაა... რის ვადა, რას ვამბობ, ეს ხომ გუშინწინ გამოვიტანე, — სიხარულით დააბოლოვა ბაღდასარმა და გაფითრებული სახე თანდათან ბაუღაჟ-ღაჟდა.

— არა, უნდა ეხლავე წავიდე, თორემ კიდევ დამავიწყ-დება,—ეს თქვა ბაღდასარამ, ბურნუთით ცხვირი გამოიტენა და წასასვლელად დაემზადა.

ის აღმასრულებითი ფურცელი, რომელიც ბაღდასარას

ვადა გასული და ან დავიწყებული ეგონა, გამოტანილი იყო ჩვენი ნაცნობი იორდანე გლეხის სახელობაზე და რატომ ერთი ხუთჯერ აღარ უნახავს მას შემდეგ, რაც იგი გამოიტანა, ხოლო თუ დავიწყებულად სთვლიდა, ის კიდეე იმის ბრალი იყო, რომ იორდანე გლეხს ჩვენივე ნაცნობი ნაცვალი მიუგზავნა „ფული გადამიხადეო" და აქამდის იმის ცდაში იყო, რა ამბავს მომიტანს ნაცვალიო. მაგრამ რადგანაც ნაცვალი აღარ ჩამოვიდა, ბაღდასარას მოთმინების ძაფი გაუწყდა. დაავლო თავის კარტუსს ხელი, თონთლედ მოიგდო თავზე, რის გამოც ქუდის ცა წინ წამოეხარა და აჩქარებით გაუდგა გარდაშენის გზას. გზაზე ნაცვალიც შეხვდა და ორივენი ერთად იორდანეს სახლისაკენ წავიდნენ.

III

გლეხი იორდანე გუთნიდედაშვილი, ის, რომელიც დღეს ბაღდასარას კლანჭებში გაბმულიყო და ეხვეწებოდა ცოტა კიდევ დამაცადე და ვალს გადავიხდიო, ერთ დროს კარგი ოჯახის შვილი იყო. მამა მისი გიო, ს. გარდაშენის გუთნიდედა, სოფელში პირველ კაცად ითვლებოდა და, ღვთის წინაშე, დოვლათიც კარგი ჰქონდა, ასე რომ როცა მოკვდა, თავის ოთხ შვილს ერთი გუთნეული ხარ-კამეჩი, რამდენიმე დღიური სახნავ-სათესი ჰიწა და ერთიც ვენახი დაუტოვა... მაგრამ რაკი იორდანეს ოჯახს დედა ბოძი გამოეცალა, რაკი შრომის მოყვარე და დოვლათის დამაფუძნებელი გიო გამოესალმა ამ სოფელს, იორდანეს ოჯახის საქმე პირ-უკუღმა წავიდა. გიოს სიკვდილს მისი ცოლის სიკვდილიც მოჰყვა და იორდანეს ძმებს-კი ოჯახიშვილობა ნებას არ აძლევდა უბრალოდ დაემარხათ თავისი დედ-მამა და სასახელო ქელეხებიც გადაუხადეს... გამოიგლოვეს ძმებმა დედ-მამა... ცხოვრების მიმდინარეობამ და მოთხოვნილებამ მალე გადაჰყარა გულიდან დედ-მამის ნაღველი და ოთხი ხელმარჯვე ბიჭი კვლავ შეუდგა მუშაობას, კვლავ ცხოვრებასთან საბრძოლველად მოემზადა.

გადიოდა დღეები, მაგრამ ერთ-ხელვე შერყეული ოჯახი, სულ უკან-უკან მიდიოდა. ჯერ დედ-მამის სამარეს ზედა პირი

არ შეშრობოდა, ჯერ ოჯახი ვერ გამართულიყო წელში იმ დანაკლისის გამო, რომელიც მას მოუვიდა, რომ ფოსტის ფული ზედ მოჰყვა. გიოს ოჯახს, როგორც შეძლებულს, საკმაოდ ბევრი ფული ჰქონდა შეწერილი, და როდესაც „ბორჩიკი“ კარებზედ დაადგათ, იორდანეანთ ერთი გროშიც არ მოეპოვებოდათ სახლში. მართალია ფოსტის ფული გადადებული ჰქონდათ, მაგრამ ადგილობრივმა მღვდელმა აღარ ბოუსვენა, გინდა თუ არა წინ-გასაძღოლი და საორმოცო წირვისა უნდა მომცეთო. აბა რაღას იზამდნენ, შეეშინდათ სულიერი მამისა, შეეშინდათ, ვაი თუ დედ-მამა წაგვიწყდესო, და ისიც მღვდელს მისცეს.

გლეხის ავლა-დიდებას მოძრავი საქონელი და სახნავ-სათესი შეადგენს; ამით უძღვება იგი სახელმწიფო ხარჯს და ცხოვრების ათასგვარ მოთხოვნილებას. ნაღდი ფული მის სახლში არ მოიპოვება და ამიტომ, თუ გაქირვება დაადგება გლეხს, ან მამული უნდა დააგირაოს, ან ჭირნახული უნდა გაჰყიდოს და ან საქონელი. მაგრამ საუბედუროდ ამგვარ მოვლენას თავისი უბედურებაც თანა სდევს. ფული ჩარჩებსა აქვთ ხელში. გაქირვებულ კაცს რომ ნახვენ, ყელში ხელს უჭერენ და სამი თუმნის საღირალს ერთ თუმნად დაინარჩუნებენ ხოლმე.

იორდანეს ოჯახსაც ხომ უბედურება ეწვია; რამდენჯერმე მიმართა ჩვენ ნაცნობ ბაღდასარ ტერ-ბაღდასარიანცს და იმანაც თავისებური ხრიკები იხმარა. იორდანემ და მისმა ძმებმა პირველად სამი თუმანი ისესხეს. მაგრამ ამ სამ-თუმანში ბაღდასარმა კარგი ცხრა თუმნის საფასური აინაზღაურა. როგორც იყო თავი დააღწიეს ამ ვალს და დაიფიცეს კიდეც, ფული აღარ ევალნათ, მაგრამ ერთხელ კიდევ დასჭირდა იორდანეს ბაღდასარას თავი და ახლა კი სამუდამოდ დაიღუპა.

189... წელს, ხოლერობის შემდეგ სოფელ გარდაშენში საქონლის საშინელი ჭირი გაჩნდა. როგორც სხვებს, ისე იორდანეს ოჯახსაც შეუდგა ჭირი და საქონელი სულ-მთლად ვაუწყვიტა. ახლა-კი თვალსაჩინოდ გაღარიბდა იორდანეს ოჯახი. ასე რომ, ამ ოდესმე გამოჩენილი ოჯახის შვილმა, ყველაზე უმცროსმა, იორდანემ, გადასწყვიტა მოჯამაგირედ დამ-

დგარიყო. დიდად სწუხდა ახალგაზრდა, სოფლის თავ-მომ-წონე ბიჭი მოჯამაგირეობას, მაგრამ სხვა ხსნა არსით იყო. სახელმწიფო გადასახადი ერთი-ორად მოუმატეს, ძმები დაუ-ქორწილდა, ოჯახმა იმატა და სარჩო-საბადებელი-კი ხელი-დან გამოეცალათ. მეტი ღონე არ იყო, ნაშემოდგომევს გა-მოეთხოვა თავის ძმებს და თავის ნაბატონართან გასწია, რომელსაც ადრევე შეურიგდა მოჯამაგირეობაზე. ძნელი და აუტანელი იყო იორდანესთვის მოჯამაგირეობის პირველი დღეები, მოუნელებელი ცეცხლი იყო მისთვის თავისი ძმები-სა და ოჯახის მოშორება. მუშაობაში გართული იორდანე ხშირად თავდავიწყებას ეძლეოდა და ერთგულად უღირ-ღიტებდა შავ-მიწას, მაგრამ როცა მოღამდებოდა ხოლმე და თავის სახლის მაგიერ ბატონიანთკენ დაუხვევდა, თვა-ლები ცრემლებით ევსებოდა და სასოწარკვეთილებით უმა-ტებდა: „ჯადო გვიყვეს, ჯადო — თორემ განა ჩემი დედ-მამი-შვილი მოჯამაგირეთ უნდა იყოს?“ რა იცოდა საბრალომ, რომ როდესაც ერთი ღარიბდება და მეორე-კი ჯიბეს ისქე-ლებს, აწინდელის ცხოვრების უკეთესობის ბრალია, იმ ცხოვრებისა, რომელიც ძარცვა-გლეჯაზე არის აშენებული, იმ ცხოვრების ბრალია, რომელიც თავის წესწყობილებით ფულის ბატონობას დამორჩილებია და პოლიტიკურად ვითომდა თავისუფალი ადამიანი, ოქროსთვის დაუმონავე-ბია! რა იცოდა იორდანემ, რომ თითონ ისიც ფულის მაძიებელი იყო, და რაღაც სამი თუ ოთხი თუმნის გული-სათვის მთელი თავისი არსება რამდენიმე წლით სხვას დაუ-მონავა!

გულხეთქებით ატარებდა იორდანე თავის მოჯამაგირე-ობას, მაგრამ მალე გული შეეცვალა და სხვაგვარად დაიწყო ფიქრი. იმ მწარე და აუტანელ ცხოვრების შემამსუბუქებლად, ბედმა უყო თუ ეშმაკმა, ერთი მისგვარივე სხვის ხელში შე-მაყურებელი ადამიანი გამოუგზავნა, რომელმაც იორდანეს გულში რაღაც ტკბილი მისთვის გამოურკვეველი ნეტარი ჩაასხა, ნეტარებით და იმედებით გული აუძგერა. ეს გახლ-დათ ბატონიანთ გოგო ტასა.

ტასასთან შეხვედრამ ისე გაუადვილა მოჯამაგირეობა, რომ იორდანემ ვერც-კი შენიშნა, თუ როგორ გაუთავდა ეადა.

ვადის გათავების შემდეგ როგორც იყო გამოსთხოვა ნება თავის ბატონს ტასაზე ჯვარის დაწერისა და შემოდგომის ერთს დღეს თავ-გვირგვინიანი იორდანე სახლში-კი დაბრუნდა. უხაროდა იორდანეს, ახლა-კი ღმერთმა მიშველა და სახლში დავბინავდიო, მაგრამ ხელ-მოკლე და ქონებრივად დაქვეითებულ კაცს ტანჯვით სავსე წუთი-სოფელმა აქაც სამსალა დაალევინა.

გოგო ტასა, როგორც ბატონის ოჯახში გაზრდილი, მალე გამოიცვალა და გამოიცვალა იმიტომ, რომ მისთვის აუტანელი შეიქნა სოფლის ცხოვრება, რომელიც ჯაფა და წვალების მეტი არა არის რა. რომ არ ეშრომა, ეს კიდევ შეუძლებელი იყო, რადგანაც სიცოცხლე უნდოდათ და სიცოცხლის განსაგრძობად კიდევ საზრდო იყო საჭირო.

მართალია ტასა, როგორც ახალი რძალი, პირველად მხარს უჭერდა თავის მაზლის ცოლებს, მაგრამ შემდეგ-კი მოსწყინდა მუდმივი შრომა, თუმცა ბატონის სახლშიაც მთელი დღე ფეხზე აღამებდა, მაგრამ იქაური შრომა და სოფლის სულ სხვადასხვა იყო. ბატონის სახლში მის შრომას შეადგენდა ხელზე სამსახური. მთელი დღე ფეხზე უნდა ყოფილიყო, თავის ბატონ-ქალბატონისათვის თვალ-წარბში ეცქირნა და როცა რამეს უბრძანებდნენ, თვალის დახამხამებაზე აესრულებინა. გოგო, ჩიბუხი მომიტანე, დაიღრიალებდა ხოლმე ჭაღარაშერთული ბატონი. ტასაც სამ-ადლიან ჩიბუხით ხელში უმალვე იქ უნდა გაჩენილიყო. გოგო, სარკე, სავარცხელი მომართვი—დასჭყივლებდა მისი ქალბატონი, რომელიც მთელი დღე სულ სარკეში იყურებოდა და შიგჩრელ ჭაღარას იგლეჯდა—გოგო, „სმოვარი“ დასდგი, გოგო, სახლი დაგავე და სხვა ამისთანები.

დიაღ, გოგო ტასა მთელი დღე ფეხზე იდგა ხოლმე, მაგრამ მშვენიერი საჭმელ-სასმელი და სუფთა ჩაცმა-დახურვა შრომას უადვილებდა.

თავის ქმრის სახლში-კი ყველაფერი მალე მოაკლდა, გემრიელი მოხრაკულები ჭად-პურზედ შეეცვალა, ქალბატონის გამონატანი ტანსაცმელი მალე გაუხუნდა და პირისპირ შეეტაკა იმ სიღატაკეს, რომელიც სხვადასხვა გარემოების გამო, დაბეღებულია ჩვენის გლეხის ოჯახში. სიღატაკესთან საბრ-

ძოლველათ მუდმივი შრომა იყო საჭირო, მძიმე და აუტანელი. ბატონის სასლში გალაღებულ გოგოს ყველაფერი ემძიმებოდა და მალე ისე დაზარმაცდა, რომ ლობიოს შეჭამანდის შენელებაც-კი ეზარებოდა. მთელი დღე გაბუტული იჯდა კერის ძირას და თავის რძლებს ებუზღუნებოდა. რძლებიც ჯიბრში ჩაუდგნენ და გაიმართა ისეთი ქიშპობა, რომ ერთმანეთისათვის პირში სული შურდათ, ხოლო ვისაც-კი რძლების გადამტერება უნახავს, ის ადვილად წარმოიდგენს, რა ჯოჯოხეთი გაჩნდებოდა იორდანესას.

IV

გაზაფხული იყო, მაგრამ გაზაფხულს-კი არა უგავდა-რა. განუწყვეტელმა ავდრებმა და მუდმივმა სიცივეებმა საშინლად შეაწუხა ს. გარდაშენის გლეხები და მთელი დღე გულხელ-დაკრეფილები შესცქეროდენ გაავზნებულ ბუნებას. ხვნა-თესვის დრო იყო და ამინდი-კი ხელს არ აძლევდა. წლის სარჩოს მომზადებას დღეიდან უნდა შესდგომოდენ და ტაროსი კი თავისას არ იშლიდა. შეწუხდა მთელი გლეხობა და შიმშილის მომლოდინე მწარედ ოხრავდა.

ერთ დღეს როგორც იყო გადიდარა. მზემ ღრუბლებიდან გამოანათა და გიჟმაჟი ქარი კავკასიონის მთა-გრეხილს ამოეფარა. გლეხებმა პირჯვარი გადაიწერეს და სამუშაოდ მინდორში გაიფანტნენ. იორდანე და მისი ძმებიც საჩქაროდ წავიდნენ ანეულის სახნავათ.

მუშის სადილობა მოახლოვდა. შინ დარჩენილმა რძლებმა ჯერ ბევრი იჩხუბეს, ვინ გააკეთოს ლობიო შეჭამადიო, მერეკი ჯერის მინდორში წაღებაზე მოუვიდათ ლაპარაკი. ტასას უფროსი რძალი ყველაზე კაპასი და ანჩხლი იყო, მაგრამ გულის მობრუნება მალე იცოდა. დღეს-კი რაღაც ღმერთი გაუწყრა და გაკერპდა, მიაცივდა ტასას და აუხირდა, გინდა თუ არა ჯერი შენ უნდა წაიღოო.

— სინამ ნურასა სჭამთ, მინამ ტასამ მინდორში ჯერი არ წაგიღოთ,—გაიძახოდა ტასა.

— მაშ რის მაქნისი ხარ სახლში,—გაჰკიოდა უფროსი რძალი.—ჰო, დიდკაცის შვილი ბრძანდები და აბა როგორ გეკადრება მინდორში გასვლა.

— მაშ არ იცი, რომ არ მეკადრება? როდის ვყოფილვარ მინდორში, რომ ეხლა წავიდე. ადექი, თავში ქვა იხალე და წაიღე რა,– ეუბნებოდა ტასა და თან ტახტზე იკალათებდა

— თავში ქვაც იხალე და მუცელში სამართებელიც, არა. შე გომბიო, მე შენგან ეგ მეკადრება? ადექი, წამოიკიდე ე ხურჯინი თორე, ღვთის წყალობა მაქვს, მე შენ დღე დაგაყარო; არა, ხო იცი მე შენი!!

— ყურებზე ხახვი არ დამაჭრა! არა, რა უნდა მიყო, ემანდერა მანდ არ არი ე შენი მომხრე (მეორე რძალი), ე მაგას უთხარი და წაიღებს.

— მე რაღას გადმობწედი, შე მოჰტორიკა! ვერ დაინახა შენმა დასაბრმავებელმა თვალებმა, რომ დღეს მთელი დღე თონეში ვეკიდე! არა დედავ და თვალო, შენ ისეთი ღვთის რისხვა რამა ყოფილხარ, რომ შენ ადამიანის შეცოდება არა გქონია,—წამოწიწმატდა მეორე რძალი და გაკერპებულ ტასას ქოქოლა მიაყარა.

— არა, მაშ რა იქნება მოახლედ ნაგდები გოგოი!—კვერი დაუკრა უფროსმა.

ახლა-კი ვეღარ მოითმინა ტასამ, მოხსნა პირი და რაც ენაზე მოადგა, ყველაფერი წამოუყაჭა. ატყდა საშინელი ხმაურობა, ჩხუბი, გაიმართა ლანძღვა-გინება. ამას ვიღა ჩიოდა-ერთმანეთს ხელი წაატანეს. გაბრაზებულმა ტასამ გაიძრო ფლოსტი და უფროს რძალს თავში სთხლიშა. უფროს უმცროსი მიეშველა, დაეჭიდნენ ტასას და სულ ბუწუწებიდან გასცალეს. ძალამიხდილი ტასა საშინლად გაჭკიოდა და ფრჩხილებით თავ-პირს იკაწრავდა. ყვირილსა და ხმაურობაზე მეზობლები შემოცვივდნენ და მოჩხუბარნი რომ დაინახეს, წყეველა-კრულვით გააშველეს.

გათავდა ჩხუბი, მაგრამ დასახიჩრებული რძლები მაინც ილანძღებოდნენ. ყველას სახე დაკაწრული ჰქონდა და სისხლი თქრიალით ჩამოსდიოდათ.

ვიდრე მაზლის ცოლები ჩხუბს გაათავებდნენ, მზემ დაისამხრეთა კიდეც და მინდორში მომუშავეთ საშინლად მოშივდათ. ლოდინით გაჯერებულმა მუშებმა ერთ-ერთი მებრე გამოგზავნეს, რომელმაც დაბრუნებისთანავე იორდანეს უამბო მაზლის ცოლების თავ-გადასავალი და სხვათა შორის, დაუმატა,

რომ საწყალი ტასა „ბორა ვაშლივით დაუბეჟნიათო“. ამის ვამგონე იორდანე აიმრიზა, დაავლო სახრეს ხელი და შინისკენ ვამოსწია. სახლში რომ შევიდა, ყვირილით მიჰმართა ქალებსა:

— რა იყო, რა დაგემართათ, თქვე ოჯახ-დაქცეულებო, რა ხოლვერა შეგიდგათ.—ტასამ, რომ თავისს ქმრის ხმა გაიგონა, მაშინვე ზეზე წამოიჭრა და ტირილით მივარდა:

— რაღა რა იყო, მომკლეს, მომკლეს ამ პირში სულ გასაწყეტებმა. განა ამიტომ მომიყვანე, რომ ამათ ეცემნათ? არა, მე მეტის მოთმენა აღარ შეშიძლია, ვაიმე დედავ, თავი... წელი, ვაი, ვაი! მოვკვდიიი!..—გაჰკიოდა ტასა და თან მდუღარება გადმოსდიოდა. ამის დამნახველ იორდანეს სული ყელში მოებჯინა. აზროვნება დაუბნელდა; მოიმარჯვა იფნის სახრე და რძლებს მიაშურა.

— ერთი, ორი, სამი,—სთვლიდა იორდანე და ურტყამდა თავის რძლებს. კელავ ერთი ორომტრიალი შეიქნა, ნაცემი რძლები გამოცვივდნენ და ქმრებისაკენ მინდორში მოჰკურცხლეს. იმათმა ქმრებმა რომ გაიგეს, იორდანეს ჩვენი ცოლები უცემნიაო, თითონაც სახრეებით სახლს მოაშურეს და ახლა ძმებს მოუვიდათ საშინელი ჩხუბი, დალეწეს, დაამტვრიეს ერთმანეთი და ვიდრე მთელი სოფელი ფეხზე არ დადგა, მათ გაშველებას „არა ეშველა-რა.

ამ ამბის შემდეგ, რასაკვირველია, ძმებს ერთად აღარ ედგომინებოდათ და გაიყარნენ. განაწილების შემდეგ იორდანეს არგუნეს: ერთი ხარი, ერთი ფურ-კამეჩი, ორი პატარა ქვაბი და ერთი დღიური სახნავი მიწა. სახლი-კი სხვა ძმებს დარჩა. ამგვარად იორდანე უჭეროდ დარჩა. დროებით მეზობელს შეეფარა და სახლის გაკეთების თავდარიგს შეუდგა; სახლის გაკეთებისათვის-კი ფულები დასჭირდა და ჩვენ ნაცნობ ბაღდასარას მიაშურა.

— არა, ჩემო ძმავ, მე სადა მაქვს ფულები, რომ შენ გასესხო,—ეუბნებოდა ბაღდასარი მის წინ მდგარ იორდანეს და თან ისეთი კილოთი დაასრულა თავისი ლაპარაკი, თითქოს უნდა სთქვას, „გატყუილებ, ფულები ბევრი მაქვს, მაგრამ უდიდსარგებლოთ შავ-ქვასაც არ მოგცემო“.

— აი, შენი ჭირიმე, ხუთ-თუმანში სამ კოკა ღვინოს ეხლავე დაგიკვეთამ სარგებელში და თავნი ხომ თავნია და

თავნი. როცა მომთხოვ, მოვალე ვიქნები უნაკლულოთ დაგიბრუნო, — ეხვეწებოდა იორდანე, გულგრილ ბაღდასარას და მის თვალებში სრული სასოწარკვეთილება იხატებოდა.

— სამი კოკა სარგებლად ძალიან ცოტაა, ჩემო იორდანეაი ძმაოჯან, დღეიდან ხუთი თუმანი უნდა დაავაბანდო, ე. ი. ჩემთვის მკვდარია, მე ის ხუთი თუმანი რომ დუქანში მქონდეს წელიწადში ათი თუმნის საქმეს გავაკეთებინებ. მაგრამ რა ბევრი ვილაპარაკო, მე ფული ეხლა ხელში არა მაქვს...

— მაშ, რა ვქნა, შენი ჭირიმე—ცოლ-შვილი ცის ქვეშ მიყენია, ი ჩემმა ძმებმა ხო ისე უსახლ-კაროთ გამომისტუმრეს, ეჰ, რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე! აბა ვიღასთან უნდა წავიდე?—სასოწარკვეთილებით წარმოსთქვა იორდანემ და გამობრუნება დააპირა.

— მაეცა, ბიჭო,—დაუძახა ბაღდასარამ,—ერთ რამეს გირჩევ და თუ ჭკვაში მოგივიდეს, ხომ კარგი, თუ არა და შენი ნებაა. იცი რა გითხრა, მოდი ხუთი კოკა სარგებელი იყოს და მე გიშოვი სადმე.

— არა, შენი ჭირიმე, ხუთი კოკა სულ არ გამოყვა ი ვენახს და აბა რა წყალში ჩავარდე. ნეტა-კი მქონდეს, თორემ ვინ ღმერთ გამწყრალი არ მისცემდა. არა შვილოსან, ტყუილი რა ხელისაა, სამ კოკაზე მეტს ვერ მივცემ.

— ჰო და ვნახოთ,—უკმაყოფილოთ წარმოსთქვა ბაღდასარამ და საღამოსათვის კიდევ დაიბარა.

გაბრუნდა სახლისაკენ ხელ-ცარიელი იორდანე, მაგრამ სახლში მისვლისაც-კი ეშინოდა. მისი საყვარელი ცოლი, მისი გულის ამძგერებელი გოგონა ტასია, სწორედ ქასქანჯიელად გარდაექცა თავის ქმარსა, სულ ებუტბუტებოდა, სულ ცეცხლის პურს აკმევდა ხოლმე. ბევრნაირად ეცადა იორდანე თავისი ცოლი დაემშვიდებინა, მაგრამ ყოველგვარი დარიგება ამაო იყო. ტასამ თავ-პირი წაიპამა და სულ იმას აყვედრებდა თავის ქმარს, ბედრანგი, უშნო რამა ხარო. თუ შემირთე, მომიარე კიდეც, თორემ მე შენი გაძლება აღარ შემიძლიაო. იორდანეს ცოტა არ იყოს ეშინოდა კიდეც ამგვარი მუქარისა, რადგანაც ხედავდა, რომ ტასა თამამად იქცეოდა. პირველ ხანებში რომ სითამამე შენიშნა, ერთი ორი სახრე სწყვიტა კიდეც, მაგრამ ცემით რომ ვერაფერი გააწყო,

-ისევ დარიგებას მიმართა. ასე მიდიოდა დღეები, მაგრამ ტასა თან-და-თან აფთარდებოდა, თან-და-თან წიწმატდებოდა. მოტყდა, დაუძლურდა საბრალო იორდანე და ისედაც მწარე ცხოვრება უფრო გაუმწარდა. მეტი ღონე არ იყო, ცოლს უნდა დამორჩილებოდა—მისი ყურ-მოჭრილი ყმა უნდა გამხდარიყო. „რა-ვქნა, ნათქვამია, თუ დედაკაცმა გაიწია ცხრა უღელი კამეჩი ვეღარ დაიჭერს“, გაიფიქრა იორდანემ და მიჰყვა ცოლის ნებასა. რაკი ერთხელვე დაჩიავდა, რაკი ერთხელვე გული გაუტყდა, ვეღარ გამობრუნდა და საქმე იქამდის მივიდა, რომ თუ ოდესმე იორდანე სცემდა ხოლმე ცოლსა, ახლა ცოლი სცემდა მას და როგორც კარგ მოჯამაგირეს ისე იმსახურებდა. დაძაბუნდა საბრალო იორდანე და ცოლისა, როგორც ღმერთისა, ისე ეშინოდა.

— რა ქენი, ი'მოვე ფულები?—დაუღრიალა ტასამ იორნეს, როდესაც იორდანე ოხვრით შინ შევიდა.

— სად ოხრობაშია, რა-ვქნა. სულით და ხორცით ხომ ვერ გავიყიდები.

— რაც გინდა ქენი, თუ გინდა თავში ქვა ირტყი სახლი-კი ამიშენე,—უფრო ძალიან დაუღრიალა ცოლმა და მეტის სიბრაზისაგან ცრემლები წამოჰყარა.

საბრალო იორდანეს ენა მუცელში ჩაუვარდა. რაღას იზამდა, გადაწყვიტა ბაღდასარისათვის უღმერთო სარგებელი მიეცა და თავისი ჭირვეული ცოლი-კი დაეშშვიდებინა.

V

გავიდა ერთი თუ ორი წელიწადი. ბაღდასარის ფულებით აშენებული იორდანეს ჭდეული ცოტა არ იყოს მოძველდა კიდეც, ასე რომ ტასია ხშირად უსაყვედურებდა ხოლმე თავის ქმარს შენობის მასალის უვარგისობას. მაგრამ იორდანეს ამის ჯავრი აღარა ჰქონდა. იგი მთლად ფიქრსა და ვარამს შეეპყრო.

ბაღდასარას, რომელსაც ერთი პირობა კიდეც გადაუხადა ვალი, რაღაც მანქანებით საჩივარი განეახლებინა და ერთ საღამოს, აღმასრულებელი ფურცლით ხელში კარებზე მოად გა. ამას თან მოჰყვა ჩვენი ნაცნობი ნაცვალიც.

ბინდ-ბუნდი იყო და მინდვრიდან დაბრუნებული იორდანე თავის ხელით აზავებდა ლობიო შეჭამანდს. ტასა-კი ტახტზე

წამოწოლილიყო და კენესოდა. ლობიოს ზელით გაჯერებულმა იორდანემ ვეღარ მოიომინა, მიჰვარდა ცოლს და დაუყვირა:

— ადე, შე ოჯახ-დასაქცეო, ე ლობიო შეჭამანდი მაინც გამიკეთე.

— გაიკეთე რა, ვერა ხედავ ავათა ვარ?—გულცივად უპასუხა ცოლმა და მხარი იცვალა. ბრაზმორეულმა იორდანემ ის-ის იყო მოიმარჯვა ციცხვი, რომ ცოლისათვის დაერტყა, მაგრამ ამ დროს გარედან შემოესმა:

— იორდანე, ჰაი იორდანე! — იორდანემ ერთი-კი შეუკურთხა ცოლსა და გარეთ გამოვიდა.

— გამარჯობა, იორდანე,—ცბიერად მიესალმა ბაღდასარი და ხელი გაუწოდა.

— გაგიმარჯოს, აღაჯან,—ძლივს წაილუღლუღა იორდანემ და ხელი ჩამოართვა. პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა. გაფითრებული იორდანე კედელზე მიყრდნობოდა და გული საშინლად უძგერდა. კარგად მიხვდა, რომ ბაღდასარი სასიკეთოდ არ მოვიდოდა მასთან. ბაღდასარაც თავ-ჩაღუნული იდგა და, თითქოს სინიდისი ამხილებსო, ხმა ჩაეწყვიტა; ხოლო ნაცვალს მოეღერებინა კისერი და ხან ერთს უყურებდა და ხან მეორეს. ბოლოს ბაღდასარას მიმართა:

— ჰე, გავათავოთ საქმე,—ხომ იცი მოხელე ვარ და არ მცალიან.

— უთხარი რაღა, ვა!—ამოიგმინა ბაღდასარამ.

— რა უნდა უთხრა, განა თითონ არ იცის, რომ შენი ფულები მართეს იორდანეს და ვალს-კი გადახდა უნდა.

— აკი ერთხელ გადავიხადე, შვილოსა, ათას-ჯერ ხომ არ გადამახდევინებთ. ღმერთი აღარა გაქვთ,—კანკალით წარმოსთქვა იორდანემ და ცრემლ-მორეული თვალებით ბაღდასარას შეხედა.

— რო გადაგეხადნა, ამ კაცს ხო ისპოლნიტელნი ლისტს აღარ მისცემდნენ,—ჩაერია ლაპარაკში ნაცვალი.

— აბა როდის გადამიხადე, მოწმეები მიჩვენე, თუ მოგიცია, ვა, ჩემი ფულები ფულები არ იყო? მაგრამ გლეხ-კაცს სინიდისი ვინ მისცა. მამავ-ჯან, აღება კარგი იცით და გადახდა-კი არა, ვა, ხათაა?!—ქშენით დააბოლოვა ვაჭარმა და აღმასრულებელი ფურცელი უბიდან ამოიღო.

— ტყუანს რისხამდეს ძელ ჭეშმარიტი, ოჰო და ანგრე!?

— ვა, რას იწყევლები, შე ოხერო, ფული აგიღია, უნდა მომცე, მე მეტი ლაპარაკი ძალიან მეჯავრება.

— მაშ უნდა დამარჩო!—დაიკვნესა იორდანემ და სასოწარკვეთილებით ქვითინი ამოუშვა. ან-კი რაღა დარჩენოდა მეტი. კანონი და სამართალი ვაჭრის ხელში იყო. ისევ ცრემლით თუ მოილბობდა დაჩაგრული გულის ძგერას.

იმ ღამეს რაღა იქნებოდა. მეორე დღეს დილა ადრიან ბაღდასარამ იორდანე და ნაცვალი დ. ცხინვალში ჩაიყვანა, იქნება როგორმე მომირიგდესო, მაგრამ იორდანე სულ უარზე იდგა. გაჯავრებულმა ბაღდასარამ აღმასრულებელი ფურცელი სოფლის სასამართლოში წარადგინა.

სოფლის სასამართლომ ბევრის ლაპარაკისა და ყაყანის შემდეგ როგორც იყო მოარიგა. იორდანეს თავისი უღელი ხარი უნდა მიეცა ჩარჩისათვის, რომლებიც საღამოთიევ დაირეკა ბაღდასარმა და სახლში წამოიყვანა. თვალ-ცრემლიანი იორდანე ქვასავით გაშეშებულიყო და ბუტბუტებდა: „ვაიმე, ჩემო წიქარა, ვაიმე, ჩემო ფარნა, ჩემო მაცხოვრებელნო, ჩემო იმედებო. ვაი, შე რჯულ-ძალო, შენა, რაზედ დამღუპეო“, მაგრამ ეს სიტყვები მარტო ტუჩებზე აკვდებოდა და მდუღარე ცრემლები სახეს უღარავდა.

* *

გაღარიბდა, გათახსირდა საბრალო იორდანე და უმისოდაც დამცირებულს დღიური მუშაობით უნდა გაეტარებინა თავისი სიცოცხლე. ამიერიდან თავის დამჩაგვრელებისათვისვე უნდა მიეყიდნა თავისი ძალ-ღონე დი უბარაქო მუშა უნდა გამხდარიყო.

* *

მშვენიერი საღამო იყო. გახურებული მზე გადაჰფარებოდა მთას იქით და კავკასიონის მთა-გრეხილიდან წამონაბერი სიო დასთამაშებდა მწვანედ გადაშლილ ველმინდორს. აბობოქრებული და სიცხისაგან გახურებული სოფელი მშვიდად ფშვინავდა და წყნარად მოდუდუნე რუ რაკრაკით ჩაუდიოდა ს. გარდაშენის ვენახებს. ერთი ნაკადული-კი დაქანებულიყო ჭალებისაკენ და თავის ჩანჩქარით აყრუებდა მიდამოს. მის

ნაპირზე მდგარი ყვავილ-ბალახი გალაღებულ თავებს აკანტურჯბდა და მოჩუხჩუხე წყლის მომზირალნი სიამოვნებისაგან საყვარლად ბიბინებდნენ. მაღალ კაკლის ხეზე მალაღური სევდიანად გაიძახოდა თავის „ბიჟო გოგიას“, იქვე მახლობლად-კი ბულბული მწარედ დაჰკვნესოდა ბატონიანთ ბაღში გაფურჩქნილ ვარდს. ცოტა მოშორებით მოსჩანდნენ ფილოქსერის დასში მომუშავე იმერლები და თავის „ხელხვავით“ ბულ„ბულს ეჯიბრებოდნენ. ბუნება თანდათან წყნარდებოდა და ნამძინარევი კეკლუცივით მორცხვად იღიმებოდა.

თითქოს ბუნების სიდიადეს გაუტაცნიაო, ბატონის ბაღში მომუშავე იორდანე დაყრდსობოდა თოხს და ავსა და შავს ფიქრებს მისცემოდა. ვინ იცის რას ოცნებობდა ბედისაგან დაჩაგრული გლეხი, ვინ იცის რას ელამუნებოდა მისი გარემოებისაგან და უვიცობისაგან ფრთებ შეკვეცილი ოცნება. იგი უნძრეველად იდგა და ფიქრობდა... ვინ იცის, რამდენ ხანს იდგებოდა ასე გაშეშებული, რომ მისი ყურადღება ღობის ლაწანს არ მიეზიდნა, საიდგანაც გამოჩნდა ერთი ხელ-მარჯვე და მალხაზი გურული, ფილოქსერის დასში მომუშავე, რომელიც თავის ამხანაგებს წყაროზე გამოეგზავნათ.

— გამარჯობა შენი, ძამიავ,—მიესალმა გურული ღობეზე გადმომდგარ იორდანეს და პასუხი რომ ვერ მიიღო, ცოტა ხანს შეჩერდა, მერე გაიღიმა და თავისთვის წაიბურტყუნა: „რა აბდლები არიან ეს· უბედურები აქაური გლეხებიო“ და დასასვენებლად იქვე ქვაზე ჩამოჯდა.

იორდანე შეიშმუშნა, ერთი ამოიხრა და ზარმაცად დაიწყო თოხნა. ცოტა ხანს თოხნა და კვლავ შეჩერდა. შეიძლება ისევ ფიქრებში გაბმულიყო, მაგრამ ამ დროს ორღობეში მომავალი ბაღდასარა დაინახა.

ბაღდასარა გადამჯდარიყო თავის ლურჯაზე და ვიღაცის ხარებს მოერეკებოდა. ამის დანახვაზე იორდანეს თვალები აენთო, მოაგონდა თავისი ხარები, მოაგონდა ის დამცირება და დაჩაგვრა, რომელიც ამ ჩარჩმა მას მიაყენა, მოაგონდა თავისი სიღარიბე და აუტანელი ცხოვრება, რომლის უმთავრესი მიზეზი ბაღდასარა იყო და გულში ცეცხლი აენთო. ანგარიშ მიუცემლად წამოაელო თოხს ხელი, ვეფხვივით გადაეშვა ღობეზე და ბაღდასარას წინ ჩაუსაფრდა.

აეყუდა იორდანე ბატონიანთ კაკალსა და თან ფიქრობ და: „ერთს მაინც ვდრუზამ ამ თოხს თავში, გინდა ციმბირში გამგზავნონო!“ აგერ ბაღდასარიც მოახლოედა და ხრინწიანი ხმით ხარებს გაუჯავრდა.

— ვაი, შე უღმერთო, ვინ იცის, ვის წაართვი ეგ ხარები! გიხარიან განა? ვაი, შენი, შენი,—ილანძღებოდა იორდანე და თან თოხს იმარჯვებდა. „ღმერთო, წმინდა გიორგი ზვარეთისაო, შენ მაპატიე, მომიმართე ხელი და როგორც მემართლებოდეს, ისე გადაახდევინე ამ ჩარჩსა“. ეძნელება იორდანეს მისი ცემა, მაგრამ გული ქვევიდან ამოსძახის: დაჰკა, დაჰკა, ნუ გეშინია, მაგითი მაინც ამოიყარე მაგის ჯავრიო. აი, ცოტა კიდევ და ბაღდასარი სამშვიდობოს გავა. მაგრამ ამ დროს აიმაღლა იორდანემ თოხი, ერთი მაგრა დასჭყივლა და დაუშვა თოხი თავში.

— ვაიმე, მომკლეს!—წამოიყვირა ჩარჩმა და ცხენიდან ძირს ჩამოვარდა. ამ ხმაზე გურული ფეხზე წამოიჭრა და თოხით ხელში გაქცეული იორდანე რომ დაინახა, წამოიძახა:

— ძაან არ მოახერხა მაგ კაზახმა, მე-კი ვამბობდი, აბდღლებია-მეთქი.—და წამოსაყენებლად მივარდა ბაღდასარას. ამასობაში სხვა მუშებიც გადმოვიდნენ ვენახებიდან და ცოცხალმკვდარი ბაღდასარი ძლივს მოაბრუნეს.

— იორდანემ მომკლა, იორდანემ!—გაჰკიოდა ვაჭარი.

— ვინ იორდანეა?—კითხულობდნენ გლეხები.

— გუთნიდედაანთი,—წაილუღლუღა ჩარჩმა და კვლავ გული წაუვიდა.

მეორე დღეს მთელმა ქვეყანამ გაიგო ბაღდასარას ცემის ამბავი. ზოგს ეგონა მოკვდება კიდეცაო, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ბაღდასარ გეორქიჩი დღესაც ცოცხალია და თავისებურად დათარეშობს. ჩვენი ნაცნობი ნაცვალი რომ არ აწუხებდეს და იორდანეს საქმის გამო გასამრჯელოს არა სთხოვდეს, ბაღდასარა დავიწყებასაც-კი მისცემდა იმ უსიამოვნო ამბავს.

საწყალი იორდანე-კი მართლ-მსაჯულების ძალით აქამდე საპყრობილეშია.

1895 წ. მკათათვე.

ს. დგვრისი

ცა ს

(ლექსი პროზად)

რას მოიღრუბლე, შუბლი რად შეიკარ, თეთრლურჯად მოკამკამე სამყაროვ? მზე ჩაესვენა? გენაღვლება ღანა, გული გეხურება და ფერი მიგდის, შენს სატრფოს რომ შორდები? აგერ აღმოსავლეთით მოპირქუშდი კიდეც, ცრემლი გერევა, ღრუბლებს ეფარები, რომ თავი შეიმაგრო. მხოლოდ შენი დასავალი მორცხვად იღიმება, ჩამავალ მზეს ეალერსება, ფითრდება, ცახცახებს, ღიმილი მწუხარებად ეცვლება.

სულ მთლად დამწუხრდი კიდეც, გლოვის კაბა ჩაიცვი, აღარ გინდა უყურო ქვეყანას?

მერე რა გაღონებს? მალე, ძალიან მალე ამოცურდება ქვესკნელიდან ბადრი მთვარე და გულმკერდს დაგიკოცნის, ნაღვლიან სახეს შარავანდედით შეგიმკობს, შენთან ერთად სევდიან სხივს დააფრქვევს და ღრუბლების თაიგულს მოგართმევს: ზედ აასხავს ვარსკვლავთა კუნწულებს, ირმის ნახტომით შეჰკონავს და ხომლის ჯინჯილს გაუკეთებს. მაინც არ გინდა? ოხ, რა ძლიერ გყვარებია მზეი!

აბა, დახე, როგორ აციმციმდა ვარსკვლავთა კრებული, რა გაუბედავად მიმოსრიალებს მთოვარე, რა ოქროს ფრად დაღება შენი შავი სუდარა. ქვეყანამ ნეტარებითაც-კი დაიძინა, ტკბილი სიზმრები შემოიბურა. შენი აშუღი დადნა, დაილია, ღრუბლებში გაინაბა, რომ ყური დაუგდოს ძირს, მშვენიერ ვარდ-ნარში, ხელი-ხელ გადახვეულ შეყვარებულთ. ნუ გეშინიან შენ ყველაფერს გიამბობს. იქნება არაფერი გჯერა ადამიანის ფიცისა? ნუ, ნუ იქნები ეგრეთი ურწმუნო, შენს მწუხარებას ქვეყნის ავკარგიანობას ნუ დაუნაცვლებ!

ან იქნება ტანჯულთა კვნესას თითოეულის ბედნიერება ვერა ჰფარავს და იმიტომ ნაღვლობ? მაგრამ ვინ მოაღწევინებს შენამდის ამ უბედურთა მოთქმა-გოდებას! აქ, ძირსვე, არიან მათი ხმის ჩამწყვეტნი, აქ არიან ისეთნი, რომლებიც მათ ზურგზე შესხდომიან და პირზე ხელს აფარებენ. დეე,

იმათ კისრად იყოს ტანჯულთა ცოდვა! შენ-კი ნუ განრისხ-
დები! უცადე იმ დროს, როდესაც ტანჯულთა კვნესა-ქვითი-
ნი ლახვრად გაუვლით გულში მტარვალებს, როდესაც მათი
ცრემლი ნიაღვრად გარდაიქცევა და წალეკავს ამ უღმერ-
თოთ, მათ ძალმომრეობაზე აგებულს ბედნიერებას, როდესაც
აღიგვება მათი სახელი და ყალბი შარავანდედი სამარცხვი-
ნო ძოწეულად შეეცვლებათ. მაშინ ხომ ყველა ნეტარებით
შემოგღაღადებს.

იქნება არც ესა გჯერა? ოხ, მაშ რა ეშველება ქვეყანას?

გამხიარულდი, შუბლ-შეკრულო სამყაროვ, ჩვენ იმედი გად-
მოგვივლინე და დასტკბი, დასტკბი შენისვე სიმშვენიერით.

ხედავ, როგორ აენთნენ მნათობნი? ღრუბლებს ვერცხლის
ტახტი შეუკრავთ, შიგ ჩაწოლილა მთოვარე, თვალები მიუ-
ლულავს, გარს ვარსკვლავები შემოუფანტნია, კვდება, დნება
შენის ეშხით, უნდა მოწიწებით გეამბოროს, ქვეყნის აშბავი
გიამბოს, გაგართოს, გაგახაროს.

არ გინდა განა, შენი სატრფოს გარდა სხვა მოარშიყე?
თვით კეკლუცი მთვარე არარაობად გეჩვენება, არაფრად
აგდებ ვარსკვლავთ ბრჭყვიალებას, ქვეყნის ჯავრიც აღარ
გაქვს? რას გარინდებულხარ? მზის მეტი არავინ მოგწონს?
ოხ, რა ამაყი, მაგრამ რა ერთგულიც კი ყოფილხარ!

გეცინება? ჰო, ვიცი, ვიცი, რათაც! მზემ შიკრიკები გამო-
მიგზავნა, მოვდივარო. მორცხვად აბრჭყვიალდა ცისკარი,
ხარიპარიამ მზისგან გამოტანებული უსტარი გადასცა შენდა
მოსართმევად, მზის გზის პირად ძოწეული გაიშალა...

გაგაჟრჟოლა? სხივით არის დაწერილი უსტარი და შიგ
უკვდავი გრძნობა გამოხატული, ხომ? როგორ გაფითრდი,
კდემის სიწითლემ გადაგკრა, გულ-მკერდი აგითრთოლდა!
სად არის ეხლა მთვარე, რომ შურით არ ჩაქრება. ეჰ! გაპა-
რულა კიდეც თავის ამალით, მზემ რომ ამოაშუქა, ბედნიე-
რი ხარ, ბედნიერი!

შენთან ერთად ხარობს მთელი ქვეყანაც: ტორუა ბუჩქი-
დან ამოფრინდა, ყვავილ-ბალახთ პირი დაიბანეს, ვარდი
ნაზად გაიზმორა და საყვარლად გადაიშალა, კურდღლის ბა-
ჭიამ დანამულ ველზე შეითამაშა, ყელმაღალი ჯეირანი, ნორ-
ჩი შვილს ნუკრი, ტურფა ირემი ველ-მინდორზე გაიშალა.

ბუმბერაზ მთებმა ამაყად გადახედეს ქვეყანას, ამღერდნენ ფრინველები, სიცოცხლემ ფრთა გაშალა. გამობრძანდა ადამიანიც, შენმა ელვარებამ თვალი მოსჭრა, მაგრამ ვერა ხედავ არაფრად გაგდებს? მაგრამ შენც-კი ყურადღებას არვის აქცევ, უკვდავს—მომაკვდავისა არ გეშინიან.

ოხ, ცაო, ცაო! ნეტა მეც შენსავით ბედნიერი ვიყო, ნეტა ცვარათ მაინც ვიქცე, რომ ყოველ დილით ჩემ სატრფოს პირი დავბანო ხოლმე, ნეტა ცრემლად ვიქცე, რომ ტანჯულთ თვალზე შევაშრე და მწუხარება სიხარულად შევუცვალო. ჩემი ჯავრი აღარ გაქვს, ჰა? ჩაეკარ, ჩაეგრიხე მზის სხივებს დადნი, ნეტარებით აენთე!

თუ კარგი არ გემეტება ჩემთვის, ეკლად მაინც მაქციე, რომ ბოროტებას თვალ'ში გავეჩხირო, ან ეფირად მაქციე მაინც, მაგრამ გრძნობას კი-ნუ წამართმევ! მე მინდა მარად თვალყურს ვადევნებდე ქვეყანას, გავიგო როდის მოეღება ბოლო მტარვალებს, უკვდავია თუ არა სატრფოს ფიცი, უანგაროა თუ არა „ქვეყნისთვის თავდადებულთა“ მოქმედება? ყურს არ მიგდებ? აბა, რაღა ჩემი ჯავრი გაქვს. შენ უკვდავი, მე მომაკვდავი. ან-კი რა გვაქვს საერთო. მაგრამ... რომ იცოდე რა მოუსვენარია ადამიანი, რა ამაყია! სხეულით თუ არა, სულით მაინც განეზიარება შენს უკვდავებას!“

1895 წ. ქ. მოსკოვი

თ ე ო

ამბავი

ღამე იყო, ღამე ზაფხულისა. ვარსკვლავებით გადაჭედილ ცის სივრცეში მედიდურად მისრიალებდა გაბადრული მთვარე. მისგან შუქ ნატყორცნი ღრუბლები-კი ბამბის ქულასავით გადმოყუდებოდა კავკასიონის მთა-გრეხილს, თითქო ღამის გუშაგს გზა უნდა შეუკრასო. უზარ-მაზარი ქედი—ბრუტ-საბძელა—ცამდის აღმართულიყო, გაეპო ღრუბლები და ათასის ხევ-ხევის იქით, ვიწრო, მაგრამ კოპწიად შემკულ მინდორზე გაშენებულ ქართულ სოფელს მრისხანედ გადმოყურებდა... მშვენიერი, დიადი სანახავი იყო ხელთ-უქმნელი ბუნების სურათი. იმ დროს, როდესაც ვერცხლისფრად დაფერილი ღრუბლები ერთმანეთს ეზიდებოდა და სპეტაკ კავკასიონის მთაზე ათას გვარად იპენტებოდა, ცის მოპირდაპირე კიდე თან-და-თან ლაჟვარდდებოდა, და მკრთლად მოციმციმე ვარსკვლავთა კრებულს კივკივით თავს ევლებოდა. ღამის სუსტი წყვდიადი გაუბედავად ებურებოდა ქვეყანას, მკვარტლის ფრთა იძაფებოდა, სადღაც ხრამებისაკენ მიეშურებოდა, რომ იქ გამეფებულიყო. გიჟმაჟი ცელქი ნიავი აქა-იქა დაფარფატებდა. ეძინა შრომისაგან დამაშვრალ სოფელს, არ ისმოდა კაცთა ხმაურობაც, მხოლოდ ნიავისაგან გაღვიძებული ტყე-მინდორი განუწყვეტლად შრიალებდა, ბებერი კაკლის ხეები ბუტ-ბუტით თავს უკრავდა მედიდურ ბუნებას. შორით მოისმოდა ლიახვის ქვითინი და ეს კვნესა დაუღალავის მდინარისა ღამის საიდუმლო ხმებს ყრუ ბანს აძლევდა... ამღერდნენ ღამის მგალობელნიც, აჰყვნენ ერთმანეთს, გადააბეს ჰანგი ჰანგსა და შემომქმედის სადიდებლად კისრები მოიღერეს. მწყობრად გალობდნენ ბულბულები და ბუჩქიდან ბუჩქზე გადადიოდნენ. აგერ ერთი მათგანი გულსაკლავად აჭიკჭიკდა, მერე უცბად

ჩარაკრაკდა, ჩარაკრაკდა და ჟყრიალით გადაეკლო მიდამოს. დაყრუვდა, დათვრა ნეტარებით მთელი ხეობა, მხოლოდ ლიახვი კვლავ გუგუნით მოხმაურობდა და მაღლა-მაღლა წასული მთვარე მის ზვირთებში მორცხვი კეკლუცივით თავს ილამაზებდა!..

დიაღ, დიადი იყო ეს ღამე. გამოუთქმელის სიტკბოებით აღსავსე იყო მთელი ბუნება. ღირდა, რომ მისი მომსირაღი ადამიანი დროებით მაინც ასცილებოდა თავის გულზვიადობას და დამტკბარიყო იმათი სურათების ცქერით, გულით და გრძნობით ამაღლებულიყო, მაგრამ დღეს ეფემია კეთილაძის გულისთქმა ვერაფრად ეწყობოდა ბუნების სიდიადეს. იგი თავის გარშემო ვერაფერს ხედავდა, ხხოლოდ პირქუშად გადმომჯდარიყო სახლის აივანზე და გაბრაზებული ილანძღებოდა.

ეფემია კეთილაძისა გახლდათ ერთი ჩვენებური, ძველებური ბანდილოსანი და მერე ისეთი, რომელიც აქამდისაც ვერ შერიგებია ძველებურ ჩვეულებათა შერყევას და რომელიც „ყოველ ახალში“ გარყვნილობისა და კუდიანობის მეტს არასა ხედავს; იგი იყო საშინელი ანჩხლი, თავის ნათქვამი და მეტის-მეტი ცრუმორწმუნე.

ეფემიამ თავისი სიყმაწვილე შვილებს შესწირა, ეგონა „უფროსის მორჩილებაში და სარწმუნოებაში აღვზარდეო“, მაგრამ მოსტყუვდა. შვილები აგრე რიგად არ ემორჩილებოდნენ და დედას ბატონყმობის დროის ადამიანს ეძახდნენ. ვაჟებისაგან კიდევ ითმენდა, რადგანაც ისინი ვაჟკაცები იყვნენ და, დედის აზრით, ყველაფრის თქმა შეჰფეროდათ, გარდა ამისა „ის დედა-მკვდრები“ სხვადასხვა ქალაქებში იყვნენ სამსახურში და არამც თუ მათი ლაპარაკი, ნახვაც-კი ხშირად ენატრებოდა ხოლმე ეფემიას. მაგრამ ვერ იომენდა თავისუფალ ლაპარაკს თავის უკვე გასათხოვარ ქალიშვილ თეოსაგან, რომელიც „რაღაც ეშმაკად“ სასწავლებელში გამოზარდა. იმ საღამოთიც ეფემია იმიტომ იყო გულმოსული, რომ ბინდ-ბუნდისას სასეირნოდ გასული თეო ჯერაც არ დაბრუნებულიყო.

— ერთი აქ მოვიდეს ის ძაღლის წიწილი! არა, აქამდის სად გამიგონია გასათხოვარი ქალის გარედ გდება! მერე ვინ

იცის იმ ბიჭთან არის, მაშინ ხომ სულ ბუწუწებიდან გავცლი იმ მაიმუნსა!—ბუტბუტებდა ეფემია და სიბრაზისაგან არ იცოდა რა ექნა. მაგრამ ტყუილად ავზნეობდა თავისებური შანდილოსანი. ბადრი მთვარე გაქანებული მიეშურებოდა დასავლეთისაკენ, გაცრეცილი ვარსკვლავები ოდნავ-ღა ბჟუტავდნენ, თეო-კი არსად სჩანდა. ეფემიას ლოდინში თვალები ამოუღამდა და თვლემა დაიწყო. მთვარის შუქი სახეზე დაფარფატებდა აივნის მოაჯირზე მიყუდებულ ეფემიას და უმისოდაც გაბრაზებულს მომაკვდავის ფერი დასდებოდა.

— ოიმე! ერთი აქ მოვიდეს, ერთი აქ მოვიდეს!—დრო გამოშვებით წამოიძახებდა ხოლმე ეფემია და კვლავ უცდიდა.

სოფლის ბოლოს, კაკლებით დაფენილ სერზე, მოსჩანდა ორი არსება. ესენი კარგა ხანია გაწოსულიყვნენ სოფლის განაპირას და ადამიანის ცნობისმოყვარე თვალთაგან მოფარებულნი, ერთმანეთს გულისნადებს უზიარებდნენ. ყმაწვილი კაცი ხეართ-თეძოზე წამოწოლილიყო, თავი ქალის კალთაში ჩაედვა და საყვარელ არსების სიახლოვით დამთვრალი გამოუთქმელ ნეტარებას ეძლეოდა. ბალახზე მოკეცილი ქალი-კი დახროდა ვაჟის სახეს, ხელებით თმას უსწორებდა და ისე ჩასცქეროდა თვალებში, გეგონებოდათ მთელი თავისი არსება იმის თვალებში უნდა გადაადუღოს, ან გულში ჩაუძვრეს და იქ სულის საძირკველთან დაისადგუროსო. ისხდნენ გაუნძრევლად, ზარტო გაძნელებული სულთქმა მოწმობდა, რომ გამოუთქმელ სულისკვეთებაში უნდა ყოფილიყვნენ... ნაზი ნიავი ტკბილ ძილის-პირს უგალობდათ და სასწორს გადაცილებული მთვარე ალმაცერად გადმოჰყურებდა შეყვარებულთ, თავისი სხივები ხის ტოტებში ჩაეპარებინა და თითქოს უნდა ყური დაუგდოსო, სვეტ-სვეტად დასდგომოდათ.

— აი, ჩემო თეო, რასა ჰქვიან ნეტარება,—დაიწყო ათრთოლებული ხმით ყმაწვილმა,—აი, სად არის ის ბედნიერება, რომელიც კაცს სულით ამაღლებს და ზნეობა-ხასიათით-კი აფაქიზებს. ამჟამად ისე ამაღლებულადა ვგრძნობ თავს, რომ მზათა ვარ ყოველგვარ ბოროტებას წინ გადავეღობო და კაცის სიცოცხლის მომწამველელ ძალმომრეობას ქვაზე თავი ვუხალო. მზათა ვარ ყველას სიცოცხლე შევწირო, ოღონდ-კი შენს თავს ნუ დამაშორებენ! ოჰ, რა ძლიერ მიყვარხარ, ჩემო

სალოცავო!—გატაცებით წამოიძახა ყმაწვილმა კაცმა, წამოიწია, ძლიერი ხელებით მოზიდა თავისკენ თეოს სახე და ხანგრძლივ დაეკონა.

— ხომ ჩემი ხარ... ჩემი... ხომ ყოველთვის გეყვარები, ხომ აიტან ჩემთან ერთად ღარიბსა და უფერულ ცხოვრებას?!—ჩასძახოდა ყმაწვილი გულზე მისეენებულ თეოს და აღელვებული სუნთქვას ძლივს იბრუნებდა... მიბნედილი თეოკი ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა და კანკალით ჩურჩულებდა: შენი ვარ, შენი, ჩემო სიცოცხლევ, ზურა, და სამარეშიაც კი თან წამოგყვებიო!

დადნენ, დაუძლურდნენ ორივენი და ნეტარების ბურანში გაეხვივნენ. ენა აღარ ემორჩილებოდათ, მხოლოდ სიცოცხლით სავსე თვალებით ერთმანეთს სულში უძვრებოდნენ. ვინ იცის რამდენს ხანს გასტანდა ეს თავდავიწყება, მაგრამ ამ დროს კაკლის ჩრდილი სერზე ფართოდ წამოიხარა. შეყვარებულები შეკრთნენ და ერთმანეთს მოერიდნენ. დამშვიდდა ყმაწვილი კაციც და თითქოს ერთმანეთისა შერცხვათო, კრძალვით ღიმილი-ღა დაიწყეს.

— მე რა ვქნა, რომ მიყვარხარ?!—ამბობდა ყმაწვილის თვალები.

— მე რა ვქნა, რომ მიყვარხარ?!—იმეორებდა თეოს მთელი არსება და ძალაუნებურათ სატრფოს მხარზე ეყრდნობოდა, და ისევ გამოუთქმელის გრძნობით გატაცებულნი, ხან გულჩვილ ყმაწვილებივით ტიტინებდენ, ხან ძლიერის გრძნობით აღფრთოვანებულნი, მზად იყვნენ დაეჩოქათ მედიდური ბუნების წინაშე და ცრემლით შეეედრებოდნენ ერთმანეთის დღეგრძელობას. ხან უძლურებივით ოხრავდნენ, ხან კიდევ გმირად გადაქცეულნი თავისი ბედნიერების შემბღალველს ემუქრებოდნენ.

— დასტკბით, დასტკბით! ცოტა არის მაგგვარი წუთები კაცის ცხოვრებაშიო, დაჰბუტბუტებდა დახაესებული ნიგვზის ხე და ზანტად ფოთლებს ითვლიდა.

გატყდა ღამე. ქვეყნის მნათობმა დიდი ხანია დაიქვეითა და მივიწყებულ ხევ-ხუჯშიაც ჩაიხედა. ღამე უფრო დაყრუდა, გამედიდურდა. გიჟი ნიავი სადღაც ჩამკეფარიყო და ლიახვსაც, თითქოს დასძინებიაო, ზმუილი-ღა გაუდიოდა.

თეო და ზურა ისევ სერზე იდგნენ. ქალი ვაჟს მხარზე დაყრდნობოდა, ვაჟს წელზე ხელი შემოეხვია და ისე გაჰყურებდნენ კავკასიონის მთაგრეხილზე ღრუბლებისაგან გამოქანდაკებულ მშვენიერს სურათებს.

აგერ ერთი ღრუბელი შეინძრა, ფრთა შემოჰკრა მეორეს, გაიშალა, გაიშალა და საყვარლათ გადაპენტილმა ნაკვთი გამოიცვალა. სხვებიც აჰყვნენ მის მაგალითს, რხევა დაიწყეს და ერთმანეთს ჩაეგრიხნენ. ალაგ-ალაგ ცის კამარამ შავათ გამოიხედა. ვარსკვლავებმა ერთმანეთს შესციმციმეს და კვლავ ღრუბლებს ამოეფარნენ. ზურა და თეო გატაცებით დაშტერებოდნენ ღრუბელთა სრბოლას, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ამავე დროს მათი სიყვარულით აღვსილი გრძნობა-გონება ღრუბლების დაგვარადვე იმედებით არ იფურჩქნებოდა და „სიძნელეს გზისას არ იადვილებდა“. ან იქნება მათ ამაღლებულ ფიქრებს ბედნიერების მისაღწევად საჭირო ბრძოლა ზედ დართოდა და ამ შერეულის გრძნობის ზეგავლენით, უსიტყვოდ, მარტო ოხვრით უზიარებდნენ ერთმანეთს ძლიერ სულისკვეთებას. დიაღ, ხანდახან ენაც ვერ შესძლებს ხოლმე გულის სიღრმეში ჩანასახ შორეულ გრძნობის გამოხატვას!

— წავიდეთ, წავიდეთ, ზურა, თორემ მგონი დედაჩემი კბილებს მილესავს!—დრო გამოშვებით იტყოდა ხოლმე თეო, მაგრამ ისევ იქ-კი იდგნენ, დაშორება ეზარებოდათ.

— წავიდეთ,—ერთხელ კიდევ გაიმეორა თეომ.

— ეჰ, წავიდეთ,—დაბლად უპასუხა ზურამ და დაუმატა: —წავიდეთ, მაგრამ თუ ხათრი გაქვს, გულს ნუღარაფერზე აიმღვრევ. რა ვქნათ, რომ არ ესმით რასა სჩადიან! ცოტა კიდევ მოვითმინოთ და იქნება ბოლო მოეღოს ჩვენს ტანჯვას. ეს ოხერი მდიდარი მაინც ვიყო, რომ დედიშენის გულიც დამშვიდებული იყოს,—გაუბედავად სთქვა ზურამ.

— სსუ! ჩემო იმედო, სიმდიდრეა გულწრფელობა, ბედნიერების მომნიჭებელი-კი სიყვარული და დაუღალავი შრომაო, მგონი მე შენგან გამიგონია,—სიყვარულით სავსე ღიმილით შენიშნა თეომ.

— ოღონდაც, ჩემო თეო, მაგრამ... შენ ხომ იმიტომ გტანჯავენ, რომა ღარიბ კაცს ნუ მისდევო,—ყრუთ, ნაღვლიანად უპასუხა ზურამ და წასასვლელათ მოემზადა.

— არა, არა, ზურაბ, მე რა დამტანჯავს, თუ-კი შენ ყოველთვის ჩემთან იქნები. იქნება გგონია მე მაგაზე მეტი ბრძოლა არ შემეძლოს? გამიძეღ წინ, შევუდგეთ ცხოვრების უსამართლობასთან ბრძოლას და თუ არ მოგყვე, ადამიანს ნუ-კი, მარტო დიაცი დამიძახე.

— მაშ კარგი, შენ ნუ შედრკები, ცხოვრების ფუქსავატობა ნუ გაგიტაცებს და მეც დაგიმტკიცებ, რა შეუძლია შენთვის და პატიოსნებისათვის თავდადებულ ადამიანს—აღტაცებით დაუმატა ზურამ. მხურვალედ გაუწოდა ხელი და სერიდან თავქვე დაეშვნენ...

— ნახვამდის, ზურა,—მიაძახა სახლთან მიახლოვებულმა თეომ.

— ნახვამდის, ჩემო შელის ნუკრო,—გაიმეორა ზურამ და გრძნობამორეული შინისკენ გამობრუნდა.

— უი, ქაააა! ერთი ნახეთ, რა ყოფაში არიან ეს საძაგლები!—დაცინვით წამოიძახა აივანზე მყოფმა ეფემიამ და ზეზე წამოიჭრა. ეფემია ეხლა უფრო ფხიზლად გრძნობდა თავს, რადგანაც თეოს მოლოდინში, ერთი პირი კიდეც გამოიძინა, მაგრამ რამდენათაც ძილმა დაამშვიდა, ორი იმდენათ განაგონმა „ნახვამდის!“ გააააფთრა და გააბრაზა.

თეომ საჩქაროდ აირბინა კიბე და რადგანაც დედა ვერ შენიშნა, სახლში შესვლას აპირებდა.

— მშვიდობა შენს მობრძანებას! სადა ხარ აქამდის, ქალბატონო?—წყნარის, მაგრამ ცოტა არ იყოს გესლიანი კილოთი, მიჰმართა ეფემიამ.

თეო შედგა. ერთხანს გაშტერდა, თითქო ამ დროს დედის გარედ ყოფნას არ მოელოდაო და შემდეგ მშვიდად უპასუხა:

— სად უნდა ვყოფილიყავ. განა ამისთანა უკვდავება ღამეში ამაზე ადრე დაიბუდებს ადამიანი? აბა დახე, რა მშვენიერებაა ეს დაძინებული ბუნება.

— აი, მეხი-კი დაგაყარე მაგ თავში! მაგისთანა რამეები რომ იცი, რატომ ის-კი აღარ იცი, რომ შენოდენა გომ-

პიო ამ დროს გარეთ არ უნდა ეგდოს. ვერა ხედავ, რამოდენა სირჯულ-ძაღლეა ქვეყანაზე, ჰა�ა!—დაიღრიალა ეფემიამ.

თეო სდუმდა.

— გესმის, შენოდენა გომბიოს ასე გვიან სახლიდან გარეთ თავი არ გაეყოფინება-მეთქი! განა რამდენჯერ მითქვამს შენთვის, შე უმსგავსო, შენა!—უყვიროდა ეფემია და მეტის სიბრაზისაგან თვალებს აბრიალებდა.

მართალია თეოს პირველად არ ესმოდა დედის ამგვარი ლაპარაკი, ახლაც შეეძლო პასუხი არ მიეცა, მაგრამ გადასწყვიტა ერთხელ კიდევ დაემშვიდებინა.

— აბა, რათა ჯავრობ, ჩემო დედა, ხომ გაიგე, რომ მე შენის აზრისა არა ვარ მაგ საგანზე და გარდა ამისა მე ჩემის ყოფაქცევით არავის ცუდს არ ვუშვრები. მადლობა ღმერთს ისეთი პატარა არა ვარ, რომ ჩემი მოვალეობა არ მესმოდეს.

— რაო, რაო, შენ რომ მაგისთანა ყბედობა გისწავლია, მაშინ წახდა ქვეყანა. ე მანდ ხმა ჩაიწყვიტე, თორემ, ღვთის წყალობა მაქვს, მე შენ დღე დაგაყარო! არა, შე უბედურის შვილო, მაშ, დიდი პატიოსნებაა შუაღამისას ალქაჯივით გარეთ დახეტიალობდე? ახლა რომ დაენახე ვისმე, აბა რას იტყოდა, ჰა!

— მე სრულიადაც არა ვცხოვრობ იმისთანებისათვის, ვისაც არც-კი ესმის, რას ლაპარაკობს და სრულიადაც არ ვაფასებ იმათ შეხედულებას!—ცოტა არ იყოს ხმის კანკალით უთხრა თეომ.

— აი გლახა-ამპარტავან ზურიასთვის ხომ ცხოვრობ!—ეღარ მოითმინა ეფემიამ და შეჰკივლა:—ე მანდ შენთვის გაჩერდი, ე ქვეყანას ნუ აყბედებ, თორემ, მამაჩემ ქაიხოსროს აქვს ცხონება, გადმოგიღებ და რაც სიგრძე გაქვს იმ სიბრტყეს მოგცემ. მეყო მეყო, ამდენი მოთმენა! ეხლაც იმასთან იყავ, არა? სთქვი-მეთქი, სთქვი!—აღელვებით, ხმა ჩახლეწილად წამოიხაზხავა ეფემიამ და გვერდზე მოუდგა.

— მერე, მე როდის გიმალავ, ან-კი რა საძრახისია, რომ ადამიანი თავის საყვარელ არსებასთან იყოს?—გაბედვით უპასუხა თეომ.

— დახე, დახე ამ მამ—სა, თუ ერთი ბეწვა დარცხვენა ჰქონდეს! გოგო, რეებს ლაპარაკობ? გოგო, რათ მარცხვენ? განა იმიტომ გამოგზარდე პენციონებში, რომ ვიღაც ზურაა, იმას წაჰყვე? ან-კი, რა ნახე იმ კუდიანის შვილში. წამალი ხომ არ გაპამა, მგლის ქონი ხომ არ მოგისვა, იმ უკეთურმა იმან! მე ხომ წინადაც დაგიშალე, ნუ დასდევ-მეთქი, შენ კიდევ შენსას არ იშლი, განა!—თან-და-თან წიწმატდებოდა ეფემია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა:—ღმერთო, ღმერთო, ეს რა დრო დაგვიდგა! აი მეხი-კი დავაყარე, ვინც ქალი სასწავლებელში გამოზარდოს!..

თეოს რაღაცა უნდა ეთქვა. უნდოდა გაემტყუნებინა ეფემია. უნდოდა თავის წმინდათა-წმინდა დაეცვა, მაგრამ აძ დროს გააფთრებული დედა მივარდა საბრალო ქალს, ერთი ორი ქიმუნჯი უთავაზა და ჩქმეტა-ხორცების გლეჯით საწოლთან მიათრია.

დიდი შეურაცხყოფა იყო შესმენილ, გასათხოვარ ქალისათვის დედის ასეთი მოპყრობა, მაგრამ ეფემია, ისეთი ადამიანი გახლდათ, რომ, როცა გაანჩხლდებოდა ხოლმე, ყოველგვარ მოსაზრებას ჰკარგავდა და ამასთან ისეთის უშვერის პირით და უწმაწური სიტყვებით ილანძღებოდა, რომ კაცი ყურებზე ხელს დაიფარებდა.

დედას, მამას, რჯულს, ღმერთს, სარწმუნოებას, შინაურს და გარეულს დომხალივით აურევდა ხოლმე ერთმანეთში. შვილებს ბევრჯელ ურჩევიათ, თავი დაანებე მაგისთანა ლანძღვა-გინებასაო, მაგრამ დოინჯ შემოდგმული ეფემია თავდაჭერით ეუბნებოდა:

— დიაღ, მამა გიცხონდათ! კარგად მოიქეცით და აღარ გავილანძღები. ავი შვილი დედ-მამის მაგინებელიაო.

ამჟამად ლახძღვა-კი არა, მზად იყო კბილებით დაეგლიჯა თავისი ქალი. რას ბრძანებთ, ეფემიას მოთმინების ძაფი გაუწყდა. აგერ რამდენიმე ხანია სულ იმას ეჩიჩინება თეოს, თუ ჩემი დედაშვილობა გინდა ისე მოიქეცი, როგორც მე გირჩევ, თორემ ინანებო. რითი ემუქრებოდა ეფემია, ან რაში ინანებდა, ეს ეფემიასათვისაც გამოურკვეველი იყო, მხოლოდ ეს-კი აშკარაა, რომ დედის თავმოყვარეობას რწმენა-შეხედულობას და შვილის ურჩობა-წინააღმდეგობას სასტიკი

ბრძოლა გაემართათ, რომელსაც ეფემია გაეავკაცებინა და თეო-კი უფრო განემტკიცებინა ხასიათით.

ეფემია, როგორც „ცხოვრებაში გამოცდილი“, მაგრამ უმეცრებით გარემოცული, ადამიანის ღირსებას სმა-ჭამითა და ჩაცმა-დახურვით აფასებდა, თეო კი როგორც ახალგაზრდა, ათასგვარის იმედებით და იდეალებით გატაცებული, არაფრად აგდებდა ცხოვრების ფუფუნებას, კაცის დანიშნულებას მხოლოდ უსამართლობასთან ბრძოლაში ხედავდა და სიამოვნებას—დაუღალავ შრომაში. თქმა აღარ უნდა, რომ ქალის მხრივ ამგვარი შეხედულება ეფემიას სიგიჟეთ ეჩვენებოდა. აკი იმიტომაც ყოველგვარ საშუალებასა ხმარობდა, რომ თეო ჭკუაზე მოეყვანა.

— აბა შეხედე შენს ტოლებს, როგორ იქცევიან, შენ რაღა ღმერთი გიწყრება,—ხშირად ეტყოდა ხოლმე ეფემია და მოუთვლიდა: როგორ უნდა ჩაიცვას გასათხოვარმა ქალმა, როგორ უნდა დაივარცხნოს თავი, როდის უნდა გავიდეს გარეთ და როდის არა, კაცის დანახვაზე როგორ უნდა მოიქცეს, რაგვარად უნდა წაისვას ფერ-უმარული და სხვა-დასხვა. როგორც ხედავთ, ეს სულ უმნიშვნელო რამეა, მაგრამ ეფემია-კი დიდად აფასებდა და სულით და გულით სწამდა კიდეც, რომ ქალის უმთავრესი ღირსება-დანიშნულება კეკელაობაა. სამაგიეროდ თეო ხშირათ ეკამათებოდა ხოლმე დედას ამ საგნების შესახებ და ეუბნებოდა: „მე თოჯა კი-არა, ადამიანი ვარ, ადამიანი და ადამიანს-კი არ შეჰფერის მაიმუნობაო.“ ოხ, ღმერთო ჩემო, ნეტა როდის იქნება, რომ ჩვენი მშობელ-აღზრდელნი საარშიყო საგნებად არ გვამზადებდნენ, ნეტა როდის იქნება, ჩვენ, ქალებსაც, რიგიანი სწავლა-ცოდნა მოგვეცეს, რომ მალე გამოვიდეთ იმ უმეცრებიდან, რომელიც გარს გვახვევიაო.

არ ვიცი, როგორ ასცდა თეო ჩვენის ახალგაზრდა ქალების საზოგადო მიმართულებას, მხოლოდ ეს-კი ვიცი, რომ ამ გვარის აზრებით გამსჭვალული თეო, სწავლის დამთავრების შემდეგაც მთელს თავისუფალ დროს წიგნების კითხვას ანდომებდა—უკვირდებოდა თავის თავს, გარემოს, დაუღალავად შრომობდა. ჩვენი ნაცნობი ეფემია კრეჭის თვალით უყურებდა თეოს ლაპარაკსა და საქციელს, ხან კიდეც დასცინოდა

და ურჩევდა რატა-რუტისათვის თავი დაენებებინა და ისე მოქცეულიყო, როგორც შეფეროდა იმის დედ-მამისშვილს. ეს შეფერება კიდევ იმაში მდგომარეობდა, რომ თეოს ვინმე „ნასწავლი, ჭკვიანი“ კაცი მოეძებნა და მალე დაბინავებულიყო. თეოს გულში ეცინებოდა ხოლმე, როცა დედა თავისებურ ნასწავლ კაცებს დაუსახელებდა და მშვიდად ეუბნებოდა: „რა დროს ჩემი გათხოვებაა, ჯერ ჭკუა არ მისწავლიაო“.

— არა, შენმა მზემ, კომბოსტოსავით დამჟავდი სახლში და მერე ხელმწიფის შვილი წაგიყვანს,—უპასუხებდა ხოლმე ეფემია, და ქალისათვის საქმროს დაეძებდა. ბევრი ნასწავლი კაცი შეეძლია თეოს, ბევრმა კარისკარ მოსიარულე სასიძოებმა მოიწადინეს თეოს შერთვა, მაგრამ თეო ზიზღით ეგებებოდა ქუჩა-ქუჩა ბედის მაძიებელთ და ერთი-ორი პირშიაც გამოლანძღა.

აი, ამ დღიდან დაიწყო დედასა და შვილს შორის უთანხმოება. გაიმართა ისეთი ბრძოლა, რომელიც სხვადასხვა მხრით და სხვადასხვა შემთხვევაში ბოლოს უღებს გარეგმოებისაგან შეთხზულ მაენე ჩვეულებათ და თითოეული ოჯახი გამოჰყავს სამართლიანობის, განათლების გზაზე. შაგრამ ძვირად დაუჯდა თეოს ეს ბრძოლა. კერპსა და თავისებურ ადამიანს ვერაფერი შეასმინა-რა. ხოლო როცა ზურას დაუახლოვდა, ეფემია საშინელი მოწინააღმდეგე გახდა, აამხედრა ყველა თავისი ნათესავებიც და შეერთებული ძალით ებრძოდნენ ყმაწვილი ქალის გულწრფელ გრძნობას, შაგრამ... დაბრკოლებანი ქარია, რომელიც უფრო აძლიერებს გულზე მოკიდებულ სიყვარულის ცეცხლს.

სწუხდა თეო დედის ასე მოპყრობისა გამო, მაგრამ სიყვარული მომავალს უცისკროვნებდა, გული სტკიოდა რომ ასე უღმერთოდ ამცირებდენ, მაგრამ ამავე დროს სიყვარული ცხოველ-მყოფელ ნექტარს ასხამდა უსამართლობისაგან დაკოდილ გულში: „ცოტა კიდევ და ბოლო მოეღება ამ ტანჯვას, ცოტა კიდევ და ჩემ ზურასთან ერთად ბედნიერი ვიქნებიო“. ამ სიტყვებით იქარვებდა თეო გულის დარდს, რადგანაც სწამდა, რომ ცხოვრებაში, საყვარელ არსებასთან თავისუფალი იქნებოდა და თავისუფლება ხომ პირველი ნეტარებაა ქვეყანაზე!

იმ დროს, როდესაც ეფემია თავის ქალს ეჩხუბებოდა და ნამტირალევი თეო იმის ფიქრში იყო, უთხრას თუ არა ზურას ეს უკანასკნელი თავის დამცირებაც, ზურა ქებაშვილი, თითქო გულს უგრძვნიაო, ჩქარის ნაბიჯით გადი-გამოდიოდა თავის სახლის წინ და თითქმის ხმამაღლივ იძახოდა:

— უთუოდ კიდევ გაუჯავრდებოდა იმ ადამიანს! ღმერთო, ღმერთო, რა უნდათ ჩვენგან, რაზე გვიშხამავენ სი. სიცოცხლეს! ერთი ჩქარა მაინც მომივიდეს ჩემი არზის პასუხი... გუბერნატორობას ხომ არ ვთხოვ, მე მინდა ჩემს სოფელში სასწავლებელი დავაარსო, ხარჯს არა ვთხოვ და ბორჯსა. მაშ, ნეტა რაღათ აკვიანურებენ საქმესა! ოი-მე, ოი-მე!!—ბრაზობდა ზურა და თავჩაღუნული ფეხს უფრო უჩქარებდა. ან-კი როგორ არ გაბრაზებულიყო. ეხლა მის გულში მთელი ჯოჯოხეთი ენთო: ხედავდა სატრფო ეტანჯებოდა და გარემოება-კი ნებას არ აძლევდა დაეხსნა იგი ამ ტანჯვისაგან, უნდოდა მალე შესდგომოდა არჩეულის საქმის ასრულებას, უნდოდა გამოეცადნა თავისი ძალ-ღონე, უნდოდა დამეგობრებოდა ხალხს, მათთან ერთად ჭირი და ლხინი გაეწია, მაგრამ დღე დღეს მისდევდა და გამოურკვეველ მდგომარეობას კი ბოლო არ ეღებოდა.

ზურა ქებაშვილი ერთი იმ ყმაწვილკაცთაგანი იყო, რომელთაც ადრე გამოუკვლევიათ ცხოვრების მიზანი და რომელნიც სულით და გულით ეწაფებიან თვითგანვითარების, წარმატების წყაროს. მაგრამ ზურა მეტის-მეტი ღარიბი იყო, სწავლის შესაძენათ ქონებრივი მხარე ხელს არ უწყობდა და ძალა-უნებურად უნდა დამონებოდა მწარე ბედს, უნდა დაკმაყოფილებულიყო საშუალო სასწავლებლის დამთავრებით. ძნელია სიღარიბე, ძნელია, როდესაც კაცს სწყურია სწავლა, როდესაც ათას გვარი მწვავე საკითხავი გულს ულადრავს და იმას კი შეძლება არა აქვს გამოიკვლიოს, გამოსჩხრიკოს, ცოტათი მაინც ახსნას ცხოვრების ათას-გვარი ამოცანა. ამგვარ შემთხვევაში ქონებრივ სიღარიბეს, ბრძოლას „ლუკმა პურისათვის“ ზედ ერთობა სულიერი ბრძოლა.

ზურა ქებაშვილი იმ თავითვე ტანჯვა-ვაებაში ჩავარდა. ობოლი, ერთ უფერულ სასწავლებელში მიბარებული, პატარაობითვე უნდა შებმოდა ათასგვარ გაჭირვებას. ხან შიმ-

შილს ეომებოდა, ხან სიტიტვლეს, ხან მასწავლებელთაგან ითმენდა დამცირებას, ხან უფროსებთან მოუხდებოდა ხოლმე შელაპარაკება და ამგვარად მთელი დრო თითქმის სულ ზრუნვაში იყო. ასეთმა უფერულმა ცხოვრებამ თავისებური ზეგავლენა იქონია ზურაზე და გული შხამით აუვსო. სძაგდა ყველა, ვინც პირფერობა-ფარისეველობაში აღამებს მთელ დღეს, ეზიზღებოდა „ქვემძრომ-ქვეწარმავალნი“ კაცუნები (როგორც თითონ იტყოდა ხოლმე), უყვარდა პირდაპირობა, თუმცა-კი ადვილად არ ენდობოდა ადამიანს... ზურას დაღვრემილ, სევდით სავსე სახეზე ნათლად ამოიკითხავდით, რომ ამ ყმაწვილ კაცს ბევრი სულიერი ბრძოლა უნდა გამოეველოსო და არც მოსტყუვდებოდით. იშვიათი დღე ახსოვდა ისეთი, რომ მშვიდად გაეტარებინოს... აგერ გაათავა კიდეც სასწავლებელი, ცხოვრებაში გამოსდგა ფეხი და ეს ნეტარი ხანა, როდესაც მოსწავლე ისე სუბუქადა გრძნობს თავსა, თითქოს მთელი ქვეყნის ბარგი ზურგიდან მოხსნესო, ზურასათვის მთელი ტანჯვა იყო... ვერ მოუხდა მაღალ სასწავლებელში წასვლა...

„ჩვენც დავამთავრეთ სწავლა, ჰა?“ დაეკითხებოდა ხოლმე ზურა პირველ ხანებში თავის თავს და უმატებდა: „მერე მომზადებულნი-კი ვართ ცხოვრებისათვის? განა შეგვიძლიან ჩვენის შრომით ვიცხოვროთ? სხვისა რა მოგახსენოთ და მეკი ასე მგონია, რომ ჯერ ბევრი, ძალიან ბევრი გვაკლია და... ოხ, ნეტა შემეძლოს მაღალ სასწავლებელში წასვლაო“, სრული გულის ტკივილით აბოლოვებდა ხოლმე ზურა და მთელი დღე დაღვრემილი დაიარებოდა...

სწავლის დამთავრების შემდეგ ზურას შეეძლო სახელმწიფო სამსახურში შესულიყო, მაგრამ დასძლია ამ „ტკბილ მაცდურებას“ და სოფელში ცხოვრება ამჯობინა. „ერთ ორ კაცს ხომ ვასწავლი წერა-კითხვას და ესეც დიდი საქმეაო“, გაიფიქრა ზურამ და გამოსწია თავის საყვარელ სოფლისაკენ. უნდა მოგახსენოთ, რომ ერთადერთი სატრფიალო ზურას ცხოვრებაში სოფელი იყო. აქ, მშვენიერ ჩრდილების ქვეშ ბევრჯელ დაუღამებია მთელი დღეები წიგნის კითხვით, მარტო აქ უგრძვნია თავი თავისუფლად და გლეხებთან ლაპარაკით, მათი ტანჯვა-წვალების მზერით, შეუდგენია სხვა-

დასხვა საოცნებო გეგმები, წარმოუდგენია თავისი თავი მათ ბელადად ჭირსა და ლხინში, გაუთვალისწინებია ღარიბი, მაგრამ პატიოსანის შრომით სავსე სოფლის ცხოვრება, და ისეთი ნეტარება, ისეთი სიტკბოება უგრძვნია ხოლმე, რომ გადავიწყებია ნანახი შავი დღეები. მაგრამ, საუბედუროთ, ოცნება იმოდენადვე ხან-მოკლეა, რამდენადაც ტკბილი და სუბუქი.

თითქმის მეორე წელიწადი მიდიოდა ზურას სოფელში დაბინავების შემდეგ და მაინც ვერ მოეწყო ისე, როგორც თვითონ ფიქრობდა. სოფლის მოხელენი ისე უყურებდნენ, მას, როგორც თავის მეტოქეს (ჩვენში ამ ბოლოს დროს „ნასწავლი“ მამასახლისები გვყავს). ღვდელი—როგორც მოადგილეს; ღვთის წინაშე პირველ ხანებში, არც გლეხები ენდობოდნენ, არ ვიცი ეს ვისი ბრალი იყო, მხოლოდ ხმა-კი დადიოდა, რომ ერთმა მოხელემ შეაგულიანა სოფლის მეთაური კაცები და სასწავლებლის გახსნა იმიტომ იგვიანებსო. დაღონებულ-დაძმარებული ზურა ყოველგვარ საშუალებასა ხმარობდა გლეხებისათვის თავი შეეყვარებინა, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ჩვენი გლეხები მიუხედავად იმისა, რომ წინდახედულები არიან, ნეტის-მეტათ დაუშინებიათ. თუ-კი რამდენჯერმე დაინახეს ერთი და იგივე კაცი, ევროპიულ ტანისამოსით, მაშინვე ან „ზელამერს“ დაუძახებენ და ან ხელმწიფის კაცს, რომელიც, რასაკვირველია, სოფლის შესაქმელად მოვლინებულაო. ზურაც პირველად ხელმწიფის კაცად ჩასთვალეს. მართალია, ამავე სოფლის შვილი იყო, მაგრამ ხშირად გაიგონებდით გლეხებისაგან, რომ „შვილოსან მაგას თუ სოფლის შეჭმა არ უნდოდეს, აქ-კი აღარ მოვიდოდაო“.

— ნწ, არა, გიო, ჩემმა მზემ, შენა ჰტყუი. მაგას სოფლის შეჭმა რომ უნდოდეს, სოფლის მოხელეთ გახდებოდაო,—ეუბნებოდა ხოლმე მეორე.

ასეა თუ ისე, ზურა თითქმის ორ წელიწადს მოუნდა, ვიდრე გლეხებში რამე პატივს დაიმსახურებდა... დამშვიდდა ზურა. გლეხებმა გული გაუხსნეს და შიგ ჩაახედეს. სოფლის ათასგვარმა გაჭირვებამ აიძულა ქებაშვილს მხურვალე მონაწილეობა მიეღო სოფლის წარმატებაში. მთელი დღე ვლეხობაში დატრიალობდა. თავისუფალ დროს წიგნებს, გაზეთებს

ეკითხავდა, სცდილობდა ჩარჩი ვაჭრები თავიდან მოეშორებინა სოფლისათვის... ზურას სოფლის გულშემატკივარის სახელი გაუვარდა და გლეხები ბუზებივით ეხვეოდნენ...

ამ დროს ეკუთვნის ზურას თეოსთან დაახლოვების ამბავიც. სოფლის ორი შესმენილი ადამიანი ერთმანეთს მალე დაუმეგობრდნენ. მეგობრობას აზრების გაცვლა-გამოცვლა მოჰყვა, გულმა გული იცნო და სული სულს შეუერთდა...

* *

ბედნიერნი იყვნენ თეო და ზურა, ბედნიერნი. ზურას დაჩაგრულმა გულმა გამამხნევებელი და დასამშვიდებელი ნათესაყუდარი ჰპოვა. სიყვარულის ზეგავლენით ზურას სიცოცხლის, ენერგიის ძალამ ერთი ათად გაშალა ფრთა. თეო ხომ ნეტარებით დნებოდა, რადგანაც იმანაც ჰპოვა თავისი აზრების შესაფერი ადამიანი, ჰპოვა ნამდვილი მუშა კაცი, რომელზედაც ხშირად ოცნებობდა. მართალია დედამისი დიდი მოწინააღმდეგე იყო, მართალია თავისებურად კიდეც ბევრჯერ გალანძღულა, მაგრამ რაკი ხედავდა ქალის თავგანწირვას, ბევრს ვერაფერს აწყობდა და ძალა-უნებურად თავმოყვარეობა დედა-შვილურს გრძნობას უთმობდა უპირატესობას.

სოფლელებიც აღტაცებით მიეგებნენ თეოსა და ზურას დანიშვნის ამბავს და უხაროდათ, რომ ორი მათთვის თავდადებული ადამიანი, „გაბედნიერდნენ“.

— გათავებულია, გათავებული ჩვენი საქმე,—სიხარულით უთხრა ერთხელ თეომ ზურასა.—არამც-თუ ერთი და ორი, მთელი ქვეყანა რომ ამხედრებულიყო, ჩვენი განშორება შეუძლებელი იყო. ჩქარა დავიწყოთ ერთად ცხოვრება და ყველას დავანახვოთ, რომ მედგარი შრომა და თავგანწირული ურთიერთობა ყოველი კეთილის შემძლებელია!—აღტაცებით დააბოლოვა თეომ, წელში გასწორდა და ამაყად შემოავლო თვალი მიდამოს, თითქოს უნდა აგრძნობინოს თვით ბუნებასაც-კი, რომ მისგან შექმნილი, სუსტ არსებად წოდებული დედა-კაცი, მართლა ისეთი სუსტი არ არის, რომ საზოგადო ცხოვრებაში თავისი წვლილის შეტანა არ შეეძლოს და თავისი მოვალეობა არ აღასრულოსო.

თეოს ვაჟკაცურმა გამომეტყველებამ, მისმა ცეცხლით აღ-
გზნებულმა შავმა თვალებმა ზურას გულშიაც ცეცხლი დააკ-
ვესა და იგი აღტაცებით გადაეხვია საყვარელ არსებას.

— მომეცი, მომეცი ხელი, შეერთებული ძალით გავწიოთ
ეკლიანს გზაზე, მედგრად მივუშვიროთ გული წუთისოფლის
ქარტეხილს, ვიბრძოლოთ იმდენ ხანს, ვიდრე ჩვენი მოსიყვა-
რულე გული მკვერდ-ქვეშ გვიცემდეს. გავსწიოთ წინ უმანკო
სიყვარულით აღფურვილებმა და სიყვარული ხომ დედაა ყო-
ველგვარი სათნოებისა!

— სიყვარული ყველა გაჭირვების მძლეველია,—დაუმატა
თეომ და ისე მაგრად ჩასჭიდა ხელი ზურას, თითქოს ეხლავე
უნდა წაიყვანოს საბრძოლველათაო.

— დიაღ, სიყვარული დიდი ძალაა,—ჩამოართვა სიტყვა
ზურამ,—და ჩვენც დავძლევთ ყოველგვარ გაჭირვებას, მაგრამ
ჩვენი სიყვარული ქალაჩუნობაში არ უნდა გამოიხატოს.
დღეს ჩვენ რომ ბედნიერები ვართ, ვეცადოთ სხვასაც შეეუმ-
სუბუქოთ თავისი მწარე ბედი... ჩვენ დაგვაახლოვა ხალხზე
ლაპარაკმა და მოდი ისევ იმ ხალხისთვის ზრუნვა იყოს ჩვენი
სიყვარულის თავდები. ხედავ ამ მშვენიერს და მდი-
დარს ბუნებას. ისეთი ლამაზია, ისეთი დიადი, რომ მგონი
მკვდარსაც-კი სული ჩაუდგას, მაგრამ ჩვენი სოფლელების
ცხოვრება გაძიმწარებულა, შეუბრალებელ ისტორიის ქარ-
ტეხილს დაუძაბუნებია, უვიცობის წყვდიადში გაუხვევია. აი
მაგათ უნდა შევწიროთ ჩვენი მცირეოდენი ცოდნა, მაგათ
გაგვზარდეს და მშობელს ამაგი უნდა გადავუხადოთ, შეეწი-
როთ ჩვენი სიცოცხლეც, თუ-კი ამას საჭიროება მოითხოვს.
მხოლოდ ერთი რამა გვაქვს საკუთარი და იმითი-კი ჩვენ უნდა
ვისულდგმულოთ,—ეს არის ჩვენი სიყვარული, ჩვენი კავში-
რი.—აქ ზურა ცოტას ხანს შეჩერდა და შემდეგ დაუმატა:

— მართლაც და ან-კი რა არის ბედნიერება თუ არა შეურ-
ყეველი ურთიერთობა და მოძმისათვის თავის დადება?

— ოღონდაც, ჩემო იმედო, ოღონდაც!—კვერს უკრავდა თეო.

ამ დროს მართლა ისეთი ბედნიერები იყვნენ, რომ მათი
სულისკვეთების გამოსახატავად ფოლადის კალამი არა კმარა.
ამის გასაგებად გულია საჭირო, გული წმინდა გრძნობით და
ტკბილის იმედებით აღსავსე!

* *

დიდხანს არ გასტანა შეყვარებულების პოეტურმა აღტაცებამ! არ გასულა რამდენიმე კვირა ზემოთ აღწერილის ბაასის შემდეგ და ცხოვრებამ ისეთი განსაცდელი მოუვლინათ რომ ძალა-უნებურად მოეშხამათ ტკბილი წუთები. ზეციურ აღმაფრენიდან ისევ ძირს მიწაზე დაეშვნენ, რომ კვლავ უფრო დატანჯულიყვნენ, ადამიანებს არაადამიანური გაჭირვება ეამოეცადნათ და ამგვარად ან სავსებით გამოწაფულიყვნენ ცხოვრებაში და გმირები გამხდარიყვნენ, ან არა და ქედი მოეხარათ ბოროტების წინაშე და ცხოვრების მორევში უმნიშვნელოდ დაღუპულიყვნენ.

ჯერ ისევ ნეტარების, სიყვარულის მორევში დალივლივებდნენ, ჯერ ისევ გულის ცემით მოელოდნენ იმ მათთვის ბედნიერ დღეს, როდესაც სასწავლებლის დაარსების ნებართვა მოუვიდოდათ და ცოლ-ქმარნი შეუდგებოდნენ ხალხის წაომატებისათვის შრომას, ნაფიქრ-ნაგრძნობის წმინდა იდეალების განხორციელებას და ამ დროს უცბად ხმა გავრცელდა, რომ ზურა ქებაშვილი უნდა დაიჭირონო!

ხმა ტყუილი არ გამოდგა. ზურას პოლიცია გაფაციცებით დაეძებდა.

დაჭერის მიზეზი მგონი ყველასათვის ცხადი უნდა იყოს და შე-კი ნება არა მაქვს ამის შესახებ ვილაპარაკო... ზურას კეთილ მისწრაფებას ლაგამი ამოსდეს, მის შეყვარებულ გულს უსამართლობის ლახვარი გაუტარეს და მისი ახლო მომავალი ჯანღით შემოსეს.

გულ-მოკლულმა, დაღონებულმა ზურამ ერთ დღეს თეოსკენ გასწია, ის კარგად გრძნობდა, რომ უკანასკნელად-ღა ნახავდა თეოს! მიდიოდა ნელას ნაბიჯით. სულიერ ბრძოლას მის სახეზე მომაკვდავის ფერი აღებეჭდა და მაღალი შუბლი დაენაოჭებინა. მოულოდნელ ამბავს ვაჟკაცი თითქმის დაელაჩრებინა და გულოვნება წაერთმია. აგერ თეომაც დაინახა და ალეწილი გამოეგება.

— რათა ხარ ეგრე, კაცო, რა მოგივიდა?—დაეკითხა შეშინებული თეო.

ზურა ხმას არ იღებდა.

— მითხარ, მითხარ რა მოგვიდა?—მოუთმენლად ეკითხებოდა თეო.

— რაღა რა მომივიდა, ჩემო კარგო, ჩვენს ოცნებას, ჩვენს ერთად ცხოვრებას დროებით ბოლო უნდა მოეღოს.

— როგორ, რა ნაირათ, ნუთუ აზრი გამოიცვალე? მითხარ, ნუ მტანჯავ!—ეხვეწებოდა თეო და თან-და-თან ფითრდებოდა.

— ხმები გამართლდა, მე უნდა დამაპატიმრონ,—მოკლეთ წარმოსთქვა ზურამ და თავი უფრო ძირს ჩაჰკიდა.

— ვაიმე!—წამოიძახა თეომ, წარბარბაცდა და თავი რომ ვეღარ შეიკავა, ზურას მიეყრდნო. მიხვდა თეო, რაშიაც იყო საქმე, მიხვდა და მისმა ჩვილმა გულმა ვეღარ მოითმინა, თვალთაგან ცრემლის ნაკადული წამოსკდა. სტიროდა თეო, სწუხდა ზურაც და სანუგეშო სიტყვები ვეღარ ეპოვნა. ან-კი რა ეთქვა, რიღათი გაემხნევებინა, რიღათი შეემსუბუქებინა ეს უკანასკნელი დანაკლისი.

— კარგი, ნუ სტირი... სჩანს ბედი არა გვწყალობს. ჰო, კარგი ნუ სტირი, ჩემო თეო,—ეუბნებოდა ზურა და ცრემლის შესაკავებლად ტუჩებს იკვნეტავდა. თეო-კი ისევ სტიროდა, ისევ ქვითქვითებდა.

— ღმერთო, ეს რაღა მოგვივიდა, ღმერთო, ეს რაღა დაგვემართა!—ნაწყვეტ-ნაწყვეტად იძახოდა თეო.

— ჰო, კარგი ნუ სტირი, კარგი-მეთქი!—წამოიძახა ზურამ,—სირცხვილია ჩვენი ასეთი საქციელი. სჩანს უნდა ვიტანჯოთ და გულ-მაგრობა, ხასიათის სიმტკიცეც სწორედ აქ არის საჭირო. იმედი მაქვს, შენ სულით არ დაეცემი და ყოველთვის გეყვარები. მე-კი... წავალ ჩემთვის გამზადებულ საპატიმროში და იქ... შენით გავმხნევდები!—ზურას ხმა ჩაუწყდა.

— ოხ, ზურა, ზურა, რა აუტანელი ღვთის ცეცხლი მოგვეევლინა!—წარმოსთქვა ხმის კანკალით თეომ, — მაგრამ რას ვიზამთ, უნდა მოვითმინოთ... ნუ, ჩემო ზურა, ნუ იფიქრებ, რომ შენ ჩემ თვალში დამცირდე, შენმა თეომ დაგვიწყოს, ნუ გგონია მარტო ლხინისათვის უნდოდი შენს თეოს. არა, მე შენ დაგიმტკიცებ, რომ მიყვარხარ და მეყვარები კიდეც! დეე, დაინახოს მთელმა ქვეყანამ, რომ ყველა ქალი მარტო

გათხოვებისათვის არ აძლევს ხელს საყვარელ კაცსა, დეე ყველამ დაინახოს, რომ ჩვენ, ქალებსაც, შეგვიძლია გაჭირვეპის ატანა. შეგვიძლია ბრძოლა ცხოვრების უკეულმართობასთან... მე პატივს ვცემ იმ დედა-აზრს, რომლის გულისთვისაც შენ უსამართლოდ უნდა დაიტანჯო. წადი, ჩემო ზურა! ციხეში მარტო უპატიოსნონი არ არიან ხოლმე დამწყვდეულნი!— ძლიერად სთქვა თეომ და გულზე ხელი მოიჭირა. ეტყობოდა ძნელი წარმოსათქმელი იყო თეოსათვის ეს სიტყვები.

ზურა თავჩაღუნული ოხრავდა. თეოც დააცქერდა და კვლავ აქვითინდა.

— ოხ, რა ჯოჯოხეთია ჩვენი ცხოვრეპა! უნდა მომშორდე?—ქვითინებდა ქალი და დასუსტებული ფეხზე ვეღარ დგებოდა.

ამჟამად მათი არსება შეეპყრო თვით-დაცვის გრძნობას, მათი ბედნიერების დამრღვევ სიმწარეს. უნდოდათ ცხოვრება, ერთად ყოფნა და ერთად სიკვდილი... გამოუთქმელი იყო მათი სულისკვეთება! ადვილი შესაძლებელია ამგვარ წუთებში იხატებოდეს ხოლმე ის საშინელი გადაწყვეტილება, რომელიც ხანდახან საზოგადო საქმეს პირადობას უნაცვლებს. მაგრამ ზურა არც ეგრეთი სუსტი იყო.

* *

ასე დასრულდა თეოს და ზურას ცხოვრების პირველი ხანა. სოფელს გლოვის ზარად მოედო ზურას დაჭერის ამბავი და ათასგვარი მითქმა-მოთქმა გაიმართა... ისევ მარტო დარჩა თეო. გული ზურას გაატანა და თითონ მავი ფიქრები-ღა დაიტოვა. ეფემიას მწუხარება-სიბრაზეს საზღვარი არა ჰქონდა. „აკი ვეუბნებოდი ამ ჩემ ქალბატონს, თავი დაანებე მაგასა-ნეთქი. ვატყობდი, რომ კაი შვილი არ იქნებოდა, ვიცოდი, რომ ჩემი ქალი უბედური შეიქმნებოდა, მაგრამ რომ არ დამიჯერა!“ ჰფიქრობდა ხოლმე ეფემია. მისთვის გაუგებარი იყო ზურას საქციელი და ვერც დააფასებდა. ამგვარი ადამიანები ჯერ ბევრი არიან ჩვენში, მათი იდეალი ობილი სამსახურია და ბედნიერებას—მხოლოდ ფუფუნებით ცხოვრებაში ხედავენ. დიახ, ბრაზობდა ეფემია, მაგრამ თეოს ვეღარას ეუბნებოდა, რადგანაც ხედავდა თეოს წუხილს. ხან-

და-ხან თუ შეიკურთხებოდა ხოლმე თავისებურად. სხვასაც ეცოდებოდა თეო. მაგრამ თითონ-კი, თუმცა სწუხდა, მაინც უბედურად არა სთვლიდა თავის თავს, პირიქით, თეოს შემთხვევა ეძლეოდა დაემტკიცებინა თავისი პატიოსნება.

* *

ქ. წყალთაშუას საპატიმრო ქალაქის განაპირას იყო აშენებული. მაღალი, თეთრად შელესილი ქვიტკირის გალავანი შთასავით აპყუდებოდა საპატიმროს შენობას და პირველ შეხედვაზე აგრძნობინებდა ადამიანს, რომ ეს შენობა ტუსაღთა თავშესაფარი უნდა იყოსო. საპყრობილეს ჟამთა-ვითარებისაგან დახავსებული სახურავი, საგანგებოდ წინ წამოწეული-ყო და უმისოდაც პატარა, რკინებით გახლართულ ფანჯრებს შავბნელად ჩამოჰფარებოდა. დიდი, მწვანედ შეღებილი ალაყაფის კარები შავად შეღებილი ბოქლომებით დაეჯალჯნათ, თითქოს მართლა მარტო იმ კარების იქით იყოს ბოროტება დამწყვდეულიო! საპყრობილეს წინ იყო პატარა მოედანი, რომლის თავსა და ბოლოს წამოჭიმული სადარაჯოები ერთმანეთს გასცქეროდნენ. ამ მოედანზე გადი-გამოდიოდა მხარზე თოფ-გადებული ჯარისკაცი. სდუმდა არემარე, მხოლოდ ფანჯრებთან მოგროვილი ტუსაღები რაღაცას ხმაურობდნენ, ზოგი მათგანი-კი დაყრონობოდა რკინებს და დაღონებულ-დაძმარებული გამოიყურებოდა. გამელელ-გამომველელი ცნობისმოყვარეობით შეხედავდნენ ხოლმე ტუსაღებს და ძალაუნებურათ ღონდებოდნენ.

აგერ ერთმა ტუსაღმა ვიღაცა ნაცნობი დაინახა, ჩიტივით შეფრთხიალდა ფანჯარასთან და ხრინწიანის ხმით გადმოსძახა:

— გამარჯობა, სოსიკაააა!

სოსიკა შედგა, შუბლზე ხელი მიიფარა და ფანჯრებს დააცქერდა.

— ვერ მიცან, კაცო, მე ვარ, მე პეტრეი!

— ვაიმე, ვაიმე, რაღას გიცნობ,—მდევივით ბიჭი კიწაწივით გაბზდარხარ!—გაიფიქრა სოსიკამ და უფრო დააცქერდა.

— აჰაი! შენა ხარ, ბიჭო, როგორა ხარ,—დაუყვირა აქედამ სოსიკამ.

— ეჰ, როგორ ვიქნები, განა არ იცი!—ნაღვლიანად უპასუხა პეტრემ... მაგრამ შენ ეს მითხარი, დედაჩემი როგორ არის?.. ი გოგო ხომ არა ჯავრობს, უთხარ მალე მოვა-თქო.—ნაწყვეტ-ნაწყვეტად გადმოსძახა პეტრემ და თავი ჩაღუნა.

— ვეტყვი, ვეტყვი,—ყრუთ უპასუხა სოსიკამ.

პეტრეს კიდევ რაღაც უნდა დაებარებინა, მაგრამ ვეღარ მოახერხა. ცრემლი თუ ხრიწინწი არჩობდა.

სოსიკამ უცქირა, უცქირა, ნაღვლიანად გაიქნია თავი, ყოჩაღად იყავიო—მიაძახა,—ჩოხის კალთით ცრემლმორეული თვალები მოიწმინდა და ოხერით გასწია. პეტრემ ხანგრძლივ გააყოლა თვალი. ვინ იცის რა გამოუთქმელი ჯოჯოხეთი უტრიალებდა გულში საბრალო პეტრეს?!

პეტრეს გვერდზე, მეორე ოთახში, მოთავსებული იყო ჩვენი ზურა.

ზურა წამოწოლილიყო გამხმარ ლოგინზე და შავ-ფიქრებს მისცემოდა. ტუსაღის ხრიწინწიანმა ხმამ ყურებში გაურბინა და წამოდგა.

„დედაჩემი როგორ არის? ი გოგო ხომ არა ჯავრობს?“ გაიმეორა ზურამ და მწარედ ამოიოხრა.

— ოხ, ცხოვრებავ, ცხოვრებავ! საწყალი პეტრე, საწყალი „გოგო“,—ნაწყვეტ-ნაწყვეტად იძახდა ზურა.

მაგრამ მე რაღა ვარ, მე-კი საწყალი არა ვარ? დაეკითხა თავის თავს. მე-კი არა მყავს გულის სატრფო, მე-კი არ ვიტანჯები! სასოწარკვეთილებით წამოიძახა ზურამ და თვალზე ცრემლი მოადგა. ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. ზურას სახეზე რაღაც უცნაური გამომეტყველება დასდებოდა. თვალები მიბნედოდა, ჩაღრმავებოდა, თითქოს ამ ქვეყნის საცქერად აღარ მოუცლია, გულისკენ გაბრუნებულა და იქ ათვალიერებს მის ჭრილობასაო.

ოხ, ღმერთო ჩემო, რათა მტანჯავენ ასე უწყალოდ, ვისი მეოხებითა ვარ ყოველგვარ სიამოვნებას მოკლებული? ადამიანო, ადამიანო, რა დიდი გამოცანა რამა ხარ, როგორ უკეღმართად მოგიმართავს ცხოვრების ჩარხი, რა ჯალათად გახდომიხარ შენსავე თავსა,—ჰფიქრობდა ზურა და სახე თანდა-თან ებურებოდა.

— მეუბნებიან ადამიანი თავისუფალიაო. სად არის სად ეს

თავისუფლება. რაში გამოიხატება ეს დიადი სიტყვა. აქვს განა შესაფერისი მოქმედება? სად არის თავისუფლება, როდესაც ადამიანი ყოველ ფეხის გადადგმაზე საფრთხეში ვარდება. სად არის თავისუფლება, როდესაც სიმართლის მიმდევარი ჭიანჭველასავით ისრისება! ნუთუ ის არის თავისუფლება, რომ პირუტყვივით ვიმუშაოთ, კუჭი და მუცელი გავიძღოთ, ლამაზად ჩავიცვათ და დავიხუროთ? ან ნუთუ იმაში გამოიხატება—რომ ერთმანეთს ფეხები ვულოკოთ, სუსტი დავჩაგროთ, ძლიერს მუხლი მოვუდრიკოთ, საყვარელი საყვარელს გამოვგლიჯოთ, ოჯახი შევუგინოთ, ერთი მოვკლათ იმიტომ, რომ მეორე გავამდიდროთ? ამაზე მეტი ხომ არა არის-რა ჩვენი ცხოვრება!—ბობოქრობდა ზურა და რაც უფრო ფიქრობდა, გული ყელში ებჯინებოდა, ათასგვარი საკითხავები ენაზე ადგებოდა და მთელ თავის ცხოვრებაში ნანახ-ნაგრძნობი თვალ-წინ ე'მლებოდა. აგერ ერთ თვეზე მეტია გათვალისწუნებული, სულ ფიქრობს, სულ იტანჯება. ამ ერთის თვის განმავლობაში ძირიანად გადასჩხრიკა მთელი ცხოვრება, გაჩიჩქნა ნაცნობის გული და გონება, ჩაიხედა სულის ყველა კუნჭულში და იქ აღმოიკითხა ეს მწარე მაგალითები.

— მომეცით, მომეცით ცხოვრება!—გაიძახოდა ზურა,— მეც გული მაქვს, მეც მიყვარს, ჩემი სულიც სიმშვიდისკენ მიისწრაფის, მომეცით თავისუფლება, მაგრამ ისეთი კი არა, როგორიც შენ გესმის, ცხოვრებისაგან გალაღებულო ადამიანო! მომეცით ხელი პეტრე, სოსიკა, ნინია, ყველა, ყველა ტანჯულნო! როდემდის უნდა ვიყვნეთ სხვის ხელში შემაცქერალნი? როდემდის უნდა შევცქიროთ ამ ქვეყნის ძლიერთა ტაბლას, როდემდის უნდა ავიღოთ ხოლმე ნებართვა ცხოვრებისა? „წადი, შენ შეგიძლიან გიყვარდეს, შენ შეგიძლიან იმუშავო, შენ შეგიძლიან ბედნიერი იყო, მხოლოდ ის-კი არ დაგავიწყდეს, რომ ყველაფერი მე მემსახურება ქვეყნად და შენც ჩემი მოსამსახურე უნდა იყოვო, თავდაჭერით მოიქეცი, საკვებით ნუ გამოიჩენ შენს სულისკვეთებას, თორემ მოგკლავ, დაგახრჩობ, საყვარელს წაგართმევ, სამუშაოს მოგისპობ, ენას ამოგგლეჯ და ან ძელზე ჩამოგკიდებო!“ ასე უნდა გვემუქრებოდნენ ყოველთვის განა? კვლავ ეს არის ჩვენი ცხოვრება

ჰა!—თავგანწირვით იმეორებდა ზურა, ერთსა და იმავე სიტყვას ყვიროდა, დარბოდა ოთახში და ხან ერთს კედელს შემოჰკრავდა ხოლმე ხელსა და ხან მეორეს.

— Кто там шумит!—მოისმა სატუსაღოს ზედამხედველის ხმა, რომელმაც ამ დროს ზურას ოთახის წინ გაიარა, მაგრამ ზურას არა გაუგონია რა.

— მოდი, თავს მოვიკლავ და მოვშორდები ამ ტანჯვას,— გაიფიქრა ზურამ.—ოხ, რა კარგია დამშვიდება!—ზურა ღრმა ფიქრებში წავიდა.

— არა, არა!—წამოიძახა გიჟივით,—მე მინდა ვიცხოვრო, მე მინდა ვიცოცხლო! მინდა ვიბრძოლო იმ უკუღმართობასთან, რომელმაც სიცოცხლე მომიწამლა!—ზურამ თავი მაღლა აიღო, თვალი შემოავლო საპატიმროს მაღალსა და ვიწრო ოთახს, დაიღრიჯა და გადიხარხარა.

— ებრძოლე ამ კედლებს!—დაცინვით წამოიძახა ზურამ,— თავი შეანარცხე ამ ქვიტკირს! ოხ, ნეტა თუ მეღირსება აქედამ გასვლა! ნეტა თუ კიდევ ვნახავ ჩემი სოფლის მშვენიერს ველ-მინდორს,—გულსაკლავად სთქვა ზურამ და ფანჯარასთან მივიდა.

მზე ის იყო ჩადიოდა და ოქროსფერად დაეფერა ქვეყანა. საპყრობილეს წინ მდგარ ეკლესიის გუმბათი ძალზე ბჟყვიალებდა. ჰაერი თრთოდა, თითქო მზის ჩასვლისა ეშინიათ. ზურამ დიდხანს უცქირა ეკლესიას, მინდვრებს, სახლებს, გამვლელ-გამომვლელს, გული აუჩუყდა, სიცოცხლე მოსწყურდა.

— იქ, ამ ფანჯრების იქით, სადაც ჩვენი დაუდეგარი ცხოვრება დუღს და გადმოდის, მე მყავს სატრფო, მე მყავს ტოლ-ამხანაგი, მე მყავს მშობლები, მე მინდა იმათთან ერთად მოვკვდე. ნუთუ მარტო ამისათვის არა ღირს სიცოცხლე?.. ოხ, თეო, ჩემო სალოცავო, ნეტა ახლა როგორ ხარ, ნუთუ კიდევ გახსოვს შენი დამცირებული ზურა?—დაიღრიალა ზურამ და საწოლზე პირქვე დაემხო.

„საპატიმროში მარტო ბოროტმოქმედები არ არიან დამწყვდეულებიო“, გაახსენდი ზურას თეოს სიტყვები და მედგრად წამოიძახა:

— დიაღ, დიაღ, საპატიმრო ბევრი ქვეყნისთვის თავდადე-

ბულის სავანე ყოფილა, მაგრამ მე რა? მე ერთი უძლური ბატლი ვარ, რომელსაც ჯერ ცხოვრებაში არა გამიკეთებია-რა და ასე საშინლად-კი ვიტანჯები. ჯერ ვის რა ვარგე? ვინ მყავს ამ ქვეყნად გულშემატკივარი. ვინ იცის უწმინდურებივითაც-კი ხითხითებენ ჩემი ნაცნობები. მარტო დედიჩემის ძუძუები თუ დამლოცავს, მარტო ჩემი სატრფო თუ მოგიგონებს. ოხ, დედავ, ოხ თეო!—კიდევ გაიმეორა ზურამ და ქვითინი ამოუშვა. დიდხანს ტიროდა ზურა, მაგრამ ტირილი ყოველთვის ხომ ნიშანი არ არის სილაჩრისა!

* *

— თუ ღმერთი გწამთ, ნუღარ მალოდინებთ! — ეხვეწებოდა თეო კეთილაძე სამაზრო სამმართველოს ერთ მწერალს, რომელსაც ბრალმდებელმა უბრძანა თეოსთვის საჭირო ქაღალდი დაეწერა.

რამდენი დამცირება, რამდენი ხვეწნა-მუდარა დასჭირდა თეოს, ვიდრე ზურას ნახვის ნებას მისცემდნენ. მაგრამ ახლა ყველაფერი დააგვიწყდა. მისი სული მხოლოდ მწერლის ხელში-ღა იყო და მერე-კი ზურასთან გაფრინდებოდა.

— მალე, მალე, თქვენი ჰირიმე, ნუღარ მაგვიანებთ,—მეათასედ ეღრიჯებოდა თეო.

მწერალი-კი ზანტად აწრიპინებდა მისგან დატანჯულ კალამს, დროგამოშვებით თვალს გადაავლებდა ხოლმე ამხანაგებს, რომლებიც შემოსხდომოდნენ გრძელ მაგიდას, გადაეშალათ დავთრები და საქმიანობის მაგივრათ ცუღლუტობდნენ. შემდეგ ცბიერად შეხედავდა ხოლმე თეოს და კვლავ კალამს აწრიპინებდა.

— ვაიმე!—გული მოსდიოდა თეოს.

კანცელარიაში რაღაც საიდუმლოება სუფევდა. უფროს-უმცროსობა გამეფებულიყო. ყოველ ნივთს, ყოველ საგანს ფორმალური სახე მიეღო. მდივანი, ლამაზი შეხედულობისა, მაგრამ საშინელი ტუტუცი გამომეტყველებისა, მწერლებს უბღვეროდა, მწერლები ჩაფრებს რაღაცას ეტუტუნებოდნენ, მაგიდის უფროსნი (სტოლონაჩალნიკი) მიკიოტებივით გამოიყურებოდნენ. უფროსი-კი, უკან ხელებდაწყობილი, ოთახში ვადი-გამოდიოდა, ყელში ხიხინებდა, ბზუოდა და შიშის

ქარსა გვრიდა კანცელარიის წვრილ-ფეხობას, რომლებიც ისეთი ლმობიერებით უყურებდნენ, როგორც ერთგული ძაღლი თავის პატრონს. აუტანელი იყო არა მოხელესათვის აქ ყოფნა.

თეოც ძალზედ იტანჯებოდა. ხან ერთს შეხედავდა ხოლმე, ხან მეორეს, ვერავის სახეზე თანაგრძნობა ვერ ამოიკითხა, ყველა დაღვრემილიყო, თითქოს ქვეყნის ბედ-იღბალი მართლა იმაზე იყოს დამოკიდებული.

დასრულდა თეოს წვალება. სასურველი ქაღალდი ხელთ იგდო, სიხარულით წამოწითლდა და საჩქაროდ გარეთ გამოვარდა.

მოისმა მწერლების ჩუმი ხითხითი და ოხუნჯობა, მაგრამ თეოს მათთვის არა სცალოდა. წაავლო ხელი გარეთ მიმლოდინე ეფემიას და საპატიმროსკენ გასწია.

— ერთ თვეზე მეტია ჩემი ზურა არ მინახავს. ოხ, როგორ გადავეხვეი!—ჰფიქრობდა თეო და ჩქარის ნაბიჯით მიეშურებოდა. ეფემიაც ქშენით მისდევდა.

* *

შემოდგომის ცივი და ღრუბლიანი დღე იყო. ქვეყანას თავპირი ჩამოსტირიოდა. ქალაქი ტალახის გუბეებად გადაქცეულიყო. თეო თავდავიწყებით მისტოპავდა ტალახში.

აგერ საპატიმროც გამოჩნდა. თეოს გულმა შემოკვნესა. ერთი საშინლად ამოიოხრა და თავჩაღუნულმა ალაყაფის კარებს მიაშურა.

ყარაულმა ნიშანი მისცა. მძიმედ გაიღო კარები, თეო და ეფემია შიგ შეუშვეს და ისევ მაგრად დაკეტეს.

საპატიმროს ვიწრო ეზოში ტუსაღები ლანდივით დაიარებოდნენ, გულ-ხელ დაკრეფილები ღრმა ფიქრს მისცემოდნენ. საშინელება იყო ეს კედლებით შემოზღუდული, მთელ ქვეყანას მოწყვეტილი, ვიწრო ნაჭერი მიწისა. ირგვლივ კედლები, ირგვლივ ჯარის კაცები, ირგვლივ რაღაც უცნაური საზარლობა და გამოუთქმელი დამცირება.

შეკრთა თეო, გულმა ცახცახი დაუწყო.

— ვაი თქვენ დედასა, თქვე უბედურის შვილებოოო!— წუწუნებდა ტუსაღების მომზირალი ეფემია და თვალებიცრემლით ევსებოდა.

— თუ შეიძლებოდეს ზურა ქებაშვილი მაჩვენეთ,—გაუბედავად მიმართა თეომ ზედამხედველს და ნებართვის ქაღალდი გაუწოდა.

— ზურა ქებაშვილი?

— დიაღ,—მოკლედ უპასუხა თეომ.

ზედამხედველმა ეკვის თვალით შეხედა თეოს. მერე ეფემია აათვალიერ-ჩაათვალიერა და ბოხის ხმითა ჰკითხა:

— თქვენი შვილია, დედი, ქებაშვილი?

— არა, სასიძო გახლავთ, უთხრა ეფემიამ.

— თუ არა ვცდები თქვენი საქმრო იქნება,—მიუბრუნდა ახლა თეოს.

„რას ყბედობს ეს ოხერი! მე გული მელევა და ეს აქ ცნობისმოყვარეობას იჩენს“, გაიფიქრა თეომ და სიბრაზისაგან აილეწა.

— გვიან გვაჩვენებენ?—სიტყვა ბანზე აუკდო თეომ.

— ოჰ, რა ძლიერ მეცოდებით,—განაგრძო ზედამხედველმა, თითქოს თეოს სიტყვები არც-კი გაუგონიაო,—ეგრეთი ყმაწვილი, ლაბაზი ქალი და...—ცბიერად შესწყვიტა მოხელემ და თეოს თვალებში ჩააცქერდა.

— მალე გვაჩვენებენ თუ არა?—მოუთმენლად გაიმეორა მოხელის თავხედობით უარესად გაბრაზებულმა თეომ.

— მე ვუბრძანებ და გაჩვენებ... იმის გარეთ გამოყვანა შეუძლებელია,—უთხრა თვალის ჩაკვრით ზედამხედველმა და უმცროს მოხელეს დაუძახა.

ეს უკანასკნელი გაუძღვა ზურას ჭირისუფლებს და სადღაც ვიწრო დერეფანში შეიყვანა, აქედან გაატარა რამდენიმე ოთახი და უთხრა, აქ მოიცადეთ და ეხლავე მოვიყვანთო.

ის ოთახი, სადაც თეო და ეფემია შეაჩერეს, გატიხრული იყო მოაჯირით და მავთულების ქსელით. ამ მოაჯირის იქით დააყენებდენ ხოლმე მძიმე დანაშაულიან ტუსაღს და მნახველები ისე ელაპარაკებოდნენ.

მოისმა ზურას ფეხის ხმა. თითონაც მალე გამოჩნდა. თეომ ერთი შეჰკივლა და გადასახვევად გაექანა. მოაჯირმა ზანზარი დაიწყო და თეო წაბარბაცდა...

ახლა მკითხველმა წარმოიდგინოს რა ნეტარება და ამას-

თან�ე რა ჯოჯოხეთი იქნებოდა ორი შეყვარებულის ასეთი შეხვედრა. თეოს მალიმალ გული მისდიოდა, ზურა მოაჯირის იქიდან ამხნევებდა, გმინავდა, დამბლადაცემულივით ლუღლუღებდა! სტიროდა ეფემიაც.

— ზურა, ზურა!—სასოწარკვეთილებით იძახოდა თეო.

— შვილო, რაზე ჩაიგდე თავი მაგ განსაცდელში,—ტირილით ბანს აძლევდა ეფემია თავის ქალს, სხვა რომ ვერა მოეხერხებინა რა.

ზურა დამარცხებული, დამწყვდეული ლომივით გრგვინავდა, ცასა და ქვეყანას იწვევდა უსამართლობის აღმოსაფხვრელად!

საზარელი სანახავი იყო ეს სურათი, თვით დარაჯიც-კი ცახცახებდა, საცოდავობისაგან იწვოდა.

— ვიმე, ვაიმე რა ჯოჯოხეთში ჩავარდი!—კვნესოდა თეო.

— ვაი, ჩვენ მტერსა და მტარვალებს!—აღელვებულის ხმით უთხრა ზურამ,—კარგი, ნუ სწუხარ, გენაცვა, გული გაიმაგრე. მითხარ, როგორა ხარ, ჩვენი სოლის საქმე როგორ მიდის. რა ხდება ქვეყანაზე?—ზედი-ზედ ეკითხებოდა ზურა.

— შენ, როგორ ხარ, შენ!—ეკითხებოდა თავის მხრივ თეო,—თორემ მე რა საკითხავი ვარ. უშენოდ მარტო ლეშით ცოცხალვარ, ჩვენი სოლის საქმე-კი დაიშალა... სხვა რაში მოგვიმართა ბედმა ხელი, რომ კეთილი საქმე აგვსრულებიყო.

—ნუ, ნუ ჰგმობ, თეო, ბედსა! აქ ბედი რა შუაშია, როდესაც ყველაფერში გალაღებული ადამიანები არიან დამნაშავენი, ადამიანები და მარტო ისინი უნდა დავგმოთ, იმათ უნდა ვებრძოლოთ! შენ, გამხნევდი! ხომ ხედავ მე, ჯერ-ჯერობით, მოწყვეტილი ვარ ქვეყანას, შენ ხარ ჩემ მაგივრათ დარჩენილი სოფლად და იმედიცა მაქვს არ დაივიწყებ შენს მოვალეობას. ვინ იცის,—განაგრძო აღელვებულის ხმით ზურამ,—ამ ორ დღეში მე სხვაგან გამგზავნონ, რადგანაც ისიც-კი შურთ, რომ ამ დახავსებულ საპატიმროს სარკმლიდან ვუცქერი ჩემს ქვეყანას, ჩემ ხალხს, ვუცქერი იმ ცის კამარას, რომელიც შენ თავს დაგნათის. იქნება ვეღარც-კი გნახო... და აბა შენ იცი და შენმა ქალობამ, შენმა ადამიანობამ!—ზურას ხმა ჩაუწყდა.

— არა, არა ზურა, მე შენ შემდეგ სიცოცხლე არ მინდა.

მეც აქ შენთან ვიქნები, მეც შენთან დავიტანჯები!—ქვითინებდა თეო.

— აბა რას ამბობ, თეო,—განაგრძო ისევ იმ ხმით ზურამ,—მე ხომ ჯერ ცოცხალი ვარ. ჯერ კიდევ იმედი მაქვს განთავისუფლებისა, თუ არა და ჩემზე ხომ არ არის ქვეყანა დამყარებული. ჩემს გარდა კიდევ გაქვს ერთი რამ, რომელიც ჩემ თავსაც კი უნდა გერჩივნოს, ეს არის ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მოვალეობა. ჩვენ მოვალენი ვართ ჩვენი პირადობა საქვეყნო საქმეს შევწიროთ, ჩვენი სიამოვნება საზოგადო გულის ტკივილს დავუნაცვლოთ. ძნელია, ძალიან ძნელია ამგვარი მოქმედება, ყველა ვერ შესძლებს, მაგრამ რაკი ერთხელ ავირჩიეთ ეს გზა, რაკი ერთხელ დავადექით ძეძვის ჩეხვას, ბარემ გავკაფოთ კიდეც, რამდენადაც შეგვიძლიან ეკალნარი, უკან ნულარ დაგბრუნდებით სულმდაბლებივით, გვწამდეს, რომ ყოველთვის არ დავიტანჯებით.

— როდის აღარ ვიტანჯვით. განა ისეთი დღე იქნება?—გულმტკივნეულად წამოიძახა თეომ.

— როდის? როდის და მაშინ, როცა ზედ შევაკვდებით მტარვალებს, როცა ჩვენი ბრძოლით ძირს დავცემთ უსამართლობის დროშას და განწირულ სულისკვეთებას საზოგადო საქმის გაფაქიზებით ავიმაღლებთ. სამწუხაროთ, ბევრისთვის ეს მარტო სიტყვებია, მეც ამ ბოლო დროს ბევრჯერ ჩავარდნილვარ სასოწარკვეთილებაში, მაგრამ სულმდაბლობით რა გამოვა? მოვიკრიბოთ ძალღონე, გავიხსენოთ, რომ ქვეყნად მარტო ბოროტება არ სუფევს, არის სიკეთეც, თუმცა ათას გაჭირვებაში გახვეული და სწორედ იმის ძებნაში უნდა დავლიოთ დღენი. კმარა, თეო, გულს ნუ იკლავ, მე არ ვლირვარ იმათ, რომ შენისთანა სოფლისთვის საჭირო ადამიანი ჩემი გულისთვის სასოწარკვეთილებაში ჩავარდეს. კიდევ გიმეორებ, მე იმედი მაქვს განვთავისუფლდე და მაშინ ორივენი ხომ ერთად ვიქნებით. მოდი, მოდი ჩემთან ახლო, მოეყრდნე ამ ოხერ მოაჯირს... ერთხელ კიდევ დავინახო შენი თვალები, კიდევ ისეთ ცეცხლს აკვესებს, კიდევ ისეთ სიმხნეით არის სავსე თუ არა?—დააბოლოვა ზურამ თავისი სიტყვა და ამოიოხრა.

თეო ცრემლებად იღვრებოდა.

— ოხ, ზურა, რა ულმერთოდ ვიტანჯებით!—თავგანწირვით გაიძახოდა თეო. ცოტა ხნის შემდეგ თვალები მოიწმინდა, მიეყრდნო მოაჯირს და ზურას გატაცებით ცქერა დაუწყო. ზურაც თავდავიწყებით უცქეროდა. ეს ისეთი ცქერა იყო, რომ მთელ სამოთხე-ჯოჯოხეთს იყიდდა და გაჰყიდდა. მათ თვალებში ნათლად იხატებოდა, რომ ამ ქამად იმათთვის ყველაფერი ამაოება იყო, თვით დაფნის გვირგვინი, თვით კაცის გამამხნევებელი და შარავანდედით შემმოსი დიდება, თვით უკვდავება! მაგრამ მალე გამოერკვნენ. მიწიერმა, წარმავალმა მაცდურებამ ვერ დასძლია იგინი.

— თეო,—სთქვა ზურამ,—ხომ გახსოვს რაც გითხარი. მაგრამ ან-კი რაღად გაგონებ, როდესაც მე იმედი მაქვს შენ ყოველთვის მაგ აზრისა იყავ და იქნები კიდეც. ჩვენ რამდენიმე წუთის შემდეგ დავშორდებით ერთმანეთს. შენ წახვალ სოფლად და მე-კი ისევ ამ შავ კედლებს უნდა ვეომო. შენ იქ იშრომე, რომ გულის ჯავრი შეიმსუბუქო და შრომა პატიოსანი უმნიშვნელოდ არ დარჩება. ერთხელაც იქნება გამოიღებს ნაყოფს და მშრომელსაც სულის სიმშვიდეს შიანიჭებს... ეჰ,—ამოიოხრა ზურამ,—სხვა რაღა გითხრა, ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ადამიანს მეტი არა დაგვრჩენია-რა.

გაჩუმდნენ თეო და ზურა. სხვა გულის ნადები არა ჰქონდათ-რა. „ერთმანეთის სიყვარული და დაუღალავი შრომა“— ეს ორი სიტყვა ეწერა იმ დროშაზე, რომელიც პირველ, ერთმანეთის გაცნობისთანავე, ზე აღმართეს. შრომა ჯერ წინ იყო. სიყვარული-კი ძლიერი ჰქონდათ, ისეთი ძლიერი, რომ დღეს თითქმის თავდავიწყებამდის მიდიოდნენ.

ამათ ლაპარაკში ეფემია განზე გამდგარიყო და იქიდან შესცქეროდა ზურას. მისი ტუსაღის გახუნებული ფარაჯა, ყისინას ქუდი, ნორჩი, მაგრამ აწეწილ-დაწეწილი წვერ-ულვაში, გაბურძგნული თმა, მიბნედილი თვალები და გაფითრებული სახე ეფემიას გულს უღადრავდა; იგი პირველად უცქეროდა ზურას ასე გატაცებით, პირველად დააკვირდა და რაღაც ნათესაურმა, დედაშვილურმა გრძნობამ სულის სიღრმიდან ამოსძახა: „ღირსია ზურა პატივისცემისა, ღირსია სიყვარულისაო“. გულში ჩანასახმა გრძნობამ სახეზე წამოუქროლა, თვალებში ცრემლი მოაგორა, მერე მთელს ტანში

დაუარა, გააჟრჟოლა და სულ ერთიანად დათუთქა. ტიროდა ეფემია ზურასათვის და ეს მარტო სიბრალულის ცრემლი არ იყო!

— Ну, довольно, пора разойдтись!—მოულოდნელად დაარღვია სიჩუმე დარაჯმა.

სამივე დატანჯულებს ლახვარივით დაუარა გულში ამ სიტყვებმა: თეო დადნა, ზურას გულ-მუცელი გადმოუტრიალდა და თაკს ზარი დაეცა, ეფემია ხმა მაღლა ატირდა. ოხვრა, კვნესა და გოდება ერთმანეთს შეუერთდა.

— მშვიდობით, მშვიდობით!—ხავხავებდა ცრემლებისაგან დაოსებული თეო.

— გამხნევდი, გამხნევდი, ღმერთი მოწყალეაო!—ცრემლებითვე ეუბნებოდა ზურა.

— შვილო, ბევრს ნუ იჯავრებ, ღმერთს სამართალი არა აქვს? როგორ დაგკარგავს უდანაშაულო ადამიანსაო!—ხმამაღლა ღრიალებდა ეფემია.

— Ну, время!—კიდევ გაისმა მოხელის ხმა. კვლავ აქვითქვითდნენ ზურა და თეო, კვლავ მოსთქვამდა ეფემია.

— მიშველე, მიშველე, დედავ!—დაიკივლა თეომ და გულშემოყრილი იატაკზე დაეცა. ამის დამნახველი ზურა მოაჯირს იქით გაგიჟდა, გადაირია. ანგრევდა იქაურობას და თავდავიწყებით ქვითინებდა. ეფემიას სიმწარით ვერ მოეხერხებინა-რა.

ახლად შემოსულმა მოსამსახურეებმა ასწიეს გულშემოყრილი თეო და გარეთ გაიტანეს. ეფემია ცრემლებით გამოეთხოვა მოქვითქვითე ზურას და მოსამსახურეებს უკან გამოუდგა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მოისმა-ღა ზურას თავგანწირული წყევლა-კრულვა უსამართლოებისადმი, კიდევ რაღაც გამოურკვეველი გმინვა და ესეც მალე შთანთქა სატუსაღოს კედლებმა.

* *

ჩიტოვანის სასოფლო სასწავლებელი მოთავსებული იყო ორ პატარა ოთახში. ერთში ფეხ-მოტეხილი, დამტვრეული სკამები ელაგა მოწაფეთათვის, მეორე კი მასწავლებელს ეჭირა. ღარიბად მოწყობილ ოთახში იდგა ერთი პატარა მაგიდა თეთრის სუფრით გადაფარებული, ორი ხის ოთხკუთხი

სკამი და ხისავე ტახტი. მარჯნივ კუთხეში იდგა სკიერი წიგნებისთვის. უფერული, მოღრუბლული იყო მთელი სადგომი. ალბათ, იგი თანაუგრძნობდა პატრონის უფერულ ცხოვრებას, სანთელივით ჩამომდნარი თეო მისჯდომოდა მაგიდას, გადაეშალა თავისი დღიური და გაშტერებით შესცქეროდა ანთებულ ლამპას.

ჰფიქრობდა თეო! მისი ოცნება ძალიან შორს წასულიყო და იქ საპატიმროში მყოფ ზურას დასტრიალებდა. თეოს სახე ხან იღრუბლებოდა, ხან-კი ღიმილი შეეპარებოდა ხოლმე და ამ დროს იმის დიდრონი თვალები ოდნავ ბჟუტავდა. მაგრამ აგერ ქუთუთოზე გადმოეკიდა ერთი ცრემლი, ამას მეორე მოჰყვა, მეორეს მესამე და ცრემლის ნაკადულმა გადმოხეთქა. გაუნძრეველად ზის თეო და კვლავ ფიქრობს. ბოლოს სანთელს თვალები მოაშორა, ღრმად ამოიოხრა და ზურას სურათი აიღო ხელში, ერთხანს უცქირა, მერე მაგრად მიიკრა გულზე და გააჟრჟოლა.

— ვერა, ვერ დაგივიწყებ, ჩემო ტანჯულო ზურა! ოჰმე, ნეტა ეხლა შენი თავი დამანახვა; მაგრამ საიდამ დაგინახავ, შენს ქვეყანასაც-კი მოგაშორეს. ვაი შენ, ჩემო ტანჯულო ცხოვრებავ!—გულიანად წამოიძახა თეომ და თვალებზე ხელი მიიფარა. ცოტა ხანს იქით ერთი კიდევ ამოიოხრა და დღიური მოიმარჯვა.

დღიურს თავზე ეწერა:

„ძნელი არის მარტოობა სულისა,
ოხვრა არის შვება—უბედურისა“.

თეო დიდხანს დააცქერდა ამ თავის მიერვე ამონაწერ სიტყვებს და მერე სთქვა: „დიაღ, ოხვრა არის შვება უბედურისა“. განა მე უბედური ვარ?—არ ვიცი თავის გულში რა იფიქრა, მხოლოდ ხმამაღლა-კი სთქვა: „არც ჰო, და არც არა“. შემდეგ შეუდგა დღიურის კითხვას. იქ სხვათა შორის ეწერა:

„3 ენკენისთვე. დღეს ჩავიბარე სასწავლებელი. მეტის-მეტად უყურადღებოდ იყო დატოვებული. ჩემზე წინათ ვიღაც „კ.“ ასწავლიდა. საწყალი, ეტყობა მარტო კუჭის გასაძღომათ ყოფილა აქა, რადგანაც, ჯერ ერთი, არაფერი გაუკეთებია და მეორეც, ხალხი მომდურებული ჰყავს. მე-კი მგონია, რომ

სოფლის მასწავლებელი მარტო ბავშვების მასწავლებელი-კი არ უნდა იყოს, არამედ იმათი მშობლებისაც. ღვთის წინაშე, ჩვენ თვითონაც არა ვართ დიდი ნასწავლები, მაგრამ სინდისიერათ მაინც უნდა მოვეკიდნეთ ჩვენს მოვალეობას, თორემ ზარალის მეტს სარგებლობას ვერ მოვიტანთ... ეჰ, რამდენი მასწავლებელია სოფელში, რომ საშუალო სასწავლებელიც არ გაუთავებია, ერთი რიგიანი წიგნი არ წაუკითხავს. მიაღწევს თუ არა რომელიმე ზარმაცი მოწაფე სემინარიის მეორე-მესამე კლასსა, მაშინათვე მასწაელებლად გამორბის. ასე ჰგონიათ ხალხი შილაფლავი იყოს, რომ სპამონ!.. ოხ, ღმერთო, რა დაუდევრები ვართ, ჩვენვე ვახდენთ ჩვენს საქმესა! იმის მაგივრათ, რომ ხალხს თავი შევაყვაროთ, გავაცნოთ თავისი ვინაობა, წარსული, დედა-ენის მნიშვნელობა, შევაყვაროთ შრომა და ავუხსნათ აწინდელი მისი მდგომარეობა, პირიქით, ან ვაშინებთ და ან ვუფრთხით... ღმერთო, შენ შემაძლებინე სინდისიერათ ავასრულო ჩემი მოვალეობა“.

გადაიკითხა თეომ, რამდენიმე წინადადება წაშალა და კალამი მოიმარჯვა. იმ დღის დაკვირვება უნდა შეეტანა დღიურში.

* *

ეს მეოთხე თვე მიდიოდა, რაც თეო მასწავლებლად დანიშნეს. ეფემია ეუბნებოდა, ნუ გინდა მასწავლებლობა, ჯავრიანათა ხარ და ვერ შესძლებო, მაგრამ თეოს გულს მარტო შრომა თუ გაართობდა. გარდა ამისა, ზურამდისინაც თეოს სანატრელი საგანი იყო სოფლის მასწავლებლობა, პირველადვე გამწესდებოდა კიდეც, მაგრამ საკმარისად არ იყო მომზადებული და ბრკოლდებოდა, თავის თავს ვერ ენდობოდა. ზურასთან დაახლოვებამ ხომ უფრო აღაფრთოვანა თეო, აკი ერთადაც აპირებდნენ სასწავლებლის დაარსებას, მაგრამ ნებართვა ვერ აიღეს, საქმე ჩვეულებრივად შეფერხდა... ზურას დაქერის შემდეგ თეომ სოფ. ჩიტოვანში ითხოვა ადგილი.

ჩიტოვანელები სიხარულით მიეგებნენ ახალ მასწავლებელს და მერე ისიც ქალს. ეს პირველი მაგალითი იყო ჩიტოვანელებისათვის, რომ იქ ქალი ყოფილიყოს მასწავლებლად. სოფლის დედაკაცები მალი-მალ ინახულებდნენ ხოლმე

თეოს და უკვირდათ მისი სიმშვიდე, დაღვრემილი სახე და დაუღალავი შრომა. მალე ახლო-მახლო სოფლებშიაც გავარდა თეოს ქების სახელი და ყველა ქალებისათვის სამაგალითო შეიქმნა... მოწაფეები ერთი-ორად მოემატა. უხაროდა თეოს, რომ ხალხმა ასე შეიყვარა, უხაროდა და მის დაჩაგრულ გულს სიამოვნების შუქი ეფინებოდა.

რამდენად წაიწია სწავლის საქმე წინ, ასე ადვილად და მოკლე დროში აბა რა გამოჩნდებოდა, მხოლოდ ის კი თვალნათლივ ჩანდა, რომ თეო კვირა-უქმე დღეს ჩაჯდებოდა ხოლმე ხალხში, ნამეტნავად ქალებში და ხან წიგნებს უკითხავდა, ხან უფრო ხშირად, პირადათ უამბობდა ხოლმე სხვადასხვა ამბებს.

— განათლდეს შენი დედ-მამის სული და აგისრულდეს, შვილო, გულის საწადელი, როგორც შენ ჩვენ კარგ ამბებს ვვეუბნები,—ეტყოდნენ ხოლმე სოფლის ხანში შესული მანდილოსნები და მზად იყვნენ კაბის კალთა დაეკოცნათ.

— შენ თქვი, ქალიაო, რამითი რამ იცი, შენი პირიმე, დედავ!—გაიკვირებდნენ ხოლმე ახალგაზრდა ქალები.

— მა რა, კოტრიკაანთ ფეფუკა ხომ არა გგონია, ბეჩა, ქალს შვიდჯერ-შვიდი შკოლა გაუთავებიაო, — აუხსნიდნენ ხოლმე ისევ ხნიერები. ესა და ამგვარი ლაპარაკი, რასაკვირველია, ბევრს არაფერს ნიშნავს, მხოლოდ ის ახარებდა თეოს, რომ დიდებსაც აღეძრათ სწავლის სურვილი და პატარებს სულ იმას ეჩიჩინებოდნენ:

— გოგო, შე სასიკვდილე, წადი თეოსთან, წიგნი წაიკითხე-თქო.

— გოგო, წადი, თეოს უთხარი, დედაჩემი ავათ არის და ჩვენსა გადმოდი-თქო.

სოფელი უთეოთ და თეო უსოფლოდ ვეღარა სძლებდა, გამხნევდა, გაკაჟდა თეო და იმ ტკბილი დღის მომლოდინე, როდესაც ზურა იმასთან დაბრუნდებოდა, დაუღალავად შრომობდა. ყოველ დღე შემოუვლიდა ხოლმე სოფელს, გამოიკითხავდა სოფლელების გაჭირვებას, ზოგს სიტყვით ამხნევებდა, ზოგს საქმით ეხმარებოდა და თავისი დაკვირვებანი დღიურში შეეწონდა. ამ საღამოთიც თეომ დღიურს პირდაპირ იმიტომ მიმართა.

გაათავა თეომ წერა, დღიური დაკეცა, ადგა, გულხელი დაიკრიბა და ოთახში სიარული დაიწყო. ისევ ფიქრებში გაეცა.

„ღმერთო, ღმერთო, ერთი მალე დაამშვიდე ჩემი გული,— წამოიძახა თეომ და დაუმატა,—ნეტა მალე მაინც გათენდეს, ჩემი გოგონები მოვიდნენ და იმათთან ერთად გავერთოვო.“

გათენებას მგონი ბევრიც აღარ აკლდა-რა. ღამე საშინლად ჩამობნელებულიყო, ისე როგორც გათენებისას იცის ხოლმე. ბუნებას ძილი გასტკბილებოდა. გულიანათ ეძინა თეოს დედაკაცსაც. რომელიც მეორე ოთახში გაჭიმულიყო და ბაყბაყ მდევივით ხვრინავდა. არ ეძინებოდა თეოს. იგი ოცნებით ისევ ზურასთან იყო...

გარედან ცქერა ადვილია, მაგრამ ვინ იცის, როგორ ეღადრებოდა გული ახალგაზრდა თეოს?!..

* *

გათენდა დილა. სინათლემოკლებულ ამომავალ მზის სხივებს ფეხზე დახვდა თეო და თავის ზურასთან მოკითხვა დააბარა.

პატარა ბავშვებიც მალე გამოჩდენ. გლეხის გოგო-ბიჭები საყვარლად მოგოგავდნენ დათრთვილულ მდელოზე და მასწავლებლის დანახვაზე მორცხვად, ფეხ-აკრებით სკოლაში შესვლას ეშურებოდენ.

ასტყდა ჟრიალი, ხმაურობა, დილის სუფთა ჰაერში წკრიალით გაისმოდა მოთამაშე ბავშვების კასკას-სიცილი და სკოლის მიდამოს სიცოცხლით ავსებდა. თეოს სახე გაეხსნა. გულიდან შავი დარდები გადაეცალა და სიამოვნებით დამტკბარი თვალ-ყურს ადევნებდა ბავშვებს. თეო დააცქერდა ერთ ბავშვს. კოხტად ამოსხმული ქალამნები კოპწიად გადასჭიმოდნენ ფეხებზე და ლამაზად გადავარცხნილი ქოჩორი ნაბდის ქუდის ქვეშიდან კულულ-კულულებად გამოშლილიყო. თვალები სიცოცხლით ავსებოდა და მთელი არსება უმანკოებით უფშვენდა. უყურა, უყურა თეომ და აღტაცებით წამოიძახა: არა, ჯერ კიდევ ძლიერი სულია დამარხული ჩვენს ხალხში და ნეტა იმას, ვინც მის ამაღლება-გაღვიძებას შესძლებსო.

სიცოცხლე იყო თეოსათვის სასწავლებელი, მაგრამ თეოც კი სული იყო მთელი სასწავლებლისა, მთელი სოფლისა.

* *

გადიოდა დრო, ცხოვრება თავისებურის გულგრილობით მიმდინარეობდა, მას აყოლოდნენ ადამიანები და წალმა-უკულმა ტრიალით თავსბრუ დასხმულნი ერთმანეთს ეჯიბრებოდენ. ბიჭობა ის არის, ვინ ვის გაასწრებს ამ საერთო კოწიაწში, ვინ უფრო ისარგებლებს ცხოვრების ავკარგიანობით, ვინ უფრო გულცივად მოექცევა თვისსა და ტომს, ვინ უფრო ხელს მოითბობს სხვის უბედურებით, რომ ამით თავისი პირადი ბედნიერება უზრუნველყოფილ ჰყოსო—დაჰხითხითებდა კუჭის მრწამსი მთელს ქვეყანას.

— თავში ქვა იმან იცეს, ვინც გაჭირვებაშია, თორემ ჩვენ ქვაცა გვაქვს და კაკალიცა,—იძახდნენ ბედნიერნი ამა სოფლისა.

— ვაი ჩვენი ბრალიცა! ჩვენ როდის-ღა გვეღირსება ადამიანებში გაერევნეთ, ჩვენც დავსტკბეთ, სულის სიმშვიდე შევიძინოთო,—ოხვრით გაიძახოდენ დაჩაგრულები.

დრო-კი თითქოს ხალხს დასცინისო, გარბოდა სირაქლემასებურათ. დღე ღამით იცვლებოდა, ღამე დღეს ეცილებოდა, კვირა კვირას თავს უკრავდა და თვეები საუკუნის უფსკრულში იღუპებოდა.

ოხვრა, ტირილი, სიმღერა, სიცილი, უკანასკნელი სასოწარკვეთილებითი გმინვა მომაკვდავისა და უმანკო „აღუ“ ახლად დაბადებულისა, ყველა, ცხოვრების მიმდინარეობას ექვემდებარებოდა და მიმცრინავ დროს გუგუნით ბანს აძლევდა.

ოხვრით ათენებდა და თვალზე ცრემლით აღამებდა ზურას მომლოდინე თეო. კეთილაძეც. მაგრამ ზურა არსად იყო. აგერ მეშვიდე თვე მიდიოდა და თეოს ერთი წერილის მეტი არ მოსვლია. არ იცოდა მკვდარი იყო თუ ცოცხალი.

ერთ დღეს, გაკვეთილების შემდეგ გაზაფხულის თბილმა დღემ თეო მინდვრად გაიტყუა, იქ, შარა გზის მახლობლად მიმდინარე რუს პირათ ჩამოჯდა და წყლის ცელქობას მზერა დაუწყო: მშვიდად მიდუდუნებდა სოფლის რუ-ნაკადული, წყნარად მიაფრქვევდა ზვირთებს, ტალღა-ტალღას მისდევდა და ჩანჩქერი ქვებზე მითამაშობდა. წყლის ზედაპირივით იცვ-

ლებოდა თეოს ფიქრებიც: ტკბილი მოგონება გულს უნათ-ლებდა, მწარე აწმყო სულს უხუთავდა, ხან სტიროდა, ხან იცინოდა. რუს პირას მდგარი ახლად გადაშლილი ყვავილე-ბი, თითქოს თეოს ფიქრებს აჰყოლიანო, ნაზად ირხეოდნენ და მოსაწყვეტათ იტყუებდნენ ადამიანს. ალბათ, თავის ჭი-რად თუ არიან ისე ლამაზები!

— ოხ, ზურა, ზურა, სადა ხარ, სად? ნეტა შენი თავი დამანახა!—ეს იყო თეოს დარდი და ახლაც ეს წამოიძახა.

გულმა ჩქროლა დაუწყო. წამოდგა, წყალი ჩაყლაპა და ზევით შარასკენ გაიხედა. შარაზე მოსჩანდა შავი წერტილი. თეოს გულმა უცნაურად ტოკვა დაუწყო. ახლოვდებოდა წერტილი. თეო თვალებად გადაიქცა. აგერ მოვიდა ვიღაც ყმაწვილი კაცი.

— ზურა!!—შეჰკივლა თეომ.

— თეო!!—ამოიგმინა ზურამ და ერთმანეთს გადაეხვივნენ. ოხ, ნეტარება იყო ეს წუთი!

* *

ახლად მოსული ყმაწვილი კაცი გახლდათ ზურა ქება-შვილი. იგი ბევრი გამოკითხვა-წვალების შემდეგ, ესე იგი, როდესაც მისთვის სისხლი გამოეწოვნათ, სხეულით დაეძაბუ-ნებიათ, უდანაშაულოთ ეცნოთ და განეთავისუფლებინათ და ძაუგიდან (კავკავი) ლიახვის ხეობაზე გადმოეხვია და პირდა-პირ სოფლისაკენ დაქანებულიყო,—უფრო მალე ვნახავ ჩემს თეოსაო.

* *

სუფთად მოწყობილ ლოგინში გადასვენებული იწვა ზურა. მას გვერდით მოსჯდომოდა თეო და ნაღვლიანად ჩასცქეროდა თვალებში. იქვე სულგაკმედილი იდგა რამდენიმე მოწაფე, რომელთაც სხვა-და-სხვა ნობათი მოეტანა თეოსათვის. ეტყო-ბოდა, რომ მთელი სოფელი მონაწილეობას იღებდა თეოს მწუხარებაში.

საპყრობილის მყრალ ჰაერს, ათასგვარ გაპირვება-სული-ერ ბრძოლას საზარელი ზედგავლენა მოეხდინა ზურაზე და ცოცხალ-მკვდარი დაბრუნდა შინ. უწინდელ ზურასი აჩრდი-

ლიღა იყო. ჩამომხმარ-გაყვითლებულს თითქოს სიცოცხლის ძალაც-კი დაჰკარგოდა. მხოლოდ ჩაღრმავებულ თვალებში გამოკრთოდა ძველებური სულის სიმტკიცე, ძველებური სიყვარული, განუსაზღვრელი შურისძიება მტარვალების მიმართ, წყურვილი სიცოცხლისა, წყურვილი თეოს მზერით დატკბობისა!

ზურა იწვა გაუნძრევლათ. თვალები მიელულნა და გაძნელებულად სუნთქავდა. თითოეული მისი გაძნელებული სუნთქვა ლახვარივით თეოს უელიდა გულში. გაჰქრა თეოსთვის ოცნება, მარტო ფიქრით აღარ ეალერსება თავის სატრფოს, დღეს მის გვერდით არის, მაგრამ... ჩამომდნარი, განახევარკაცებული! ოჰ, როგორ იტანჯება!

თეომ დიდხანს უცქირა ზურას. გაითვალისწინა ის ტანჯვა-ვაება, რომელიც მათ გამოიარეს, გაიხსენა ყველა ავი და კარგი, რაც უზურაოდ გადახდოდა, მოაგონდა სულ უბრალო რამეც-კი, რომელიც მათ ცხოვრებაში ყოფილიყო და გულმა საშინლად ღელვა დაუწყო. ნუთუ ამდენი ტანჯვა-ვაების შემდეგ სრულიად უბედური შევიქნებიო? გაიფიქრა თეომ, ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ყურებმა რეკვა დაუწყო, სული შეეხუთა. ვეღარ გაუძლო ზურას ცქერას და ფეხაკრეფით გარედ გამოვიდა.—ვერა, ვერა, მე ვეღარ ავიტან, უწინ დღე დამელიოს, ზურას რომ რამე დაემართოს. ან-კი რას ვამბობ? რათა ვწუხვარ? ჩემი სული ზურას სულში დგას და თუ ზურას რამე მოუვა, მეც სიამოვნებით მოვკვდებიო,—ბუტბუტებდა თეო და თვალები ცრემლებით ევსებოდა.

გაზაფხულის მშვენიერი დღე იყო, სიო წყნარად იძროდა. გარედ გამოსულ თეოს შუბლი გაუგრილდა, შავი ფიქრები გადაეფარა და სასწავლებლის მიდამოს გადაავლო თვალი. „ჩემი ნაამაგდარევი სკოლა, ჩემი მოწაფენი... ძალიან-კი ვუყვარვართ, მაგრამ ნეტა თუ დავტოვე რამე კვალი ამათ გონებით განვითარებაში. ოჰ, რა ბედნიერი ვიქნები მაშინ. ეხლა ხომ ჩემი ზურა ჩემთან იქნება და ეგეც მომეშველება. ღმერთო შენითა!“ თეომ ფიქრი გასწყვიტა, რადგანაც თავისკენ მომავალი რამდენიმე დედაკაცი დაინახა.

— შუადღე მშვიდობისა, ბატონო!—ერთხმად მიესალმნენ დედაკაცები და ჩამომწკვრივდნენ, ისე რომ ყველა მათგანი სცდილობდა ერთი მეორეს მოფარებოდა.

— ღმერთმა გაცოცხლოთ!—მშვიდად სალამი გადაუხადა თეომ.

დედაკაცები ერთხანს გაჩუმებული იყვენ, ხმის ამოღებას ვერ ახერხებდნენ. თეომ შენიშნა, რომ რცხვენოდათ და ღიმილით მიმართა:

— რა ვქნა, პირველათა მხედავთ, თუ რა ამბავია, ნუ ხართ, ადამიანებო, ეგრეთი მორიდებულნი და!—მერე კერძოდ უთხრა ერთს მათგანს:

— სხვა, სიდონია, დაგიბრუნდა შენი ბიჭი, სამუშაოთ რომ იყო წასული?

— დიაღ, შენი ჭირიმე, დაბრუნდა, მაგრამ ფეხზე რაღაც მუწუკი გამოსვლია და ლამის არ ვიცი, რა მოუვიდეს.

— რა უნდა მოუვიდეს. უბრალო თვალი იქნება რამე,— ანუგეშა თეომ.

— ეგ-კი არა და ბატონი როგორ ბრძანდება?—დაეკითხა ერთი მათგანი თეოს.

— ქიტიაურო, ეგ რომელი-ღა ბატონი გაგჩენია?—გაეხუმრა თეო, თუმცა-კი კარგად მიხვდა, ვის შესახებაც ელაპარაკებოდენ.

ქიტიაურმა ტუჩებში ჩაიცინა, კაბის კალთა ფლოსტებზე გადაიფარა, მერე შუბლ-ქვეშიდან შეხედა თეოს და გაუბედავად უთხრა:

— შენ-კი გადღეგრძელა ღმერთმა, ჩვენო ბატონო, რომ ეგეთი ხარ. მე თქვენ ავადმყოფზე მოგახსენებთ, ავად თქვენი მტერი და დუშმანი იყოს.

— ჰო, ეგრე თქვი, შე დალოცვილო,—ღიმილითვე უთხრა, თეომ,—მადლობა ღმერთს, ცოტა უკეთ არის.

— ბეჩა, ღმერთს სამართალი არა აქვს!! კარგად უნდა იყოს მა რა?—ჩაერია ლაპარაკში მესამე.

— ნუ-კი გეწყინება, შენი ჭირიმე და, აი ეს ოთხიოდე აბილაური მოგართვით, ამბობენ კარგიაო, ავადმყოფს გულს უპოვნისო,—სთქვა მეოთხემ და ოთხი ვაშლი ჯიბიდან ამოიღო და მოწიწებით გაუწოდა.

თეომ დიდი მადლობა გადაუხადა და ვაშლები ჩამოართვა. ძლიერ იამა კიდეც. მართალია ბევრი არა იყო-რა, მაგრამ გლეხი ქალის მზრუნველობამ გულში სიამოვნებით უღიტინა.

— ქა, სად იშოვე, ქალო, ამ გაზაფხულის პირზე მაგეთი დაკროლებული ვაშლები!—გაიკვირვა ქიტიაურმა.

— რო იცოდე, ქალო, ი ჩვენ სასიკვდილე კატუკას ბელელში ჰქონია შენახული, მაშა! ძაან-კი გაგვიკვირდა, რომ აგრე შენახულა...

— ბატონო,—კვლავ მიჰმართეს თეოს,—ი თქვენი ყმაწვილი რას უფრო იტკივებს?

თეოს პასუხის მიცემა აღარ დასცალდა, ზურას ხველების ხმა მოესმა და სახლში შეიჭრა.

ზურა ჯერ ნელა ახველებდა, მერე თან-და-თან მოუმატა და ჩაბჟირდა. სახე გაულურჯდა, თვალის კაკლები დაეკარგა.

თეო ერთხანს გაშტერებული შეჰყურებდა, მერე კი მივარდა და სასოწარკვეთილებით დაუწყო ნჯღრევა.

— ზურა, შენი ჭირიმე, ზურა, რა დაგემართა, ვაიმე, ვაიმე!—ზურა არ ბრუნდებოდა.

— მიშველეთ!—დაიკივლა თეომ.—მიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანი. ზურა, შენი ჭირიმე,—გულსაკლავად გაჰკიოდა თეო.

გარეთ მყოფი დედაკაცები გულგახეთქილები შემოცვივდნენ, ზოგი წყალს მოარბევინებდა, ზოგი ძმარს და როგორც იყო მოაბრუნეს ჩაბჟირებული ზურა, რომელმაც უკანასკნელად მაგრად ამოახველა და სისხლნარევი ნახველი გადმოაგდო პირიდან.

თეოს თვალთ დაუბნელდა, გულმა წუხილი დაუწყო.

— ნუ გეშინია, ჩემო თეო, ნუ გეშინია,—ძლივს წამოიძახა ზურამ,—მე კარგადა ვარ... ეხლა-კი გავნთავისუფლდი, თურმე ეგ ოხერი ნახველი მაწუხებდა.—თეომ მწარედ ამოიოხრა.

— თეო,—კიდევ მოისმა პატარა ხანს უკან ზურას ხმა,—ავდგები შენი ჭირიმე, თბილად ჩავიცვამ და სუფთა ჰაერზე გავალ. ჰაერი მინდა, ჰაერი.—თეოს რაღა ეთქმოდა. ზურას სურვილის ასრულებას სიამოვნებით შეუდგა.

წამოლახლახდა ზურა ლოგინიდან. ორ-კაპი ჩხირივით გამხდარიყო და რადგანაც მარტო სიარული არ შეეძლო, თეო შეუჯდა მხარში და აივანზე გამოიყვანა.

— ოხ, თეო, როგორ გტანჯავ, ნეტა ერთი ჩქარა გავსაღ-

დე, რომ შენ წვალებიდან გაგანთავისუფლო,—წყნარად ეუბნებოდა ზურა თეოს და ისეთი თვალით უყურებდა, რომ მტერსაც-კი შეეცოდებოდა ეს ოდესღაც ძალ-ღონით სავსე ვაჟკაცი და დღეს-კი მარტო თვალებად გადაქცეული.

— ნუ გეშინიან, ჩემო სიცოცხლეევ, ღმერთს სამართალი არა აქვს?!—გაუბედავად უთხრა თეომ და თვალები წყლით აეკსო.

— ჰმ,—ჩაიცინა ზურამ,—როგორ არა აქვს, ჩემო სალოცავო, მაგრამ იმასაც მსხვერპლი უნდა,—გაიხუმრა ზურამ... სიჩუმე ჩამოვარდა.

— ნეტა, ა იმ ფერდობში ვინ მოღრიტინებს იმ დანჯღრეული ურმით,—იკითხა ცოტა ხანს შემდეგ ზურამ და თეოს თითით ანიშნა.

— არ ვიცი, გენაცვა.

ეს იყო ეფემია, რომელიც თეოსა და ზურას სანახავათ მოდიოდა.

ვიდრე თეო და ზურა ამ ლაპარაკში იყვნენ, სოფლის დედაკაცებს ხმა გაეგდოთ სოფელში ზურას შეწუხების თაობაზე, ყველა ერთად შეგროვილიყო და მწუხარებით ადევნებდნენ თვალ-ყურს.

— ღმერთს სამართალი არ აქვს?!

გაისმოდა აქეთ-იქიდან. ვაიმე, ჩვენო თეო! იმეორებდნენ მეორენი. თეო-კი იმედით სულდგმულობდა.

მოსწყინდა ზურას გარეთ ყოფნა და ისევ დაწოლა მოუნდა.

— ნუთუ ისე მოვკვდები, რომ ჩემს მტრებს სამაგიეროს ვერ გადავუხდი? ნუთუ ისე მოვკვდები, რომ ჩვენ ღარიბ საზოგადოებას ვერაფერში გამოვადგე! ნუ-თუ ისე მოვკვდები, ჩემო თეო, რომ შენი ცქერით ვერ გავძღე? ოხ, მტარვალებო, მტარვალებო, რამდენ ადამიანს უღებთ ბოლოს!—წამოიძახა ზურამ და თეოს გაუმაძღარი სიყვარულის თვალით შეხედა.

— ნუ ამბობ, ნუ მაგას. რა დროს სიკვდილია. ვერა ხედავ, როგორი ბედნიერები ვართ, მთელი სოფელი ჩვენ შემოგვცქერის? ოხ, ზეციერო მამაო, შენ გვაკმარე ტანჯვაეაება!—გულმხურვალეთ წამოიძახა თეომ და ზურას გადაეხვია.

— არა, არა, მე არ მინდა სიკვდილი! მე უნდა სამაგიერო

გადავუხადო ჩვენს მტარვალებს, საშვილიშვილოთ გადავცე მათდამი შურისძიება. ღმერთო, შენ მომეცი ძალი და ღონე, თეო, შენ გამამხნევე, სამშობლოს ჰაერო, შენ გამკურნე. მე მწყურიან, მწყურიან სიცოცხლე!—ნაღვლიანად გაიძახოდა ზურა.

იქნება ეს უკანასკნელი გაბრძოლებაც იყო, მაგრამ იმედი, იმედი ტკბილი არა სტოვებდა თეოს. იგი კვლავ გატაცებით დაეკონა ზურას ავადმყოფ, მღელვარე მკერდს და ცრემლი დააპკურა. ეს იყო ცრემლი სათნოებისა და თავგანწირვისა, ეს იყო უკვდავი მსხვერპლი უკვდავი სიყვარულისა!

1895 წ. ღვინობისთვე. ქ. მოსკოვი.

მთაო მაღალო!

(ლექსისებური)

მთაო მაღალო! რას მიყურებ აგრე პირქუშად.
ნეტა რას ნიშნავს შენი აგრე გაამაყება?
კი, მთად ქცეულხარ, ბედისაგან გალალებულო,
და მე—გორაკი—აბა შენთან რას გამოვჩნდები!
გიმზერ ძირიდან, გულ-ზვიადო, ტყით დაბურულო,
და დაჩაგრული მე ჩემ თავსა ვებუტბუტები:
შენ თუ ცას ეტრფი და ამაყად, თავდავიწყებით
ლაჟვარდ სივრცეში ვარსკვლავთ კრებულს თვალსა ადევნებ,
მე მიწას ვუმზერ, მიწას შავსა, სისხლით მორწყულსა,
სადაც ნაშვრალი მუშა ხალხი კვნესის და გოდებს.
სადაც სიამე, ნეტარება და პოეზია
დღიურ ვარამსა ჯოჯოხეთად გარდუქცევია.
შენ თუ ღრუბლებსა ენაზები, ეალერსები
და მზის სხივებით ალიონზე გულმკერდს იქარგავ,
მე მთელი დღენი წყაროთ ქცეულ ცრემლებს მიწისას
ვუხლმოდრეკილი ვეხვეწები, ვემუდარები:
„გასწიე, ციოო ანკარაო, და გაგოგმანდი,
სალამი უძღვენ ამწვანებულ ტყე-ველ-მინდორსა,
ჩაირაკრაკე ბალახებში. მორწყე ყანები,
პირი მოჰბანე ყვავილებსა და ეამბორე!
იქ ერთ ყანაში ქვრივ-ობრისა ულამი მოჩანს,
იქ მოგროვილან დაჩაგრულთა დამხმარებელნი,
გლეხებს ნამგლები აუღიათ, ატრიალებენ
და მოქანცულნი გზისკენ მალ-მალ იყურებიან,
წყაროვ, მიხედე, საცოდავებს ძლიერ წყურიათ!“
ნუ იმრიზები, ჰოი მთაო, და ნურც დამცინი!
პირს ნუ იბურავ მოსრიალე ჭრელი ღრუბლებით,
გეყოფა კიდეც ცის-კამარის თვალიერება.

აბა რას გარგებს მზის ქიშპობა ვარსკვლავთ ცილობა.
ნუ გეშინია! ბადრი მთვარეც შენთვის არ კვდება,
შენც კარგად იცი, მას სამყარო ეარშიყება...
მაშ, ერთხელ მაინც, ბუმბერაზო, ძირს... ძირს ჩამოდი
და იმ ქვეყნად, სადაც შენთვის ქება უძღვნიათ,
მიმოიხედე და გაიგე აბა რა ხდება!?
არსად გინახავს ნაღვლიანი შენ დედაბერი?
არსად გსმენია უსუსურთა მოთქმა-გოდება?
არ შეგინიშნავს, როგორ იკვეხს ურცხვი ბაქია
და ამავე დროს თვის ჩრდილისაც კი ეშინია?
არსად გინახავს სრულად საღი შენ მათხოვარა,
ვისაც ტყუილათ დაუკვლანჯავს ხელი და ფეხი,
და დახავსებულს, ზარმაცს, საპყარს, მოდუნებულსა
სურს სხვისი ოფლით მოიპოვოს არსების პური?
არც ის გინახავს ჰორიკანა როგორ ლაქლაქებს,
თვის მეზობელსა, ავსა და კარგს, როგორა ჰკიცხავს,
პირში რომ გაქებს, გენუკვება და პირს უკან კი
სხვის სასიამოთ თვის „მეგობარს“ სამარეს გითხრის?..
მაშ, თუ გინახავს, მეტი არის, მე მოგახსენო,
რომ ამგვარებით სავსე არის ჩვენი გარემო!
მხოლოდ ეს მითხარ, თუ ყურს მიგდებ, მთაო მაღალო,
ნეტა როდემდის ვიწუწუნებთ და თაყვანსა ვცემთ
უვიცობასა, ძმის გამყიდველს და ზარმაცობას.
ნეტა როდემდის ვანებივრებთ იმ გვარ არსებათ,
ვინც დღეს აღმერთებს ერთ საგანსა, ხვალ-კი „სანდალობს“,
ნეტა როდემდის?.. მაგრამ კმარა... შენც კი მიხვდები!
ხოლო კვლავ გკითხავ: „ჩვენ ქვეყანას რა ეშველება?“
სუ! რა ხმა ისმის? შენ გაქებენ, შენ გადიდებენ?
განა ვინაა? ღირსეულნი თუ მგლების ხროვა,
რომელთაც დათვნი მოუძღვიან, მოაბოტებენ
და მელიები ცბიერობით დამოყვრებიან!
არ მიპასუხებ? გიხარია, მთაო მაღალო,
რომ მგლების ხროვამ თაყვანი გცა, გაგაბატონა?
თაკს-ბრუ დაგასხა, გაგალენჩა მელის ალერსმა
და დათვის ტაშმა, მის დამქაშმა აგათამაშა?
რას იბღვირები? ჩემი სიტყვა არც კი გსმენია?

ნუ, ნუ სტყუვღები, ნუ ეძლევი ბოროტ გულისთქმას!
ნურცა ამაყობ მით, რომ ელჩად არწივი გიზის
და ცის სივრცეში ანავარდებ, აცბებს ტყობილობ,
ან რომ ირემი, ჯეირანი, ჯიხვი და არჩვი
კლდიდან კლდეზედა ელვასავით მსწრაფლად ხტებიან
და შენის ნებით შენს ტყეებში, ნაძვნარებში იმალებიან...
ნუთუ არ იცი მხეცთა ბინავ, ველურთა ბუდევ,
რომ პ ი რ უ ტ ყ ვ თ ძმობა-მეგობრობა არ გამოდგება??
კი, თავი მოგაქვს მით, რომ ღამით საბნათა გხურავს
ღრუბლად ქცეული გაჭირვებულთ ოფლი და ცრემლი,
განთიადისას სარკეთ ხმარობ ცისა ციაგსა
და სავარცხლადა—ამომავალ მზისა სხივებსა,
მაგრამ... არმად შეეპმული მუშის ოფლი ერთხელ იქნება
ცაში იგრგვინავს, ძირს წამოვა შხაპუნა წვიმით,
სულ ჩამორეცხავს მაგ შენ კალთებს, გაგანადგურებს
და მუშის მტარვალს, მუშის მჩაგვრელს შიშის ზარს დაგცემს...

1897 წ. 17 მარტი.

ნენესას

შუა ზამთარი იყო... გაავზნებული ბუნება, ბობოქრობდა თოვლით დაფენილი დედა-მიწა მომაკვდავსავით ჰგმინავდა და სიცივისაგან საცოდავად იკუმშებოდა. ქარბუქისაგან შეშინებულნი მთა მთას ეფარებოდა, მინდორი ტყეს, მდინარენი—თავიანთ კალაპოტებს. სულდგმულთა ცხოვრება ხომ სოროებუნაგებში შეყუჟულიყო და მოუმართავ საათივით ოდნავ, სულ ოდნავ ფეთქავდა. ცა-კი მაინც არ იბრალებდა ქვეყანას! ყბები საბერველებად გაეხადნა, ხელები არნადად, პირიდან განუწყვეტლივ თოვლს აფრქვევდა და ნამქერს ქვეყნის გულმკერდს აფორიაქებინებდა... ადამიანის ოცნებასაც ფრთები ჩამოეშვა, მხოლოდ ყინვა გაბატონებულიყო და დაუნდობელ ქარბუქს მავნე სულიკით ასდევნებოდა.

— ოი, ოი, ოი!

— ბა, ბა, ბა!—გაიცსმოდა აქეთ-იქიდან და ამ ღვთის რისხვა ამინდს ყველა წყევლა-კრულვით იხსენიებდა.

დაღამდა, მაგრამ ბუნება მაინცა არ წყნარდებოდა. გათამამებული ქარი ისევ და ისევ დანავარდობდა სამაზრო ქალაქ გ-ს ოღრო-ჩოღრო ქუჩებზე და თან ისეთი ძლიერებით დაჰქროდა, გეგონებოდათ, უნდა აჰგავოს ქვეყნის პირიდან ეს პატარა ქალაქიო.

— აი, ამოგივარდეს საბერველი, თუ ეს ოხერი ქოხი თავზე არ დამანგრიო,—მიაძახა, სხვათა შორის ერთმა მანდილოსანმა ქარაშოტს, როდესაც იგი თავ-განწირვით მიაწყდა ქალაქის ერთს მიყრუებულ უბანში მდგომ ფიცრულ სახლსა და ტკაცა-ტკუცი დააწყებინა.

— ნუ გეშინიათ, დედა, არ დაინგრევა,—ყრუთ, თითქო გულის გასაკეთებლად უპასუხა უფროსმა ვაჟიშვილმა და ნაღვლიანად მიმოავლო თვალი თავიანთ ბინა-სადგომს.

ეს ბინა-სადგომი ვიწრო და დაბალჭერიანი ოთახი იყო, საღორეს უფრო ჰგავდა იგი, ვიდრე ადამიანთა საცხოვრე-

ბელ შენობას; მაგრამ სიღარიბეს რა გაუკვირდება? ღარიბი, ქვრივ-ოხერი იყო, სოფლიდან შვილების სასწავლებლად ქალაქში გადმოსახლებული მღვდლის ქვრივი ნენე და ამიტომ დაბინავებულიყო ამ ქოხში, რომელსაც თვისი შესაფერი მოწყობილობაცა ჰქონდა. შიგ იდგა ერთი გრძელი ტახტი ძველი ფარდაგითა და ბალიშებით დაფენილი, ერთი ფეხმოტეხილი და კედელზე მიმაგრებული მაგიდა და ერთიც ხის ოთხ-კუთხი სკამი, რომელიც ხან მაგიდის დანიშნულებას ასრულებდა და ხან სკამისას, ერთის სიტყვით, როგორც მოხდებოდა. სტუმარს სკამად ემსახურებოდა და შინაურებსკი მაგიდად და აი, როგორ: ნენეს სამი მოსწავლე და სამიც იმათი მომდევნო შვილი ჰყავდა. რადგანაც მოსწავლენი ფეხმოტეხილ მაგიდაზე ვერ ეტეოდნენ ხოლმე, ერთი რომელიმე მათგანი მუხლის თავებით დგებოდა იატაკზე, დაიდებდა ამ სკამზე რვეულსა ან წიგნს და ისე მეცადინეობდა გასაკეთესა... ერთ-ერთ კუთხეშიაც იდგა შავად შელანძული, ნახევრად დაჟანგებული და სიძველისაგან ალაგ-ალაგ დაჩხვლეტილი თუნუქის ღუმელი. ეს ღუმელი იყო ერთადერთი გამათბობელი და გამართობელიც ნენეს წვრილშვილისა. როცა გახურებული იყო ხოლმე, წვრილი ბავშვები გარს ეხვეოდნენ და უფიცხებდნენ გვერდებს, როცა არა-და, ღუმელის თავზე დაყრილ ქვიშაზე თითით ასოებსა და სხვადასხვა სურათებსა ჰხატავდნენ...

ამ საღამოს-კი არაჩვეულებრივად ატარებდა დროს ნენეს ოჯახობა. მართალია, ცეცხლიც აებოლებინათ ღუმელში, მაგრამ ღუმელს არავინ ეკარებოდა. მოსწავლენიცა და იმათზე უმცროსებიც წამოგორებულიყვნენ ტახტზე დედის მუხლებთან და გაჩუმებული ყურს უგდებდნენ ქარის ღმუილს. წიგნები გადაშლილი ჰქონდათ, მაგრამ არ კითხულობდნენ. აღარც დედა უჩიჩინებდა ჩვეულებრივად,—„წიგნები იკითხეთ, „დოიკები“ არ მიიღოთ, თორემ დაგხოცავთო!“ იგი წინდას ყელს აქსოვდა... სიჩუმე ჰსუფევდა ნენესას, მხოლოდ გარედან ქარი არ ასვენებდა და თითოეულ შემოქროლვაზე სახლში საკმაოცივ ჰაერს შემოგზავნიდა ხოლმე. მართალია, ოთახის ფარღალალაებს ნენემ ზამთრის პირშიეე მიაკრა ნაბდის და ქაღალდის ნაჭრები, მაგრამ რომ ვეღარა

გაუმაგრდა რა იმ ღამინდელს კორიანტელს? გაითანგნენ, დაბუჟდნენ სიცივით დედა-შვილები! ღუმელშიაც ჩაიწვა ის ორიოდე მუგუზალი და ახლა საცოდავად, ხჩოლავდა. ბევრი უჩიჩხვინა უფროსმა შვილმა, მაგრამ მაინც აღარ ეკიდებოდა და სახლი ბოლით ივსებოდა. აწუხებდა ეს კომლიც მოწაფეთ, თვალებსა სწვავდა და პატარა ლამპარს სინათლეს აკლებდა.

— ოხრად დარჩი, ოხრად დარჩი, კაი ამინდი შენა ხარ!— ბუტბუტებდა თავისთვის უკვე დაჭაბუკებული გოგია.

— ტი-ტო, ტიტო, ხატი, ხატი!—დაარღვია სიჩუმე დედაენაში ჩათვლით პატარა ფუნთუშა სიკომ და დედას შეხედა, იქნება გაუხარდეს მაინც, რომ წიგნის კითხვა ვისწავლეო. მაგრამ ნენეს ბავშვისა არა გაუგია-რა. დედას წინდა ხელიდან გაეგდო, აეყუდებინა ბეჭებზე ნაალი და ცხრად მოკაკული ფიქრებში წასულიყო. ვინ იცის რასა ჰფიქრობდა? მაგრამ რას არ იფიქრებდა ისეთი ადამიანი, რომელსაც ჰშიოდა, სწყუროდა, შვილები სიცივით ეხოცებოდა, სილარიბისაგან დამცირებული, გათახსირებული იყო... ოჰ! ნეტა როდის მოითხოვენ დაკმაკოფილებას ტვირთ-მძიმენი!

— ტიტო... ხატი,—უფრო აუმაღლა ხმას სიკომ. ნენემ ახლა-კი მიაქცია შვილს ყურადღება. ჯერ ალერსიანად გადაჰხედა, მერე ერთი ამოიოხრა და გულიანად დაუმატა:

— აი, გაუწყრეთ ხატიცა და ჯვარიც იმ პირში სულგასაწყვეტებს, ვისაც ღარიბი არ ებრალება. ოიი! ჩემი კაბითაც დამჯდარა და ჩემი წყალიც დასხმია ი „სმოტიტელია“, თუ რაღაც ოხრობა, იმის ცოლსა, რომ მაშინ უფრო შემიბრალებს... ვაი, ძვლები გამეყინა, ძვლები!..

— რათ იცი, ადამიანო, ეგეთი წყევლა-კრულვა!—გააწყვეტინა გოგიამ,—იმისი რა ბრალია,—შემწეობა რომ არ დამინიშნეს სასწავლებლიდან. ჩვენზე ღარიბები იქნება სხვებიც არიან?

— შენ ემანდ იკითხე და კარგადაც დაიხსომე, რა ცეცხლის პურსა ვჭამთ, ჯერ მეტი არა მოგეთხოვება-რა!—მკაცრათ შენიშნა დედამ.

გოგია შეკამათებას უპირებდა, მაგრამ ამ დროს საშინლად დაიგრიალა ქარმა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა მოაწვა

ნენეს ქოხის კარებს და რაზა ჩაუგდებელი კარები შემოა-ხეთქა. სახლში საშინელი სიცივე შემოიჭრა და იქაურობა ააფორიაქა.

— არიქა, მიხა, კარები დაუგდე!

— დედავ, დედავ, რა სიცივე შემოვარდა!

— ოი, ოხრად დარჩი, ოხრად, ასეთო ცხოვრებავ!

ახმაურდნენ დედა შვილებიანად და დაფაცურდნენ: გოგია კარებს ეცა, მიხამა და მეორემ ლამპარს ხელები მოაფარეს, არ გაგვიქრესო, და დედა-კი კვლავ წყევლა-კრულვით იხსენიებდა თავის გაჩენის დღეს.

თითქოს ამ უმნიშვნელო საქციელის ჩადენით გული იჯერაო, გააფთრებული ქარი მოულოდნელად სადღაც ჩაკვდა. ცა მოიწმინდა და თუმცა ყინვამ იმატა, მაგრამ სამაგიეროდ ქვეყანამ მოისვენა ღრიანცელა ნამქერისაგან და სული განაბა. მიიმალ-მოიმალნენ ღრუბლებიც; ჯერ ერთმა ვარსკვლავმა გადმოჰხედა თოვლით დაფეფქვილ დედა-მიწას, მერე მეორემ. ერთმანეთს გაუცინეს და თითქოს პირიდან ალმასები გამოსცვივდათო, მალე მთელი ცის კამარა მოიფინა ბრჭყვიალა ვარსკვლავებით ბოლოს მთვარეც ამოვიდა, მაგრამ ისე მაღლა-მაღლა-კი გასწია, გეგონებოდათ ქვეყანას პირს არიდებსო, ალბათ, იმიტომ, რომ მისი სხივები თოვლის სისპეტაკეს ვეღარ ეცილებოდნენ.

ეძინა ყველას. ეძინა ნენესაც. იგი კრუხივით გადაფარებოდა თავის წვრილ-შვილს, თუმცა მძინარესაც-კი ზრუნვა და მწუხარება აღბეჭდოდა სახეზე. არ ეძინა მხოლოდ გოგიას. საბან წამოსხმული მოსჯდომოდა მაგიდას, გადაეშალა წინ ბერძნული გრამატიკა და გაჩქარებით გაიძახოდა! „ვუ-ლევო, ვულევის, ვულევი“. მეათედ, მეოცედ იმეორებდა ერთს და იმავე სიტყვებს, მაგრამ გონებას-კი არა ეკარებოდა რა. ეს სიტყვები, ეს გრამატიკა თავისის ათასის ახსნა-განმარტებით სრულიადაც არ აკმაყოფილებდა, არ უდგებოდა გოგიას გულის თქმას, დღევანდელი საღამოთი გამოწვეულ იმის ფიქრებს.

სცივა და შიან? მერე მარტო გოგიას?

— ვულევო, ვულევის, ვულევი!—იმეორებდა თუთიყუშივით გოგია...

— ხვალაც რომ ასეთი დარი იყოს, რა გვეშველება, შეშა არა გვაქვს და საქმელი!—დაეკითხა გული გოგიას.

— პატერ იმონ (მამაო ჩვენო),—უაზროდ უკარნახა გაზეპირებული სიტყვები გონებამ.

გაცივდა, გალელეჩდა ნენეს ოთახი. გოგიას საბანმაც ვეღარ უშველა, ფეხები დააძრა და სულ გადააგიწყდა „ვულევო, ვულევოები", გიჟივით ზეზე წამოიჭრა და მობღუნძულმა ოთახში სიარული დაიწყო. ერთხელ გაიარა კუთხიდან კუთხეში, ორჯელ, სამჯერ, მაგრამ არც სიცივე და არც ბერძნული გაკვეთილი თავს არ ანებებდნენ. დაწოლილიყო, ჩახუტებოდა თავის ჟიჟმატა ძმებსა და ამათი გამთბარიყო? გაკვეთილი რომ მოსამზადებელი რჩება?.. დასძლია თავს გოგიამ და ერთხელ კიდევ ჩაიზეპირა ბერძნული ლოცვები. არა და არა! არ ახსოვდება. ხან სიტყვები ავიწყდება, ხან ფთელი წინადადებანი: „გული გონებას ეურჩება", სხეული ვეხსიერებას... ბოლოს ბერძნული წიგნის ასაღებად მობრუნდა და თავისდა უნებურად დააცქერდა მძინარე ბავშვებს.

მშვიდად ეძინათ პატარებს. ლოგინში ჩათბუნებულები ანგელოზებსა ჰგვანდნენ. არც დარდი, არც მწუხარება, არც არავითარი ფიქრი იმათ სახეზე არ გამოკრთოდა. ჩახუტებოდნენ დედის მკერდსა და ჯერჯერობით მე ტიც არა ენაღვლებოდათ-რა! „ნეტავი თქვენ"! გულწრფელად შენატრა გოგიამ. რათა, ან რისთვის? იმიტომ რომ ამ ჟამად გოგიას გული ბოლმით ავსილიყო. გაიხსენა... არა, გაიხსენა კი არა, აღღოთი იგრძნო, რა მოვალეობა უნდა აწვეს თითოეულ კაცს, იგრძნო, რა ძვირფასი უნდა იყოს თითოეული წუთი ადამიანის სიცოცხლისა, რომ ეს წუთები, ეს დრო უბრალოდ არ დაიკარგოს და მწარე აწმყოს გაუმჯობესებას მოხმარდეს... გოგიამ-კი რამდენიმე წელიწადი დაკარგა ამ უმსგავს ბერძნული გრამატიკისათვის, რამდენჯერმე დასტოვეს სხვადასხვა კლასში მარტო ბერძნულისათვის. გული აუცრუვდა გოგიას, ჩამორჩა ამხანაგებს და მასწავლებლების დაცინვით ხომ კინაღამ არ გამოყეყეჩდა. საწყალი დედა, როგორ სწუხდა შვილის ასეთ უკან ჩამორჩენას, საწყალი წვრილი ძმები, რამდენი დღე დაუღამებიათ მშივრებსა?! თითონაც

გაიზარდა, დავაჟკაცდა და ისევ ანაბანაზედ კი სდგას... გოგიას გული ამოუჯდა, გაბრაზებით სწვდა ბერძნულ გრამატიკას, კედელსა სტყორცნა იგი და ცრემლმორეული თვალებით წამოიძახა:

— რას მომცემს ეს მკვდარი ენა, მასწავლეთ ისეთი რამ, რომ თავის დროზე გაჭირვებულთ ვუშველო და დაჩაგრულები ფეხზე წამოვაყენო.

— აღარ დაიძინებ, შვილო?—შეეკითხა გოგიას ბობოქრობით გამოღვიძებული დედა.

— სულ არა გვძინავს!—ორ აზროვნად უპასუხა გოგიამ და ღრმა ფიქრებში გართულმა გასათბობათ ნელთბილს ღუმელზე ხელები დააწყო...

1898 წ.

ვანო და მარო

— ღმერთო... რა ბედნიერნი ვართ?!—აღელვებით წამოიძახეს მუშტაიდის ბაღის ერთ განმარტოვებულ სკამზე მჯდომარე ვანომ და მარომ და ერთმანეთის ტუჩებს თავდაეიწყებით დაეკონენ.

ჰმ!—ამოიკვნესა იქვე, მათ მახლობელ ბუჩქზე მყოფმა ბულბულმა, ხმა ამოიწმინდა და მოყვა გულწარმტაც გალობას: კილო კილოს მოაბა, ჰანგი ჰანგს ჩააგრიხა და თითქოს მეტის სიამოვნებით თავ-ბრუ დაესხაო, საოცნებოთ ჩარაკრაკდა. ბუნებამ სული განაბა, მხოლოთ ვანოსა და მაროს საალერსო სიტყვები არღვევდა მიდამოს სიჩუმეს.

— მაშ გიყვარვარ?—მეათასეთ შეეკითხა ვანო მაროს, მერე ქალის ლამაზ სახე ორივე ხელებით თავისკენ მოიზიდა და თვალებში ჩააცქერდა. მაროს თვალები კი კელაპტარივით ანთებულიყვნენ, ბედნიერებათ გავარვარებულიყვნენ, და ვანომ რამდენიც არ უმზირა შიგ, ვერაფერი ამოიკითხა იმის მეტი, რომ მიბნედილნი ემუდარებოდნენ: „ჩამკოცნე, რა დროს ამოცანის ამოკითხვაო!“ ვანოც ერთხელ კიდევ დაეწაფა ამ თვალებს ისე მხურვალეთ, როგორც მონადირისაგან დამფრთხალი, მაგრამ სამშვიდობოს გასული ხარ-ირემი გულის გასაგრილებლათ დაეწაფება ხოლმე მთის ანკარა წყალს.

— ვიცხოვროთ ბედნიერად, დღეის შემდეგ სომ ერთმანეთისა ვართო!—ჩურჩულებდნენ ქალ-ვაჟი.

— დიაღ, დიაღ!—დაუშტვინა ახლა მეორე მხრიდან იადონმა და უზრუნველად აყ ა თავისავე ხმას. გალობდა დიდხანს, ხმა შეწყობით და სანეტაროთ.

ლურჯად მოკამკამე ცის სივრცეში მთვარე ბატონივით ამაყურად მისრიალობდა და გზა-გზა ოქროს სხივებს აფრქვევდა. შურით ფერწასული ვარსკვლავები ჩამოცლოდნენ გზიდან მთვარეს და შორს, ცის-ტატნობზე შეჩერებულიყვნენ. საოცნებოთ გაქათქათებული ცა გარინდებული გადმოყურებდა ძირს დედამიწას, რომელსაც განთიადის მო-

ლოდინში მიძინებოდა და მთვარის შუქით გულმკერდ მოქარგული მშვიდად ფშვინავდა. ღამის ნიავი თავს დაღიღინებდა, ხე-ტყე ნანას დაჩურჩულებდა თავის დედა-მშობელს, ყვავილ-ბალახნი სურნელებას უკმევდენ, ხოლო განზე გამდგარი მთები დარაჯად დადგომოდენ მძინარე ქვეყანას და ფიქრში წასულნი შუბლ-შეკრულნი გამოიყურებოდენ. არც კვნესა, არც მწუხარება, არც ოხვრა-ტირილი, არც შიმშილ-წყურვილი, არც დამცირება და ძალ-მომრეობა, არც თვალთმაქცობა და ვერაგობა, არაფერი ამისთანა აღარ გაახსენდებოდა ვაცსა, პირიქით, ამ დიადი ბუნების მომზერალი ადამიანი, მარტო უმნიშვნელო, ბუნების სულ უბრალო ქმნილებად თუ წარმოიდგენდა თავს, იმგვარ გონიერულ ქმნილებად, რომელიც იმიტომ არის გაჩენილი, რომ ბუნების სიდიადეს, მის ჰარმონიას ხელი შეუწყოს და თავის გაიძვერაობით თავის მსგავსებს სიცოცხლე არ მოუწამლოს და გაჩენის დღე არ აწყევლინოს, იცხოვროს მშვიდად და დატკბეს, დატკბეს ყოველივე სიკეთით!..

სტკბებოდენ მარო და ვანო, მაგრამ ბუნების სიდიადით კი არა, თავისი „მე“-თი და თავისი სიყვარულით. ამ ჟამად სხვა გარეშე არა სუფუვდა რა მათთვის. „შენ და მე, მე და შენ“. ამ ორ სიტყვაში იხატებოდა მთელი მათი სულისკვეთება, მთელი მათი აწმყო და მომავალი... რაც კი ქვეყანანაზე საალერსო სიტყვებია, ერთმანეთს უძღვნეს და მაინც ვერა ძღებოდენ ერთმანეთის ცქერით და ხელი-ხელ გადახვეულნი გვრიტებივით ღუღუნებდნენ.

მოწყინდა ბულბულს სტვენა და იქვე ბუჩქებში მიეძინა. ქვეყანას ღრმა ძილი დააწვა. მთვარემ გაიარა თავისი გზა, ცამაც ცოტა ხანს თვალი მოხუჭა, რომ განთიადს ფერმკრთალი არ დახვედროდა, ხოლო მარო და ვანო ისევ ერთ ადგილას ისხდნენ და ერთმანეთის მზეს ფიცულობდნენ...

* *

ადამიანის სიცოცხლე—ერთი დამთქნარებაა, რადგანაც დრო-ჟამის სრბოლას არ ვაფასებთ და დღე და თვეები უმნიშვნელოდ, უაზროთ გვეპარება ხოლმე თვალსა და ხელს შუა. დიდი ხანი გავიდა ზემორე აღწერილ ღამის შემდეგაც. რამ-

დენჯერმე გამოიცვალა სახე დედამიწამ და იმდენჯერვე აირ-
დარია ბუნების სიდიადე და სიწყნარე, მაგრამ 189... წლის
დეკემბერში რომ სიცივე და უბედურება დაატყდა ქვეყანას,
იმისთანა არ გაგონილა. საშინელი ყინვებისაგან დედა-მიწა
ბნედიანივით ცახცახებდა. ისე შეეშინებია ამ ზამთარს მთე-
ლი ქვეყანა, რომ გაზაფხული საოცნებოთ ეჩვენებოდათ, მზის
სხივები—საარაკო ამბად და სითბო—საზღაპროთ. საცოდა-
ვად კანკალებდნენ ღარიბები, ხოლო მდიდრები კი ბევრს
არასა დარდობდნენ.

სიცივე-ჯავრისაგან წელში მოხრილი ვანო გულ-ხელ დაკ-
რეფილი და თმააბურძგლული, ჩქარის ნაბიჯით დარბოდა თა-
ვის ოთახში და მწარედ დაღვრემილიყო. ამავე ოთახში ტახ-
ტის ბოლოზე ჩამომჯდარიყო გაბუტული მაროკ და სახე მო-
ღუშული საწვიმრად მომზადებულ ცასა გვანდა. პირი ეშმა-
კებისკენ წაეღო: ვანოსთვის ნახევრად ზურგი შეექცია და
ტუჩებ-წამოშვერილი, სახიდან შეშლილიყო. ოთახიც არეულ-
დარეული მოჩანდა.

— მაშ ასე უნდა ვიჩხუბოთ ჩვენი დღენი! ამის მეტი საქ-
მე აღარ გექონია, რაღა!—კბილების კრაჭუნით წამოიძახა
ვანომ და განზე გაიხედა.—სიღარიბე, სიღარიბეა ყველა ამის
მიზეზი.—ამოიგმინა კიდევ ვანომ, — მე რო ფული მქონდეს,
ყველას ძაღლივით თითო ლუკმას მივუგდებ და გავაჩუმებ..
გაგაჩუმებ შენც, ქალბატონო, კარგ ჩაგაცმევ, კარგ დაგხუ-
რამ, გაგიყვან-გამოგიყვან და მაშინაც იღრინებ? ხომ ამაზეა
თანამედროვე „ბედნიერება“ აგებული!.. ამას ეძებს ახლან-
დელი „სიყვარულიც;“ მე კი... მე სულ სხვა მეგონა...

— ხმა ჩაგიწყდეს, თუ ენა მუცელში არ ჩაიგდო, —
თვალების ბრიალით გააწყვეტინა მარომ და შეტევით
უთხრა: — კმარა, ნუღარ ამაყბედებ, თორემ არ ვიცი, რას
გიზამ.

— ჰმ!—ამოიგმინა ვანომ და ფეხს უფრო აუჩქარა.

— ზმუკი!—მიაძახა მარომ.

— შენ თავსა და კისერს!—წაიბურტყუნა ვანომ და და-
ფიქრდა. დიდხანს მიდი-მოდიოდა ვანო დაღონებული. მიდი-
მოდიოდა მანქანასავით, ისე თავის უნებურათ. ბოლოს ხე-
ლები ჩამოუშვა და მწარეთ გადიხარხარა.

— უცუნა!—აფთარიევით მივარდა მარო,—შენ რო სინიდისი გქონდეს, რა გაქვს ერთი გასაღრეჭი?!

— გინდა გითხრა რაზედაც ვიცინი, თუმცა კი ვაი ამისთანა სიცილს.

— ოღონც კი ხმა ჩაიწყვიტე და შენი არა მინდა რა. მე შენ მოგახსენო ფილოსოფიას იტყვი, აი!—დასცინა მარომ.

— ფილოსოფია კი რა ჩვენი ქალების საქმეა, მაგრამ...

— ჰა, კიდევ დაიწყე!—პირიდან სიტყვა გამოაცალა მარომ,—მე შენ გეუბნევი ქალებზე ლაპარაკს თავი დაანებო და ე შენ ცინგლიანს თავს მოუარე-მეთქი.

— მადლობას მოგახსენებ დარიგებისათვის,—ჩამოართვა სიტყვა ვანომ,—მაგრამ ერთი ეს მითხარი, ახლა გავხდი ცინგლიანი, თუ აქამდისაც ვიყავი? გახსოვს, ქალბატონო, ჩვენი შეხვედრა... მთვარიანი ღამე... ბულბულის სტვენა, გალობა... ჩვენი ერთმანეთისადმი აღტაცება... აი რამ გამაცინა,—მგონი მას შემდეგ ძლიერ დიდი ხანი არ არის გასული,—ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ირონიული კილოთი ლაპარაკობდა ვანო.

— ოი, ჩაქცეულიყო ის დღე და საათი, რომ მე შენ არ გადაგკიდებოდი! მაშინ სულელი ვიყავ და ახლა...

— ახლა კი სიბრძნის კბილები ამოგივიდა, განა?—დასცინა ვანომ.

— ხმას აღარ ჩაიწყვეტავ, შე ქოფაკის შვილო!—შეუკურთხა მარომ და თვალებიდან წინწკლები წამოყარა.

— რა მეტი გზა მაქვს... უნდა გავჩუმდე, თუ ჩემი უდანაშაულო დედმამის შემკობა არ მინდა, მაგრამ ეს კი უნდა გახსოვდეს, რომ შენ ჩემი ცოლი ხარ და ეგრე უშვერად არ უნდა ილანძღებოდე,—აუმაღლა ხმას ვანომ და ცოლს დაუბღვირა.

— ცომი დაგეკრას მაგ თვალებზე, შე გაუნათლებელო, ხეპრე. მე შენი ცოლი კი არა, ამხანაგი უნდა ვყოფილიყავ, მაგრამ არც ერთის მოვლის თავი არ გაქვს, შე უმსგავსო.

— რა გაეწყობა! დღეის შემდეგ ეგ ახალი ტერმინი უნდა ვიხმარო, თორემ საუკუნოებით შემოღებული სიტყვაც საჩხუბარი გაგვიხდება!—გესლიანად სთქვა ვანომ და მხრები აიწია.

— ოხ, შე გველო!—დაიღრიჯა მარო და ზეზე წამოიწია-
— ნუ სწუხდებით, დაბრძანდით და დამშვიდდით, ჩემო ანგელოზო, ჩემო პირ-თაფლო და პირ-შაქარავ,—ხელის გაწოდებით დაიწყო ვანომ,—მხოლოდ ნება მიბოძე ერთხელ კიდევ გაგიმეორო, ჩემო ნაზო და სუსტო არსებავ, ჰაეროვან ქმნილებათა წარმომადგენელო, რომანების დამამშვენებელო, სიყვარულის ქმნილებავ, სიცოცხლის ნექტარო და უკვდავების წყაროვ, ნება მიბოძე-მეთქი მოგახსენო,—ორ აზროვანათ და კილო მობმით გააბა ვანომ (რადგანაც ასე უფრო აბრაზებდა ხოლმე მაროს) და ვინ იცის, როდის მოიოხებდა გულს, მაგრამ მოთმინებიდან გამოსულმა მარომ დააკლო ერთ ვეებერთელა წიგნს ხელი და გესლიანად მოლაპარაკე ქმარს შიგ შუბლში სტკიცა... დარეტიანდა საბრალო ვანო, ხოლო ვიდრე გონს მოვიდოდა, მარო მეორე ოთახში გავარდნილიყო და-პირქვე დამხობილი სიბრაზისაგან მწარედ ქვითინებდა...

1897 წ.

ზღვის პირად...

(ლექსისებური)

I

ვიდექ ზღვის პირად უცხო მხარეს გადაღუპული
და გრძნობით ავსილს, დაობლებულს, მიტოვებულსა,
ის ღა მშთენოდა ზღვის მზერითა გამერთო გული!..
ვუმზერდი დიდხანს... ფრთა გაშალა ჩემმა ოცნებამ
და ფიქრი გაჰყვა ზღვის ტალღებსა შორს, შორს სადღაცა.
გადამავიწყდა ჩემს გარემო თუ იყო სხვა რამ:
ტყე, ან მინდორი—მოქარგული ყვავილებითა,—
სოფელ-ქალაქი აგებული ხალხთ საბინადროთ,
თვით ჩემი თავიც, მარტოობა, დაობლებაცა!..
მხოლოდ თვალთა წინ ზღვა უფსკრულად გარდაქცეული,
ზღვა მოელვარე, მოქუხარი, მკვნესარი მწარეთ
გადაშლილიყო... მას დაეპყრო მთლად არე-მარე,
იგი მეფობდა, მისი იყო მზე და მთოვარე!
ტალღა ტალღაზე მოდიოდა ნაპირებისკენ
და ყრუ გმინვითა, სიბრაზისგან აღქაფებული,
თავ-განწირვითა აწყდებოდა ხმელეთის კვარცხლბეკს.
გრგვინავდა მედგრად, ღრიალებდა, ზვირთებს ისროდა,
და შიშისაგან მუშტის ოდენ გამხდარ ქვეყანას
მედიდურობით, ხმაურობით თავზარსა სცემდა!..
ვით სულ-მდაბალი უთვითნებო ადამიანი
თავის ბატონის წინ მუხლ მოდრეკით ცრემლებსა აფრქვევს
და თვის მჩაგვრელსა, თვის მტარვალსა, მონად ქცეული
უილაჯობით ძალმიხდილი ამკობს და აქებს.
ისე ხმელეთი გარინდული, ცახცახ-კანკალით
გადასცქეროდა ზღვის ტალღებსა სასომიხდილი,
და ტალღა იგიც, თითქოს ჰგრძნობსო თვის ძლიერებას,
არ ისვენებდა... კვლავ ტოკავდა, კვლავ ლიელიებდა
და დაუდგრომლად, უდარდელად, ვითა ჯალათი,
საბრალო კიდეთ სილას მალ-მალ უტყლაშუნებდა!..

ზურგი ებრუნა ზღვის ბრძოლისთვის ხმელეთს წამებულს
და უღრან ტყესა დაბურულსა შეჰფარებოდა.
სდუმდა!.. და ხან კი, თითქოს ვისმე შველასა სთხოვსო,
თვის გაჭირვებას, თვის წამებას ოხვრა ზრიალით
შორს გამდგარ მთებსა—წარბ შეკრულებსა—უზიარებდა.
მაგრამ შველა კი არსით იყო! მხოლოთ ხან-და-ხან
ალვის-ხე მუხას გადასცემდა საიდუმლოთა,
რომ: დაბლობშიო ზღვას, და ხმელეთს ბრძოლა შეჰქმნიათ!
— მერე მე რაკო? ტყე გულგრილად ეკითხებოდა
და გულზვიადი, ჩათხრობილი, ჩაბნელებული,
იგი თავისთვის ბუტბუტებდა და შრიალებდა!..

II

აქ,—კიდეებზე,—ბრძოლა იყო გახურებული
და სტიქიონი ყრუ-მიწასა შთანთქმას უქადდა.
მეც ვკანკალებდი საცოდავათ... ქმნილებათ გვირგვინს
ზღვის მომზირალსა ჩემი თავი ჰიათ მიმაჩნდა...
სამაგიეროთ როს გავხედე ცის დასავალსა,
სადაც ზღვა და ცა ერთმანეთსა ჩაკონებონდენ,
და ცის კამარა ზღვის გულ-მკერდსა დაშტერებოდა,
იქ... საწუთისოფლო, საამქვეყნო არა რა სჩანდა:
ზღვისა კამკამი ცის ციალსა ეცილებოდა
და მის მომზირალთ მაღლა-მაღლა წასულ ღრუბლებსა
ზღვის ცელქობაზე, ზღვის ფრთონვაზე ეცინებოდათ.
ბზისა სხივები, გამოჭრილი დასავლეთიდან,
თვითეულ მათგანს ოქროს ჯიღად თავს დასდგომოდა
და ვით აშიყნი, სიყვარულით თავს-ბრუ დასხმულნი,
ფარვანასავით აქა-იქა დაციმციმებდა!..
ტურფად შეემკოთ ცის კამარა ღრუბელთ, მზის სხივებთ
და საარაკოთ გაეხადნათ ბუნების ძალნი,
თავისუფლებას იქ დაედგა დროშა სპეტაკი
და მყუდროებას იქ აღეგო საკურთხეველი!..
ღრუბელი ღრუბელს შესდგომოდა, შეჰფარებოდა
და ბამბის ქულად, საუცხოოდ გადაპენტილსა
კიბე დაედგათ მეოცნებეთ ცათ ასასვლელად.

გულზე მეფონა მათ დამნახველს, მომეცა შეება
და ამ კიბეზე გავისტუმრე ჩემი ოცნება.
ვთქვი თუ „რას ვაქნევ ნეტა დღიურ ვარმისა ძალას,
როდესაც სულსა შეუძლია აღფრთოვანება,
როდესაც გული უსამართლოდ ლახვარ სობილი
ბუნების ცქერით მოგირჩება, გაგიმთელდება?!.“
აღტაცებულმა გავაყოლე თვალი ღრუბელთ სელას
და მზად ვიყავი მიწიერი ზეციურ არსთა
შევცილებოდი უკვდავება-ნეტარებასა!..

III

მაგრამ... აგერა ჩრდილოეთით ერთი ღრუბელი
რა საცოდავად გაცრეცილა, გაფითრებულა!
აცა! ის არის... სამშობლოდან გადმოსრბოლილი!
— სალამი შენდა! გამარჯვება, სამშობლოს ელჩო!
ცნობას მოსული აღელვებით შევეხმაურე.
გაჰქრა ოცნება, გაჰქრა წუთის თავდავიწყება,
სამშობლოს მხრიდან წამოსულმა ღრუბლის დანახვამ
კვლავ გამახსენა ჩემი თავი და... მარტოობა!
— რას გაცრეცილხარ, შე ბედშავო, ჰოი, ღრუბელო,
და ან კი რატომ არ იქარგვი მზისა სხივებით?
შავად შებურვილს გლოვის კაბა რად ჩაგიცვია?
რას იკრუნჩხები, საცოდავო, თითქოს ვერ ბედავ,
რომ შენ ტოლებთან გამოხვიდე, შეინაეარდო?!
შენც ხომ გაქვს ბინა ცის სივრცეში, ხომ ცოცხლობ კიდევ,
ჯერ შენ სიკვდილზე ცის ბრძანებელს არ უფიქრნია!
ვაშ, რაღას სტირი, რასა გლოვობ, რამ შეგაშინა?
მზისა სხივები ვერ გიდგება, გისხლტება ხელთგან,
მზე შენ ვერ გიწევს და შენ იმას ვერ მოსწევიხარ,
თუ ჩვენთა წყალთა ვერ გაგზარდეს, ვერ გამოგკვებეს
და ბნელით მოცულს სამშობლოის არემარესა
შენი სამყოფი ოშხივარი არ ასდენია?..
მარქვი, ღრუბელო, გულს ნუ მიკლავ, შენი ჟირიმე,
გამაგებინე სამშობლოის ყოფა, ცხოვრება,
შემატყობინე: ცოცხალია თუ არა სატრფო,

ᲩᲮᲘᲐᲠᲣᲚᲝᲑᲔᲜ, თუ სტირიან ჩემი მოძმენი,
ძინავთ თუ ღვიძავთ, ან ჰფიქრობენ თვის მომავალზე,
რომ სამერმისოთ თვის არსება მათ განიმტკიცონ?!
გულო, ნუ ჩქროლავ! ოცნებაო, წინ ნუ გაუსწრობ,
ყური ათხოვე სამშობლოდან მოვლენილ ღრუბელს!..
— ჰა, ხმას არც კი იღებ? არც გეცინება?
პირიქით უფრო მგლოვიარობ და პირქუშდები?!
ეჰ, ვიცი, ვიცი, დაჩაგრულო, ნუღარას მეტყვი,
მაგ შენ სახეზე ყოველიფერს ნათლად ვკითხულობ:
„ისევა სძინავთ ჩემ მოძმეთა, ისევ ჩხუბობენ,
ერთმანეთს ჭამენ, ცილს წამებენ, იმრიზებიან,
სხვას ახარებენ, თვისის ხვრინვით სასო მიხდილნი
და სხვის დამქაშად გარდაქმნილნი ილანძღებიან, ჰოო!?.“
ნუ ტოკავ მაინც, მაღლა მაღლა ნუღარ მიდიხარ!
გიჟო ნიავო, დააკაეე ერთ ადგილასა!
ნუ, ნუ მიცურავ, გევედრები, მინდა გიმზირო,
მინდა... გულისთქმა დაჩაგრული თავს მოგახვიო
და ცრემლით გთხოვო: ჩემი აჯა, ჩემი ვედრება
სამშობლოს მთებსა თავს დაადგა, ზე დააყუდო,
რომ თუ მე მოვკვდი, უცხო მხარეს, თუ გავცამტვერდი,
იგი ვედრება შენ მოვლენას მარად უმზერდეს
და გაგონებდეს ჩემს ტანჯვასა და სულთსწრაფვასა!..
ნუ მიხვალ-მეთქი ჰოი, ლეგავ, ნუ მემალები!

. . . . . .

ნეტა შეეძლოს ჩემს გულისთქმას ფრთები შემასხას:
გამოგეკიდო, გწვდე, პირქუშათ გარდაქცეულო,
და გადგისროლო მზის სხივებთან... იქნებ განათლდე,
და სხივმოსილი მოევლინო ჩემსა სამშობლოს!
ოხ! რად არ ძალმიძს მე ბედკრულსა სამოელისებრ
მოვნახო გმირი გამომხსნელი ხალხთა ტანჯვისგან,
ვისაც შეეძლოს შურდული ჭკრას ბილწსა გოლიათს,
დასცეს მონობა, სილაჩრესა ფრთა შეაკვეცოს
და აღფრთოვნებულ, გაღვიძებულ ხალხთა სიმრავლეს
მამაცურადა წინ გაუძღვეს, შენზე უჩვენოს...
ნეტა შემეძლოს სამსონივით სახედარის ყბით
თავი ვუჩეხო გაავზნებულ ფილისტიმლიანებს

და გედეონად გაოდაქცეულ ძოძეთათვისა,
ლამპართ სიმრავლით თავზარი ვცე სიბნელის მცველთა!
ნეტა შემეძლოს მოვუწოდო ისო ნავინსა
და ცრემლით ვთხოვო, შევავედრო დიდი პატარა,
რომ მზეს უბრძანოს: „გაჩერდიო კვალად ერთ ადგილს
და გამოაშრე, რაც რომ ქვეყნად ცრემლი დაღვრილა.
დასწვი, დასდაგე ბოროტება,—ხალხთა მტანჯველნი,
და დაამყარე სათნოება, ძმობა ერთობა!..“
გაჰქრი! მომშორდი გულის-თქმითა გატაცებულსა!
წაიღე მაინც ჩემი გული, ჩემი ოცნება
და სამშობლოსა საწირავად თავს შემოავლე!..

* *

გამოვერკვიე!.. ჩემ თვალთა წინ ზღვა კელავ შფოთავდა
და დაჩაგრული დედა-მიწა ისევ ოხრავდა,
მეც-კი გულ მოკლულს, ოცნებითა დაღლილ დაქანცულს
მარტოობისა და სიმწარის ცრემლი მდიოდა!..

1897 წ. ქ. ლერქორანი.

ᲓᲐᲣᲓᲔᲒᲐᲠᲘ

წერილი მეგობართან

ᲓᲐᲬᲔᲒᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲔᲓᲘᲡᲐᲛᲘ

I

...„ბედმა თუ გარემოებამ,—ჩემო მეგობარო ტროფიმე,—ამ ზაფხულსაც სხვის მოსამსახურე, სხვის ხელში შემყურებელი გამხადა... შენ ხომ იცი დედი-ჩემის ამბავი! იმ დღიდან, რაც სამსახურს თავი დავანებე უზრდელ უფროსთან შეკამათების გამო და სოფელში დავბრუნდი, დღე და ღამ დედი-ჩემისგან მოსვენება არა მქონდა. უკანასკნელად მოთმინებიდანაც-კი გამომიყვანა.

— ბიჭო, შვილო,—მომაციედა ერთ დღეს,—მაგოდენა კაცი გამომიზრდიხარ, მიწვავს, მიდაგნია, ლეჩაქის ყურით გამომიკვებიხარ... როგორც იყო, სამსახური იშოვნე და ღვთისგან მოცემული ერთი ლუკმა პური გაგვიჩნდა... რა გინდოდა, რაზე დამისხი ცეცხლზე წყალი, რატომ არ დააყენე ეგ შენი წანკლიანი ენა, რომ აბურაგანი ამოგიკრეს და დღეს მშიერები ვართ? აი, ხვალ ბზობაა და ჩვენ კი დაობებულ პურით უნდა მივეგებნეთ ამ დღესასწაულს. ერთი გირვანქა თევზის ფასი მაინცა გექონდეს, რომ ხვალ გავიხსნილოთ!.. ქრისტიანი არა ხარ? ღმერთი არა გწამს? ეს ხომ ყველა შენი ბრალიაო!

მე გაჩუმებული ვიწექ ჩვენი ფშატის ქვეშ ახლად აბიბინებულ ბალახზე და იქვე, ყორის ძირში გამონასკულ, იის ბუჩქს ხარბად მივჩერებოდი. ოხ, რა ლამაზები იყვნენ ეს სოსანი ყვავილები!.. გაზაფხულის მზეც მორცხვად დაჰნათოდა ქვეყანას; ახლად სულ-ჩადგმული, ლამაზად შესარული და შეყელვილი ვენახი ყელ-მოღერებული შესჩერებოდა ლურჯად მოკამკამე ცას. სრულიადაც არ იყო ჩხუბის დრო, მაგრამ დედა-ჩემი მაინც არ ისვენებდა.

— აბა, რა უყავ, შე უკეთურო, შენი კაკარდიანი ქუდი?.. მერე როგორ გიხდებოდა? შენ რომ იმას დაიხურავდი, ასე

შეგონა, ჩემი პირმშოსთვის ხელმწიფობა მიუციათ-მეთქი. ვაი, ვაი, დადეგ თვალო და ყურო, რა უბედურება დამემართა, ვენაცვალეთ! ქვეყანა შემომნატროდა: შენი შვილი ნაჩალნიკობას თუ არა, პრისტავობას მაინც მიიღებსო (ღმერთი, რჯული, ტროფიმე, ჩემს დღეში პოლიციაში არ მიმსახურნია) და დახეთ, დახეთ, ანაზდეულად არ გამიქრა კერაში ცეცხლი, მოულოდნელად არ გადმომივარდა შვილი ხელმწიფის ტახტიდან, თქვენი ჭირიმე!

როგორც არ მოგკლავ, ტროფიმე, კრინტი, ხმა არ დამიძრავს, პირიქით, თითქოს მე არ მელაპარაკებოდა, მხარი ვიცვალე და ბალახს დავუწყე წიწკნა.

— ნეტა ახლა, ე ჩამი რომ დაგიდვია თავზე და გიჟი მოშანასავით წამოგორებულხარ მაგ გახუნებული ხალათით,— უმაღლებდა თანდათან ხმას დედა-ჩემი,—ერთმა რიგიანმა კაცმა მაინც დაგინახოს, უყურე როგორ მასხარად აგიგდებს, შე უკეთურო!.. ეგ არ არის შენი ვაჟკაცობის ბოლო? მაშინ (ე. ი. როცა კაკარდიანი ქუ ი გეხურაო) და ახლა ერთი შეხედულობისა არა ხართ, შენმა სიცოცხლემა!

— აღარ უნდა გაათავო მეთქი?—წავიდუდუნე, მაგრამ დედაჩემი ისე ხმა-მაღლა და გატაცებით ლაპარაკობდა, რომ ჩემი სიტყვები ვერ გაიგონა.

— ბიჭობა ის კი არ არის, ხალხს რომ ემალები და მთელი დღე ჩაღირღიტებ მაგ ვერანა წიგნებსა. აი, კიდევაც მაგათ აგირიეს ეგ ტვინი, მაგ კუდიანების დაწერილებმა! საქმე ის არის, გელათის გლახასავით აბრანძულო, ე მა შენი მშვენიერი ტანისამოსით გაბრძანდე საზოგადოებაში. უყურე, პამპულად გაგხდიან თუ არა? მაგითი დაამთავრე ჩემი ამოდენა შრომა და ამაგი, რაღა? აი, მიწამ გიყოს პირი, რომ თვალით მაინც აღარ ვუყურებდე ჩემ წამხდარს ჭირნახულსაო!

ჯერ ისევ ვსდუმდი. ამისთანა ქება-დიდება ჩემთვის ახალი ამბავი არ იყო.

— ადე, ადე, აქედან დამეკარგე, შე სულკატიანო, თორემ შამი-ჩემის, დეკანოზი ფილიპეს სული არ წამიწყდება, ამ მარგილს თავში დაგთხლიშავ!—შეჰკივლა ჩემის სიჩუმით მოთმინებიდან გამოსულმა დედა-ჩემმა და მართლა მარგილს წამოავლო ხელი. ახლა კი ხუმრობა აღარ იყო... ხმა უნდა გამეცა.

— რა გინდა, დედილო, რასა ჯავრობ-მეთქი?—ტკბილი ხმით შეეკითხე.

— შენი ჩაჩი და ჭუჭყიანი ლურჯი ხალათი! რა უნდა მინდოდეს? ცხოვრება მინდა, ცხოვრება, დიდება და პატივი! რით ვერ მეყო ამდენი სიღარიბე და დამცირება!

— ბიჭოს, კარგი რამა გდომებია-მეთქი!—უეცრად წამოვიძახე და, სწორე გითხრა, გულიანადაც გადვიხარხარე.

— აი, უცუნა, უცუნა, ვიდრე სხვა ჭირი აგიტყდებოდეს! უსირცხვილოდაც რომ იღრიჭები!—დაიღრიალა დედამ და მარგილი მომიღერა. მე ადგომა ვიკადრე, მარგილს ხელი მივაშველე, სიცილი შევწყვიტე და ვუთხარი:

— მოითმინე, დედა-ჩემო, შენ ისეთი საგნები ჩამოთვალე, რომ ადამიანი სწორეთ მაგის გულისთვის იკლავს თავსა... მხოლოდ შენ ეს მითხარი, დღეს, ამ ჟამად რასა თხოულობ ჩემგან, მგონი, თევზი გინდოდა, არა?

— თევზიც მინდა, ღვინოც, პურიც, არაყიც, გოგოცა და ბიჭიც! ერთი სიტყვით, ცხოვრება ისეთი, როგორიც შეეფერება ჩემი ხნისა და წოდების ადამიანსა!—თქაფა-თქუფით, ამოუსუნთქებლივ ჩაილაპარაკა დედამა და დაუმატა:—გესმის თუ არაო?!..

— მერე, მე რავქნა, საიდან მოგართვა ყველა ესენი-მეთქი?

— მე რავქნა,—ტუჩის მოგრეხითა და დაცინვის კილოთი გაიმეორა ჩემი სიტყვები, მერე ნაღვლიანად ამოიოხრა და განაგრძო—შენ ის უნდა გექნა, რომ სამსახურისთვის თავი არ უნდა დაგენებებინა. დღეს თუ სამი ოთხი-თუმანი ჯამაგირი გქონდა, ხვალ მეტს გაგიხდიდნენ, წინ წაგწევდნენ და ჩვენი ცხოვრება გაუმჯობესდებოდა... ხოლო თუ ღმერთი გაგიწყრა და თავი დაანებე, ახლა სხვა გზას უნდა დაადგე, სხვა სამსახური უნდა იშოვნო, დღე და ღამე გაასწორო და მაცხოვრო... მოვალე ხარ, მოვალე, შე თვალებ დასაბრმავებელო!.. აკი გეუბნები, რით ვერ მეყო-მეთქი ამდენი გაჭირვება?!

— იცი, რა გითხრა, დედილო,—დავუმდაბლე ხმასა,—ყველაზე კარგი ქვეყანაზე პირველად სულის სიმშვიდე, სიდინჯეა... აპილპილებაზე ხომ არ არის საქმე? აი, დაუკვირდეთ ჩვენს თავსა, გარემოებასა და ისე ვილაპარაკოთ...

აქ, რასაკვირველია, ბევრი რამ შემეძლო მეთქვა დედა-ჩემისთვის. შემეძლო ამეხსნა, რათ ვიყავით ჩვენა თუ სხვა ბევრი ჩვენისთანა, ღარიბები და ზოგი კი მდიდარი და დაწინაურებული, მაგრამ კუჭის მრწამსისაგან აღელვებულს, სიღარიბისაგან გულგატეხილ და უმეცრებისაგან შეპყრობილს ადამიანს, ხომ იცი, ცარიელი სიტყვებით ვერას შეასმენ... დედა-ჩემმაც ყოველივე ჩემი მოსაზრება პირველადვე შორს დაიჭირა.

— რაც გინდა ჰქენი, მე კი მაცხოვრეო!—გაიძახოდა.

ბოლოს საქმე რომ გაჭირდა და ვეღარაფრით გავაჩუმე, ახლა სახარების სიტყვებს მივმართე. ვიფიქრე, თუ სადმე გავლენაა, ისევ სამღვთო წერილს მაინც უნდა ჰქონდეს-მეთქი ამაზედ გავლენა, რადგანაც, შენ ხომ იცი, ტროფიმე, დედა-ჩემი მღვდლის ქალი, მღვდლისავე ქვრივია, პატარაობითვე საყდარში მოსიარულე და სარწმუნოებაში აღზრდილი.

— დედა, აკი შენ ღვთის-მმოსავი ხარ და სახარების კითხვაც გიყვარს-მეთქი. არსად გაგიგონია იესოს მიერ ნათქვამი სიტყვები: „მცირესა ზედან კმაყოფილ იყავნ, რათა მრავალსა ზედან დაგაყაროს უფალმანო...“ დღეს თუ ღარიბები ვართ და მარტო დაობებული პური გვაქვს, ოღონდ უსამართლობას ნუ გავექელვინებით და იქნება ხვალ გამოკეთდეს ჩვენი საქმე... ან არა და, ხომ იცი, „არა მარტო პურითა ცოცხალ არს კაცი“.

— იქით დამეკარგე!—დამეღრიჯა დედაჩემი.—შენ თუ სახარების სიტყვების მიმდევარი ყოფილიყავ, არც ის დაგავიწყდებოდა, რომ უფროსის მორჩილი უნდა იყო, დედას პატივი უნდა სცე... მაგრამ შენ რომ მე პატივსა მცემდე, ვიღაც ოხრების გულისათვის უფროსს, ჩვენს მაცხოვრებელს, კი არ გალანძღავდი.

იქაც მოვტყუვდი! ცხოვრების მოთხოვნილებამ დედა ჩემს ნამდვილი მღვდლური კილოკავი აპოვნინა და მასთან „დოლმატიური“ ლაპარაკი ისეთივე უნაყოფო დარჩებოდა, როგორც სხვა ლიტონი სიტყვები. მაინც კიდევ შევეცადე, როგორმე დამემშვიდებინა, მაგრამ დედამ აღარ დამაცადა და გულის-წყრომით დაიწყო:

— დამშვიდდიო!.. შენმა დღეგრძელობამ, აი ონოფრეანთ

ტიტიკო თუ „მიროი სუდობას“ მოელის ამ დღეებში და იმისი წუნკლიანი დედა სიხარულით ფეხზე აღარა დგას, მე გვერდებში გამიჯდა რაღა? შენც ხომ თითქმის იმის ამხანაგი იყავი, შე გლახა, ბევრით კი აღარ არის შენზედ დიდი, მაგრამ რომ არსად მოისვენე, ყველას ნიორიკით გადაესხი, დაუდეგარო, და სულ იმას გაიძახი: „არა მარტო პურითა სცოცხლობს კაციო!“ აბა, მაშ მიბრძანდი, შენმა სიკვდილმა, იმასთან და ფეხი გაშალე! მამა-შენი, შე უბედურო, ხუთი თაბახითა სჯობდა ონოფრე მღვდელსა, მაგრამ აგე, იმისი შვილი დიდი კაცი, ჩინისა და ჯამაგირის პატრონი შეიქნება და შენ კი აგრე უნდა იხეტიალო. ნეტავი-ღა მე, ბლაღოჩინის ცოლსა, აფსუს, დეკანოზის ქალო, რა უბედური შვილი გამოგვიდა,—სასოწარკვეთილებით გაიქნია გაშლილი ხელები, თითქოს თითისტრიდან ნართს იხვევსო, თვალები ცრემლებით აევსო და განაგრძო:

— ნუთუ გგონია, შე უბედურო, პირში რომ არას გეუბნებიან, მადლიერი გყავს ვინმე? ქვეყანა ღიდღიდანაა, ქვეყანა შენ დაგცინის, შენ კი გაიძახი: არა მარტო პურითა სცოცხლობს კაციო! აი მეხი კი დაგაყარე! დღეს რა გნებავს საღილათა, ყაბლუ-ფლავი, თუ ბოზბაში?.. მოგიგდებ ე დაობებულ პურსა და თავში ქვა იეცი!.. არა, არა, მეტი აღარ შემიძლიან! მისამარას ჭკუა მოიკრიფე, პატარა ხომ აღარ ხარ, ამ კვირია, ოცდა ხუთი წლისა გახდები, ოცდახუთი ხატი და ჯვარი გაუწყრეს, ვინც შენ გადაგრია,—თითი მოკაკვე, როგორც სხვა ასი და ათასი მსახურობს და წელში იღუნება, შენც ისე მოიქეცი, თორემ წმიდა თევდორე ტირონელს გეფიცები, ერთ დღეს ქვეყანას თავზე დაგახვევ და საჯაროდ შენს დედა-შვილობაზე ხელს ავიღებ. ხომ არ გინდა ციხეში გამოგალპობინო, კუდი რომ ათასგან გიდევს!.. მე დედა ვარ და უფლება მაქვს ჩემი საცხოვრებელი მოგთხოვო!..—გაცეცხლებით დააბოლოვა დედაჩემმა, ერთი ხარივით შემომბღვერა და თოფნაკრავივით გაბრუნდა...

— ღმერთო, ღმერთო, რამდენი შეურაცხყოფა, რამდენი უსამართლობა მომაყენა თავისი სიტყვებით დედა-ჩემმა, მაგრამ იმ ჟამად მე ის არ გამიმტყუნებია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავზარსა მცემდა მე და დედას შორის ასეთი სხვადა-

ხხვაობა გულის-თქმა-მისწრაფებათა და მეორეც იმიტომ, რომ, მართლაც, იმ კვირის განმავლობაში, როცა ეს ამბავი მოხდა, სანათიც კი არა გვქონდა, არამც თუ საჭმელი! რამდენჯერ დამინახავს რუს პირას ჩამომჯდარი მოხუცი დედა-ჩემი, როგორ ალბობდა ხოლმე დაობებულ პურს, სჭამდა და თან მდუღარებას აფრქვევდა. ოხ! როგორ ვიტანჯებოდი მაშინ, რა ბოღმითა და ცეცხლით მევსებოდა გული!..

დედა რომ თვალთაგან მიმეფარა, სევდის გასაქარვებლად სოფელში გავლა მოვიწადინე. ბოგირზე გასვლის დროს დავინახე: დედა-ჩემი რუს პირად კედელს მიჰყრდნობოდა და გულ-ამოსკვნითა ტიროდა!..

ეჰ, ჩემო ტროფიმე, ვისაც ამგვარი ამბები არ გადახედია და ან დაკვირებია ჩვენი ხალხის დახავსება-დაჩიავებასა, შეიძლება იმას სასაცილოდაც არ ეყოს ჩემი ნაამბობი და „ესთეტიურად“ ვერ დაატკბობს, მაგრამ მე კი?.. ოხ, ნეტა შეეძლოს თითოეულის გულში ავაპრიალო ის ცეცხლი, რომელიც მე იმ დროს გულზე მეკიდა და რომელსაც ბოროტ-დამჩაგვრელთადმი შურისძიება ჰქვიან!..

II

თვალი ავარიდე მომტირალ დედეს და მწარად დაფიქრებული გავყევ რუს ნაპირს. დინჯად მობურტყუნებდა პატარა რუ ჩემს გვერდით და რაღაც საიდუმლო კითხვებს მაძლევდა. მე კი თანდათან ვბრაზდებოდი, გული ყელში მებჯინებოდა; ასე გასინჯე, იმ ჟამად გვირილა-ყაყაჩოთი მორთული მინდორი და მედიდური კაკლის ხეებიცკი თითქმის შემჯავრდა და, თუ ადრე ვსტკბებოდი ხოლმე მათის მზერით, ახლა მინდოდა საშინელი ქარიშხალი ამოვარდნილიყო, სულ მთლად გაექელა მშვენიერი ზედა-პირი დედამიწისა, მიენგრმოენგრია ქვეყანა და თუ ბოროტებას არ ამოფხვრიდა, ლაჩარი და ღარიბი ადამიანები მაინც ამოეწყვიტნა, რომ იქნება ამდენი უბრალო ცრემლი საკვლავოდ მაინც არ დაღვრილიყო. მაგრამ... თითქოს ჩემს ჯიბრზე, მინდორი თანდათან უფრო ლამაზდებოდა, მდინარე კვლავ ლუკლუკებდა, და გაზაფხულის მზე უფრო და უფრო საოცნებოთა ხდიდა

მინდვრის ყვავილებს! რომ იცოდე, ეელარ მოვითმინე ბუნების გულგრილობა, აფთარივით მივვარდი გვირილის ერთ კონას, ძირიანად ამოვგლიჯე მიწიდან და გაბრაზებით გადავისროლე მდინარეში!..

თითქოს გულზე ცოტათი მეფონა, მაგრამ სახეზე კი, ალბათ, მეტის-მეტი ცუდი ფერი უნდა მდებოდა, რადგანაც მიუახლოედი თუ არა თადეოზიანთ სახლს, წინ მომეგება თადეოზ იერემაძის ახალგაზრდა ქალი, მანო, და გაკვირვებით ჩამეკითხა:

— რა მოგსვლია, ავად ხომ არა ხარო?

— არა, რამ შეგაშინა-მეთქი.

— მომაკდავის ფერი კი გადევს და რავიცი! შემო, შემო შინ და ყველაფერი მიამბეო,—მითხრა მანომ და ამ სიტყვებით ოთახში შემიწ„ია.

–ეს ოთახი უბრალოდ იყო მოწყობილი. აქა-იქ დაედგათ ხის სკამები. ერთ კედელთან ხალიჩა-ფარდაგ-გადაფარებული პატარა ტახტი იყო. ხის, შეუღებავი იატაკი სისუფთავისაგან ისე კრიალებდა, რომ გული გაგინათლდებოდა... მე ტახტზე ჩამოვჯექი. მანომ კი ჩემს პირდაპირ სკამი დაიდგა, ერთხანს ორივე ვსდუმდით.

— ახლა აღარ უნდა სთქვა, რა ბოგვიდა?—ძლივს გამიბედა მანომ და თვალები წყლით აევსო.

— არაფერი მომსვლია... მე და დედა კიდევ შეველაპარაკდით...—ნაწყვეტ-ნაწყვეტად ვუპასუხე და მანოს სიახლოვით ცოტა რომ სული მოვითქვი, ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე.

— არა, უნდა წავიდე სადმე, ჩემო კარგო, რაიმე კერძო საქმეს მოვეკიდო, თორემ ასე ცხოვრება ყოველად შეუძლებელია-მეთქი, დავასრულე.

— რომ არ შეიძლება, რა უჯიათი ადამიანია ე დედა-შენიო!—ნაღვლით სთქვა მანომ და დიდრონი სევდით სავსე თვალები ერთ წერტილს დააშტერა.

— ნუ იტყვი მაგას, ჩემო მანო,—ვუსაყვედურე,—დედა-ჩემი კი არ არის უჯიათი, უჯიათია ის ცხოვრება, რომელიც მაგვარ ადამიანებსა ჰქმნის. მე არა მწყინს დედის საქციელი, მხოლოდ გულს მიკლავს ის გარემოება, რომ უმისოთაც ჩვენი სუსტი ძალ-ღონე შინაურებთან ბრძოლას უნდა მოვახმა-

როთ; მაწუხებს ის მოვლენა, რომ ჩვენი, დახავსებული აზრების მქონე ნათესავებ-ნაცნობები ცხარი ცრემლებით წინ გვეღობებიან და ხელებს გვიჭერენ; გამხნევების ნაცვლათ, ლამის ქვით ჩაგვქოლონ, წაქეზების მაგიერ, ლამის თითონვე მიგვცენ სატანჯველში! ასეთი დარეტიანებულნი არიან უკუღმართ დროთა ბრუნვისაგან. დიაღ, დიაღ, ჩემო მანო, სწორეთ თანამედროვე ცხოვრებისაგან არიან დაშინებულნი და ეს ცხოვრებაც უნდა გვეჯავრებოდეს... გიმეორებ, კერძოდ არა მწყინს დედი-ჩემის საქციელი, პირიქით მეცოდება, მებრალება კიდეც!.. რა ჰქნას, ცხოვრება უნდა... ჰსურს მეც სხვასავით კეთილ-დღეობაში ვიყო!.. არა, არ ეძრახვის! თუმცა კი, გამოტეხით რომ გითხრა, ვინ იცის რამდენი ყმაწვილი კაცისა თუ ქალის კეთილი მოსწრაფება გამდნარა და კიდევ გადნება დედიჩემისთანების ცხარე ცრეძლში, რამდენი შექმნილა უსახო, უთვითნებო და სხვის ყურ-მოჭრილ ყმად, მარტო იმიტომ, რომ თავისიანებს დაუძლეევიათ, თავისიანებს და მათ წუწუნ-ყვედრებას ვეღარსად გაჰქცევია. აქაც ხომ ისევ ცხოვრებაა დამნაშავე...

— ეჰ, ჩემო კარგო, შენ დამნაშავედ არავისა ჰცნობ ხოლმე, ყველაფერს ცხოვრების სიბინძურეს აბრალებ!..—სიტყვა გამაწყვეტინა მანომ.

— და მე მგონია მართალიცა ვარ!.. თუ გვინდა ადამიანი ადამიანობამდის ამაღლდეს და საქონელივით არა ბღაოდეს, უნდა მოისპოს ხალხის შემავიწროებელი გარემოებანი, უნდა გავრცელდეს სწავლა და განათლება!.. მინამდის თვით ცხოვრებას უნდა ჩავუდგეთ კრიჭაში.

— ჩავუდგეთ, ჩავუდგეთ!.. ძალიან კარგი სიტყვებია, ჩემო ტიმოთე, მაგრამ...—გულ-ამოსკვნითა სთქვა მანომ.

— ვიცი, რაც გინდა სთქვა. სწორედ მაგ „მაგრამ"-შია დამარხული ძაღლის თავი და ამ ძაღლის თავის ამოსათხრელად განათლება და ბრძოლაა საჭირო, ბრძოლა შეერთებული, დიდის თუ პატარისა. თუმცა, ჩემი აზრით, ერთი კაციც არ უნდა შეუშინდეს ამ ბრძოლასა! ერთი მუჭა ბღლვირს ხომ აადენს ხალხის გოლგოთას, ერთი ბეწოთი ხომ შეეხება საერთო წყლულსა? იმედია, ამაზე მაინც დამეთანხმები, ჩემო მანო, და მიხვდი კიდეც, რაც უნდა ვსთქვა.

— მივხვდი, მაგრამ ყველას ხომ არ შეუძლია?—კვლავ დაეკითხა მანო.

— მე რომ მკითხო, მანიკო, საერთოდ, ან „ჰო“ და ან „არა“ სჯობიან ძაღლურ ცხოვრებასა, მაგრამ... ხშირად მარტო ეშირი ბედავს ხოლმე თავის განწირვასა, ის გმირი, რომელსაც დაბრმავებული ბრბო ჯერ სტანჯავს, ჯვარს აცვამს ხოლმე და მერე პირქვე ემხობა მისის ჯვარის წინაშე ცოდვების მოსანანიებლათ!

— ნეტარება იმ გმირს!—წამოიძახა მანომ,—გამარჯვება მაინც იმისია!..

— ჰაი, ჰაი!—ვუპასუხე მე და ორივე დიდხანს, დიდხანს ჩუმად ვიყავით...

III

მანოანთ ოთახის პატარა სარკმელში მზემ შემოიხედა და მისი სხივთა კონა სვეტად ჩამოდგა ჩემსა და მანოს შუა, თითქოს დასაზვერად მოსულა და უნდა გაიგოს, რასა ფიქრობენო. სწორედ გითხრა, ტროფიმე, არც ამ სხივთან და არც შენთან დასამალავს არას ვფიქრობდი... ვნატრობდი მხოლოდ: ნეტა ჩვენი მომავალი დედები მაინც იყვნენ გულ-კაენი და გაჭირვებამ არ დაჩაგროს-მეთქი... ის იყო მანოსთვის უნდა მეკითხნა კიდეც, ივარგებდენ თუ არა მისი სკოლის ამხანაგები ცხოვრებასთან საბრძოლველად, მაგრამ მანომ დამასწრო და სიჩუმე დაარღვია:

— მე ეხლა ისევ დედა-შენზე ვფიქრობდი... მიკვირს, ღმერთმანი, რად არიან ასე დაქვეითებული ჩვენებურ სამღვდელოთა ცოლები თუ ქალები? განა მათში უფრო არ არის გავრცელებული სწავლა-განათლება?—დამეკითხა მანო.

მე გავიცინე.

— რას იცინი? განა ტყუილს ვამბობ?

— არა, მაგრამ მაგას ბევრი თავისებური მიზეზი აქვს.

— მაინც?

— მაგაზე ლაპარაკი შორს წაგვიყვანს, ჩემო მანო! კვლავ, ოდესმე...

— განა არ შეიძლება საზოგადოთ ითქვას?

— საზოგადოთ რა ვთქვა იმის მეტი,—ვუპასუხე მე,—რომ

ჩვენი მამა-პაპა (ნუ დაივიწყებთ რომ მე მღვდლის შვილი ვარ), იმ თავით ამ თავამდე, მქადაგებელია: შიშისა, ძრწოლისა და მორჩილებისა. ეს არის მათი დანიშნულება. კერძოდ, ჩემი თმოსანი ძმები მოკლებულნი არიან რიგიან განათლებასაც, განათლებას სულით და გულით, რასაკვირველია, თორემ დიპლომიანები ძლიერ ბევრი გვყავს... ტყუილად წარმოგიდგენია, მანო, რომ რაიმე საფუძვლიან ცოდნას ფეხი ჰქონდეს მოკიდებული ჩვენს ოჯახებში. ხშირად თვით დიპლომოსანიც კი ჰკარგავს ხოლმე ადამიანურ მოსაზრებას და უბრალო ხავერდის „სკუფია“ ურჩევნია მთელს შენს საქართველოს. ამის მიზეზი, სხვათა შორის ისიც არის, რომ ქართველ ნაკურთხებს თავისუფლება არა აქვთ და სხვის ყურებადა და თვალებად არიან გადაქცეულნი... ძალიან იშვიათად შეგვხვდება ცოცხალი თვითცნობიერებით აღსავსე ოჯახი ჩვენის წოდებისა, მღვდელი, თუ ნასვამი არ არის, დაღვრემილი და ყურებ დაცქვეტილი გამოიყურება, თითქოს ზარის დარეკას უცდის, რომ ეს ერთადერთი საქმეც თავიდან მალე მოიშოროსო. დიასახლისს ტაბლების მოლოდინში თვალები სულ კარებისკენ უჭირავს... ბავშვები დაშინებული, ან მეტად გაეზნებული ჰყავთ. რიგიანი წიგნი მათ სახლში არ მოეპოვება და ხშირად უბრალო გაზეთსაც კი ვერა ნახავთ... საიდუმლოება უვიცობისა და ცრუმორწმუნოებისა სულს გიხუთავს: როგორც დედა-ჩემსა და სხვა „ფოფოდიებს“ (ქართლში ეს სიტყვა ისე მიაჩნიათ, როგორც, მაგალითად, თავადის ცოლებს „კნეინა“. „ფოფოდია“ თუ არ დაუძახე, ძლიერ იწყენენ) უხილავთაგან: ჭინკისა, ეშმაკისა და ტარტაროზისა, ხოლო ხილულთაგან: ბოქაულისა, მაღალი სიტყვისა და დამუქრებისა ეშინიათ, ისე მართლა ღვთისა და კეთილი ანგელოზებისა რომ ეშინოდეთ და მათ მცნებას მისდევდნენ, მაშინ ხომ მუცელი ქვეყნის წარმატებას არ ერჩიენებათ... გარდა ამისა საშინელი შურიანები არიან, ნამეტნავად „ფოფოდიები“ ერთმანეთისათვის პირში სულიც კი შურთ და ცისმარე დღეს ერთმანეთს დასცინიან, თუმცა კი ერთმანეთზე დამცირებულნი, დაქვეითებულნი და უმეცარნი არიან... მე ეს მინახავს და მიგრძვნია, ჩემო მანო, და, სწორე გითხრა, უარესიც ბევრი ითქმის... ერთი კარგი მხარე კი, ღვთის წინაშე ისა

აქვთ, რომ შვილებს, მომავალ თაობას ამრავლებენ...—დავასრულე ღიმილით.

მანომ გულიანად გადიხარხარა და გვერდზე მომიჯდა... მანოს მოახლოებამ რაღაც სითბო მომიმატა, გულმა საშინლად ცემა დამიწყო, განუსაზღვრელი სიტკბოება ვიგრძენ და მეც თავი მხარზე დავაყრდნე.

— ოჰო, შეყვარებულიცა ყოფილხარო!—ვიცი წამოიძახებ ჩემო ტროფიმე.

— დიახ! მე და მანოს დიდი ხანია ერთმანეთი გვიყვარს, თუ კი ამ სიტყვით სავსებით გამოიხატება ჩვენი დამოკიდებულება, რადგანაც სიტყვა სიყვარული წარამარა ხმარებით ცოტა არ იყოს გაფერმკრთალებულია. ნუ კი გამიჯავრდები და გიჟურ თავ-დავიწყებასაც ჩვენში მგონია სიყვარულს ეძახიან!..

მე და მანოს კი ერთ წუთსაც არ დაგვიწყებია, რომ უბრალო სიკვდილის შვილები ვართ; არ დაგვიწყებია, რომ ცხოვრებაში ჩაფლულნი, ცხოვრებას უნდა გავუმკლავდეთ; არ დაგვიწყებია, რომ მტერიც ბევრი გვყავს, მოკეთეცა, ბევრი შურით გვიყურებს და უფრო ბევრი დაცინვის თვალითა-და ამიტომ ჩვენი ერთად ყოფნა—მუსაიფი უფრო თავ-დაქერილი, უფრო წინდახედული და მოფიქრებული იყო ხოლმე, ვიდრე იმ შეყვარებულთა, რომელთა შესახებ არა ერთი და ორი გადაჭარბებული მოთხრობა-რომანია დაწერილი... გულახდილათ გეუბნები, არ მახსოვს, თუნდა პირველ ხანებშიაც კი ისეთი ზიზილ-პიპილა გვჩვენებოდეს ქვეყანა და მისნი არსნი, როგორსაც აგვიწერენ შეყვარებულთა მესაიდუმლენი... კერძოთ მე (და, ალბათ, მანოსაც) ისიც დიდის ნეტარებებით მავსებდა, მატკბობდა და მაფრთოვანებდა, რომ ჩემ გვერდით ვხედავდი ისეთ ადამიანს, რომელიც სულით და გულით თანამიგრძნობდა და ამ თანაგრძნობას სიკვდილამდის მპირდებოდა! ამ დროს ჩემი არსება თითქო იზრდებოდა, ჯანსაღდებოდა გონებრივად და ზნეობრივად, ვგრძნობდი ჩემს კარგსა და ავს, ძალ-ღონე მეძლეოდა ავის განსადევნად და კეთილისკენ მისასწრაფავად. თითქოს ისეთი ობოლი და ისეთი უღონო-უპატრონო აღარ მეჩვენებოდა ჩემი თავი, როგორც აი თუნდა ეხლა, ამ წუთში, როდესაც შენ ამ წერილსა გწერ...

ნამდვილი უმანკო სიყვარული, ჩემო ტროფიმე, სადაა, მაგრამ უკდავი, მწვავი, მაგრამ თავდაჭერილი, თუმცა ამავე დროს მეტის-მეტ თავმოყვარე და თვით მოყვარეც კი! და ეს კიდევ იმიტომ, რომ ნამდვილი სიყვარული ერთგვარი მადლია, რომელიც ყველაში არა სადგურობს და თუ ერთხელ კაცმა დაჭარგა იგი მადლი, თუ ერთხელ მოსტყუვდა ამ მადლის სიწმინდე-ძლიერებაში, მაშინ მადლ-დაკარგულ, რწმენა-შელახულ კაცს რაღა დარჩება ამ ქვეყნად, თუ არა ტანჯვა და შურის ძიება! აი რისთვის სდარაჯობს ხოლმე კაცი თავის სიყვარულსა!..

მგონი, მანოც ასევე ჰფიქრობდა, რადგანაც გამოვცდი თუ არა კარიბჭეს, ეჭვ-ნარევ კილოთი ერთხელ კიდევ მომაძახა:

— შენ იცი, როგორც არ დამივიწყებო.

— კიდევ?.. რაღა დროს მაგაზე ლაპარაკია-მეთქი!—ღიმილით ეუსაყვედურე და გავჩუმდი. რამდენიმე წუთს აღტაცებულნი შევცქეროდით ერთმანეთს... ვინმე რომანების მწერალი აქ რომ დაგვსწრებოდა, ვინ იცის, რას არ აღმოიკითხავდა ჩვენს სახეზე!? ერთ წუთს ყოველგვარი გაჭირვება გადაგვავიწყდა!

* *

შენ ხომ იცი, ჩემო მეგობარო, რაც მომინდომებია, იშვიათად ამსრულებია, პირიქით მადლი მატლათ მქცევია ხოლმე. ესეც ერთი იღბალთაგანია! მაგრამ მანოსთან ლაპარაკის შემდეგ უცბად ადგილი გამომიჩნდა! ერთმა მამულების გამგემ-ოურავმა გამიცნო. აქეთური ვილაპარაკეთ, იქითური—და ბოლოს აღმოჩნდა, რომ იმას ქაღალდების გადამწერი სდომებია და მე კი ადგილს ვეძებდი. მოვრიგდით... მცირე ფასად დამიქირავა... დიაღ, „დამიქირავა“, რადგანაც, როცა ფულებზეა საქმე მიმდგარი, მაშინ შენს ადამიანობას აკრე რიგად აღარაევინ აფასებს. მაგრამ მეტი რა გზა მქონდა?.. დედა-ჩემიც დროებით შემირიგდა და ესე მითხრა: „შენი გულისთვის ვიკლავ თავს, თორემ განა მართლა ჩემი ცხოვრებისთვის ვფიქრობო“. საწყალი დედა, იქნება მართალიც იყო! მაგრამ ის კი დაავიწყდა, რომ მისი შვილი გროშებზე ჰყიდდა თავის ძალ-ღონე-მისწრაფებასა.

ერთ დღეს ვიქირავე ცხენი თავის უნაგირითა, მოვაჯეჭ

ზურგზე და ტაატით გავსწიე რკინის გზის სადგურისაკენ-
დედამ გზა დამილოცა, მაგრამ ვეღარ მოითმინა და მომაძახა:

— ვინძლო, შვილო, იქაურობაც აურ-დაურიო!.. ნუ, გენაცვალოს დედა, ნუ იქნები დაუდეგარიო!

— მე გამეცინა და ღიმილიც სახიდან არ მომშორებია, ვიდრე მანოს სახლს არ დაუპირდაპირდი. აქ კი გული გადმომიქანდა. მანო კარებში გაჩერებულიყო, ცალ ხელში ცხვირსახოცი ეჭირა და ცრემლებად იღვრებოდა. მეც, სწორე გითხრა, გული ამიჩქროლდა. ცხენი გავაჩერე, შორიდან ქუდი მოუხადე და დიდხანს გავსცქეროდი. გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავვარდი, თავსბრუ მესხმოდა. ერთით ვიფიქრე, მოდი მივალ მანოსთან და გავამხნევებ-მეთქი, მაგრამ თავს დავძლიე, უცბად ცხენი მივატრიალე, და რაც ძალი და ღონე ჰქონდა „ჩემს მერანს", ისე გავაჩაქჩაქე. კარგა გზა გავიარე... მაგრამ ვგრძნობდი კი, რომ უნაგირზე მარტო სხეული დამრჩენოდა, სული და გული-კი მანოსთან გადაფრენილიყო!.. შუბლზე გამწარებით ხელი შემოვიკარ და წამოვიძახე:

— ლუკმა პურის მაძიებელ ადამიანისათვის, ყოველგვარი სიამოვნება მოშხამულია-მეთქი!..

IV

რკინის გზის სადგურზე შემხვდა ჩემი დამქირავებელი პავლე კოტორაშვილი. ჩავსხედით მატარებელში და გავსწიეთ... მთელი დღე და ღამე ვიარეთ და ძლივს მივაღწიეთ დანიშნულ ადგილს. ჩვენ მისვლაზე მშვენიერსა და მდიდრულად მორთულ სახლის აივანზე ხალხი ბლომათ გამოიშალა. თურმე ყველა, როგორც შემდეგ შევიტყვე, პავლეს თავისიანები ყოფილიყვნენ, მომეტებული მათგანი ხნიერები იყვნენ. სწორედ „ბებრების გამოფენა" გეგონებოდათ. პირველათ კიბეზე მოგვეგება ერთი შუა ხნის, ღაბაბა და სუფთად ჩაცმული მანდილოსანი. პავლემ გამაცნო:

— იცნობდეთ, ყმაწვილო, ჩემი მეუღლე გახლავთო.

— დიდად სასიამოვნოა... ტიმოთე ტიმოთეშვილი-მეთქი,— წავილუღლუღე და ხელი ჩამოვართვი.

აივანზე რომ ავედით, პავლე სხვების გაცნობასაც მიპირებდა, მაგრამ ამ დროს საიდანღაც გამოღოღდა ერთი ყველაზე უფრო ხნიერი მანდილოსანი და ხელებ გაშლილი პავლესკენ გამოექანა.

— მოხვედი, შვილო, შენ კი გენაცვალოს ჩემი თავიო?— აიხრიწინა ბებერმა და შვილს კისერზე ჩამოეკიდა.

— მოვედი, დედი, მოვედი!—ეუბნებოდა პავლე და თან ხარხარებდა, სხვებიც ანგარიშ მიუცემლად იცინოდნენ...

— ეს ვიღაა!—ნიკაპის ზევით აწევით სთქვა ბებერმა, როდესაც შვილს კისრიდან მოეხსნა და შუბლზე ხელ შემოდებით დამაშტერდა.

— ესა, დედი? ჩვენი გადამწერია! აკი მეუბნებოდი, დაიქირავე ვინმე, თვალში ჩინი აღარა გაქვს მაგდენი წერითაო. აჰა, ავასრულე შენი თხოვნა. ნახე როგორა მყვარებიხარ.

— ოიი! მამა ზეჩიერმა გაგაჯრიელოს დედის პატივისჩემისათვინა,—ხელ გაპყრობით მიმართა შვილსა და მერე გაშლილი ხელები მე დამარტყა მხრებზე:

— შენჩა, შვილო, თუ კარგი გამოდგე.

მეცინებოდა, მადლობა ვეღარც კი გადვუხადე.

მალე ბებრები ჭინკებივით შეცვივდნენ სახლში და დიასახლისმა მეც შემიწვია. მოწიწებით გადავაბიჯე უცხო სახლის კარაპანსა და პირველად რომელი სკამიც მომხვდა, უნდობლად ზედ ჩამოვჯექ...

დაწვრილებით არ აგიწერ, ჩემო ტროფიმე, ამ სახლის მოწყობილობას! შენც კარგად მიხვდები, რა არ ექნებოდათ სახლში დადგმულ-დაკოსებული იმ გვარ ხალხს, რომელიც, როგორცა სჩანდა, არისტოკრატებს ჰბაძავდნენ! ათასგვარი ნივთი, ავეჯი და ოთახის მოსართავი მოიპოვებოდა ამ სახლში; მართალი გითხრა, ზოგ-ზოგის სახელი არც კი ვიცი, მაგრამ ეს ამოდენა სიმდიდრე ისე იყო მიყრილ-მოყრილი, რომ მათ პატრონებს გემოვნებისა ერა ეტყობოდა-რა... სწორეთ „მუჟიკური“ ელფერი ადევს ამ უკვდავება სიმდიდრესაო, იტყოდა ხოლმე ერთი ჩვენებური კნეინა, როდესაც გამდიდრებული სომხის ან გლეხის სახლში შევიდოდა ხოლმე. „მარტო ფულები ხომ არ არის საქმე, ჯიში, მოდგმა უნდა ჰქონდეს კაცსაო“. (ეს ის კნეინაა, გახსოვს, ტროფიმე, მე რომ მიმტკი-

ცებდა: „თავადები ქრისტეს ჩამომავალნი არიანო“). პავლეს სახლს რომ ვათვალიერებდი თვალწინ წარმომიდგა ის კნეინა და გავიფიქრე: „როგორ თავისებურად დაიღრიჯებოდა, აქ რომ იყოს-მეთქი?“

ამ ფიქრში რომ ვიყავ, ბებრებმა ყაყანი ასტეხეს. ძლივს დაბარბაცებდნენ, მაგრამ ერთმანეთს ლაპარაკს აღარ აცლიდნენ. საკვირველია, ტროფიმე, რატომ ენა არ ბერდება!

— აბა, რა მომიტანე, შვილო,—შეეკითხა ერთი ბებერი პავლეს.

— მე-ღა?

— მე?

— მე?

მოისმა აქეთ იქიდან. პავლემ სიცილით შემოარბენინა ხურჯინი, გახსნა და სათითაოდ ყველას დაურიგა: ზოგს საკაბე, ზოგს თავშალი, ზოგს ფეხსაცმელები და სხვ. ცოლსაც აბრეშუმის საკაბე მიართვა და დაუმატა: „ჩემო სულის კოლოფო, ახალი მოდისაო“. „სულის კოლოფმა“ საკაბე გადააბრუნა-გადმოაბრუნა და მედიდურად ტუჩი აიწია...

ყველა მხიარულობდა, მხოლოდ ერთი ახალგაზრდა რუსი მოსამსახურე გოგო ვერ იყო გუნებაზე, ალბათ, იმისათვის არა მოეტანა-რა პატივცემულ პავლეს.

მთელი დღე ხმაამოუღებლივ მივჩერებოდი ამ ხალხს და... ჯერ საღამომდის კინაღამ არ გამოვჩერჩეტდი. ერთი მხარე რა არის, ერთი იოტის ოდენა მხარე ვერ გამოვუნახე ამდენ ადამიანს, რომ გული მიმკვროდა, რაიმე საერთო აღმომეჩინა! პირველ დღესვე საშინელი მარტოობა ვიგრძენი!.. ძნელი ასატანი ყოფილა, ჩემო ტროფიმე, როდესაც იძულებული ხარ ემსახურო იმისთანას (სულ ერთია ხალხი იქნება იგი, თუ კერძო კაცი), რომელთანაც არავითარი საერთო არა გაქვს რა და შენი მასთან დამაკავშირებელი ან ფულები, და ან მონობაა!..

* *

გავიდა ერთი თუ ორი კვირა... ამ ხანში მამული დავათვალიერე, ჩემი საქმე გავიცანი და დავიწყე მუშაობა.

იქნება მამულის აღწერა გეყურადღებება, ჩემო მეგობარო, მაგრამ... ორიოდე სიტყვაც საკმარისია მის დასასურათებ-

ლად: წარმოიდგინე რამდენიმე ათეულ ვერსის სიგრძე და სიგანე მამული, დაფენილი ნახნავით, სათესით, ხიზნებით და ულრანი, თვალუწვდენელი ტყით. ბუნებას ყოველის მხრით დაუჯილდოვებია ეს მამული... ადგილ-ადგილ, მთებში, სამკურნალო წყლები და მადნებიც კი შეგხვდება. ერთის სიტყვით, რიგიანი პატრონი და გულშემატკივარი რომ ჰყავდეს ამ მამულს, ულეველ „ასიგნაციებს“ ააღებინებს, და არამც თუ თითონ, იქ დასახლებულ ხიზნებსაც გაამდიდრებს... ხუმრობა ნუ გეგონება, ტროფიმე, ოდესმე ჩვენ რომელიმე თავადს რომ ჰქონოდა ეს მამული, თავისს თავს „მეფეთა-მეფედ“ აღიარებდა... დღეს კი?.. სხვის საკმელად არის გადაქცეული. თვალები გეტკინება, რომ დაინახო, რა ულმერთოდ არის მიტოვებული მოურავების ხელში! საიდან გაჩდნენ ეს მოურავებიო, იკითხავ. პირვანდელ პატრონს დაუგირავებია ეს მამული რუსეთის ერთ-ერთ ბანკში რამდენიმე ასი ათას მანეთად, თითონაც რუსეთში გადასახლებულა და ისე გაუფლანგავს ფულები, რომ მერე ველარ დაუხსნია. ახლა დამგირავებელნი თავის მხრივ მოურავებსა ნიშნავენ და მამულის შემოსავლით სარგებლობენ. ბევრს გაუმსია, ძმაო, ჯიბე ამ „მუქთა ხორა“ მამულის შემოსავლით, ძრიელ ბევრი მოურავიც გამოცვლილა, მხოლოდ ჩვენი პავლე ეს რამდენიმე წელიწადია განაგებს ამ მამულსა, მაგრამ ან კი რა მოვლა უნდა? როგორც მეურნეობა, ისე ტყის მრეწველობა ძველებურად არის მოწყობილი. ერთი უბრალო სამეურნეო იარაღი რა არის, ისიც კი არ მოიპოება ამ უზარ-მაზარ მამულის მოსავლელადა... რასაც მამა-პაპური მოვლა და ბუნება იძლევა, იმითიც დიდი კმაყოფილია პავლე მოურავი. მართალია მისნი გამწესებელნი იმდენს ვერა სარგებლობენ, მაგრამ პავლეს ყელშიაც-კი ამოსდის!..

რაც შემოსავალს დაჰკლებია, ჩემო ტროფიმე, ის მამულების შესახებ საწერ ქაღალდებს მომატებია: უნდა დაიფაროს თუ არა შემოსავალი? მეც ვიჯექ მთელი დღე და კალამს საცოდავად ვაწრიპინებდი... გადიოდა დრო, და „სტუმრის“ საქმე მემართებოდა: მალე „სპილენძად“ გადავიქეცი; მხოლოდ მიბრძანებდენ თუ არა „კარში გადიო“ ამას კი ვერ გეტყვი, რადგანაც პავლეს მგონი ძრიელ ეპირდებოდი. პირველად

არა უშავდა რა, რამდენადაც მოეთხოვებოდათ სხვის ხარჯით გამდიდრებულ ხალხს, თავაზიანად მექცეოდნენ; მაგრამ მივიღე თუ არა პირველი ჯამაგირი, მაშინვე დავიწიე იმათ თვალში და უბრალო მოსამსახურეებში აღარ მარჩევდნენ (მერე რომ იცოდე როგორის კანკალითა და თან ბღვერით გადმომითვალა ჩემი ოფლით მოპოებული გროშები!?). პავლეც ხშირად მაგრძნობინებდა, რომ ვითომ ის ჩემი „კეთილის-მყოფელი“ იყო!.. გული მომდიოდა... რას მიშვრებიან-მეთქი ვფიქრობდი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ვითმენდი.

„ნუ იქნები, შვილო, „დაუდეგარიო“ —ჩამძახოდა ყურში დედი-ჩემის ხმა.

„ვინძლო მალე გავასწოროთ ჩვენი აწეწილი საქმეო,“ — მეჩურჩულებოდა მანოს აჩრდილი. რა მექნა, საით წავსულიყავ, რა გადამეწყვიტა?

ვინ იცის, ტროფიმე, რამდენჯერ დამიცინვია ჩემი თავისთვის, იმიტომ რომ, რის წინააღმდეგიც ვიყავ, იმას ვემსახურებოდი: ჩემი თავისუფლება, თავ-მოყვარეობა, ჩემი წიგნები, ჩემი მისწრაფება თანდათან ობდებოდა!!.

— ბიუოს! ეს რა მომდის-მეთქი? —ვიფიქრე ერთ დღეს და საშინელი ამრეზილი შევედი სასადილოთ.

„დაუდეგარო, დაუდეგარო!“ გამიელვა თავში. მაშ რა ღვთის ცეცხლი უნდა იყოს ადამიანი ამისთანა გარემოებაში-მეთქი!—მევე ვუპასუხე ჩემს თავს და წარბშეკრული მოვუჯექ სუფრას, რომელსაც ჩვენი ბებრები ყვავებივით შემოსხდომოდენ.

ეშმაკი პავლე, ალბათ მიმიხვდა გულისთქმასა და ღიმილით მკითხა:

— რას მოგიწყენია, ყმაწვილო?

სწორეთ გითხრა, ვერაფერი ვუპასუხე, თუმცა კი ვიფიქრე, მოდი, გავაღებ პირსა და ყოველსავე ბოროტმოქმედება-დაკნინებას წამოუყაჭავ-მეთქი, მაგრამ კვლავ თავი შევიკავე, თითქოს ვგრძნობდი, რომ უფრო მოხერხებული დრო დამიდგებოდა.

— აი, ხვალ ჩვენი სტუდენტი მოდის და ერთად კარგ დროს გაატარებთო,—დაუმატა პავლემ, მე რომ ხმა არ გავეცი.

— როგორ? განა, პეტრე მოდის?—წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

— ჰო, წელან რომ ყანაში ვიყავ, პეტრეს წერილი გადმომცეს... ამ ამბავს სადილისთვის ვინახავდი, მინდოდა ყველანი ერთად გამეხარებინეთ,—უპასუხა პავლემ.

— ოი, იმას ენაცვალა დედაი.

— ენაცვალა მამიდა!

— ენაცვალოს დიდიდედა თავის ბიჭუკელასა!

— ენაცვალოს თავისი დედაი!—აჟღავჟღავდენ მანდილოსნები და სიხარულისაგან პირში ლუკმა გაუშეშდათ.

მეტი ღონე აღარ იყო, უნდა მომეცადნა, ვიდრე დამშვიდდებოდნენ და მეც რამე მეკითხნა ყმაწვილი სტუდენტის შესახებ.

V

ხუმრობა იქით იყოს და, წარმოიდგინე, მეგობარო, როგორ გამეხარდებოდა ამდენ დახავსებულ ხალხში,—რომლებთანაც ლაპარაკსაც კი ვერა ვბედავდი, არამც თუ მობაასე მეშოვნა,—ყმაწვილი კაცის და, ისიც სტუდენტის, მოელენა! სიამოვნებით მოველოდი „ხვალინდელ“ დღეს, აღტაცებით ვფიქრობდი მასზე. გამახსენდა ჩემი იდეალები, ვიფიქრე, ახლა კი გულს მაინც მოვიოხებ-მეთქი და გავმხნევდები, მაგრამ... რა ვიცოდი, რომ უფრო გავცეცხლდებოდი და კელავ ადგილი საძებნელი გამიხდებოდა.

ვინ იცის, ჩემი ოცნების დროს რომ ტყე ხმაურობდა, დედიჩემის მომავალ საყვედურს მებუტბუტებოდა—„დაუდეგარი ხარ, დაუდეგარიო!..“ მე კი მოლოდინში ყურიც არ მითხოვებია ფოთოლთა შრიალისათვის.

ოცი თიბათვე, მეორე დღე წინათ აწერილი სადილისა, სადღესასწაულო დღე იყო მთელი ოჯახისათვის და მეც „გავინთავისუფლე“ ჩემი თავი. საღამოს შვიდ საათზე პავლე, შისი მეუღლე, დედა, ცოლის დაჲ და გოგო-ბიჭები იმ შარა-გზაზე გაეფინენ, საიდანაც უნდა მოსულიყო მათი სტუდენტი. მე კი გადავუხვიე ამ გზას, ერთ დიდ მუხის ქვეშ წამოვწექ და ფიქრებს მივე თავი. მეტი რა დამრჩენოდა? ისეთ მარტოობას, ისეთ სულის ქეჯნასა ვგრძნობდი, რომ ვერც-კი აგიწერ!.. მუხის გვერდით მთელი ჭალა იყო გაშე-

ნებული, ჭალა მეტად საამო და სანეტარო. იქვე, ახლოს ჩამოჩხრიალებდა პატარა რუ წმინდა და ანკარა. წვრიმალას შრიალი, ბებერი მუხის ხმაური, წყლის ჩხრიალი და გალაღებული მინდვრის ყვავილები, ყველა, ყველა, რაც კი ჩემს გარშემო იყო, თავისუფლებით ფშინავდა და საიდუმლო ხმებს ჩამჩურჩულებდა... ვიწექ გულაღმა და მიეჩერებოდი ტოტებ-შუა გამოჩენილ ლურჯად მოკამკამე ცის ნაჭერს. დამავიწყდა ჩემი აწმყო... პატარა ღრუბელმა მხრებზე შეისვა ჩემი ოცნება და გააქანა... თუ მიხვდი, სად? ჩემს სამშობლოში, ჩემს მანოსთან... თვალები დაეხუჭე... ვხედავდი მანოს ცხვირსახოცით ხელში და მომტირალს, შორიდან ვეალერსებოდი: რა გატირებს? რა გინდა? ვინ მოგკვდომია-მეთქი?—ვეკითხებოდი. მაგრ კი სდუმდა, სახეზე გაჭირვება და შევიწროვება აღბეჭდოდა. ეს ვიღაა? ოჰო! აგერ დედაჩემიც ჩამომჯდარა რუს პირად და წყალში დაობებულ პურს ალბობს. რა გულსაკლავად იცრემლება?! გარს ათასი სხვა ღარიბი შემოსხდომია და პურისკენ ხელებს უწვდიან... უცბათ მათ შორის საიდანღაც გაჩნდა პავლე, ხელში ფულის პარკი ეჭირა, დროგამოშვებით პარკს მაღლა-მაღლა ისროდა და თან ხარხარებდა... გვერდში ამოსდგომოდა ვიღაც შეიარაღებული კაცი, მახვილით ხელში. აგერ პავლე მიცი ნის, მეძახის... ფულებს მპირდება, თუ იმ ვიღაც კაცს ენას მოვაჭრევინებ, დავგმობ ჩემიანებს, გავყიდი სინიდისს, ჩემს ადამიანობას!.. ველარ მოვითმინე, მანოს ხელიდან ცხვირსახოცი გამოვტაცე, მივვარდი პავლეს და კისერზე მოვუჭირე, შეიარაღებულ კაცს-კი მუჯლუგუნი ვუთავაზე... მანო იცინოდა, დედა-ჩემი დამშვიდებით შეექცეოდა დაობებულ პურს, ტიტველა ბავშვები დათამაშობდენ... უცბად აირია ყველაფერი, ასტყდა ხმაურობა და ფეთიანივით ზეზე წამოვარდი!..

საცინელია, ტროფიმე, დევნილი და ღარიბი კაცის საქმე, ჩვენისთანა ხალხს ოცნებაც მოწამლული აქვს. თურმე ჩამძინებოდა და ოცნება არეულ სიზმრად გადამქცეოდა!..

ზარის წკარუნი და ხმაურობა იქვე ჩემს ახლოს გაისმოდა, ვიფიქრე, ალბათ, სტუდენტი მოუვიდათ-მეთქი. სახე მაგრად დავისრისე, რომ შავი ფიქრები თავიდან მომეშორებინა და გავეშურე იქით, საიდანაც ხმაურობა მოდიოდა.

მთელ ოჯახს, დედა ბუდიანად, შუაში ჩაეყენებიათ სტუ-დენტი და წინ შემომეფეთნენ... როდის-როდის პავლემ უთხრა:

— გაიცანი, შვილო, ეს ჩვენი გადამწერიაო.

— ოჰო, ახლა გადამწერიც დაგიქერიაო,—გაიკვირვა სტუ-დენტმა და მედიდურად ხელი ჩამომართვა...

* *

ღამის თერთმეტ საათზე ვახშამი მზათ იყო და მთელი ოჯახი შევიყარენით. სუფრა აივანზე გაეშალათ. მშვენიერი, ბადრი მთვარე სანათს ეცილებოდა და საოცნებოდ კაშკაშებ-და. მცირეოდენი სიჩუმის შემდეგ, როდესაც მარტო საინე-ბის ჩხარა-ჩხური და ტუჩეზეის წკლატუნიღა ისმოდა, სტუ-დენტმა ლაპარაკი დაიწყო. ყველანი იმას მიაჩერდენ და გაფაციცებით ყურს უგდებდენ, თითქო პირიდან ოქროები სცვივაო.

რადგანაც საზოგადოს არას ლაპარაკობდა ჩვენი „ძვირ-ფასი სტუმარი“ (ასე ეძახდნენ იმ საღამოთი სტუდენტს), ამი-ტომ ვისარგებლებ და თუმცაღა ცოტა გვიან არის, მაგრამ აგიწერთ თითოეულის სახე-შეხედულობას... მე თუმცა არა მწამს, ვითომც სახე ყოველთვის სულის სარკე იყოს, მაგრამ ხანდახან კი ცოტათი მაინც მიგვახვედრებს ხოლმე ადამიანის სულის ვითარებასა... დავიწყებ პავლედან: ეს იყო მომცრო ტანისა, ჯმუხი და შავგვრემანი კაცი, თმა-წვერში ალაგ-ალაგ თეთრი გამორეოდა. მოკლე შუბლი და პატარა მძივის ოდენა ციმ-ციმა თვალები, ახლო მისჯდომოდნენ ცხვირის ხერხემალს, თითქოს ამ უზარ-მაზარ, ზურნის ოდენა ცხვირი-სა შეჰშინებიათ და მიმალულანო. თმა და წვერი ისე გაბურ-ძგვნოდა, გეგონებოდა, ქონიანი კანაფის ძაფი კატას და-უწეწნიაო. უსიამოვნო, ყომრალი შეხედულობისა, ჩუმი და მუზმუზელა იყო პავლე. მის მუშტის ოდენა თავში ეშმაკობის შეტი, ერთი კეთილი აზრი არ დაფარფატებდა...

პავლეს ღირსეული მეუღლე უფრო სასაცილო იყო, სასა-ცილო იყო იმითი, რომ ღაბაბი სამკეცად ჩამოჰკიდებოდა ნასუქი ინდოურივით, ცხვირი კი გასთხელებოდა, გაფირფი-ტებოდა, რაც ნიშანია წიწლაკობისა და ამპარტავნებისა,

წარბი წარბზე ჰქონდა გადაბმული და მგელივით გამოიყურებოდა. ხომ იცი, ჩემო ძმაო, რა სახესაც მიიღებს ყოვლად უვიცი, გამხეცებული ადამიანი, რომელიც არარაობისაგან შემთხვევით ან „კნეინა“ და ან მდიდარი მოურავის ცოლი გახდება. მაშ კარგად წარმოიდგენ, რა სულელური მედიდურება გამოიხატებოდა პატივცემულ დიასახლისის სახეზე.

პავლეს დაჲ, ცოლის-დაჲ და დედა, ღმერთო შეგცოდე, დაბერებულ მაიმუნებს უფრო ჰგავდნენ, ვიდრე ადამიანებს. ერთი მათგანი კი, სახელდობრ პავლეს დაჲ, რომელიც გაუთხოვარი დარჩენილა, ცეცხლზე შეტუსულ ცალთვალა წიწილსაც კი მოგაგონებდა.

ყველაზე სახიერი მათში ისევ სტუდენტი სჩანდა: ტანადი, ჩასხმული და შავგვრემანი ვაჟკაცი იყო, წვერი მოპარსული ჰქონდა, მხოლოდ ყბებზე კიკინებივით ჩამოეშვა ბალანი და ქვეითა ტუჩზე, ნიკაპ-ზევით, ერთი ბღუჯა წვერისა დაენარჩუნებინა: ამ ბღუჯა ბალანს თითონ „ისპანიონკას“ ეძახდა და მე-კი არ ვიცი, სწორე გითხრა, რა ჰქვიან... სტუდენტი და მისი მამა რომ შეგედარებინა ერთი ერთმანეთთან, გაჰკვირდებოდი, იმოდენა გარჩევა იყო თანამედროვე ყმაწვილ კაცსა და მამის შორის. პავლე მგონი კვირაში ერთხელ არ ივარცხნიდა თმა-წვერსა და ბუს უფრო ჰგავდა, ვიდრე ადამიანსა. მისი შვილი კი ნამდვილ ერთადგადადუღებულ ესპანელს და ინგლისელს წააგავდა. ცხვირი რომ მამისა არა ჰქონოდა, ვერც კი მიხვდებოდი, რომ იგი ჩვენებური იყო!..

ნადიმი გაგრძელდა... ლაპარაკს აღარ ათავებდა ჩვენი სტუდენტი. დიდედა სთვლემდა, დეიდასაც რული ეპარებოდა, მაგრამ თავს იმაგრებდა და დაწითლებული თვალები ალმაცერად წასვლოდა. დედ-მამაც გაბუცებით შეჰყურებდნენ... ის კი ისევ ლაპარაკობდა და ლაპარაკობდა!.. ვინ იცის რა არა სთქვა! რაც კი რუსეთში კეთილი აზრი დაბადებულა, როგორც მისი სიტყვიდან სჩანდა, პირველად იმას შეუმოწმებია, ყველგან ყოფილა, ყველგან მონაწილეობა მიუღია... თუმცა კი, ჩვენთვის რომ ვსთქვათ, ის წყეული „ისპანიონკა“, ყბებზე დარჩენილი კიკინები, ცბიერი თვალები და ხმის მიხვრა-მოხვრა კი მოწმობდა, რომ ცოტა გაზვიადებულს ლა-

პარაკობდა. ბოლოს იქამდის მიეიდა, რომ პატიოსან დედ-მამა-დიდედებს გულები დაუხეთქა.

— აბა, როგორ იქნება მაგისთანა სისულელის ჩადენა, ხომ გამოგაგდეს უნივერსიტეტიდან?—კანკალით გააწყვეტინა სიტყვა პავლემ, როდესაც იგი სტუდენტების ამბოხებაზე ლაპარაკობდა და თავის თავიც მონაწილეთ ჩასთვალა.—განა არ უნდა გებრალებოდეს შენი დედ-მამა?..

— აღარ სთქვა, აღარ, შენ შემოგევლოს მამიდა... სულ ტანში მაჟრიალებს... აი, ის წყეულნი და შეჩვენებულნი, აკი არ ჩაუთრევიხართ!—წამოიწიწინა მამიდამ.

— რაო, რაო,—წამოილუღლუღა დიდედამაც, თვალები გაახილა, მაგრამ ისევ მალე დახუჭა.

— შვილო,—დაბალი ხმით უთხრა დედამ,—აბა რა ბავშვობაა შენი მხრით? ერთიც ვნახოთ, შენც ციხეში დაეღპევით, ვაი მაშინ დედი-შენის გამწარებასაა!! ხედავ ამ ლაწირაკსა? პავლე, კაცო!—მიუბრუნდა ახლა ქმარსა.—გესმის, კაცო, ვიღაცას ულოცია, ჩვენთვისა, გენაცვალეთ!..—ხელების გასავსავებით დააბოლავა დიასახლისმა.

ის იყო დეიდასაც უნდა ეთქვა რამე, მაგრამ თავისიანების ახმაურებით, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებულმა სტუდენტმა უცბად წამოიძახა (იქნება თავის უნებურადაც):

— დამშვიდდით, დამშვიდდით. გეხუმრებოდით! ღმერთი, რჯული, მე არა დამიშავებია რა... თუმცა-კი კაცი ამხანაგობაში არ უნდა გამოწყდეს... აბა ამ ყმაწვილსა ჰკითხეთ, თუ ასე არ არის?—დააბოლავა პეტრემ და მოწმად მე დამასახელა.

— მაგას რა უნდა ვკითხოთ?—დაასწრო ახლა კი ყველას დეიდამა (ალბათ, სწყინდა, რომ წეღან ვერ ილაპარაკა),—ყველა შავ-წყალსაც უზიდნია, ოღონც შენ იყავ კარგად!..

— მაშა, მაშა, მაშა!!.—კვერი დაუკრეს აქეთ-იქიდან.

პეტრე ვითომ გაგულისდა, ზეზე წამოიჭრა და ჩვენი ვახშამიც დასრულდა.

ღამე გამტყდარიყო, ბუნებას ერთი პირი კიდევაც გამოეძინა, მთვარე დასავლეთისაკენ ძალზე გადაწეულიყო, თითქოს მოსწყენოდა ჩვენი ჯიჯღინიო და ჩვენი აივნის წინ ვეშაპივით გაწოლილიყო ვეებერთელა ჩრდილი. ყველა დასაძი-

ნებლად ემზადებოდა, მხოლოდ პავლე ცმუკავდა და შვილის ნალაპარაკევით გულგახეთქილი, ბრაზ-მორევით ბურტყუნებდა:

— რა საძაგლობაა, რა საძაგლობაა!.. მადლობ, შენთვის ღმერთო, რომ ჩემი შვილი გადარჩენილა...

ისე შენს მტერს მოსწყდეს წელი, ტროფიმე, როგორც მე ავგუნებაზე შევიქენი ჩემს ოთახში რომ დავბრუნდი!

მომავლები ტრაბახები ვართ, ტრაბახები! შინ დიდგულები, გარეთ კი მხდალები და აჩრდილები!.. ჩვენი მშობლები კი—დახავსებულნი, დაჩიავებულნი, და თვითმოყვარენი... ვცხოვრობთ იმიტომ, რომ საზიზღარ თავდავიწყებაში დავლიოთ ჩვენი დღენი და სხვის უბედურება-გაჭირვება აინუნშიაც არ ჩავიგდოთ! რა ადამიანები არიან, მაგალითად, პავლე, იმისი ნასუქი ცოლი, ეს დედაბრები, რომელთაც მცონარეობა-უბედობისაგან ადამიანის სახეც კი დაუკარგავთ! რა ასულდგმულებთ, რას ყრიან წუთის-სოფელში? რითი სჯობიან სიღარიბისაგან გაავზნებულს დედა-ჩემს, „ქრისტეს შთამომავალ“ კნეინას და ათასს მათ მაგვარებს? მარტო იმითი, რომ საკვები უშოვნიათ და ერთმანეთს საკენკს უყრიან?.. აბა დაჰკარგონ, წაართვას ვინმემ ქონება, თუ ცხვრებივით ბღავილი არ დაიწყონ, სულით არ დაეცნენ, მუხლი არ მოიყარონ ყოველივე მტარვალის წინაშე და უიმისოდაც გალაყებული ტვინი ხელის თავში ცემით უარესად არ გამოითქვიფონ! სადღაა ადამიანობა, ადამიანური კეთილი მისწრაფება, ღვთიური ცეცხლით აღფრთოვანება და კაცურ უფლებათა დაცვა?.. ძროხაც ხომ ბღავილითა თხოულობს საჭელს, საპყარიც ხომ ტირილით ავედრებს თავს გამვლელს-გამომვლელს?!. სად არის მედგარი ბრძოლა, ამაღლება წინმსვლელობისათვის?!. ამის მიზეზი ხომ ჩვენი შეტბორებული, ხავს მოკიდებული ცხოვრებაა, სადაც ჩვენ არავითარ მონაწილეობას არ ვიღებთ და თვალ ახვეულები, დაშინებულები, უსიტყვოდ ავყოლივართ უკულმართ ბედის ჩარხის უკულმა ტრიალსა-მეოქი,—შევეკითხე ჩემ დაბნელებულ ოთახსა და ყური მივუგდე. ასე მეგონა მიპასუხებს-მეთქი: „ხალხი თვითვე ჰქმნის თავისს ბედსაო“, მაგრამ კრინტიც არავის დაუძრავს და აჩქარებული ნაბიჯით კუთხიდან-კუთხეში მივრბი-

შოვრბოდი... მოულოდნელად, თითქოს ყურში ჩამძახა დედიჩემის ხმამ: „ნუ ბობოქრობ, ნუ ხარ დაუდეგარი, შე ოჯახდასაქცევო, წვიმა მოვა და ქვეყანას ისიც ვერ გასწვდება, რა გინდა, სხვებისთვის თავს რად იკლავო!..“

— ხა, ხა, ხა! უკეთეს აზრს როგორ შექმნის შიშისგან დარეტიანებულთა გონება-მეთქი!!.—ვუპასუხე საიდუმლო ხმას და აღელვებული საწოლ'ზე მივეგდე... გული მიჩქროლავდა, თავბრუვიალა მესხმოდა, ყურები მიწივოდა, თითქო დაჩაგრულთა მოთქმა-გოდება, ხალხის ყიჟინა ერიამული, ჩემი გულისთქმა და ჩემის საყვარელი მანოს აჩრდილიც კი ძალმომრეობა-უვიცობასთან საბრძოლველად მიწვეოდა. ოოხ! რა უღონო ვარ?!.

— მეგობარო, მომეცი ხელი!

VI

მე და პეტრე ხშირათა ვხედავდით ერთმანეთსა, მაგრამ პირველი შელაპარაკების შემდეგ, ვეღარ ვრიგდებოდით, საგულისხმიერო ლაპარაკს ვერიდებოდით, მხოლოდ ათასში ერთხელ თუ გავიხუმრებდით ხოლმე... ჩემის აზრებისთვის მგონი ისიც „დაუდეგრადა“ მთვლიდა და მე კი ის „ბჩვრად“ უსულ-გულო კაცად მეჩვენებოდა... აუტანელი შეიქნა, ჩემო ძამიავ, პავლეს ოჯახში ცხოვრება, უნდა გავცლოდი როგორმე... მიზეზი, თუმცა კი მეტის-მეტი საძაგელი მიზეზი, მალე გამოვიჩნდა.

ზაფხულის ერთ შავ-ბნელ ღამეს, იქნებოდა ასე ათი-თერთმეტი საათი, ვიჯექი ჩემს ოთახში და რაღაც არზასა ვჯღაბნიდი. საცოდავად ბჟუტავდა ჩემი პატარა ლამპარი. ოთახი მკვდრულ სიჩუმეს მოეცვა. მხოლოდ ხანდისხან ღია ფანჯრიდან შემოსული ნიავი კუდლებზე ჩამოხეულ-ჩამოკიდებულ ქაღალდებს აცოდვილებდა.

მოულოდნელად რაღაცა ჩურჩული მომესმა და ფანჯარასთან მივედი. ხმა მიჩუმდა... მაინც ფანჯარას გადაეყუდე და გარეთ მზერა დავიწყე. უზარმაზარ სიმაღლის, შავით შესუდრული აღვის ხეები ჩამომდგარიყვნენ იქვე, ჩემი ფანჯრის წინ, ჭანდრების უკან, რუ გაჯავრებით მიბურტყუნებდა და

ჯანლით მოცული ტყე საზარლად გრიალებდა, გევონებოდა შიგ მავნე სულები დახითხითებენო... ხეეწნა-მუდარა და ჩურ-ჩული კვლავ შემომესმა. ყურები ეაცქვიტე და ბევრი ლოდი-ნიც აღარ დამჭირვებია, აქვე, ფანჯრის ძირას, ბუჩქნარში ხმაურობდნენ.

— წამოდი, წამოდი ისევ იქ, რას გამომექეცი!—ხიხინებ-და ვიღაცა.

— თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს, აბა მე რა შენი ტოლი ვარ!—უპასუხა მეორემ, მგონი ქალის ხმამ.

— რა არის ახლა... ნუღარა მტანჯავ!

— არა, არა თავი დამანებე, თორემ დავიყვირებ!

— დაიყვირე-რა!—მე ვარ აქ ბატონი.—შეკავებით აუმაღ-ლა ხმას ვაჟმა და უთხრა:

— შენი ჭირიმე, რაც გინდა ისა მთხოვე...

მივხვდი, ტროფიმე, რაც ამბავი იყო... გაცეცხლებული ჩავიჭერ დაბლა და თვალის დახამხამებაზე ბაღში გავჩნდი, კედელ-კედელ გავიპარე და იმ ბუჩქს მივუახლოვდი...

— კაბას გიყიდი, ფეხსაცმელებს... რაც გინდა ყველას, ჩემო კარგო,—ეჩურჩულებდა ვაჟი.

— არ შემიძლიან, ბატონო, ჩემ თავს ვერ გავყიდი, ვერა, ვერა!.. დამანებე თავი!—ემუდარებოდა ქალი რუსულ ენაზე.

აუტანელი შეიქნა ჩემთვის ეს ამბავი, მოურიდებლად გადავერიე ბუჩქნარში და საზარელის ხმით დავსჭყივლე:

— რა ამბავია-მეთქი!

რაღა რა ამბავი იყო! ცხრათ მობღუნძული რუსი გოგო ბუჩქის ძირას მიყუჟულიყო და მუშტის ოდენად დალეული, ძალზე ცახცახებდა. თავს ადგა... ჩემი „ბატონის“ შვილი!..

— ვინა ხარ?—დაიღრიალა პეტრემ და მუშტ-მოღერებული დამეძგერა.

მე ხელი შევაშველე...

ჩვენ ხმაურობაში მთელ სახლს გამოეღვიძა, გოგომ დრო იპოვნა და სადღაც მიიმალა.

ამ ჟამად გადარჩა საცოდავი გაუპატიურებასა, მაგრამ ხვალ? ზეგ? ოხ, რამდენია ძალდატანებისა და უსინიდისობის მსხვერპლი! რამდენი ატარებს გულით ჯოჯოხეთსა, თუ

სულ მთლად არ დაცემულა და ქუჩა-ქუჩა არ დაუწყვია წანწალი?!?...

რაღა თქმა გინდა, ჩემო ტროფიმე, რომ მეორე დღეს მე და პეტრეს დიდი შელაპარაკება მოგვივიდა... თვით პატივცემული მასპინძლებიც ლაზათიანად შემომელანძღნენ, რადგანაც... ისინიც მე მამტყუნებდენ და პირმშო შვილის „ცელქობას“ თითქმის კიდევაც ამართლებდენ...

— ე-რა ღვთის ჩეჩხლი ყოფილა,—მომაძახა ბებერმა, როდესაც პავლეს ყველა მისი საქციელი წამოვუყაპე და გამოვუცხადე, რომ მე თქვენ სახლში დამდგომი აღარა ვარ-მეთქი... რაში ესიამოვნებოდათ?!.

* *

აჰა, გავათავე ეს, შენთან გამოსაგზავნი წერილი, და ახლა კი უნდა ავიკრიბო ჩემი ბარხანა, ვიცი გაჭირვება მომელის? მაგრამ...

— მერე სად მიხვალო? დამეკითხები; შენთვის „დაუდეგარი“ ტყუილად არ დაურქმევიათო.

— ვნახოთ!.. პირველად მივალ ჩემს მანოსთან და თუ იმასაც რაიმე სიყალბე შევატყვე, ოო!.. მაშინ კი... მშვიდობით!.. მაგრამ რასა ვბოდავ?.. თუ ამ ქვეყნად დევნილმა კაცმა ბოროტება-უსამართლობას ცხვირი ქვაზე არ უცეცქვა, მგონი საიქიოსაც ვერ მოისვენოს!..“

თიბათვე, 169- წ.
ჟ. ლენქორანი.

კრებაზე

ესკიზი

გუშაგნი ძაბილ ხეკდელიანის ხსოვნის

— მართლა, დღეს ხომ კრებაზე ვარ მიწვეული, კინაღამ არ დამავიწყდა!—გაკვირვებით წამოიძახა ერთ საღამოს ტასო დიდგულაძემ და პაწია საათი ხელში შეათამაშა.

— რა? კრებაზე? რით ვერ მორჩით მაგ კრებას .. ნეტა არ მიედ-მოედებოდეთ, ის გირჩევნიათ! კრება... კრება... ყურები-კი წაიღეთ და!—ცოტა არ იყოს წყენით შენიშნა დედამ როდესაც ტასომ მოსართავ-მოსაკაზმავათ შკაფიდან ტანისამოსის გადმოლაგება დაიწყო. ჯერ გადმოიღო შლიაპა, მერე ახლად შეკერილი კაბა, შემდეგ ფეხსაცმელები და დაფიქრდა, თითქოს კიდევ რაღაცას ეძებსო, ბოლოს ერთი შეფრთხიალდა, მოხდენით დაიხარა და შკაფის ქვედა უჯრიდან კარსეთი ამოიტაცა. დედა აღტაცებით შეჰყურებდა თავის ერთადერთი ქალის ფუსფუსს და თან იღიმებოდა.

რა ახარებდა ტასოს დედას? გადაწყვეტით ვერას გეტყვით, იქნება, დაბერებული და ნეკრესის ქარებით დახუთული თინათინი, იგონებდა თავის სიყმაწვილეს, ან თავი მოსწონდა, რომ ტასოსთანა ლამაზი და მოხდენილი გოგონა ჰყავდა? ვინ იცის? ჩვენთვის ისიც საკმარისია ვიცოდეთ, რომ ტასოს დედა მეტად გულკეთილი ადამიანი იყო და არც ჩვეულებადა ჰქონდა ტასოს სურვილისათვის რაიმე წინააღმდეგობა გაეწია, პირიქით სცდილობდა კიდეც ტასო საზოგადოებაში გარეულიყო: „ყმაწვილია, გავიდეს, გამოვიდეს ხალხში, ქვეყანა ნახოს, ქვეყანამ ეგ გაიცნოს და ერთიც იქნება, რიგიანი პატრონი გაუჩნდესო“.

ტასომაც ძალიან კარგად იცოდა თინათინის ხასიათი და ამიტომ ყურადღება არ მიაქცია დედის პირველ საყვედურს.

— აღარ იშლი, ქალო, უნდა უთუოდ წახვიდე?—შეეკითხა დედა ტასოს, როდესაც ხელ-პირ დაბანილი, აწეწილი, თუ-

რაშაულ ვაშლისავით გაღაჟღაჟებული ტასო პირსახოცით ხელში წინ გამოინასკვა და ქუსლებზე პროწიალი დაიწყო.

— მაშ აბა რა ვქნა, დედი, სიტყვა მივეცი და!..—ისეთის კილოთი უთხრა ტასომ, თითქოს ეუბნება,—შენც ხომ არ მიშლი ხალხში გასვლას და აბა, ტყუილად რას მელაპარაკებიო.—მერე გაიღიმა და დაუმატა: რომ იცოდე, როგორი ნდობით მეკიდებიან ჩვენი კრების წევრები... ერთი უკეთესი ქართველ ქალთაგანიაო, აი!

— არავის უთხრა! აბა მაშ შენზედ უკეთესი ლამაზი მეორე მაჩვენონ?—აღტაცებით გააწყვეტინა დედამ.

— მაგ მხრივ კი არა დედა,—ვარდივით აენთო ტასო,—ისე, მეორე მხრივ... კარგი ქართველიაო... ხომ იცი რაც არის ქართველი, ქართველობა?

— ქართველი ხარ, მაშ თათარი ხომ არ იქნები?—კიდევ ჩაურთო თავის სიტყვა დედამა.

— ეჰ, მაინც ვერ მიმიხვდი, დედილო,—სიცილით შენიშნა ტასომ.—არ იცი, რა ვქნა, ვის ეძახიან ქართველს?

— რა დამემართა, ქალო, რომ არ ვიცოდე? ქართველი, შვილო, ქართველია, რუსი—რუსია, ლეკი—ლეკია. მაგას რა დიდი მიხვედრა უნდა?!—გაიკვირვა თინათინმა.

— შენი ნება იყოს, დედილო! ძველ ადამიანს აბა რაღა უნდა გაგაგებინო, რა აზრითაც მიწოდებენ ქართველად... შენ ხომ არც სიტყვა პატრიოტკა გესმის?..

— მაიცა, მაიცა, შვილო. ყელსახვევი გვერდზე მოგქცევია,—უცბათ გააწყვეტინა საგულისხმიერო ლაპარაკი დედამ და ყელსახვევს სწორება დაუწყო. ეტყობოდა შვილთან ლაპარაკის დროს იმის მორთვა-მოკაზმვას უფრო დიდ ყურადღებას აქცევდა.

ტასომ ხელები ჩამოუშვა და დედის გემოვნებას მიენდო. ვეებერთელა კედლის სარკეში აჭრელებული თაიგულივით გამოქანდაკდა ლამაზი ტასო... დედა ტასოს ცქერით ვერა ძღებოდა, ტასო თავის სახეს სარკეში თვალს არ აშორებდა და ლაპარაკი ძალაუნებურად შესწყვიტეს.

ამ ყოფა-მდგომარეობაში დრო გადიოდა და კოხტაიას სახლში, N ქუჩაზე, წევრები ნელ-ნელა იკრიბებოდნენ, ამ ეამად-კი, როდესაც ტასო და თინათინი მასლაათობდენ, კოხ-

ტაიასას ბევრი არავინ იყო. კედლების წინ არიგებ-ჩამორიგებული ვენის ყვითელი სკამები სულგარინდულნი უცდიდნენ წევრების შეკრებასა, რომელთა რიცხვში ბევრი ქალიც უნდა ყოფილიყო. ბუხრის თავზე დადგმული საღვიძარა საათი განუწყვეტლივ და ერთხმაზე წიკწიკებდა... აივანზე ორი თუ სამი წყვილი ქალ-ვაჟი დასეირნობდა. თვით ოთახში მოსჩანდა სამი ადამიანი: კვირიკე ამაყაშვილი, ბესო ცერცვაძე და წვეულთა მასპინძელი, გასათხოვარი მართა კოხტაია. ესენიც, თითქოს ერთმანეთს ერიდებიანო, ორად გაყოფილიყვნენ. კვირიკე ამაყაშვილი და მართა კოხტაია მოსჯდომოდნენ თავმჯდომარისათვის მომზადებულ მაგიდას და ერთმანეთს ხმადაბლა რაღაცას ელაპარაკებოდენ, ბესო ცერცვაძე-კი ბუხართან ატუზულიყო და ისე იბღვირებოდა, თითქოს ვისიმე ჯავრი სჭირსო... დრო გადიოდა, ბუხრის თავზე დადგმული საათი რვას უჩვენებდა, მაგრამ იქ მყოფთ ჯერ-ჯერობით არავინ ემატებოდა...

— ბრძანეთ, ბრძანეთ, უკაცრავად, რომ სიტყვა გაგაწყვეტინეთ,—ბოდიში მოიხადა მართას წინაშე კვირიკემ და მიბნედილი თვალებით გაუღიმა.

— სულ ერთია, ბატონო, მეც ეგ უნდა მეთქვა,—ღიმილითვე უპასუხა მართამ და კისერი მოიღერა. ამ დროს მართა მარილიანი შეხედულობისა იყო და კვირიკეს ხომ ანგელოზად, ცქრიალა ფარვანად მოეჩვენა... ანგელოზობამდის, რასაკვირველია, ბევრი რამ უკლდა მართასა, ცქრიალა იყო თუ არა, ესეც, ჩემო მკითხველო, ჩვენთვის სულ ერთი უნდა იყოს, მაგრამ ყველა ამას ამიტომ მოგახსენებთ, რომ მართას კისრის მოღერებამ ისეთ აღტაცებაში მოიყვანა კვირიკე, რომ თავდაქერილობას გადააბიჯა და რაღაც ზრდილობიანი კომპლიმენტი უთხრა, მაგრამ რომ ჩაეფუჩეჩებინა თავისი სითამამე, აჩქარებით დაუმატა:

— უცილებლად, უცილებლად, ბატონო მართა, სრულს ქეშმარიტებასა ჰბრძანებთ... აბა მაგას რაღა დამტკიცება უნდა. ვინ იქნება ჩვენში ისეთი აბსკურანტი (გონება დაბნელებული), რომ ქალების უფლება, ემანსიპაცია არ აღიაროს?—სრულის დაპეჯითებით დააბოლოვა კვირიკემ და მართას კიდევ გაუღიმა. მკითხველები მიხვდებიან, რომ

მართასა და კვირიკეს ქალთა უფლების შესახებ ჰქონდათ მასლაათი.

— დიახ, მარტო შ ე ნ ა გრწამს ეგრე?—აუმაღლა ხმას მართამ, მერე შეჩერდა, ტუჩები შეათამაში, წამოწითლდა, თვალები ეშმაკურად გადაატრიალ-გადმოატრიალა და კდემა-მოსილ სიცილით სთქვა:—დასწყევლოს ღმერთმა, კიდევ არ შემეშალა? წარმოიდგინე, ყმაწვილო, თქვენობით ლაპარაკი როგორღაც არ მეხერხება, ალბათ, იმიტომ, რომ ქართველი ვარ, და ქართველებს-კი თქვენობით ლაპარაკი არა ვვქონია.

— ეგ კიდევ გადასაწყვეტია, ჩემო ბატონო!—ისეთი კილოთი გააწყვეტინა კვირიკემ, თითქოს ამ საკითხის გადაწყვეტის შემდეგ არც ხვნა უნდოდეს კაცსა და არც თესვა,—მაგრამ, — გამოცვლილი ხმით დაუმატა კვირიკემ,—მე დიდად მოხარული ვარ, რომ თქვენ, უკაცრავად, შენ... ახლა მეც ასე ვიტყვი... შენობით მელაპარაკებით... თითქოს უფრო ვახლოვდებით...—კვლავ მომხიბვლელად ჩაილაპარაკა ვაჟმა და თავი დახარა.

მართა კეკლუცად შეიშმუშნა და აირია... საზოგადოდ, კვირიკეს ისე ეჩირა თავი ყველგან და ყოველთვის, რომ დიდად განათლებული ყმაწვილი კაცის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, ნამეტნავად ქალებში და ეს უკანასკნელნიც ბედნიერებათა სთვლიდნენ მასთან დაახლოვება-ლაპარაკს. მართალია, საქმის ქალები იყვნენ კვირიკეს ნაცნობი ქალები, როგორც თვით კვირიკე ეყო საქმის კაცი — მოწინავე ახალგაზრდა, — მაგრამ საქმროს ამორჩევაც ხომ საქმეა და ამიტომ ვერ ვუძრახავთ, რომ როცა-კი ჩვენი მოსაქმე ქალები ერთად შეიკრიბებოდნენ ხოლმე, კვირიკეს შესახებ უფრო ბევრსა ლაპარაკობდენ, ვიდრე საზოგადო საქმის შესახებ... მაგრამ ამ ლაპარაკის განგრძობა არა ჰღირს, მით უფრო, რომ ერთს დროს ჩვენ ქალებს ეიდეალად ჰქონდა აღებული სტუდენტებთან დაახლოვება და კვირიკეც იმათში ითვლებოდა...

— მერე, რომ ეგრე ვამბობ...—გაიმეორა კვირიკემ ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ,—განა რომელიმე განათლებული ყმაწვილი კაცი და ისიც მეცხრამეტე საუკუნეში, წინაალმდეგი იქნება ქალების ემანსიპაციისა. არა, ბატონო, მარ-

თა, ეს წარმოუდგენელია!—გადაჭრით სთქვა კვირიკემ, თუმცა-კი, ჩვენთვის რომ ვთქვათ, პირველი მოწინააღმდეგე გუნებაში თვითვე იყო.

— მილიონობით არიან წინააღმდეგნი, მილიონობით!—ღიმილით უპასუხა მართამ.

— ჩვენში?—კიდევ დაეკითხა კვირიკე.

— დიაღ, ჩვენში, ჩვენში და იქნება ჩვენ წევრთა შორისაც...—კეკლუცად გაიცინა მართამ.

— მე-კი არა მგონია და!—სიტყვას არ უთმობდა კვირიკე.

— შენ უფრო კარგად არ იცი!—უადგილოდ და უაზროდ დაეთანხმა მართა და დასძინა:—აბა ბატონს ბესარიონსაც შეეხმაუროთ, ეგ რაღას იტყვის. ამ კრებაზე ახალი კაცია და მაგის აზრიც საინტერესოა.—ბესომ თავის სახელის გაგონებაზე თავი მაღლა ასწია და მობაასეთ შეხედა.

— აბა, თქვენ რა აზრისა ხართ, ბატონო ბესარიონ, ჩვენი საკითხის შესახებ?—მიმართა კვირიკემ ბესარიონს, ისეთი ჩაეარდნილი ხმით, თითქოს მაღლიდან დაბლა ჩამოვიდაო. აქვე უნდა მოგახსენოთ, რომ კვირიკე მეტის-მეტი დაბალი ხმით, დინჯად ელაპარაკებოდა ხოლმე ყმაწვილ კაცებს. (მარტო ვაჟებს, ნუ დაივიწყებთ) და თუმცა უგემური წიწინა ხმა ჰქონდა ჩვენ კვირიკეს, მაგრამ იმდენ გაუგებარსა და პრტყელ-პრტყელ სიტყვა-ფრაზებსა ხმარობდა, რომ მსმენელებს თავ-ბრუს ახვევდა მისი ხმა! ყველანი, ნამეტნავად ქალები, გაკვირვებაში მოდიოდენ კვირიკეს განვითარება-მქევრმეტყველობით!.. ასეთი სიტყვები, როგორც მაგალითად, ასოციაცია, ექსპროპრიაცია, ემოცია, კლასიფიკაცია, კვინტესენცია და სხვა „ციები“ ასობით დაითვლებოდა თითოეულ მის გრძელ სიტყვაში. ხშირად უყვარდა აგრეთვე სიტყვა „აბსკურანტის“ ხმარება, კიდევ ფრანგულის ანდაზებისა და სიტყვებისა, კიდევ... მაგრამ ვინ მოსთვლის? მგონი ამითიც თავი მოგაბეზრე, ჩემო მკითხველო. შეიძლება ოდესმე შენ თითონვე შეგხვდეს კვირიკე და მაშინ გაიგებ რაებიც იცის... იმას კი ნუ დაივიწყებ, რომ კვირიკეს ერთი ახირებული ჩვეულებაც აქვს! როცა ლაპარაკობს, ისეთ გაშმეტყველ-

ლებას მიიღებს ხოლმე, თითქო იმას გეუბნება: „მე ნუ შეხუმრები! მე... მე... კვირიკე ამაყაშვილი ვარ, რუსეთ-საფრანგეთ მოვლილიო“. აი ახლაც ისეთი თვალით შეხედა ბესარიონ ცერცვაძეს, რომ ნათლად აღმოიკითხავდით: „ვერა ჰხედავ, რა თავ?დაბალი ვარ, შენთვისაც კი მოვიცალეო!“ ბესო მიუხვდა და აიმრიზა.

ორისა თუ სამი წამის განმავლობაში სიჩუმე ჩამოვარდა. კვირიკე ფიქრობდა: „რას იბღვირება ეს ყმაწვილი, სემინარიელი თუ არისო“. ბესო კი იძახდა: ეს კაცი თავმოყვარეობით იქნება დასნეულებულიო. მაგრამ დრო იყო ეპასუხნა:

— აბა რა მოგახსენოთ,—ნაწყვეტ-ნაწყვეტად უპასუხა ბესარიონმა,—მე თქვენი ლაპარაკისათვის ყური არ მიგდია. მგონია შინაურ საქმეებზე ლაპარაკობდით.

— სრულებითაც არა, ყმაწვილო კაცო, ჩვენ საზოგადოდ ვლაპარაკობდით და მერე ისეთ საზოგადო საკითხებზე, როგორიც არის ქალების ემანსიპაცია.—წარბებ-შეკვრით განიმეორა კვირიკემ.

— ვერაფერს მოგახსენებთ, ჩემო ბატონო, ვიდრე თქვენ საბუთებს არ მოეისმენ!—უკბეხად უთხრა ბესომ და თითონაც კოპები შეიკრა.

— მაგას რა არგუმენტაციები-ღა უნდა, ეს ისეთი თვალსაჩინო საგანია, როგორც მზე და მთვარე. თქვენზედ ნუკი მიიღებთ და მარტო გონებით განუვითარებელი მოითხოვს ათასჯერ და ათი ათასჯერ დაღეჭილ საბუთებსა... როგორც ვხედავ, თქვენ ჯონ სტიუარტ მილისა, ან ბოკლის თხზულებანი არ წაგიკითხავთ, ქალების შესახები მწერლობა არ შეგისწავლიათ, თორემ... დოღმატიური კილოთი დაიწყო კვირიკემ. კვირიკესა და ბესარიონის შორის ერთი ალიაქოთი მოხდებოდა, რომ უცბად კარები არ გაღებულიყო და გატკრციალებული ტასო არ შემოვარდნილიყო.

— უჰ, დედავ, როგორ დავიღალე, სირბილით მოვკვდი... მე ვთქვი დამაგვიანდა-მეთქი და აქ კი... ზედი-ზედ წამოიძახა ტასომ, განცვიფრებით მიმოიხედა ოთახში და იქ მყოფთ ხელი ჩამოართვა.

— იქნება დაავიწყდათ წევრებს, რომ კრება გვაქვს?—სიტყვა ჩაურთო ბესომ.

— რა უბედურებაა, ღმერთმანი, შეიძლება გაგვათენებინონ კიდეც!—დაუმატა ისევ ტასომ.

— იქნება უკვე დაიძინეს და...—დაცინვით ჩაილაპარაკა კვირიკემ.

ამ ხმაურობაში აივნიდანაც შემოვიდა რამდენიმე ყმაწვილი, ორი თუ სამი სხვა ახალი წევრიც მოემატათ. მცირეოდენი ლაპარაკისა და სალამ-ქალამის შემდეგ, ქალები კვირიკეს შემოეხვივნენ. ვაჟები ჯგუფ-ჯგუფად დასხდნენ განზედ და სხვა-და-სხვა ლაპარაკი დაიწყეს: იცინოდნენ, ხარხარებდნენ, ერთმანეთს ჭკუას არიგებდნენ...

არ ვიცი ყოფილხართ თუ არა ჩვენებურ კრებაზე, ხოლო თუ ყოფილხართ, გეცოდინებათ, რომ ვიდრე წევრების საკმაო რიცხვი არ შეიკრიბება, კრების საგანს რიგიანად ვერც კი გაიგებთ, ამიტომ საათს ხშირად უცქერით, ოხრავთ, მოუსვენარადა ხართ, ხუთი წუთის განმავლობაში ათჯერ მაინც გადასთვლით წევრებსა და თვალი და ყური სულ კარებისკენ გიპირავთ. ასე მოსდიოდა ბესო ცერცვაძესაც, იგი ახალი კაცი იყო კრებაზე და მგონი ყველაზედ მოუსვენრადაც ის იყო. ხან ერთ ჯგუფთან მიდიოდა, ხან მეორესთან, ყველას ყურს უგდებდა, ყველას ათვალიერებდა. ბოლოს ერთ ჯგუფში ჩაება და მათ ლაპარაკს ბანი მისცა.

— გულწრფელობა!.. ხა!.. ხა!.. ხა!.. სად არის ქვეყნად გულწრფელობა? – ხითხითებდა ერთი ტანდაბალი და დიდთავა ყმაწვილი კაცი, თან ისეთი თვალით იხედებოდა აქეთიქით, თითქოს უნდა ყველას ენა მუცელში ჩაუგდოსო.

— თქვენ სცდებით, ბატონო კოდალა! (მოდი ასე დავარქვათ დიდთავა და ტანმოკლე ყმაწვილს). გულწრფელობა რომ არ იყოს ქვეყნად, წინმსვლელობაც, ადამიანობაც არ იქნება. ყველა ხომ არ თვალთმაქცობს?—შეეკამათა ბესარიონი.

— ვინა სცდება?.. მე?—გაიკვირვა კოდალამ.

— დიახ, თქვენ,—უთხრა ბესომ. ნუ ვიქნებით, ყმაწვილებო, ქვეყნის მოძულე, პესიმისტები, როგორც ამბობენ, გვწამდეს, რომ თუ ბოროტებაა ქვეყნად, მისი გულწრფელი მოწინააღმდეგენიც იქნებიან, თუ უსამართლობაა, სამართლიანობაც ნოიძებნება, თუ...

— ეე! ახლა თქვენ ფილოსოფიას მომიყვებით!—უცბად გა-

აწყვეტინა სიტყვა ბესარიონს ჩვენმა კოდალამ.—მე ბავშვი ნუკი გგონიეარ, რომ ანაბანას მიკითხავ, მაგგვარი აზრები თქვენზე წინად გამიგონია; მაგრამ მე მრწამს, რომ გულწრფელობა არ არის და არა! მე არავისი არაფერი მჯერა-რა. ყველა ცოდვილობს იმიტომ, რომ თავისი „მე“, თავისი თავი გამოიჩინოს!..—ცხარობდა, არ ვიცით კი რად, კოდალა.

— მაშ, როგორც გეტყობათ, თქვენც თვალთმაქცი უნდა იყოთ,—დაურიდებლად შენიშნა ბესომ და ლაპარაკი რომ არ გაეგრძელებინა, მოშორებას აპირებდა.

— ბრავო, ბრავო! — ძრიხასავით დაიბღავლა დათუა გულციეაძემ და სამჯერ თუ ოთხჯერ ცხვირში შეიტრუსუნა. მას ძლიერ ახარებდა კოდალას გაწიწმატება და ბესარიონის უგერგილობა.

— სსუ! ნუ ღრიალებ, დათუა! -- ღიმილით შენიშნა ვიღაცამ გულციეაძეს.—თქვენც გაათავეთ, თუ ღმერთი გწამთ,—ამშვიდებდნენ კოდალასაც, მაგრამ დიდ-თავა აღარ ისვენებდა. მან თავი შეურაცყოფილად ჩათვალა და ცდილობდა დაემტკიცებინა ბესარიონისთვის, რომ ისა ყოფილა „დამცირებული და მიწასთან გასწორებული, უტვიფო და ყოვლად საძაგელი“.

ჩხუბი არაფერზედაო, რომ იტყვიან, სწორედ, ამაზე ითქმოდა. რაკი დაიწყეს კამათი, აღარ ათავებდნენ. ცდილობდნენ ზრდილობიანად მოქცეულიყვნენ, მაგრამ აფორიაქებული გულის თქმა თავისას არ იშლიდა... მალე ყველა, ქალი თუ კაცი, კვირიკესა და მართას გარდა, რომელიც აივანს გადაყუდებოდნენ და თავისთვის მასლაათობდნენ, ერთად შეიკრიბა და ბესო-კოდალას კამათს ყურს უგდებდნენ. ერთით საზოგადო ხასიათი ჰქონდა ამ კამათს, საზოგადო საგანს შეეხებოდა...

— რა მოხდა, რა ამბავია? — იკითხა ერთმა წევრთაგანმა.

— ყური დაუგდე და გაიგებ,—ცინიკურად შენიშნა გულციეაძემ... მაგრამ ვინ რას გაიგებდა? თითქმის თითოეული წევრი ცხარობდა, თავისას გაიძახოდა, ხელების და ფეხების ქნევით ცდილობდნენ თავისი აზრი გაეყვანათ. ვინ იყო მართალი და ვინ მტყუანი, ამის გამოცნობაში არავინ შედიოდა. მხოლოდ ერთად ერთი გულციეაძე არა ცხარობდა და ჯანდა-

რიგით დარჭობილიყო შუაში. თითოეულის სახის გამომეტყველებასა სწავლობდა და ხან ერთს აქებდა და ხან მეორეს... მართალი რომ მოგახსენოთ, საკვირველი ყმაწვილი კაცი იყო ბ-ნი გულცივაძე! ქვეყანა რომ გადაბრუნებულიყო, აინუნშიაც არ ჩაიგდებდა. მას თავის სიცოცხლეში ყველაფერი მასხარაობად ეჩვენებოდა და თუ იღებდა ხოლმე ან კრებაზედ ან სხვა საზოგადო საქმეში მონაწილეობას, მარტო იმიტომ, რომ უნდოდა როგორმე გართობილიყო, დრო გაეტარებინა. დიახ, ყველგან იყო ხოლმე გულცივაძე და თავისი ახოვანებით თვალსაჩინო ადგილსაც იპერდა, მაგრამ ყოველი საქმის გათავების შემდეგ იმას-კი არა კითხულობდა, რა გავაკეთე, ან რა შევიძინეო, არა! იგი სახლში დაბრუნებისას წამოგორდებოდა ხოლმე თავის ჭუჭყიან ლოგინზე და სიცილით იგუდებოდა. ხან ერთის სახეს წარმოიდგენდა, ხან მეორისას, ხან ვის სიტყვებს გააბურთავებდა, ხან ვისას და კვლავ უგემურად ხითხითებდა... ბედნიერი იყო ხოლმე ამ დროს ბატონი დათუა გულცივაძე!

აი, ახლაც, მოკამათეთა სახის გამომეტყველებას რომ ათვალიერებდა, სახლში საცინელ მასალას იპზადებდა!..

— რასაკვირველია, შენ მართალი ხარ,—დასტური დასცა კოდალას სიტყვებს და თან გულში ეცინებოდა დიდ-თავიანის თვალების ბრიალზე.

— დათუა, დათუა!—დაეჭიდა კოდალა გულცივაძეს,—შენ ხომ მიცნობ, კაცო, ხომ იცი, რაცა ვარ და, მე მგონია, ბ-ნ ცერცვაძის გარდა, რომელიც იმდენად დაბრმავებულა, რომ მე არ მიცნობს, ყველანი დამეთანხმებიან, რომ თუ ერთი და ორი სასიქადულო ყმაწვილი კაცი მოიპოვება საქართველოში, იმათში ერთი თვალსაჩინო ადგილი მეც მიკავია...—დორბლების სროლით დააბოლავა კოდალამ.

— მაგას რაღა ლაპარაკი უნდა, კაცო!—ცბიერად უპასუხა გულცივაძემ, რომელიც დიდ-თავიანის მეგობრად ითვლებოდა.

— ყმაწვილო, მე იმას-კი არ ვამბობ რომ თქვენ არ ვარგიხართ მეთქი, იმას ვჩივი, რომ ერთმანეთის მოსმენა არ ვიცით! საიდან დაიწყე და სად გადახველი!.. ჩვენ გულ-წრფელობიდან პიროვნებაზე ჩამოვუხვიეთ. აი, ეს არის სამარცხვი-

ნო; მე, ჩემო ძმაო, სრულიადაც არ მშურს, თუ-კი პირველი ადგილი გეჭირება საქართველოში, ოღონდ-კი შენი პირველობით ჩვენ საზოგადო საქმეს მოემატოს რამე, ოღონდ კი ჩვენს ადამიანობას დაეტყოს წინმსვლელობა!! მე ჩემო ძმაო...— უნდოდა კიდევ რაღაც ეთქვა ცერცვაძეს, მაგრამ კოდალამ ზიზღით გააწყვეტინა.

— ყმაწვილო... ჩემო ძმაო... აქეთურო, იქითურო... არა, რას მოყევი? მე შენი ძმა რად ვიქნებიო.. ძმა-კი არა, я даже знаться не хочу с тобою (ვითომ, არც კი გიკადრებო),—ჩაურუსულა დიდ-თავამ და ტახივით ამრეზილმა თავით ფეხამდის აათვალიერ-ჩაათვალიერა ბესარიონი.

— ახა, ღმერთო ჩემო!..—ეს-ღა წამოილუღლუღა სასოწარკვეთილებამდის შეურაცყოფილმა ცერცვაძემ.

როგორც იყო გულცივაძემ დააშოშმინა მოკამათენი და გაპარხლებული დიდ-თავა აივანზე გაიყვანა, სადაც მან ყვინჩილასავით ფხორვა და ქშინვა დაიწყო... თურმე აივანზედაც ყოფილიყო პატარა შემთხვევა. ორ მოსაქმე ქალს, მესამის თანადასწრებით, ერთმანეთი შეემკოთ, მგონი კვირიკეს გულისთვის, და გაბუტულები აქეთ-იქით გამსხდარიყვნენ...

ასეთი იყო კრების შესავალი, ხოლო თვით კრება უფრო მრავალხმოვანი და დიდად საყურადღებო.

II

ბუხრის რაფაზე დადგმულმა საათმა ათჯერ გაიწკარუნა და წევრებიც მოიწვიეს ადგილის დასაკავებლად. ატყდა ხმაურობა, ფეხების ფლასტა-ფლუსტი, გადაჯდომ-გადმოჯდომა და ბოლოს ყველამ სული განაბა... ორი თუ სამი ყმაწვილი კაცი კარებში აეყუდა. ერთი მათგანი-კი ისე ღონივრად მიეყრდა კარების ყურს, გეგონებოდათ, უნდა გამოამტვრიოსო...

— აბა დრო არის, ბატონებო, საქმეს შეუდგეთ!—ამცნო პატივცემულ კრებას დათუა გულცივაძემ.

— ძალიან კარგი იქნება! აბა თავმჯდომარე ამოვირჩიოთ.— გაისმა აქეთ-იქიდან. ყველამ ერთმანეთს შეჰხედეს, ზოგმა იმი-

ტომ რომ სათავმჯდომარეო კაცს ეძებდა და ზოგმა კიდეე იმიტომ, რომ თვალებით დაჰკითხებოდა ერთი მეორეს: „რა თავმჯდომარე გვინდაო“.

— ბატონო დათუა, ინებეთ თავმჯდომარეობა!—მიმართა ერთმა გულცივაძეს, ალბათ, იმიტომ, რომ თითქმის ყველაზე ახოვანი ის იყო.

— რას მიბრძანებთ, ბატონო, ჩემზე პატივსაცემები განა არ არიან?—ზრდილობიანად იუარა დათუამ.

— ბატონო კვირიკე, თქვენზე უკეთესს ვიღასა ენახავთ?—წამოიძახა ტასომ და თან თვალებით კვირიკეს მახლობლად ცალიერ ადგილს ეძებდა.

— კვირიკე, კვირიკე!—ახმაურდნენ სხვა ქალებიც.

— ბატონებო, ნება მიბოძეთ უარი მოგახსენოთ, რადგანაც...

— არ იქნება, გთხოვთ! გთხოვთ!—დაიგრიალა კრებამ.

— კენჭი ვყაროთ, კენჭი!—დაიყვირა ვიღაცამ.

— კენჭი, კენჭი?—გაიმეორეს ხუთმა თუ ექვსმა და თან ერთმანეთს ეფარებოდნენ.

— რაღა კენჭი გვინდა! აბა კვირიკე, კვირიკე, კვირიკე!—აჟღავეულაკდა მთელი ოთახი და როცა ხმა მისწყდა, კვირიკე უკვე თავმჯდომარის ადგილას გამონასკვულიყო. სიჩუმე ჩამოვარდა... საამურია ამ დროს კრებაზე ყოფნა! გული გიტოკავს და ენას მალი-მალ ინერწყვავ, თუ შეგიძლია მალეც იმპერმეტყველებ!!.

— ბატონებო, და ქალბატონებო!—აღიმაღლა ხმა კვირიკემ,—პირველად მადლობას გწირავთ, რომ პატივი მეცით და თავმჯდომარეთ ამომირჩიეთ. იმედი მაქვს პირნათლად შევასრულო თქვენი მონდობილება... ახლა-კი დრო არის დავიწყოთ...

— ძალიან სასიამოვნოა, — ჩაურთო ერთმა წვერთაგანმა.

— მე გთხოვთ, ბატონებო, ვიდრე ხმა არ მოგცეთ, თქვენ თავად ნუ ილაპარაკებთ, — შენიშნა თავმჯდომარემ და დაუმატა,—კარგი იქნება, ბატონო ტასო, რომ თქვენც არ ჩურჩულებ დეთ. ჩურჩულის დრო მგონი გავათავეთ...— ამ შენიშვნაზე ვიღაცამ წაიფხაკუნა, თავმჯდომარემ-კი გაინაგრძო:

— ამგვარად, ბატონებო და ქალბატონებო, დღეს ჩვენ კრება გვაქვს.

— ახალი ამბავია!—წაიბუტბუტა გულცივაძემ.

— საგანი კრებისა—მგონი ყველამ იცით და ამიტომ ტყვილა დროს დაკარგვა იქნება კელავ განვმარტოთ იგი...

— ბატონო თავმჯდომარე!—მოისმა ოთახის ბოლოდან,—სიტყვა მიბოძეთ.

კვირიკემ მიიხედ-მოიხედა და უთხრა:—ინებეთ სიტყვა.

— მე, ბატონებო, ახალი წევრი გახლავართ და კარგი იქნება გამაგებინებდეთ რაშია საქმე, რისთვისა ვართ შეკრებილი?

(ხმა ისმის: კარგი იქნება, კარგი! ჩურჩულებენ, თავ-დაქერით იცინიან).

— ბატონებო, გამაგებინეთ რამე!—დაიყვირა თავმჯდომარემ.—თქვენ რა გინდათ,—დაეკითხა კვირიკე, მაგრამ არ იცოდა ვისზე შეეჩერებინა თვალი, რადგანაც ერთის მაგიერად ახლა ხუთიექვსი იდგა ფეხზე.

— მე ის მინდოდა,—უადგილოდ დაიწყო ერთმა სათვალებიანმა ყმაწვილმა კაცმა,—რომა... (სიტყვები ვეღარ იპოვნა) ჰო, რომა... ნება მომცეთ რუსულად განვმარტო ხოლმე ჩემი აზრი, რადგანაც ქართული არ ვიცი და ან კი რა სირცხვილია, რადგანაც რომა არ მისწავლია.

კარგა ხნის კამათისა და ოხუნჯობის შემდეგ გადასწყვიტეს, ენათა თავისუფლება, ე. ი. სათვალებიანსა და სხვას, ვინც-კი მოისურვებდა, შეეძლო რა ენაზედაც ჰსურდა აზრი წარმოეთქვა და კრების საგანი აეხსნათ...

კრების საგანი მარტივი იყო: შრომა და ერთობა, მაგრამ წევრებს შორის ისევ საშინელი კამათი ასტყდა, სწორედ ამ შრომისა და ერთობისათვის არ იცოდნენ როგორ ეშრომნათ და ან როგორ შეერთებულიყვნენ. ყველაზე ბევრს, რასაკვირველია, კოდალა, გულცივაძე, თვით თავმჯდომარე, ბესო და სხვა ინტელიგენტი ლაპარაკობდნენ. ამასთანავე მოგეხსენებათ ადამიანის ხასიათიც! ყველა თავისას გაიძახოდა და თითოეული მათგანი მარტო თავის ნათქვამს სთვლიდა სამართლიანად, რისთვისაც თითოეულ ხმას სამოცჯერ ჩამოუტარებდნენ ხოლმე კენჭსა, იდგა ერთი ყიჟინა და ღრიანცელი, კარებთან

ატუზულები მალ-მალე აშოშმანებდნენ გაცხარებულ მობაასეთ, აგონებდნენ, რომ ხმაურობით საქმე არ გაკეთდებაო.

ამ დროს კრებაზე შემოვიდა მაღალ-მაღალი და ტანწკრილი სანდომიანი შეხედულების ყმაწვილი კაცი. პირველადვე ეტყობოდა, რომ მორცხვი უნდა ყოფილიყო. მართლაც შემოვიდა თუ არა კარებში, ყველას მოწიწებით საერთო სალამი უძღვნა, ბატონებს ვახლავარო, წაიბუტბუტა და მთლად გაწითლებული იქვე, კარებთან აეყუდა, კალმუხის ქუდი იღლიაში ამოიდო და მოწიწებით ბოდიში მოიხადა:

— მაპატიეთ, ბატონებო, რომ დავიგვიანე... განა არ მოგეხსენებათ მარტოხელი მედუქნის საქმე... არავინა მყვანდა, რომ დუქანში დამეყენებინა და ვიდრე არ დავკეტე, წამოსვლა ვერ მოვახერხე.

— მედუქნე ვარო,— სთქვა ნიკოლამ და ამასვე მოწმობდა მისი ჩაცმა-დახურვა: იმისი დიბეტის ახალუხი, ვერცხლის ქამარი, საზაფხულო პალტო და მაღალყელიან წაღებში ჩატანებული განიერი შარვალი. ერთის შეხედვით ყარაჩოხელს მოგაგონებდათ, იმ ყარაჩოხელ ძმა ბიჭს, რომელიც ლოთიფოთობაში ჩაფლულა და სველ ხელადას დასძმობილებია. მაგრამ უნდა დაკვირვებოდით ნიკოლას მაღალსა და გაშლილს შუბლს, მის სიცოცხლითა და ჭკუით სავსე თვალებს, მის გულუბრყვილო და უმანკო ლაპარაკს, რომ ამ ყარაჩოხელში თქვენ გეცნოთ ნამდვილი ადამიანი, სულითა და გულით მოყვარე თავისი თანამოძმისა. ყველგან და ყოველთვის მზა, თავისი უკანასკნელი სიცოცხლეც-კი შეეწირა მუშისა და დაჩაგრულ მოძმისათვის. ასეთი გახლდათ ნიკოლა, მაგრამ გარეგნობამ მაინც თავისი გაიტანა და ზოგიერთებმა ტუჩიც კი აიწიეს!.. ამათ რიცხვში რამდენიმე ქალიც ერია, მაგრამ ისეთი კი, რომლებიც ყოველ კრებაზე მარტო კოხტაობენ და რომელიმე ყმაწვილ კაცის ენა-პირად გადაიქცევიან ხოლმე...

— განაგრძეთ, თქვენი ჭირიმეთ,—შეეხვეწა ნიკოლა ეროხანს შეჩერებულ კრებასა.

— განვაგრძობთ-კი, ჩემო ძმაო, მაგრამ შენ რა იცი რა თავ პირის მტერევა გვაქვს!—წაიბურტყუნა თავისთვის ბესომ და იდაყვზე დაყრდნობილმა ყური მიუგდო ბატონ თავმჯდომარეს...

მეტია, ჩემო მკითხველო, აღვნიშნოთ თითოეულის ნალაპარაკევი!.. ადვილად წარმოსადგენია რასაც იტყოდნენ: ეს მთა იმ მთას აჯახეს, მთელი ქვეყნის ფილოსოფოსნი და მეცნიერნი შესძრეს და ასსნეს, ერთმანეთს უვიცობა და უვარგისობა შესწამეს, გახვრეტილი ჯიბეებით ქვეყანა გაამდიდრეს და თვით უვიცებმა სამშობლო გაანათლეს... ერთი თვალის დახამხამებაზე დააარსეს მოძრავი სამკითხველოები, სათეატრო დასები და სხვა. რაც მუდმივ, დაუღალავ შრომასა და ადამიანის „მეს“ უარის ყოფას სხვა ქვეყნებში გაუკეთებია, აქ ყვირილით და ერთმანეთის გალანძღვით მოახერხეს...

ბევრი, ძალიან ბევრი ილაპარაკა ამ კრებაზე დამსწრე განათლებულმა ახალგაზრდამ, მხოლოდ ხელოსნები ისხდნენ გაჩუმებულნი და ანთებულ სანთელსავით შესცქეროდნენ ორატორებს... იქნება ეძინებოდათ კიდეც, იქნება მასხარადაც იგდებდნენ მოლაპარაკეთა მრავალ სიტყვაობას, როგორც გაიფიქრა კიდეც დათუა გულციეაძემ. მაგრამ არა! აი რა სთქვა ამ კრებაზე, სხვათა შორის, ნიკოლამ:

— ჩემს აზრსა თხოულობთ, ბატონო თავმჯდომარე? მე რა უნდა მოგახსენოთ, ერთი უბრალო, უსწავლელი კაცი ვარ! ნუ შემრისხავთ-კი, თქვენი ჭირიმეთ, თუ უბირი სიტყვა მომივიდეს... ოხ, ნეტა, შემეძლოს ეს ჩემი გული ამოვიღო და წინ გადაგიშალოთ, მაშინ გაიგებთ რასა ვფიქრობ, მაშინ წაიკითხავთ ჩემისა და ათასის ჩემისთანას გულის ნადებს. ჩვენ გვწყურიან წინსვლა, ქვეყნის გაგება, ადამიანობა... მე თქვენში, ნასწავლებში, ვხედავ ხსნის იმედსა, მაცხოვარიევით გიყურებთ, გაგვიძეხით წინ, ჭკუა გვასწავლეთ და... სიყრმეს გეფიცებით, ერთი გლახა დუქანი მაქვს და საზოგადო საქმეს შემოვავლებ თავსა!.. აჰა, სულითა და გულით თქვენი ყმა ვარ, აბა წინ გაგვიძეხით! — ელექტრონივით დაუარა ამ სიტყვებმა მსმენელთა და გულციეაძესაც-კი გული აუტოკდა. „ბიჭოს, ეს რა ყოფილაო,“ სახალხოდ წამოიძახა. მაგრამ კრება სდუმდა და პასუხი ვერა მიეცა რა თავგადადებულ მედუქნისათვის!... ბოლოს კრება გამოირკვა ბურანისაგან და თითოეულმა წევრმა აღტაცებით ტაში დაუკრა ნიკოლას სიტყვებს...

დასრულდა კრება! თითქოს თავმჯდომარემ იგრძნო რომ

ნიკოლას სამართლიან მოთხოვნილებას—წინ გაძღოლას—კრებაზე დამსწრე განათლებულ ყმაწვილ-კაცობის ბაქიობით ვერას ვუშველითო, ორიოდე სიტყვით გაიმეორა წევრთა გადაწყვეტილებანი და კრება დახურულად გამოაცხადა...

III

სამწუხაროდ, ნიკოლას სიტყვების ზეგავლენა წუთიერი გამოდგა! მართალია, თითოეულ წევრს გარედ რომ გამოვიდნენ, სახე უღიმოდა, თითქოს კმაყოფილნი არიან, რომ ეს საღამო მუქთად არ დაკარგეს და საზოგადო საქმის მზრუნველობაში გაატარესო, მაგრამ ეს სიამოვნება, ეს ლაღობა უფრო ღამის გრილმა ნიავმა და ფართო ქუჩამ გამოიწვია.

— თქვენ რომელი გზით მიბრძანდებით, ბატონო ტასო... ვნებავთ გაგაცილებთ,—უთხრა გულციეაძემ ტასოსა.

— გმადლობთ! მე კვირიკემ უნდა გამაცილოს, — ზრდილობიანად მოიშორა ტასომ.

— ბოდიშს ვიხდი, რომ არ შეგმიძლიან თქვენი სურვილის ასრულება,—სიტყვა ჩამოართვა კვირიკემ.—მართამა მთხოვა ვახშმად.

— მაშ ნუ შესწუხდებით!—ტუჩის კვნეტით უთხრა ტასომ კვირიკესა და გამოემშვიდობა. გულში-კი ჰფიქრობდა: „მართა, მართა, რა ეშმაკიაო!“ ამასობაში სხვა ქალებმა მალე იპოვეს გამცილებლები და სიცილ-მხიარულებით წყვილ-წყვილად გაიფანტნენ სხვა-და-სხვა ქუჩაში. დაშორების დროს, წევრებმა ერთმანეთს ღამე მშვიდობისა უსურვეს, კოდალასა და ბესარიონის გარდა, და ქუჩაში მისწყდა წევრთა ფეხის ხმა...

— ესეც შენი კრება! ჰფიქრობდა თავისთვის ბესარიონი; რა გავაკეთეთ, რა ვისწავლეთ, რა გამოვიტანეთ?.. არც აზრი, არც მტკიცე მიმართულება! მაშ რაღა გვქონია?!.. მწარედ ჩაეკითხა ცერცვაძე თავის თავსა და თავჩაქინდრული გაუდგა გზას. ის იყო სახლში შესვლასაც აპირებდა, რომ ნიკოლა წამოეწია და გამოეხმაურა.

— ბატონო, ბესარიონ!

— შენა, ხარ ნიკოლა?

— მე ვარ, ბატონო, მაგრამ ნუ მიწყენ და ერთი რამე უნდა გკითხოთ.

— ორი ბრძანეთ, ჩემო ბატონო!

— ახლა რა უნდა ვქნათ? რომ ვერ მივხვდი, რითი გავათავეთ ჩვენი კრება?—გაუბედავათ წარმოსთქვა ნიკოლამ.

— რითი? სწორეთ გითხრა, ნიკოლა, მე შენთვის უნდა მეკითხა.

— ვაი!—გაიკვირვა ნიკოლამ და მცირეოდენი სიჩუმის შემდეგ დაუმატა:—რა ვქნა, თუ-კი ნასწავლები არ გვიჩვენებენ გზასა, მაშ ჩვენ, დაბალმა ხალხმა რა უნდა ვქნათ. გაიძახიან: ეს გავაკეთოთ, ის გავაკეთოთ, ხოლო საიდან? რრგორ? ამას კი არავინ ამბობს, მარტო ერთმანეთს სიტყვას პირში აცლიან და ერთმანეთის დამცირებას ცდილობენ. ეჰ! ლამის მაგაშიაც არ მოვსტყუვდე?!

— ეტყობა ჯერ დაუწიფებელი ვართ,—ყრუთ უპასუხა ბესომ და ნიკოლა თავის ბინაზე შეიწვია.

— ოჰ, ნეტა სიტყვას საქმედ ვაქცევდეთ ხოლმე და თუნდა ჩემი სიცოცხლე შუა გაიყოს!—გულწრფელად წამოიძახა ნიკოლამ და ორივენი კარებს ეძოეფარენ...

ერთ არის მეც დავასვენო ჩემი კალამი, მაგრამ მეორე გულით მინდა რამდენიმე სიტყვით მოგახსენოთ, რას აკეთებდნენ ჩვენგან ახლად გაცნობილი ყმაწვილები სახლში კრების შემდეგ, იქნება ცნობის მოყვარე მკითხველს ეყურადღებოდეს.

სახელდახელოდ მომზადებულ ვახშამს შემოსხდომოდნენ პირმოცინარე მართა და განათლებული კვირიკე, მადიანად შეექცეოდნენ სუფრაზე მოტანილ სანოვაგეს, ხოლო ერთმანეთს-კი თვალებითა სჭამდნენ. ერთი მათგანი და სახელდობრ კვირიკე, ოსტატურად იქცეოდა. მისი გამოცდილება ისხლეტდა მართას მიერ ეშხით ნასროლ კეკლუცობას და გულამდის არ უშვებდა, თუმცა თავი-კი ისე ეჭირა კვირიკეს, თითქოს ეს არის ამ წუთში სიყვარულს გამოუცხადებს ამის მომლოდინე მართასო და სხვა ქალებს პირში ჩალა გამოვლებულს დასტოვებსო. მაგრამ, ეშმაკად, ასე არა ხდებოდა!.. ერთმანეთის ქებაში სანოვაგე სუფრიდან ნელნელად ჰქრებოდა და მეორე ოთახიდან რომ ხვრინვის ხმა არ მოდენილიყო, ჩვენ მოარშიყეთ კიდევაც გადაავიწყდებოდათ, რომ საათმა ორჯერ ჩამორეკა. დაავიწყდებოდათ ისე, როგორც დაავიწყდათ კრება და მისი წევრები!..

ნახევრად დაბნელებულ ოთახში ფეხ-აკრეფით შეიპარა ტასო დიდგულაძე და კედლის სარკის წინ ტანისამოსის გახდა დაიწყო... სახეზე უკმაყოფილების ღრუბელი გადაჰკეროდა.

რითი მჯობია მართა, რომ სულ იმას ელაპარაკებოდა ი კვირიკეა თუ რაღაცა... გაიფიქრა ტასომ, როდესაც გულგადაღელილი სარკეში თავის სახეს დააცქერდა.

— მოხერხებით!..—თითონვე უპასუხა ტასომ და დაფიქრდა... ვინ იცის როდის გამოერკვეოდა ტასო კვირიკესა და მართაზე ფიქრისაგან, იმის დედას რომ არ გამოღვიძებოდა და დაბალი ხმით არ ეკითხა:

— მოხუედი, შვილო, ხომ მოკვდი უძილობით, შე დედამკვდარო!

— რა დროს ძილია, დედი!—ამის მეტი ვერა უპასუხა რა დედას ფიქრისა და სიმწარისაგან გაბრაზებულმა ტასომ.

კრებაზე მყოფი ხელოსნები მკვდრებივით მიწვნენ თავთავის საწოლზე და დაღალულებს მალეც დაეძინათ. მხოლოდ ძილში არეული სიზმრები ეზმანებოდათ და მწარედ გმინავდნენ.

გულცივაძე და კოდალა ის იყო დასაძინებლათ ემზადებოდნენ (ამ ღამეს ერთად იყვნენ), მაგრამ დათუას ჯერ სიცილი არ გაეთავებინა: მოდათაა კრება, რას იზამ?—ხითხითებდა უდარდელად გულცივაძე...—მაგრამ კვირიკესთანა ქეიფში მაინც არავინ არის, თაიგულია ჩვენის ქალებისა! უხამსად გადაჰკრა ქალებს დათუამ და ლოგინში ჩაწოლილს კოდალას უღიტინა.

— დაიცა, შე ოჯახქორო!—წამოიძახა კოდალამ. მე კიდევ ი ვიღაც ბესარიონია, იმაზედ ვფიქრობდი—და მერე ნიშნის მოგებით დაუმატა:—ჰე! კბილებში ქაფი ვადინე თუ არა!

— აბა, შენთან ის რას მოვიდოდა!—გააწყვეტინა დათუამ. კაცო, ნუთუ არ იცი, რომ შენ ცალიერი გოგრა ხარ!—გაეხუმრა გულცივაძე და მოჰყვა ხარხარს. ბევრ ხანს იოხუნჯა დათუამ, ერთი ორჯელ კოდალასაც მოუწოდა, მაგრამ დიდთავამ ხვრინვით-ღა უპასუხა.

— ეშმაკებო, მაშ მიიღეთ ხვალამდისინ ჩემი ცოდვილი სულიცაო!—სთქვა დათუამ და ისიც ლოგინში ჩაწვა.

პეტრე ბრუციანიშვილი დინჯად მიდიოდ-მოდიოდა ოთა-

ბის ერთი კუთხიდან მეორემდე და რაღაცას ფიქრობდა... შაგრამ, უკაცრავად, მგონი თქვენთვის არ გამიცვნია ეს ყმაწვილი კაცი? რაექნა, კრებაზე ხმა არ ამოუღია და მეც გონებიდან გადამივარდა.

ეს იყო მეტის-მეტი ჩუმი ყმაწვილი. სადაც უნდა ყოფილიყო, ხმას არ ამოიღებდა, მხოლოდ თვალებ დაჟეტილი ერთ სიტყვას არ გამოაპარებდა სხვის ნალაპარაკევიდან და კმაყოფილებისა ან უკმაყოფილების ნიშნად ხან დაიზმუვლებდა, ხან თავს გაიქნევ-გამოიქნევდა ხოლმე. ეს იყო მთელი მისი მჭერმეტყველობა—ჭკუის გამოჩენა, თუმცა „რიგიან ყმაწვილ-კაცად“ იხსენიებოდა... რაც ზევითა სჩანდა ბრუციანიშვილი, ხუთი იმოდენა მიწაში დაძვრებოდა, ღვთის წინაშე არავის წყენაში კი არ შედიოდა და თავის სიცოცხლეს მარტო ქალებზე ფიქრში ატარებდა, როგორც ემანსიპაციის მომხრე, რასაკვირველია. ყველა ქალი მოსწონდა და ყველას დასაძმობილებლადაც მზად იყო, ეხლა-კი ბრაზი მოსდიოდა, რატომ მართა, ტასო და სხვა ქალები მე კი არ მაქცევდნენ ყურადღებასო. ეს ჰკლავდა, ეს აწუხებდა და კრება არც კი მოჰგონებია.

არც სათვალებიანი ყმაწვილი იყო მოსვენებით! თუ ბრუციანიშვილი დინჯად მიდი-მოდიოდა კედლიდგან-კედლამდის, სათვალებიანი ფეთიანივით მირბი-მორბოდა და სულ ლოთივით იფურთხებოდა: კრებაზე მყოფნი არ მოსწონდა.

ჩვენ წაცნობებში, ისევ ისე ნიკოლა და ბესო დიდხანს ლაპარაკობდნენ კრების შესახებ და როგორც თავისა, ისე საერთოდ, ყველას უსაქმურობა-უვარგისობის გამო გული ჭოს დიოდათ.

1897 წ

ᲝᲚᲝᲜᲓᲐᲪ

ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

— სად მიხვალ, გენო?
— ასე... ზევით. შენა?
— მე კიდევ ასე... ქვევით.

ამ სიტყვებით შეხვდნენ ერთმანეთს გენო დონაძე და ალექსი ცეცხლაშვილი თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე. ცოტა ხანს კიდევ შეჩერდნენ, რამდენჯერმე უაზროთ გაულიმეს ერთმანეთს და გაიყარენ. გენო ფეხაჩქარებით გაუდგა თავის გზას, ხოლო ალექსი ერთ ხანს შედგა, თვალი გაადევნა ზევითვე მიმავალ ერთ კოხტა ქალს, რომელიც ᲬᲧᲔᲠᲘᲕᲘᲗ მიგოგმანებდა, და ღიღინით გასწია.

— განა ასეთი შეხვედრა გვმართებდა ორ ძველ მეგობარს?—დაეკითხა აჩქარებით მიმავალი გენო თავის თავს და ᲬᲬᲐᲠᲔᲗ ჩაიცინა,—მაგრამ ან კი რაღა გვაქვს საერთო? ეგ მდიდარი, გალაღებული; მე კი... ღუკმა პურის მაძიებელი, გლახაკი! ოხ, ცხოვრებაო, ცხოვრებაო!—ამოიგმინა გენომ და ისევ ფიქრებში გაება. ერთ წუთს თვალ წინ წარმოუდგა თავისი სიყმაწვილე, ტანჯვა-წვალებით გატარებული სამოსწავლო დრო, ამხანაგები, ტკბილი იმედები და ამ შუა ქუჩაზე გიჟივით გადაიხარხარა.

— ხა, ხა, ხა! მამულიშვილობა, მოყვასის სიყვარული! რა მაღალ ფარდოვანი სიტყვებია! და ჩვენც ხომ მაშინ ამ ცალიერი სიტყვებით ვიკვებებოდით. მერე ცხოვრება, მისი მრავალფერობა კი რატომ არ გვაგონდებოდა?—წაილაპარაკა კიდევ გენომ და აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა, თითქოს ვისგან-მე პასუხს მოელისო, მაგრამ გენოს ჯავრი არავისა ჰქონდა, ყველა თავის საქმეზე მიეშურებოდა. ეტლების რახა-რუხით ყურთა სმენა არ იყო, ხოლო ფეხით მოსიარულეთათვის ხომ ყოველ ნაბიჯზე გვერდი უნდა აეკცია მწარეთ დაფიქრებულ გენოს, თორემ პასუხის ნაცვლათ კაი ლაზათიან მუჯლუგუნებს მიიღებდა. მირბოდა ყველა. მიეშურებოდა დონაძეც,

ბაგრამ სად? რისთვის? თითონაც გადაჭრით ვერას გიპასუ-ხებდათ.

ეტლების და ხალხთა ხმაურობას უცბათ რაღაც ღმუილი მიემატა და გენო ფიქრებიდან გამოარკვია. საზარლად ბღა-ოდა ქარხნის საყვირი და შავად ალანძული მუშები ნელ-ნელა გამოდიოდნენ ქარხნის კარებიდან. გენომ მწარედ ამოიოხრა და იქვე, ქარხნის პირდაპირ, ამართულ ვეე-ბერთელა შენობისაკენ შეუხვია. რამდენჯერმე გაუარ-გამო-უარა დონაძემ სიგრძე-სიგანეზე ამ შენობას, რამდენჯერმე ახედ-დახედა თავით-ბოლომდის, ბოლოს გამობრუნებაც კი დააპირა, მაგრამ გული გაიმაგრა და გაფითრებული სახით კიბეს შეუდგა.

— ვინა ხარ, ან აქ რათ მოსულხარ?—ხრინწიანი ხმით დაე-კითხა კარის გუშაგი გენო დონაძეს, როდესაც კიბის თავზე მოექცა და აკანკალებული ხელით კარების გაღება დააპირა.

— მე?... საქმე მაქვს.—ყრუთ უპასუხა გენომ და კარებს მიაწვა.

— მოითმინეთ-მეთქი? — დასჭყივლა კარისმცველმა და მკლავში ხელი წაავლო.

— რა გნებავთ? – გაჯავრებით შეუტია გენომ.

— რა მნებავს რომელია! თუ წერა-კითხვა არ იცი, დამეკითხე მაინც, შეიძლება თუ არა ამ —კარებში შესვლა,— გაჯავრებითვე გააწყვეტინა სიტყვა გუშაგმა და კარებზე გაკ-რულ ქაღალდზე მიუთითა. იქ ეწერა:

„უ ც ხ ო თ ა თ ვ ი ს შ ე ს ვ ლ ა ა კ რ ძ ა ლ უ ლ ი ა“.

— უკაცრავათ! აბა, მაშ მითხარი: სად შეიძლება უფრო-სის ნახვა?—წაილუღლუღა გენომ.

— უფროსი ჯერ არ მოსულა.—უკმეხათ უპასუხა მოსამსა-ხურემ.

— არ მოსულა?

— დიახ, არ მოსულა. ახლა თორმეტი საათია და უფრო-სი კი პირველის ნახევარზე, ხან პირველ საათზე მობრძანდე-ბა ხოლმე,—თითქოს დასცინისო ისეთი კილოთი თქვა კარის-მცველმა და გენო თავით-ფეხებამდის აათვალიერ-ჩაათვა-ლიერა.

— რას მიყურებ?—აიმრიზა დონაძე.

— უთუოთ ადგილის სათხოვნელად მოხვიდოდი... ხომ აგრეა?..—ეშმაკური ღიმილით შეეკითხა კარისმცველი.

— მერე შენ რაში გეკითხება, რისთვისაც მოვედი? შენი მოვალეობაა კარებთან იყო გაჩერებული და მომსვლელებს კარები გაუღო ხოლმე.—შეუტია გენომ.

— ჩემი მოვალეობა შენხე კარგად მესმის,—ღრეჭით ჩამოართვა სიტყვა მოსამსახურემ,—მაგრამ ისიც კარგად ვიცი რომ...

— რა რომ?

— რომ ჩვენ თავისუფალი ადგილები არა გვაქვს.

გენოს გული მოუვიდა კარისკაცის უკმეხ და მედიდურ ვამომეტყველებაზე და გესლიანათ დაეკითხა:

— შენ ეს მითხარი, უფროსი რომ იგვიანებს, თავის თანამდებობას შენ ხომ არ გადმოგცემს ხოლმე?

— რაო—დაუბღვირა კარისკაცმა.

გენოს ხმა აღარ გაუცია. ჯიბეებში ხელები ჩაიწყო, გაჯავრებით გაიარ-გამოიარა.

მართლადაც, ვისაც კი შემთხვევა ჰქონია სხვადასხვა კანცელარიებში სიარულისა ის ადვილად წარმოიდგენს, რა უდიერადა და მტრულად იქცევიან, არამც თუ მოხელენი, არამედ თვით უბრალო „სტოროჟებიც“ კი. ასევე უდიერად შოექცა ეს მოსამსახურე გენო დონაძესაც, რაკი შეატყო, რომ ხამი, გაუბედავი მთხოვნელი იყო. ან რა ურიგობა იქნებოდა, რომ თავის მედიდურობით „ნავოტკი“-ც გამოეცინცლა. გენომ ძალიან კარგად იცოდა კარისკაცების მუცლის ტკივილი, იცოდა რომ ერთი-ორი შაური თამამად გაუღებდა უფროსის კარებს, მაგრამ... ორი შაური რომა ჰქონოდა, ერთი დღით კიდევ გადასდებდა აქ მოსელას და მათხოვარასავით, მისთვის სრულიად უცნობის და ერთის მხრით, უსიამოვნო კაცის კარების წინ არ აეყუდებოდა.

დიდ ხანს მიდი-მოდიოდა გულზე-მოსული დონაძე ერთი კუთხიდან მეორემდის და თავისთვის ბუზღუნებდა.

კარისკაცი ასასივით გაჩერებულიყო და ქვეშ-ქვეშ გაცქეროდა დონაძეს. უყურა, უყურა კარისმცველმა და რომ აღარ გამოდნა რა, ეშმაკური ღიმილით შეეხმაურა.

— პაპიროსი ხომ მაინც არა გაქვთ?

— არა მაქვს!—ყრუთ უპასუხა გენომ.

— ეს კი ცუდია!—დაიკვნესა კარისკაცმა.

— აბა, გაიგე მოვიდა თუ არა უფროსი.—სთქვა მოთმინებიდან გამოსულმა დონაძემ.

— აი, ეგ მესმის! აი ეგ კარგია!—დაურიდებლად წამოიძახა კარისკაცმა და გვერდის კარში გავიდა. გენომ გულიანად გაიცინა და კარისკაცს თვალი გააყოლა. მაგრამ ვიდრე სამართლიან მსჯავრს დასდებდა კარისმცველის მოქმედება-გულისთქმას, ის ისევ შემობრუნდა და თითქო ბოდიშს ითხოვსო, მოწიწებით მოახსენა:—ბოდიში! აკი უკანა კარებიდან არ მოსულა ჩვენი უფროსი! მითხარი შენი გვარი, რომ ახლავე მოვახსენო. (კარისკაცმა ალბათ, კარგად იცოდა რომ ბევრი დრო მოუნდებოდა აქ ხეტიალს და მიტომ ასე გულიანად მოეკიდა საქმეს).

— ჩემი გვარი? დონაძეა,—ამოიძახა გენომ.

კარისკაცმა მძიმეთ შეაღო ის კარები, ძრწოლით გადააბიჯა კარის კარაპანს და ბოხი ხმით შესძახა:

— ბატონო, დონაძე გეახლათ!

უფროსმა ყურადღება არც კი მიაქცია კარისკაცის ლუღლუღს და ჩვეულებრივად ანიშნა—მოვიდესო.

უფროსის დანახვაზე გენო სულ კანკალმა აიტანა და პირში ნერწყვი გაუშრა. მოგეხსენებათ სითამამე, ენა-მაკრატელობა ერთგვარი ნიჭია და ბედნიერიც არის ის კაცი, ვისაც ამ გვარ შემთხვევაში ენა უჭრის და სითამამე სწყალობს. ვინაიდან ხშირად ენის ჭარტალი და გამბედაობა ჰფარავს ხოლმე ადამიანის უშინაარსობას და რაც უნდა ფუყე გულ-გონებისა იყოს, მთხოვნელია იგი თუ მობაასე, განვითარებულად მოგეჩვენებათ, პირველ ხანებში მაინც, და ადგილის შოვნის დროს ხომ პირველ შთაბეჭდილებას დიდი მნიშვნელობა აქვს... დონაძე კი მჭევრ-მეტყველობის მხრივ ძალზე სუსტობდა და არამც თუ ენამეტყველობა ვერ გამოეჩინა, პირიქით რაც სათქმელათ განამზადა, ისიც კი დააავიწყდა...

ხბოსავით გაჩერდა გენო და უფროსის გამოლაპარაკებას ელოდა.

— ეინა, ხართ? რა გნებავთ?—როდის, როდის დაეკითხა უფროსი და მოციმციმე თვალები შეანათა.

— მე... ბატონო... გიახელით, რომ იქნება რაიმე ადგილი მიბოძოთ. მე...

— სად გისწავლია?—სიტყვა გააწყვეტინა უფროსმა.

— საშუალო სასწავლებელში.

— რა რჯულისა ხართ?—დაეკითხა უფროსი.

— მართლმადიდებლის ეკლესიის წესით გახლავართ მონათლული.

სიჩუმე ჩამოვარდა, რომლის განმავლობაშიაც უფროსი ფაცხა-ფუცხით ჯღაბნიდა ქაღალდის ბოლოებს: თავის გვარს აწერდა.

— ნაცნობი გყავთ ვინმე?—კვლავ ჰკითხა უფროსმა.

— არა, ბატონო, მაგრამ გარწმუნებთ, რომ ჩემი ნაცნობი, ჩემი პროტექტორი ჩემი შრომა იქნება.—ძლივსძლივობით წამოიკნავლა გენომ.

— ძალიან კარგი, მაგრამ ქუჩიდან ხომ არ ავიყვანთ ხალხსა, უნდა ვიცოდეთ თუ არა, ვის ვიღებთ სამსახურში?

— მე, ბატონო, მოწმობა მაქვს.

— მარტო მოწმობა არა კმარა. კაცი ყოველი მხრიდან კეთილსაიმედო უნდა იყოს! — დიდმნიშვნეულად დააბოლოვა უფროსმა და ისევ ქაღალდებს მიუბრუნდა.

— კეთილკაცობა ადამიანურ მოპყრობაზედაც არის დამოკიდებული... მე თქვენ გთხოვთ მომცეთ რაიმე სამუშაო, თუ არა და ნება მიბოძეთ თავი დაგანებოთ.—ხმადაბლა უთხრა გენომ და თვალები აემღვრა, ძალიან კარგად მიხვდა, რომ ადგილს ვერ იშოვიდა.

უფროსმა შეატყო გენოს ამღვრევა და ცოტა არ იყოს რბილი ხმით უთხრა:

— სამწუხაროთ, ყმაწვილო კაცო, ამ ჟამად ადგილი არა მაქვს, ერთი კვირის შემდეგ შემოიარეთ, იქნება მანამდის...

— დიდი მადლობელი ვარ... ამ ერთ კვირაში თუ მშიერი არ მოვკვდი, იქით კვირა აღარც კი შეგაწუხებთ...—გესლიანად გააწყვეტინა ლაპარაკი გენომ და გველნაკბენსავით უკან გამობრუნდა...

— რაიო?—დაეკითხა კარისკაცი დერეფანში გამოსულ დო-

ნაძეს, მაგრამ გენოს უკან აღარც კი მიუხედნია. თქაფა-თქუ-ფით დაეშვა კიბეზე და უგზო-უკვლოდ მოედო ქალაქის ქუ-ჩებს.

პირველი და უკანასკნელი არ იყო გენოსათვის მისი უაზ-როთ კარის-კარ ხეტიალი და სამუშაოს ძებნა. მაგრამ ამ ეა-მად მოთმინება სულ მთლად დაჰკარგა და გიჟსავით ბრაზობდა.

— აშენდა საქართველო, თუ გამაძღარი თანამედროვე „თათქარიძეები“ ტახტზე არხეინათ გორაობენ და მდიდარ კა-ბინეტებში თავ-ბრუ დასხმულნი, პატრიოტულ ლექსებს გვი-ძღვნიან. ეჰ, რა თქვას კაცმა! გზა, გზა მიეცით, ბატონებო, მშრომელ ახალგაზრდობას, ნუ უხშობთ კეთილ მისწრაფებას, მაგრამ... თითოეულს ჩვენგანს პირადობის მეტი აღარა გვახ-სოვს-რა. ეხ, შავ-წყალსაც უზიდნივარ, თუ კი ლუკმა პურის ძებნაში უნდა ამომძვრეს სული! — მწარე ამოოხვრით დააბო-ლოვა გენომ მწარეევე ფიქრები და თავ-ჩაქინდრული, გულ-მოკლული შინისკენ გაეშურა.

II

თბილისის ერთ მიყრუებულ ქუჩაზე და ბინძურ ეზოში, სხვათა შორის, ერთი პატარა ორთვალი სახლიც დგას. დაჩაგ-რულ კაცივით ამოჰფარებია ეს სახლი მის წინ აგებულ უზარ-მაზარ შენობას და საცოდავად მოკრუნჩხული ბოსელს უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანთა საცხოვრებელ ბინას. წინ ამ სახ-ლებს პატარა, აგურის იატაკიანი, მოაჯირი აქვს მოდგმული და უამისოდაც დაღვრემილი, მეტათ ჩაბნელებულია. მზე ათას-ში ერთხელ თუ მიადგება ხოლმე და ისიც ძალიან ცოტა ხნით... ყარს მთელი ეზო, მაგრამ ამისი ჯავრი არ აწუხებთ სახლის პატრონებს. თითონ ქუჩიდან აქვთ შესავალი, რომლის ლამაზ კარებზედაც თუნუქის გაპრიალებული ფიცარია მიკ-რული, სახლის პატრონის სახელისა და გვარის ზედ-წარწე-რით. იქნება ისე გავიდეს ხოლმე კვირეები და ხშირად თვეე-ბიცა, რომ ეზოში ერთხელაც არ გადაიხედონ დიასახლისმა და ნისმა ლაზაზმა ქალიშვილებმა, მხოლოდ სახლის პატრონი ოვეში ერთ ხელ (და თუ სახლის ქირა დაუგვიანეს, თითქმის ყოველ დღე) შემოვა ხოლმე ამ ეზოში, პირდაპირ გასწევს

შდგმურისაკენ და ფულსა სთხოვს. მეტი არა იცის რა. "მართალია ბყრალი სუნი კი ეცემა ხოლმე ცხვირში, მაგრამ აგრე რიგათ ყურს არ იბერტყავს, ვინაიდან იგი სირაჯხანაში გახლავთ გაზრდილი და ვინ იცის რამდენჯერ სძინებია ავლაბრის მყრალ დუქნებში, მყრალ რუმბების გვერდით და განა ამისთანა კაცს გაუკვირდება რამე?

ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენგან დასახელებულ პატარა სახლის მოაჯირს ერთი ახალგაზრდა მანდილოსანი გადმოეყუდა და ნაღვლიანად ქიშკრისაკენ ყურება დაიწყო. მალე მის გვერდით ორი ბავშვი აიტუზა და დედას კაბის კალთებზე მოეკიდა.

— დედა, დედილო! ჰმ... ჰმ... — სლუკუნებდნენ ბავშვები.

დაღონებულ-დაძმარებული დედა დიდხანს ყურადღებას არ აქცევდა ბავშვებს, მაგრამ საქმე რომ გაუჭირვეს, მეტი ღონე აღარ იყო, ხმა უნდა გაეცა.

— რა გინდათ გენაცვალოთ დედა?—ალერსიანათ შეეკითხა შვილებს.

— პური გვშიან, გვაჭამეე!—ერთხმად წამოიძახეს ბავშვებმა.

— იქნება მართლა! უი, ის საძაგელი ჩიტი, დახე როგორ მოუტყუებივარ! აი, აი, აი,—ღიმილით გაეხუმრა დედა და რომ ცოტა კიდევ შეეოკებინა, ვითომ და გაკვირვებით დაუწყო ბავშვებს ცქერა.

ბავშვებიც განცვიფრდნენ და ერთ-ხანს გაჩუმდნენ. გულდათუთქული დედა-კი ისევ ფიქრებში გაება.

— დედილო!..—კიდევ დაიზმუკუნა უმცროსმა ბავშვმა.

— დედა!—ბანი მისცა მეორემაც.

— ბნედა და სიკვდილი! რა მოგვივიდათ!—გაჯავრებით წამოიძახა და თვალზე სიმწრის ცრემლი მოადგა. ქეთოს სრულიადაც არ უნდოდა ბავშვების დაწყეელა, მაგრამ შავი ფიქრებისაგან გულზე მოწოლილი ბოღმა წყეელით მოიოხა. ბავშვებმა შუბლ-ქვეშიდან შეხედეს დედას და კვლავ ხმა დაბლა ვაუმეორეს:

— პური გვშია! ჩვენი დედილო არა ხარ, რა არის ახლა რომ გვაჭამო?!.

— აკი, ვამბობ, გენაცვალოთ დედა, ჩიტმა მითხრა-მეთ—

ქი, რომ არ შიანთო. მართალია?—მოუტკბილა ხმას ქეთომ და კვლავ მწარედ ამოიოხრა.

— არა, დედა არ მომიკვდეს, მშია!—ამოიგმინა უმცროსმა-

— მეცა მშია, დედა, ღმერთმანი,—კვერი დაუკრა უფროსმაც.

— აკი გეუბნებით ფიცილი ნუ იცით-მეთქი, თქვე საძაგლებო.—სიტყვა ბანზე აუგდო დედამ შვილებს.

— ეი, თუ კი გვშია რა!—ერთხმათ წამოიძახეს ბავშვებმა და უარესად მოებღაუჭენ კალთებზე და თანაც განუწყვეტლივ შესძახოდნენ:

— დედა, დედილო, დედა... ჰმ... ჰმ...

ტყუილათ ცდილობდა საბრალო დედა ბავშვების რამენაირათ გართობას. ბევრგვარი ხერხიც მოიგონა, მაგრამ მშიერ ბავშვებზე ვერაფერი გააწყო.

— უი, მოგიკვდეთ თქვენი დედა, მაშ, გშიათ, გშიათ!?—ათი ათასჯერ ეკითხებოდა დედა და თან მოუთმენლად გზისკენ იყურებოდა. ბოლოს თითქოს რაღაც მოაგონდაო, მწარეთ ჩაიცინა, ბავშვებს მიეალერსა და უკანასკნელ ხერხსაც მიჰმართა.

— პურს როგორ არ გაპმევთ, აბა, მაგის გულისათვის როგორა სლუკუნებთ,—საგრძნობელი კილოთი დაიწყო ქეთომ, მაგრამ ხამას არ უნდა მოვუცადოთ? აი, გიგლა, უყურე ამ მოაჯირსა, როცა მზე ამ ადგილას არ წამოდგება (ქეთომ ბრჩხილით გაიაზა), სწორეთ მაშინ მოვა მამა თქვენი და სუფრასაც გავშლით.

— დილილე!—ერთხმათ წამოიძახეს ბავშვებმა და დანიშნულ ადგილას თვალი აღარ მოაშორეს. დედა კი შებრუნდა ოთახში, ლაპა-ღუპით მწარე ცრემლები გადმოჰყარა თვალთაგან და ნაოვლიანათ წარმოსთქვა:

— ოხ, გენო, გენო, დაიწვი ამ ბავშვების ცოდვით, თორემ მე ჯანიც გამვარდნია!

მკითხველი მიხვდებოდა, რომ ეს ქალი გენოს ცოლი უნდა ყოფილიყო, ხოლო ბავშვები—მისი შვილები. დიაღ, გენო სულ ყმაწვილი კაცი იყო, მაგრამ მალე დაცოლშვილდა და მით უფრო გაჭირვებაში ჩავარდა. უკანასკნელ ხანებში ასე შეეკრა ფულის საშოვარის გზა და კვალი, რომ მშრალ პურსაც ვეღარ ყიდულობდა ბავშვების გამოსაკვებათ და ხშირად

ბოელი დღეობით უსადილონი ისხდნენ ხოლმე... ამ დღესაც, როდესაც გენო კვლავ გაეპართა ადგილის საშოვნელათ, სახლში ერთი გროშიც არ დაუტოვებია. რაც პური ჰქონდა ქეთომ დილითვე შეაჭამა ბავშვებს და თითონაც მშიერი, გულგადალეული მოელოდა გენოს. ხოლო ბავშვებს ატყუებდა და ტკბილი სიტყვებით ათათბირებდა.

მზემ წამოიწია და გახაზულ ადგილს მოუახლოვდა, ბავშვებმა სიხარულით ხტუნვა დაიწყეს და დედასთან შეცვივდნენ. გულამომჯდარმა დედამ აღარ იცოდა, რა მოეგონებინა და ის-ის იყო ბავშკებზე უარესათ თითონვე ატირდებოდა, მაგრამ ამ დროს გენოც ეზოში შემოვიდა.

სიარულისაგან დაღალულს ოფლი წურ-წურით ჩამოსდიოდა, სახე დაღაროდა და გაფითრებულს მომაკვდავის ფერი დასდებოდა.

— რა ქენი, კაცო?—სახლში შესვლისთანავე მიაძახა ცოლმა, თუმცა კი მის თვალებში ყველაფერი ნათლად ამოიკითხა.

— არაფერი, ჩემო კარგო... განა არ იცი?—ყრუდ უპასუხა გენომ და მისკენ გაქანებულ ბავშვებს მიუალერსა.

— მოხვედი, მამილო...—ატიკტიკდნენ პატარები.—დედამ უშენოთ პური როდი გვაჭამაა! ისეთი კი მშია, ისეთი, რომა...—აღარ ისვენებდა გოგლა.

— მართლა, მიდი ერთი ფურნეში პური გამოართვი. თავპირი მომაჭამეს ამ საძაგლებმა, აქამდის რის ვაი-ვაგლახით დავიოკე, ე დედამკვდრები,—გაუბედავათ უთხრა ქეთომ და ქმრის გასამხნევებლათ დაუმატა:

— არა უშავს რა, ღმერთი მოწყალეა. იქნება როგორმე გამოკეთდეს ჩვენი საქმე.

— ღმერთი, ხომ ღმერთია, ჩემო კეთილო, მაგრამ გაავზნებულ ხალხს კი ყველაფერი დავიწყებია,—ნაღვლიანი კილოთი ჩამოართვა სიტყვა გენომ და ამოოხვრით განაგრძო:

— ეჰ, ღარიბი კაცის ცხოვრება, მარტოოდენ დამცირებაა!

— ოღონდაც!—თავისდა უნებურათ წამოიძახა ქეთომ და თითქოს თავისსავე სულმოკლეობისა შერცხვაო, სანდომიანათ გაიღიმა და გენოს კიდევ თხოვნა გაუმეორა.

გენომ ფრთხილად ჩამოსხა მის მუხლებზე შემსხდარი ბავშვები, ერთი მწარეთ ამოიოხრა და ფურნისაკენ გასწია.

ფურნე შორს არ იყო, მაგრამ თითქმის ერთი თვე იქნებოდა, რაც გენო ნისიათ ხარჯავდა პურს და ახლაც რომ უფულოთ მიდიოდა, ფეხები უკან რჩებოდა. როდის, როდის მივიდა მეფურნესთან და უთხრა:

— თომა, აბა, სამი გირვანქა პური კიდევ მომეცი, შენი ჭირიმე.. მაპატიე, გეთაყვა, რომ ამდენი ხანია ნისიათ მიმაქვს, ღმერთმა ხომ იცის, მე შენ ფულებს არ შევეჭამ. დარწმუნებული იყავი...—გაუბედავათ უთხრა გენომ მეფურნეს და თვალი ვერ გაუშტერა. თომა—მეფურნე ზლანზვით წამოდგა, აუწონა სამი გირვანქა პური, გადმოუდო დაზგაზე და თან დაატანა:

— თუ არ შეჭამ, ხომ კარგი, თუ არა და...—ჩაყლაპა სიტყვები თომამ და წარბ შეკვრით შეხედა.

ლახვარივით მოხვდა გენოს ეს სიტყვები გულში და მწარეთ ამოიოხრა.

— აბა, რათ უნდა მაგას შენი სინდისი, შენი პატიოსნება... შენ ფულები, ფულები მიეცი!—წაილუღლუღა გენომ და ბარბაცით ახლა მეწვრილმანის დუქანში შეუხვია.

— შენი ჭირიმე, არტემ, გირვანქა ნახევარი ძეხვი და ერთი პაჩკა თუთუნი მომეცი. ღმერთმა ხომ იცის, მე შენ ფულებს არ შევეჭამ... მალე გადაგიხდი,—ბუტბუტებდა გენო გაზეპირებულ სიტყვებს.

— ეს ხომ მალე-მალეა, მაგრამ უზურში ერთი ეს ვიკითხოთ, როდის იქნება ეს „მალე“ ჰა, გენო! კი არა გეწყინოსრა, შენი სულის ჭირიმე, მე ისე მოგახსენებ,—უთხრა მეწვრილმანემაც, მაგრამ გენომ კარგად იგრძნო, რომ „ისე“ არას მოახსენებდა და სულ გული მოუკვდა. ან კი რალა ეთქმოდა? უსიტყვოთ დაავლო ხელი ნავაჭრს და გაწითლებულმა სახლს მიაშურა.

— რა ვქნა, სად წავიდე, ვის მივმართო? ან კი სირცხვილი არ არის ჯანსაღმა კაცმა მათხოვრობა დავიწყო?—ეკითხებოდა გენო თავის თავს და თან სიმწრის ღიმილი სახეზე არა შორდებოდა.

— მაგრამ ან კი ვინ დაიჯერებს, რომ ასე გაჭირვებული ვარ. როგორ დააჯერებ ჩვენ ინტელიგენტებს, რომ სხვის ხელ-ფეხებად ვართ გადაქცეული და ძალაუნებურათ, მარტო

ლუკმა პურისათვის, ყველა დამცირება უნდა ვიკადროთ-ყველა შენი დამამცირებელია! რათა, ამიტომ რომ... საზიზღარი ლითონი გაბატონდა და ცხოვრებაში იდეალისტობას ბაზარი აღარა აქვს... ხომ აგრეა, ჩემო ძვირფასო მეუღლე, —კარის კარაპანიდანვე შესძახა ცოლს, და ნავაჭრი ტახტზე გადაისროლა.

— რა მოგივიდა კაცო?!—გაკვირვებით გამოსძახა ცოლმა.

— ის მომივიდა, რომ ყველანი მატყუარა, ნხდალი, ნშიშარა, ეგოისტები და გაუტანლები ვართ. უსიცოცხლოთ, მლიქვნელობაში ვატარებთ წუთისოფელს და ეროხელაც არ ვეკითხებით ჩვენ თავს, რათ იტანჯება ცხრა ნეათედი კაცობრიობისა, როდესაც ბუნება და მისი სიმდიდრე ყველასთვის არის შექმნილი. რათ ვიზრდებით მაიმუნებათ, როდესაც ადამიანები უნდა ვიყოთ.

— ოჰო, ჩემო კეთილო, ძალიან დაამლაშე!—ღიმილით შენიშნა ქეთევ.

— დავამლაშე? ნუთუ?..—შუბლიდან ოფლის მოწმენდით გამოელაპარაკა გენო და მცირეოდენ სიჩუმეს შემდეგ დაუმატა...

— შეიძლება დავამლაშე კიდეც, მაგრამ უმრავლესობა რომ ანგარიშმიუცემლად აღონღილებს თავის სიცოხლეს, ამაში კი ეჭვი არა მაქვს.

— ოღონდაც! ჩემო გენო, მაგრამ...

— მაგრამ... დრო არის, დრო უმრავლესობა ჩაუკვირდეს თავის მდგომარეობას და კარგად, კარგად დაფიქრდეს...—სიტყვა ჩამოართვა გენომ თავის ცოლს და სამარესავით დადუმდა.

გაჭირვებას ორგვარი ზეგავლენა აქვს ადამიანზე. ზოგს სულ მთლად ანადგურებს, მხეცად ხდის, ზოგს კი გულის ხმაში აგდებს და აფიქრებს... გენოზე მეორე გვარი გავლენა იქონია და ერთი ორი თვის უწყვეტვალესმა გაჭირვებამ, ხოლო წინა დროის სილარიბემ სულ მთლად ააფორიაქა გენოს გულისთქმა და ათასგვარი საჭირ-ბოროტო საკითხი დაებადა. საკეთილაზროვნოთ მოიმართა მისი გონება და გულიც იმდენად შეწევდა, რომ რაიმე გადაწყვეტილ მიმართულებას დადგომოდა. მაგრამ ჯერ კი ვერ დალაგებულიყო და ძველ რწმენა-შეხედულებას, ბავშობითვე შეთვისებულ ჩვეულებას სასტიკი ბრძოლა გაემართათ მის არსებაში.

— მოდი, რაღა, მამილო, პური არა გშია?—მოუთმენლათ ახმაურდა გიგლა, როდესაც ქეთომ სუფრა გაშალა და შვილებს ძეხვის ნაჭრები დაურიგა.

— მოვალ, შვილო, მოვალ,—უპასუხა გენომ და ქეთოს გვერდით მოუჯდა... ერთხანს ხმაამოუღებლივ ჭამდნენ ცოლ-ქმარი ნანისიავებ საჭმელს. ცეცხლათაც ეჩვენებოდათ ორივეს თითოეული ლუკმა, მაგრამ ერთმანეთის გასამხნევებლათ, ძალა უნებურათ, ილიმებოდნენ, თუმცა კი გენოს თითოეული ლუკმის ჩადებაზე პირში ხან თომა მეფურნე მოაგონდებოდა ზოლმე და ხ..ნ არტემა მეწვრილმანე. მარტო ბავშვები ცმუკავდნენ და უდარდელად ილუკმებოდენ.

ღმერთმა შეარგოს ალალ კაცს საჭმელიცა და სასმელიც, თუნდა იგი უკმეხთაგან დაყვედრებულიც იყოს, მაგრამ ურიგო არ იქნება ახლა კი ცოტა დაახლოვებით გავიცინოთ გენოსა და ქეთოს ვინაობა-სადაურობა.

III

ზევითა ვთქვი, რომ დაახლოვებით გავიცნოთ გენოსა და ქეთოს ვინაობა-სადაურობა მეთქი, მაგრამ... მათი ვინაობის გასაცნობათ დაგვჭირდება, მთელი მათი ნაცნობ-ნათესავების დასახელება, მათი გონებრივისა და სულიერი ავლა-დიდების გამოაშკარავება, რასაც დიდათ მიწყენენ ჩვენი დიდედა-მამიდები და გაწიწმატებულნი ქოქოლას მომაყრიან... ან კი რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი? ვისაც თვალები დასანახათა აქვს მიცემული, ყურები—გასაგონად და გული საგრძნობლად, იგი ერთი თვალის გადავლებით ადვილათ წარმოიდგენს ჩვენი საზოგადოების არარაობას, შიგ-ჭრელობას. გენოსაც სწორეთ ესა სტანჯავდა.

* *

სოფელ გადაშენდას გვერდით ერთი აყროლებული ტბა არის. ნაპირები საშინლათ დაჭხავსებია, თვით წყალი დალპობია და ბაყაყების ბუდეთ გადაქცეულა. ოდესღაც ამ ტბას მშვენიერი ანკარა მთის წყაროები ერთოდენ თურმე და მუდამ მხიარული გულწარმტაცი ლუკლუკი გაისმოდა მის გვერდით.

თვით ტბაც ფართო ყოფილა, წყლით გულ-გამაძღარი სია-
მოვნებით კალაპოტში ვეღარ ეტეოდა, ნელ-ნელა ეონავდი
თურმე და თავის გარემოს უგზავნიდა გამაცოცხლებელ წყალს.
მთელი მიდამო ყვავილ-ბალახით იყო დაფენილი და მნახველს
სიტკბოებასა ჰგვრიდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც გადაშენდას
მებატონეებმა ერთმანეთის ჯიბრით დაუწყეს გორაკზე გაშე-
ნებულ ტყეებს გადაჩეხვა, წყაროები დაშრა, ტბას გული გა-
უტყდა მოქაჩლებულ გორაკების მხერით და ერთ დროს სარ-
კესავით მოელვარე გულმკერდი ხავსით მოიბურა. გახურე-
ბულმა მზემ მალე ნახევრათ ამოაშრო ეს ტბა და სიცხისაგან
დანაკულმა ქვეწარმავლებმა კადნიერათ შიგ ბინა გაიკითეს...
გენო დონაძე სწორეთ ამ სოფლელი იყო, რომელსაც ეს ტბა
ამშვენებდა. პატარაობისას გენოს აგრე რიგათ არ აწუხებდა
არც მისი მყრალი სუნი, არც მისი დახავსებული კიდეები,
არც მისი აშმორებული წყალი, პირ-იქით ხშირად კიდეც ერ-
თობორა ხოლმე ამ ტბით და უფრო მაშინ, როდესაც ბაყა-
ყები საშინელ ყიყინს ასტეხენ ხოლმე. ტბის კიდეზე მდგარი
გენო დრო გამოშვებით გადაუშვებდა ხოლმე ვეებერთელა
ლოდს, აამღვრევდა უამისოდაც ამტუტებულ ტბის წყალს და
სიცილით იხოვებოდა, როდესაც მოყიყინე ბაყაყები ხმას ჩა-
იწყვეტამდენ და სულ განაბულნი, შეშინებულნი თვალებით
წყლიდან გამოიყურებოდენ ხოლმე. მაგრამ დრონი იცვა-
ლენ, გენო გაიზარდა, დიდიხანია მოშორდა თავის სო-
ფელსაც, შეტოპა ცხოვრების მორევში, განიცადა ყოველივე
ავი და კარგი თანამედროვე ცხოვრებისა და... აი აქ მოა-
გონდა ის მყრალი ტბა, რომელიც ერთ დროს, თუ არ უყ-
ვარდა, ზიზღს მაინც არა ჰგვრიდა. მოაგონდა იგი ტბა და
ძალა უნებურად შეადარა თავისი საზოგადოების, თავი-
სი წრის თანამედროვე ცხოვრება იმ ტბის მდორე და
მღვრიე წყალს, თავისი ნათესავ-ნაცნობების გულის თქმა—
მის დახავსებულ კიდეებს, თავისიუსულ-უგულო და ფუ-
ყე ტოლ-აძხანაგების მოუმზადებლათა და უნიადაგოდ ფხო-
რა-ჭიმვა — მშიშარა ბაყაყების უშინაარსო ყიყინსა. და
არც თუ ცდებოდა! იმ თავით ამ თავამდე ისე მოეწყო მისი
აღზრდის საქმე, რომ ძალაუნებურად ცხოვრების ცუდ მხა-
რეებს აწყდებოდა. ისეთ წრეში და ხალხში ტრიალებდა, რომ

ხელის გულივით წინ ეშლებოდა ყველას გულის თქმა, ყველას მისწრაფება, რომელიც მოძმის სიკეთისა და ამაღლებისაკენ კი არ იყო მიმართული, არამედ პირად ინტერესებს ემსახურებოდა და ყველა ერთი მეორის დაჩაგვრა, გაბიაბრუებას ცდილობდა. მართალია დავაჟკაცებამდის გულ ამრეზითა და კრიტიკულის თვალით არ შეუხედავს თავისა და სხვისი ცხოვრებისათვის, მართალია დავაჟკაცებამდის არ აწუხებდა თავისი და სხვისი სიგლახე, ისე როგორც დახავსებული ტბა არა ჰგვრიდა ნამეტან ზიზღს, მაგრამ, როცა კი დავაჟკაცდა, როცა კი თავის თავს დაუყენა საკითხი: რა არის კაცი და ან რას უნდა ემსახურებოდესო, გულის ტკივილით გადახედა თავის წარსულს და ცრემლებ-მორეულის თვალებით დაიწყო მომავალზე ფიქრი. და აი დღესაც, როდესაც პირველ გამოღვიძებას, ჰაბუკურ აღმაფრენას, დადინჯებულმა ვენოს გონებამ ცოტა არ იყოს ფრთა შეაკვეცა, დღესაც-მეთქი, სრულის გულის ტკივილით მოიგონებს ხოლმე თავის სიყმაწვილეს და ის ოხერი დახავსებული ტბაც თვალიდან არა შორდებოდა. ან კი ვის არ ეხსომება თავისი სიყმაწვილე! გენოსაც ძრიელ კარგად ახსოვს. ახსოვს, რომ მთელი ორი-სამი წელიწადი ბოჩოლასავით დაათრევდა ვეებერთელა, სასაბნე ჩითისაგან შეკერილ აბგას. ახსოვს, რომ ამ აბგაში ერთი გატეხილი დაფისა, დაგლეჯილი „როდნოე სლოვოს“ და პურის უზარმაზარი ყუის მეტი არა ჰქონოდა რა ხოლმე. ახლაც კი დაბებრეგული აქვს ხელის თითები და შაშინ ხომ ისე ეწოდა ხოლმე თითის წვერები სახაზავის ცემით, რომ სულ თვალებიდან წინწკლები მოსდიოდა... და ამ წვალების შემდეგ როგორც იყო ისწავლა ანბანი, ცოტაც წამოიზარდა, ბეჯითობას მოუმატა და ისე სასტიკად და უდიერთპყრობას აგრე ველარ უბედავდნენ. მაგრამ რა გამოვიდა! თვით აზრი და დანიშნულება სწავლისა კი ვერ გაეგო და! დადიოდა სასწავლებელში მარტო იმიტომ, რომ დედ-მამა არ გაეჯავრებინა, უფროსები არ გაებრაზებინა და ხელის თითები არ დაებებრებინა. ეს იყო და ეს მთელი მისი წამქეზებელი! ამ შიშსა და ფიქრს ქვეშ მთელი შვიდი-რვა წელიწადი იყიალა ერთ სამაზრო ქალაქის ერთ-ერთ დაბალ სასწავლებელში. ამასობაში კარგა წამოიზარდა კიდეც. სახეზე ბუსუსები ამოუვიდა, ტანი აჰყარა და

ყრმობის ხანას გადადიოდა, მაგრამ მაინც ისეთივე ხეპრე და ოტროველა რჩებოდა, იცოდა მხოლოდ ლანძღვა-გინება და მუშტის კრივი. სხვა ამ შვიდ-რვა წელიწადში არა შეეძინა რა. რომ გეკითხათ: ვაჟო, აბა რა ისწავლე? ვინ ხარ, სადაური, რა წაგიკითხავს, რა გაგიგონიაო? იგი თუთიყუშივით თუ წამოიძახებდა რაღაცა უცხო სიტყვებს, მესტვირეს ავით თუ ჩამოგიყვებოდათ სხვა და სხვა გეოგრაფიულ და ეტნოგრაფიულ სახელებს (ისიც ისე დალაგებით, როგორც სამასწავლებლო წიგნებში სწერია ხოლმე), თორემ მათი მნიშვნელობა კი არ ესმოდა. ვინ იყო, სადაური, ჰქონია რაიმე წარსული მის წინაპრებს თუ არა—ეს სულ გაუგებარი კითხვები იყო მისთვის. ახლაც ჭარხალსავით წითლდება, როდესაც მოაგონდება ხომე თავისი მაშინდელი ასეთი დაქვეითება. მაგრამ რა მარტო თავისი? ასეთები იყვნენ ოცი და ორმოცი სხვა მისი ამხანაგებიც და ვინ იცის კიდევ რამდენი დარჩა ისევე უსწავლელი და უსულ-გულო თუთიყუში, თუმცა კი 14—16 წელიწადი სასწავლებელში გაატარეს!.. უვიცი, უწრთვნელი ვე დარჩებოდა გენოც, მაგრამ... ბუნებამ თავისი გაიტანა. დაბალ. სასწავლებლის გათავების შემდეგ გადმოვიდა საშუალო სასაწავლებელში, რომელიც დიდ საგუბერნიო ქალაქში იმყოფებოდა.

ქალაქის დაუცხრომელი ცხოვრების ბრალი იყო თუ ახალმა ამხანაგებმა იქონიეს გავლენა, ეს კია, რომ გენოს მალე ცნობის მოყვარეობა აღეძრა, თავმოყვარეობამ დასძლია და ჩაუკვირდა თავის ყოფას. „სირცხვილია, მხეცი ხომ არა ვარ, ადამიანი ვარო“, გაიფიქრა ერთ დღეს გენომ და ამ პირველი მოსაზრების შემდეგ ათასი მწვავე საკითხები ჭიანჭველასავით აერია ტვინში. იმდენათ მწვავე, იმდენათ დაუდგრომელი იყვნენ ეს საკითხები, რომ გენოს დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევდნენ, მისგან ახსნა-განმარტებას თხოულობდნენ. მაგრამ როგორ განემარტა, როგორ აეხსნა თითონ არ იცოდა და მისი ამხანაგებიც მასზე ძალიან შორს არ წასულიყვნენ. ახლა კი სავსებით იგრძნო გენომ თავის უძლურება—დამცირება. ცეცხლად მოედო გულზე დაკარგული დრო, ზიზღით აევსო გული იმ საგნებისადმი, რომელთაც ძალონე გამოაცალეს, თვალში ჩინი გაუწყალეს და არაფერი-

კი ასწავლეს-რა ბოლოს, მისმა სურვილმა ალღო აიღო, დაიწყო სხვა და სხვა წიგნების კითხვა. ახლა კი იგრძნო ყველაფერი, მაგრამ ყველას ერთად შეგნება და გათვალისწინება შეუძლებელი შეიქმნა. გაბრაზდა და გამჭერმეტყველდა გენო დონაძე და გულში დაგუბებული ბოღმა პირიდან შხამად ვადმოანთხია...

მუქთად ჩაუარა გენოს ცამეტ-თოთხმეტი წლის სწავლამ. რიგიანი მოწმობაც კი არ ჰქონდა, რომ სადმე თავი შეეფარებია და ლუკმა პური ეშოვნა. მაგრამ სამაგიეროთ გული ჰქონდა მდიდარი, აზროვნება გაბრწყინვებული და თითონ რომ განათლებული იყო გულით, აღფრთოვანებული სულით და მზათაც იყო უკანასკნელი პერანგიც-კი გაეხადნა სხვის გულისათვის,—სხვაც ისე ეგონა და ღიმილით შეხვდა ცხოვრების მიერ მისკენ გამოსროლილ უსამართლო ტალღას... გავიდა რადენიმე წელიწადი. მის აღმა-ფრენას ფრთები ეკვეცებოდა, პირველი გულუბრყვილო, თითქმის ბავშური გულწრფელობა დღითი დღე ეშხამებოდა და მეოცნებე, ცაში მომფრინავი დონაძე ძირს, მიწაზე ეშვებოდა. ცხოვრებასა და მის შვილთ ნელ-ნელა სხვა საზომი მოუპოვა და მალე მიხვდა კიდეც ნამდვილ მიზეზებს ჩვენი—კერძოდ ქართველების—ასეთი უშინაარსობისას. აქ კვლავ გაახსენდა თავისი სოფლის დახავსებული ტბა და სულით და გულით შესძულდა კიდეც იმ ტბის ამაშმორებელი მიზეზები, მედგრად შეუდგა თავის თავის უკეთესად შესწავლას და შემუშავებას...

პირველ ყოვლისა, გენომ გადასწყვიტა თავის სუსტი ძალონე სიტყვით იქნებოდა თუ საქმით, შინაურებისათვის მოეხმარებინა, მაგრამ როდესაც გროშებით დაუწყეს ყველგან ზომვა, როდესაც ყველა ფულით სწონიდა და კაპეიკებისათვის აკარგვინებდნენ მთელ დროს, როდესაც შრომას არ უფასებდნენ და ოფლით მოპოვებულ კაპეიკებს მოწყალებასავით მიუბოძებდნენ ხოლმე, როდესაც თვით მახლობელი მეგობრებიც კი ცდილობდნენ დაემცირებინათ, მარტო იმიტომ რომ ღარიბი იყო, მხოლოდ მაშინ მიხვდა გენო იმას, რასაც უნდა იმთავითვე მიხვედრილიყო. მიხვდა, რომ თანამედროვე ცხოვრებაში ყოველივე ფულით იზომება და თუ იძულებული ხარ ფულის გულისათვის იშრომო, თავიც უნდა მოიკატუნო

ფულის პატრონის წინაშე, სულ ერთია შინაური იქნება თუ გარეული იგი ფულის პატრონი და... ამაზე მეტი უბედურება რაღაა, მერე იქ, სადაც დაჩივლებაც კი არ შეგიძლია!

ქეთოს შესახებ რაღა გითხრათ? თუ კი ვაჟები ჩვენში ბუნებრივად ვერ იზრდებიან, ქალებს რაღა უნდა მოეთხოვოთ? მართალია, ჩვენში ყველა მიხვედრილია, რომ ჩვენ ცხოვრებას ნირი შეეცვალა, ყველამ იცის, რომ მამა-პაპური „ჰარალალი-თარალალე“ ვეღარ გვაცხოვრებს, ოცნება ვეღარ ვამოგკვებავს და უმეცრება ბოლოს ძოგვიღებს, მაგრამ თანამედროვე ზენა-ქვენა განათლება მაინც თავისებურათ ატრიალებს ჩვენ ქალებს და მომეტებულ მათგანს ჭკუა უფრო თვალებში აქვს, ვიდრე თავის ადგილას. ქეთო იმდენათ არ ეკუთვნოდა ქარაფშუტათა ჯგუფს და არც ისე ნერვებ აშლილი ქალი იყო, რომ დღეში ცხრაჯერ ისტერიკა მოსელოდა. დაახლოვებით ჰქონდა შეგნებული თავისი მოვალეობაც და გენოს მეტიც არ უნდოდა. გულმა გული იცნო, ღონემ ღონე, და ერთ დღეს ჯვარი გადაიწერეს—„მკვდარი მკვდარს აეკიდაო“, ოხუნჯობდნენ „დარბაისელნი ამა ქვეყნისა“.

IV

ორშაბათ საღამო იყო. ზაფხულის მკაცრი მზე თითქო დიდგულობსო, ფერ-უცვლელად ჩაესვენა მთაწმინდის იქით და თბილისმა თავისუფლად ამოისუნთქა. მაინც და მაინც არა გრილოდა, მაგრამ თბილელები ჩვეულებრივად მოედვენ ქუჩა-ბაღებს და განსაცხრომად ემზადებოდნენ. ავეტიქა მინაიჩის სახლში სიცხისაგან შეწუხებულმა გენომ და ქეთომ წამოიყვანეს თავისი ორი ბავშვი და ალ... ბაღისკენ გამოემართნენ. თავ-ჩაღუნვით გამოიარეს თომასა და არტემას დუქნის წინ და თითქმის ხმა ამოუღებლივ შეეიდნენ ბაღში. იქ ერთ ბექობზე ამოირჩიეს სკამი და გაბუტებულებსავით მიეყუდნენ სკამის ზურგს. ქეთო და გენო გაფაციცებით ადევნებდნენ თვალ-ყურს გამვლელ-გამომვლელთ და დრო გამოშვებით მწარეთ იღიმებოდნენ. ეტყობოდათ, რომ ორივე ერთსა და იმავე

სანაგანზე ჰფიქრობდა, მაგრამ თითქო ლაპარაკს ვერა ჰბედავენო, ჯერ-ჯერობით სდუმდნენ.

აგერ ჩამოაქროლეს მშვენიერი ლანდო, არაბულმა ლამაზმა ცხენებმა. თქაფა-თქუფით მოაქანებდნენ რეზინის თვლებს და შიგ მჯდომნი მედიდურათ გამოიყურებოდნენ.

— ჰმ! — ამოიგმინა ქეთომ და ჩაიცინა.

— ჰმ! — ღიმილითვე უპასუხა გენომ და დაბალი ხმით დაუმატა:

— ვინ იცის, ჩემო კარგო, რამდენი კაცის სისხლით არის ნაყიდი ეგ ლანდოა, თუ რაღაც ოხრობა.

— მაგას შიგ მჯდომიც უნდა გრძნობდეს, რომ კარგი არის! — ყრუთვე უპასუხა ქეთომ. მაგრამ ჯერ სიტყვა რიგიანად არც კი დაეთავებინა, რომ მეორე, უფრო უკეთესმა და მდიდრულად მორთულმა ეტლმა ჩამოიქროლა. ეს ეტლი ორ-პირი იყო ე. ი. წინ და უკან ერთგვარი დასაჯდომები ჰქონდა და საშინელი ფართოც იყო. შიგ სამი მეტის-მეტად გაყვითლებული, თუმცა კი ბრილიანტებით მორთული ქალი იჯდა და მეტი სინაზით მწყერებივით განაბულიყვნენ. ამაყად იხედებოდა მხოლოდ მეეტლე, რომელსაც გრძელი წვერები ორათ გაჰყოფოდა ქარისაგან და მთლათ გაწითლებული ეტლის კოფოზე მორგვსავით გაშეშებულიყო. მაგრამ იმაზე უფრო ამაყათ გამოიყურებოდა ერთი ვეებერთელა ხუჭუჭი ძაღლი, რომელსაც სიმსუქნისაგან თვალის ქუთუთოები მოლმექოდა და ისეთ შეხედულებას აძლევდა, თითქო მშიერ მწყურვალთ დასცინის და ეუბნება: „თქვენც ვითომ ადამიანები ხართ. აბა, მაშ მომეტოლეთო“. თვალის დახამხამებაზე მოწყდა ეს ეტლიც ქუჩას და მოსახვევში მიიმალა, მას მეორე ეტლი გამოუდგა, მეორეს მესამე. აგრიალდა კიდეც, ხალხი უფრო აირია, მაგრამ ვენოს აღარა გაუგია-რა. ღრმა ფიქრებში გართული უაზროდ მიჩერებოდა, იქვე მის შორიახლო მჯდომ გლახაკს, თუ გალოთებულ კაცს. ამ საცოდავს ტანისამოსი სულ მთლათ შემოხეოდა, ტიტველა, დაწყლულებული მუხლის კვირისტავები ამოეყო დაგლეჯილ შარვლიდან და იდაყვით ზედ დაბჯენოდა. დრო გამოშვებით ხან ერთს ხელს შეიყოფდა ხოლმე უბეში, ხან მეორეს, გამოჰყავდა კბენარი და მოურიდებლად სრესავდა. როგორც ეტყობოდა მისთვის ქვეყანაზე არა-

ვინ და არაფერი აღარ იყო პატივსადები. დაჩაგრულ-დაბეჩავებულს გული გამოფიტული ჰქონდა და თავისი უყურადღებობით ერთგვარ შურს იძიებდა, იწევდა ყველა მათ წინააღმდეგ, ვისაც ადამიანის დამცირებაში ბრალი მიუძღვის... დიდხანს უყურა გენომ და თითქო გონს მოვიდაო, მწარეთ და მუშტების მოკუმვით წამოიძახა:

— ხედავ, ქალო, რა ამბავია ქვეყნათ? შეხე ერთი იმ ცხოველს, ადამიანის აჩრდილი რომ გამხდარა, გადაჰხედე იმ მუშასაც, აი მოაჯირს იქით თავ-განწირვით რომ ქვასა ჰკოდავს, დააცქერდი ამ აუარებელ გლახაკებს, შეხედე ამ კრუებს, ქუჩის მგველებს, კურტნიან მუშებს, მთელ ამ ბრბოს, ამ შავ ხალხს, ჭუჭყიანებს, დაღვრემილებს, ავადმყოფებს, მშიერებს მწყურვალებს—და მერე მოიგონე წეღანდელი ეტლები, ოქრო-ვერცხლში ჩამსხდარნი, ნებივრობისაგან სახე დაკარგული ქალები თავისი ძაღლებითა და მეეტლებით! ეჰ, რაც პირველებს დაკლებია, ის მეორეებს შემატებია. სად არის აქ სამართალი!—ბრაზობდა თან-და-თან გენო.

— ოღონდაც! ჩემო კეთილო, ამ ქვეყნად ერთი მეორის ყურ-მოჭრილი მონაა!..—ყრუთ უპასუხა ქეთომ და ბავშვების მოსაყვანათ აუზთან მივიდა. გენო კვლავ ფიქრებში გაება. არის ხოლმე ისეთი წუთები კაცის ცხოვრებაში, რომ ერთხელვე აბობოქრებულ გულის თქმას თავს ვეღარ აღწევს ადამიანი და უფრო და უფრო ეძლევა თავ-დავიწყებას.

გრილი საღამო, ხალხის ჟივილ-ხივილი, შადრევანის წყლის ერთგვარი შუილ-ქუხილი, ბავშვების ცელქობა და სიცილ-ხარხარი, ზოგის სევდიანობა და დაღვრემილობა, ხოლო ზოგის ქარაფშუტობა და ფეხების ფლასტა-ფლუსტი, ერთი სიტყვით, მთელი ცხოვრება თავისი დაუდეგარობით (რასაკვირველია, ვიწრო ჩარჩოში ჩასმული კი), აქვე გენოს თვალწინ გაშლილიყო და მის აფორიაქებულ გულის თქმას მოსვენებას აღარ აძლევდა. მალია ფიქრი ადამიანისა, ცვალებადია აზრთა დენა ცოცხალის, შესმენილის არსებისა და გენოც თავდავიწყებით ერთხელ კიდევ მიეცა ათას გვარ მოგონებას. მართალია, იგი არც მუშა იყო, არც თუ უბეცარი, არც უკანასკნელი დედ-მამის შვილი და არც საპყარი ვინმე, მაგრამ მაინც რაღაც გამოუურკვეველი სევდა-ვარამი გულს ულრღნიდა და

სულს უხუთავდა. რათა, ან რისთვის? იმიტომ რომ გენომ წა-მოიდგინა მთელი უსუსურობა, მთელი უძალღონობა თავისი თავისა, წარმოიდგინა რომ ყველა, დიდი და პატარა, მძლავრი და სუსტი, მდიდარი და ღარიბი, ნაცნობი თუ უცნობი ერთი მეორის წინააღმდეგია, ერთი მეორის მკიცხავი და მეპორეა... კვლავ რათა და რისთვის? აი საკითხავი, რომელიც ყველასაგან დაფიქრებას ითხოვს და ვაი იმის სულის სიმშვიდეს, ვინც მოინდომებს ქვეყნის უკეულმართობის გათვალისწინებას თუ იგი მარტოა, ერთად ერთია, გულწრფელი ტოლი და ამხანაგი ვერ უშოვნია!.. გენოც ერთად ერთი თუ არა—დიდი ხანია მარტოთ იყო დარჩენილი. თვისი ტომი, ამხანაგი და მეგობარი მანამდის გყავს კაცს, ვიდრე ამ უკანასკნელთ ეპირვებათ შენი თავი, ვიდრე შენგან გამოელიან რასმეს. გენოსაც ბევრი ჰყავდა მეგობრები, მაგრამ როცა დაატყო, რომ მათი გულის თქმა ერთმანეთისას არ უდგებოდა, ზოგს თითონ ჩამოშორდა და ზოგიც თითონვე მოშორდა. დარჩა მეთქი მარტო, თუმცა კი იმედს არა ჰკარგავდა და ელოდებოდა უკეთეს დღეებს, მაგრამ როცა კი ამ იმედის შესახებ ოცნებას მიეცემოდა ხოლმე, თითქო გული უგრძნობსო, უცბათ მხრებს ჩამოუშვებდა და მწარეთ ეკითხებოდა თავის თავს: ვის მივმართო, ვის რა ვუთხრა. სიტყვით ყველა კარგები ვართ, ხოლო საქმით? მაგრამ ან კი რა საქმის გაკეთება შეგვიძლიან, როდესაც იძულებულნი ვართ ლუკმა პურისათვის მთელი ჩვენი ძალ-ღონე გავყიდოთ, როდესაც ჩვენი თავის ბატონები ჩვენ არა ვართ, და არამც თუ საქმე, სიმართლის თქმაც რომ გვინდოდეს, უკან-უკან ვიხედებით, თავში არავინ ჩაგვარტყასო.

— ოხ, ცხოვრებაო, ცხოვრებაო!—გულსაკლავად ამოიგმინა გენომ, როდესაც ფიქრით ამ ადგილამდის მოვიდა და გაფანტულათ მოაელო თვალი თავის გარშემო.

— კაცო რა ფერი გადევს... რა არი ღმერთმანი... ფიქრით რას მოუმატებ შენ საქმესა. ადე შინ წავიდეთ...—ნაწყვეტ-ნაწყვეტათ უთხრა აუზიდან გამობრუნებულმა ქეთომ და წასასვლელათ მოემზადა.

— ჰო, დროც კი არის. — უპასუხა გენომ და ბარბაცით ზეზე წამოდგა.

— კაცო, რასა ფიქრობ მაგდენს?—დაეკითხა ქეთო თავ-ჩაქინდრულ გენოს, როდესაც ერთი ეტლისათვის გზა უნდა აეფციათ.

— რასა? რასა და იმას; რომ ხვალ კიდევ უნდა წავიდე უფროსთან... ერთხელ კიდევ უნდა დავეღრიჯო, ენახოთ და-მიქირავებს თუ არა,—წაილუღლუღა გენომ და სახლამდის ხმა აღარ ამოუღია.

ქეთო? ქეთოც სდუმდა, მხოლოთ თავის სახლის კარაპან-ში ლურსმანს რომ ფეხი წამოჰკრა, საშინლად დაიღრიჯა და თავის-და უნებურად წამოიძახა: ოხრათაც დარჩენილა ასეთი ორეოფი სიცოცხლეო.

— ოღონდაც!—ნაღვლიანად დაუშატა გენომ და ამ სიტყ-ვით მთელი ბავისი გულის ნადები გამოხატა...

მთვარიან ღამეს

ესკიზი

კაშკაშა მთვარეე, ნუ, ნუ მიწვეე, გეთაყვანე, საოცნებოთა! სადა მცალიან, შე დალოცვილო, ავყვე შენ ელვარებას და ფიქრებით გამოვუდგე შენ სხივთა სრბოლას. ხომ ხედავ, რა ყოფაში ვარ? აი ეს, ციფრებით აკრელებული დასტა-დასტა ქაღალდები, აი ეს დანჯღრეული საანგარიშო ჩოთქიც! მთელი ღამე ყარყუმივით უნდა ვიჯდე და ვაჩხაკუნო ჩოთქის კოკები... რა მეთქმის?

ნეტავი შენ, რომ თავისუფალი ხარ!.. მე კი?—პატარა, უმნიშვნელო ადამიანი, ერთი რაღაც უენო და უსიტყვო გადამწერალი!..

მაგრამ ვის რა ვუთხრა? ჩემი ხვედრია: ვსდუმდე, როგორც სამარე და ვიმუშაო, როგორც პირუტყვმა. სხვა ყველაფერი ჩემთვის აკრძალულია!..

რას გეცინება? იქნებ არა გჯერა რომ ქვეყნად ასეთი ხვედრიც არის? მაშ ყური დამიგდე!..

თავზე რომ ხელი მოვისვი და ჩემი თავი ადამიანად წარმოვიდგინე, ყველას ვარწმუნებდი: მე თუ ადამიანი ვარ, ადამიანურადაც უნდა ვიცხოვრო-მეთქი.

ვინ მოგახსენა, ადამიანი კი არა, მოლაპარაკე მანქანა ხარ და სხვა არაფერიო! მიკიჟინა ქვეყანამ. გული მომივიდა, გავჯიუტდი: რასაც მეუბნებოდნენ, მე სულ წინააღმდეგს ჩავდიოდი, ერთს რომ მიკვეთავდნენ, მეორეს ვაკეთებდი. ამით ის უნდა დამემტკიცებინა, რომ მანქანა არ ვიყავი, რომ მეცა მქონდა ჩემი შეხედულება, ჩემი აზრი, ჩემი სურვილები...

— გიჟი ხომ არა ხარო!—დამიყვირა მამაჩემმა.

— სწორეთ... დასაბმელია!—დაუმატა დედა ჩემმა. გული შომიკვდა შინაურებმა რომ ასეთი შეურაცყოფა მომაყენეს. ჯელანძღე, უდიერად მოვიხსენიე ჩემი მშობლები, მათი ნათქვამი უკანვე დავუბრუნე და საბლი მივატოვე.

ბატიკით დავიწყე ყიალი ქვეყნად. მთა და მინდორი შეჯ-

ჯერე, ტყე და ველი დავთელე, მაგრამ შენც არ მომიკვდე ყურადღებაც არავინ მომაქცია.—ვინა ხარ, სადაური, საიდგან მოთრეულხარო!—დამიღრიალა პირქუშმა მთამ, მხრებზე შავი ბურუსი წამოისხა და ზურგი მაბრუნა.

— ხმა გაიკმინდე. ვერა ხედავ ნიავი მეალერსებაო!—დამიშტიალა ტყემ, ერთი ღონივრათ შეიბერტყა და თავზე იმდენი ფოთოლი გადმომაყარა, რომ კინაღამ არ დავიხჩე... გულგახეთქილი გამოვარდი ტყიდან და ფეთიანივით დავეშვი თავქვე. წინ მდინარე შემხვდა. შევდექი, უნდობლივ ჩამოვჯექ მის კიდეზე, პირი დავიბანე და ნაღვლიანად დავუწყე მზერა.

მშვენიერება რამ იყო მთის ანკარა! მწყერივით მიგოგავდა ყვავილებით მორთულ კიდეებს შორის და სირინოზის ხმით რაღაცას ჩაიმღეროდა. თვალი გავაყოლე ტალღების კივკივს, ყური დავუგდე მდინარის დუდუნს. ქვიდან ქვაზე მხტუნავი ტალღები მზეს შესტრფოდნენ, გულ-მკერდს კეკლუცად იღეღავდნენ და მარგალიტებივით ბრჟყვინავდნენ. მათი მომზირალი მზეც თავს ილამაზებდა, კეკლუცობდა... დიდხანს ვიჯექი მდინარის პირად, მაგრამ ვერ გავიგე ტიროდა თუ იცინოდა ცელქი ანკარა, ლოცავდა თავის გაჩენის დღეს, თუ სწყევლიდა იმ დიდ ლოდებს, რომლებიც გზაში ეღობებოდნენ და თავისუფალ სვლას უშლიდნენ... ეს კი მახსოვს, რომ ნეტარების თავს-ბრუ დამასხა მდინარის ბუტბუტმა და მეც ვიგრძენ სიცოცხლის ძალა: მეც მომწყურდა მოქმედება, მომწყურდა ლაპარაკი, სიმღერა, ცეკვა, თამაში. სამსონივით წამოეუდექ შავ ფიქრებს და წვრიმალას აღტაცებით შევძახე:

— აბა ტაში დაუკარი, მინდა ვიცეკვო-მეთქი!

— მეხი კი დაგაყარეო:—კუდიანი ბებერივით გამომძახა ჭალამ.

— ტაში-მეთქი!—მე მაინც გავიძახოდი და ბუნების მკერდზე შვლის ნუკრივით დავკუნტრუშებდი. დავიღალე, ნეტარებით დავითვერი, მიწაზე გავიშხლართე და ყვავილებს გადავეხვიე.

— იქით დაგვეკარგე, სიცოცხლეს ნუ გვიშლიო!—დამიყვირეს ყვავილებმა და საყვედურით თავის ქნევა დამიწყეს, ჯერ მეწყინა მათი საყვედური, მერე შემრცხვა ჩემის თავხედობის, ჩემის საქციელისა.—ყვავილები სულ მთლად გამექელა. გა-

მოვერკვიე და ვიგრძენ, რომ ჰაეროვანი არსება კი არა, ტლანქი, მოუხეშავი ვიყავ.

სიცოცხლით სავსე ბუნებას ჩემთან საერთო არა ჰქონდა რა... დავრჩი ობლად, უთანაგრძნობოთ. — ოხ, რა ტანჯვაა მარტოობა!..

პირიც მომშიედა, კუჭმა წვა დამიწყო და წელებმა—წივილი: წამოვიკრიფე ჩოხის კალთები და ფაცხა-ფუცხით დავეშვი სიფლისკენ. იქ ერთი მეგობარი მეგულებოდა და იმას მივმართე.

— რა გნებავს?—უკმეხათ შემეკითხა მეგობარი იმ დროს, როდესაც მე მზად ვიყავ აოტაცებით მოვხვევნოდი და მისი მაღალი შუბლი გადამეკოცნა.

— მეგობრობა, თანაგრძნობა-მეთქი—გაუბედავად ვუპასუხე.

— ცხოვრება გულ-გრილია... გაქვს რამე?

— წრფელი გული და თავგანწირული სიყვარული მოყვასისადმი-მეთქი—კიდევ ვუპასუხე.

— ეგეც ცალიერი სიტყვებია... ფული, ფული გაქვს?— როგორც თოფ-ნაკრავი არწივი დაეცემა ხოლმე მიწაზე, ისე მეც ციდან ამ ქვეყანაზე ზღართანი მოვიღე. გაგონებამ გამახსენა ჩემი თავიც და ადამიანთა ურთიერთობაც... რამდენიმე დღე დავრჩი მეგობრისას, პირში ლუკმას მითვლიდა... მებუზღუნებოდა. ჩემი მასთან ყოფნა შეუძლებელი შეიქმნა, ავიკრიბე გუდანაბადი და ისევ დედ-მამას მივაშურე. წამოსასვლელათ რომ მოვემზადე, ჩემს მეგობარს სახე გაუბრწყინდა, მაგრათ ჩამომართვა ხელი და გულთბილათ მითხრა:

— ნახვამდის, ჩემო მეგობარო!.. იცოცხლე ჩემო მეგობარო!

— გმადლობთ მეთქი,—ალერსიანათვე ვუთხარი მეც და გულში გავიცინე. ქვეყანა ხომ ორპირობისა და თვალთმაქცობისაა!

ცხრათ წელში მოხრილი, სასომიხდილი მოვედი შინ. მამაჩემს ისე ესიამოვნა ჩემი ნახვა, როგორც ქრისტეს იგავში მოხუცს მამას უძღები შვილის დაბრუნება გაეხარდა, მაგრამ ხსენებულის მამასაგით კი არ მომექცა... ის მოხუცი ღვთის ხატება იყო, მამა-ჩემი კი—თანამედროვე ცხოვრების შვილი... დიდხანს მათვალიერა, ათასნაირად გამისინჯა კბილი. ათასი რამე მკითხა. მე ხმას არ ვიღებდი. ავსა და კარგზე ერთგვარად ვუკანტურებდი თავს...

— დაქვიანდი?—ღიმილით შემეკითხა მამაჩემი.

— დაჭკვიანებულა, ენაცვალოს მაგას თავისი დედა!—აღტაცებით დაუკრა კვერი დედა-ჩემმა.

— მაშ იმსახურე!—მოკლედ, უკმეხად მიბრძანა მამამ და ისეთი თვალით შემომხედა, რომ წინააღმდეგობის შემდეგ მის მამაშვილობაზედაც ხელი უნდა ამეღო.

— ცხოვრება ძნელია შვილო... კაცს სმა, ჭამა, სიცოცხლე უნდა, სული კი ტკბილია...—ჭიკჭიკებდა დედა-ჩემი და თან მეალერსებოდა...

— რასაკვირველია... ყველაფერი საჭიროა-მეთქი...—ვბუტბუტებდი მეც და თანდათან ვეჩვეოდი იმ აზრს, რომ ბედს ჩემთვის ქედ-დაბლობა ურგუნებია.

ერთ მშვენიერ დღეს, ყველასაგან მოძულებულმა, ჩავიცვი გახუნებული სერთუკი, დავიდგი კისერზე სახამლებისაგან გახრეკილი თეთრი გულისპირი, შევიბი შავი საყელო, მუშტის ოდენად მოვიკუნტე და გამოვცხადდი ჩვენი ნოღას წინაშე. (ნოღა ჩვენი კანტორის გამგე გახლავთ).

ნოღამ ამხედა, დამხედა, ამათვალიერა, ჩამათვალიერა. მეც ჩავიძვრინე პერანგში კისერი და ნარზე მჯდომარე ნიბლიასავით აქეთ-იქით ყურება დავიწყე.

— ჰმ... მაშ ადგილი გინდა... სამსახური... ძალიან კარგი—ლუღლუღებდა ნოღა და თვალითა მხომავდა.

— დიახ, მიმსახურეთ, მამუშავეთ... ვეცდები, რომ დავიმსახურო ყურადღება თქვენის აღმატებულებისა მეთქი,—ვებუტბუტებოდი.

ნოღას სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

მე ჩიტივით შევფრთხიალდი, შევკრთი. მეგონა დამცინის შეთქი. ნოღა არ დამცინოდა. თურმე ის იამა, რომ მე მას „თქვენო აღმატებულებავ“ დავუძახე.

— კერძო სამსახური იმითი არის ცუდი, რომ ჩინებს არ გვაძლევენ—დაიწყო ცოტა ხნის შემდეგ ნოღამ,—ჩინებს რომ გვაძლევდნენ, რასაკვირველია, აქამდის კი ვიქნებოდი „აღმატებულება“. ოც-და ხუთი წელიწადია ამ სკამს არ მოვშორებივარ. ვმუშაობ დღე და ღამ... სხვასაც ვამუშავებ... შენც გამუშავებ, ყმაწვილო, თუ კი...—ნოღამ ლაპარაკი შესწყვიტა და თვალი თვალში გამიყარა. ალბათ, ჩემი გულის-თქმის გაგება თუ მოიწადინა.

მე ვიდექი ისარიევით ერთ ადგილს დარჩობილი და თვალებსა ვბლიტავდი. რა მეთქვა, რა მეპასუხნა — არ ვიცოდი მაგრამ...—განაგრძო ნოღამ—პირობას კი ჩამოგართმევ:—არ უნდა იყო ზარმაცი. არ იქნები?

— არ ვიქნები.

— სიტყვა არ უნდა შემომიბრუნო! არ შემომიბრუნებ?

— არა!

— მე გამიგია, რომ შენ უკმეხი ლაპარაკი იცი, უფროსუმცროსობას მაინც-და-მაინც არ აფასებ. ეს დიდი უკეთმართობაა. შემომფიცე, რომ შენ ჩემ წინააღმდეგ არ წახვალ, რასაც გიბრძანებ,—გააკეთებ.

— ვფიცავ... გულმოდგინედ ვიმუშავო!..

— არა, გულმოდგინეობა არა კმარა! შენ უნდა ყურმოჭრილი მონა იყო (თუ კი შეიძლება ასე ითქვას მეოცე საუკუნეში). შემომფიცე, რომ ენას არ აჭარტალებ...

აღარ მახსოვს შევფიცე თუ არა, ამ უკანასკნელ პირობაზედაც, ე. ი. ვაღიარე ჩემი თავი მანქანათ თუ არა, რაც ერთს დროს მე ძლიერ მეჯავრებოდა, ეს კია რომ სამსახურში მოვხვდი და აგერ სამი-ოთხი წელიწადია, რაც ერთგულად ვემსახურები ჩემ ნოღას და იმდენი სამუშაოც მომახვია თავზე, რომ არც კი მაქვს დრო ვიფიქრო: რა ვიყავ, რა ვარ და ან რა უნდა ვიყო.

გამეცალე-მეთქი, მთვარევ, ჩემ ოთახში ნუ იჭყიტები... ნუ ნუ მაცდენ. ხვალ დილით ეს ქაღალდები მზამზარეულად ნაანგარიშევი უნდა ჩავაბარო, თორემ...

არ გეყო, რაც გითხარი, შე მაცდურო? ესეც შენ სიკეკლუცეს დაუმადლე, უკვდავების ღმერთივით რომ წამომხართეძოვებულხარ თეთრად გადაპენტილ ღრუბლებზე. რა ლამაზი, რა საოცნებო რამა ხარ! ხედავ, როგორ შურით შემოგყურებენ თვალჟუჟუნა ვარსკლავები? ჩვენც ეგრე კატასავით შევსცქნავით ხოლმე მაღალ კანტორკაზე ყვავის კიკოსავით წამოსკუპებულ ნოღას, როდესაც იმისაგან მოწყალებას გამოველით...

კმარა, გეთაყვა, ნუ კეკლუცობ! შენ რომ იცოდე რა ქარცეცხლი დამატეხა თავზე დღეს ნოღამ, მაშინათვე გადაცურდები მთას იქით... გაგიკვირდება ერთისაგან მეორის ასეთი დამცირება!

მაინც არ მშორდები? იქათქათე, ჯანი გამვარდეს! განა ვინ არის სამართლიანი, რომ შენ იყო!

ეხ, ნოღა, ნოღა! ნეტავ იცოდე, რა ცეცხლი ტრიალებს ჩემს გულში, რა გრძნობებს მიღვიძებს თავისუფალი, ამაყი მთვარე... ნეტა ახლა ჩემი სატრფო მაინც მაჩვენა!.. ფუი, ეშმაკო! კიდევ საოცნებოთ მიწვევ? რით ვერ გაიგე, მთვარევ პირბადრო, რომ საოცნებოთ არა ზცალიან... ხვალ, ხვალ თუ არ ჩავაბარე ეს სამუშაო, სამსახურიდან გამომაგდებენ და დაკარჩები მშიერი... მერე ვის მივმართო? ფეხებზე ჰკიდიათ, თუ მე მთელის ბუნების გულში ჩასვენება შემიძლიან...

— მე უბრალო გადამწერალი ვარ და ეს წოდებაც რომ დაეკარგო, მაშინ უყურე შენ ქვეყნის განგაშს!

ოხ, როგორ შეურაცხყო დღეს ჩვენმა ნოღამ!

„რა ღმერთი გაგიწყრა, ამდენი ხანია ამ ოხერ ქაღალდებსა ჯღაბნი და მაინც ერთი გრაფა მეორისაგან ვერ გაგირჩევია, ციფრებს აბდა-უბდა სხავო“ მართალი კი სთქვა... მაგრამ თუ არა მანქანას, განა ადამიანს შეუძლიან ჩემი სამუშაოს შეუცდომლათ გაკეთება?

კალენდრის ენა უნდა ვიხმარო, რომ აგიწეროთ ჩემი სამუშაო! წარმოიდგინეთ, ბატონებო, თქვენის სიგრძე-სიგანის ქაღალდი. ის ქაღალდი აჭრელებულია ათასგვარი ხაზებით, ათი-ათასი უჯრედებით. ქარხნებიდან მონაწერის წერილებიდან უნდა ამოიკითხოთ საგნის სახელი და მისი ღირებულება. ეს სახელი უნდა მოძებნოთ ამ ხაზებით აჭრელებულ ქაღალდზე, ასწიოთ ღირებულების მაჩვენებელი ციფრი და ჩასვათ შესაფერ უჯრედში. ასე უნდა მოიქცეთ ვიდრე ყველა წერილს არ გადაიკითხავთ და ყველა უჯრედებს ციფრებით არ გაავსებთ. ეს არაფერი!.. უბედურება ის არის, რომ ვიდრე მკვდარივით გაქიმულ ქაღალდზე კალმის გაყოლებით მიაგნებდეთ შესაფერ უჯრედს, ამონაკითხი ციფრი კიდეც გავიწყდებათ. მის გასახსენებლათ რომ თავს წამოიღებთ გვერდზე გაშლილ წერილებისაკენ, ნაპოვნი უჯრედი გეკარგებათ და ასე და ამ გვარად მთელი დღე კოდალასავით იქნევთ თავს, თვალებს ძალას ატანთ, მეხსიერებას იკრებავთ, კისრის ძარღვებსა და ყურებს იქიმავთ, სულთქმას იხუთავთ და მანქანათ გადაქცეული მთელ თქვენ ძალღონეს ღუპავთ.

შაგრამ მაინც არა გამოდის-რა! შეუძლებელია თვალი არ აგიგორდეთ, უჯრედი არ შეგცდეფ და ან რომელიმე ციფრი უადგილო ადგილს არ მიახეტოთ. მაგრამ ვინ გაპატიებთ? შეგცდათ?.. ცუდი მომუშავე ყოფილხართ, მორჩა და გათავდა!.. წარმატებას ნუ მოელით. მეტადრე თუ ნოლაც არა ხართ!

ოხ, ნეტა ამ გრაფების მომგონი ჩამიგდო ხელში, ვამუშაო თავის გამოგონილზე, რომ გაჩენის დღე დაიწყევლოს!.. მაგრამ მგონი ყველა ისეთი სამუშაო გიჟების მოსაჭკეიანებლად გაუჩენიათ.

დღეს დილით გადავწყვიტე უეჭველათ თავ-დავიწყებით შემუშავნა და ჩვენი ნოლას საყვედური თავიდან ამეცილებინა. ხაზებით აჭრელებული ქაღალდი დაბალივით გავჭიმე, ქინძისთავებით მაგიდაზე დავამაგრე. პიჯაკის სახელოები დავიკაპიწე, თმები გადავივარცხნე, რომ თვალებზე არ წამომხროდა, გავკმიდე ხმა, გარეშე ფიქრები კეფაში მოვიმწყვდიე და უსუნთქებლივ შევუდექი ციფრების წიალსა: „ათი კოლოფი წუმწუმა ღირს ექვსი კაპეიკი“ ამოვიკითხე ქარხნიდან მონაწერ წერილში. „ექვსი კაპეიკი, ექვსი კაპეიკი... წუმწუმა, წუმწუმა,—ვიმეორებდი გუნებაში და თან ქაღალდზე იმ უჯრედს ვეძებდი, რომელსაც თავზე წუმწუმა ეწერა. ვიპოვნე კიდეც, მაგრამ, რადგანაც უჯრედის ძებნაში კალამს მელანი უკვე შეაშრა, უჯრედს მარცხენა ხელის მაჩვენებელი თითი დავაფარე. კალამი მელანში ამოვაწე და გულდამშვიდებით დანიშნულ უჯრედში გამოვიყვანე „ექვსი“. თურმე წუნწუმის უჯრედში როდი ჩამისვამს ის დაწყევლილი „ექვსი“. თითი ამცდენია და „ექვსი-სათვის“ უადგილო ადგილას მიკვრევინებია თავი.

გავათავე „ვედომოსტის“ შედგენა, თავისუფლად ამოვისუნუქე და კმაყოფილებით გავუწოდე ჩვენ ნოლას. ნოლამ თვალიერება დაუწყო. ნწყერივით გავინაბე და მის სახის ცვლილებას ვუყურებდი. გული ძიკანკალებდა, რადგანაც ნოლა შეცდომას არ მაპატიებდა ხოლმე. დანარჩენი ჩემი ამხანაგებიც ხმა გაკმენდილი მუშაობდნენ, ყველა თავის საქმეს ჩასჯდომოდა. კანტორაში სიჩუმე გამეფებულიყო, მარტო კალმების უსიამოვნო წრიპინი-ღა არღვევდა მკვდრულ მდუმარეობას.

უცბად გაისმა ნოღას ულვეხი სიცილი. გეგონებოდა ცხენმა დაიხვიხვინაო. მოხელეებმა თავი მაღლა ასწიეს და ერთმანეთს შეაჩერდნენ. ზოგმა მათგანმა—მოცინარე უფროსი რომ დაინახა—უაზროთ, სულელურათ დაიწყო ღრეჭა, უფროსისთვის უნდა ესიამოვნებინათ. მე ჭირის ოფლმა დამასხა.

— რაო? ათი ფუთი რკინა ღირს ექვსი კაპეიკიო? ხა, ხა, ხა!—ხვიხვინებდა ნოღა და თან დაცინვის თვალით მიყურებდა...

— აი კიდეც!—დაიგმინა ნოღამ,—ასი ცოცხი ღირს... აბა დახედე, ყმაწვილო, რა ფასი დაგიდვია ასი უბრალო ცოცხისათვის?—დაცინვით მომმართა მე.

მე გავუითრდი, თვალები—ამებლარდა, ვერაფერი დავინახე რა.

— ბატონებო, — მიჰმართა ნოღამ ჩემ ამხანაგებს,—ამ ვაუბატონის აზრით ასი ცოცხი ღირს... აბა გამოიცანით რამდენი?..

მოხელეებმა ღრეჭა დაიწყეს... ლმობიერის სახით გამოცნობას ცდილობდნენ.

— ვერ გამოიცნობთ! ასი ცოცხი ღირს ასი მანეთი! ხა, ხა, ხა! აი ასეთი მუშა უნდა, აი!—აღარ ისვენებდა ნოღა.

იმ წუთში ცხრაჯერ მოვკვდი და ცხრაჯერ გავცოცხლდი. სისხლი გულში ჩამექცა და ვწყევლიდი ჩემ გაჩენის დღეს, ვწყევლიდი ჩემ გაფანტულობას, ვწყევლიდი იმას, ვინც ჩემდა სამარცხვინოთ ეს უჯრედები მოიგონა... ნოღამ მძიმედ დაკეცა „ეედომოსტი“, გადმომიდო და მითხრა: წაიღე სახლში, გადასწერე, იანგარიშე და ხვალ დილით მოიტანე. ხოლო თუ კიდევ მოგივა შეცდომები მაშინ კი მშვიდობითო.

ახლა ხომ გაიგე: მთვარეე, რომ ჩემ ცოდვაში დგები, ნუ მაცდენ, მოშორდი, მოშორდი ჩემ ფანჯრებს, შენის ღვთის გულისთვის!..

ოხ, შემომქმედო! რატომ მანქანა არა ვარ! რისთვის მომეცი გული, გონება და აღმაფრენა, თუ კი ნოღების დასაცინი, მათი სათამაშო შევიქნებოდი?!

სანახსოვრო ღამე

მოთხრობა

შობის წინა დღე იყო. სადილათ პავლე ბარიშვილთან ვიყავ დაპატიჟებული. ჩემს გარდა ნიკო და ტატოც დაესწრნენ ამ სადილს. ნადიმი გაგვიგრძელდა და პავლესთან თითქმის ღამის ორ საათამდის დავრჩით.

სხვისა არ ვიცი, მაგრამ მე კი მთელი ჩემი სიცოცხლე პავლეს სახლში რომ ვყოფილიყავ, არ მონწყინდებოდა. ამას სმისა და ჭამისათვის არ მოგახსენებთ. მე სულ სხვა მიზეზი მქონდა. მაგრამ ვიდრე ამ მიზეზებს შეიტყობდეთ, მსურს მოკლეთ გაგაცნოთ პავლე ბარიშვილი, თუმცა იმან დიდი ხანია თქვენი ჭირი წაიღო. ღმერთმა აცხონოს... კაი კაცი ყოველთვის დაუვიწყარია!..

იმ დროს, რომელსაც ჩვენი მოთხრობა შეეხება, პავლე ბარიშვილი უკვე ხნიერი თვალსაჩინო მოხელე და შეძლებული კაცი იყო. ცხოვრების ორომტრიალს და ათასგვარ გაჭირვებას ცოტა არ იყოს დაეშინებია, მოეთელა, მაგრამ მაინც საყვარელი იყო ყველა ნაცნობებისათვის. იმის დინჯი და აუჩქარებელი ლაპარაკი, ზრდილობა და გულწრფელობა ბევრს ყმაწვილ კაცს დაამშვენებდა, ხოლო იმისი გაშლილი სახე, თეთრი ფაფუკი წვერ-ულვაში და თეთრივე გრძელი ხუჭუჭი თმები—ანდამატივით იზიდავდა ადამიანს.

პავლე ხელგაშლილი კაცი იყო და სასიქადულოთაც გაგვიმასპინძლდა... სტუმრები ჭიქას-ჭიქაზე ცლიდნენ და ლაპარაკს უძატებდნენ. ყველაზე ბევრს თვით პავლე ლაპარაკობდა და ოხუნჯობდა. მე კი პირში წყალჩაგუბებულივით ვიჯექ სუფრაზე და თვალ-ძაფ გაწყვეტილი შევყურებდი... პავლეს გასათხოვარ ქალს. მომწონდა, მიყვარდა მე ის ქალი და როცა კაცი პირველი სიყვარულით არის გატაცებული, განა იმას კიდევ სმა-ჭაჭისათვის ცხელა?..

სადილი გავათავეთ, სუფრიდან ავიშალენით და სასტუმრო ოთახში გავედით. ეს ოთახი რაღაც საიდუმლოებით იყო

მოცული: ძვირფასი და რბილი სავარძლები, ძვირფასი აუ-
რათები, ძვირფასი ჩარჩოები, ძვირფასი ფარდები, საოცნებო
ყვავილები, როიალი, სხვადასხვა ფორმის და დანიშნულე-
ბის მაგიდები, დათვის ტყავები და ხალიჩა-ფარდაგები ერთ-
მანეთში არეულიყვნენ, ერთი ერთმანეთსა სჯობდნენ... მე ყო-
ველთვის თვალები მიჭრელდებოდა, როდესაც ამ სასტუმრო
ოთახში მოვხვდებოდი ხოლმე, და დღეს უფრო თავბრუს მას-
ხამდა იმიტომ, რომ... ცოფივით მქონდა მორეული ლამაზი
კეკეს სიყვარული. უკანასკნელად ვტყორცნე თვალები კეკეს,
ბარბაცით გამოვედი სასტუმრო ოთახში და ბუხრის შორი-
ახლო, დარბაზის კუთხეში სავარძელში ჩავჯექი... სხვებიც
ბუხარს შემოუსხდნენ, გააჩაღეს პაპიროსები და რაღაც ფიქრებს
მიეცნენ...

გარეთ თოვდა, ციოდა, ზამთრის გაშმაგებული ქარი გულ-
მოსულად აწყდებოდა სახლის კედლებს და ფანჯრებთან გა-
ჯავრებით ღმუოდა... ჩვენი ბუხარი კი თითქოს ქარს ნიშნს
უგებსო, საყვარლად გუზგუზებდა, სითბოსა და სიტკბოებას
ავრცელებდა ჩვენს გარშემო... ოჰ, რა კარგია ცივ ზამთარში
თბილი ბინა, განცხრომით ბუხართან ჯდომა. ვაი მარტო ღა-
რიბებს!..

დიდხანს ვიჯექ ხმა ამოუღებლად. ნამეტნავად პავლე და-
ფიქრებულიყო და თვალებად გადაქცეული ოცნებით გა-
მოკიდებოდა რაღაც მოგონებას, მისი სახე ხან იღუშებო-
და, მაღალი შუბლი უნაოჭდებოდა და თვალები ცრემლებით
ევსებოდა. ხან კი ეღიმებოდა, ნეტარებით ენთებოდა და სახე
წმინდანივით უბრწყინდებოდა.

ჩვენც ვსდუმდით. ქარი კი გარეთ, ფანჯრებთან, დაჭრილი
მხეცივით ღმუოდა.

ბიჭმა ჩაი შემოიტანა. უკან დიასახლისი შემოჰყვა. (პავ-
ლეს ქალი. პავლე ქვრივი იყო და ერთად ერთი ქალის მეტი
არავინ ჰყავდა). მე კეკეს შემოსვლა არ დამინახავს. მხოლოდ
ვიგრძენ, რომ ისიც აქ უნდა ყოფილიყო. გაუბედავად მიმო-
ვიხედე და დავინახე, რომ როიალზე იდაყვით დაყრდნობილი
სათითაოდ ყველას გვათვალიერებდა... მისი თვალები მოხვ-
დნენ ჩემს თვალებს და წუმწუმასავით ავენთე, შვლის ნუკრი-
ვით დავიწყე თრთოლვა... მთელ ჩემ სიცოცხლეს დავუნაცვლებ-

-დი, ოლონდაც კი იმ დროს ნება მქონოდა, რომ მისი ცის კამარა თვალები დამეკოცნა!..

— ბატონო, ჩაი მიირთვით!—უთხრა ბიუმა პაელეს და ხონჩით ჩიქა გაუწოდა.

— ჰა? ჩაი?..—გამოერკვია პაელე ფიქრებისაგან, ცოტა შეწითლდა და ჩვენთან თავაზიანად ბოდიში მოიხადა, რომ აქამდის დაფიქრებული იყო.

— ეჰ, ყმაწვილებო,—მოგვმართა ჩვენ,—თქვენ რომ იცოდეთ, რა მოგონებას მიღვიძებს ამაღამინდელი ღამე, სიჩუმისათვის აღარ გამამტყუნებთ. ამაღამინდელი ღამე ჩემთვის სამოთხეცაა და ჯოჯოხეთიც, ტკბილიცაა და ნწარეც... აი ეს მოგონებაც... მაგრამ ამ წუთში დალაგებით ვერ გელაპარაკებით. ცოტა მომითმინეთ და მაშინ კი ავასრულებ დანაპირებს... შვილო კეკე, აბა გეთაყვა, დაუკარ და დაამღერე ჩვენი საყვარელი რომანსი რომ არის: „Под вечер осени ненастной“...

კეკე თითქოს მომზადებული იყოო, მკვირცხლათ მოუჯდა როიალს, თვალები აათამაშა და ტკბილის ხმით დაიწყო სიმღერა. შემდეგში გავიგე, რომ პავლე ყოველ შობა ღამეს ამღერებდა თურმე კეკეს ამ რომანსს და ბუხართან მარტო შჯდომარე ცრემლებად იღვრებოდა.

მღეროდა კეკე გულსაკლავად, დინჯად. თითოეულ სიტყვას გარკვევით ამბობდა, თითოეულ ასაპაღლებელ გრძნობას აქსოვდა, გულს აკლავდა. მე ნეტარებით ვავდნი, დავილიე. თვალები ცრემლებით ამევსო და მზათ ვიყავ სიყვარულად დავმდნარიყავი. სხვებიც ნაღვლიანად უგდებდნენ ყურს. მხოლოდ პავლე ხომ სულ მთლათ ჩაიფერფლა.

ჩაკვდა უკანასკნელი ამონაკვნესი როიალისა, მისწყდა კეკეს ხმაც და დარბაზში საშინელი და გამოუთქმელი სევდა გამეფდა. გეგონებოდათ მთელი დარბაზი, მთელი ავეჯეულობაც კი ოხრავენო. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ხმის ამოღებას კი არა, განძრევასაც ვერ ვახერხებდით. ისე შეგვიპყრო სევდამ...

მარტო ზამთრის ქარი ისევ გაბრაზებით დაბღუოდა ჩვენ ფანჯრებს.

— დიაღ, ბატონებო... შემოდგომის ერთ ღამეს კი არა

და... ერთ შობა ღამეს კი გადამხდა ისეთი ამბავი, რომელმაც მთელ ჩემ ცხოვრებაში გააელო ცეცხლის კვალი და რომელიც აქამდის არავისათვის არ მიამბნია. მარტო ჩემმა ქალმა იცის მოკლეთ, ზოგადათ... არც არავის ვუამბობდი. მაგრამ თითქოს ვგრძნობ, რომ ეს ღამე უკანასკნელი შობის ღამე უნდა იყოს ჩემ სიცოცხლეში და ამიტომ ურიგო არ იქნება ვალიარო ყველაფერი... ყმაწვილები ხართ, გამოგადგებათ, ჭკუას ისწავლით,—დაბალის ხმით დაიწყო პაელემ, თითქოს სამარიდან ამოიძახისო და ყველანი ჩამოგვათვალიერა... ჩაის სასმელად მოვემზადეთ. კეკე ჩემს ახლო გადმოჯდა და სმენად გადაიქცა...

— თქვენ კარგად ხედავთ, ყმაწვილებო, ვინცა ვარ და რაცა ვარ,—განაგრძო პაელემ.—მაგრამ ის კი ყველას არ გეცოდინებათ, რა ვიყავ ამ ოცდაათი წლის წინათ... ან კი საიდან გეცოდინებათ, მაშინ ზოგი თქვენგანი დაბადებულიც კი არ იქნებოდა.

პაელემ შეისვენა, თმებსა და წვერებზე ხელი ჩამოისვა, ამოიოხრა და განაგრძო. ამ ოცდაათი — ხუთმეტი წლის წინათ, ესე იგი, როცა ოცი, ოცდახუთი წლის ბიჭი ვიყავ, ასე როდი ვცხოვრობდი. მაშინ არც სახლი მქონდა, არც კარი და არც ქონება... სიმდიდრისა და ქონების შეძენა მარტო პრაქტიკულ, ცხოვრებაში გამოჯეკილსა და ანგარიშიან კაცს შეუძლია... რასაკვირველია არიან „ახალგაზრდა ბებრებიც“, რომლებიც პატარაობითვე, იმ თავითვე, ქონების შეძენას, თბილ ბინას ისახავენ თავიანთ იდეალად, მაგრამ მე ასეთ ახალგაზრდებს არ ვეკუთვნოდი და მართალი გითხრათ, სულითა და გულითაც მეჯავრებიან ასეთები... ან კი რა ახალგაზრდაა ის, ვინც ბებერივით სულ „შავ-დღეზე“ ფიქრობს და ხალხთა უანგარო სამსახური ეჩოთირება, რა ადამიანია ის, ვინც კაპეიკებს ჩაბღუის და ქონებითა ზომავს ადამიანის ღირსებას...

ჰო, ირას ვამბობდი: ამ ოცდაათი წლის წინათ არაფერი გამაჩნდა. მამაჩემი, ჯერ ისევ პატარა ვიყავ, რომ გარდაიცვალა. სასულიერო წოდების კაცი გახლდათ. დედაჩემსაც წუწუნსა და ღვთის ყვედრებაში მალე ამოუვიდა სული. ჩემთვის ერთი ძველი დავითნისა, პირმოტეხილი ქილებისა და

ბის ქოხის მეტი არა დაუტოვებიათ რა. მთელი ჩემი მამეულ-დედეული გახვრეტილ ფარად არა ღირდა. საშინელ და აუწერელ სიღარიბეში გავატარე ჩემი სიყმაწვილე. მართალია უფრო ხშირათ ბურსაში ვიყავი, მაგრამ ორ წელიწადში სამჯერ მაინც გამომაგდებდნენ ხოლმე და აი მაშინ იყო ჩემი ჭაპან-წყვეტა! მშიერი, ნახევრად შიშველ-ტიტველი მგელივით დავძრწოდი ქალაქის ქუჩებში და შეჩვენებულივით ვიბღვირებოდი... ძალიან კარგად მახსოვს ჩემი მაშინდელი ყოფნა, მაგრამ ყველას ხომ არ იტყვის კაცი... რის ვაივაგლახით გავათავე სასწავლებელი და ცხოვრებაში გამოველ.

იმედებით აღსავსეს თავი მდევი მეგონა და ცხოვრება—სამოთხე!.. აი ამ დროს შემიყვარდა ერთი ქალი... სიყვარული ბრმა არისო ამბობენ—მაგრამ ასეთი სიბრმავე, როგორიც მე დამემართა, არ გაგონილა!

ჩემი სატრფო მდიდარი და ცნობილი კაცის ქალი იყო, ფუფუნებასა და სათუთობაში აღზრდილი. როგორც დედამიწა ცას ვერ შეწვდება, ისე მე იმას ვერ შევწვდებოდი!.. კიდეც რომ გამემხილა ვისთვისმე ჩემი გრძნობა, გიჟად ჩამთვლიდნენ... დავიწვი, დავდნი წმინდა სანთელივით... ჯოჯოხეთად გარდაიქცა მთელი ჩემი სიცოცხლე, ფიმისოდაც უვიცი—უნდა მოგახსენოთ, რომ სასწავლებლიდან დიდი სურვილებისა და იმედების მეტი არავითარი სასარგებლო ცოდნა არა გამომიტანია-რა—სულ მთლათ გამოვყეყეჩდი. ვერაფერ საქმეს ვერ მოვკიდე ხელი... წიგნს რომ გადავშლიდი ხოლმე წასაკითხათ, ფურცლებზე, ასოებისა და სიტყვების ნაცვლად, იმის სახე მეხატებოდა... უხილავ ცეცხლის ალზე ვიწოდი და ჩემი მხსნელი კი არავინ იყო. კეთილგონიერება ხომ სიყვარულს არა ველის?.. ვიყავ ერთ ტანჯვაში. მთელი დღე იმის გზას ვადაქი, იმის ფანჯრებს შევყურებდი. ოხ, როგორ მიყვარდა! სიცხისავან დამსკდარ დედედამიწას ისე როგორ გაახარებს შხაპუნა წვიმა, როგორც მე იმისი დანახვა გამეხარდებოდა ხოლმე!

დავინახავდი თუ არა ქუჩაში, ფინიასავით ავედევნებოდი ხოლმე და ცრემლმორეული თვალებით შევყურებდი. ერთ ხანს ძალიან უკადრისობდა ჩემი სატრფო ჩემს ასეთს საქციელს, მაგრამ მგონი შეეჩვია და არა ერთხელ გამიღიმებდა

ხოლმე. მაშინ კი ახლათ ვიბადებოდი და ათას გვარ ოცნებას ვეძლეოდი.

გადავწყვიტე როგორმე გამეცნო, დავახლოვებოდი, მაგრამ სად გავიცნობდი? ის ისეთ საზოგადოებაში დადიოდა, რომ მე იქ ლაქიადაც არ მიკადრებდნენ, ისეთ კლუბებსა და წვეულებებში იყო ხოლმე, რომ მე შვეიცარი კინწისკვრით გამომაგდებდა... ფული არ მქონდა და შესაფერი შეძლება. არც ნაცნობები მყვანდა. ვიცნობდი რამდენიმე ბერს, რამდენიმე მღვდელს და რამდენიმე დიაკვანს, მაგრამ ისინი რას მიშველიდნენ?

ეხ, ცხოვრებავ, ცხოვრებავ, სწორეთ ტრაღი-კომედია ხარ!..

პავლემ კვლავ შესწყვიტა ლაპარაკი, პაპიროსს მოუკიდა და ყველანი კიდევ ჩამოგვათვალიერა. ჩვენ გამოქანდაკებულივით ვისხედით... თითოეული ჩვენთაგანის გულის თქმა პავლეს ნაამბობს თავს დასტრიალებდა...

— რატომ არ გეცინებათ, ყმაწვილებო, ჩემ მაშინდელ საქციელზე, განა გიჟობა არ იყო?— ღიმილით შეგვეკითხა პავლე.

ჩვენ ჯერ ხმას არ ვიღებდით.

— საცინელი არ არის,—დავარღვიე სიჩუმე,— სიყვარულიც დიდი გამოცანაა, თუმცა არა ერთმა და ორმა გენიოსმა შეალია თავისი ძალღონე მის გამოცნობას-მეთქი,—გაუბედავად დავათავე სიტყვა. ძალა-უნებურათ კეკეს შევხედე.

პავლემ თვალი შემასწრო და დამაშტერდა. გაეწითლდი. თავი ძირს დავხარე...

— არა, საცინელი კია ჩემი მაშინდელი ყოფნა, მაგრამ რათა ხდება ხოლმე ასეთი მოვლენა, რომ ყოველივე ლოღიკის წინააღმდეგ კაცს ქალი შეუყვარდება,—ეს კი სწორეთ გამოცანაა,— ჩამომართვა სიტყვა პავლემ და განაგრძო:

„ბედმა გამიღიმა. ერთ ოჯახში გაკვეთილი ვიშოვნე. ამ ოჯახშივე იყო ერთი ახალგაზრდა ქალი, ქალთა ინსტიტუტში ნამყოფი. ბოლოს გამოდგა, რომ იგი ქალი ჩემი სატრფოს ნაამხანაგარი ყოფილა!.. სიხარულის ცა გამეხსნა, მაგრამ როგორ გამემხილა ამ უცხო ქალისათვის ჩემი გულის თქმა, ამას კი ვეღარ ვახერხებდი...

„უნდა მოგახსენოთ, რომ ღარიბსა და გაუბედავს თვალტანადობა კარგი მქონდა. გარდა ამისა ორისამი წლის გან-

მავლობაში ცოტა გამოვიცადე, ბურსაკობას გადავეჩეი, ლაპარაკი და სიტყვა-პასუხი ვისწავლე...

მე და ინსტიტუტკა ყოველ დღე ვხდებოდით ხოლმე ერთმანეთს. თურმე საბრალოს შევყვარებოდი კიდეც და მე სხვის სიყვარულით დაბრმავებული რას მივხვდებოდი!.. ის თავისთვის თურმე იტანჯებოდა და მე ჩემთვის... ვინც იყო ის ქალი, ამის შესახებ მერე გაიგებთ, ჯერ კი ქვემოთ მოისმინეთ...

რის ვაი-ვაგლახით გავუბედე ჩემ ნაცნობ ინსტიტუტკას და ვთხოვე გაეცნო ჩემთვის ის ქალი. საწყალი ინსტიტუტკა მოკვდა, ჩაიფერფლა!..—ძალიან გიყვარსო? ისეთის კილოთი შემეკითხა, რომ ჩემს მეტი ყველა მიხვდებოდა, რა ძნელი გასაგონი იქნებოდა მისთვის ჩემი გადაწყვეტილი „ჰოს "თქმა.

მე და ინსტიტუტკა ძალიან ხშირათ ელაპარაკობდით ხოლმე საზოგადოთ სიყვარულის შესახებ (ან კი სხვა რაზე ილაპარაკებენ ყმაწვილი ქალი და კაცი, ყველაზე დიდი და ნეტარი გრძნობა სიყვარულია—მეტადრე ნორჩი გულისათვის) და თამამად ვუთხარი:

— მიყვარს ისე, როგორც მიწას ნამი და ირემს ულრანი ტყე-მეთქი.

— მაშ კარგი, გაგაცნობთ, მაგრამ თანაგრძნობისა იმედი ნუ კი გექნებათ...—ყრუდ მიპასუხა და მომშორდა:

ამის შემდეგ მთელი ორი კვირა თვალით აღარ დამნახვებია. წარმოიდგინეთ ჩემი ტანჯვა. ქვეყანაზე ერთად ერთი არსება იყო, რომელსაც გავუზიარე ჩემი გულისთქმა, რომელთანაც თამამად შემეძლო იმაზე ლაპარაკი და ისიც დავკარგე!.. გამიმწარდა სიცოცხლე. თავს სასიკვდილოდ არ ვინდობდი.

ორი კვირის შემდეგ მოვიდა ჩემთან ინსტიტუტკა. გამეხარდა, მეგობრულად მივესალმე და ცოტა ვუსაყვედურე კიდეც. საცოდავი ძალზე შესუსტებულიყო. თვალს ვერ მისწორებდა... ახლა კი მივუხდი გულის თქმას, მაგრამ... მე ის მიყვარდა და რა მექნა? სიყვარული ქალისადმი ეგოისტური გრძნობაა, იგი ქვაკუთხედია ჩვენი „მე"-სი'..

— ვნახე, ყმაწვილო, თქვენი დულცინეია *... ვუამბე ყვე-

* დულცინეია დონკიხოტის სატრფოს ერქვა.

ლაფერი!.. ის თქვენ კარგად გიცნობთ... თურმე მოსვენებას არ აძლევთ... სულ თვალწინ ეჩხირებით...—ნაწყვეტ-ნაწყვეტად მითხრა ჩემმა მეგობარმა ქალმა.

— მერე? მითხარი ყველაფერი, მითხარი, ღვთის გულისათვის-მეთქი!—აღარ ეასვენებდი.

— მე გირჩევთ იმას თავი დაანებოთ, თქვენი შესაფერი არ არის... ვერც შესწვდებით...—მოკრძალებით მითხრა ტასომ და თავი ძირს დახარა.

მე გული მომიეიდა. ჩემ შეურაცყოფად კი არა, მ ი ს შეურაცყოფად მივიღე ეს სიტყვები და თავდაუქერლად ვუთხარი:

— ყმაწვილი ქალი ყმაწვილ ქალის შესახებ თავის დღეში კარგს არ იტყვის.

— მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ სცდებით,—წამოწითლებით მითხრა და მეორე ოთახში გავარდა...

ეჰ, რაღა ბევრი გაგიჭრელოთ, ვისაც კი ვინმე ჰყვარებია, იგი წარმოიდგენს რა ცეცხლშიაც ვიქნებოდი, ხოლო ვისაც ჯერ არა ჰყვარებია, იმას სასაცილოთაც არ ეყოფა შეყვარებულის ყოფნა და ამიტომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ, მოკლეთ მოვჭრი.

ის ქალი გავიცანი... ერთ-ორჯერ ველაპარაკე. გულახდილათ ვუამბე ჩემი ტანჯვა და ვთხოვდი ჩემთვის დღენი არ გაემწარებინა.

იმან უზრუნველათ გადიკისკისა და თავის მხრით მთხოვა: მასთან ნაცნობობა შეეწყვიტა... ასე დასრულდა ოფიციალური მხარე ჩემის სიყვარულისა, მაგრამ ჩემს გულს კი ვერსად გავექეცი, ვიდრე დრომ და ცხოვრებამ ჩემ პირველ გრძნობას სიმწვავე არ გამოაცალა...

დიახ, დრო, ეამთამსვლელობა ყველაფრის წამალია, ჩემო ბატონებო, იგი როგორც კარგი დოსტაქარი ამოსჭრის ხოლმე გულიდან გრძნობის სიმწვავეს, მაგრამ ნაგრძნობი, ნაკვალევი კი ისევე რჩება გულში. დრო ფერფლავს ნაღვერდალს, აშრობს მდინარეებს, აოხრებს სოფელ-ქალაქებს, მაგრამ ქვეყნის ზედა პირი კი მოწმეა მათი არსებობისა!

შობა ღამეც მოწამეა ჩემის მღელვარე ცხოვრებისა!..—ხელ ჩაქნევით წარმოსთქვა პავლემ და ჩაფიქრდა.

ქარი გაჯავრებით აწყდებოდა კარ-ფანჯრებს და ისე გმინავდა, როგორც მომაკვდავი...

იმ ღამესაც ასეთი ქარი ჰქროდა,—განაგრძო პაველმ,—მაგრამ ასეთი ბინა კი არა მქონდა!..

ეს იყო 1°7... წლის შობა ღამეს, ერთი წლისა და სამი თვის უკან მას შემდეგ, რაც მე და იმან ნაცნობობა შევწყვიტეთ... როგორც დაჭრილი ნადირი აღარ გამოდის ხოლმე ბუნაგიდან, ისე მეც არ ვშორდებოდი ჩემ ბინას. მთელი დღე თითქმის პირქვე ვეგდე ჩემ. გამხმარ ლოგინზედა შავი ფიქრებით გარემოცული ჩემსავე თავს ვეჩხუბებოდი... ყველას ჩამოვშორდი, ყველას დავავიწყდი და მეც ყველა დავივიწყე. ამ ხანებში პოლიციასთანაც მომიხდა შეტაკება და ეს უფრო აორკეცებდა ჩემ გაჭირვებულ მდგომარეობას.

სასტიკი ზამთარი იყო. გაავზნებული ქარი თავზე მანგრევდა ოთახს, რომელიც ოთახს კი არა საქათმეს უფრო გავდა და რომელიც ტალახის ქუჩაზე ერთი სომხის ოთხსართულიან სახლის ჩრდილში იყო მოფაცხული. ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა. მე ჩვეულებისამებრ ტახტზე ვიყავ წაპოწოლილი, ბეჭებზე ჩემი გახუნებული პალტო მედო და სიცივისაგან ვცახცახებდი. ქარი კი... შეუბრალებელი ქარი არ ისვენებდა: გიჟი მოზვერივით აწვებოდა ჩემი ფაცხის კარებს და წუწუნით შემოქშუტუნებდა ფარღალალა კედლებიდან. ისე გავიყინე, რომ გადაბრუნება-გადმობრუნების თავი აღარ მქონდა. ფეხები დამაზრო. ასე მეკონა ხელფეხი ჩემი აღარ არის მეთქი. ვიწექ ტახტზე რუმბივით გაგუდული და ყურს ვუგდებდი სახურავიდან ახეთქილ ქესტის ფხაკუნს, ქარის კოწიაწს. არაფერზე არ ვფიქრობდი ახრიანათ, მხოლოდ ათასში ერთხელ გაშირბენდა ხოლმე თვალწინ იმის სურათი, მაგრამ ისე ბუნდოვნათ, რომ ვერ ვარჩევდი სახის ნაკვთებს...

ჩემი იაფფასიანი ლამპარი საცოდავად ბჟუტავდა, ფიქრები მეხლართებოდა, ნახევარი ადამიანი-ღა ვიყავი...

უცბათ შემომესმა კარების კაკუნი. ყური წავუგდე. კაკუნი კიდევ განმეორდა...

ბუზღუნითა და ვაი-ვაგლახით წამოვდექ ლოგინიდან და დაკრუნჩხულმა ძლივ-ძლივობით ავუგდე კარებს რაზა.

ოთახში შემოვიდა თავ-პირ ახვეული თბილსა და გრძელ

წამოსასხამში გახვეული ქალი. მე შევკრთი, მოჩვენება მეგონა, ხოლო როცა თავპირი მოიხსნა, ჩემ წინ იდგა ის... ჩემი სატრფო!

— თქვენი სატრფო?! — ანგარიშმიუცემლათ წამოვიძახეთ ჩვენ.

— დიაღ! ჩემი სატრფო,—განაგრძო პავლემ.—და... გულზე მიკრული ჰყავდა პაწია ბავშვი, თავისი უკანონო ვაჟი... მე ენა არ მემორჩილება, ბატონებო, გამოვსთქვა მთელი ის ათასფერი და ათასგვარი გრძნობა, რომელიც ამ წამს ჩემს გულში აღვიძდა... ეს იყო გრძნობა სიყვარულისაც, სიძულვილისაც, შეურაცყოფლობისაც, დამცირებისაც, ამაღლებისაც, დაკარგულის იმედის დაბრუნებისაც და კიდევ რა ვსთქვა?.. ეს იყო სიკვდილ-სიცოცხლის გრძნობა...

თავზარდაცემული ვიდექ მის წინ და ენა ვერ მომებრუნებინა, ისიც ხესავით გამშრალიყო...

— რისთვის მოხველით, ქალბატონო.., თქვენმა ფუფუნების მომზირალმა თვალებმა ნეტა როგორ შეამჩნიეს ჩემი ქოხი-მეთქი...—ძლივს-ძლივობით წამოვილუღლუღე და ბარბაცით ტახტზე დავეშვი. მეშინოდა არ წავქცეულიყავ.

— თქვენს მეტს მე არავის ვყვარებიყარ... აი ეს შემინახეთ! ჩემ შვილია, ჩემ ღვიძლზე ნადები... თქვენ მაინც ნუ გამწირავთ!..—ქვითინით წარმოსთქვა მან, ბავშვი გულიდან მოიხსნა, ტახტზე დასდო, მერე სახე გადაუხსნა, დიდხანს, დიდხანს ჩააშტერდა, მაგრად ჩაჰკოცნა, ერთხელ კიდევ ჩაიკრა გულში და ქვითინით კარში გავარდა...

— შემინახეთ... მოუარეთ... ხვალ ყველაფერს გაიგებთ!— შემომძახა კარებიდან და კიბეზე დაეშვა...

შევცბუნდი. გავშრი... დიდხანს ვიდექი გაქვავებული. აზრი ვერ მომეკრიბნა. ისევ ბავშვის ტირილმა გამომაფხიზლა...

— წავიდა? მერე ეს ბავშვი?.. ოხ, ღმერთო ჩემო, რა განსაცდელია!!. მე... მე ისევ მიყვარხარ ჩემო ღვთაებავ-მეთქი,— ხარივით დავიგმინე და მზათ ვიყავ იმ დროს ფეხებში ჩავვარდნოდი იმას, რომლის სურათსაც ოთხი-ხუთი წელიწადი გულით ვატარებდი, მაგრამ გვიან-ღა იყო... იგი სამუდამოდ დაიკარგა ჩემთვის!.. ჩემ გმინვაზე ბავშვი გაჩუმდა და თავისი

მშვენიერი თვალები შემომანათა. იღიმებოდა. ტურფა რამ იყო, სწორეთ ღაბუა ჩიტსა ჰგავდა...

ვუყურე, ვუყურე და დედაკაციეთ ქვითინი ამოვუშვი... ვინ იცის რამდენი ადამიანი იღუპება ჩვენი უსამართლობის, ჩვენი გულქვაობისა და დაუნდობლობის გამო!?

ცრემლებმა გული გადმიბანეს, ფიქრები დამიწყნარეს და ახლა უფრო ნათლად დავიწყე აზროვნება ..

ეს რა ამბავია-მეთქი ჩემს თავს—ვფიქრობდი... სად წავიყვანო ეს ბავშვი?.. სად წავიდა ამისი დედა? რამ აიძულა ბავშვის ჩემთან მოყვანა, როდესაც სხვაგანაც შეეძლო მიბარება-მეთქი? ვეკითხებოდი ჩემ თავს და ათასგვარ საგონებელს ვეძლეოდი... ქარი კი, თითქოს დამცინისო, უფრო ძლიერათ არახუნებდა ჩემი ოთახის კარებს და მის ქვითინს ბავშვის ტირილიც თან ერთვოდა.

კანკალით მივუახლოვდი პაწიას, ხელში უნდა ამეყვანა, დამეჩუმებინა, მაგრამ... ღმერთმა დასწყეველოს ეშმაკი და ადამიანის გულზვიადობა—უცბათ საშინელმა ფიქრმა გამიელვა თავში... ეს ბავშვი ჩემს მოღალატედ, ჩემის უბედურების მიზეზად ჩავთვალე... თუ არა ის, ამ ბავშვის მამა, იქნება ქეთო ჩემი ყოფილიყო-მეთქი... საიდან, როგორ? ის კი აღარ მიფიქრნია. დაკარგული ბედნიერებისა და შეურაცყოფილობის გრძნობანი გულზე მომაწვენ, ტვინი ამერია. ერთხანს მზათ ვიყავ ამეღო ეს პაწია უდანაშაულო არსება და გველის წიწილივით ფეხ ქვეშ გამეთელა. აი, წავატანე კიდეც ხელი, რომ ფანჯრიდან ქუჩაში გადამესროლა, მაგრამ მივუახლოვდი თუ არა, ისეთის ნეტარი ღიმილით გადმომხედა, რომ სულ თვალთ დამიბნელდა...

გამოვერკვიე... ბავშვი მკლავზე მყვანდა გადაწვენილი და ოთახში ვატარებდი. ეძინა მშვიდად, როგორც ცის ანგელოზს. მისმა უმანკოებამ დამიხსნა კაცის მოკვლისა და სინიდისის დაუსრულებელი ქენჯნისაგან.

შევიბრალე კი ბავშვი, მაგრამ არ ვიცოდი რა მექნა, როგორ მომეელო, ვისთვის მეჩვენებინა. ვისთვის რა მეთქა?

გათენებამდის თვალი არ მომიხუჭნია. ფიქრებმა დაშაოსეს...

გათენდა. ქარი ჩადგა. დათოვლილი ქალაქი გასპეტაკებულიყო. დიადი დღესასწაულის მომსწრე ხალხი ქუჩაში ირეოდა. მე სასოწარკვეთილებამ შემიპყრო.

ამ დროს გაიღო კარები და ჩემთან შემოვიდა ჩემი ნაცნობი ტასო. (ასე ერქვა ინსტიტუტკას).

ტასო გაფითრებულიყო. კანკალებდა. ჩემთან შემოსვლისთანავე მუხლთ მოეკეცა, სკამხე დაეშვა და შეწუხებული ხმით მითხრა:

— ყველაფერი გათავდა მისთვის. ქეთოს წუხელის თავი მოუკლავს... ახლა იქედან მოვდივარ... აჰა, ეს წერილიც!.

ტასომ წერილი გამომიწოდა...

წერილში ეწერა:

„ტასო! ეს არის ახლა მივიყვანე ჩემი შვილი, ჩემი უკანასკნელი ნუგეში—შალიკო, პავლესთან, სთხოვე ჩემს მაგივრათ: მოუაროს, აღზარდოს ჩემ სახსოვრათ. თუ მართლა უანგაროთ ვუყვარდი... სხვები მომიკლავენ... მე ცხოვრებასთან ყოველივე ანგარიში გავწყვიტე. ვიდრე ამ წერილს წაიკითხავდე, იქნება ცოცხალიც აღარ ვიყო. ხალხმა, ნათესავებმა, დედ-მამამ მაიძულეს თავი მომეკლა. ოხ! რა უსამართლოები არიან!! მშვიდობით საუკუნოთ! ჩემი შვილი დამიკოცნე. ვაი იმის უბედურ დედას!...

ვინ არის ჩემი შვილის მამა, იმას არ გეტყვი და არც არავინ იცის. დეე, იცოცხლოს პატიოსან სახელ ქვეშ, დეე იყოს ჩემი ცოდვის მზიდველი ამინის უკუნისამდე.

ქ ე თ ო...

წერილის წაკითხვის შემდეგ თვალთ დამიბნელდა და მწუხარების ქვითინი ამომსკდა გულიდან... სამუდამოთ დავკარგე ის არსება, რომელიც ასე გაგიჟებით და ასე მიყვარდა.

როცა დავმშვიდდი, ტასომ ბავშვი გამომიწოდა და გასამმხნევებლის კილოთი მითხრა:

— აი, ამითი ვინუგეშოთ, გავზარდოთ და შვილივით გვიყვარდესო...

თქმა აღარ უნდა, რომ ტასოს ისევ ეუყვარდი და თაკის დახმარებას, თავის მეუღლეობას მპირდებოდა...

მე მადლობის თვალით შევხედე და ბავშვს ხელი მოვკიდე.

— ეს იყოს თავდები ჩვენი მომავალი ცხოვრებისა-მეთქი,—წავიდუდუნე და ტასოს ქვითინით მხარზე დავეყრდნე...

„ეჰ—ჭრელია წუთისოფელი და უფრო ჭრელია—ადამიანის გულისთქმა,—ამოოხვრით განაგრძო პავლემ.—ახლა იანგარიშეთ წრე, საზოგადოება, რომელშიაც იმყოფება ესა თუ ის ადამიანი და ხელში დაგრჩებათ ისეთი „გმირი“, როგორიც მე და ათასი ჩემისთანები არიან.

ტასოს თავგანწირულებამ ფრთები შემასხა და სულ სხვა გვარათ მომართა ჩემი გულისთქმა და... თუმცა ტასოს მშობლები დიდი წინააღმდეგი იყვნენ ჩვენი შეუღლებისა, მაგრამ დავსძლიეთ ყოველგვარი შევიწროება და ზემოთ აღწერილ ამბის შემდეგ ჯვარი გადავიწერეთ...

რასაც აქა ხედავთ, ბატონებო, თითქმის ტასოს, კეკეს დედის, მოტანილია. ჩემი ბევრი არა ურევია რა, თუ, რასაკვირველია, არ ვიგულისხმებთ იმ გარემოებას, რომ ტასოს ნათესავებისავე დახმარებით მე მალე კარგი ადგილი ვიშოვე და თვიურად კარგი ჯამაგირი შემომქონდა სახლში...

პირველ ხანებში მე და ტასო ბედნიერათ ვცხოვრობდით. თუ ბედნიერი ცხოვრება მარტო ფუფუნებაშია, მაგრამ ბოლოს კი ავიშალენით...

ქეთოს შვილი მე ძლიერ მიყვარდა!.. სიცოცხლეს არ დავზოგავდი მისთვის და ეს კი საწყენი შეიქმნა ჩემი ცოლისათვის. ეჭვმა შეიპყრო იგი: მებუზღუნებოდა, მეჩხუბებოდა ხოლმე... დიდი ეგოისტი კია ადამიანი, თუ თქვენც დამეთანხმებით!..

— ჩემზე უფრო ძლიერ შალიკო გიყვარს!—მიხირდებოდა ტასო და იმდენ ხანს მეჩხუბებოდა ხოლმე ვიდრე ბრაზი ცრემლებათ არ აქცეოდა და ვაჩენის დღეს არ მაწყევლინებდა ხოლმე.

ვერა უშველე რა. ვერაფრით დავამშვიდე.

იბობოქრა, იბობოქრა საცოდავმა დი ერთს ჩემთვის უბედურ დღეს, დაწვარი სანთელივით კი ჩაქრა.

შალიკოც მალე მომიკვდა. ბოროტებმა ჩააგონეს,—რომ იგი ჩემი შვილი კი არა, სხვისი ბუში იყო. ინაღვლა უბედუ-

რმა. ბავშვმა და... მოულოდნელად ხელიდან გამიფრინდა. ოხ, ადამიანებო, რა შეუბრალებელნი, რა უსამართლონი ვართ!—ნაღვლიანათ დააბოლოვა პავლემ და ღრმად დაფიქრდა.

—ნეტა მე რაღათ ვიცოცხლე ამდენ ხანს? რას შველის ჩემს დაკოდილ გულს თბილი ბუხარი, მდიდრული ბინა, ხელქვეითების თვალთმაქცობა და ცბიერობა?..—წამოიძახა პავლემ კარგა ხნის ღუმილის შემდეგ და თითქოს რაღაც მოაგონდაო განაგრძო:

— მეც ადამიანი ვარ,—ნაღვლიანი ღიმილით გაისწორა სიტყვა პავლემ.—რისთვის მავიწყდება ჩემი კეკე? მოდი აქ, შვილო, კეკე!..—მიიხმო თავისთან კეკე მოხუცმა, წელზე ხელი შემოხვია და თვალებში ჩააშტერდა.

სიჩუმე ჩამოვარდა. ნაამბობმა გამაბრუა: ასე მეგონა, რომელიმე ფარდის უკანიდან გამოხტება პავლეს ერთ-ერთი საყვარელ არსებათაგანი-მეთქი... ტანში მაერეოლებდა... ვგრძნობდი, რომ შობის წინა ღამე ჩემთვისაც დაუვიწყარი შეიქნებოდა..

ბუხარი საყვარლად გიზგიზებდა, გარეთ კი ქარი ისევ ღმუოდა. მდუმარებათ გადაქცეული ნიკო და ტატო ერთმანეთს გაკვირვებით შეჰყურებდნენ. მე თვალს არ ვაშორებდი კეკეს!.. ის იყო ჩემი გულისთქმა, ჩემი აზრი, ჩემი იდეალი!..

„დამნაშავეა, ბატონებო, ის დედ-მამა, ვინც შვილებს ცხოვრების ავსა და კარგს უმალავს, ვინც ადამიანებად კი არა ტიკინებად ამზადებს მათ,—დაარღვია სიჩუმე პავლემ,—მე კი არა დამიმალნია რა ჩემი შვილისათვის, იცის ჩემი ნაკლიც და ცხოვრების ავკარგიც... აფასებს ჩემ გულწრფელობას და გულწრფელადაც მექცევა. მე მადლობელი ვარ ამისათვის... დღეს ჩემმა გოგონამ გამომიცხადა, რომ ერთი თქვენთაგანი უყვარს.. შობა ღამეს ჩემს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და მინდა ჩემმა შვილმაც შობა-ღამიდან დაიწყოს ცხოვრება...

მე გულმა ცემა დამიწყო, თვალებში სიხარულის ცრემლები მომადგა... იმედი მომეცა... კეკე ბროწეულივით გაწითლდა და მამას მხარზე თავი დააყრდნო...

— ნიკო!—დაუძახა პავლემ ნიკოს.

ნიკო ღიმილით ზეზე წამოდგა.

— მოდი, შვილო, ღმერთმა გაგაბედნიეროთ.—მიჰმართა პაელემ ნიკოს და აცრემლებულმა ქალისა და ვაჟის ხელი შეაერთა...

* *

აღარ მახოვს, როგორ გამოველ პაელეს სახლიდან... თვალცრემლიანი გავრბოდი ქუჩაში და გულმოკლული, თავზარდაცემული ვბუტბუტებდი: ბედნიერია, ბედნიერი ნიკო-მეთქი და მე კი?...

„Горько, горько!“

ა მ ბ ა ვ ი

I

შემოდგომის შავ-ბნელი ღამე იყო. ნესტით გაღენთილი ბურუსი ჩამოსწოლოდა ქალაქის ქუჩებს და ისე ჩამოებნელებინა. მიდამო, რომ კაცი თვალთან თითს ვერ მიიტანდა. ყინჟღლავდა კიდეც. დროგამოშვებით წამონაბერი ქარი კვნესით შემოურბენდა ხოლმე ქალაქს და ბრაზმორევით აწყდებოდა უადგილო-ადგილას გაჩხირულ სახლებს. მთელი ქალაქი გულჩათხრობილიყო, ძილს მისცემოდა. არ ეძინა მხოლოდ პეტრე თითაშვილის სახლობას.

ფართო და თბილ ოთახში რამდენიმე მკერავი ქალი ჩამომწკრივებულიყო, დაეწყოთ მუხლზე საკერავები და გამალებული კერავდნენ. იატაკზე დასტა-დასტა შეკერილი ტანისამოსი და საცვლები ელაგა, მთელი ზღვა „ვიშივკა-პროშივკებისა“ ლამპრის შუქზე თოვლივით ქათქათებდა. ჩასუქებული დიასახლისი დოინჯშემოყრილი მიმოდიოდა ოთახში და მკერავ ქალთ მედიდური ღიმილით დასძახოდა:

— აბა, დააჩქარეთ, გეთაყვა... მალე გაათავეთ. ხვალ საღამოსთვის ყველაფერი მზად უნდა გვქონდეს, თორემ მერე ქორწილი ვეღარ მოხერხდება... დაგვიმარხვდება. ენაცვალოს დედა ჩემს ფეფიკოს, ხვალ კიდევ იქნება ჩემთან და მერე კი გამიფრინდებაააა!—ჩამღერით დააბოლოვა მართამ და ამ ჩამღერებაში მთელი თავისი სიამაყე ჩააქსოვა.

— ღმერთმა გაგაბედნიეროთ, ბატონო! რა შორს ეგ მიდის: მთაწმიდიდან მიხეილის პროსპექტზე გამოიქიმება!— ღიმილით ჩამოართვა სიტყვა მართას ერთმა მკერაკთაგანმა და თავის მეზობელს მუჯლუგუნი წაჰკრა,—„პროშივკა“ მომაწოდეო.

— ენაცვალოს დედა, ღირსი არ არის თუ?!—დაიწყო ისევ მართამ.

— ღირსი როგორ არ არის, ბეჩა! ლამაზი, ნასწავლი ქალი და ამოდენა მზითევი!—ყრუთ ჩაილაპარაკა ვიღაცამ.

— ყმაწვილიც კარგია: ახალგაზრდა, ექიმი.

— ხუმრობაა!—სიტყვა გააწყვეტინა მეორე მკერავმა და მაკრატელი ააჩხაკუნა.

— დიახ, ექიმი... ექიმი!—უაზრო ამოოხვრით წაიდუდუნეს რამდენიმემ და საკერავ მაშინებს ჩხრიალი აუყენეს.

— ლამაზია სასიძო?—იკითხა იმან, რომელმაც პირველად გვირისტი გაათავა.

— ლამაზიცაა და ნასწავლიც, მაშ!—ყელის მოღერებით უპასუხა მართამ. ქალებმა მაშინები გააჩერეს. ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. მარტო საკერავების შრიალი არღვევდა ყრუ მდუმარებას.

— ძლივს არ დავისიძევე! როდის ხანია თვალი მეჭირა მაგ ყმაწვილზე!—დაარღვია სიჩუმე მართამ.

მართა სტყუოდა. ვანო ჩოფურაშვილის არსებობა, ვიდრე იგი ექიმის დიპლომს არ მიიღებდა, მართამ არც კი იცოდა. ვანო, როგორც ჩვენი სტუდენტობის უმრავლესობა, ერთფეროვნათ და სიღარიბეში ატარებდა დროს. ნახევრად მშიერი, გახუნებულ სტუდენტურ ტანისამოსში გამოწყობილი, ზაფხულობით ერთგულად სტკეპნიდა გოლოვინის პროსპექტის ფილაქანს, ხოლო ზამთრობით კი, იქ, რუსეთის ერთერთ ქალაქში სიცივისაგან ცხრად მობღუნძული, ადუღებული წყლით იკყიპებოდა ხოლმე. მას შემდეგ, რაც თბილისის სასულიერო სემინარია გაათავა (სადაც ლობიო მაინც ბლომად იყო) და უნივერსიტეტში შევიდა, მუცელი რიგიანად არ გასძღომია. მუდამ გაჭირვებაში მყოფს აქ, ჩვენში, გროშებით უგროვებდნენ ფულებს, რუსეთში კი სტუდენტების სალარო ეხმარებოდა, რომლის ვალი დღესაც, მგონი, გადაუხდელი აქვს. ნამდვილად ვერ მოგახსენებთ, გულმოდგინედ ეკიდებოდა თუ არა ჩოფურაშვილი მეცნიერების შესწავლას მაინც, მხოლოდ ეს კი ეკვს გარეშეა, რომ, საზოგადოდ, მშიერ-მწყურვალი ადამიანი ბევრს ვერაფერს გააკეთებს. მართალია, არიან ნიჭისა და მედგარი ხასიათის პატრონები, რომლებიც ,ყოველგვარ გაჭირვებასა სძლევენ ხოლმე და დაჭაბუკებისთანავე ჩაუდგებიან ხოლმე სათავეში თავის წრის ხალხს, თავის ამხანაგებს,

მათ ხელმძღვანელობას ეწევენ, მათ ჭირსა და ლხინს იზიარებენ, მაგრამ ჩოფურაშვილი ამგვართაგანი არ იყო. ყოველად უნიჭო და მუშმუზელა, იგი მარტო ერთი გულისთქმით იყო გატაცებული: მას სწყუროდა მაღალი სწავლის, უკეთ რომ ვსთქვათ, მაღალი დიპლომის მიღება მარტო იმიტომ, რომ სიღარიბისათვის თავი დაეღწია და „ხალხში“ გარეულიყო.

ამხანაგებში თავისზე უხეიროებთან თუ დაიკვეხებდა რასმე, თორემ უკეთესებსა და შესმენილთა შორის იგი ყოველთვის უკან იდგა და ერიდებოდა კიდეც. არც ერთ საერთო საქმეში ვანოს მონაწილეობა არ მიუღია. დაატყობდა თუ არა, რომ საფრთხე მომელისო, გულსწრაფი მერცხალივით მაშინვე სამშობლოში მოფრინდებოდა ხოლმე და სამშვიდობოს მოსული, ისეთი თავგადებით მოუყვებოდა ამხანაგებს ამბავს, გეგონებოდათ ქვეყნის აზარმაცი მარტო ესა ყოფილაო. ბევრს ატყუებდა კიდეც, ბევრს სწამდა მისი ნამოქმედარი, ეგონათ ცხოვრებაში ერთი მებრძოლთაგანი ესეც იქნებაო, მაგრამ სიტყვები სიტყვებად დარჩენ და დღეს ვანო ჩოფურაშვილი მარტოოდენ ექიმია. თუ სტუდენტობაში ძალაუნებურად დახეული ფეხსაცმელებითა და გახუნებული მუნდირით დადიოდა, დღეს ძვირფასს ტანისამოსშია გამოწყობილი, თუ წვიმა-ძანძახში კონკაზედაც კი ვერ დაუჯდებოდა ხოლმე და აბუზული წიწილასავით მისტოპავდა ლაფში, ახლა, მშვენიერ ზაფხულის დღესაც კი უეტლოდ არა კადრულობს ღარიბ ავადმყოფთან მისვლას.

მოკლედ რომ ვსთქვათ, ვანომ მიაღწია გულის საწადელს,—გადიდკაცდა. აღარ ახსოვს თავისი ვინაობა, ნაამხანაგრებს, იმათ, ვისაც არა ერთხელ გაუწევიათ ვანოსათვის ზნეობრივი თუ ქონებრივი დახმარება, და ვისაც მაღალი სწავლა ვერ მიუღიათ,—ვეღარა სცნობს, ქართულ თეატრში არა კადრულობს სიარულს, ქართული საქმე არა სწამს, ის „მეცნიერებას“ ეშსახურება. სურს, რომ ქვეყანა ავადმყოფებით აივსოს, რადგანაც სხვადასხვა ავადმყოფობათა გამოკვლევით საექიმო მეცნიერება გაფართოვდება, გამდიდრდებაო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ვანო ჩოფურაშვილი, მარტო იმითი არ გახდა შესანიშნავი, რომ იმ თავითვე „წვინ-

და მეცნიერების“ მიმდევარი შეიქმნა, მას სახელი გაეთქვა აგრეთვე იმითი, რომ ვანო „სასარგებლო სასიძოთ“ აღიარეს.

მიიღო თუ არა ადგილი თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში, მოაწყო თუ არა კაბინეტი ტელეფონ-სადოსტაქრო-საშხაპუნებელი და სამიკროსკოპო მანქანებით, მაშინვე ბუზებივით დაეხვივნენ გასათხოვარი ქალები. ხოლო მათი დედ-მამანი კი დასტა-დასტა ასიგნაციებს შეჰპირდნენ. ჩვენში გრძნობა-გონებით ისე ვაკრობენ, როგორც ისპანახით, და საკვირველი რაღაა, რომ ყველა მოგებას სცდილობდეს!

გადიდკაცებული ვანო ჩოფურაშვილი ულვაშებ ქვეშ იღიმებოდა და ქორივით თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ბოლოს არჩევანი პეტრე თითაშვილის ქალს—ფეფიკოს ჰხვდა წილად.

— ნორჩი, ვარდის კოკორივით ღაჟღაჟა ქალი და ათასი მანეთებიც მზითვად კარგი რამ არისო, გაიფიქრა ვანომ და ერთ დღეს ფეფიკოს დედ-მამას ქალის ხელი სთხოვა. პეტრე და მართა სიხარულით საქორწილოთ მზადებას შეუდგნენ.

II

ნათქვამია: „ღმერთმა ერთი ვით აცხონოს, თუ მეორე არ წაწყმიდოსო“. ჩვენ დროში ერთის ბედნიერება მეორის უბედურებაზეა აშენებული და ვანო ჩოფურაშვილის ბედნიერებაც სხვას უბედურებად გადაექცა.

იმ დროს, როდესაც მართა მკერავ ქალებს აჩქარებდა, ფეფიკო შუბლით მიჰყრდნობოდა თავის საწოლ ოთახის ფანჯარის მინას და გონებადაფანტული გაჰყურებდა ქუჩის წყვდიადს. თვალით არა სჩანდა-რა. ბოლოდ იმავე ქუჩის მოსახვევში მდგომ ფარნის შუქი მომაკვდავივით ცახცახებდა და ირგვლივ გარემოს ოდნავ, სულ ოდნავ, ანათებდა. ქალმა ძალაუნებურად გაუშტერა თვალი ლამპრის ციმციმს და უკანასკნელ დღეებში ნახულ-ნაგრძნობი ნელ-ნელა წამოეშალნენ გულ გონებიდან.

ფეფიკო ჯერ სულ ახალგაზრდა, ასე 16—17 წლის გოგონა იყო. ცხოვრებისა არა იცოდა-რა, გაჭირვებისა არა გაგო რა. იგი აქნობამდე მარტო ოცნებითა და ცხოვრებაზე

ყალბი წარმოდგენით სულდგმულებდა. დედ-მამისაგან განებივრებულს, ჩვენებურ ქალთა უფერულ სასწავლებლებშიაც კი არ დაუსრულებია სწავლა. ნესა-ე თუ მეოთხე კლასიდან მიატოვა სწავლა და დაცქრიალებდა, როგორც მერცხალი. სამაგიეროდ ბუნებას ფეფიკო დაეჯილდოვებინა მშვენიერი და თვალწარმტაცი გარეგნობით. ვით მარგალიტის ღილი მოვის პერანგზე, ვით ობლად მოციმციმე ვარსკვლავი ღრუბლებით დაფენილ ცაზე, ვით ნაადრევად გაშლილი ვარდი პირველ გაზაფხულზე ისე მშვენობდა ფეფიკო სხვა, თავის ტოლებთა შორის და ადამიანის გაუმაძღარი თვალი იმაზე კეკლუცს ვერას წამოიდგენდა. ეჭვ გარეშეა, რომ ამ გვარ გარეგნობასთან ფეფიკოს სულიერი მაღალი თვისება, რაიმე ნიჭიც არა ჰქონოდა, მაგრამ ნიჭი იგი დამარხული იყო, ვინაიდან ჩვენი შეუგნებელი დედ-მამიანი ქალიშვილს მარტო გასათხოვრათ ამზადებენ, ქალს ისე უყურებენ, როგორც მარტო სასარგებლო სასიძოს საცოლეს. მცირებიც ჯერ თავზე ხელის მოსმას ვერ ასწრობენ, რომ ხდებიან მსხვერპლნი გათხოვებისა, დედ-მამის ქეიფზე დაბინავებისა. ჯერ მათი გული და გონება დამწიფებული და განვითარებული არ არის ხოლმე, რომ იგინი უკვე დედები ხდებიან და ვინ იცის, ცნობას მოსულნი, რა ტანჯვაში ვარდებიან!...

ფეფიკოც ცხვარივით შეჰყურებდა მომავალს და ამ ჟამად მგლისგან მოტაცებულ ბატკანს მოგაგონებდათ.

ხვალ თუ ზეგ ქმრიანი ვიქნებიო, გულუბრყვილოდ გაუელვა თავში ფეფიკოს ახლო მომავალზე ფიქრმა და ნაღვლიანად გაეღიმა, გულმა წიწკვნა დაუწყო. მას დაენანა თავისი სიყმაწვილე, თავისი წარსული და ვანო ჩოფურაშვილის სახეს, რომელიც ოცნებამ თვალწინ დაუყენა, ნაღვლიანად დაუწყო თვალიერება.—ახმახი, უშნო, გაამაყებული ადამიანი, ერთი ჭკვიანური სიტყვა ჯერ არ უთქვამს,—გაიფიქრა ფეფიკომ და მთელი თავისი წარსული ცხოვრება გაითვალისწინა.

სიყვარულით ფეფიკოს ჯერ არავინა ჰყვარებია, მაგრამ მოწონება-დაწუნების ჰანგს კი დიდიხანია შესჩვეოდა. მოსწონდა ხოლმე თავისი ტოლი მოწაფე ვაეები, არჩევდა კიდეც, ვინ უფრო კარგი იყო იმათში, მაგრამ რასაც სიყვარულს ეძახიან, ჯერ არ გამოეცადნა.

ჩოფურაშვილი პირველი კაცი იყო, რომელიც შეეხო მის გულის სიმებს და ზედ სიყვარულის სიმღერის დაკვრას ლამობდა, ვანო იყო პირველი, რომელმაც უთხრა, „მიყვარხარო“ და რომელმაც მოინდომა ფარდა აეხადნა ფეფიკოს კდემამოსილებისათვის, მაგრამ ფეფიკოს არავითარი სიამოვნება არ უგრძვნია ამ კაცის სიახლოვით. პირიქით, თითქოს შეეშინდა კიდეც იმისი. ფეფიკომ გაიხსენა ნიშნობის დღე, მოიგონა რა თავგამოდებით მიეტანა ჩოფურაშვილი საკოცნელად და გააჟრჟოლა... ყველა ულოცავდა პირველი შეუგნებელი ამბორის გაყიდვას, ყველა აღტაცებული იყო ამ დღეს, თვით ფეფიკოც რაღაც ბურუსში გაეხვია, მაგრამ იმ დღის შემდეგ კი სხვანაირი მოძრაობა დაიწყო ფეფიკოს უმანკო გულისთქმამ და მას შემდეგ ერთი კვირაც არ გასულა და ფეფიკო გამოიცვალა. სიყვარული, ქალ-ვაჟის ურთიერთობა, ცოლ-ქმრობა თანდათან განუსაზღვრელ სახეს იღებდნენ მის გონებაში და, აი, დღეს უკვე იცის ფეფიკომ, რაც ყოფილა გათხოვება. მან უნდა გაუწიოს ცოლობა იმ კაცს, რომელიც არა ჰყვარებია, არ უყვარს!

— მაშ ვინ უნდა მიყვარდეს?—გაოცებით დაეკითხა ფეფიკო თავის თავს და ერთი თვალის დახამხამებაზე ნაცნობ მეგობართა სურათებმა ჯარისკაცებივით წინ გამოუქროლეს.

— ნიკო? კოწია? გიგო? არა, არა, არა!—ბუტბუტებდა ფეფიკო და თანდათან ეღვიძებოდა.

— მაშ თედო?—უცბად გაუელვა თავში. ამ სახელის ხსენებაზე ფეფიკოს გულის სიღრმეში ჩამარხულმა, ბავშური გულუბრყვილობის შარავანდედით შემკულმა შთაბეჭდილებებმა უცბად ფრთა გაშალეს, შეტორტმანდნენ და ფეფიკოს თვალის ქუთუთოებზე რაღაც ძლიერი და უცნაურის თბილი გრძნობისაგან ამონადენი ცრემლები გადმოჭკიდეს.

იდგა ფეფიკო თვალებდაღებული, გული საშინლად უძგერდა, ხოლო გონება მისი კი გამოჭკიდებოდა თედოს, მასთან გატარებულ წუთებს. მოაგონდა თედოს მოპყრობა, მისი დარიგებანი, მისი გაუბედავი წმინდა ალერსი, მოაგონდა, როგორ სწყუროდა ხოლმე მასთან ერთად ყოფნა და... გულმა კვნესა დაუწყო, თითქო თანდათან იზრდებაო, მკერდი გაუფართოვდა და სასოწარკვეთილებით წამოიძახა:

— თედო, თედო, შენთან უფრო ბედნიერი ვიქნებოდი!... მე ის მყავრებია... ახლა ვგრძნობ, რომ იმასაც უნდა ძრიელ ვუყვარდე... თედო! თედო! —გმინავდა ფეფიკო და თან მდუღარებად იცლებოდა. ეს იყო ცრემლი პირველი სიყვარულისა, ეს იყო ცრემლი პირველი გაადამიანებისა, თავისი თავის შეგნებისა.

III

ვინ იყო თედო?

თედო იყო მარტოხელა, შუათანა სწავლამიღებული, თითაშვილის წრისა და წოდების, მაგრამ ღარიბი ახალგაზრდა. თითაშვილიანთ ცოტათი ენათესავებოდა კიდეც და ამიტომ ხშირად ჰქონდა ხოლმე შემთხვევა ფეფიკოს ნახვისა. პატიოსანი და რიგიანი მიმართულების თედოს, მართალია, ძლიერ მოსწონდა ფეფიკო, მაგრამ მისდამი სიყვარულისთვის გულში გაღვივების ნებას არ აძლევდა და არც იმედი ჰქონდა თანაგრძნობისა. ამიტომ ძლიერ ფრთხილად ეპყრობოდა ფეფიკოს და არასოდეს არ უგრძნობებია მისთვის თავისი მღელვარება. პირიქით სულ ფეფიკოს დარიგებას და ცხოვრების აე-კარგზე ლაპარაკში იყო ხოლმე. ერთ ხანად შესწყვიტა კიდეც ფეფიკოანთსა სიარული, მაგრამ რადგანაც პეტრეს ოჯახი ფუქსავატი ეგონა, ხოლო ფეფიკო კი სრულიად გამოუცდელი, ისევ მიჰყო ხელი ფეფიკოს სწავლებას. თუ რამე სახეირო იცოდა ფეფიკომ, ყველა ეს—თედოს მეოხებით, და ამიტომ აფასებდნენ კიდეც მას, როგორც ფეფიკო, ისე მისი დედ-მამა.

თედოს აზრით, ფეფიკო სულ ბავშვი იყო და მით უფრო მწვავე გასაგონი შეიქმნა თედოსათვის ფეფიკოს გათხოვების ამბავი. ბრაზმორეულმა უსაყვედურა მის დედ-მამას ქალის ასე ნაადრევად გათხოვება და შემოსწყრა კიდეც. ამ დღიდან პეტრეს სახლში მისვლას აღარ აპირებდა.

დაბრუნდა შინ თედო, მაგრამ გულის უმთავრესი ტამარი პეტრესას დარჩა! მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ მისთვის ფეფიკო მარტო მოზარდი ქალი კი არა ყოფილა, ისეთი ქალი, რომელთა გამოფხიზლებას თედო ყოველთვის სცდილობდა

ხოლმე და არა ერთი და ორი ქალიც აღუზრდია თავის დასავით, თავის ღვიძლ ნათესავივით, არამედ ფეფიკო ყოფილა მისი გულის ნაწილაკი, მისი „მე“-ს დამამშვიდებელი. მიხვდა, რომ იგი მას სახუმაროდ არ ჰყვარებია!

ბევრნაირად ეცადა თედო გულიდან ჯავრის გადავდებას, ბევრგვარად სცდილობდა დაეეიწყებინა ფეფიკოს სახე, მის გათხოვების ამბავს გულგრილად მიჰგებებოდა, როგორც თავისი ნათესავი ან დის დაბინავებას, მაგრამ შრომამ ამაოდ ჩაუარა. რამდენადაც მეტსა სცდილობდა, იმდენად მეტად შემოჰკვნესოდა დაობლებული გული, იმდენად უფრო გიჟდებოდა. ერთი კვირის განმავლობაში სანთელივით ჩამოდნა თედო და სწორედ ჭკუაზე შეიშალა... ცხოვრებამ მის თვალში ფასი დაჰკარგა.

ან კი რა ცხოვრება იყო თედოს ცხოვრება? წერილმანი მოხელე უმნიშვნელოთ და უსიხარულოთ ატარებდა დღეღამეს: დილით სამსახური, საღამოთი კიდევ სამსახური, უსიტყვოთა და უენოთ ქედის მოხრა უფროსის წინაშე, უგემური აწმყო, გამოურკვეველი მომავალი და გარშემო არარაობა, ფუქსავატობა, დაუნდობლობა! განა ღირს ამ ყოფაში სიცოცხლეო, არა ერთხელ და ორჯელ უფიქრია ხოლმე თედოს და ყოველთვის იმ დასკვნამდის მიდიოდა, რომ უფერულ ცხოვრებას სიკვდილი სჯობიაო, მაგრამ მაინც სცოცხლობდა თედო, სცოცხლობდა, როგორც სცოცხლობს არა ერთი და ორი ადამიანი, ისე ანგარიშ მიუცემლად, მარტო იმიტომ, რომ მთელი დღე სხვის სამსახურში გაატაროს, ჯამაგირი აიღოს, სვას, ჭამოს, დაიძინოს და გაიღვიძოს კიდევ იმიტომ, რომ სამსახურში არ დაუგვიანდეს...

არის ხოლმე ადამიანის ცხოვრებაში ისეთი ხანა, როდესაც მას ავიწყებდა თავისი თავი, თავისი დანიშნულება და გაოგნებული უაზროდ აჰყოლია უმრავლესობის უაზრო ფეხის ხმას და ეს ხდება მაშინ, როდესაც შეტბორებული ცხოვრება გუბესავით ხავსდება, გველ-ბაყაყების საბუდრად გარდაიქცევა. მართალია, თედოს არსებაში დაგუბებული გრძნობა გაადამიანებისა ხშირად დაუწყებდა ხოლმე დუღილს გულის ხიღრმეში და მაჭარივით აბობოქრებული გარედ გადმოხეთქას ლამობდა, მაგრამ თედოს არც ძალა და არც განვითარე-

ბა არ შესწევდა, რომ მას პირველს აეღო ხელში ქვა და გველ-ბაყაყთა დასაფრთხობად თავგანწირვით გადაესროლა დახავსებულ ტბაში.

მუდმივმა ფიქრმა, მუდმივმა უკმაყოფილებამ, უსუსურობა-წვრილფეხობამ უიმისოდაც გული აუცრუეს ცხოვრებაზე და ახლა, როდესაც ფეფიკო სამუდამოდ დაჰკარგა, სავსებით იგრძნო მთელი არარაობა თავისი გაძაღლებული ცხოვრებისა.

— მეც ადამიანი ვარ... მეც მწყუროდა სიცოცხლე... მომეცით, მომეცით ჩემი ფეფიკო! — უგონოდ გაიძახოდა ხოლმე თედო, მაგრამ გონს რომ მოდიოდა, გულსაკლავად უმატებდა: — ჩ ე მ ი?! საიდან არის ჩემი? მაჭანკლებმა, დედ-მამამ, ფულებმა იგი უდროოდ ჩოფურაშვილს არგუნეს. ჰო, ექიმია... დიდი კაცია, კარგად აცხოვრებს, მე კი?.. — მე უნდა დავივიწყო იგი! — ვითომ გადასწყვეტა ერთ დღეს თედომ და მას შემდეგ, როგორც საკთვარიოთი ავადმყოფი, მთელი ღამეები დახეტიალობდა ხოლმე მტკვრის პირად, სასაფლაოებზე, რესტორანებში, ბაღებში. რამდენიმე დღე განუწყვეტლივ ლოთობდა, მაგრამ ვერა ეშველა რა, ვერ დავიწყა. მუდამ და ყველგან ფეფიკოს სახე ედგა თვალწინ და გრძნეულსავით ასდევნებოდა საყვარელ არსების აჩრდილს. თედო კარგად გრძნობდა, რომ არავითარი უფლება არა ჰქონდა სხვა გაეუბედურებინა და ამიტომ თავის თავს იტანჯავდა, თუმცა კი რაც უფრო ახლოვდებოდა ფეფიკოს ჯვარის-წერის დღე, მით უფრო გონებას ჰკარგავდა. კიდეც ეს იყო მიზეზი, რომ სწორედ იმ დროს, როდესაც ფეფიკო სასოწარკვეთილებით გაიძახოდა,—თედო, თედოო, თედო თავის უნებურად მისულიყო პეტრეს სახლის დასაზვერად.

თედომ თვალი მოჰკრა ფეფიკოს საწოლ ოთახის ფანჯარასთან რაღაც აჩრდილს და ფეხაკრეფით იქით გადავიდა.

ფეფიკოს გამოეღო ფანჯარა, თავი გარეთ გადმოეყო და გახურებული შუბლი ქარისათვის მიეშვირა. ცოტა ხნის შემდეგ სასოვიხდილმა ფეფიკომ თავზე ხელი გადაისვა და თვალცრემლიანმა გულსაკლავად ერთხელ კიდევ წამოიძახა:

— ოხ, თედო, თედო!...

— აქა ვარ, ჩემო სალოცავო!—შესძახა ქვეიდან თედომ და თვალის დახამხამებაზე ფანჯარასთან აღიმართა.

ფეფიკო შეკრთა, დაიბნა და ფანჯარა უნებლიეთ მოხურა.

— წახვედი? ხმას აღარ გამცემ მაინც? ფეფიკო, ფეფიკო! შესჩურჩულებდა თედო და თან წნორის ფურცელივით თრთოდა. ფეფიკომ ფანჯარა ისევ გამოაღო და ნაღვლიანად წასჩურჩულა:

— რა გინდა, ჩემო თედო? წადი შინ, არავინ დაგინახოს!

— რა მინდა? მე შენ მიყვარხარ... მე თავს აღარ ვიცოცხლებ!..

— გვიანღაა, ჩემო კეთილო! ჩვენ ისევ მეგობრად დავრჩეთ!—გულზე ხელის მოკერით უთხრა ფეფიკომ.

— დავრჩეთ... სხვა რა ჭირი ვქნა! – გულამოსკვნით წარმოსთქვა თედომ და დიდხანს შეაშტერდა ფეფიკოს სახეს.

— მშვიდობით, მშვიდობით! ან კი რად მოვსულვარ შენთან, უმანკო ანგელოზო! ჭკუა თუ დავკარგე, ეს ტიალი! მშვიდობით!—ცრემლ-ქვეშ დაილუღლუღა თედომ და ძირს ჩამოხტა, მთვრალივით ბარბაცებდა.

— მიდიხარ, თედო? მშვიდობით... ხელი მაინც ჩამომართვი,—გადმოსძახა ფეფიკომ და ფანჯარაზე გადმოეყუდა. თედო ვეფხვივით სწვდა ხელში, ერთხელ კიდევ ხანგრძლივ შეაცქერდა თვალებში და გონება დაფანტული ქალის მარჯანა ტუჩებს თავდავიწყებით დაეკონა...

ეს იყო პირველი და უკანასკნელი კოცნა, ეს იყო ერთადერთი ბედნიერი წუთი თედოს ცხოვრებაში!

IV

დაღამდა. მეორე დღეს პეტრეს სახლის წინ იმდენი ხალხი მოგროვილიყო, რომ კაცი ფეხს ვერ აუქცევდა. ეტლი ეტლს მობმოდა. მთელი უბნის დედაკაცებიც აქ გაჩენილიყვნენ და ჩურჩულ-კურკურით გამვლელ-გამომვლელზე ბჭობდნენ, ოხუნჯობდნენ. პეტრეს ძალზე გაჩირაღდნებული სახლი სტუმრებით გაჭედილიყო: – ფეფიკოს ქორწილს იხდიდნენ.

ამ ქორწილის სანახავად თედოც მოსულიყო. პეტრეს სახლის მოპირდაპირე სასტუმროს მაღალ სართულში ერთი ოთახი დაექირავებინა და ფანჯარაზე ნახევრად გადმოყუდებული

ქორწილის ხალხს გაფაციცებით თვალ-ყურს ადევნებდა. თედოს ხელის გულივით გადაშლოდა თვალწინ პეტრეს სახლის შინაგანი მორთულობა და თითოეულის სტუმრის სახის გამომეტყველებაც კი არ ეპარებოდა. უმზერდა თედო გულ-გრილად, მანქანასავით. მისი გული დიდი ხანია მისივე ფიქრის სამარედ გადაქცეულიყო და თუ თვალებს ახელდა, მარტო იმიტომ, რომ ეოთხელ კიდევ დაენახა თავისი სათაყვანო ფეფიკო.

ეტლები საითკენღაც გარიხინდნენ, ქუჩაში ხალხი შეჩოჩქოლდა და ეკლესიიდან მომავალ ნეფე-დედოფლის მისაგებებლად მოემზადა.

აგერ დაიგრიალა ძვირფასმა კარეტამ და შავმა ცხენებმა თქაფა-თქუფით მოაქანეს სახლ-წინ ნეფე-დედოფალი... ფრაკები, ცილინდრები, თეთრი ხელთათმანები, ყვავილები, თაიგულები, ლამაზად დართულნი ქალ-ვაჟნი ერთმანეთში აირია. გაიღო კარეტის კარები და გადმოვიდა ფრაკში გამოწყობილი ვანო ჩოფურაშვილი. გულზე უნივერსიტეტის ნიშანი ჰქონდა მიკრული და ამაყად იღიმებოდა. ვანომ დიდის ამბით გამოიყვანა კარეტიდან ფეფიკოც. შიგნიდან ფეფიკოს დედამამა და ნაცნობები ლოცვა-კურთხევით მიეგებნენ ახლად ჯვარდაწერილებს, გარეთ ხალხმა სიხარულის ყიჟინა დაჰკრა, მაგრამ ეს საერთო ხმაურობა მალე დაჰფარა სამხედრო მუსიკის გახურებულმა „ტუშმა“.

თედო ყველასა ჰხედავდა. ცის ანგელოზივით თეთრებში მორთულმა ფეფიკომ ერთხელ კიდევ ჩაანათა თედოს გულში, მაგრამ თედოს მეტი მოთმენა აღარ შეეძლო. ქვითინით მოშორდა ფანჯარას და ოთახში აღელვებით დაიწყო ბოლთის ცემა. თითქოს გულზე გახურებულ მარწუხებს უჭერენო, საცოდავად იკლაკნებოდა საწყალი თედო და სახე თანდათან ეშლებოდა, ტვინი ემღვრეოდა. ცოტა კიდევ და საზარელი გულისთქმით გადარეულმა თედომ თმებში ხელი იტაცა.

— გათავდა... გამიფრინდა ხელიდან ჩემი ფეფიკო... ჩემი იმედი!... ჩემი სიცოცხლე რიღას მაქნისია? ვის რად ვარგივარ ობოლი სულით, დაკოდილი გულით, მუდამ სხვის ხელფეხათ გადაქცეული, წვრილმან მოხელეობის მატარებელი? ვინ ამიტირდება? ვის დავენანები? დეე ჩემმა წილმა მზემ ფეფიკოს გაუნათოს. მე კი მიმიღე მოსასვენებლად, შავო მი-

წავ! ჭია-ღუეგო, მალე გამოხარით ჩემი გული, რომ იქ. საკმარეშიაც, არ შიკვნესდეს! შენ, შენ იყავ ბედნიერი, ჩემო სიცოცხლის სულის შემბერველო ფეფიკო...—დაიგმინა თედომ და რეეოლვერს ხელი წამოაელო.

ერთხელ კიდეე გადახედა ფანჯრიდან ახლად ჯვარდაწერილებს, ერთხელ კიდეე წაუგდო ყური სტუმრების ჟრიამულს.

— Горько, горько!—ღრიალებდნენ ღვინით შეზარხოშებული სტუმრები.

— Горько!—შესძახა თავის კეკლუც მეუღლეს ვანო ჩოფურაშვილმაც და იმ დროს, როდესაც ძალად დაეკონა მორცხვ პატარძლის ტუჩებს, იგრიალა რევოლვერმა და საფეოქელ განგმირული თედო ოთახის იატაკზე უსულოდ გაიშხლართა...

1903 წ.
ქ. თბილისი.

მოდი მე წავალ იმ მუშასთან...

ლექსი პროზად

ღამის წყვდიადი ქალაქს ნელ-ნელ ეპარებოდა და დამაშვრალსა, დღის სიცხადით გაბოროტებულს, აღარ შეეძლო და თვალები ეხუჭებოდა.

ბინდმა მოიცვა არემარე, მოედვა ყველგან, მისწყდა ყიჟინა, ხმაურობა და ღრიანცელი!.. მეც დავიძინო, რას დავეძებ, ნეტავ რას ველი?..

თუკი აქამდე ერთმა მაინც არ თანამიგრძნო და ჩემს ვედრებას, ჩემს ღაღადსა ყური არ უგდო!.. თუ კი ჩემს მოთქმას ბანს აძლევდა მტკვრისა ბუტბუტი და ჩემს ძონძებსა მზე ბრწყინვალე გაანათებდა; თუ კი ჩემს ოხვრას წარმონატაცს გიჟმაჟ სიოსგან უტყვი, უენო ტყე-ველიც კი იზიარებდა და მაშინ... მაშინ ყველა კილვით შემომცქეროდა, ახლა ამ ღამეს, ბინდით მოცულს გაეერანებულს, ვინღა შემამჩნევს?.. ვითომ რა მინდა? ან რისთვის მაქვს თვალი სოველი?!..

მაგრამ რას ვუბედობ. ფუ! იმ ვაჟ-კაცსა, ვინცა წუწუნით ცრემლისაღერით, ხელის გაშვერით, გამვლელ-გამომვლელს შეაეედროს თავისი. თავი; რა ბრძანებაა?!. გამათახსირეს, შესვეს-შესჭამეს ჩემი სისხლი და ჩემი ხორცი, გულის ტამრები* დაიხვიეს ფეხის თასმათა და ჩემი გრძნობა გაიგდეს წინ საბურთაოთა და მე კი მაინც შებრალება ისევ მათ ვთხოვო? არა და არა! ჩემი სულთ-სწრაფვა ბოროტების კიცხვა-გმობაა და მთლათ სიცოცხლე—ამაყობა შურის ძიება...

დაე, შემთათხონ, დამემუქრონ, ყბათა ამიღონ, დაე, განმკიცხონ, რაც უნდა თქვან, ცილი დამწამონ და თუნდ სატრფოსაც სულის-ღმერთას, გულის-მეფესა, ჩემი ცხოვრების თანამგზავრსა, ჩაგრულის იმედს—გინდ შეაძულონ ჩემი თავი,

* გულის ტამრები—ძარღვები, ნერვები.

დამკლან მართალი, მაინც... ვიდრემდის პირში სული არ გამიწყდება და ენა მჭევრი სამეტყველოთ არ დადუმდება, არ შევშინდები, არ შევდრკები, ჩემსას კვლავ ვიტყვი... იქნებ, ოდესმე, ჩვენსკენც იყოს სვე, სამართალი!!.

აცა! განათდა ქალაქისა მთავარი ქუჩა... ვით ელვამ ღვთისამ, ცით მოვლენილმა, ვით ჭორმა კაცის ქასქანჯიელის,* შემოუქროლა მინის ლამპრებსა უცხო სინათლემ და... ელექტრონმა საიდანღაც გამოანათა: აჭყვა-ჩამოჭყვა გრძნეულსავით ქუჩის ნაპირებს, გაიციმციმა, დაიკვესა და ერთ წუთაზე გული გაუპო, დაიმონა ღამის სიბნელე. გაივსო ხალხით ფილაქანი, კვლავ ახმაურდნენ და კეკლუც ქალთა, ტანით წერწეტთა, ელექტროს ძირში ჩამოუარეს. ფეხის ფლასტუნი, ვით მტლაშა-მტლუში, უგემურათა იფანტებოდა, მაგრამ ეს ხმანი, ქალთა რხევანი, ყმაწვილკაცთ გულს კვლავ უტოკებდა. ხარობდა ყველა: ულიმოდა ერთი მეორეს, დავიწყებოდათ სილარიბე, თან დამცირება და ელექტრონსა, მოკაშკაშე მოელვარესა გაკვირვებითა, საოცნებოთ ყველა უმზერდა. დაჭკრეს მუსიკას, ააჟღერეს საკრავთა ხმები და თავბრუ დასხმულ მოსეირნეთ ესღა უნდოდათ: თამაშ-კივკივით გამოუდგა ერთი მეორეს, სიცილ-ხარხარით მისცემოდენ თავდავიწყებას, დიახ... თავდავიწყებას!..

ვინ რა იცოდა, რომ ამ ქუჩის ცოტა იქით, ერთ მყრალ სარდაფში, უზარ-მაზარ მანქანის გვერდით, თვალამოლამვით მუშა-კაცი დაფუსფუსებდა და გაშტერებით, წარბშეკრული, ოფლათ მდინარი, მისჩერებოდა ცეცხლის მფრქვეველ მანქანის გულსა... სალოკი თითით ოფლსა შუბლზე მოიწურავდა და გაჯავრებით, ცეცხლისაგან მთლათ დახრუკული, დრო გამოშვებით უმარჯვებდა ნავთსა და ქონსა. ქაქან-გუკუნით, შემურვილი, იგი მანქანაც დაუღალავათ ხმაურობდა და ბობოქრობდა, ფრთას ფრთასა სცემდა, თვლებსა მკაცრათ ატრიალებდა და აზარმაცით აზარმაცსა ეზიდებოდა. გრგვინავდა მედგრათ, ხმაურობდა ვით მხეცი რამე, ვით გველ-ვეშაპი რისხვა ღვთისით. მოვლინებული; ჰკვნესოდა მწარეთ, ღრიალებდა დაკრილ დათვივით და გამურული პირით ცეცხლსა

* ქასქანჯიელი — კუდიანი, ეშმაკი.

დააკვესებდა მეცნიერთაგან სულჩადგმული რკინის მანქანა—ეს იყო წყარო იმ სხივმომფენ ელექტრონისა, რომელიც ნაზათ, საოცნებო ნათელმფრქვევითა უმთავრეს ქუჩას მთვარესავით აკაშკაშებდა.

მუშა იგი კი—მემანქანე, მისი მომწყობი, მაგრამ... რა მაგრამ, დროს ბრუნვითა, მანქანა იგი მესაიდუმლეს მაგრე რიგათ არ ადგებოდა... ის ეკუთვნოდა ფულის პატრონს, მდიდარ ბურჟუას და თუ ეს მუშა დღე და ღამე ცეცხლში იწვოდა, სამაგიეროთ მისი პატრონი ძვირფასი ეტლით, ქუჩა-ქუჩა უდარდელათ დაგრიალებდა.

ხარობდნენ სხვებიც, ელექტრონი საარშიყოთა აღტყინებდა იქ მოსეირნეთ, აქ კი მანქანის გუგუნ-ღრიალსა, მწარის ღიღინით მუშის გული ბანსა აძლევდა. მოსთქვამდა ბედსა დამძოვრებულს, გაკრიჟანგებულს, მოსთქვამდა ცოლშვილს მშიერ-მწყურვალს, მიტოვებულსა, მოსთქვამდა თვის თავს დამონებულს... მანქანის მსხვერპლსა და ალანძული, გამურული, აჩრდილის მსგავსი, გამწარებითა მუშტზე მალ-მალ იკბინებოდა. ვისით ვინ ხარობს, ვინ მდიდრდება, ვინა ნეტარობს? შრომის შვილი კი—მუშა კაცი, მდიდართა მონა, წელზე ფეხს იდგამს, მაგრამ მაინც კვდება მშიერი... ეხ, ღმერთო, ღმერთო, დაგელოცოს ეგ სამართალი!..

მოდი მე წავალ იმ მუშასთან და ყურს დავუგდებ, რომ მისი გული ჩემს გულს მტკიცედ დაუძმობილდეს, რომ იმ მუშამ დაჩაგრულმა მეც—დაჩაგრულსა,—სამარადისოთ მომცეს ხელი და გამამხნეოს.

1897 წ.

ნომერი ოცდაერთი ჯვრით

დრამა 5 მოქმედებად

მ ო მ ქ მ ე დ ნ ი:

განო ლიმაური—ნასწავლი ახალგაზრდა ქალი
ლეონ ბერგი—სტუდენტი
ირაკლი კოვზირიძე—ნასემინარიელი ახალგაზრდა
თეოდორე პატრიშვილი—ნასტუდენტარი, ჭაღარა
ლადო ხოველი—ნასემინარიელი, ახალგახრდა
ნინო—პაპირ. ქარხნის მუშა-ქალი, ახალგაზრდა
ქეთო— „ „ „ შუა ხნისა
გარეგინ ყარდაშიანი
არტემ გუგულიანი } ყოფილი ნოქრები
მუშები
ვინმე მოხუცი
მათხოვარა
როტმისტრი შვილიევი—ჟანდარმთა ოფიცერი, ქართველი
როტმისტრი ხრაპი „ „
ჟანდარმები, პოლიციელები, ბოქაული, მოსეირნე ხალხი

მოქმედება ხწარმოებს საქართველოში 1907-8 წ. წ., რეაქციის დროს.

მოქმედება პირველი

ხაიდუმლო სტამბა

ს ც ე ნ ა: თაღებიანი ჯურღმული, სტამბათ მოწყობილი, უკანა კედელზე კიბეა მიდგმული. კიბის თავში ლატარა ხვრელი მოსჩანს, ოდნავი სინათლით. მარჯვნივ და მარცხნივ, კედელთან მდგომ კასებზე ანთია წყვილ-წყვილი კართოფილის სანთლები. სცენის სიღრმეში, კიბის გვერდით, მოსჩანს ხელით საბეჭდი მანქანა. მანქანის გვერდით ალაგია დასტა-დასტა ქაღალდი. შუაში დგას უბრალო დიდი მაგიდა. ზედ—წყლის ლიტრა და ჭიქა, ძველი გაზეთები და კორექტურის ფურცლები, სდგას დიდი ლამპა, ანთია.

I

ფარდის ახდისას კასებთან დგანან: მარჯვნივ **გ ა ნ ო** და **ნ ი ნ ო**, მარცხნივ—ყარდაშიანი და ქეთო. აცვიათ სამუშაო ხალათები. ასოებს არჩევენ. სიჩუმეა.

განო — (მიდის მაგიდასთან, ჭიქაში წყალს დაასხამს, დალევს და დაიღრიჯება) ახ, სადა ხარ, ახლა, ჩემო ლურჯა ლიახვის წყალო! ამ ოხერ ქალაქში ყველაფერი აყროლებულია!.. (ისევ თავის ალაგას მიდის)

ქეთო — იმიტომ, რომ აქ, ქალაქში, დიდი ცოდვა ტრიალებს... თვით ჰაერიც კი მოშხამულია.

ყარდაშიანი — თქვენი სოფელი ხომ სულ ანგელოზებითაა სავსე და პირველი მათგანი შენა ხარ!..

ქეთო — (შეუტევს ყარდაშიანს) ჰა, კიდევ დაიწყე?

ყარდაშ. — არა, ამით ვათავებ შენთან ლაპარაკს. (ღიმილით გადახედავს ნინოს და ანიშნებს: „მე და ქეთო გუშინ კვლავ წავიჩხუბენითო“)

ნინო — ამხანაგო გარეგინ, დიდი მოუსვენარი ვინმე ხარ, ვინც არ გიცნობს. (იღიმება)

ყარდაშ. — მოსვენებულები სასაფლაოზე წვანან. მე კი მადლობა ალლახს, ჯერ კიდევ პირში სული მიდგია...

ქეთო — (თავისთვის, თუმცა ყარდაშიანის გასაგონად) მაგრამ სულ მეტის მეტად მოკლე და უმსგავსი...

ყარდაშ. — (აწყვეტინებს) მე თქვენ ხმას არ გცემთ, საძაგელო!

განო — (სათვალეებიდან გადახედავს) ეს რა ამბავია, ამხანაგებო, ვანა თქვენ დიდ მეგობრობას ასეთი სიტყვა-პასუხი ეკადრება?

ნინო — იცი, ამხანაგო განო, ესენი კიდევ წაჩხუბებულან. შევარიგოთ!

ქეთო — მე შესარიგებელი არა მაქვს-რა!

ყარდაშ. — მით უმეტეს — მე!

განო — რა საკადრისია ერთმანეთს ბავშვებივით ებუზღუნებოდეთ. უეჭველია, უბრალო რამეზე შეხირდებოდით, ხომ?

ყარდაშ. — (სიცილით) ვფიცავ ლუარსაბ თათქარიძის ბუზებს, არა დამიშავებია რა ამხანაგ ქეთოსათვის.

ქეთო — (გადიხარხარებს) ეგ ენაც რომ არა გქონდეს, აქამდე მგლები შეგეჭამდნენ!

ყარდაშ. — მგლებისაგან შეეშმა თუ არა სჯობდეს შენს გადაკიდებას, შერცხვენილი ვიყო. არა, აბა, რა დაგიშავე გუშინ, რათ წამეჩხუბე? მე რო სხვა მომწონდეს, შენ რა დავა გაქვს?

ქეთო — სტყუის, ძმები ნუ დამეხოცება, სტყუის! რა მოწონება, რის მოწონება?!..

ნინო
და განო. { აი, თქვე ეშმაკებო!

ქეთო — (მორცხვად) რანაირები ხართ, ღმერთმანი, ადამიანს, ძალა-უნებურად გააწითლებთ!

ნინო — ვაშა! ვაშა! დაგიჭირეთ, თუ არა? ამხანაგო განო, მოდი და შევარიგოთ.

ყარდაშ. — (ჩაიცინებს) მე არა მსურს შერიგება!

ქეთო — არც მე მსურს!

ნინო
და განო { ჩვენ კი გვსურს! (განო ღიმილით მივა ქეთოსთან. ნინო კიდევ გარეგინთან, წაავლებენ მკლავებში ხელს და ერთმანეთთან მიჰყავთ)

ქეთო — (ინახება) დაიკარგოს, მაგას კაცი ხმას როგორ გასცემს?

ყარდაშ — (ესეც ინახება) აღარც მე მაქვს თავი მაგის. ბუზღუნისა!

განო — ბევრს ნუ ლაპარაკობთ! მოიტანეთ ხელები! (ხელს ჩამოართმევინებენ).

ქეთო — (ყარდაშიანს ქვეშ-ქვეშ გაულიმებს) მამა არ წამიწყდეს, თუ კიდევ დაიწყე ენის ჭარტალი, იცოდე სამუდამოდ დაგემდურები.

ყარდაშ. — (ღიმილითვე) ვეცდები ამიერიდან ენა მუცელში ჩავიგდო. მაგრამ, უკაცრავად, მუცლის ხსენება ქალებთან, მგონია, უხრდელობაა. (საერთო ხარხარი და ამაანაგური ლაღობაა, მერე ყველა თავის ადგილას გაჩერდება და მუშაობას განაგრძობენ. პაუზა)

განო — ასე არა სჯობია? ამხანაგებში უსიამოვნება საძრახისი.

ნინო — უსიამოვნება, თორემ მილიონები გვაქვს გასაყოფი, წვრილმანობა კი ყოველთვის დასაძლევია.

ქეთო — (ყარდაშიანს გადახედავს) იცით, რა მწარე ენა აქვს? ისეთ რამეს იტყვის ხოლმე, რომ ტყვიასავით მოგხვედება გულზე.

ყარდაშ. — დღეის შემდეგ ბევრი შაქარი უნდა ვჭამო, რომ ენა დამიტკბეს...

ქეთო — (ღიმილით) წანკლიანო!

ყარდაშ. — მოჩხუბარა!

განო — (იცინის) ჰა, კიდევ მოჭყევით?

ნინო — გეეყოფა, ამხანაგებო ამდენი ხუმრობა, საქმეს დავუჩქაროთ, თორემ საცაა ჩვენებიც მოვლენ. (სიჩუმე ჩამოვარდება. გაჩქარებით არჩევენ ასოებს)

ყარდაშ. — (ქარგა ხანს შეყურებს განოს) ამხანაგო განო!

განო — (თავ-აუღებლივ) მე ვარ!

ყარდაშ. — ხომ იცი, რომ დღეს ისიც უნდა მოვიდეს?..

განო — (ვითომ ვერ ძიხვდა) ვინ?

ყარდაშ. — (ეშმაკურის ღიმილით) აი, მე და შენ რომ ვიცით.

განო — (მორცხვად) გამეცალე იქით!

ყარდაშ. — ჰა, მაგისთანები არ იყოს, თორემა... (თითს დაუქნევს)

განო — (უფრო ძირს დახრის თავს) თავი დამანებე, მეთქი. (ქეთო და ნინო ქვეშ-ქვეშ განოს დააცქერდებიან).

ყარდაშ. (ვითომ თავისთვის) რას იზამს კაცი?.. წესია და ადათი ბუნებისა. თუმცა არ ვიცი, როგორ მორიგდებიან ისა და

ირაკლი კოვზირიძე. ამ ბოლო დროს რაღაცას ედავებიან ერთმანეთს. (ღიღინებს)

გზა სიარულმა დალია
სიპი ქვა-წყალთა დენამა:
გოგო და ბიჭი დალია,
ერთმანეთისა ცქერამა.

განო — (მორცხვი ღიმილით გადახედავს ყარდაშიანს) ვერ მოგართვი, რასაცა ფიქრობ. (ქალები თავდაპერით იცინიან)

ყარდაშ. — (დააცქერდება განოს) ვითომ?

ქეთო — დააყენე, კაცო, ეგ ენა, ძაღლის ქონით ხომ არა გაქვს ყბები მოქნილი.

ყარდაშ. — (სიტყვას გადააბრუნებს) აი, ძაღლი და ღორი დაეუკალ იმათ მკვდრებს, ვინც ჩვენ ამ დღეში გვაყენებს! ზევით, ამ ჯურღმულის თავზე, ცხრა თვალა მზე ანათებს და ჩვენ კი აქა ვლპებით, სიმშილით ვიხოცებით... რა სიცოცხლეა ჩვენი სიცოცხლე?..

განო — ცოტა კიდევ, ამხანაგო, და ჩვენთვისაც ამოვა მზე ბრწყინვალე, მზე დიადი.

ყარდაშ. — ეჰ, ვინ იცის, მოვესწრები კი მაგ დღეს?!

განო — იყუჩე, ამხანაგო. ასეთი თქმა არ შეგშვენის. სულმოკლეობა იგივე სიმხდალეა.

ყარდაშ. — ქალებზე მხდალი ვიღა იქნება?

ქეთო — წერცხვეს ის დედაკაცი, რომელიც მამაკაცს რამეში ჩამოუვარდეს.

ყარდაშ. — (ქეთოს) ყველა ხომ შენისთანა ქალა-ბიჭა არ არის?

ქეთო — გაგიხმეს ეგ ენა. ჰო და ჰო! (ყველანი გულიანად ხარხარებენ)

ნინო — რა ამბავი გვაქვს, ამხანაგებო, გაეჩუმდეთ, თორემ ჩვენი ხმა ქუჩას მიახწევს.

ყარდაშ. — ნუ გეშინიათ, ცოცხლად დამარხულთა ხარხარი, იგივე დუმილია. (ამ დროს მაღლიდან ჩამოესმით სტვენა. ყველანი ძალაუნებურად შეკრთებიან)

ყარდაშ. — (ყურს მიუგდებს) მოდიან, მოდიან ჩვენი ეეფხვები. (განოს მოუთმენლობა დაეტყობა. ყველანი მუშაობას გაახურებენ. კიბეზე რიგ-რიგად ჩამოდიან: თევდორე, ირაკლი, ლეონ ბერგი)

მოსულნი — გამარჯვება ჩვენს ამხანაგებს!

დამხდურნი — გაუმარჯოს თქვენ მოსვლას!

II

თევდორე პატრიშვილი — (დინჯათ აქეთ-იქით იხედება. ენა ბლუა) აბა, ამხანაგებო, მიეშველნეთ ერთმანეთს, ყველამ ხელი წავახმაროთ. საღამომდე უნდა მოვასწროთ ფურცლების დარიგება, თორემ გაფიცვა დაგვიგვიანდება. (უბიდან ამოიღებს დედანს, გახევს რამდენიმე ნაპრად და ჩამოარიგებს. ერთ ნაპერს თითონაც დაიტოვებს, მერე ჩადგება ამხანაგებში, მარჯვნივ და დაიწყებს აწყობას. ირაკლიც მარცხნივ ჩადგება. მარტო ლეონ ბერგი დადის კასების წინ, დაღონებულია. ხარგრძლივი სიჩუმე და გამალებული მუშაობაა. უცბად ყარდაშიანი დაიწყებს ღიღინს, მას ბანს აძლევს მეორე, მესამე, მეოთხე და მალე საამური, თუმცა დაბალი, მაგრამ ხმა შეწყობილი სიმღერა გაჩალდება. ბერგი შუაზე გაჩერდება და ყურს უგდებს)

მეგობრებო, წინ... წინ გასწით,
ნუ შედრკება თქვენი გული,
დე მკერდს სისხლის დაღი აჩნდეს
და შუბლს ოფლის ნაკადული.
წინ, წინ! მედგრად! შევებრძოლოთ,
ჩარხ უკუღმართ ამ ჩვენს დროსა,
ჭირის ოფლში გავატაროთ,
სიმართლის და ძმობის დროშა. (ხანგრძლივი პაუზა)

ლეონ ბერგი — (გრძნობით) ან კი ვინ დაგვიდგება წინ? საცა თქვენისთანა მებრძოლებია, იქ დამარცხებას რა ხელი აქვს? ამ სიმღერამ ისეთ გუნებაზე დამაყენა, ამხანაგებო, რომ მზათა ვარ მარტო მე გაეუმკლავდე ყოველგვარ ბოროტებას!..

განო — (აღტაცებით შეჰყურებს ბერგს, სიტყვას აწყვეტინებს) ერთი კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, ნათქვამია.

ლეონ ბერგი — ერთი რათ ვიქნები. ჩვენ ზურგს უკან მთელი ლეგიონი დგას მაშვრალთა და ტვირთ-მძიმეთა, თუმცა ერთ კაცსაც ბევრი რამის გაკეთება შეუძლია: განა მარტო არ იყო მოსე წინასწარმეტყველი, ებრაელები ეგვიპტის ტყვეობიდან რომ გაანთავისუფლა? განა ერთადერთი არ იყო იესო ნავინი მზეს რომ უბრძანა—შესდექიო და ჰავაონის ხეობაზე შეაჩერა? განა ეული არ იყო ძე მარიამისა,—ნაზარეველი,—რომ ფარისეველნი და მატყუარანი ტაძრიდან დაიფრინა? მომეცით მტკიცე რწმენის ადამიანები და სამს ღღეში დავამხობ თვითმპყრობელობის სიერარგეს.

ყარდაშ. — მაინც წამოჰკრა და თავისი ბიბლია გადაშალა.

განო — (წყრომით გადახედავს ყარდაშიანს და მერე ბერგს მიმართავს აღტაცებით) განაგრძეთ, ამხანაგო, ბერგ. (ბერგი ჩაფიქრებულია).

ნინო — (განოს) რა ტკბილი და ჭკვიანი ლაპარაკი იცის ლეონ ბერგმა.

ქეთო — ნასწავლია და იმიტომ!..

ყარდაშ. — (განოს გულის მოსაგებად) ლეონი სულ სხვა ბიჭია, თორემ ვინ იცის, რამდენი ნასწავლია უშნო და ულაზათო!

ირაკლი კოვზირიძე — ულაზათო, მაგრამ ჭეშმარიტების მღაღადებელი კაცი სჯობია მჭერმეტყველსა და ცრუპენტელა მქადაგებელს. ბატონო ლეონ ბერგ, თქვენ მართალს არა ბრძანებთ. პიროვნებას, როგორც ერთეულს, როგორც ასეთს, არა შეუძლია-რა. პიროვნება ცხოვრებისა და გარემოებათა სულ უბრალო იარაღია. მე, შენ, ის. სათითაოდ უძლურნი ვართ. ძლიერია მხოლოდ მასა და მისი ნებისყოფა.

ყარდაშ. — ახლა-კი დაიწყო ჩვენმა ფილოსოფოსმა!

ირაკლი კოვზირიძე — პიროვნება, როგორც ეგეთი, მოჩვენებაა. სინამდვილეა მხოლოდ ძალა, ძალა მშრომელი ხალხისა. ამიტომ ჩვენ უნდა ავლაგმოთ თითეულის კერძო გულისთქმა და ჩვენი მეობა ხალხთა კრებულს, მშრომელ მასას, დავუმორჩილოთ. რას ნიშნავს „მე“ იქ, სადაც ბრძანებლობს „ჩვენ“. ვინც ასე არ ფიქრობს, ის კარგი ამხანაგი ვერასოდეს ვერ იქნება. კმარა ზღაპრები, თორემ უიმისოდაც შეირყენა ჩვენი ჯგუფი, ჩვენი წრე. უიმისოდაც ბევრი არამზადა ჩამოგვერია და პიროვნების სახელით ჩვენი ერთობის დარღვევას სცდილობენ. (აღელვებით) მე ვხედავ, მე ვგრძნობ, რომ ციხე შიგნიდანა ტყდება.

თევდ. პატრიშვილი — (ენის მოკიდებით) მაკვირვებს, ამხანაგო ირაკლი, შენი ასეთი აპილპილება. ჩვენი ციხის გამტეხი კაცი ჯერ არ დაბადებულა. ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთოთ და მერე ვნახოთ, რაც იქნება.

ირ. კოვზირიძე — იქნება ის, ჩემო კეთილო, რომ ვიდრე ჩვენ ამ ფურცლებს დავბეჭდავდეთ, ამათი შინაარსი კიდეც ეცოდინებათ, სადაც ჯერ არს.

ლეონ ბერგი — (მედიდურად ათვალიერებს ყველას და მერე კოვზირიძეს, დაცინვით) როგორცა სჩანს, ბატონო ირაკლი, თქვენ

უკვე გცნობებიათ ჩვენი მოლალატენი... მომავალ კრებაზე მე მოგთხოვთ იმათ დასახელებას.

ყარდაშ. — (თავისთვის, მაგრამ ყველას გასაგონათ) ბატონო... ბატონო, რას ჩააცივდნენ ამ ოხერ სიტყვას. ველარ გაიგეს, რომ ჩვენ შორის ბატონი აღარ არის?.. ჩვენ ვართ მხოლოდ ამხანაგები.

ირ. კოვზირიძე — (ყარდაშიანს ამრეზით გადახედავს, მერე ბერგს) მე დასახელებისა არა ვიცი რა. როცა საკმაო საბუთს ვიპოვნი, ჩემის ხელით მოვსპობ მოლალატეებს... კატის კნუტივით დავაღრჩობ. (გაჯავრებით დაანარცხებს ბწკართა ყალიბს)

თევდ. პატრიშვილი — (დინჯად) შენ აღარა ხუმრობ, ამხანაგო ირაკლი!..

ირ. კოვზირიძე — უადგილო ადგილას მხოლოდ არამზადები ხუმრობენ ხოლმე.

ლეონ ბერგი. — არა მესმის-რა!

ირ. კოვზირიძე — ყველანი მალე გაიგებენ დაგმათ შორის თქვენც, ბატონო ბერგ!

ბერგი — პასუხს მერე მოგთხოვ-მეთქი, აქ კი საჩხუბრათ არ მოვსულვარ...

განო — (აღშფოთებული) ამხანაგო ირაკლი! სიტყვას საზღვარი სჭირია.

ირ. კოვზირიძე — (გვერდზე შეხედავს განოს) მხოლოდ არა იმ დროს, როცა უტიფრობას საზღვარი აღარა აქვს. (ყარდაშიანს) ამხანაგო, მოაძახადე დაზგა, ჩემი სვეტი უკვე ავაწყე-

ყარდაშ. — კარგია მეც ბატონი არ დამიძახე.

ირ. კოვზირიძე — (თავისთვის) სულელი!

ლეონ ბერგი — (მავა საბეჭდავ მანქანასთან) აბა, მოიტანეთ თქვენ თქვენი ანაწყობი, ამხანაგებო. (ყველანი დაფაცურდებიან. სვეტი სვეტზე მიაქვთ. განო წარბშეკვრით აიღებს ვალოკს, საღებავს ლესავს და თან ბერგს შეჰყურებს. ბერგი ზურგ შექცეული დგას, დაზგის ყურისათვის ხელი მოუკიდნია, დაფიქრებულია, თევდორე სვეტებს ათვალიერებს. ნინო, ქეთო და ყარდაშიანი ერთად ჩურჩულობენ. ირაკლის კალთაზე იდაყვები დაუყრდვნია, თავი ხელებში ჩაუდევს და ღრმად ჩაფიქრებულა. მოისმის სტვენა. ყველანი კიბეს შეუდავენ. ჩამოდის ლადო ხოველი, მას უკან მოსდევს არტემ გუგულიანი.

ლადო ხოველი—გამარჯვება ამხანაგებს, გამარჯვება ჩვენ საქმეს!..

გუგულიანი — (იმეორებს ლადოს სიტყვებს)

ლადო ხოველი — აბა, ამხანაგებო. მზათა გაქვთ ფურცლები? ხალხი მოუთმენლად ელის ჩვენს სიტყვას.

ყველანი — აწყობილია, დაბეჭდვა-ღა აკლია.

გუგულიანი — (სვეტებს ათვალიერებს) ჯან, ბიჭებო, ჯან, ამხანაგებო.

ლადო ხოველი — (დაღონებით) დავაჩქაროთ, გეთაყვა, თორემ ჩვენს სტამბაზე, მგონია, ექვი მოუტანიათ...

ქალები — (გაკვირვებით) ექვი?

კოვზირიძე — (გამოერკვევა) მე კი არ ვიცოდი!

ლეონ ბერგი — ჩვენ სტამბას ეშმაკიც ვერ მოაგნებს.

თევდორე — ისინი ეშმაკებზე უარესნი არიან.

გუგულიანი — ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ. ერთი ხვრელიდან მოგვადგებიან, ჩვენ მეორეთი გავიპარებით...

ყარდაშიანი — (გუგულიანს) ტყვილად კი არ გეძახიან ქალიმელას!

გუგულიანი. ქალის მელა სჯობიან პირაღიას.

ლადო ხოველი — რა დროს ხუმრობაა? აბა, შეეუდგეთ ბეჭდვას.

(ბერგი დაზგას ფიცარსა სდის. განო სვეტებს გორგოლას წაუსწამოუსვამს. იწყება ფურცლების ბეჭდვა).

ირ. კოვზირიძე — (ცწაოედ ამოიოხოებს დაურუდ) არა, ჩვენ შორის ვიღაც მოღალატე უნდა იყოს...

ლეონ ბერგი — (გადმოსძახებს) მაგას მხოლოდ სიმხდალე გალაპარაკებთ. ნერვები აგშლიათ...

ირ. კოვზირიძე — (შეუბღვერს, გესლიანად) ნერვები იმასა აქვს აშლილი, ვინც თვალთმაქცობს.

ლეონ ბერგი — (სიზღვით შეჰყურებს კოვზირიძეს)

ლადო ხოველი — (გავლენიანად) ლეონ! ირაკლი! (ლეონი და ირაკლი ერთხელ კიდევ გაზომვენ ერთმანეთს თვალით. პაუზა, ისმის მანქანის ხმაური)

ყარდაშ. — (ირაკლის განზე გამოიყვანს) რათა ხარ აგრე ამრეზილი, ამხანაგო.

ირ. კოვზირიძე — გული მტკივა, გული!

ყარდაშ. — სულელია! მე მგონია განო...

ირ. კოვზირიძე — წავიდა ხელიდან. სულელი შენა ხარ, რომ ვერასა ხედავ!..

ყარდაშ. — დასანახავი ჯერ არაფერია.

ირ. კოკზირიძე — ნეტარ არიან მორწმუნენი.

ყარდაშ. — ხოლო უპედურ არიან შფოთნი გულითა. (იცინის, ირაკლის ხელს გადახვევს, განსე გამოიყვანს. სერიოზულად) კარგი იქნება, ამხანაგო, რომ ანარქისტობას თავი დაანებო. (აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედავს და ყურში უსურჩულებს) არაფის კი უთხრა და... მეც ცოტაოი მოვიანარქისტებ.

ირ. კოვზირიძე — (მწარე ღიმილით უსურჩულებს) შენც არავის უთხრა და... ანარქიზმისა არა გცოდნია-რა.

ყარდაშ. — (ტაშს შემოკრავს და გადიხარხარებს. ყველანი ყურადღებას მიაქცევენ, გარდა ხოველისა, რომელიც დაბეჭდილ ფურცლებს თავისთვის კითხულობს)

ლადო ხოველი — ჩინებულია, დიდებულია, ჩემო თევდორე! როგორც წერა გეხერხება, ისე რომ ლაპარაკიც გეხერხებოდეს, კლდეს დაანგრევდი.

თევდორე პატრიშვილი — კოკლმა მეძებარმა კურდღელი რომ მოგიბრუნოს, ისიც კარგიაო. მუნჯობა-კი ამდენი ხნის ციხეში ჯდომამ შემძღენა. (იცინის)

ლეონ ბერგი — (გატაცებით) ჩვენ დავანგრევთ იმ ციხეებს.

განო — ჩვენ ავაგებთ ტაძარს, ძმობა-ერთობისას და სიყვარულისას.

ირ. კოვზირიძე — (თავისთვის) მე კი... ავანთებ კოცონს შურისძიებისას... (ლეონსა და განოს ჭალმაცერად გადახედავს)

განო — (შეამჩნევს) სადაც სიყვარულია, იქ შურის ძიებას ადგილი არა აქვს.

ირ. კოვზირიძე — ქვეყნის მოღალატე სიყვარულშიც ყალბია. (აუშტად შეხედავს ლეონ ბერგს)

ყარდაშ. — როგორცა ჰქუხს, ისე არა სწვიმს ხოლმე.

გუგ-ლიანი — (ყარდაშიას) მოისვენე, ბიჭო, სამგლე გოქივით ნუ ატეხილხარ.

ყარდაშ. — ყურებზე ხახვი არავინ დამაჭრას (უცბად დაავლებს ხელს დაბეჭდილ ფურცელს, არტისტულად ფეხს წინ წამოდგამს, მარცხენა ხელს უბეში ჩაიდებს და რიხიანად კითხულობს) „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა! (ყველანი შემოეხვევიან) პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! დაჰკრა საათმა შურისძიებისამ: ამიერიდან უნდა დაინგრეს ყველა ბოროტება და დამყარდეს ქვეყნად სიკეთე, სიკეთე დაუსრულებელი, მომნიჭებელი შეე-

ბისა და ბედნიერებისა. ვინც კი დუხჭირ ცხოვრებას მთლად არ დაუძაბუნებიხართ, ვისაც ცოტათი კიდევ შეგრჩენიათ ფიქრი და გრძნობა, როცა გაიგონებთ სიმღერას თავისუფლებისას, თქვენი ტანჯული გულიდან ამოხეთქილი ხმაც შეუერთეთ ამ სიმღერას. სიმღერა იგი იქცევა საყვირად იერიხონისა და საყვირი იგი დაანგრევს ბუეთა ვერაგობისას. ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს ძმობას, ერთობას და თავისუფლებას.

ყველანი — (აღტაცებით) ძირს მტარვალები. გაუმარჯოს ძმობასა და თავისუფლებას.

ლადო ხოველი — (გატაცებით) ამხანაგებო, ძმებო! ახლა-კი ავიდეთ ზეკით... ბზეზე და დავარიგოთ ეს ფურცლები.

ყველანი — ავიდეთ, ავიდეთ. გაუმარჯოს ბზეს! ძირს ჯუჯრლმული! (თეოდორე ყველას ურიგებს ფურცლებს და სათითაოდ ადიან კიბეზე. ირაკლი სარგებლობს ჩოჩქოლით და კასეს ეფარება. კიბესთან რჩებიან მარტო ბერგი და განო).

განო — (ლეონ ბერგს, რომელიც ფეხს შესდგამს კიბეზე ასასვლელად) მოიცა, ლეონ! მოიფიქრე? მე უშენოთ გაძლება აღარ შემიძლიან! გეთაყვა. სულმოკლეობასა და დიაცობაში ნუ ჩამომართმევ ჩემ ამ სიტყვას, ვინაიდან უმწიკვლო ცხოვრების ერთადერთი თავდები არის გულახდილობა და პირდაპირობა. ხალხის ხელმძღვანელებს თვალთმაქცობა არ შეეფერის. დროა გამოუტყდეთ ანხანაგებსაც და პირდაპირ შეეხეთ მათ თვალებში... იმათ უკვე ეჭვი აუღიათ ჩვენს სიყვაულზე და აღარც მე მინდა ჩვენი ურთიერთობის დამალვა... შენც ხომ გიყვარვარ?

ლეონ ბერგი — რასაკვირველია, მიყვარხარ, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყველას ანგარიში ვაძლიოთ ჩვენი პირადი გრძნობებისა. (ღიმილით) მე მაინც არ მესმის, რას თხოულობ ჩემგან?

განო — იმას, რომ საჯაროთ მივცეთ ხელი ერთმანეთს და ბოლო მოუღოთ მალულობიას...

ლეონ ბერგი — მე არავის არ ვემალები. ჩვენ პირად გრძნობებს-კი არავის არ ვაკითხებ-მეთქი, აკი გითხარი.

განო — ჩვენი პირადი ცხოვრება მაგალითი უნდა იყოს ყველასათვის. (გაუბედავად) გოგო-ბიჭობა კი არ შეგვეფერის.

ლეონ ბერგი — რაში ხედავ აქ-გოგო-ბიჭობას!

განო — იმაში, ჩემო ყველავ, რომ ამხანაგებს არ ეუმხელო ჩვენს გულის ნადებს. ჩვენ თითქოს გვრცხვენია ჩვენი ბედნიერებისა, ჩვენი სიყვარულისა. დაე, გაიგოს მთელმა ქვეყანამ, რომ ჩვენ ერთმანეთისა უნდა ვიყვნეთ და მაშინ მიმსახურე კეპოს კარამდე. წამიყვანე საცა გინდა, რომელ ქვეყანაშიც გსურს... ერთი წუთითაც აღარ მოგშორდები. შენზე მოქნეულ მტრის ხმალს მე შეუშვერ ჩემს თავს, შენზედ ნასროლ ტყვიას მე მივაგებებ ჩემს მკერდს, ლეონ, ჩემო ლეონ! (ალერსიანად) შენი მეუღლე, მეც შენსავით ამოვიდგამ ბულბულის ენას, მეც შენსავით ვიბრძოლებ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე. ხოლო, როცა ამოვა მზე თავისუფლებისა, როცა შენი სალოცავი მშრომელი ხალხი გაიმარჯვებს, პირველი მე ავაფრიალებ დროშას ერთობისას და ვაცნობებ ქვეყანას, რომ შენ იყავ ის გმირი, რომელმაც მომანიჭა მადლი ხალხის საბსახურისა, ჩემო ყველავ, ჩემო სულისდგმავ. ნუ მომკლავ უშენოს, ნუ ჩამიქრობ ლამპარს უკვდავი სიყვარულისას.

ლეონი — (ხელს გადახვევს) ცოტა კიდევ მოიცადე, ჩემო კარგო, ერთი დიდი საქმე მაქვს გასაკეთებელი...

განო — (აწყვეტინებს აღტაცებით) მეც ხელს შეგიწყობ. მეც მოგეშველები, ჩემო სასოებავ, ჩემო სალოცავო. წავიდეთ, ერთად გავაკეთოთ ის დიდი საქმე!

ლეონი — (სიცილით) შენ ჯერ აქ იმუშავე, უერთგულე ამათ და მეც მიერთგულე. რაც მე არ ვიცი აქაურობისა შენ ამიხსენი, შენ მასწავლე და როცა მოვრჩები იმ საქმეს, წავიდეთ აქედან და ბედნიერად ვიცხოვროთ ისეთ ქვეყანაში, სადაც მზეს ღრუბლები არასოდეს არ ეფარება და მთვარიანი ღამეები დაუსრულებელი სიყვარულის ზღაპრებს მოგვითხრობენ.

განო — ოხ, ბედნიერებავ, ოხ, ნეტარებავ! (ეხუტება)

ლეონი — (მოულოდნელად, ცბიერად) ჯერ სხვა არავინ გყვარებია?

განო — (ღიმილით) როგორ არა, მიყვარდა სიზმარში ნახული ქაბუკი (აწყვეს ბერგის გარეგნობას) ქერა, მშვენიერი კულულა თმებით, ისეთი ლურჯი, ისეთი მოცინარი თვალები ჰქონდა, როგორი ლურჯი და მოცინარიც არის ხოლმე დილის ცვარით პირდაბანილი მორცხვი ია. მისი კოპწია ულვაშები,

შარჯანა ტუჩები, მეტყველი ენა და ფრიალო კლდესავით მაღალი, მარმარილოსავით სპეტაკი შუბლი მუდამ თვალ-წინ მედგა და ნეტარების ჟრუანტელს მგვრიდა. მისი ხმა, მისი სიტყვა—ბოროტებასთან საბრძოლველად მომწოდებელი, მისი კიჟინა მიტაცებდა შორს, შორს, ოცნების სამთავროში და ჩემი თავი ქვეყნის დედოფლად მეჩვენებოდა. გუშინ წინ გამოეფხიზლდი. სიზმარი სინამდვილეზე შემეცვალა. გავალე უსაიდუმლოესი კუნჭული ჩემი ქალწულებრივი გულისა და ამ კუნჭულში ჩაემარსე სურათი იმ ჭაბუკისა. ის ჭაბუკი ოცნებაში იყო ჩემი იდეალი და სინამდვილეში კი არის... ლეონ-ბერგი... (ეკვრება ეალერსება) ჩემო შშვენიერო, ჩემო ყველავ.

ლეონი — (სიამოვნებით ხარხარებს) მე კი მეგონა, მართლა მეტოქე მყავს ვინმე-მეთქი.

განო — შენი მეტოქე მარტო სიკვდილია, მხოლოდ ის მომაშორებს შენს თავს, ჩემო მშვენიერო, ჩემო ანგელოზო. (უცბად ყელზე მოეხვევა და მაგრად ჩაკოცნის ტუჩებში. კასის უკან რაღაც დაბრაგუნდება. ლეონი და განო შეკრთებიან. ერთმანეთს გაშორდებიან).

ლეონი — (აღელვებული) კმარა, გეყოფა, გიჟობა! გული დაიმშვიდე... აქაურობას მოუარე... მორიგე ხარ... ორი საათის შემდეგ კი სახლში დამხვდი. (უცბად ‚კიბესე აირბენს) ნახვამდის.

განო — (მიაძახებს) ნახვამდის, ჩემო ვაჟკაცო, თუ ამ ორ საათში სიხარულისაგან სული არ ამომხდა. (ბარბაცით აქეთ-ქეთ აწყდება, მიდის მაგიდასთან და თითქოს სიზმარშია, ღიმილ მორეული უაზროთ ხელებს აფათურებს)

ირაკლი — (გამოდის საფარიდან. გულხელს დაიკრებს, წარბ შეკრულია) განო!..

განო — (შეშინებული მოტრიალდება და განცვიფრებით ირაკლის დაეშტერდება, თითქოს ვერა სცნობს).

ირაკლი — (ცრემლ-მორეულის, საყვედურის ხმით) მაშ, აგრე, განო, განო.

განო — (ხმის კანკალით, ამრეზით) აქ რა გინდა?

ირაკლი — (მწარე ღიმილით) მე მინდოდა მენახა როგორ დაიჭერდა თავს ჭკვიანი და დარბაისელი ქართველი მებრძოლი ქალი ლამაზი ვაჟკაცის წინაშე და კასის უკან დაეიმალე... მე მსურდა დავრწმუნებულიყავი, რომ... შენისთანა ქალებსაც კი ჭკუა თვალებში ჰქონიათ... (მძიმედ, დემონიურად ხარხარებ.)

განო — (აღშფოთებული) გრცხვენოდეს მზვერაობისათვის... ან რა ნება გაქვს, რომ ჩემ მინაურ საქმეში ერევი.

ირაკლი — თქვენ შემცდარი ხართ.

განო — არც ეგ არის თქვენი საქმე!

ირაკლი — თქვენ ვერ ხედავთ, რომ სულით ხორცამდე იღუპებით.

განო — შეცლას არავინა გთხოვთ!

ირაკლი — მე მაინც უნდა გიშველოთ.

განო — რა უფლებით?

ირაკლი — (ოქმა ეძნელება) მე თქვენ მიუწვდომელი არსება მეგონეთ... ვერ გიბედავდით, თორემ მე თქვენ მიყვარდით... ეხლაც მიყვარხართ, თუმცა თქვენი ბაგენი უკვე წაიბილწნენ.

განო — (გაოცებული) რაო, რა სთქვი?

ირაკლი — მე თქვენ მიყვარხართ. განო... განო...

განო — (აღშფოთებული) ნე კი მძულხართ!

ირაკლი — შემიბრალეთ, ნუ გამწირავთ... განო... განო!.. (მუხლებზე დაეცემა და კაბის კალთაზე უნდა ეამბოროს)

განო — (გახზე გ ხტება, თვალებზე ხელს მიიფარებს)

ირაკლი — (ცალ მუხლზე დაჩოქილი ეედრებით) გაფიცებ მაღლა ცას და ძირს დედა-მიწას. გაფიცებ იმ ტანჯულ ხალხს, ჩვენ რომ ვემსახურებით,—დაანებე თავი ლეონ ბერგს და მე მიყვარ... ნე მიმონე... ნუ დამტანჯავ, ნუ ალმეზდი უდროოდ სულს. (წამოდგება და უნდა მოეკიოს)

განო — (ხელს ჰკრავს) მე თავისუფალი ალარა ვარ!

ირაკლი — განო... განო დაფიქრდი, თვალები გაახილე, ნუ დამწიხლავ შენს მმოსავს, შენს ერთგულს ყმას...

განო — მონას ბონობის მეტი რა მოეთხოვება. მე თაყვანსა ვსცემ მხოლოდ ღვთაებას ჩემი გულისას და ეს ღვთაება ჟი ის არის ..

ირაკლი — ის ეშმაკია, ის მოღალატეა, ის მგმობელია ხალხისა.

განო — შენ თვითონ ხარ ცუდზე უცუდესი... ის მხსნელია ხალხისა.

ირაკლი — (წელში გაიმართება და მეჭარედ ჩაიცინებს) მე მგონია ის ჯაშუშიც უნდა იყოს.

განო — (თაკზარდაცემული მიუახლოვდება ირაკლის და კბილების კრეჭუნით) რა სთქვი? გაიმეორე რა სთქვი?

ირაკლი — (ერთ ნაბიჯს უკან გადასდგამს. მტკიცედ და დაცინვით) ის ჯაშუშია!

განო — (მუშტებს მოკუმშავს, ხელებს მაღლა ასწევს, ირაკლის მივარდება) ოხ, შე საზიზღარო, ცილის მწამებელო. (აწყარედ დაიხლაკნება, ირაკლის მოწყვეტით სილასა სტკიცავს და კიბეზე აკანდება)

ირაკლი — (დაიგმინებს, წაბარბაცდება. თვალებზე ხელს აიფარებს და ბრაზმორეული, ქკითინით მაგიდაზე დაემხობა)

(ფარდა ნელნელა ეშვება)

მოქმედება მეორე

ფარული კრება

სცენა: უსწორმასწორო გორაკიანი ადგილია. გორაკების იქით—მორს—მოჩანს კავკასიონის მთები. ერთი გორაკის ძირას მიდგმულია ყავლით დახეული ფიცრული სახლი. რამდენიმე ფანჯარა აქვს აქეთ-იქით. უკანა კედელში კარია. ერთ მხარეს მოსჩანს ერთმანეთზე მიყრილ-მოყრილი ქოხ-მახები, მეორე მხარეს კი მდიდრული სახლები. ხაფხულია. საღამოს ჟამი. ოთახი ღარიბულად, მაგრამ სუფთად არის მოწყობილი. კედლებთან ტახტებია ფარდაგგადაფარებული. შუაში სდგას დიდი, უბრალო მაგიდა. მაგიდაზე—დიდი, იაფ-ფასიანი ლამპა. აწყვია: რამდენიმე ქართული წიგნი, გაზეთი, საწერ-კალამი ერთ-ერთ კედელზე ჩამოკიდებულია ფოტოგრაფიული სურათები, მეორეზე სურათები (სადა ჩარჩოებშ) აკაკისა, ხინოშვილისა, ყაბიეგისა, მარქსისა. ფარდის ახდისას **ნინო** ტახტ-ს საფენს ასწორებს, **ქეთო** მაგიდასთან ზის და თავისთვის გაზეთს კითხულობს.

1

ქეთო — დახე, ქალო, რა უბედურება მომხდარა. ვიღაც პატარა ბავშვი ბანიდან გადმოვარდნილა და სულ დამტვრეულა... ეაი, იმის დედას!

ნინო — საბრალო ბავშვი!..

ქეთო — (მცირე ფიქრის შემდეგ გაზეთს მაგიდაზე დასდებს) ვინ იცის, ჩემო კარგო, რამდენი უბედურება ხდება ჩვენი დაუდევრობითა და ჩვენი ცხოვრობის მოუწყობლობით.

ნინო — ტყუილს კი არ ამბობს ხოლმე ჩვენი ამხანაგი ირაკლი ქოვხირიძე: დასახოცები არიან ისინი, ვისაც ვამტანობა და მეზობლის ჯავრი არა აქვსო... რა იქნებოდა, რომ ყური ეგდო იმ ბავშვისათვის? ვინ იცის, დედა მიაი სამუშაოდ იყო წასული... მესარეცხედ, ან დღიური ლუკმის საძებნელად!..

ქეთო — (მივა იმ ფანჯარასთან, საიდანაც მოსჩანს სასახლეები) რა-საკვირველია, ვინმე უპატრონო იქნებოდა, თორემ, აბა პოლოსას კი არ გადმოუვარდებოდა ბავშვი; გახედე, რა მორთულ-მოკაზმული სასახლე უდგია.

ნინო — ოხრადაც დარჩენია. მერე ჩვენ რა? ღმერთო, რატომ ისე არ არის მოწყობილი ქვეყანა, რომ ყველას რიგიანად შეეძლოს ცხოვრება, ყველას რიგიანად შეეძლოს ყოფნა... დღეს სადილიც კი არ მიჭამია... სიმშილით გული მიწუხდება... ამ უქმეებმა ხომ საქმე გააჭირეს, სამი დღეა ქარხანა დაკეტილია და გროში ვერ ვიშოვნე.

ქეთო — მოგიკვდეს ჩემი თავი, უსადილო ხარ, გოგო? აი ათი შაური მაქვს. იყიდე რამე და პატარა შენაყრდი. ვინ იცის, რამდენ ხანს გაგრძელდეს ჩვენი კრება?

ნინო — (დარცხვენით) უკანასკნელი ათი შაურიც რომ გამოგართვა, მერე შენ რაღა გეშველება?

ქეთო — მე კიდევ სხვას დავესესხები.—ამბობენ, ამხანაგ ბერგს რუსეთიდან ბევრი ფული მოსვლიაო. (ქეთო მივა ფანჯარასთან, გამოაღებს და გადასძახებს) გოგი, გოგი. მიირბინე, შენ გაზრდას ვაჭართან და ამისი ყველი და პური გვიყიდე. (ფულს მისცემს)

ნინო — ბერგი... ბერგი! რა ლამაზია... რა მდიდარი!.. ღმერთს ყოველივე სიკეთე იმისთვის მიუცია.

ქეთო — ხომ არ მოგწონს, გოგო? (მივა და რაღაცას უჩურჩულებს)

ნინო — უი, დამიდგეს თვალები. რას ამბობ, ბეჩა?

ქეთო — რას უნდა ვამბობდე. შენსავით ახალგაზრდა რომ ვიყო, კისერზე ჩამოვეკიდებოდი და იმ ლამაზ თვალებს ჩაუკოცნიდი! (იცინის)

ნინო — ნუ ხარ, ადამიანო აგრეთი პირღია. თუ გაგიგონა ყარდაშიანმა?..

ქეთო — თუ გამიგონა, იმისმა ცხვირმა, მამულები არ ამიწეროს! ნეტავი თავს დამანებებდეს, თორემ მოხარულიც კი ვიქნები.

ნინო — შენ მარტო ცარიელი სიტყვები ხარ. (იცინის)

ქეთო — (ოცნებიანად) ოხ, ბერგ, ბერგ!

ნინო — გაჩუმდი, ქალო! ბერგს ჩვენთვის არა სცალია... ვერც კი გვამჩნევს. ის განოს ეხრუკება.

ქეთო — ფერი ფერსა, მადლი ღმერთსა.

ნინო — მართლაც, სწორედ შესაფერისნი არიან.

ქეთო — მე შენ გითხრა ლამაზი შვილები არ ეყოლებათ, რამ დახატათ ეგრე, ეგ დასაქცევები?

ნინო — რატომ არ დაიხატებოდენ, ჩემო კეთილო, სულ რძითა და ბულკის პურით არიან გაზრდილნი... (ამოიოხრებს)

ქეთო — ნუ გეშინიან, აი გაჰყვები შენც ამხანაგ არტემას და სულ ქუდი ჭერს ჰკარით ხოლმე.

ნინო — (მორცხვად) მკვდარი მკვდარს აეკიდაო. (ამ დროს ფანჯრიდან მოისმის პატარა ბიჭის ხმა) დეიდა, დეიდა.

ქეთო — (ფანჯარას გადაეყუდება და გადასძახებს) შენ გაუბედნიერდი შენს დედას. (გამოართმევს ყველს და პურს მიიტანს მაგიდასთან, დაამტვრევს, დალაგებს და პირველ ლუკმას თვითონ აიღებს, ნინოც მიუჯდება მაგიდას და გულიანად ილუკმება. პაუზა)

2

ირაკლი — (შემოდის, დაღალულია. ქუდს მოიხდის და ტახტზე გადაისვრის) გამარჯვეებათ ამხანაგებო... არავინ არის?

ქეთო — (ღიმილით) როგორ თუ არავინ არის, ჩვენ ხალხნი არა ვართ?

ირაკლი — ნეტავი შენ, რომ ხუმრობის ხასიათზე ხარ. (საათს დაუვდავს. ნინო საჩქაროდ გადაკლაპავს უკანასკნელ ლუკმას და სუფრას აალაგებს) აგერ მერვე საათია და სხვა ჯერ არავინ მოსულა. ღმერთო, რა ხალხი ვართ. ჩვენ არც დროს ვაფასებთ და არც სიტყვას. განა არ უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენთვის ერთი წუთიც ძვირფასია. ძაღლებივით დაგვდევენ უკან, მოსვენებას არ გვაძლევენ და ესენი კი მთელი საათობით იგვიანებენ. (გაჯავრებით ბოლთას სცემს)

ნინო — ამხანაგო, გაჯავრება არ გიხდება.

ირაკლი — გაჯავრება კი არა, ლამის არის თავი მოვიკლა, ისეთ გუნებაზედ ვარ! ყველგან მოტყუება, ყველგან დაწიხლვა, ყველგან დამცირება... ღმერთმა დასწყეველოს ასეთი ცხოვრება!

ქეთო — რა მოგივიდა, ამხანაგო, შენ აღარა ხუმრობ!

ნინო — მართლა და რა მოგივიდა, ყმაწვილო?

ირაკლი — (მაგიდასთან მიეგდება, თავს ხელებში ჩაიმალავს. პაუზა) მეტი მოთმენა აღარ შემიძლია. ან მე უნდა ვიყო და ან ის. რომ იცოდეთ, რა დამცირება გამოვიარე... არა, არა. ეს აუტანელია. ოხ, ღმერთო. (თავს უფრო მალავს)

ქეთო და ნინო — (მისცვივდებიან) რა მოგივიდა, ბეჩა, აღარ იტყვი?

ირაკლი — (ხავხავით) ვიტყვი, დამალვა აღარ შემიძლია... თქვენ გულკეთილი ხართ... თქვენ მიმიხვდებით... არ დამცინებთ... მე მიყვარდა... მე მიყვარს... იმან კი დამწიხლა... სხვაზე გამცვალა... ოხ... ოხ!

ქეთო და ნინო — (გაოცებულნი) ვინ გიყვარს, ვინ ვისზე გაგცვალა?

ირაკლი — სჩანს ბედი არ მწყალობს... წავალ, გადავიკარგები სადმე...

ქეთო — აგრე გულჩვილი არ მეგონე, ამხანაგო.

ირაკლი — (ხმას აუწევს) მე გული აღარა მაქვს. იგი მოკვდა, დაიმარხა. დავკარგე ყოველივე, ამხანაგებო. (შეშლილივით აკეთიქით იყურება) არა, აღარა ხართ ჩემი ამხანაგები, დღეის შემდეგ ეს არის ჩემი ამხანაგი. (ჯიბიდან რევოლვერს ამოიღებს და ხელში შეატრიალებს) ან მე ან ის.

ქეთო და ნინო — (მივარდებიან ხელში) გაგიჟდი თუ!

ირაკლი — (მწარედ ჩაიცინებს, ჩაფიქრდება და მერე უცებ) სად არის განო?

ნინო — განო დღეს არ მოვა. შემოუთვლია: ავადა ვარო.

ირაკლი — (მწარედ გადიხარხარებს) ავადა ვარო... ავად კი არა, იმას ეკურკურება. მე ჭკვიანი, დაკვირვებული, იდეური ქალი შეგონა... ვაღმერთებდი... ეათაყვანებდი... იმან კი სხვაზე გამცვალა. (მაგიდაზე დაეშხობა ყოუდ ჭვითიბებს. ქეთო და ნინო გაშტერებით შეჰყურებენ ერთმანეთს, ხან ირაკლის. მერე წინ წამოდგებიან და ხმა დაბლა)

ქეთო — მართალი ყოფილა!

ნინო — საკოდავი... ან კი რითია ირაკლი დასაწუნი. (ამ დროს დინჯად შემოდის თევდორე. ხელში ვეებერთელა ჯოხი უჭირავს. ქეპი ხურავს. ხმა ამოუღებლივ, დინჯად მიდის ერთ კუთხეში, მიაყუდებს ჯოხს, დინჯად იხდის ქუდს. ხერგ შემოქცეული ჰკეცს, ჯიბეში იდებს, მერე მობრუნდება და დინჯათკენ იძლევა სალამს)

3

თევდორე — აქა მშვიდობა, გამარჯობათ ამხანაგებო, სად არიან სხვები. (დინჯათ მიდის ტახტთან და გაფარჩხვით ჩამოჯდება)

ირაკლი — (ამ ხანში გამოერკვევა, ბუხღუნით) არა ბიძია, ასე საქმე არ გაკეთდება. (საათს დახედავს) რვა საათია... დამიხედეთ მინისტრებს!..

თევდორე — მე მგონია გუნებაზე არა ხარ, ამხანაგო. შეიკრიბებით, ერთ წუთში გადაკწყვეტთ საკითხს და დავიშლებით. ან კი რაღა გვაქვს გადასაწყვეტი. ფურცლები უკვე დარიგებულია. დანიშნული დრო ამხანაგებმა უკვე იციან და მალე გაჩაღდება ის საქმე, რომელიც გამარჯვებასა და სახელს მოგვანიჭებს.

ნინო — (რწმენით) ოღონდაც.

ქეთო — რასაკვირველია!

ირაკლი — ერთი ქვეშ-ქვეშა კაცი სულ პირქვე დაამხობს ჩვენს საქმეს.

ნინო — ასეთი კაცი ჩვენს შორის შეუძლებელია იყოს.

ქეთო — ღმერთმა ნუ მოასწროს ნურავინ ჩვენს დამარცხებას.

თევდორე — მაგას ყურს ნუ ათხოვებთ, ამხანაგებო, ირაკლი მგონია დღეს მარცხენა ფეხზე ამდგარა. (წყნარად იცინის)

ირაკლი — თუ არ მოვკვდი, მე გიჩვენებთ იმ კაცს. მე ვიცი... მე ვგრძნობ, რომ ჩვენს შორის ერთი მოღალატე უნდა ერიოს.

თევდორე — რა საქმე გააჭირე, შე კაცო. თუ იცი რამე სთქვი ბარემ და გაათავე, თორემ როგორ შეიძლება ასეთი ლაპარაკი. ე დაცინვაა, მასხარად აგდებაა მთელი ამხანაგობისა. მე ვიცი, რომ შენ გულმოსული ხარ ლეონ ბერგზე. ყური მოვიარ აგრეთვე, რომ განოს ლეონისათვის მიუცია სიტყვა და რომანული ენით რომ ვსთქვათ, შენი გული და

ხელი უარუყვია. შეიძლება ეს სანწუხაროც იყოს, მაგრამ ქალ-ვაჟთა სიყვარული კერძო საქმეა და ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული. ვისაც საქვეყნო საქმე სწამს და უყვარს, ის კერძო წყენით არ უნდა სარგებლობდეს და პირადი გაბოროტებით არ უნდა ხელმძღვანელობდეს...

ირაკლი — (აწყვეტინებს) მადლობას მოგახსენებ, ამხანაგო, დარიგებისათვის, მაგრამ რაც შეეხება ჩემს ეჭვებს, ცოტა კიდევ მომითმინეთ და მაშინ გამამტყუნეთ. (თავისთვის) ოხ, ღმერთო, რა უბედური ვარ, რა უბედური. ან კი ვის რა უთხრა, რა შევასმინო... (თმებში ხელს იტაცებს)

თევდორე — კერძოობა საქვეყნო საქმეს უნდა ენაცვალოს-მეთქი. ამაშია გმირობა, მხოლოდ ამაშია მსხვერპლის მიტანა.

4

(ამ დროს შემოდიან: ბერგი, ლადო, გარეგინი, არტემა და რამდენიმე მუშა) რაც ბევრი იქნება, ისა სჯობიან რასაკვირველია. (საერთო სალამის შემდეგ, ჯდებიან ზოგი სკამზე, ზოგი ტახტზე. ნინო ლამპას აანთებს, ფანრიანელი სიჩუმეა)

ბერგი — (ჯერ ხმა დაბლა, მერე თანდათან ხმას უწევს) ამხანაგებო... დროს ნულარ ვკარგავთ... ჩვენ მოვესწარით იმ ბედნიერ დღეს, როცა მშრომელმა ხალხმა შეიგნო თავისი მდგომარეობა, გაიგო თავისი ცხოვრების სიდუხჭირე და ჩვენი მოვალეობაა გავუწიოთ მას ხელმძღვანელობა. ჩვენ ნუ შეგვაშინებს, ამხანაგებო, ის გარემოება, რომ დღეს აქ, შედარებით, ცოტანი ვართ, მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს ზურგს უკან სდგას ასი და ათასი ჩვენზე უფრო მგრძნობიარე, ჩვენზე უფრო თავდადებული მუშაკი. საჭიროა მივცეთ მათ ნიშანი, ვუჩვენოთ მათ გზა და ხიდი ცხოვრების გასაუმჯობესებლად. ამ ნიშნის შიცემა, ამ გზის ჩვენება ბედმა ჩვენ გვარგუნა, ამხანაგებო, და ჩვენც მთელის ჩვენის არსებით უნდა ვეკვეთნეთ ყოველგვარ ბოროტებას. გთხოვთ, ამხანაგებო, შევუდგეთ საქმეს და ამოვირჩიოთ თავმჯდომარე, რომ უფრო დალაგებით გადაეჭრათ სადღეისო საკითხები.

არტემა — შენზე უკეთესი თავმჯდომარე ვილა იქნება, ამხანაგო ბერგ! გთხოვთ იკისროთ კრების ხელმძღვანელობა.

ხმები — გთხოვთ... გთხოვთ!

ᲡᲮᲕᲐ ᲮᲛᲔᲑᲘ — ამხანაგი ლადო.

ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲮᲕᲐ ᲮᲛᲔᲑᲘ — ამხანაგი თევდორე!

ᲚᲐᲓᲝ — ამხანაგი ბერგი ჩინებული თავმჯდომარეა. მე კი... შემსახურეთ ხვალ... ზეგ. პირველი მე გამოვალ დროშით ხელში.

ᲗᲔᲕᲓ. — ამხანაგო ბერგ! განაგრძეთ.

ᲮᲛᲔᲑᲘ — ᲚᲔᲝᲜ ᲑᲔᲠᲒ! ამხანაგო ბერგ, განაგრძეთ.

ᲑᲔᲠᲒᲘ — (ᲪᲘᲠᲘᲗ ᲧᲝᲧᲛᲐᲜᲘᲡ შᲔᲛᲓᲔᲒ იᲯᲔᲠᲡ თავმჯდომარის ადგილს. ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲕᲔᲨ-ᲙᲕᲔᲨ ᲣᲑᲚᲔᲠᲘᲡ: დანარჩენები სულგანაბული უცდიან თავმჯდომარის სიტყვას. ᲑᲔᲠᲒᲘ წამოდგება, თმას შეიბერტყავს და მომბიბლავი ხმის თამამით დაიწყებს). მადლობას მოგახსენებთ, ამხანაგებო, იმ ნდობისათვის, რომელიც გამომიცხადეთ. მერწმუნეთ, ამხანაგებო, რომ არც ერთი სიტყვით, არც ერთი ამოსუნთქვით არ ვუღალატებ იმ წმინდა საქმეს, რომელსაც ხალხის სამსახური ჰქვიან. მთელი ძლევამოსილება ჩვენი მოძღვრებისა, როგორც თქვენც კარგათ მოგეხსენებათ, ამხანაგებო, გამოიხატება სულ რამ.ᲔᲜᲘᲛᲔ სიტყვაში და ეს ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠᲘ, სასწაულთმომქმედი სიტყვებია: პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა შეერთდით! იცანით თქვენი თავი, მიეცით ხელი ხელს, მხარი მხარს, და შეჰქმენით ცხოვრების ისეთი პირობები, რომ აღარ იყოს ქვეყნად მძარცველი და მჩაგვრელი, აღარ იყოს ბატონი და ყმა, აღარ იყოს მდიდარი და ღარიბი, არამედ დამყარდეს ქვეყნად ძმობა, ერთობა და თავისუფლება...

ᲔᲠᲗᲘ ᲮᲛᲐ — (აღტაცებით) შენი ჭირიმე, დედავ, რა კარგი დრო იქნება!..

ᲡᲮᲕᲐ ᲮᲛᲐ — ᲢᲡᲡ, ᲜᲣ ᲣᲨᲚᲘᲗ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲡ.

ᲚᲔᲝᲜ ᲑᲔᲠᲒᲘ — (გადახედავს წესიერების დამრღვეველთ, გაიღიმებს და განაგრძობს) ᲯᲔᲠ სულ პაწია ბავშვი ვიყავ, როდესაც პირველად შევიგნე, შევიმცნე... არა, როდესაც პირველად შეᲕᲘᲒᲠᲫᲔᲜ ამ მოძღვრების სიდიადე და ამ დღის აქეთ არ არსებობს ჩემთვის არც დედა, არც მამა, არც და, არც ნათესავი, არც თვისი ტომი...

ᲮᲛᲐ ᲔᲠᲗᲘᲡᲐ — ვაშა, ვაშა!

ᲡᲮᲕᲐ ᲮᲛᲔᲑᲘ — ს...ს...ს...

ᲚᲔᲝᲜ ᲑᲔᲠᲒᲘ — (ᲙᲕᲚᲐᲕ გადახედავს ამხანაგებს) ჩემი დედაც, ჩემი მამაც, ჩემი ერიც მხოლოდ მშრომელი ხალხია. ამ ხალხს

ვანაცვალე მამა-პაპათა რჯულიც-კი... და თუ გინდათ, რომ უებრო მებრძოლები თქვენც იყვნეთ, ამხანაგებო, თქვენც უნდა გაიწმინდოთ ყოველგვარი შენ-ჩემობისაგან...

ხმები — ახლა ჰკითხეთ ზოგიერთ შოვინისტს, ბურჟუას, ნაციონალისტებს?!

სხვა ხმები — ჩუმად, რა უბედურებაა, გაგვაგებინეთ რამე!

თევდორე — (დინჯათ) ამხანაგებო, კერძო ლაპარაკის დრო არ არის.

ლეონ ბერგი — (თითქოს იმათ საპასუხოთ, ვინც სხვა ჯურის ხალხი ახსენა) არ არის ქვეყნად, ამხანაგებო, ნაცია; არ არის ებრაელი, ქართველი, რუსი, სომეხი. არის მხოლოდ კაცობრიობა, უმაღლესი იდეალით აღჭურვილი, უაღრესი სამართლიანობით გამსჭვალული. ხვალიდან იწყება, ამხანაგებო, გაფიცვა ადგილობრივ ფაბრიკა-ქარხნებში და ეს იქნება პირველი იერიში არა მარტო ადგილობრივ ბოროტების დასანგრევათ, არამედ ეს იქნება პირველი ხმა, პირველი ჩვენი ცდა მსოფლიო პროლეტარიატთან დასაახლოვებლად, დასაძმობილებლად. ხვალიდან მთელი სამყაროს მშრომელებს ეცოდინებათ, რომ ჩვენც მათთან ვართ და მათი სიხარულის საერთო ყიჟინა ერთხელ კიდევ დასცემს თაეზარს ამა ქვეყნის ძლიერთა და უსამართლოებას. მაშ გამარჯვება თქვენ, და გამარჯვება თქვენს საქმეს.

ხმები — გამარჯვებულნიც ვყოფილ ჯართ! (ტაში ბერგს)

კიდევ ხმები — გაუმარჯოს ჩვენს საქმეს: ძირს ბოროტება და უსამართლობა.

ერთი მუშათაგანი — ამხანაგო თავმჯდომარე, ნება მიბოძეთ ორიოდე სიტყვისა.

ლადო — მეც!

თევდორე — მეც!

ქეთო — მეც!

ირაკლი — მეც!

კიდევ ორი ს�მი ხმა — მეც... მეც... მეც... (ბერგი ნიშნავს ქაღალდზე)

ბერგი — (პირველ მუშას) სიტყვა თქვენია, ამხანაგო.

მუშა — (წამოდგება. ჩაახველებს. გაუბედავად). ეს არის ახლა ამხანაგმა თავმჯდომარემ დიდებულად დაასურათა მნიშვნელობა

ჩვენი გამოსვლებისა და მუშაობისა. მე ერთი უსწავლელი კაცი გახლავართ, ამხანაგებო, მაგრამ ნათლად ვგრძნობ, რომ ასეთ ტანჯვაში ცხოვრება მართლაც აუტანელია. გაგვიძეხით წინ, ამხანაგებო, და შერცხვეს ის ვაჟკაცი, ვინც არ გამოგყვესთ, დიახ, ამხანაგებო, დრო არის ჩვენც თვალები გავახილოთ, შევუერთდეთ სხვა ქვეყნის მშრომელებს და მოვითხოვოთ ის, რაც ჩვენ გვეკუთვნის. თუ აქამდე ჯურღმულში ვიყავით, თუ აქამდე ყველა გვიბოიკოტებდა, ახლა ჩვენც გვინდა ბზეზე ამოსვლა და ამიტომ ერთხმად შევსძახოდ ჩვენს მჩაგვრელებს: გეყოთ, გეყოთ, ამდენი ბატონობა, მუშებსაც სიცოცხლე გეწყურიათ-თქო. (ჯდება)

ხმები — ვაშა, ვაშა, ამხანაგო.

ლეონ ბერგი — სიტყვას ამბობს ამხანაგი ლადო ხოველი.

ლადო — (დგება, გულხელს დაიკრეფს. ყველანი სიამოვნებით შეჰყურებენ) წარმოიდგინეთ ამხანაგებო, შემოდგომის შავ-ბნელი ღამე, როდესაც ცაზე არცერთი ვარსკვლავი არ მოსჩანს ხოლმე და სასტიკი, მძაფრი ქარი საცოდავად აკვნესებს გაშიშვლებულ ხეებს. საზარელია ასეთი ღამეები, გულსაკლავია უკუნეთი სიბნელე. სასოწარკვეთილება იპყრობს ამ დროს ადამიანს და გონება მისი ამაოდ ეძებს ხსნასა და შველას...

ყარდაშ. — (წამოხტება) ნამდვილი პოეტია. ვაშა, ლადოს!

არტემა — (ღიმილით) ლიახვის ხეობელი რომ არის, თავი იმიტომ მოგწონს?

ხმები — იყუჩეთ, სსუუ!

ლადო — სწორეთ ასეთ უმწეო მდგომარეობაში ვიყავი მეც იმ დრომდე, ვიდრე ფიქრისა და კვლევა-ძიების შემდეგ არ მივაგენი იმ ნავთსაყუდარს, რომელსაც ჰქვიან: ძმობა, ერთობა, თავისუფლება...

ყარდაშ. — (ცვლავ აწყვეტინებს, აღტაცებით) გაუმარჯოს ძმობა-ერთობას!

ხმები — ნუ უშლით... ტსსს.

ლადო — (განაგრძობს) უცბათ ცა გამეხსნა: დავინახე, რომ მარტო მე არ შემომკვნესოდა თურმე გული, მარტო მე არ ვყოფილვარ ძიებაში, მატო ჩემი ხვედრი არ ყოფილა სევდა და ვარამი. ასე კვნესოდა და იტანჯებოდა თურმე მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხი იმ აუტანელ სიმძიმის ქვეშ, რო-

მელიც შეუქმნია ცხოვრების უკუღმართობას, ცხოვრების მოუწყობლობას...

ყარდაშ. — ძირს უკუღმართობა, გაუმარჯოს ცხოვრების მოწყობას.

ხმები — აგრე იყოს!—სსს... ჩუმათ.

ბერგი — ამხანაგო გარეგინ, და თქვენც, (გადახედავს მუშებს) გთხოვთ თავი შეიკავოთ... ორატორს სიტყვას ნუ აწყვეტინებთ..

ლადო — (სიტყვას ამოკლებს) სიტყვას აღარ ვავაგრძელებ, ამხანაგებო, და მხოლოდ ვიკითხავ: რა მოსპობს ცხოვრების იმ სივაგლახეს, რომელსაც ჩვენ განვიცდით. მას მოსპობს მხოლოდ ერთობა და ამ ერთობის მეოხებით დამყარებული სამართლიანობა და თანასწორობა. აი, ამხანაგებო, ის ლამპარი, ის მზე, რომელიც გაათბობს, რომელიც გაანათებს შემოდგომის ბნელ ღამეს, დაანგრევს უსწორ-მასწორობას გონებრივსა თუ ქონებრივს და თითეულ ადამიანს ადამიანურ უფლებასა და ცხოვრებას მიანიჭებს. ხვალინდელი დღე, ამხანაგებო, პირველი სხივი იქნება ამ ამომავალი მზისა. შეიძლება ეს სხივი ერთხელ კიდევ დაჰფაროს შავმა ღრუბელმა, შეიძლება ეს სხივი ერთხელ კიდევ ჩაჰკლან, ჩააღრჩონ სისხლის მორევში,—დაე თუნდა მე ვიყო პირველი მსხვერპლი ძალთა ბნელთა,—მაგრამ გრწამდეთ, ამხანაგებო, რომ პირველ სხივს მოჰყვება მეორე, მეორეს მესამე და ბოლოს მაინც ამოვა ის მზე, რომელიც ამოაშრობს ცხოვრების ჭაობს და რომელიც შარაეანდედით შემოსავს მებრძოლთა სახელებს... მე გავათავე ჩემი სიტყვა.

ხმები — ეაშა, ეაშა, შენს სურვილსა და შენს სიტყვას, ამხანაგო ლადო!

კიდევ ხმები — გაგვიძეხ წინ... ჩვენც შენთანა ვართ! (საერთო ტაში)

ლ. ბერგი — სიტყვა თქვენია, ამხანაგო თევდორე.

თევდორე — (დინჯათ წამოდგება, ღიმილით) რასაც ვფიქრობდი და ვგრძნობდი, ყველაფერი უკვე ითქვა აქ. სიტყვაზე უარს ვამბობ. მხოლოდ გთხოვთ, მიგულოთ თქვენ ერთგულ თანამებრძოლად. (დინჯათ ჯდება)

თითქმის ყველა — ეაშა, ეაშა, ბერო მინდიავ. (ტაში. საერთო აღტაცება)

ლ. ბერგი — (ღიმილით) სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ქეთოს.

ქეთო — (წინ წამოდგება ძალზე ღელავს) ამხანაგებო, საბწუხაროთ აქ არ არის ქალების მესაიდუმლე ამხანაგი განო ლიმაური... ავად გამხდარა, თორემ, ის ჩემსე უკეთესად დაგისურათებდათ ჩვენს დამცირებასა და მწუხარებას. მე კი აბა, რა მოგახსენოთ იმის მეტი, რომ თუ თქვენ, მუშა მამა-კაცები,—ვეღარ იტანთ უღვთო შრომას, ჩვენ ყოველგვარ უფლებას მოკლებული მუშა-ქალები,—ერთი ორად უფრო დაჩაგრული და დამონებული ვართ. მთელი სიმძიმე ოჯახისა თუ საზოგადოებრივი უწესობისა ჩვენ გვაწევს კისრად და მთელი ქვეყანა მარტო ტიკინებაია გვთვლის: ასე ჰგონიათ, ჩვენ არა გვქონდეს საკუთარი ნების-ყოფა, საკუთარი აზრი და ფიქრი. (თავდავ-წყვეტით) ოხ, ნეტაკ შემეძლოს ვეფხვივით მივვარდე ყველა უსამართლო, ყველა უსულგულო ადამიანს და სულ თვალები გამოვაკაწრო... მაგრამ, მგონია, უამისოდაც უდგებათ შავი დღე სისხლის მსმელებს. გაგვიძეხით წინ, ამხანაგებო, და ჩვენ მუშა-ქალები, დაგიმტკიცებთ, რაც შესძლებია გამოფხიზლებულსა და გათვითცნობიერებულ დედაკაცს. (უცბად ჯდება)

ყველანი — გაუმარჯოს ქალებს... ვაშა, მუშა დედაკაცებს.

ყარდაშ. — (წამოხტება და ქეთოსთან მიირბენს) მომეცი შენი დაკოჟიჟებული ხელი, ამხანაგო.

ლ. ბერგი — (მიუბრუნდება ქეთოს) ვაშა, ვაშა, ამხანაგო ქეთო. ბევრი მხდალი ბურჟუა მოინატრებს შენს გულადობას. (იღიმება) მაგრამ ამაზე შემდეგ. დღეს კი მგონია, საკითხი ამოწურულია და, ამ გვარად, ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, მოგახსენოთ ჩემი რეზუმე...

ირაკლი — (ამრეზით) მეც ვითხოვე სიტყვა და, მიკვირს, რატომ არ მაძლევენ...

ხმები — მართალია, სიტყვა ეკუთვნის ამხანაგ ირაკლის.

ლ. ბერგი — მე მოგახსენეთ, ამხანაგებო, საკითხი გამორკვეულია-მეთქი. რაღა საჭიროა მეტი ლაპარაკი? დროა გადავიდეთ ხვალინდელ გამოსვლის წესრიგზე.

ირაკლი — (წამოხტება) არაფერიც არ არის გამორკვეული. მომეცით სიტყვა!

ხმები — მივსცეთ... მივსცეთ...

კიდეე ხმები — სიტყვა ირაკლისაა. მიეცით სიტყვა.

ლ. ბერგი — (წარბშეკვრით) რახან კრებას სურს... ბრძანოს.

ირაკლი (გაჯავრებულია, არავის არ უყურებს) ამხანაგებო, ლამაზ-ლამაზი სიტყვებითა და ლაპარაკით საქმე არ გაკეთდება. ვეთაყვანები რა საქვეყნო საქმეს, არ შემიძლიან გულის ტკივილით არ აღვნიშნო, რომ სწორედ ამ ლამაზი სიტყვების მეოხებით ჩვენს წრეში, ჩვენს ჯგუფში, ბევრი ცხვრის ტყავიანი მგელი შემოგვეპარება ხოლმე და ამიტომ ჩვენ სიფრთხილე გვმართებს...

თევდორე — (ლადოს, უკმაყოფილოდ) აი, ეხლა კი დაიწყო.

ლადო — დაე, სთქვას ბარემ, რაც სათქმელი აქვს!

ხმები — ნუ აწყვეტინებთ. ტსსს. ჩუმად.

ირაკლი — (ყურადღებას არ აქცევს ამ შენიშვნებს) ხვალინდელი და შემდეგი გამარჯვებანიც, დამოკიდებულია, ამხანაგებო, იმაზე, თუ რამდენად ერთგულნი და თავდადებულნი ვიქნებით ჩვენი რწმენისა და იდეალისა. როგორც ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს, ისე ჩვენი ერთი და ორი გამოსვლა ვერ ამოაბრწყინებს იმ მზეს, რომლის შესახებაც ასე პოეტურად ილაპარაკა აქ ამხანაგმა ლადომ. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, ამხანაგებო, რომ საუკუნოებით შექმნილი ვერაგობა, საუკუნოებითვე ინგრევა, ხოლო თუ ჩვენა გვსურს საქმის დაჩქარება, ვიმეორებ, პირველ ყოვლისა, ჩვენ უნდა გავწმინდოთ ჩვენი ჯგუფი მგელ-კაცებისა და ისეთ პირთაგან, რომლებიც ხელთათმანებივით იცვლიან რწმენასა და შეხედულებას!..

თევდორე — (თავისთვის) კიდეე! სწორედ შეშლილია ეს კაცი!

ლადო — მოვუთმინოთ... ვნახოთ, რას იტყვის...

ირაკლი — (გადახედავს კრებას) მე ვამბობ: ფრთხილად უნდა ვიყოთ-მეთქი, ჩვენს ჯგუფში იუდაა შემოპარული. ამ ბოლო ხანებში მე არ მომწონს ამ ვაჟბატონის ქცევა. (უთითებს ლეონზე)

ლ. ბერგი — (გაცხარებული აწყვეტინებს ირაკლის) მე ვამბობ, ამხანაგებო, დამიხსენით შეურაცყოფისაგან. (ჩოჩქოლი ჩამოვარდება: ზოგი განცვიფრებულია, ზოგი აღშფოთებული, ქალები ხელების ქნევით რაღაცას დაობენ)

ირაკლი — (ხმას აღიმაღლებს) დიახ, მე ვამტკიცებ, ამხანაგებო, რომ...

ლადო — (მივარდება ირაკლის) ხომ არ გაგიჟდი, კაცო?!

ლ. ბერგი — (ყვირის) მე არ ვაძლევ სიტყვის თქმის ნებას... ამხანაგებო, ეს რა ამბავია?

ირაკლი — ის ამბავია, რომ მე შენი არა მწამს-რა, ბატონო ბერგ. მე ვგრძნობდი... მე ვიცი, რომ შენ წმინდა წყლისა არ უნდა იყო! გუშინ ღამე მე დაგინახე ჟანდარმებთან... შენ... შენ... (დიდი ჩოჩქოლი)

ლ. ბერგი — არამზადავ! გაჩუმდი თორემ ებლაევე გაგათავებ. (ჯიბისკენ ხელს წაიღებს რევოლვერის ამოსაღებად)

ირაკლი — ვის გაათავებ, ბოღალატევ! თუ დღევანდელი კრება დაუტუსაღებული გადარჩება, მე მოვიკლავ თავს, თუ არა და... ან კი რა საცოცხლებელი ხარ. (მიიწევს ბერგზე დასარტყმელად, ასტყდება ერთი ვაი-უშველებელი, თევდორე და ირაკლი შუაში ჩავარდებიან, ზოგი ბერგს აკავებს, ზოგი ირაკლის, ბოლოს ირაკლი გარეთ გაჰყავთ)

ირაკლი — (კარებიდან) კიდევ შევხვდებით ერთმანეთს, ბატონო ბერგ.

ლ. ბერგი — დაიკარგე აქედან, სალახანავ! (ირაკლი ისევ აპირებს შემოვარდნას. თევდორე და ლადო გაჰყვებიან, სულ მოაშორებენ იქაურობას და უკანვე ბრუნდებიან. კრება ნელ-ნელა მშვიდდება, თუმცა ლაპარაკს ვეღარ ახერხებენ. ჯგუფ-ჯგუფად იყოფიან: ბერგი შეურაცხყოფილად გრძნობს თავს, შფოთავს, ბორგავს)

5

თევდორე — (ლადოს) რამ გააგიჟა ის ბიჭი?

ლადო — მეც გაკვირვებული ვარ.

ლ. ბერგი — (ხმაწმაღლა) ამხანაგებო, მე ისეთი შეურაცყოფა მომაყენა ირაკლი კოვზირიძემ, რომ იძულებული ვარ დაკმაყოფილება მოვითხოვო... მანამდე კი წინადადებას ვაძლევ ამხანაგებს ახლავე გამასამართლონ: ამხადონ ბრალდება და თავის ნდობის გამოცხადებით — საშუალება მომცენ კრების განგრძობისა. წინაალმდეგ შემთხვევაში მე კრებას დავტოვებ... მადლობას მოგახსენებთ, ამხანაგებო, ჩემი ასე დაჯილდოებისათვის. (მიდის კუთხეში და ეძებს თავის პალტოს და ქუდს. ამხანაგებში დიდი ყოყმანი და ჩოჩქოლია, მოითხოვენ ინცინდენტის ამოწურვას)

თევდორე — ამხანაგებო, დიდი სირცხვილი დაგვემართა, რომ ვერ შევაკავეთ პირადი გულისთქმით გატაცებული ირაკლი. კარგი იქმნება ეს საქმე როგორმე მოვაწესრიგოთ.

ერთი ხმა — ამხანაგებო, ირაკლი ყოველთვის გადარეული იყო ხოლმე და დღეს ხომ სულ გადაამლაშა... გამოუცხადოთ ამხანაგ ბერგს ჩვენი ნდობა და მოვსპოთ ყოველგვარი კამათი ამ საგნის შესახებ.

ლადო — სამწუხარო ფაქტს, საფიქრებელიც დაემატა... (დაფიქრდება) ყოველგვარ შემთხვევაში, ჩვენ უნდა მოვთხოვოთ ანგარიში ირაკლი კოკზირიძეს.

პირველი ფუშა — მოვთხოვოთ.

ხმები — მოვთხოვოთ... მოვთხოვოთ! მანამდის კი ამხანაგ ბერგს ჩვენი ნდობა გამოუცხადოთ.

ხმები — ოღონდაც, საპირო! ბრიყვი, გადარეული ირაკლი.

ლ. ბერგი — (რომელიც აქამდე კარებში იდგა ქუდით ხელში, ბორგავდა, ფიფხურობდა) ამხანაგებო, მშვიდობით ბრძანდებოდეთ. ჩემს შეურაცყოფას არავის არ შევარჩენ. მთელი ჩემი სიცოცხლე განა ამისთვის შემოგწირეთ, რომ გალანძღული დავრჩე? (კარს გამოაღებს გასასვლელად)

თევდორე — (ლადოსთან თათბირის შემდეგ წინ გადაეღობა) მოითმინე, ამხანაგო, ჩვენ გიცხადებთ ნდობას და პასუხისგებაში ვაძლევთ ირაკლის.

ლ. ბერგი — ამიერიდან იგი უნდა გამოირიცხოს ჩვენი წრიდან. აი ჩემი უკანასკნელი სიტყვა. ცოტა ხანს დარჩენილიყო კიდევ, მე ვაჩვენებდი მას თავის ყოფნას, მაგრამ ახლა კი დაკმაყოფილებული ვარ, განვაგრძოთ კრება. (მიდის თავის ადგილას)

ნინო — (ჩაფიქრებით) უკეთესი იქნებოდა რომ...

ქეთო — შეესწყვიტოთ.

დანარჩენნი — განვაგრძოთ... ვანვაგრძოთ... ბარემ მოვათავოთ.

ლ. ბერგი — (დამშვიდებით) ჰო, მე უნდა მეთქვა, თუ როგორი წესრიგი მივცეთ ხვალინდელ გამოსვლას... (ამ დროს გარედან შემოიღება ფანჯარა და გამოჩნდება ოფლში გაწურული ირაკლი)

ირაკლი — (ფანჯარას გადმოეხუდება) ამხანაგებო, თავს უშველეთ. მთელი ჯარი მოდის თქვენს დასაქერად. (ხალხი ერთმანეთს მიაწყდება: ზოგი კარებისკენ გარბის, ზოგი ფანჯრისაკენ. ბერგი ფეხს არ იცვლის. დინჯათ არიან ლადო და თევდორეც. ქალები ვიშ-ვიშობენ, აქეთ იქით აწყდებიან)

ირაკლი — (ფანჯრიდან) ჩვენ ბერგმა გაგვცა... მე ეგრძნობდი ამას, მე მოველოდი... (რევოლვერს ამოიღებს და ის ის არის უნდა ესროლოს ბერგს, მაგრამ ამ დროს ჟანდარმი უკანიდან სწვდება და ირაკლის გადაათრევს. სახლში შემოცვივდებიან სხვა ჟანდარმები ვახმისტრის მეთაურობით)

ვახმისტრი — მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის სახელით თქვენ დატუსაღებულნი ხართ. ხელები მაღლა! (ყველანი მაღლა ასწევენ ხელებს. ჟანდარმები სათითაოდ იპერენ. გაჰყავთ)

ლადო — (ჟანდარმს) ჩვენ ხომ ქურდები არა ვართ, ჩვენ გვინდა სამართლიანობისა და პატიოსნების დამყარება.

ჟანდარმი — აი შენი სამართლიანობა. (კისერში ხელს წაჰკრავს, გაათრევს)

ხმა კულისებიდან — ხომ არ გაგექცათ.

მეორე ხმა — გაიქცა... გაიქცა...

მესამე ხმა — გზა შეუკარით, გზა. (გარეთ ხმაურობა და თოფის სროლაა, ოთახში შემორბის კიდევ რამდენიმე ჟანდარმი და ეცემიან ბერგს, რომელიც ერთიღა დარჩა ოთახში)

ლ. ბერგი — (მკაფიოდ, მედიდურის ღიმილით) ხელები იქით, ხელები იქით, ნომერი ოცდა: ერთი ჯვრით. ჟანდარმები უცებ გვერდზე ჩამოდგებიან, და სანხედრო სალამს აძლევენ)

ლ. ბერგი — წინ და უკან გამომყევით, ვითომ მეც დაპერილი ვარ. (დინჯად გასწევს კარებისაკენ და მედიდურად ათვალიერებს ჟანდარმებს)

(ფ ა რ დ ა
ნელ-ნელა ეშვება)

მოქმედება მესამე

პროკურატორი

ს ცენა: დაბალი, ფართო ოთახი, მარჯვნივ ფანჯარასთან დგას საწერი მაგიდა. მარცხნივ რამოდენიმე კარადა „საქმეებით“ უკანა კედლებში, კარების აქეთ-იქით მიკრულია მარმარილოს დაფები, რომელზედაც ოქროს ასოებით აწერია: ერთზე,—„1907 წ. 12 ოქტომბერს სამსახურის დროს ეერაგულად მოჰკლეს უნტერ-ოფიცერი პისჩუმიხა. დიდება და სახელი მას.“ მეორეზე აწერია: „ვახძისტრი სოოოკა შინაურ მტრებთან ბრძოლაში დაქანცული, მოკლული იქმნა ერთგულებისათვის“. მაგიდასთან ზის როტმისტრი შვილიევი. ჯერ ისევ ახალგაზრდაა, ხმელ-ხმელი, შავგვრემანი. პენსნეს ატარებს, დიდი, შუაზე გაყოფილი შავი წვერები მკერდზე დაფენია. თმა მოკლედ აქვს გაკრეჭილი, ესეც შუაზე გაყოფილი. თვალებს ჭუტავს, მკაცრი გამომეტყველებისაა. შვილიევს მაგიდაზე, მარჯვნივ რევოლვერი უდევს. ერთ-ერთ კუთხეში აყუდია ბერდანის ხიშტიანი თოფი, ნახევრად ბნელი ოთახი მძიმე შთაბეჭდილებას ახდენს. თვით როტმისტრი წარბ-შეკვრით ქაღალდებს ათვალიერებს: გაჯავრებულია. გაიღება კარები და შემოდის ჟანდარმის უნტერი.

1

ჟანდარმი — (შუბლზე ხელს მიიდებს, მოწიწებით) თქვენო მაღალ-კეთილშობილებავ!

როტმისტრი — (ვითომ ვერ ამჩნევს)

ჟანდარმი — (კანკალით) თქვენო მაღალ კეთილშობილებავ!

როტმისტრი — (ყურადღებას არ აქცევს)

ჟანდარმი — (ხავხავით) თქვენო მაღალ კეთილშობილებავ!

როტმისტრი — (უცბად შეღრიალებს) ღვთის რისხვა! რამდენჯერ, მიბრძანებია, დაუკითხავათ ნუ შემოხვალთ-მეთქი, თქვენ ბრიყვებო, არამზადებო, სამართალში მიგცემთ, მოგკლავთ, დაგახრჩობთ... დაგხვრეტავთ. (წამოიწევს, რევოლვერს ხელს დაავლებს)

ჟანდარმი — (აიწურება) თქვენ ისიც გვიბრძანეთ, თქვენო მაღალ კეთილშობილებავ, რომ... „როცა „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“—მოვიდესო, დაუყოვნებლივ მაცნობეთო. ეს არის ახლა გიახლათ ხვრელის გზით და მეც იმიტომ გავბედე აქ შემოსვლა.

როტმისტრი — (ცხარედ) ბევრს ნუ ყბედობ! ჰა, რა სთქვი? ნომერი ოცდა ერთი მოვიდა. აქ არის? მოახსენე მობრძანდეს... მარშ.

ჟანდარმი — მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებაკ. (შემოტრიალდება და გადის)

როტმისტრი — (წამოდგება, წვერებს ორივე ხელებით ჩამოიბერტყს. ბოროტად გაიღიმება... მაგრამ ისევ შუბლს შეიკრავ, და კარებს გაჰყურებს... კარები ფრთხილად გაიღება და შემოდის... ბერგი. როტმისტრი ხიხარულით, ორივე ხელით ხელს ჩამოართმევს); აა, ჩემს ლეონ ბერგს ვახლავარ, გმადლობ მოსვლისთვის... გმადლობ უზომოდ, დაბრძანდით, ჩემო კარგო, ჩემო კეთილო, ლეონ ბერგ.

ლ. ბერგი — (უანგარიშოთ იღიმება, თმებზე ხელს ისვამს, სკამზე შინაურულად ჩამოჯდება) მაპატიეთ დაგვიანებისათვის... (საიდუმლო ღიმილით) მაგრამ უსაქმოდ მოსვლა არ მინდოდა. ახლა კი, როცა მესამე ჯგუფი არამზადებისა კაკანათში გავაბით,—თამამათ შემიძლიან მოგილოცოთ გამარჯვება, ხა, ხა, ხა რა ბრიყვულად გაებენ ის თხები. ღმერთო ჩემო, რა სასაცილო სანახავნი იყვნენ. ხა, ხა, ხა.

როტმისტრი — (იცინის) მართლა, ნება მომეცით, ჩემო მეგობარო, უღრმესი მადლობა გადაგიხადო... (წამოდგება და ლეონს გადაკოცნის)

ლ. ბერგი — ნუ ირჯებით, ჩემო კეთილო. ჯერ კიდევ ბევრი იმისთანები დაძვრებიან ჯურღმულში...

როტმისტრი — ღვთისა და შენის დახმარებით, იმათაც მალე მოუგრეხთ კისერს. (სიამოვნებით ხელებს იფშვნეტს) სხვა... მიამბე, გეთაყვა, ვინ ნახე კიდევ? ვინ გაიცანი? რა მოგველის დღეს, ხვალ. სხვა და სხვა... ჩვენც გაეერთობით და საქმესაც გავაკეთებთ...

ლ. ბერგი — (საიდუმლოთ) კიდევ წავაწყდი ერთ ჯგუფს... ხულელები, ბრიყვები, დარწმუნებულები არიან, რომ ქვეყანას გადააბრუნებენ. პირველია...

როტმისტრი — (აწყვეტინებს) ცოტა ხანს მომითმინეთ, გეთაყვა. (ვითომ სხვათა შორის მიდის კარადასთან, იღებს ვეებერთელა დავთარს, უკანვე ბრუნდება, შლის, ათვალიერებს) აბა, განაგრძეთ, ძვირფასო, (ეღიმება) იქნება, ძველი ნაცნობებიც გამოდგენ.

ლ. ბერგი — პირველია (დაცინვით) „აბხანაგი“ ზანგი.

როტმისტრი — (დავთარს ფურცლავს) ზანგი... ზანგი... დიახ, ჩაწერილია. ბებერი თხუნელა ყოფილა.

ლ. ბერგი — რომ შეხედოთ, შავი ორშაბათის ბერიკა გეგონებათ: ყრუჩუნა, ბლუჩუნა, აპუხეტივით შავი და გამხმარი, მაგრამ რაც ზევით არ დადის, ორი იმდენი მიწაში დაძერება! მთელ ჯგუფს ის ატრიალებს.

როტმისტრი — (დავთარში ჩაჰყურებს) მართალს ამბობ, ჩემო ბერგ, მართალს... მაგრამ ღვთისა და შენის მოწყალებით მალე თვის ბოლოკიენით ამოვაძრობთ მიწიდან და ისე დავატრიალებთ, სულ თავს ბრუ დაეხვევა. (იცინის)

ლ. ბერგი — ეგ გათავებული საქმეა! ხელიდან ვეღარ წავიდენ, თუმცა თქვენი აბხანაგი როტმისტრი ხრაპი ხუთი წელიწადია დაეძებს და კი ვერსად ნახა. ამას წინად მეხვეწებოდა: ერთი თვალი დამაკვრევინეთ...

როტმისტრი — (წამოიწევს ხვეწნით) მე არ გამომწირო, ჩემო კეთილო, ჩემო ერთგულო, ბერგ.

ლ. ბერგი — რა ბრძანებაა?! ასე რომ მდომოდა, თქვენთანაც ხომ აღარ მოვიდოდი? მე არ მომწონს ბატონი ხრაპი: ვაუტანელია, დაუნახავი, ყბედი... ამას წინად ერთად ვეახშმობდით „ედემში“ და კინაღამ ხათაბალაში გამხვია... ძალზე დაითრო, მოჰყვა ყვირილსა და ღრიალს: „ასე კი ნუ მიყურებთ, სერთუკი რომ მაცვია, მე ჟანდარმი ვარ, როტმისტრიო.“

როტმისტრი — დიაღ, საძაგელი ვინმეა ბატონი ხრაპი... მფლანგავი, ბაქია, უქნარა... მაგრამ ეშმაკსაც წაუღია მისი სული და ხორცი. განაგრძეთ, ჩემო ლეონ ბერგ, განაგრძეთ.

ლ. ბერგი — მეორე, დიდათ საყურადღებო პიროვნება არის „აბხანაგი“ საზღვარგარეთელი. ეს კი სულ სხვა ჯურის ადამიანია: პირდაპირია, ვით შურდული და სწრაფი, ვით ხირიმის ტყვია. ნიჭიერი, განვითარებული, ფაქიზი, მეოცნებე. სწორედ თვალის ჩინია მთელი ჯგუფისა. მე მგონია, ასეთი უნდა ყოფილიყო ფსალმუნთა მთხზველი დავით მეფე, ან გედეონი, ან სამსონი, სახედარის ყბით, რომ ამოსწყვიტა ფილისტიმლიანები... მით უფრო საჭიროა მისი თავიდან მოშორება, თორემ სულ გადარევს ბრმა და უტვინო ბრბოს...

როტმისტრი — საზღვარგარეთელი... საზღვარგათელი... (დავთარს ათვალიერებს) მართალს ბრძანებ, ჩემო კეთილო. მაგისთა-

ნა კაცი თუ ცივ წყალში არ აბანავე, მთელ ქვეყანას ცეცხლს წაუკიდებს...

ლ. ბერგი — (აწყვეტინებს) საზღვარგარეთელისგან ყველაფერი მოსალოდნელია. მაგრამ უფრო საზიზღარი და სათოკე მათ შორის არის მესამე „ამხანაგი" აი, ის, გუშინ რომ ანაზდეულათ გაგვიძვრა ხელიდან: ირაკლი კოვზირიძე...

როტმისტრი — (კვლავ დავთარს შლის) ირაკლი კოვზირიძე. არის... აი, ყოჩაღ, ჩემო ლეონ ბერგ. კარგი დარანისათვის მიგიგნია?!

ლ. ბერგი — (გაანაგრძობს) მთელი მოძრაობა ამ ქალაქში მაგ სამ კაცზეა დამოკიდებული. არიან სხვებიც, მაგრამ ისინი მხოლოდ ფეხის ხმას აჰყოლიან და ჯგუფის სახელით ტყუილად ცოდვილობენ. ცხვრის ფარას ყოჩები ასწავლიან ხოლმე გზას, თორემ დაიბნევიან. აი ის ყოჩები უნდა მოვსპოთ.

როტმისტრი — ჭკვიანი კაცი ხარ, ჩემო ბერგ, ჭკვიანი. სხვას რაღას მეტყვი საამოსა და სასიამოვნოს?

ლ. ბერგი — გავიცანი კიდევ ერთი ქალიშვილი, ერთი მშვენიერი ცირა... ლამაზია, ვით ცისკრის ვარსკვლავი, განთიადისას რომ ამოდის ხოლმე და უმანკოა, ვით მაისის დილის ცვარი. საიდან ჩავარდა მათ წრეში, ან რამ დააბრმავა ასეთი ჭკვიანი გოგონა, რომ იმ სათოკეებს აჰყოლია, მე არ ვიცი. ვიცი მხოლოდ, რომ დღეიდან ის უკვე მე მეკუთვნის და ჩემს ხელში კი ის, უვნებელი იქნება; მე მიყვარს იგი! არა, მიყვარს კი არა, უზომოთ მიზიდავს მისი უმანკოება და მისი ალერსით დატკბობა მწყურია. ეს მეორე თვეა, რაც ვეარშიყები, ვეარშიყები მოხერხებულად, ძალზედაც შევაყვარე თავი, მაგრამ ნებას მაინც ვერ დაეიყოლიე. მხოლოდ სამჯერ ვაკოცე და ახლაც ტუჩები მეწვის... არა! ის ჩემი უნდა იყოს... არავის დაეუთმობ.

როტმისტრი — ოდონდაც ამ ქალაქში სიმშვიდე დამამყარებინე და თუნდა ათ სხვა იმისთანა ლამაზ ქალს გიფეშქაშებ. გახსოვს „არკადიაში" რომ გოგოები გვყავდა?

ლ. ბერგი — (იცინის) მახსოვს.... მაგრამ სხეულით მოვაკრე, მზეთუნახავიც რომ იყოს, მას როგორ შეედრება.

როტმისტრი — ვინ მოგახსენათ, ჩემო კარგო? რომელი ქალწული შეედრება, მაგალითად, კნეინა მაშოს. სწორედ კამფეტია, კამფეტი შოკოლადისა.

ლეონ — მართალია, მაშო ჯეირანივით ატრიალებს მშვენიერ მაყვალა თვალებს და გედიეით მოარხევს ხოლმე ყარყარა გულმკერდს, მაგრამ რაკი ფეხ-ბსუბუქია, ასე მგონია მაისის ვარდისათვის ვილაც უწმინდურს ზედ დაუფურთხებია-მეთქი.

როტმისტრი — (ხარხარებს) მაისის ვარდი და ფურთხი, ხა, ხა, ხა... რა უცნაური შედარებაა...

ლეონ — ღმერთმანი, არ გეხუმრებით. იგი უმანკოა შველის ნუკრივით.

როტმისტრი — რა ჰქვიან?

ლეონ — ამხანაგები განოს ეძახიან, თუმცა სხვა სახელი უნდა ერქვას... ჯერ არ გამომიკითხავს ნამდვილი ვინაობა... სულ ერთია მოვესწრებით...

როტმისტრი — განო... გაიანე. ჩინებული, პოეტური სახელია (დავთარს მოიმარჯვებს, ხუმრობოთ) მაშ, მოდი და ჩავწეროთ აქ ეგ პოეტური სახელიც. (იცინის)

ლ. ბერგი — მანდ ჩაწერა იმას არას დააკლებს... გაეთოკავთ თუ არა იმ სულელებს, მოვიტაცებ ჩემს განოს და წავიყვან შორს, შორს..

როტმისტრი — ბიჭოს, შენ ძალიან მოგდებია სიყვარულის ალები.

ლეონ—მე ჯერ არ ვიცი რამდენად მიყვარს, მაგრამ ისეთი თვალები აქვს, ისეთი თვალები, რომ... (დაფიქრდება) განო მაგონებს ჩემს პირველ სიყვარულს, პირველ სატრფოს, რომელიც ერთმა რევოლუციონერმა გადამირია, გადაიბირა. გახსოვთ, როგორი გულმოკლული მოვვარდი თქვენთან,—მაშინ ახალი მოსული იყავით ვარშავაში.—ბევრი ვეძებეთ, მაგრამ ვერარას გავხდით. იმ დღიდან არის, რომ სიცოცხლე ტანჯვათ გადამექცა და ყოფნა ვაი ვაგლახად. იმ დღიდან არის, რომ გადავწყვიტე ჩაეწერილიყავ მათ წრეში და შური მეძია. (მწარედ ჩაფიქრდება)

როტმისტრი — (ესეც ჩაფიქრდება, რაღაც საგონებელს ეძლევა) ეხ, მართლაც ძნელი დასავიწყებელი ყოფილა, ჩემო შეგობარო, დაუკმაყოფილებელი პირველი სიყვარული. მაშინ გულში დავცინოდი შენს ტანჯვას, მაგრამ, როცა მე თვითონვე გამოვცადე სატრფოს დაკარგვა, ახლა კი კარგად მესმის შენი გულის ტკივილი...

ლეონი — (მწარედ გადიხარხარებს) შენც ხომ რევოლუციონერებმა არ წაგართვეს გულის სატრფო?

როტმისტრი — შავ წყალსაც წაუღია ყველანი. მე კი თვალიდან დავკარგე და. რუსეთიდან გახარებული მოვეჩქარებოდი, მე მეგონა ჩემი სიყრმის ამხანაგი ქალი, ჩემი თანამგზავრიც გახდებოდა, მაგრამ ჩემი თხოვნა შორს დაიჭირა: ფიქრადაც არ მომსვლია შენი ცოლობაო.

ლეონი — ეხლა სად არის?

როტმისტრი — დედ-მამა დაეხოცა, მიყიდ-მოყიდა რაც კი რამ ჰქონდა, მდიდარი ვაჭრის ქალი იყო და სადღაც გადიკარგა. მას შემდეგ აღარსად შეიხვედრია, თუმცა თვალიდან არ მშორდება მისი სახე.. (დაფიქრდება) ეჰ, დავანებოთ თავი მწარე მოგონებათ, ვინაიდან დაკარგულ ბედნიერებას ვეღარ დავიბრუნებთ. მომეცი ხელი, ლეონ ბერგ, და ჩვენი აღთქმის აღსრულებაში ჩავაკლათ გულის ბოღმა. (ხელს გაუწვდის, ლეონ ბერგი ჩამოართმევს)

ლეონი — ოღონდაც, ჩემო მეგობარო, შურისძიებაღაა შვება რწმენადაკარგულისა და გზიდან გადავარდნილი ადამიანისათვის. (კულისებში მოისმის ყრუ ხარხარი, ხმაურობა. კარები გაიღება და შემოდის როტმისტრი ხრაპი)

როტმისტრი ხრაპი — (გადაკრულშია. ბარბაცებს მღერის „გეიშას" ჰმაზე)

И направо, и налево чорт идюот,
Одна только шансонетка все поет!

(შვილიევსა და ბერგს) გამარჯვებათ... გამარჯვებათ, ყმაწვილებო, მეგობრებო, საყვარლებო. ااا, ამას ვის ვხედავ, ბერგ, ჩემო ძვირფასო ბერგ. სადა გდიხარ, კაცო, აქამდე. აგრე უნდა პურ-მარილის დაძვირება და დავიწყება. რომ იცოდე წუხელის გათენებამდის ვიოხრეთ... ეს არის ახლა ავდექი სუფრიდან... (უნდა მოეხვიოს ბერგს და აკოცოს, მაგრამ ბერგი მოიშორებს და მარტო ხელს ჩამოართმევს, მერე მიუბრუნდება შვილიევს) შენ რაღა თავპირი ჩამოგტირის, გრუზო. კიდევა გლოვობ შენს უკვე გაფრენილს სატრფოს? საქმე გამოგლევია. აქამდე იმდენ რქებს დაგადგამდა, რომ იქნებ ვეღარც კი გეზიდნა. მოდი დავიეიწყოთ ყველაფერი, შევაფურთხოთ ეშმაკს და ასე ერთობლივ ძმურად, წავიდეთ საქეიფოთ „ედემში" ან „არკადია-

ში“... აქ არიან დაშა, გლაშა, პარაშა, დუნიაშა, მაშა და ეინ-იცის კიდევ რამდენი ნაშა... (პაპიროსს უკიდებს, ღიმილით და ბარბაცით მიუბრუნდება ბერგს) სხვა, როგორაა საქმე, ჩემო მეგობარო? ობობა იჭერს ბუზს თუ ბუზები იჭერენ ობობას, ჰა? (შვილიევი მოღრუბლული შეჰყურებს, ბერგიც ამრეზილია. ორივენი სდუმან)

ხრაპი — (ხან ერთს შეხედავს და ხან მეორეს) რა ენა ჩაგვარდნიათ, მეგობრებო. სამუსაიფოთა ხართ შეკრებილი, თუ საეკროთ? (ბერგს), არ გინდა თითო დიდ თმიან გოგრაში ორ-ორი შაური მოგცე... უზალთუნები... გინდა?

როტმისტრი — (მოთმინებიდან გამოსული) მე თქვენა გთხოვთ, ნუ გვიშლით ხელს, ბატონო ხრაპ.

ხრაპი — (განცვიფრებით) მე გიშლით ხელს, მე?

როტმისტრი — დიახ, თქვენ.

ხრაპი — არა, ხუმრობ?

როტმისტრი — სრულიადაც არა.

ხრაპი — მე გიშლით ხელს, მე, ჭეშმარიტი და წმინდა წყლის რუსი კაცი ხელს უშლის ურიასა და ქართველს?.. გესმით, ხალხნო, მართლმადიდებელნო?

შვილიევი — თქვენ სადღაც გამომთვრალხართ და თავს ივიწყებთ, ბატონო ხრაპ, ხელს ნუ გვიშლით-მეთქი?!. (მაგიდაზე გაჯავრებით ხელს დაჰკრავს)

ხრაპი — (მოლბება, შემინებული) უკაცრავად, ბატონო როტმისტრო! უკაცრავად. მე მინდოდა თქვენი გამხიარულება, მე ხომ საწყენათ არას ვამბობ. არ გინდიეართ? წავალ. საჩხუბარი რა მაქვს? (მიდის კარებთან) ეი, ბრეხუნავ, ეტლი, ეტლი, ეტლი მომიყვანე. (მობრუნდება. იცინის) ისაქმეთ, ისაქმეთ და რაც თქვენ თევზები დაიჭიროთ, მე ნულარ გამიყოფთ. მე კი წავალ ისევ რესტორანში. (მღერის)

И направо, и налево черт плюет,
Одна только шансонетка все поет!
(გადის ბარბაცით)

2

როტმისტრი — მოდი და მაგისთანა კაცს მიანდე რაიმე საქმის გაკეთება!!. საძაგელი, არამზადა! ვის უკიჟინებს, ჩვენ, ქართველებმა ექვსი საუკუნით მაგათზე ადრე მივიღეთ ქრისტიანობა. ოცი საუკუნით ადრე შევქმენით სახელმწიფოებრი-

-ვი ცხოვრება და დღეს ხომ ჩვენისთანა ერთგული მოხელე დედამიწაზე არ მოიპოვება... განა, ეგ ჩვენ უნდა დაგვცინოდეს? ოხ, ოხ!..

ლ. ბერგი — დამშვიდდით, ჩემო მეგობარო.

როტმისტრი. — ოხ, ეგ საზიზღარი!

ლ. ბერგი — თქვენ, თქვენ თავს გაუფრთხილდით, ბატონო ჩემო. (წამოდგება) მაგრამ... მე მგონია, თავი შეგაწყინეთ... დროა წავიდე...

როტმისტრი. — მიდიხართ? მერე საქმე როდის გავაკეთოთ?

ლ. ბერგი — არხეინად ბრძანდებოდეთ, ყველაფერს თავის დროზე შეიტყობთ. ახლა კი ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ, რომ ყველა თქვენი ხელქვეითის გულში ჩაგინერგავთ ასეთი დიდი პატივისცემა ჩემი პაროლისადმი: გუშინ რომ შეესძახე № 21 ჯვრით-მეთქი, ისე გამომეპიმენ თითქოს, ხელმწიფე ეყოფილიყო... მართლა, ნება მიბოძეთ რამდენიმე კვირით თვალს მივეფარო, რომ ეპვი არ აიღონ ჩემს ღალატში. უბრძანეთ გამაცილონ ისევ ხვრელის გზით...

როტმისტრი — (დარეკს, შემოდის უნტერი) აანთე სანთელი და ეს ყმაწვილი ხვრელის გზით გააცილე. ფრთხილად იყავ, ქვედა სართულში ნაპერწკალი არ დაგივარდეს, დაბრუნებისას პაპიროსი არ მოსწიო, თორემ მოგკლავთ, დაგახრჩობთ, დაგხვრეტავთ. კარები კარგად მიხურე, ღია არ დაგრჩეს, ვესმის?

ფანდარმი — მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ... (გადის)

ლ. ბერგი — ნახვამდის. (ხელს გაუწვდის)

როტმისტრი — ნახვამდის, ნახვამდის, ჩემო ერთგულო ბერგ... (ხმა დაბლა) მართლა, აი სასყიდელი, ხუთასი მანეთია. (ბერგი ფულს უცბად ჩაიდებს უბეში და სჩქაროდ გადის)

3

როტმისტრი — (მაგიდას მიუჯდება) არამზადა ხრაპი. ერთგული ბერგი. (უმიზნოდ დარეკს, ბრაგუნით შემოდის უნტერი) ნელა ვერ შემოხვალ, შე მხეცო! ბოსელში ხომ არა ხარ გაზრდილი? მე თქვენი უფროსი ვარ და არა თქვენი ამხანაგი. მოგკლავთ, დაგახრჩობთ, დაგხვრეტავთ, გესმის?

ფანდარმი — მესმის, თქვენი მაღალკეთილშობილებაე!

როტმისტრი — ხმა ჩაიწყვიტე. (ფანდარმს კარებზე უჩვენებს) მარშ. (ფანდარმი გადის. ხანგრძლივი პაუზა. როტმისტრი ოცნებაშია, ილიმება, წვერებს იბერტყს, მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო)

4

როტმისტრი —(დარეკს სამჯერ. შემოდის ვახმისტრი)

ვახმისტრი — რას გვიბრძანებთ, თქვენო მაღალკეთილშობილებაე?

როტმისტრი — ვინ გითხრა ხმა ამოიღეო, შე ბრიყვო, ვიდრე მე არ გამოგელაპარაკებოდი. შენი ამხანაგი ხომ არ გგონივარ? მოგკლავთ, დაგახრჩობთ, დაგხვრეტავთ. გესმის თუ არა?..

ვახმისტრი — მესმის, თქვენო მაღალკეთილშობილებავ!

როტმისტრი — მუდამ გახსოვდეს „ნომერი ოცდა ერთი ჯერით", გაუფრთხილდი, როგორც თვალის ჩინს, გესმის?

ვახმისტრი — მესმის, თქვენო მაღალაკეთილშობილებავ!

როტმისტრი — არ დაგავიწყდეს ჩემი ბრძანება, თორემ მოგკლავთ, დაგახრჩობთ, დაგხვრეტავთ, მარშ! (ვახმისტრი გადის)

5

როტმისტრი — (გადაესვენება სკამზე) თუ მეოთხე ჯგუფიც არამზადების, გავბაწრეთ, ერთი ჩინი და ასი თუმანი კიდევ მომემატება... აი ყოჩაღ, ლეონ ბერგ. მალადჩინა, ლეონ ბერგ. სულელი ხრაპი! (სიამოვნებით ხარხარებს)

ფ ა რ დ ა

მოქმედება მეოთხე

მსხვერპლი თვალთმაქცობისა

1

ს ცე ნ ა: სასეირნო ბაღი ზღვის პირად. ადგილ-ადგილ ბუჩქები და ბილიკებია. უკან ზღვა უდევს. მარცხნივ ტყით დაბურვილი მთები, ჩამავალ მზეს ზღვა გაულაქლაპებია და წყნარად ირხევა, ლივლივებს.

წინ დიდებული სურათი იშლება.

ბაღში აუარებელი ხალხი დასეირნობს, მათ შორის დადის სულელი მათხოვარა. სქელ-სქელი, გაბურძგვნილი თმა-წვერი აქვს,

ჭუკყიანი. დადის და ყველას სთხოვს: „პაპიროზი არა გაქვს?“ „შაური არა გაქვს?“ ხალხი დასცინის, ხარხარებს. ზოგიც მოწყალებას აძლევს. ერთ-ერთ ბილიკზე გამოჩნდებიან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გ ა ნ ო და ლეონ ბ ე რ გ ი. წინ წამოვლენ და ერთ განმარტოებულ ბუჩქის ძირას განო დაჯდება, ლეონი კი მუხართეძოზე წამოწვება და განოს კალთაში თავს ჩაუდებს. (პაუზა)

ლ. ბერგი — რა კარგად იჭკუე, ჩემო ლამაზო, რომ ის დღეს გამიგონე და კრებაზე არ წამოხველ. ჯერ იყო და იმ საძაგელმა ირაკლიმ კინაღამ თავი არ შემომაკლა და მერე ხომ სხვა უფრო დიდი უბედურება დაგვემართა. ღამის ათი საათი იქნებოდა, როდესაც მთელი რაზმი ჟანდარმებისა თავს დაგვესხა. მე არ ვიცი როგორ გადავრჩი... როცა მივყავდით, ვიდროვე, ჟანდარმებს ხელი ვკარი, ერთმანეთს მივაჯახე და ერთ ბნელ ქუჩისკენ გავიქეცი. ატყდა ერთი ვაი-უშველებელი... აქეთ ვეცი, იქით ვეცი, მერე ერთ ღობეზე გადავხტი და თავს უშველე... საბრალო ჩვენი ამხანაგები. ვინ იცის, ახლა რა ნესტიან საკანში სხედან. (ტკბილ-ნაწარედ ღიმება)

განო — (ამოიოხრებს) საწყალი ნინო. საწყალი ქეთო. ნეტა მეც იმათთან ვყოფილიყავ... (დაფიქრდება) მადლობა ღმერთს, რომ შენ მაინც გადარჩი, თორემ რა მეშველებოდა უშენოთ?.. (დაიხრება. ბერგს თვალებში ჩახედავს, ქოჩორზე ხელს გადაუსვამს) ჩემო ვაჟკაცო!

ლ ბერგი — (ინაზება) ეჰ, დავანებოთ თავი მწარე მოგონებას და დავსტკბეთ ჩვენი მარტოობით. არის ხოლმე, ჩემო განო, ისეთი წუთები ადამიანის ცხოვრებაში, როდესაც მას უნდა, რომ იყოს გულახდილი, პირდაპირი, გათვალისწინებული. მეც სწორედ ამისთანა გუნებაზე ვარ ამჟამად. განვლილმა შავმა დღეებმა, შენთან ყოფნამ და ამ დიდებულმა ბუნებამ სულ გამომცვალეს. ახლა, აი ამ წუთში, მე აღარ ვარ ის ლეონ ბერგი, რომელსაც შენ იცნობდი გუშინ... გუშინ წინ... ამ წუთში მე პოეტი ვარ, მეოცნებე და მინდა სიყვარულის ჰიმნი ვუმღერო ამ ტურფა მხარეს. (წამოჯდება და მიდამოს თვალს მოავლებს) შეხე იმ ადგილს, (ჩიუთითებს) სადაც მზე ჩასელას ეპირება, შეჩერებულა. ვიშ, რა ლამაზათ მოუქარგავს მზეს ცის კიდური და რა სინაზით შეჰფოფინებს ქვეშიდან მას ზღვა. შეხედე, შეხე, ტალღა ტალღას როგორ მისცეს დასაველ-

თისკენ, თითქოს უნდათო მზის სხივები შესვან, შეხვრიპონ, გულში ჩაიკრან, ჩაიგრიხონ მათი ნშვენება და შეეეედრონ ჯერ ნუ ჩახვალ, მზეო დიადო, კიდევა გვწყურის შენი მზერა, ვერ დავმტკბარვართო. მაგრამ რა მარტო ზღვა? (შემობრუნდება) აბა, შესედე, ის ტყეც როგორ მიბნედილა, გულ-ჩათხროგილა, ალბათ, თუ ფიქრობს: მეც შევთხოვო მზეს არ ჩავიდეს, თუ ვიკმაროო მისი მზერა და დავიძინო. მოლად ეს მინდორიც როგორ ბიბინებს და ცელქ ნიავის არშიყობით თავს ბრუ დასხმული, რა სიტკბოებას მისცემია, გაბრუებულა. ოხ, ბუნებაო, ბუნებაო! ნეტავ თუ რამე შეგედრება თავისი ნშვენებით? (ჩაფიქრდება. ამ მონოლოგის დროს განო თითქოს მუსიკას ისმენსო, ოცნებითაა გატაცებული. ბინდდება, მთების იქიდან ნელ-ნელა ამოდის ბადრი მთვარე)

განო — (მცირე პაუზის შემდეგ) ოხ, ჩემო ბულბულო, ჩემო ენამკვევრო. ნეტავ, რა დედამ გშობა და რა მამამ გაგზარდა, ეგრეთი ენატკბილი.

ლ. ბერგი — (ფიქრებიდან გამოერკვევა) მე, ჩემო ტურფავ, გავიზარდე ერთ ღარიბ ქოხში, ცივ ქვეყნად. სიყმაწვილე ჩემი იყო ჯოჯოხეთი, ხოლო სიკაბუკე ჯოჯოხეთზე უარესი... მე მოვესწარ იმ საზარელ რბევა-აწიოკებას, რომელიც თავს დაატყდა ჩემს ერს — საბრალო ებრაელებს. მე ვნახე, როგორ ფათრავდენ უსუსურ ბავშვებს, როგორ სჩეხდენ უმწეო დედაკაცებს. თვითონ მე სამგან გამიპეს თავი. გრძნობა მიხდილი ერთი ებრაელის სახლში გამოვეხიზღდი. თავს დამდგომოდა ახალგაზრდა ქალი და მურყანის რტოთი სახეს მინიავებდა. ლამაზი იყო ქალი იგი, ვით ღვთაება, და უმანკო, ვით უკვდავება. თვალები ჰქონდა ისეთი შავი, ისეთი ღრმა, როგორც აი ეს ზღვა და შიგ სიტყვით გამოუთქმელი სევდა ჩაჰკვდომოდა. შენ ერთხელ კიდეც გითხარი მისი სახელი. მას ერქვა ლია. მისმა მზერამ გამკურნა, მისმა მზრუნველობამ ფეხზე დამაყენა. სულ ორი თუ სამი თვე ვიყავით ერთად და მის მომზირალს, ფრთები შემესხა, გადამავიწყდა ყველაფერი და სალოცავად ის გავიხადე. მაგრამ ერთს ჩემთვის უბედურს დღეს თვალიდან დავკარგე... ვიღაცამ გადაიბირა. აი, ამ დღიდან ფიცი დავდე სამაგიერო გადამეხადა მთელი ქვეყნისთვის. (ღაბად გონს მოვა, დაღონებულსა და შუბლშეკრულს განოს რომ დაი-

ნახავს,—მის სახეს მიიბრუნებს და თვალებში ჩახედავს) ნუ... ნუ იღ-
რუბლები, გეთაყვა! ეს იყო მხოლოდ ტკბილი ცდუნება და-
ღალული სულისა, მოჩვენება ცრემლმორეულის თვალებისა...
ეს იყო სიზმარი, უცნაური სიზმარი, ღამენათევ კაცს გან-
ოიადისას რომ მოელანდება ხოლმე... გაჭრა, წავიდა ზმანე-
ბა იგი და ახლა მარტო და მხოლოდ შენი მაყვალა თვალე-
ბი-ღა მასულდგმულებს. (ხელს მოჰხვევს განოს და ჩაჭკოცნის)

განო — (აღელვებული, ეჭვნაკრავი) ნუღარ, ნუღარ გაიხსენებ, სანატრელო, იმ ქალის სახელს!.. ახლა მე და შენ ვებრძოლოთ ქვეყნის მტრებს... მეც შენსავით დაჩაგრული ერის შვილი ვარ, მომეცი ხელი და მე შენ დაგიმტკიცებ როგორი სიყვარულიც სცოდნია მგზნებარე კოლხიდის ასულს...

ბერგი — ამ ბუნების შვილს სიყვარული რომ არ შეგეძლოს, ეს ხომ გმობა იქნებოდა თვით შემომქმედისა?

განო — შენც ხომ გეყვარები. მითხარ, მითხარ... შემომფიცე...

ბერგი — სისულელეა ფიცი, როდესაც მთელი ჩემი არსება დამინაცვლებია სატრფოსათვის!..

განო — (ნეტარის ღიმილით) ვინ არის შენი სატრფო?

ბერგი — ჩემი იდეა და... შენ, შენ...

განო — იდეა და მე? სიყვარულში მოზიარე არავინ მინდა. მარტო მე უნდა გიყვარდე, მარტო მე... ნეტავ ახლა ღრუბლად გვაქცია ორივენი, რომ ჩვენს გარეშე არავინ იყოს... ოხ, როგორ ვიტანჯები!..

ბერგი — რა გაქვს დასატანჯი? ჩვენი გზა ახლა ხსნილია. ხვალ-ხვე გავალთ აქედან და ერთი კვირის შემდეგ ისეთ ადგილას ვიქნებით, რომ ეშმაკიც ვერ მოგვაგნებს.

განო — (გატაცებით) ნეტავი აგრე, ნეტავი აგრე.

ბერგი — (ცბიერის ღიმილით) მერე ხალხი? ჩვენი ამხანაგები? ჩვენი საქმე?

განო — (გონს მოსული) მართლა, ხალხი, ამხანაგები! დალახვროს ღმერთმა თავდავიწყება! ყველაფერი დაჰფარა შენმა... სიყვარულმა. (ალერსიანად, თან გაუბედავად) ამიხსენი, გეთაყვა, რა არის... რაზეა დამყარებული სიყვარული?

ბერგი — (ცინიკურად) სქესობრივ ალღოზე.

განო — (მორცხვად) ვერ არის პოეტური ახსნა.

ბერგი — იქნება მართლა გჯერა პოეტებისა, სიყვარულს ციურ გრძნობად რომ სთვლიან? ნუ დაუჯერებ იმ სულელებს! სიყვარული მხოლოდ სწრაფვაა ღელვისა და დასაბამია კერძო საკუთრებისა.

განო — (ნაწყენივით) შენი პირველი განმარტება მდარე ღირსებისაა, ხოლო მეორე—სიყალბე. ვინაიდან კერძო საკუთრება ბოროტებაა, სიყვარული კი...

ბერგი — (გულგრილად აწყვეტინებს) სიყვარულიც ბოროტებაა. სიყვარულმა გააყიდვინა იესო იუდას, სიყვარულმა დააკარგვინა ადამ და ევას სამოთხე, სიყვარულმა შეჰქმნა ევი და შურისძიება, სიყვარულმა წარმოშვა შენ-ჩემობა, ჩაახშო თავისუფალი აზრი და თავისუფალი მისწრაფება.

განო — გონს მოდი, ლეონ, რაებს ლაპარაკობ! სიყვარული რომ არ იყოს, სიცოცხლეც ხომ არ იქნებოდა?

ბერგი — სიცოცხლე... სიცოცხლე! რის მაქნისია სიცოცხლე გაბოროტებული, სიცოცხლე შურის ძიებათა და ღალატით აღსავსე?

განო — (დაბნევით) შენ მაინც არ გეთქმის საყვედური. მე შენთანა ვარ და დაგიხსნი კიდეც ყოველგვარ უსიამოვნებისაგან. შენთვის თავსაც დავდებ...

ბერგი — (ამოოხვრით) სიყვარული ჰკლავს იდეას, სპობს სურვილს ხალხსნური ბრძოლისას. აბა, ახლა, მაგალითად, რას ვაკეთებთ აქ? ჩვენი ამხანაგები იქ იტანჯებიან და ჩვენ კი განცხრომას ვეძლევით. რათა? იმიტომ, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და მთელი ქვეყანაც რომ გადაბრუნდეს, ჯავრი აღარა გვაქვს. სიყვარული დასაბამია-მეთქი კერძო საკუთრებისა, განა ტყუილი გითხარი? შენ ჩემი ხარ, გესმის, ჩემი და სხვას ხელი არაფისა აქვს შენთან. ჩემი შეობა, ჩემი კერძოობითი გულის-თქმა ნებას არ მომცემს, რომ შენი თავი ვისმე დავუთმო... მაგალითად, თუნდა ირაკლის... იმასაც ხომ უყვარდი?

განო — (გაფანტვით) ნუღარ გამახსენებ იმ საძაგელს... რა ნება ჰქონდა, რომ შემიყვარა.

ბერგი — (გადიხარხარებს) რა ნება ჰქონდაო? განა მზე ნებას სთხოვს ვისმეს როცა ამოდის, განა გრძნობა ბილეთებით იყიდება?

განო — (შეშფოთებული) მე შენი არა მესმის რა... რაია ლაპარაკობ აგრე ორპოფად?

ბერგი — იმიტომ რომ მე შვილი ვარ ცხოვრებისა და ცხოვრება კი ორპოფობასა და კერძოობაზეა დამყარებული! ცხოვრებაში გამარჯვებული მხოლოდ ის არის, ვინც დაიმონებს ბრბოს, ვინც პირველად მოხიბლავს ქალს, ვინც მხოლოდ და მხოლოდ თავის პირად ნებისყოფას დაუმორჩილებს სხვის ნებას.

განო — (განცვიფრებული წამოიწევს) მე შენ ვეღარა გცნობ!

ბერგი — დროა გამიცნო. ლეონ ბერგი ხალხში სხვაა და გათავისწინებული, განმარტოებული, კიდევ სხვა! ბრბოს უყვარს, როცა მას ატყუებენ, მე კი მეჯავრება, როცა ჩემსავე თავს ვატყუებ. მე არ მრწამს საზოგადოებრივობა, მრწამს მხოლოდ, რომ მე—ზე ვარ და თუ ბრბოს ტაშს ვუკრავ, ამით ჩემს პირად თავმოყვარეობას ვიკმაყოფილებ, მე მიყვარს ბატონობა, მიყვარს, როცა ჩემს წინაშე მატლებივით ხოხავენ, მიყვარს, როცა ვაღორებ მონებს, საპყარებს, ფუტვინოებს...

განო — (სასოწარკვეთილებით) ღმერთო, რა მესმის ეს, რა?

ბერგი — სრული ქეშმარიტება, შენც მარტო შენი თავი გიყვარს, თორემ ირაკლის უარს არ ეტყოდი. სიყვარული ის კი არ არის, რომ შენი სიამოვნება ეძიო, შენი გულისთქმა აისრულო, სიყვარული ის არის, რომ სხვას მიანიჭო ბედნიერება, სხვას ემსახურო, სხვას დაჰყვე ნებას...

განო — (ფეხზე წამოიკრება) ხუმრობ თუ?

ბერგი — (გადიხარხარებს ცბიერად) შეფუცხუნდი? ვხუმრობ, რასაკვირველია, ვხუმრობ. მე გცდიდი...

განო — რა მაქვს გამოსაცდელი?! შენ მოგანდე ჩემი გულის სიმები. ჩემი სიცოცხლე და შენი ავი, ჩემი ავიც არის...

ბერგი — (შემპარავი ღიმილით) ნუ გამიწყრები, ჩემო კარგო, მაგრამ ეგეც ცარიელი სიტყვებია. გეყვარები იმ დრომდე, ვიდრე შენს ოცნებას, შენს ილუზიას ფრთები არ შეეკვეცება, ვინაიდან სიყვარული უაღრესად ეგოისტური გრძნობაა... მე ასე მგონია, მინამ იარსებებს სიყვარული ქალ-ვაჟთა შორის, მათთვის თვით იდეა ან იარაღი იქნება ერთმანეთთან დასაახლოებლად, ან თვალთმაქცობა.

განო — (შეტევით) ლეონ!

ბერგი — (არხეინად) მე ვარ!

განო — ლეონ! ნუ, ნუ დამაფიქრებ. მე მინდა უდარდელად მიეეცე ჩემს გატაცებას, ჩემს აღმაფრენას.

ბერგი — ბავშვი ყოფილხარ!

განო — ნუთუ დამცინი კიდეც?

ბერგი — ღმერთმა დამიფაროს ვისიმე დაცინვისაგან. მე მხოლოდ იმას ვამბობ, რომ სიყვარული განხორციელებული ეგოიზმია-მეთქი.

განო — მამ, ნუთუ ქვეყნად არ არსებობს უანგარო გატაცება, უანგარო სიყვარული?

ბერგი — არ არსებობს! საზოგადოდ ადამიანი ან თავის თავს ატყუებს, ან სხვას და ორივეჯერ მხოლოდ ეგოისტობა ახელმძღვანელებს ხოლმე. პირველ შემთხვევაში ე. ი. თავის მოტყუებით ის განზრახ იხშობს თავის მეობას, ხოლო მეორე შემთხვევაში ე. ი. როცა სხვას ატყუებს, იგი უკვე გამოცდილი მსახიობია.

განო — ვფიცავ შენ თავს, მაგ ორმაგობისა არა მესმის რა!

ბერგი — (ღიმილით) დროა შეიგნო, რომ ქვეყნად მხოლოდ ორმაგობაა ხელსაყრელი.

განო — (ისევ მოუჯდება ლეონს თავ-ბრუ დასხმული, დარეტიანებული, აღარ იცის, რა სთქვას, რა იფიქროს) არა, ლეონ, არა! ხელსაყრელია მხოლოდ სიყვარული, სიყვარული თავდადებული, სიყვარული ცხოვრების მიმნიშვნელი. ჩემი მამა, დედა, ძმა, და, საშობლო შენთვის შემომიწირავს, ოღონდ კი მუდამ შენთან ვიყო, შენ გეალერსო... რაებს ლაპარაკობ, ჩემო გიორგ, ჩემო ღვთაებავ: ნუ... ნუ მცდი გეთაყვა... გვიანღაა! (მოეხვევა და გიჟურად ჩაჰკოცნის).

ბერგი — (ვითომდა ხუმრობით) დიდებული ვეინინგერი, დიდებული შოპენჰაუერი! (თვითონაც ჰკოცნის თავდავიწყებით. ხანგრძლივი პაუზა)

2

(მოვარე დაჰქათქათებს მიდამოს, ხალხიც გაკრეფილა. ზღვის პირი საიდუმლოებით არის მოცული, შორიდან მოისმის სიმებიანი ორკესტრის გულ-წარმტაცი სერენადა. ჰკენესის და ჰგმინავს მუსიკა იგი და შორით მონაბერი ჰანგები ნეტარებითა და თან სევდით ავსებს მსმენელებს. განო და ბერგი სხვედან ხელ-ხელ გადახვეულნი, თავი-თავზე მიუყრდენიათ და მუსიკის ზეგავლენით თავ-თავის საგონებელს მისცემიან. მთვარე თავზე დაჰყურებთ. მუსიკა ხმადაბლა უკრავს მეორე გამოსვლის ბოლომდე)

ვინმე მოხუცი — (სერთუკში გამოწყობილი მოდის ერთ-ერთი ბილიკით, წელში მოხრილია, თეთრი თოვლივით თმა და წვერი აქვს, ბუჩქს გადმოსცდება. განოს და ლეონს რომ დაინახავს, თითქო შეკრთაო, ხბის კანკალით) მაპატიეთ ყმაწვილებო, ახალგაზრდებო... მშვენიერმა საღამომ გამომიტყუა. მოხუცი ვარ მარა ეს ოხერი გული თურმე როდი ბერდება! ოცნებამ გაბიტაცა და წარსულის მოსაგონებლათ ამ ყრუ ადგილისაკენ გამოვწიე... (ბერგი და განო გამოერკვევიან, გასწორდებიან)

ვინმე მოხუცი — მაპატიეთ-მეთქი ახალგაზრდებო, მშვენიერებო... ნება მიბოძეთ აქვე, თქვენს გვერდით ჩამოვჯდე...

ბერგი — შეგიძლიათ... ჩვენ არას დაგვიშლით... სასიამოვნოა ცოცხალი არქეოლოგიური ნაშთის ნახვა. (განო და ლეონი იცინიან)

მოხუცი — (ხეკობზე ჩამოჯდება) გაიცინეთ... გერიტებო, მტრედებო... ისიამოვნეთ ვიდრე დრო გაქვთ, თორემ დაბერდებით და ისე გაგიფრინდებათ დრო ხელიდან, როგორც გამიფრინდა მე.

ბერგი — რამდენი წლისა ხართ ბაბუა?

მოხუცი — (ღიმილით) ჩემი დაბადება მე თვითონ არ მახსოვს, სხვის სიტყვით კი სამოცდა თუთხმეტისა უნდა ვიყო.

განო — ნეტა ჩვენც მივაღწიოთ მაგ ხნამდე...

მოხუცი — თუ ერთმანეთი გეყვარებათ და ცოდვას არ ჩაიდენთ, ან არ ჩაგიდენიათ, მეტსაც იცოცხლებთ.

ბერგი — (სიცილით) რა ცოდვა უნდა ჩავიდინოთ? ჩვენ დაძმანი ვართ.

მოხუცი — დიდი ხუმარა ყოფილხართ, ჩემო კარგო. დაძმა ხალხს არ მოერიდება და ყრუ ადგილას მთვარისა და ხღვის საცქერათ არ წამოვა... გესმით ეს მუსიკა? იგი მხოლოდ სიყვარულს უგალობს. (ღიმილით ყურს დაუგდებს მუსიკას)

ბერგი — აი ყოჩაღ, მოხუცო. გეტყობა ყმაწვილობისას ბევრი რამ გამოგიცდიათ.

მოხუცი — ბევრი რამ? არა! სიყვარული ერთხელ, სულ ერთხელ გამოვცადე მაგრამ ისიც საკმარისია, რომ ვიცნო შეყვარებულნი... მაშინ სულ 23 წლისა ვიყავ.

განო და ბერგი — (ერთმანეთს შეხედავენ) ჩვენც სწორეთ 23-სა ვართ.

მოხუცი — რა ბრძანეთ?

ბერგი — არაფერი. კარგი, საუკეთესო დროა, 23 წელიმეთქი.

მოხუცი. — რასაკვირველია, ამ ხანაში კაცია, თუ ქალი, სულ ვარსკვლავების ეთამაშება.

ბერგი — თქვენც, ალბათ, ეთამაშებოდით მაღლა მთვარეს და ძირა ლამაზ ქალებს, არა?

მოხუცი — ეაპირებდი გათამაშებას, მაგრამ... (ამოიოხრებს) ჩემმა სატრფომ უდროო დროს დამიკოდა გული. ფრთები შემაჭრა!...

ბერგი — საინტერესოა ძველი რაინდის, ძველი ისტორიის მოსმენა... თუ შეიძლება გვიამბეთ!

განო — გვიამბეთ, მოხუცო, ჭკუა გვასწავლეთ ახალგაზრდებს.

მოხუცი — სიამოვნებით... მით უმეტეს, რომ ამ საუკეთესო მუსიკამ, ამ ცბიერმა მთვარემ, ამ სიომ ზღვისამ გამაახალგაზრდავა, მომაგონა ჩემი წარსული და თქვენც რომ არ შემხვედროდით, მე ჩემსავე თავს მოუყვებოდი ჩემს თავგადასავალს. ხომ მოგეხსენებათ, მოხუცი მხოლოდ მოგონებითღა სცოცხლობს. (ჩაახველებს, წვერებზე ხელს ჩამოისვამს და ნელი ხმით დაიწყებს) უნდა მოგახსენოთ გერიტებო... მტრედებო, რომ იმ თავითვე დიდი მეოცნებე ვიყავი: სულ იმას ეფიქრობდი, როგორმე გარდამექნა მაშინდელი წესი ცხოვრებისა და დამემყარებია სრულიად ახალი, თავისუფალი, თანასწორი, ძმური და ერთობრივი... გამიტაცა ამ ოცნებამ, შევადგინე განსაკუთრებული წრე, ავიყოლიე მრავალი ქალი და ვაჟი, ყოველ საღამოს ვიკრიფებოდით ხოლმე, ვადგენდით გეგმებს, ვწერდით წერილებს, ვშოულობდით თანამგრძნობლებს, ვაერცელებდით ჩვენს აზრებს, ჩვენს იდეებს...

ბერგი — მოხუცო, მგონია ცოტათი აჭარბებთ... ამ ორმოცი, სამოცი წლის წინად მაგისთანა არა მოსდებოდა-რა.

მოხუცი — (ღიმილით) მე ხომ ვიყავ და თქვენ კი სიტყვას მისწორებთ?.. ვერ არის კარგი, ყმაწვილო კაცო... სწორედ ამაზეა ნათქვამი: მაზლი ქორწილში იყო და რძალი კი ამბავს უყვებოდა. (ბებრულათ იცინის)

განო — განაგრძეთ, განაგრძეთ.

მოხუცი — (კვლავ ილიმება) უკაცრავად, ყმაწვილო, თქვენი სატრფო თქვენზე უფრო ცნობისმოყვარე ყოფილა.

ბერგი — ქალი ყოველთვის ქალად დარჩება.

განო — (საყვედურნარევ ღიმილით) ლეონ, შენ ამბობ მაგას?

ბერგი — მე მინდა მოხუცი ავალაპარაკო, ვათქმევინო, რა აზრისაა ქალებზეც.

მოხუცი — რა აზრისა ვარ ქალებზე? მე ასე მგონია, ულალებოთ კაცები მხოლოდ მასხარები და უსაქმურნი ვიქნებოდით.

ბერგი — კვლავ აპარბებთ, მოხუცო!

მოხუცი — სრულიადაც არა. ქალი თვალია ქვეყნისა.

ბერგი — მართლა?

მოხუცი — (ყურადღებას არ აქცევს, განაგრძობს) ქალი აზარმაცია მამაკაცის საქმიანობისა: რაც რამ ხდება ქვეყნად: კარგი, თუ ავი, ხდება ქალის გამო, ქალის მეოხებით და ქალის ნებით.

განო — ეაშა, ეაშა, მოხუცო!

მოხუცი — ეგ ეაშა ეკუთვნით ქალებს, საზოგადოდ, პირადათ მე კი გულნატკენი და დაღუპული ვარ ქალისაგან.

ბერგი — (ღიმილით) მაცა, თუ მე არ გავიმარჯვო.

მოხუცი (ღიმილითვე) არა მგონია. (განაგრძობს) ჩვენ წრეში ბევრი ქალი ერია. ერთი მათგანი შემიყარდა და შემიყვარდა იმდენათ, რომ მზათ ვიყავ იმის გულისათვის ყოველივე მსხვერპლი გამეღო, მაგრამ იმ დროს უშნო ვიყავ გარეგნობით, ულაზათო. ის კი ღვთაებას ჰგავდა. გარდა ამისა, ის ქალი ჭკვიანი მეგონა და როგორც ღმერთს შორიდან ვლოცულობდი, მოწიწებით ვიქცეოდი და ვერც კი წარმომედგინა, რომ მას შეეძლო მიწიერი... სქესობრივი დაახლოვება ვისთანმე. ჩვენ წრეში იყო ერთი მშვენიერი ვაჟკაცი გარეგნობით, ენამჭევრი, მლიქვნელი, შემპარავი. აი ამ ყმაწვილმა მოხიბლა ჩემი სალოცავი საგანი და ჩემთვის ერთ უბედურ დღეს თვით ის ქალი ჩაუვარდა მუხლებში ვაჟს და ევედრებოდა შემიყვარეო.

განო — (ცოტა ზეშფოთებული) მერე აქ დასაძრახისი რა არის? თუ კი ვაჟს შეუძლია სიყვარულის გამოცხადება, რატომ ქალსკი არ უნდა შეეძლოს?

მოხუცი — გეთანხმებით. მაგრამ ის ქალი იმ ვაჟს არ იცნობდა და თავი კი დაიმცირა.

ბერგი — სიყვარული არავის არ ამცირებს.

მოხუცი — სიყვარულიც არის და სიყვარულიც.

განო — სამაგიეროთ, სიყვარული გულთა-მცილავია.

მოხუცი — დიდი შეცდომა მოგდით, ისე, როგორც შესცდა ჩემი სატრფოც... ის ყმაწვილი შემდეგში უპატიოსნო, მატყუარა გამოდგა...

განო — (განცვიფრებული) მატყუარა?

მოხუცი — დიაღ, მატყუარა, ორპირი, დაღუპა საბრალო ქალი.

ბერგი — შეუძლებელია, ჭკვიანი და დაფიქრებული ქალი წინდაწინვე ვერ მიხვდარიყოს.

მოხუცი — ეშმაკს ვინ რას გაუგებს?

ბერგი — მოხუცებულხარ, ბაბუა და სულ ეშმაკები გაგონდებათ. მე და ჩემი სატრფო კი მარტო ანგელოზებზე ვფიქრობთ. არა, განო? (იცინის)

მოხუცი — (ღელავს) ლამაზი სიტყვა გაქვთ, ყმაწვილო, მაგრამ ნეტავ როდემდის უნდა ითვათლმაქცო, შე საზიზღარო! (უცბად მოიხსნის პარიკს, გამოიძრობს სერთუკიდან კუბს და თავის ხმით მრისხანეთ შესძახებს) ლეონ ბერგ! გეყოს მაგდენი გაიძვერობა!..

განო — (დაიწივლებს, წამოხტება და ბარბაცით ლეონს მიაშურებს რომელიც იმახე ადრე წამოხტა და შიშისაგან გაშეშებული დარჩა) ირაკლი, რა გინდა ჩვენგან?

ირაკლი — ჩემი და ჩემი ამხანაგების სისხლი უნდა ავიღო, აი რა მინდა! (ორი ნაბიჯით უკან დაიწევს და რეკოლვერს ესვრის ლეონი დაეცემა. ირაკლი თავს უშველის. მუსიკა სწყდება)

განო — (ჯერ შეშლილივით დარბის, დაპრილი ბერგის გარშემო და ჰყვირის) მიშველეთ, მიშველეთ, ვინა ხართ ქრისტიანები... მოჰკლეს... მოჰკლეს... (ჭკვიანინთ დაეცემა ლეონის გვამს. ასტყდება ჩოჩქოლი, მოისმის ჭყარიალების ხმა, თქაფათქუფით სცენაზე შემოცვივიან პოლიციელები, ხალხი. კითხულობენ: „რა ამბავია? რა მოხდა?“ უპასუხებენ: „კაცი მოჰკლეს, კაცი“: განო მიწაზე გდია ლეონის გვერდით, თავდავიწყებით წივის და სტირის. თავს აქეთ-იქით იქნევს, თმას იგლეჯს, ლოყებს იხოკს. პოლიციელები შემოეხვევიან ლეონს, მოაბრუნებენ. ლეონი მწარედ დაიკვნესებს. მერე ერთ-ერთ პოლიციელს მოიხმობს და სუსტის, მაგრამ მკაფიო ხმით უბრძანებს: „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“)

პოლიციელი — (მოწიწებით მოუსმენს, მერე საჩქაროთ მოტრიალდება და ჰყვირის) ჩქარა საკაცე, საკაცე. (ბეორე გოროდოვოის რა-

ღაცას ეჩურჩულებს, ის ქუდ მოგლეჯილი გარბის და ცოტა ხნის შემდეგ შეეფოდის ბოქაული. მოჰყავს ექიმი და ძოაქვს საკაცე ექიმი მაიუხველობით გასინჯავს ლეონს, ფოთოლად დააწვეხინებს საკაცეზე და ხელის ხაბიჯით გააქვთ. დიდის მორიდებით და მოწიწებით ბოქაული განოს მკლავშა ეელს გაუყრის და სცენიდან გაჰყავს)

(ფ ა რ დ ა
ნელ-ნელა ეშვება)

(ამ დროს კულისებიდან მოისმის განოს წივილ-კივილი და მოძახილი)
რა კაცი მოჰკლეს, რა კაცი, ვაიმე, ვაიმე!

მოქმედება მეხუთე

შურისძიება

ს ც ე ნ ა: მდიდრულად მორთული სასტუმრო ოთახი,—დერეფნით. უკან კამარა შეკრული კარია. ძვირფასი და მძიმე ფარდაგებით ჩაჰფარებული. ერთი ტოტი ფარდისა გადაწეულია და მოჩანს მეორე თაღიანი ოთახი, სადაც სდგას სუფთა საწოლი, მშვენიერი ლოგინით. ლოგინში წევს ლეონ ბერგი. თავით უდგია მაგიდა, ათასგვარი წამლის შუშებით სავსე. ბეოგს თავს ადგია ექიმი. წინა ოთახში მდიდრულ სავარძელში ზის მწარედ დაღონებული განო. გვერდით უხის დაი მოწყალებისა. ღამეა, ჭაღები ახთია. პაუზა.

1

დაი მოწყ. — (ალერსიანად, გაუბედავად) გეყოფათ, ქალო, მაგდენი ფიქრი! ღმერთი მოწყალეა, ექიმმა სთქვა: არა უშავს რაო.

განო — ექიმებმა ნუგეშის მეტი არა იციან რა. მე კი გული მიგრძნობს,—რაღაც უბედურება მომელის.

დაი მოწყ. — უძილო ღამეებმა ძარღვები აგიშალათ და აღარ იცით რა სთქვათ! გეუბნებით: არა უშავს რა-მეთქი, საცაა ჭრილობა შეეკვრის და სიცხესაც დაუკლებს. ოხ, ის საზიზღარი ვილაცა იყო, ასეთი ვაჟკაცი, სასიკვდილოდ როგორ გაიმეტა?!

განო (ამოიოხრებს) ბოროტი ადამიანი რომ დაიბადება, ავისა და კარგის გარჩევა აღარ შეუძლია. (დაფიქრდება)

დაი მოწყ. — რატომ მარჯვენა არ მოსწყდა.

განო — რა სთქვით?

დაი მოწყ.—რატომ მარჯვენა არ მოსტყდა-მეთქი ეაეკ-ცის ასე გა]ეტებისათვის.

განო — თუ ღმერთმა მაღირსა ლეონის ფეხზე წამოდგომა, მე თვითონ გადავუხდი სამაგიეროს.

დაი მოწყ. — განა იცნობთ ვინც იყო?

განო — მე ვიპოვი... მოვნახავ იმ საზიზღარს. (სიტყვას გადააბოლებს) დაია, ჯერ არავინ გყვარებია?

დაი მოწყ. — (ამოიოხრებს და მორცხვად თავს ჩაღუნავს)

განო — ნეტავი შენ თუ არავინ გყვარებია და არც არავინ შეგიყვარდება!.. ღმერთო ჩემო! რა თავისუფალი, რა უდარდელი ვიყავი ლეონთან შეხვედრამდე. მე არც კი ვგრძნობდი, თუ სხეული მქონდა: სული ჩემი დატრიალებდა ბეჩავ ხალხს... გონება ჩემი სწყვეტდა ათასგვარ საკითხს... დღე და ღამ თვალწინ მედგა დიადი საქმე ხალხთა განთავისუფლებისა... ახლა კი? (ექიმი გამოდის იქითა ოთახიდან. მოისმის ყრუ კვნესა. განო ლაპარაკს შესწყვეტს და ექიმს)

2

განო — რას მეტყვი სანუგეშოს, ბატონო ექიმო?

ექიმი — (მოხდეხილი ახალგაზრდაა. ალერსიანად მიუახლოვდება განოს და ჩაეკვრდება თვალებში. ღიმილით) არხეინად ბრძანდებოდეთ, ქალბატონო, გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ არა უჭირს რა. (განოს ხელს ნახად ასწევს, ტუჩებთან მიიტანს და ხანგრძლივ დაეკონება)

განო — (ხელს გამოსტაცებს) გმადლობთ, გმადლობთ, ბატონო ექიმო, ნუგეშისცემისთვის... (გატრიალდება და ავათმყოფთან უნდა შეიდეს)

ექიმი — ტსსს... არ გააღვიძოთ. მოითმინეთ, რა უნდა გითხრათ... (განო გამოტრიალდება).

ექიმი — (კვლავ თვალებით უცინის) აი ეხლა, (საათს დახედავს) ცხრის ნახევარია, ცხრა საათზე სიცხე გაუსინჯეთ. თქვენ კი არა, აი ამან... (მიუთითებს მოწყალების დაბე, რომელიც განზე ჩამომდგარა) მერე დაალევინებთ წამალს. პირველი-კი მოსვენებაა. ძილი, ძილი და ძილი. აი რა გამოაშუშებს ავადმყოფს-

დამიჯერეთ, რომ თუ ძილი არ დააკლდება, თქვენ ნახავთ რა მალე წამოდგება ლოგინიდან.

განო — (თავს დაჰხრის, მერე უცბად შემოტრიალდება და ავადმყოფთან ფეხაკრეფით შედის)

3

განო (ფეხაკრეფით გამოდის ავადმყოფის ოთახიდან) სძინავს... ოხ, ღმერთო, ღმერთო, თუ ხარ სადმე, მოგხედე, მომირჩინე ჩემი ლეონი და სამუდამოდ შენი მმოსავი ვიქნები.

დაი მოწყ. — როგორ თუ სადმე ხარო! განა ეჭვი გაქვს, რომ ღმერთი არსებობს?

განო — ერთ ხანს მე სრულიადაც არა მწამდა იგი. იმდენი უსამართლობა, იმდენი ვერაგობაა ქვეყნად, რომ ღმერთი ამას ვერ მოითმენდა-მეთქი,— რამდენჯერ მითქვამს.

დაი მოწყ. — შემცდარი ყოფილხარ.

განო — ახლა მეც ასე მგონია. გაჭირვებამ თვალები ამიხილა და ლეონის მორჩენა ხომ სულ მთლად დამარწმუნებს ღმერთის არსებობაში.

დაი მოწყ. — დიდი ხანია, რაც შენ და ლეონი ერთად ცხოვრობთ?

განო — ჯერ სულაც არ გვიცხოვრია. მხოლოდ ერთი კვირაა, რაც სიტყვა მივეცით ერთმანეთს და გუშინ კი ეს უბედურება დაგვემართა. (ამოიოხრებს, თვალებზე ცხვირსახოცს მიიფარებს და სავარძელში დაეშვება)

დაი მოწყ. — (გაუბედავათ) ძალიან გიყვართ?

განო — (გატაცებით) მიყვარს ისე, როგორც უყვარს ყანას დილის ცვარი და დედა-მიწას მზის სხივი. საჭირო რომ შეიქმნეს, ჩემ გულს გავულესავ წამლად და დავალევინებ.

დაი მოწყ. — (მორცხვად) ვინ არის, ან საიდან შეგიყვარდა?

განო — ამხანაგია... სტუდენტი. ერთად ვმუშაობდით ხალხის საკეთილდღეოთ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა კეთილი, რა გულადი, რა მოყვარულია ხალხისა, მუშა, მშრომელი ხალხისა. მთელი თავისი ახალგაზრდობა შესწირა ამ ხალხის სამსახურს და, აი რა მიუძღვნეს მადლობის ნაცვლად? მერე ვინ? ისევ თავისიანებმა, ისევ თავის ამხანაგებმა.

დაი მოწყ. (მორიდებით) მე კარგად არ ვიცი რომელ ჯგუფს

რა გზა აქვს ამორჩეული ცხოვრების მოსაწყობად, მაგრამ არა მგონია ამხანაგმა ამხანაგი ასე გაიმეტოს. (დაფიქრდება გუშინ ერთი ყმაწვილი კაცი გავიცანი... ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა, ისეთი რწმენით შეჰყურებდა მომავალს, რომ... გულმა უცნაურად ძგერა დამიწყო და ძალაუნებურად თვალი და ყური ვეღარ მოვაშორე .. ნუთუ ასეთი ჯურის ყმაწვილები თავისიანებს გაიმეტებენ? ნუთუ ასეთი მიმართულების ხალხი რამე ცუდს შეახვედრებენ თავის ამხანაგს?.. ალბათ, სხვა მტერი თუ წამოეწია...

განო — (თითქოს რაღაცას იგონებსო, ყრუდ) ნეტავ აგრე იყოს! მთვარიანი ღამე იყო, მე და ლეონი ზღვის პირად ვისხედით და ჩვენს პირად მომავალზე ვოცნებობდით. შემოგვეპარა ვიღაც ნიღაბიანი და... მერე ლეონს რევოლვერი ესროლა. შიიმალა. (გულზე ხელს მოიკერს და დაიკვნესებს) ღმერთო, რატომ მე არ მომხვდა ის ტყვია?.. ლეონ, ჩემო ლეონ! თუ ვიცოცხლე სამაგიეროს გადავუხდი... იმ სახიზღარს, იმ პირუტყვს. (დაფიქრდება)

დაი მოწყ. — განა იცნობ ვინც არის?

განო — (ღრავს, იტანჯება, ყველაფრის თქმა უნდა და ვერცა ბედავს) არ ვიცი რა გიპასუხო, თუ თვალმა არ მომატყუა... თუ გრძნობა არა მღალატობს... მე ვიპოვი იმას.

დაი მოწყ. — ღმერთმა ხელი მოგიმართოს...

განო — ყველგან ღმერთი და ყველაფერში ღმერთი! ოხ, რა უმწეოა ადამიანი! (თვალებს მილულავს და სავარძელს ულონოთ გადაესვენება, პაუზა) მართლა, ვინ არის ის ყმაწვილი შენ რომ გაგიცვნია? (მწარე ღიმილით) შენ ისე გატაცებით მოიხსენიე. იგი, რომ, მგონა შეგყვარებია კიდეც...

დაი მოწყ. — (მორცხვად თავს დაღუნავს) შეყვარება აგრე ადვილი არ არის. ისე კი ჩინებული ყმაწვილია.

განო — აქაურია?

დაი მოწყ. — არა, თბილისიდან ჩამოსულა გუშინ-წინ.

განო — (მეკრთება) თბილისიდან? გუშინ-წინ?

დაი მოწყ. — დიაღ, გუშინ-წინ. თქვენც უნდა გიცნობდეთ. თქვენი ამბავი მკითხა.

განო — საკვირველია. ნეტა ვინ უნდა იყოს?

დაი მოწყ. — ირაკლი კოეზირიძე...

განო — (შეშფოთებული წამოხტება) ირაკლი!.. (ყრუდ, შეშლილივით) მაშ თვალს არ მოუტყუილებივარ... გააგდე... არ მიიღო, მოერიდე... (თითებს იმტვრევს, შფოთავს)

დაი ძოწ. — (განცვიფრებული, თითქოს მიუხვდება) ნუთუ? ქალბატონო განო, ნუთუ ირაკლიზე გაქვს ეჭვი? რომ იცოდე როგორ სწუხს შენს უბედურებას.

განო — ნუღარას მკითხავ. თავ-გზა მეკარგება. (ისევ სავარძელში ჩაჯდება. მიილულება)

ლეონ ბერგი — (სუსტი ხმით გამოსძახებს) განო... განო!..

განო — აქა ვარ შენი კენესა მე, შენი. (მიდის ფეხაკრეფით ეკან მისდევს საგონებელში ჩავარდნილი დაი მოწყალებისა)

დაი მოწყ. — (ბუტბუტით) ნუთუ? რა ძნელი საცნობია ადამიანი?

ბერგი — განო, წამალი მომაწოდე... ცივ ოფლს მასხამს... ღმერთო, ღმერთო. (ძნელად ახველებს)

განო — (კოვზით წამალს მიაწოდებს) ნუ გეშინია, ჩემო ყველავ, გული გაიმაგრე, განა ღმერთს სამართალი არა აქვს? განა არ დაგიფასებს ხალხისადმი ამდენ ამაგს? (წამალს დაალევინებს და მის თავთან სკამზე ჩამოჯდება, შუბლზე ხელს დაადებს. ბერგი თვალებს მილულავს, მძიმეთა სუნთაქვს)

განო — (დაჰყურებს ბერგს და თავისთვის ბუტბუტებს) ჩემო ღვთაებავ. ჩემო გულო... ვაი! (თვალებიდან ცრემლებსიწმენდს, მოხედავს მოწყალების დას) წადი ახლა, ჩემო დაია, და დაისვენე. მინდა მარტო დავრჩე ჩემს ავადმყოფთან.

დაი მოწყ. — (თავს დაუკრავს) ღმერთმა ულხინოს, ღმერთმა დაამშვიდოს შენი გული... (გამოდის აქეთა ოთახში, რომლის კარებთანაც პალტოს ჩაიცვამს და გადის დერეფანში, სადაც დაინახავს ირაკლის. დაი მოწყალებისა შეკრთება, დაიბნევა)

4

ირაკლი — (მივარდება და ხელს დაუკერს, ხავხავ-ჩურჩულით) როგორ არის? არ მომკვდარა? განო? განო შინ არის?

დაი მოწყ. — (სცდილობს ხელი გააშვებინოს) თქვენ... თქვენ აქ რა გინდათ? განო ამბობს რომ...

ირაკლი — სსს... იყუჩე. განომ არა იცის რა... განო დაბრმავებულია, უბედურია მალე ყველაფერს გაიგებთ... შენ კი ჯერ ჩუმად იყავ, ჩემო დაიავ, ჩუმად... წადი შენ, მე კი ბასთან შევალ...

დაი მოწყ. — (ჩემკრთალი) თქვენ განო უნდა ნახოთ?

ირაკლი — რა-ია-ც უნდა დამიჯდეს, ყველაფერი უნდა ვუთხრა, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, ყველაფერი უნდა ვუამბო... ამ ყოფაში იმის დატოვება ყოველად შეუძლებელია!

დაი მოწყ. — (გამობრუნებას აპირებს) მაშ, დავუძახებ...

ირაკლი — საჭირო არ არის. მე თითონ... მე თითონ დავუძახებ, მე თითონ ვნახავ... პირისპირ უნდა ველაპარაკო, შენ-კი წადი.

დაი მოწყ. — (არ იცის რა ქნას. ირაკლი ხელს მოჰკიდებს და უსიტყვოთ გასავალ კარისკენ უჩვენებს. დაი მოწყალებისა თავის დაუნებურად ემორჩილება... ირაკლი უცბად შეპოტრიალდება, ოთახის ღია კარებში მდგომდება, კარებს ჩაჰკეტავს, მიხედ-მოიხედავს, კუთხის ფანჯარასთან ჩაფოფალებულ ფარდაგთან მიირბენს და ამოეფარება, მეორე ოთახიდან მოისმის მისუსტებული ხმა ბერგისა)

5

ბერგი — განო, განო!

განო — (წამოდგება სკამიდან) აქა ვარ. რა გინდა შენი ჭირიმე. შენი. (ისევ დაჯდება)

ბერგი — (სუსტად, მაგრამ გარკვევით) რომ იცოდე, რა ცუდი სიზმარი ვნახე. ვითომც მე და შენ ერთად ვიყავით დაბურულ ტყეში. ვისხედით წყაროსთან დიდი წიფლის ქვეშ და ერთმანეთს ველაპარაკებოდით. მე გარინდებული მივყურდნოპოდი შენს მკერდს და შენი ტკბილი ხმა მუსიკასავით ჩამესმოდა: შენ კი მიამბობდი: ვინ იყო შენი დედა, შენი მამა, როგორ გაატარე შენი სიყმაწვილე, როგორ გაგიტაცა ახალმა მოძღვრებამ, როგორ უარჰყავი სიამენი ამა ქვეყნისა და ახალგაზრდული ძალ-ღონით როგორ ჩაები მუშაობაში... ამ დროს საიდანღაც გაჩნდა ირაკლი, დაგავლო ხელი მოგიკიდა ზურგზე და გაგიტაცა... მე გამოგიდექით. უცბად ის იქცა დათვად, მომიბრუნდა და ისეთი ძლიერებით შემომკრა ტორი, რომ გულწასული მიწაზე პირქვე დავეცი... სული მეხუთებოდა, მინდოდა დაშეკვირა,—ხმა არა მქონდა. მინდოდა ავმდგარიყავ—წელი აღარ მომდევდა, პირის ოფლში ვიწურებოდი, ვიხრჩობოდი... მაგრამ ამ დროს გამომეღვიძა, მადლობა ღმერთს! მარტო სიზმარი ყოფილა! ჩემო განო, ჩემო

ლამაზო. ოხ, რომ იცოდე როგორ ვიტანჯები. თუ გადაეარჩი. სულ ახალ ცხოვრებას დავიწყებ... შენ... შენ უნდა ღირსეული მეგობარი გყავდეს. ოხ, ჩემო ცხოვრებავ. უკეთესმარადო, უბედურო! განო, განო. ხომ მაპატიებ ყველაფერს? ხომ არ განწირავ? ხომ მუდამ ჩემთან იქნები?

განო (ცრემლ-მორეული ხმით) ნუ შფოთავ, გეთაყვანე, ნურასა სწუხარ, მუდამ შენთან ვიქნები. ხოლო თუ ღმერთი გამიწყრა და აგიტყდა რაღაც, თავს დავიკლავ შენი კუბოს წინაშე, რომ ერთად დაგვმარხონ ორივენი... არა, შენ არ მოკვდები, შენ უნდა იცოცხლო ხალხისა და ჩემდა საბედნიეროთ, ჩემო ლეონ, ჩემო ძვირფასო ლეონ! (ყრუ ქვითინით თავს დასდებს ლეონის ბალიშზე)

ირაკლი — (ფარდის უკან მწარედ ხელებს იმტვრევს)

ლეონ — (განოს) ნუ, ნუ სტირი, ჩემო ყველავ.

განო — (უცბად თავს მაღლა აიღებს ბალიშიდან) არა, აღარ ვიტირებ. რკინის გულს ჩავიდებ მკერდში, ვიდრე შენ არ მორჩები... გრძნობას დავიხშობ... ჩემს სულსა და ხორცს ვუბრძანებ: გაქვავდნენ, გასალკლდევდნენ: დღე და ღამ ანთებულ კელაპტრად გადავიქცევი, რომ სითბომ ჩემი სუნთქვისამ ძალა და ღონე მოგცეს ფეხზე დასადგომათ და როცა ვეღირსები ამ ბედნიერ დღეს... გადავიქცევი ბულბულად, მერცხლად, გადავიქცევი სტვენად და ჭიკჭიკად, რომ დავატკბო შენი სმენა, დღე და ღამ თვალს არ მოვხუჭავ, რომ გავძღე შენის მზერით, მთელი თვეობით ციბრუტივით ვიტრიალებ, მოგიწყობ სახლს და ოჯახს, რომ არა დაგაკლდეს რა, რომ ხელი არამ შეგიშალოს ხალხისთვის მუშაობაში, ჩემო ლეონ, ჩემო ძვირფასო ლეონ! (ქოჩორზე ნაზათ ხელს გადაუსვამს და ნაზათ შუბლზე აკოცებს)

ბერგი — გმადლობ, ჩემო განო, ჩემო კეთილო განო! (ხველა აუვარდება)

ირაკლი — (იტანჯება თავის საფარში. პაუზა).

განო — (დიდხანს დასცქერის ავადმყოფს) დაიძინა!.. ღმერთო, შენ გაგვითენე მშვიდობის დილა! (ადგება, აქეთ ოთახში გამოვა და სავარძელში ჩაჯდება)

(ირაკლი საფარიდან გამოვა, რევოლვერს მოიმარჯვებს და წინ წამოდგება, განო დაინახავს, შეშინებული თვალებს დააყენებს. ოდნავ ამოიგმინებს და კანკალით ზეზე წამოდგება)

ირაკლი — (ხმა დაბლა) ნუ გეშინიან, განო! შენ საკნებლად არ მოვსულვარ... მე მინდა შენ იცოდე რომ...

განო — (მაინც ვერ მოსულა. ხელებით აწყვეტინებს) რაღა გინდა ჩემგან? რას დამდევ უკან აჩრდილივით. განა, არ გეყო რაც დღე დამაყენე?

ირაკლი — განო, განო, მაპატიე ღვთის გულისათვის, რაც ტანჯვა მოგაყენე. ღმერთმა ხომ იცის მიყვარდი და მიყვარხარ უანგაროთ, შენი გულისთვის მზათ ვიყავ გავქვავებულიყავ, ოღონდ კი შენ ბედნიერად გეცხოვნო თავი, მე აღთქმა მივეცი ჩემ თავს: მოგშორებოდი სამუდამოდ, გადავხვეწილიყავ ცხრა მთას იქით და ტანჯვაში მეთენებია დღე და ღამე. აღთქმა მივეცი ჩემს თავს,—ყველგან და ყოველთვის წინ მე გამოვსულიყავ ბრძოლის ველზე, რომ ან გამარჯვებული ხალხის ყიჟინას ჩაექრო ჩემს გულში შენდამი ჩემი უიმედო სიყვარული, ან პირველ ტყვიას გაეგმირა ჩემი მკვნესარე გული და თან წამელო ჩემი ჯოჯოხეთური გრძნობა შენდამი... მაგრამ ამ დროს სხვა უფრო დიდი უბედურება დამატყდა თავზე. პირველმა მე ვავიგე, რომ, ჩვენ გაგვცა, ჩკენ გვილალატა შენმა სატრფომ—ლეონ ბერგმა.

განო — (ძალზე აღშფოთებულმა) კიდევ დაიწყე? ხმა, კრინტი არ დასძრა!

ირაკლი — (ხვეწნით) გაფიცებ, რაც კი წმინდა გაქვს, მომისმინო... გაგიგონია თუ არა ბერგისაგან თქმა: „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“? ეს არის მისი პროლი, მისი ჯადოსნური ნიშანი გამცემლობისა... იმ შავბნელ ღამეს, როცა ჩვენი ამხანაგები დაატუსაღეს და მე დასაჭერად გამომიდგენ, ხეების თავში დავიმალე, იქიდან ხერელით გაველ ვასოს სახლის ქვეშ და... ყველაფერი მესმოდა, ყველაფერს ვხედავდი. როდესაც ბერგს ჟანდარმები შემოხვევენენ და დაჭერას უპირებდენ, მან მედიდურად შემოუტია „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“-ო, ჟანდარმები მოწიწებით ჩამოდგენ განზე და სამხედრო სალამი მისცეს... მითხარ-მეთქი გაგიგონია თუ არა ეს სიტყვები ბერგისაგან?

განო — (თვალებს უფრო დაჭყეტს, ყურებს იჩიჩქნის, თითქოს რაღაცას იგონებსო, ფითრდება, იხლაკნება და უეცრად ჩაიკეცება სკამარეულში)

ირაკლი — (შეატყობს ყოყმანს და დაბეზებით განაგრძობს) „ნო-

მერი ოცდა ერთი ჯვრით“ შეიქმნა ჩვენი საქმის დამღუპველი. მე მაშინვე დავიფიცე გულში, არ მეპატიებია ამხანაგების ღალატი... (განო მუხლებზე იდაყვებს დააყრდნობს, თავს დასდებს ხელის გულზე და თითქო საზარელ სიზმარშიაო, შეშლილივით ყურს უგდებს ირაკლის)

ირაკლი — (განაგრძობს) „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“, აი თურმე რა ახდენდა ხალხის საქმეს, აი თურმე რა იწირავდა უმანკო და წმინდა სისხლს... გულის ტკივილით გავაყოლე თვალი ნაცემ ნაბეგვ თევდორეს... გულს მიწუხებდა ქეთოს ქვითინი, საბრალო ნინოს კვნესა, როცა თმებით მიათრევდენ მას. სისხლი ამიმღვრია ჩვენი ლადოს შეურაცყოფამ, როცა იმ შევარდენს ჩვენ შორის, იმ არწიეს ლიახვის ხეობისას მუჯლუგუნების ცემით მისდენიდენ... ერთი ვიფიქრე გავარდები და ყველას დავხოცავ-მეთქი, მაგრამ... თავი შევიკავე, ამხანაგების უბედურებამ უფრო დიდი აზრი მიკარნახა: მოითმინე, ხვალ მონახე ბერგი და შური იძიეო. მთელი ღამე ვასოს სახლის ქვეშ გავათიე. მეორე დღეს შევუდექი ბერგის კვალის ძებნას და ერთს საღამოს სადგურზე შევნიშნე, რომ თქვენ სადღაც მიემგზავრებოდით და... დაგიჭირეთ კიდეც ზღვის პირას... შენს დამნახველს მუხლები ჩამეკეცა... შენმა უმანკო ალერსმა ბერგისადმი ხელი ამიკანკალა და... იქვე ვერ გავათავე ხალხის მოღალატე... დამღუპველი ჩვენი ძმებისა, ჩვენი ახლო მომავლისა...

განო — (თან და თან იფერფლება, სახეზე იშლება, ოხრავს, იკლაკნება, იტანჯება. თავისთვის ყრუდ ბუტბუტებს) „ნომერი ოცდა ერთი ჯვრით“... ასე უთხრა მგონია ბოქაულს, როცა დაპრილს ვინაობა ჰკითხეს. (შეშლილივით წამოიწევს, უახროთ თვალებს დააბრიალებს და ხავხავით) არა, ეს შეუძლებელია!

ირაკლი — განო, განო. არა გჯერა ჩემი თქმა, ჩემი სიტყვები? აბა ჰკითხე შენს თავს. სად ხარ ახლა? ვინ გივლის ასე მზრუნველობით? რად დაგტრიალებენ თავს ამდენი ექიმები? საიდან? რისთვის და რა სამსახურისთვის? თვითეულს ჩვენგანს სიამოვნებით ძაღლივით ჩამოარჩობენ, თუ ხელში ჩაგვიგდეს და ლეონს კი ისეთის მზრუნველობით ექცევიან. შენა გგონია, არ გიცნობენ? მაგრამ ის წყეული „№ 21 ჯვრით“, აი, თქვენი პატრონი! მეც კი მშველიან ის წყეული სიტყვე-

ბი, ბერგის თანამოაზრე ვგონიერართ და იმიტომ დავდივარ ასე თამამად დღეს... განო, განო!.. წავიდეთ, გავიქცეთ აქედან. ნუ დაიღუპავ თავს, ნუ დაიმსახურებ ხალხის წყევას... ნუ გააქელვინებ შენს გრძნობას უღირს ადამიანს, ნუ შეარცხვენ შენს სახელსა და შენს წარსულს. გაძლევ სიტყვას, რომ თვალითაც არ დაგინახო... თუ ხალხის სიყვარულმა ვერ დასძლია ჩემი შენდამი სიყვარული, ეს ხომ თანა მაქვს! (აჩვენებს რევოლვერს) ექვსსავე ტყვიას შიგ გულში დავიხლი, ოღონდ კი შენ იყავ ბედნიერი და სახელოვანი, განო, განო... (ქკითინით დაეშობა განოს მუხლებთინ)

(მოისმის კარების მედგარი რახუნი, ირაკლი ყურს დაუგდებს, განო გაშტერებული ზეზე დგება ნელ-ნელა, კიდევ მოისმის რახუნი. ირაკლი გადახტება და ისევ ფარდას ამოეფარება, განო კარებს აღებს და შემოდის როტმისტრი შვილიევი, უკან მოსდევს ვახმისტრი და რამდენიმე ჟანდარმი)

6

როტმისტრი — (აჩქარებულად, ქალს რომ დაინახავს ღიმილით) დეზეშამ დაიგვიანა... სად არის ჩემი მეგობარი? მაჩვენეთ ჩემი ძვირფასი ლეონ ბერგი!..

განო — (მოკუნტული, მობღუნული, სახე შეშლილი ამოიკვნესებს) ვინა გნებავთ?

როტმისტრი — (დაეცქერდება განოს, მერე რამდენიმე ნაბიჯით უკან გადახტება, რიხდაკარგული სათვალეებს მოიხსნის და თვალებს იფშვნეტავს) გაბალე! შენა ხარ? აქ რა გინდა, საიდან გაჩნდი? (უნდა მივარდეს, ხელები დაუკოცნოს, მაგრამ უკან დაიწევს, წარბებს შეიკრავს და სევდა ნარევი და თან ცბიერი ღიმილით) ააა, ახლა კი ყველაფერი მესმის. შენა გქვიან განო ლიმაური? განა შენთვის მეხვეწებოდა ლეონ-ბერგი, ხელს ნუ ახლებთო?

განო — (გონება დაბნეული) რა გინდათ აქ, ვინა გნებავთ?

როტმისტრი — ვეღარ მიცანი? მე ხომ ერთ დროს შენი მეზობელი ვიყავ... შენი კარგი ნაცნობი, შენი მოტრფიალე... (არეულად) ხა, ხა, ხა! რა უცნაური შეხვედრაა... რა დაცინვაა ბედისა!?. რა დამცირებაა ადამიანისა!? განა იმიტომ გამომექეც მე, მე, ჟანდარმთა პოლკოვნიკს, რომ მერე ჩემს ჯაშუშს დასჯდომოდი ხასად? ხა, ხა!

განო — (შეშლილივით) ვინა გნებავთ? რას ამბობთ?

როტმისტრი — (დაცინვით) მე მინდა ჯერ ვნახო ჩემი მე-

გობარი ლეონ-ბერგი და მერე კი შენ გაგისწორდები. (განო სულ მთლად მოსწყდება, ბარბაცებს, ფეთოდება. კანკალებს, ცდილობს გოის მოვიდეს, ყველაფერი გაითვალისწინოს, აიწონ-დასწონოს)

ბერგი — (გამოიღვიძებს) განო, განო!

განო — (ბერგთან მიირბენს, ამღვრეული თვალებით დააშტერდება) ლეონ! სადა ვართ? ვინა ვართ? (ისევ გამოიქცევა მოჰკიდებს შვილიევს ხელს და ბერგთან მიათრევს) ლეონ!.. ვინ არის ეს შენი?

ბერგი — (შეკრთება, უცნაურის, არა ადამიანურის ღიმილით ზეზე წამოიწევს).

როტმისტრი — როგორა ხარ, ჩემო მეგობარო? მადლობა ღმერთს გადაურჩი იმ ძაღლებს...

განო — (თმაში ხელს იტაცებს, უცნაურის ხმით) მაშ... ყველაფერი მართალია, ლეონ?

ირაკლი — (რევოლვერ ამოღებული გამოვარდება) ყველაფერი მართალია, ჩემო განო, ხალხისა და შენი ერთგული ირაკლი შენ არ მოგატყუებს... ვაი, რომ შენც დაიღუპე და აღარც მე მინდა უშენოდ სიცოცხლე. (უნდა ესროლოს როტმისტრს, მაგრამ კარებთან მდგომი ჯანდარმი გადმოხტება და ხელს აუკრავს, ირაკლის დაიჭერს ასტყდება დიდი ჩოჩქოლი. ირაკლი მოახერხებს დერეფანში გავაღწიოს და თვალს მიეფარება).

როტმისტრი — ესროლეთ! მოჰკალითო! ცოცხალი არ გაუშვათ! (ჟანდარმები გარეულ გაკვეთავენ. დიდი სროლა და ხმაურობაა. როტმისტრი აღელვებული დადის)

განო — (მივა ბერგთან, დიდხანს დაიცქერდება და გიჟივით გადიხარხარებს) მაშ, მომატყუე?.. მაშ, დასწიხლე ჩემი წმინდა გრძნობა, ხალხის წმინდა საქმე?.. (გიჟივით ხარხარებს) ანგელოზის გარეგნობაში ხშირად თურმე გველის სულიცა ყოფილა! (ბერგი იხლაკნება. ბალიშზე თავს ახლის) რას გაჩუმებულხარ, მოღალატევ! მე ქართველი ქალი ვარ და დიდ სიყვარულთან დიდი მძულვარებაც შემიძლიან. (საველოს ჩამოიგლეჯს) მშვიდობით, თაე დავიწყებავ! მშვიდობია, ტკბილო იმედებო!.. (მივარდება ბერგს, გადახდის საბანს. საჩქაროთ შეხსნის ჭრილობაზე შემობმულ ტილოს და ძირს გადმოაგდებს: ბერგს ჭრილობიდან სისხლი წასკდება. განო გულზე ხელს მოიჭერს და დემონიურად ხარხარებს)

როტმისტრი — (მიირბენს ბერგთან) რა ჰქენი, შენ შეჩვენებულო!

განო — ახლა შენ მოუარე შენს მეგობარს. მსგავსი მსგავს

ეძებს. (გულიანად მიაფურთხებს ლეონს და ისტერიულის კივილით დაიწყებს თმისა და მკერდის ხოკვას)

ჟანდარმები — (შემოცვივიან) მოჰკლეს, თქვენო აღმატებულებავ, თუმცა იმანაც ვახმისტრი მოგვიკლა.

განო — (დაიწივლებს) მოჰკლეს, ირაკლი მოჰკლეს! (ტირის)

როტმისტრი — ბარაქალა ჩემს შავარდნებს! (განოს დაცინვით) დიალ, მოუკლავთ მოწყალეო ხელმწიფეე!

განო — (ხიზღით) შეგირცხვეთ ვაჟკაცობა!

როტმისტრი — ხასავ ჩემი ჯაშუშისავ, შენ კი დიდი ვაჟკაცობა ჩაიდინე. (ბერგზე მიუთითებს)

განო (მწარედ ამოიგმენს, თვალებზე ხელს მიიფარებს, კანკალებს, შემორბის სხვა ჟანდარმი) თქვენო აღმატებულებავ! (დეპეშას გადასცემს)

როტმისტრი — (გახსნის, ელდა ეცემა, დაიღრიალებს) როტმისტრი ხრაპი მოუკლავთ. ციხე გაუტეხიათ და გაქცეულან თეოდორე... ლადოც... ქალებიც... (სიმწარისაგან სავარძელში ჩაიკეცავს)

განო — (გონს მოვა. გახარებული) უბედური მეც ვკმარავარ. (დაიჩოქებს, ცას თვალებს მიაპყრობს) ღმერთო, შენ უშველე ყველა დაჩაგრულს!

როტმისტრი — (გაცოფებული) გაათრიეთ ეს დედაკაცი, ყველას ჯავრს მაგაზე ვიყრი. (ჟანდარმები განოს შემოუბვევიან)

განო — (დამცინავი კილოთი) იქით, თქვე წუპაკებო. სხეულის მეუფე არ არის სულის მეუფეც. (ჟანდარმები შეიშმუშნებიან, იბღვირებიან)

ბერგი — (წამოახავხავებს) ეკვდები... მიშველეთ.

როტმისტრი — (წამოდგება) ექიმი, ჩქარა ექიმი. (შემორბის ექიმი უკან მოსვდევს მოწყალების და, ექიმი ბერგთან მიირბენს, შინჯავს. მოწყალების და განოსთან მივა და შეჰღრიალებს)

დაი მოწყალებისა — მოჰკლეს... ირაკლი მოჰკლეს... (განოს მოეხვევა, ჟანდარმები აშორებენ)

როტმისტრი — ეგ ვიღაა! დაიჭირეთ ეგეც!

ექიმი — (რომელიც ბერგს გულს უშინჯავდა, წამოდგება) გათავდა!

განო — (შეშლილი სახითა და კბილების კრაჭუნით) სიკვდილი ხალხის მტრებს, სიკვდილი მოღალატეთ. გაუმარჯოს გამოფხიზლებას... გაუმარჯოს განთიადს! (ამღვრეულ თვალებს მიმოავლებს ყველას) ლამურებო, ქვეწარმავალნო... ბნელო ძალებო,

ჩაძვერით სოროებში, მზე ამოდის. (განო რომ ლაპარაკობს, ელექ-ტრონი თანდათან ქრება და განოს უკანასკნელი სიტყვების დროს მზე შემოანათებს. განო გიჟურის აღტაცებით და აღერსიანათ შეჰყურებს მზეს)

როტმისტრი — (მუშტების მოღერებით მივარდება განოს, მაგრამ დარწმუნდება, რომ გაგიჟებულაო, ხელებს ჩამოუშვებს და ყრუდ) წაი-ყვანეთ საგიჟეთში!

(ჟანდარმები ხმლებს იშიშვლებენ, წინ და უკან ჩამოუდგებიან განოს)

განო — მტარვალებო. მომეცით ჩემი გული. ხა-ხა-ხა.

როტმისტრი — (სასოწარკვეთილებით ჩაეგდება სავარძელში) **ერთი მოვკალით, მეორე ჭკუაზე შევშალეთ, მაგრამ მოკვდება კი ოდესმე ასეთი ხალხის გულისთქმა?!**

ს უ რ ა თ ი

როტმისტრი ღრმად ჩაფიქრებული ზის სავარძელში. ჟანდარმებს ნელის ნაბიჯით მიჰყავთ განო. ბერგის გვამი იატაკზე გდია. მო-წყალების და ფანჯარას მიყუდებია და მწარედ ქვითინებს. ექიმი აუჩქარებლივ იცვამს ხელთათმანებს და მბრების აწევით ყველას ათვალიერებს.

ფ ა რ დ ა

ნელ-ნელ-ნელა ეშვება

ჭ. ქუთაისი.
1916 წ.

ია ეკალაძე

ია ეკალაძე (იაკობ თომას-ძე ცინცაძე) დაიბადა ჩრდილოეთ ოსეთსა, მაშინდელ თერგის ოლქსა ს. ციმისში 1872 წ. მამა მწყოლისა გურიიდან იყო წაბოსული (ჩოხატაურის ოაიონი. ს. ციხე) და დავით გარეჯის მონასტერში სწავლის შემდეგ ნარის ხეობაში ძთავარ დიაკვნად მსახურებდა. ია დაწყებითი სწავლა მიუღია ს. ჯავაში. 1881 წელს იგი მიუბარებიათ გორის სასულიერო სასწავლებელში, სადაც მისთვის ღირსეული ხელმძღვანელობა და ამბიციური ბზრუნველობა გაუწევია ხალხოსან მწერალს და მასწავლებელს სოფოოს მგალობლიშვილს.

ია გორის სემინარიაში მონაწილეობდა მოწაფეთა ხელთნაწერ ჟურნალ „შრომის“ გამოცემაში. 1887 წელს ია შეუყვანეს თბილისის სასულიერო სასწავლებელში. სწავლაში წარჩინებისათვის იგი ამ სასწავლებელში ჩაურიცხავთ „სახელმწიფო ხარჯზე.“

სემინარიაში ია გულმხურვალედ დაწაფებია სკოლის გარეშე წიგნების კითხვას, აქტიური მონაწილეობა მიუღია თვითგანვითარების წრეებში და 1893 წელს ძოსწავლეთა აჯანყებაში მონაწილეობისათვის, როგორც წინადაც არა ერთხელ შეჭირვებული, მთლადაც გაუოიცხავთ სასწავლებლიდან.

1894 წელს გაზეთ „ივერია“-ში, თომაანთ კობას ფსევდონიმით, დაიბეჭდა პირველი მისი მოთხრობა „ილიკო ბედენაძე,“ როძელმაც მკითხველ სახოგადოების და კერძოდ გაზეთის რედაქტორის ილია ჭავჭავაძის ყურადღება მიიქცია. ამის შემდეგ იგი მიიწვიეს მუდმივ სამუშაოზე გაზეთ „ივერიის“ რედაქციაში.

1897 წელს მოთხრობის:—„მოწაფეთა ცხოვრებიდან“ დაბეჭდვის გამო გაზეთი „ივერია“ 7 თვით დაკეტეს, ხოლო ერთიპატარა არაკის გამოქვეყნებისათვის ავტორი საქართველოდან ლეოქორანს გადაასახლეს 3 წლის ვადით.

იამ გადასახლებაშიც განაგრძო ნწერლობა ია ეკალაძის ფსევდონიმით. 3 წლის შემდეგ ია ისევ სამშობლოში დაბრუნდა და როგორც ალ. ხახანაშვილი სწერს თავის „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“, იგი იყო გადაწერლად, „კანტორშრიკად,“ ბსახეოოებდა რკინიგზაზე, დამზღვევ საზოგადოებაში, ბანკში და სხვაგან. მწერლის ნაწარმოებთა უმრავლესობა ავტობიოგრაფიული შინაარსისაა და როგორც თავის დროზე სიმონ ქვარიანი სამართლიანად შენიშნავდა, მან ასახა ქართულ ლიტერატურაში ინტელიგენტ-პროლეტარების ტიპები.

1905 წ. ია თანაშრომლობდა ფილიპე გოგიჩაიშვილის რედაქტორობით განახლებულ „ივერიაში.“ 1906 წელს იგი შედის ყაზანის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე, რომლის კურსსაც ასრულებს 1911 წ. იანვარში. რუსეთიდან დაბრუნებული ია, გარდა მწერლობისა, მუშაობს პედაგოგიურ და საზოგადოებრივ ასპარეზზე, პირველად გამწესდა. მასწავლებლად გორში 1912 წ. იქვე დააარსა გაზეთი „ქართლი,“ როელსაც 13 თვის განმავლობაში სცემდა. 1913 წელს იგი ინიშნება ქუთაიაში წმინდა ნინოს სასწავლებელსა და სათავადაზნაურო გიმნაზიაში ქართული ენის მასწავლებლად, მხოოვალე მონაწილეობს იღებდა ქუთათურ გაზეთ „იმერეთში“ და 1914 წლიდან თავის რედაქტორობით სცემდა გაზეთ „სამშობლოს.“

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ია ერთხანს იყო ჩოხატაურში გიმნაზიის დირექტორად, შემდეგ პედაგოგიურ სამუშაოებზე ლანჩხუთსა, ონსა, ხაშურსა, თელავსა და სხვაგან.

რევოლუციის შემდეგ იაკობი მუშაობს სახელმძღვანელოების შედგენაზედაც. დასწერა და გამოსცა „სამართლის მეცნიერების“ და „სიტყვიერების თეორიის“ სახელმძღვანელოები. შეაგროვა და გამოსცა აგრეთვე თავის რედაქტორობით ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის „ანთოლოგია“ 3 დიდ წიგნად.

ია ეკალაძე გარდაიცვალა 1933 წელს ფეცრად ქუჩაში.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
ილიკო ბედენაძე	3
ანდრია ავყიაშვილი .	13
სურათი	47
ც ა ს	67
თ ე ო . . .	70
მთაო მაღალო	110
ნენესას . .	113
ვანო და მარო	119
ზღვის პირად... .	124
დაუდეგარი	129
კრებაზე	155
ოღონდაც . .	173
მთვარიან ღამეს	194
სანახსოვრო ღამე .	202
„Горько, горько“ . . .	217
მოდი მე წავალ იმ მუშასთან...	229
ნომერი ოცდაერთი ჯვრით	233

ПА ЭКАЛАДЗЕ

Сборник

(На грузинском языке)

Изд во „Сабчота Мцерали“

19 Тбилиси 49

* *

რედაქტორი: გ. ნატროშვილი

გამომმცემები: მ. ჯაფარიძე

* *

[illegible] ბეჭდვად 11|VIII 1948 წ.,
[illegible] ზომა 5½X8¼, სააღრიცხვო ფორმათა
[illegible] 14,5, სახელობითი ფორმათა რაოდენობა
18 ფ. 8 გვ. ტირაჟი 4120

№ 779 უე—12525

* *

[illegible] „საბჭოთა მწერლის“ სტამბა,
თბილისი, ბლუხინოვის, 181